

ალექსანდრე ხახანაშვილი

ქართული სიტყვიერების

ისტორია

(მეცხრამეტე საუკუნე)

დ. კარიჭაშვილის

რედაქტორობით

ტფილისი

ელექტრო-მბეჭდავი ს. მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., საქ. სახ. № 5
1913

წინასიტვაობა

ეს წიგნი გაგრძელებაა „ქართულის სიტყვიერების ისტორიისა“, რომელიც დაიბეჭდა 1904 წელს. შემდგენელმა იხელმძღვანელა თავისავე რუსულს ენაზედ დაწერილის წიგნით მეცხრამეტე საუკუნის მწერლობის განსახილველად. რა თქმა უნდა, დასჭირდა ზოგან შეცვლა, ზოგან შემოკლება რუსულად გამოცემულს მის შრომას, რადგან სხვა მიზნით დაიწერა ეს წიგნი და სხვა დანიშნულებას ემსახურება იგი. მე-XIX ს. მწერლობის განხილვა მოგვანდო „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ იმ აზრით, რომ მოსწავლე თაობისათვის გაგვეადვილებინა ახალის დროის ლიტერატურის მოძრაობის გაცნობა, რამდენადაც იგი გამოიხატა უმთავრესთ მწერალთა ნაწარმოებში. რაკი ჩვენს წიგნს სახელმძღვანელოს ხა-

სიათი მივეციტ, ამიტომ შევამოკლეთ და ადგილ-ადგილ სრულ-
ლიად გავდევენეთ საპუბლიცისტო ნაწილი, რომელიც მოიპო-
ვება ჩვენს რუსულს გამოცემაში.

ა. ხახანაშვილი

1 დეკემბერი 1911 წ.
მოსკოვი.

რედაქტორის შენიშვნა

ამ ნაშრომში, რომლის დაკვირვებით და გულდასმით გადა-
შინჯვა, სამწუხაროდ, ვეღარ მოასწრო ავტორმა თავის სიცოცხლეში
მძიმე ავადმყოფობის გამო, ჩვენ შევიტანეთ ზოგიერთი აუცილებელი
შესწორება; ენას გავკარით შალაშინი, ფაქტიკური შეცდომები შევა-

- 4 -

სწორეთ, ბითგრაფიებს გამოვაკელით წვრილმანი ცნობები და, რაო-
დენათაც შეიძლებოდა, მივეციტ ერთგვარი სისტემა, აქა-იქ შევცვა-
ლეთ რიგი, რომელზედაც მოსდევდა მწერალთა გარჩევა და ტექ-
სტითგან ჩამოვიტანეთ სხოლიოში შენიშვნების სახით მეტის-მეტად
მოკლე ცნობები ზოგიერთის მწერლის შესახებ. თვით შინაარსი,
აზრები და წერის ხასიათი ხელშეუხებელნი დავტოვეთ.

დ. კარიჭაშვილი

შესავალი

მეცხრამეტე საუკუნის ქართულის მწერლობის ისტორია
განვითარდა სრულიად სხვა პირობების ზედგავლენით წინა
საუკუნეების ლიტერატურასთან შედარებით. სწორედ მეცხრა-
მეტე საუკუნის დამდეგს შეირყა საქართველოს პოლიტიკური
მდგომარეობა, შეიცვალა ის კალაპოტი, რომელშიც სწარ-
მოებდა ქართველის ერის ნაციონალურის ცხოვრების მიმდი-
ნარეობა, რადგან მის მიწა-წყალზედ დამყარდა უცხო სამე-
ფოს გამგებლობა. 1801 წელს საქართველო დაიჭირა რუსეთ-
მა, მის სამზღვრებში ჩააყენა თავის ჯარი, მოსპო მისი საკუ-

თარი წესწყობილება, შეზღუდა ორგანიული, ბუნებრივი სა-
ერო ძალთა განვითარება, უძველესის კულტურით შეიარაღე-
ბული ხალხი დაუმორჩილა სხვა ნიადაგზე აღმოცენილს განა-
თლებას. ამ ცვლილებამ ღრმა ბეჭედი დაასვა ქართველთა წინა
მსვლელობის ხასიათს და შეუკრა გზა თვითცნობიერების თა-
ვისუფლად გაფურჩქვნას. ძველის და ახალის მიმდინარეობის
შეტაკებამ, ნაციონალურთ გადმოცემათა შეჯახებამ რუსეთი-
დან გადმონერგილს შეხედულებასთან, მათმა შეურიგებელმა
წინააღმდეგობამ დაჰბადა მწვავე ბრძოლა ერის სოფლმხე-
დველობაში.

ნაციონალურის ცხოვრების მიმდინარეობას რუსეთის მმარ-
თველობამ უცებ და სწრაფად ვერ მოუხერხა ახალს არხში
ჩაყენება. იგი იძულებული შეიქმნა დროებით შეეწყნარებინა
არსებულის კულტურის ელფერი და მხოლოდ ზედაპირზე მო-
ეხდინა ცვლილება. თანდათანობით ეს ცვლილება ჩააღრმავა
და გამოუთხარა ძირი შეთვისებულს, სისხლ-ხორცად გადაქ-

- 6 -

ცეულს წყობილებას. 1802 წლიდან, როდესაც დაარსდა უმა-
ღლესი საქართველოს მმართველობა და მთავარმმართველად
დაინიშნა გენერალი კნორინგი, ადმინისტრაციული გამგეო-
ბა დარჩა თითქმის ძველებურს ყაიდაზე ჩამოსხმული მოურა-
ვებად ქართველები აირჩიეს, თავად-აზნაურობას და სამღვდე-
ლოებას დაუმტკიცეს მეფეთაგან ბოძებული პატივი, დაბალი
წოდება ბატონ-ყმობის სასტიკს უღელში ჩააბეს რუსეთის ჩვე-
ულების და კანონის მიხედვით. 1804 წ. მთავარმმართველად
მოწოდებულმა გენერალმა ციციანოვმა ხმამაღლა აღიარა,
რომ შეუძლებელია საქართველოზე მთლად გავრცელდეს რუ-
სეთის წესწყობილება; საჭიროა, ამბობს იგი, რომ გამგეობა
ხალხის მიდრეკილებას შეეთანხმოს და კანონმდებლობა მის
ჩვეულებათა მიხედვით მოიხაროსო. საქართველოს უმაღლესს
გამგეობაში მიწვეულ იქმნენ ჩვენი მდივანბეგები, რუსებისთვის
სამოქალაქო სამსახურის ტვირთის შესამსუბუქებლად დაინიშ-
ნენ მათ თანაშემწეებად ქართველები ნაცვალის და ხაზინადა-
რის სახელწოდებით. მოურავებს შერჩათ წინანდელი მსაჯუ-
ლის უფლება მცირემნიშვნელოვანის საქმეების გარჩევაში.
მთიულებს, ფშავ-ხევსურებს და თუშებს მთავრობამ ხელი არ
ახლო და ქართველს მოურავებს გადასცა მათი გამგეობა. სა-
სამართლოში, თუმცა საქმის წარმოება რუსის თავმჯდომარე-
ობით ხდებოდა, ორი ადგილი ქართველს მსაჯულს ჰქონდა
დათმობილი. მეფე ვახტანგის „სამართლის წიგნი“ დარჩა სა-
ხელმძღვანელოდ სამოქალაქო საქმეების გასარჩევად; სისხლის
სამართალიც დაუმორჩილეს დროებით „ხალხის შეგნებულე-

ბას“, თუმცა არ ააცდინეს დამნაშავეთა დასატუქსად შოლ-
ტით და შპიცრუტენით დასჯა. შემოიღეს აგრეთვე ციმბირში
გაგზავნა და გადასახლება.

რუსეთის მფლობელობის დამყარებამ განამტკიცა თავად-
აზნაურობის და სამღვდელოების გავლენა. საქართველოზე გა-
ვრცელდა ის დებულება, რომელიც ეკატერინე მეორემ დაამ-
ყარა რუსეთში. წარჩინებული წოდება შეიქმნა სახელმწიფო

- 7 -

გამგეობის საფუძველი და მატარებელი. მხოლოდ ამ წოდების
შვილთ შიგნით მიეღოთ სწავლა-განათლება და გამოსული-
ყვნენ სამეცნიერო და სამწერლო სარბიელზე.

ამგვარად „ბატონი“ ერთს და იმავე დროს სახელმწიფო
მოხელეობასაც ეწეოდა და გონებითი მოძრაობის სადავეც
ხელში ეჭირა. მწერლობა მისთვის თავისუფალის დროს გატა-
რება იყო. სამსახურში გაბმული, იგი უყურებს ლექსად ან
პროზად წერას, როგორც გასართობს ვარჯიშობას ან სული-
ერად დასვენებას. მისი ლიტერატურული გემოვნება და მი-
მართულება შემთხვევითის ხასიათისა იყო, სრულიად მოწყვე-
ტილი ცხოვრების მიმდინარეობასთან. რა თქმა უნდა, ამგვარს
მწერლობას ეკარგებოდა საზოგადოებრივი მნიშვნელობა და
კულტურული ზედმოქმედებითი ძალა. თავად-აზნაურობის წარ-
მომადგენელი, რომელთაც ხელში ეპყრათ ხმალიც და კალა-
მიც, მწერლობაში ასურათებდნენ თავის სულის კვეთას და სი-
მშვენიერესადმი მისწრაფებას, რაიცა შეთვისებული ჰქონდათ
ქალაქად სადარბაზო ბაასში, ან სოფლად თავის უხვად მოწ-
ყობილს სასახლეში. ბრძნულად ბჭობდნენ იგინი ბატონს და
ყმას შორის ძველად დამყარებულს განწყობილებაზე და მამა-
მშვილურის გრძნობით განმტკიცებულს მონობაზე.

რაკი მწერლობის გაძლოლა წილად ხვდა თავად-აზნაუ-
რობას, ამიტომაც ჩვენს ლიტერატურას ნახევარ საუკუნის
განმავლობაში არისტოკრატიული ბეჭედი დაეკრა. ეს იყო სა-
ერთო ქარგა, რომელზედაც განვითარდა საქართველოს განა-
თლება გიორგი ერისთავის, დანიელ ჭონქაძის და ლავრენტი
არდაზიანის ასპარეზზე გამოსვლამდის. ამათ შესცვალეს კლას-
სიური ეგოიზმი და გაითვალისწინ ეს ინტელიგენციის მოვალე-
ობა დაბალთ მოძმეთა წინაშე. ამათგან იწყება მხატვრული ქა-
დაგება საქვეყნო და საერო იდეალების მისწრაფებისა. ეკო-
ნომიურმა და სოციალურმა ცვლილებამ, რომელიც მოჰყვა
ბატონ-ყმობის მოსპობას, მწერლობის დასში ჩაურია თავად-
აზნაურთა გარეშე კლასთა წარმომადგენელნიც და აუჩქარე-

- 8 -

ბელის ნაბიჯით შესძღვნა ლიტერატურას დემოკრატიზაცია, რომლის მეთაურად უნდა ჩაითვალოს ილია ჭავჭავაძე და მისი თანამედროვენი. ამასთანავე მთავრობის ზედგავლენას და მფარველობას, მეტადრე გრაფ ვორონცოვის დროს გამეფებულს, ეკარგება მნიშვნელობა და ძალა: ქართული ლიტერატურა გამოდის თვითგანვითარების გზაზე ევროპულის და რუსულის მწერლობის წაბადებით. იგი თავის მიზნად აღნიშნავს პიროვნების განთავისუფლებას და ხალხის სამართლიანის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ორი ხანა მე-XIX საუკ. ქართულის მწერლობის ისტორიაში

ქართულის მწერლობის ისტორია მეცხრამეტე საუკუნეში ორს ხანად იყოფება. პირველს ხანას შეადგენს მე-XIX საუკუნის პირველი ნახევარი და მეორე ხანას ეკუთნის მეორე ნახევარი. სამზღვარს ამ ორს ხანას შორის დასდებს გიორგი ერისთავის ჟურნალი ცისკარი. ამ გამოცემამ შექმნა ახალი სამწერლო ენა, რომლის საფუძვლად მისმა რედაქტორმა და პირველმა ქართველმა დრამატურგმა დაამყარა ქართლის კილო და დაუახლოვა სალიტერატურო ენა საუბნო ენას. პირველს ხანაში გამეფებულია აღტაცებული, რიტორიული ენა, შეხვეებული სამღვთო წერილის და ძველის ლიტერატურის ლექსიკონით და ფორმებით. მეორე ხანაში მწერლობის ენას ემჩნევა მდაბიო ენის გავლენა და რუს-ევროპულთ ფორმათა ზედმოქმედება. შინაარსითაც განირჩევა ეს ორი ხანა მე-XIX საუკ. მწერლობაში. პირველი ნახევარი ამ საუკუნის ლიტერატურისა რომანტიულს მიმართულებას ემსახურება, მეორე კი ამკვიდრებს რეალურს პოეზიას და იმოსება თანდათან ნატურალიზმის ელფერით. რომანტიულის აღმაფრენით აღბეჭდილია ნიკოლოზ ბარათაშვილის და გრიგოლ ორბელიანის პოეზია. ამათ წინ უძღვის ალექსანდრე ჭავჭავაძე,

- 9 -

რომლის ნაწერებს ორგვარი ბეჭედი აზის: სპარსეთის რომანტიკოსებისა და ევროპელის პესიმისტებისა. გარდამავალის ხანის წარმომადგენელთ, რომელთაც რომანტიული მიმართულება შესცვალეს რეალურს მიმდინარეობად, თავი იჩინეს ჟურნალს ცისკარში; ამათ რიცხვში თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ გიორგი ერისთავს, დანიელ ჭონქაძეს და ლავრენტი არდაზიანს. რეა-

ლურს მწერლობას მტკიცე საფუძველზე აყენებენ მესამოცე წლების მოღვაწენი: ილია ჭავჭავაძე; აკაკი წერეთელი და რაფ. ერისთავი, რომელთაც შეჰქმნეს ახალი ბელეტრისტული სკოლა. ამ სკოლიდან გამოსულს პირველს წყობაში ვხედავთ გიორგი წერეთელს, მამია გურიელს, ეკატერინე გაბაშვილს, ალექსანდრე ყაზბეგს, ნიკო ლომოურს და სოფ. მაგლობლიშვილს. მეორე წყობას, მე-XIX საუკ. მიწურულში გამოსულს, ეკუთნიან გრ. აბაშიძე, დუტუ მეგრელი, ანასტასია ერისთავი, ევდომილი, მელანია, ეკალაძე, განდეგილი.

ამავე დროს თავი იჩინა ქართულს ბელეტრისტიკაში ეკონომიურმა მატერიალიზმმა ერთის მხრით (გ. წერეთელი, ნინოშვილი, ლალიონი) და ფსიხოლოგიურმა ძიებამ მეორე მხრით (შ. არაგვისპირელი, ზურაბიშვილი, დეკანოზიშვილი, ელევთერიძე). რეალიზმის გაფურქვნამ გამოიწვია იუმორისტული მიმართულება, რომლის საუკეთესო წარმომადგენელია დავით კლდიაშვილი. განცალკევებით სდგანან ძმანი რაზიკაშვილნი: ლუკა, თედო და ბაჩანა, თუ მათ შემოქმედებას არ დავუახლოებთ რაფ. ერისთავის უკანასკნელის წლების მოღვაწეობას.

წაბადვით და უცხო ქვეყნების გავლენით შექმნილი მე-XIX საუკ. ქართული მწერლობა დროთა განმავლობაში იცვლის მიმართულებას, ჰქმნის საკუთარს შინაარსს, შემოსავს ნააზრს-ნაგრძნობს მარტივის ენით, უახლოვდება დაბალს წოდებას და ხდება მის ჭირისუფლად. გაფართოვდა წრე სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეთა, შორს განზე გაიწია მკითხველთა საზოგადოებამ, თვით მწერლობამ იტვირთა ნაციონალურის მისწრაფების განმარტვა-განხორციელება. მხატვრულს მწერლობას

- 10 -

მხარს აძლევს პუბლიცისტიკა, ჟურნალ-გაზეთების შემწეობით ცხოვრების მრავალმხრივი დასურათება. ეროვნულს ნიადაგზე სწავლა-აღზრდის დამყარების საჭიროება, რომლის მოციქულად გამოდის იაკობ გოგებაშვილი თავის სახელმძღვანელობით და ცოცხალის ენით დაწერილის მოთხრობებით, აშუქებს იმავე ნაციონალურს მიმართულებას წარსულის საუკუნის მეორე ნახევარში. ამავე ეროვნულს მიზანს ემსახურება ევროპულის სოფლმხედველობით შეიარაღებული მესამე დასიც ნოე ჟორდანიას მოთავეობით, რომელიც უპირატესს ყურადღებას აქცევს ხალხის ეკონომიურს მდგომარეობას და მის გაუმჯობესებას ისახავს სამოქმედო პროგრამად. ერის, იდეური და ქონებრივი ფეხზე დაყენება აკავშირებს ორს მოწინააღმდეგე დასს ერთს უმაღლესს სინთეზში.

ცვლილებანი ზნე-ჩვეულებათა და საზოგადო ცხოვრებისა

მეცხრამეტე საუკუნის მიმდინარეობა იმით აღინიშნა ჩვენს ცხოვრებაში, რომ ჯერ შეირყა და შემდეგ თვალსაჩინოდ შეიცვალა ოჯახის და საზოგადოების ძველი, მამაპაპეული საფუძველი. წარსულის საუკუნის ნახევარს, გრაფის ვორონცოვის დროს, პირველად შეიპარა უცხო სიო მაღალის წოდების, არისტოკრატიის ზნე-ჩვეულებათა სამეფოში და მიხვევ-მოხვევით ამავე სიომ დაჰბერა მთელის ერის ცხოვრებასაც, მეტადრე ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ, როდესაც კაცის პიროვნებას გაეღო კარი თავისუფლად განვითარებისა. ცვლილება დაეტყო ყოფა-ცხოვრებაში, ჩაცმა-დახურვაში, დროს გატარებაში, ლხინის და ჭირის გადახდაში. მიწური ქოხები ქვითკირის და ფიცრის სახლებად გადაკეთდნენ, ძველი დარბაზი დედაბოძით ევროპულად მოწყობილს ოთახად შეიცვალა. დიდი ტახტი ვიწრო ქეჩითურთ განიდევნა, ლურჯი სუფრა გაჰქრა. ბუხრის ქუდი და განიერი შარვალი, კაბა და ქულა

– 11 –

ჯა იშვიათი სანახავი გახდნენ. გლეხს ასხია ფარაჯა, მოქალაქეს აცვია ახალის მოდის ტანისამოსი. თავდახურული ქალი შერჩა სოფელს, მაგრამ აქაც ძნელად შეხვდებით თეთრ-ჩადრიანს მანდილოსანს. განათლებული დედა იხურავს და იცვამს ევროპულად. ქალი გამოვიდა სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე. რუსულს და ევროპულს ენაზე აღზრდილი, იგი მკრთალად წააგავს იმ დედეებს, რომელნიც „ძველად უზდიდნენ შვილებს მამულსა“. ქართველი კაციც, ამავე უცხო სასწავლებელში ჩამოქნილი და ეროვნულს ნიადაგს მოშორებული, ითვისებს ახალს კილოს ბაასში და სიმღერაში, იტვირთება გარეშე ზნე-ჩვეულებათა უღელით და გულგრილად უყურებს ნაანდერძევს ტრადიციას, წინაპართა გადმოცემულს ანდერძს და ჩვეულებას. სოფელი დაუახლოვდა ქალაქს და შეითვისა უკანასკნელის კარგი და ავი მხარეც. სოფლად გავრცელდა სწავლა, წერა-კითხვა, დაიბადა საქვეყნო ინტერესებისთვის ზრუნვა; მაგრამ ამავე დროს გლეხი გაღარიბდა, მიწა შემოაკლდა, დიდი ოჯახი პატარ-პატარებად დაიყო და პატრიარქალური სიწმიდე წაიპილწა. ნინოშვილის, ლომოურის და კლდიაშვილის ნაწერები მჭევრმეტყველურად ასურათებენ ამ ცვლილებას. ძველად შესისხლხორცებული „დღეობანი“ ეკლესიის კარზე გულდამშვიდებულის ცეკვით და ლექსაობით, კრივი და ჭიდაობა, მხიარულის მაყრიონით ქორწილი, მიცვა-

ლებულის ზარით დატირება და შობა-ახალწლის და აღდგომის მამა-პაპეულად შეხვედრა, – ნისლით იმოსება, ჰკარგავს ნელ–ნელა ნაციონალურს ფერადებს და დავიწყებას ეძლევა. ენაც აჭრელდა რუსულ–ევროპულის გავლენის განმტკიცებით. სახლის ავეჯეულობა, სასმელ–საჭმლის მომზადება, მისვლა–მოსვლის აღნიშვნა, გართობა და დროს გატარება შეიცვალა და დაემორჩილა უცხო ხალხის ზედმოქმედებას. შეურყეველი ზნე–ჩვეულება და უმწიკვლო ენა შერჩათ ქართველებს მთაში, განშორებით ქალაქებისა და განათლების კერებისგან. ამგვარად წარსულმა საუკუნემ ორნაირი დალი

- 12 -

დაასვა ჩვენს ერს: იგი, ერთის მხრით, დაადგა განათლების გზას, შეიგნო სწავლის საჭიროება, მიაქცია ზურგი სპარსეთს, დაუახლოვდა ევროპულს კულტურას და, მეორე მხრით, ეკონომიურად დაეცა, მამული შეუმცირდა, ვაჭრობის უღელში გაჰყო თავი და შეარყია ის ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენებული იყო საქრთველოს სამეფოს ბურჯი, მის ზნე–ჩვეულებებით, ფეოდალურის წესწყობილებით, ქრისტიანობრივის სოფლმხედველობით. ახალმა ლიტერატურამ მიაქცია თავის გამჭვრეტელი ყურადღება ამ ჩვენს ცხოვრებაში მოხდენილს ცვლილებას და გამოქანდაკებულის სურათებით დაგვიხატა ბრძოლა ამ ორს შეუწყნარებელს და შეურიგებელს მოძრაობას შორის. ძველი და ახალი მისწრაფება, მამაპაპეული ტრადიცია და უცხოეთიდან გადმონერგილი კულტურა, გონებითი გაზრდა და ეკონომიური ხელმოკლეობა შეიქმნა სიტყვა–კაზმულის ლიტერატურისთვის დაუშრეტელს წყაროდ, აფერადებულს ქარგად, დაკვირვების და შესწავლის საგნად.

მოძრაობა ახალის მთავრობის წინააღმდეგ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს

საქართველოს შეერთებამ რუსეთთან 1801 წ. ჩქარა მოუსპო მშვიდობიანობის დამყარების იმედი იმ პატარა წრესაც, რომელიც მომხრე იყო რუსის მთავრობისა და სასოებით შეჰყურებდა ერთმორწმუნე ერს, ირაკლი და გიორგი მეფეთა შვილები უკმაყოფილონი იყვნენ, რომ რუსებმა მოსპეს საქართველოს დამოუკიდებლობა და, დადებულის ხელშეკრულობის წინააღმდეგ, არც ერთს მეფის ძეთაგანს არ მოუწოდეს „მეფედ საქართველოსად“. გიორგი XII თხოულობდა, რომ საქართველოს ტახტზე მუდამ მჯდარიყო მისი ჩამომავალი, რო-

მელსაც უნდა განეგო საქართველოს სამეფო რუსეთის მფარველობის ქვეშ. უკმაყოფილო ბატონიშვილები შეითქვენ რუსეთის წინააღმდეგ. არც ხალხი იყო კმაყოფილი რუსის

– 13 –

მმართველობისა. შორიდან მოსულნი მოხელენი ანგარების მოყვარულნი და საადმინისტრაციო ნიჭს მოკლებულნი პირნი გამოდგნენ. უსიამოვნობამ სწრაფად იჩინა თავი. 1802 წ. აღელდა კახეთის ახნაურობა; 1801 წ. მთაში დაიწყო მოძრაობა. 1810 წ. სოლომონ მეორემ, იმერეთის მეფემ, განიზრახა რუსეთთან კავშირის მოსპობა და დარჩა გვირგვინ- და პატივ-ახდილი. გურია-სამეგრელოც არ იყო დამშვიდებული და ოსმალეთთან მისვლა-მოსვლას უხშირებდა. ეკლესიას მოუსპეს ავტოკეფალია, თვითმართველობა და ექსარხოსის გამგეობით დაუმორჩილეს ბეტერბურგის სინოდს. მეტადრე დაბალს წოდებას გაუჭირდა სიმშობის და ჭირიანობის დროს მძიმე ხარჯის ტვირთის ტარება და იფეთქა აჯანყებამ. ყველა აღელვების და შეთქმულობის მოთავედ იყვნენ საქართველოს სამეფო სახლის წარმომადგენელნი და მათი ახლო ნათესავობა.

უკმაყოფილება საქართველოში არა სცხრებოდა და სამეფოს აღდგენის სურვილი კიდევ ღვიოდა. ამ სურვილის გასახორციელებლად დაარსდა 1829 წ. ფარული საზოგადოება, რომლის სულის ჩამდგმელებად იყვნენ ბატონიშვილნი ოქროპირ გიორგის ძე და დიმიტრი იულონის ძე. უკანასკნელი სცხვრობდა პეტერბურგში და ყოველს კვირას თუ დღესასწაულს მის სახლში იკრიბებოდა იქაური ქართველი ახალგაზრდობა – ერისთავნი, ორბელიანნი და სხვ. ამგვარის წრის მოთავედ მოსკოვში იყო ოქროპირ ბატონი შვილი, რომელიც 1829 წ. ჩამოვიდა ტფილისს და აქ მისვლა-მოსვლა გამართა ალ. ორბელიანთან, ელიზბარ ერისთავთან, სოლომონ დოდაშვილთან და სხვებთან. ბერმა ფილადელფოს კიკნაძემ დასწერა „ფარულის საზოგადოების“ წესი. თავიანთ აზრების გასავრცელებლად წრემ გამოსცა 1832 წ. ქართული გაზეთი ს. დოდაშვილის რედაქტორობით. შეთქმულები ცდილობდნენ მალს და დაბალს წრეში თანამოაზრეთა მოპოებას და ეძიებდნენ დროს თავიანთ განზრახვის განსახორციელებლად. დახმარებას უწევდა საფრანგეთის კონსულის (ტფილისში) მდივანი

- 14 –

ლეტელიე. მოფიქრების და მოლაპარაკების შემდეგ აჯანყების ვადად დასდევს 1832 წ. 20 ნოემბერი, ის დღე, როცა თავად-აზნაურობის კრება იყო დანიშნული. რაკი კრება გა-

დიდო შემდეგის თვისთვის, ამიტომ მოძრაობის დაწყებაც გადაიტანეს. დანიშნულს დღეს უნდა დასცემოდნენ ხაზინას, არსენალს და სამხედრო მაღაზიებს. სათავად-აზნაურო მეჯლისზე მიწვეულნი მმართველობის უმაღლესნი წევრნი რუსთაგანნი უნდა დაეხოცათ, მერე დაეწყოთ ზარების რეკა, გამოესვენებინათ ეკლესიებიდან ხატები და დაეფიცებინათ ხალხი. მაგრამ სამზადისმა ფუჭად ჩაუარათ. ერთმა შეთქმულთაგანმა, ია ფალავანდიშვილმა, 9 ქრისტიანობისთვის გასცა მოკავშირენი. დანიშნა სასტიკი გამოძიება და უმაღლესის ბრძანებით, თანახმად კავკასიის მთავარმართებლის მოხსენებისა, დასაჯეს ფარულის საზოგადოების წევრნი: ოქროპირ ბატონიშვილი გაგზავნეს კოსტრომაში, დიმიტრი – სმოლენსკში, თამარ იულონის ასული – სიმბირსკში, გიორგი ერისთავი – პოლონეთში, დიმ. ორბელიანი – პენზაში, დიმ. ყიფიანი – ვოლოგდაში, გრ. ორბელიანი – ვილნოში, ვახტ. ორბელიანი – კალუგაში, ალექსანდრე ჭავჭავაძე – ტამბოვში. ესენი იყვნენ სწორედ ის პირნი, რომელთაც საფუძველი დაუდვე: ქართულს მწერლობას მე-XIX საუკ.

ბერი ფილადელფოს კიკნაძე და სოლომონ დო- დაშვილი

ეს ორი პირი ეკუთნის იმ ფარულის საზოგადოების წევრთა რიცხვს, რომელთაც განიზრახეს 1829 – 1832 წლებში საქართველოს რუსეთის მმართველობისაგან განთავისუფლება. ბერი ფილადელფოს კიკნაძე დაიბადა 1792 წ. რუსეთში ყოფნის დროს ანტონ კათალიკოზთან გაეცნო ოქროპირ ბატონიშვილს, რომელთანაც 1896 – 1897 წ. ჰქონდა მოლაპარაკება საქართველოს საქმეებზე. მან მოიგონა საიდუმლო ანბანი და შეადგინა „ფარულის და განუწყვეტელის მეგობრობის“ წესდება, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. შეთქმულთა საქმის გამომძიე-

- 15 -

ბელი კომისია გვაუწყებს, რომ ეს წესდება იყო მისტიური ნაწარმოები, აღებული მასონების ან სხვა საიდუმლო საზოგადოებათა წესდებიდან. წესდების ძალით საზოგადოების წევრთ არ უნდა სცნობოდათ ერთმანეთი და შეფიცულნი უნდა ყოფილიყვნენ, რომ მორჩილნი იქნებოდნენ ერთის უმაღლესი ძალისა. ეს წესდება ტფილისში ჩამოიტანა გიორგი ერისთავმა შუამთის მონასტრითგან, სადაც ცხოვრობდა რუსეთიდან დაბრუნებული ფილადელფოსი, და უჩვენა შეთქმულებს. ფილადელფოსს შუამთაში გამართული ჰქონდა სკოლა, სადაც, სხვათა შორის, მიიღო განათლება რაფიელ ერისთავმა. ლექსებიც უწერია ამ ბერს და საქართველოს შავი ბედი დაუსურათებია.

სოლომონ დოდაშვილს უფრო მრავალგვარი მნიშვნელობა

აქვს ქართულს მწერლობაში. მან მიიღო უმაღლესი განათლება რუსეთში და შემდეგ დაუახლოვდა იქ მყოფ ბატონიშვილებს, რომელნიც 1832 წ. შეთქმულობის მოთავეთ იყვნენ. სოლომონ ივანეს ძე დოდაშვილი დაიბადა 1804 წ. სოფ. მაღაროში, სადაც მისი მამა მღვდლად იყო. სწავლა დაიწყო გარეჯის მონასტერში და განაგრძო კეთილშობილთა სასწავლებელში. კათოლიკეთა მისიონერების გავლენასაც თუ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ წარმოვიდგენთ დოდაშვილში იმ ცნობის მოყვარეობის გავლენას, რომელმაც იგი გაიტაცა პეტერბურგისკენ. ბატონიშვილს ივანესთან მან გაიცნო ბერი ხელაშვილი, „კალმასობის“ შემდგენელი. ამის დახმარებით დოდაშვილი გაიწვრთნა ქართულს ენაში და შეისწავლა საქართველოს ისტორია. 1827 წ. იგი ადგენს რუსულად ლოდიკის სახელმძღვანელოს და წინასიტყვაობში იმ აზრს გამოსთქვამს., რომ რუსეთის მფარველობის ქვეშე საქართველოს გამოუბრწყინდება შუქი მზისა და განათლებისა. დაბრუნდა რა სამშობლოში, დაინიშნა კეთილშობილთა სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად და ამ მოვალეობის გასამდლოად შეადგინა ქართული გრამატიკა (დაბეჭდილია 1830 წ.) და „რუსულ-ქართული რაზლოვორის“ წიგნ. რადგან იგი მონაწილე გახდა „ფარულის საზოგადოების“ მისწრაფებისა, ამიტომ პროკაგანდის გასაწევად განაახლა*) ქართული გაზეთი „ტფილისის უწყებანი“ (1832 წ.) ალექსანდრე ჭავჭავაძის და გრ. ორბელიანის დახმარებით. ამ გაზეთისა მხოლოდ ხუთი ნომერი გამოვიდა. დოდაშვილი გაზეთში და საზოგადოებაში „არჩევდა იმგვარს მოქმედებას, რომელიც მისს სამეცნიერო წოდებას უფრო შეეფერებოდა“. რამდენად აღგზნებული

*) პირველად ქართული გაზეთი სახელად „საქართველოს გაზეთი“ გამოვიდა 1819 წ. და მოიპო 1821 წ.

- 16 -

მწერალი იყო იგი. ამას მოწმობს „მილოცვა დოდაშვილისა ბატონიშვილის ბაგრატის მცირეწლოვანს შვილს დავითს“. ავტორი ანტონ კათოლიკოზისებურის მაღალის ენით აქ ამბობს: „უუკეთილშობილესი სისხლი შენი განვლის ღირსების ყველა ხარისხს, თუ სარწმუნოების კეთილს წესებს დაიცავ და ერთგულადა და ყურადღებით შეასრულებ ყოველსავე იმას, რასაც აღმზრდელი გასწავლის. მიხედუ შენს მოსახელე დავითს, რომელიც უწინ ხალხთან იყო და ახლა კი ღმერთთან არის. მასავით მტკიცედ დაიცევ სარწმუნოების კანონი, რომ მოგეცეს ძალი და შეიმოსო იგი. ისმინე ღვთისა, რომ განგიახლდეს წარსული იგი სიხარული და ნათელი და იდიდო ისევ დღესა მას შენსა, რომ გლოვა და ურვა სიხარულათ შეგეცვალოს, ხოლო ბნელი ივერისა სინათლედ. მეცა და ივერის დანარჩენი ხალხიც ვითხოვთ ერთხმადა, რომ ძველის-ძველი მეფობა თქვენი განახლებულ იქნეს თქვენითა და ამიერიდგან უკუნისამდე კურთხეული“. ამგვარივე პატრიოტული მისწრაფებით აღფრთოვანებულია მისი ლექსი, რომელიც შეთქმულთა ჰიმნად შეიძლება ჩავთვალოთ.

„მაისში იქნება მოწვევა ქართველთა ძალის გამომხატველი!
ავიღოთ ხელში მახვილი და დავცეთ მტერს შიშისა ზარი!
შევკრიბოთ მოხალისენი, თავზედ დავესხათ მედგრადა.
გავდევნოთ ძალით მოსულნი, სამშობლოს მაოხრებელნი!
ქართველებო! ხართ-ღა სადმე? არავინ იცის, გონს მოდით!“

სოლომონ დოდაშვილი ვერ მოესწრო თავის ოცნების განხორციელებას. შეთქმულობა გამომჟღავნდა. მოთავენი დაქსაქსეს. ამათ შორის დოდაშვილი, რომელსაც ბრალი შეუმცირეს იმიტომ, რომ რუსის ქალი ჰყავდა ცოლად, გადიყვანეს სამსახურში ჩრდილოეთს რუსეთის მხარეს. გადაიცვალა ირკუტსკში 1836 წ. და თან საფლავში ჩაიტანა უმწიკვლო სიყვარული სამშობლოსადმი.

ალექსანდრე ჭავჭავაძე

(1787 – 1846)

თავადი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე ჩამომავლობით ეკუთვნოდა დიდებულ გვარს, რომელსაც მრავალნაირი დვაწლი მიუძღვის საქართველოს წინაშე. ალექსანდრეს მამა, გარსევან ჭავჭავაძე, ჩვენის უკანასკნელის მეფეების – ირაკლისა

- 17 -

და გიორგის – წარმომადგენლად იყო რუსეთის იმპერატორის წინაშე. ალექსანდრე დაიბადა პეტერბურგში 1787 წელს. მის ნათლიად თვით რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორე იყო. რვა წლისა რომ შეიქმნა, 'ალექსანდრე მიაზარეს პეტერბურგის საუკეთესო პანსიონში და აქ დაჰყო ოთხი წელიწადი (1795 – 1799). შემდეგ, რადგან გარსევან ჭავჭავაძე წამოვიდა ტფილისს გიორგი მეფესთან მოსალაპარაკებლად, თორმეტის წლის ალექსანდრეც თან წამოიყვანა. ალექსანდრემ ახლა აქ განაგრძო თავისი სწავლა მამის ზედამხედველობის ქვეშ. ტფილისში ახალგაზდა თავადი დაუახლოვდა ადგილობრივს მაღალს წოდებას და, როცა 1804 წელს მოხდა საქართველოში რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ ამბოხება, თექვსმეტის წლის ალექსანდრე ჭავჭავაძემ მიიღო მონაწილეობა ამ მოძრაობაში, თუმცა ხელმწიფის უმაღლესის ბრძანებით, გარსევან ჭავჭავაძის მოღვაწეობის დასაჯილდოებლად, უკვე კამერპაჟად, რუსეთის სასახლის კაცად, იყო დანიშნული. ამბოხების აზრი იყო საქართველოში მეფობის აღდგენა და ბაგრატიონების კვლავ ტახტზე აყვანა.

მოძრაობის მოთავე იყო ფარნაოზ ბატონიშვილი, ირაკლი მეფის ძე. აჯანყების დროშა აფრიალდა ანანურში. ალექსანდრე ჭავჭავაძე გაიპარა სახლიდან და შეუერთდა მეამბოხეებს. მოძრაობა ჩქარა ჩაანელეს. ფარნაოზ ბატონიშვილი დაამარცხეს და დაატყვევეს. ბატონიშვილთან შეიპყრეს ახალგაზდა ალექსანდრე ჭავჭავაძეც. საქართველოს მთავარმართველ-

მა ციციანოვმა დანიშნა ფარული გამოძიება ამბოხების მოთავეთა აღმოსაჩენად. საქმე გამოარკვიეს. დამნაშავეებს სასჯელი მიუსაჯეს. ალექსანდრე ჭავჭავაძის შესახებ 14 აპრილს 1805 წ. უმაღლესი რესკრიპტი მოუვიდა ციციანოვს შემდეგის შინაარსისა: „შინაგანთ საქმეთა მინისტრმა წარმომიდგინა მე თქვენ მიერ წარმოგზავნილი წერილი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის თავადის გარსევან ჭავჭავაძის შვილის შესახებ, რომელიც შეუერთდა ბატონიშვილს ფარნაოზს და მასთან ერთად

- 18 -

შეპყრობილ იქმნა. მივიღეთ რა მხედველობაში თხოვნა მამისა, წინანდელის ღვაწლით გამოჩენილისა, და დანაშაული მისის შვილისა, ჩადენილი ახალგაზდობით და არა წინასწარ განზრახულის აზრით, კეთილად ვცანით შევზღუდოთ მისი დასჯა სამის წლით ტამბოვს გადასახლებით“. ამ ვადის შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძეს მეორედ უნდა დაეფიცნა რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე და სამსახურში კარგის ყოფა-ქცევით გამოესყიდნა თავისი საქციელი. ამ ბრძანების ძალით, 30 გიორგობისთვის ალექსანდრე ჭავჭავაძე, კამერპაჟი უმაღლესის კარისა, ერთის ოფიცერის და ორის ყაზახის ზედამხედველობით გაიგზავნა ქალაქ გიორგიევიდინ ტამბოვს, სადაც იძულებული იქმნა გადასახლებულიყო აგრედვე მამა მისი გარსევან. ტამბოვში ალექსანდრე ჭავჭავაძე ბევრს ხანს არ დარჩენილა; იმავე 1805 წ., უმაღლესის ბრძანებით მიიღეს პეტერბურგის პაჟების კორპუსში. ოთხის წლის შემდეგ (1809 წ.), იგი პოდპორუჩიკად გამოვიდა ამ სასწავლებლიდან ლეიბგვარდიის ჰუსარების პოლკში. გავიდა ამის შემდეგ კიდევ ორი წელიწადი და 1811 წ. ალექსანდრე დაბრუნდა სამშობლოში პორუჩიკის ჩინით და მთავარმართებლის მარკიზ პაულუჩის ადიუტანტად.

სამშობლოში ალექსანდრე ჭავჭავაძემ გამოიჩინა დიდი ნიჭი, რაიცა დააფასა პაულუჩმა. ახალგაზდა ოფიცერს ბევრჯერ დაავალა რთული და მნიშვნელოვანი საქმე, მაგალითად: 1811 წ. გაიგზავნა ერევანს ცნობების გამოსარკვევად გენერალ ლისანევიჩის ექსპედიციის შესახებ სპარსელთა წინააღმდეგ. 1812 წ. მოლაპარაკება ჰქონდა მუსტაფა შირვანელის ხანთან. ამავე წელს მარტში ჭავჭავაძემ მონაწილეობა მიიღო პაულუჩთან კახეთის ამბოხების დამშვიდებაში და სოფ. ჩუმლაყთან ფეხში დაიჭრა. ამის შემდეგ დასტოვა საქართველო და გადასხლდა რუსეთში, სადაც თავი იჩინა რუსების და ფრანგების ომში 1812 – 1814 წელთა განმავლობაში. ამ დროს კარგად შეისწავლა გერმანული და ფრანგული ენები. იყო გე-

ნერალ ბარკლავი დეტოლის ადიუტანტად პარიზის აღების ჟამს და 1817 წ. პოლკოვნიკად დაბრუნდა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში, რომელიც იდგა კახეთში, ჭავჭავაძეების საგვარეულო მამულში, წინანდლის ახლოს. თავის სოფელში ევროპული ცხოვრება დაიწყო და შეიქმნა შემაერთებელს ხიდად რუსთა და ქართველთა. შორის. 1823 წ. ალექსანდრემ დაანება სამხედრო სამსახურს თავი, დასახლდა ტფილისში და დაინიშნა მთავარმართებელს ერმოლოვთან საგანგებო მოხელედ. 1828 წ. მთავარმართებელმა პასკევიჩმა დანიშნა გენერალ-მაიორის ჩინით უფროსად და კომანდირად სასომხეთის (ერევნის და ნახიჩევანის) ოლქისა. ამ თანამდებობაში ალექსანდრე ჭავჭავაძემ გამოიჩინა ადმინისტრატორული ნიჭი და მოიხვეჭა დიდი სახელი გაბედულის თავდასხმით ბაიაზეთის საფაშოზე, რომელიც დაიჭირა ჯარით აგვისტოში 1828 წ. პასკევიჩმა მიიღო რა ცნობა ამ გამარჯვებისა, დააწერა მოხსენებას: ყოჩად ჭავჭავაძე! და გამოითხოვა ხელმწიფისაგან ანნა პირველის ხარისხის ორდენით მისი დაჯილდოება.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს აფასებდნენ როგორც შესანიშნავს მმართველს და სთვლიდნენ საჭირო კაცად სხვა და სხვა აღელვების დასაწყნარებლად. ამიტომ ისევ პასკევიჩის მოხელედ გადმოიყვანეს და ავალეზდნენ სხვა და სხვა საქმეს. 1829 წ. ჭარელეების მამასახლისეები დაიმორჩილა და აღელვებული თელავის მაზრა, რომელსაც მილიციის მოთხოვნა არ ეჭაშნიკა, დაამშვიდა. 1830 წ. ხევსურთა საჩივრის გამრჩეველის კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა. 1832 წ. მიანდეს ჯარით კახეთის დაცვა, რადგან მოელოდნენ ლეკების ბელადის ჰამზადბეგის თავდასხმას.

1832 წ. გამომჟღავნდა, თავადის იასე ფალავანდიშვილის მოხსენებით, ქართველის თავად-აზნაურების შეთქმულობა, რომლის აზრი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ამ შეთქმულობაში მონაწილეობა დააბრალებს ალექსანდრე ჭავჭავაძესაც, თუმცა იგი ამის შესახებ გამოძიების დროს ცივს

უარს ამბობდა. გამოძიებამ კი დაამტკიცა, რომ იგი ამ საქმეში გაანდო ლუარსაბ ორბელიანმა. გამოირკვა, რომ ალექსანდრემ არ მოისურვა შეთქმულობაში მონაწილეობის მიღება და სხვებსაც აგონებდა წადილის უსაფუძვლობას. თუმცა დანაშაული არ მიუძღოდა, მაინც სასჯელი არ ასცდა, რადგან იცოდა შეთქმულობის განზრახვა, არ გასცა შეთქმულნი და დროზე მთავრობას არ შეატყობინა. მთავარმართებელმა როზენმა

ჭავჭავაძე დამნაშავეთა მესამე რიგში მოაქცია და სამხედრო მინისტრს ჩერნიშოვს სთხოვა მისი ასტრახანში გაგზავნა ან სამართალში მიცემა და შემდეგ, სამსახურის მიხედვით, დანაშაულის პატიება. ასტრახანში გადასახლების მაგიერ, 1833 წ. უმაღლესის ბრძანებით ჭავჭავაძე გაიგზავნა ტამბოვს, სადაც გაგზავნილი იყო 1805 წ., ხოლო ერთის წლის შემდეგ, იმპერატორმა ნიკოლოზმა მიიწვია პეტერბურგს, პატივით მიიღო და დააბრუნა ტფილისში.

საქართველოში ალექსანდრე, დანიშნული მთავარსამმართველოს წევრად, კვლავ გამოჩნდა საზოგადო სარბიელზე. 1838 წ., როცა ჭირიანობა მძვინვარებდა ახალციხის ოლქში, ჭავჭავაძე დანიშნეს იმ კომისიის უფროსად, რომელსაც მიანდეს სენის მოსპობა. 1843 წ. დაინიშნა პოსტის უფროსად და ამავე წელს მისცეს შამილის წინააღმდეგ მომქმედის კახელების მილიციის კომანდირობა.

იგი იყო მხიარული კაცი, დარდი-მანდი, სტუმართ-მოყვარე. საუცხოოდ უკრავდა თარსა და ჩონგურზე, რომელზედაც დამღეროდა თვითონ და მისი ლამაზი ქალები.

ჯერ ისევ ჯან-ღონით სავსე ა. ჭავჭავაძე მოულოდნელად გამოესალმა წუთის სოფელს: მისი ეტლი გაიტაცეს ცხენებმა, ალექსანდრე გადმოვარდა და გონება დაეკარგა. 5 ნოემბერს 1846 წ. იგი გარდაიცვალა და მისი „წმინდა საფლავი“ შეიფარა შუამთის მონასტერმა.

ალექსანდრე ჭავჭავაძე გაიზარდა იმ დროს, როდესაც სპარსეთის მწერლობას ჯერ კიდევ გავლენა არ დაეკარგნა და

ამასთანავე ფეხს რკიდებდა ევროპული განათლება. საფრანგეთის ფილოსოფოსის ვოლტერის ექვიანობა, სკეპტიციზმი და სპარსელების პოეტების გრძნობიერება ერთნაირად შეისისხლხორცა ნიჭიერმა ალექსანდრემ. იმისი ლექსები აქამდის გაიმის სუფრაზე. ვის არ გაუგონია სიცოცხლით სავსე სიმღერა „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“, ვინ არ დამტკბარა იმის ლექსებით „მაისის ვარდმან ფურჩვნილმან " და „ვაი სოფელს“, ვის გულს არ მოხვედრია მისი საოცხოვო სურათებით სავსე „გოქჩის ტბა“.

გარდა ამისა, ალექსანდრემ სახელი მოიხვეჭა, როგორც საუკეთესო ნაწარმოებთა მთარგმნელმა. სთარგმნა რუსულიდან პუშკინის ნაწარმოები, გერმანულით გეტესი, ფრანგულით „ალზირა“ ვოლტერისა, „ფედრა“ რასინისა, „ცინა“ კორნელისა და რამდენიმე ლექსი, სხვათა შორის, ლაფონტენის იგავ-არაკი „ჭირიჭინა და ჯინჭველა“. იმასვე ეკუთნის აქამდის დაუბეჭდავი მოკლე ისტორიული განხილვა საქართვე-

ლოსი და მისი მდგომარეობისა 1801 – 1831 წწ., სადაც აღნიშნულია სხვა და სხვა დროის აღწერების მიზეზნი.

ა. ჭავჭავაძის პოეტურმა ნიჭმა გაიღვიძა საპყრობილეში მწარე დღეების შესმით. პირველად მის ნაწერებს აზის უფრო მე-XVIII საუკ. მგოსნის ბესიკის გავლენის ბეჭედი. ამის მიხედვით ალექსანდრეც ჰბაძავს სპარსულს ლირიკას – საჰადის და ჰაფიზს. დამახასიათებელი ნიშანი მის ლექსებისა არის მგრძნობელობა და მასზე გაფურჩქნილი სიყვარული. ამიტომ ეშყის გამოხატვას იგი არა ერთხელ უბრუნდება, ცდილობს მის ფსიხოლოგიურის ანალიზის გამორკვევას. მგრძნობელობა და სიყვარული მშვენიერების წარმოშობილია. ხას ამბობს:

„ანაზდად ხილვამან მე შენმან, მზეო,
ასე მძლია და წარმტაცა გლახ გული“.

სიყვარული შარბათია, მაგრამ იგი სამსალასაც შეიცავს, სევდით ავსებს გულს, მონობის უღელს ადგამს კისერზე. ტრფიალება მონობაა.

- 22 -

„სიყვარულსა შევეუპყრივარ აწ შენსა,
გეტრფის გული სურვილ-რგული.
ამის ნაცვლად რად მცემ მე სენსა?“

სენი და მონობა თან სდევს სიყვარულს. ბულბულიც ამიტომ დასტირის ვარდს. მგოსანმა კი გამოცდილებით იცის გრძნობის სიმწარე:

„თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ,
ერთ-გზის თქვენცა ტრფიალება
ჩემებრ მწარედ დაგამონებთ...“

მეცა ვიყავ მოქადული, ვიდრე ჩემად მქონდა გული...
მაგრამ ჩემიც სულის ძალა ერთმან წამმან სრულად სცვალა...
მომესია სევდათ გუნდი, შემომერტყა ბნელი ბუნდი;
ჯაჭვი დამდვა მონებისა, კისრად ვილე და დავდუმდი“.
ყველა იმის ლექსებს, რომელთაც იგი უწოდებს „მუხამ-ბაზს“, „გაფს“, „მუსტაზადს“ აზის მგრძნობელობის ბეჭედი, რომლის სათავეს უნდა ვეძიებდეთ უფრო სპარსულს ლირიკაში და ბესიკის გავლენის მოქმედებაში, ვიდრე ევროპულის სანტიმენტალიზმით გატაცებაში. მისი ქნარი თითქოს უზრუნველად, ლაღად დამღერის ღვინოს, დროს გატარებას, ქეიფს, ლხენას იმგვარს ლექსებში, როგორც არის ლექსი „ლოთებო, ნეტავი ჩვენა, ჰარიალალი“, რომელსაც აზავებს წარმტაცის იუმორით და იტყვის:

„ნოემ რა ერთხელ ინება ეურძნის წვენის გემება,
თვითონ ნუნუას მიუჯდა, წყალი პირუტყვთ მიაწება“,
ანუ

„ბერებო, თქვენც მეთანხმებით ღვინის ქებისა ხსენებით, რჯულისთვის მაინც დავლიოთ, მაჰმადის გამოჯავრებით“. ამავე უდარდელს ქეიფს ღვინით, რომელიც სენის წამალიც არის, გაჟკაცობის აღმძვრელიც, ჩააქსოვს მწარე ნაფიქრს-ნაგრძნობს:

„ამა სოფლისა ცხოვრება ვერცხლით არ მოიპოვება: მდიდარნი ბევრნი ყოფილან, ოხრად რჩენიათ ქთნება“.

- 23 -

სწორედ ეს არის აღსანიშნავი თვისება ა. ჭავჭავაძის პოეზიისა: მის ზემთაგონებულს ქმნილებას ყოველთვის ორგვარი კილო ახმოვანებს: ტკბილი ღიღინი და გულმოსაკლავი სევდა. პოეტი ახასიათებს ამ ორმაგობას, შესისხლხორცებულს თავის ლექსში: „მდერად ოხრვა, ლხენად გლოვა მეზადა“.

ოხრვა, ჭმუნვა, სევდა მგრძნობელობის და ტრფიალის „სულთა სულის“ შედეგნი არიან. სატრფიალო საგნის მიახლოვება განმანათლებელი მზის შუქია, ხოლო მისი დაშორება სულთა ხდომია. გონება მგოსნისა სიყვარულის მონაა.

„ძვირფასო საყვარელო, მხოლოდ მფლობო გულისავ, რომელსაცა სხვა მსგავსი არა სად გეპოება, შენ გეტრფი, შენგან ვცოცხლებ, სულო ჩემის სულისავ!.. შენთანა ვარ თუ სხვაგან, მახლობლად თუ შორს ქმნილად, ლხინად, შვებად, განცხრომად შენი ოდენ მაქვს ტრფობა... განვიღვიძებ, ჩემთან ხარ და სიამით ვხედ, რომე გულს შენ უწინ სცემ ნათელს, ვიდრე მზე ქვეყანასა!“
სიყვარული აცისკროვნებს მგოსანს, აღამაღლებს ზეცად, აღმაფრენის ნიჭს ამოქმედებს:

როს გიყვარდი, – მაშინ შენდა სამკობლად
ზეცით მუზნი შთამბერვიდნენ მე ყურსა;
ლექსნი თხზულად მოერთმოდენ უშრომლად
გონებასა შენთვის მოცალეზულსა.

სიყვარულს უეჭველად „ჭმუნვის მახვილიც“ ახლავს. „ჭმუნვა“ პირველს ლექსებში გამოწვეული იყო უბედურის ჩარხის ტრიალით, – ციხეში დატყვევებით და სამშობლოსთან მოშორებით. მიმართავს რა ოცნებას შორს, რუსეთში გადახვეწილი, იგი მოგონებით „დამაშვრალს სულს სიტკბოს განუახლებს“; მოწყვეტილი მოყვასთა, გულამოკვნესით სტირის: „აწ ჰხამს, ვესალმოდე მიწასა, წყალსა, ოხრვით ვაფრქვევდეცა ცრემლს დაუთვალსა“. ამავე დროს მას აკვნესებს საკაცობრიო სევდიანობაც, მოქალაქობრივი გრძნობაც, რომელიც ცოცხლად გამოსთქვა ლექსში „გოგჩის ტბა“. აქ ადამიანის ცხო-

- 24 -

ვრება, დიდება, სახელი არარაობად არის აღსარებული. მშვენიერს გოგჩის ტბას გარს ახვევია „საგლოვო ნიშნი შენობათა, კვლავ ეროვანთა, სად ყვავებულან დიდებულად ქალაქნი ვრცელნი და სად დღეს ვხედავთ ოდენ ბუთა და ნატამალთა“. ამ ნანგრევებში იგი არჩევს „ყოფილის ტაძრის კამარას“, პალატთა და ქალაქთა ნაშთს. ახლა აქ გამეფებულა „უდაბურება, მჩუმარება, არარაობა!“

ა. ჭავჭავაძის კალამს ეკუთნის სამხატვრო კალმით კავკასიის დასურათება ლექსში „კავკასია“.

გრიგოლ ორბელიანი

(1800—1883)

თავადი გრიგოლ ორბელიანი დაიბადა 1800 წ. მამა მასი დიმიტრი (იგივე ზურაბ) სიძე იყო მეფე ირაკლი მეორისა – ცოლად ჰყვანდა ელენე ბატონიშვილის ასული ხორეშანა. ზურაბი ჭკვიანი და ძველებურად საღვთო წერილზე აღზდილი კაცი იყო, ხორეშანა – ღვთის მოყვარე და სათნოიანი ადამიანი, რომლის გავლენა ღრმად ჩააჩნდა გულში გრიგოლს ბავშობიდანვე. წელიწადი, რომელსაც აკუთნებენ გრიგოლის დაბადებას, აქამდის მტკიცედ არ არის გარკვეული. სამხედრო სამსახურის მოწმობით, იგი დაიბადა 1800 წ., ხოლო თანამედროვეთა მოსაზრებით – 1804 წ. დაჭეშმარიტებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ იგი შევიდა სამსახურში 1816 წ. დარჩა უცოლო და ამნაირად თითქოს შეასრულა დედის აღთქმა, რომ შვილი ბერად აღეზარდა, თუ მისი მეუღლე, სპარსეთში ტყვედ წაყვანილი, სამშობლოში დაბრუნდებოდა. გრიგოლ ორბელიანის სიყმაწვილის დღეებმა განვლეს იმ დროს, როცა საქართველოს სამეფოს წესწყობილება ირღვეოდა და მის ნანგრევებზე რუსეთის მთავრობა ფეხ-აკრეფით თავის გამგეობას ამყარებდა. ბატონ-ყმობა შეადგენდა საზოგადოებრივის ცხოვ-

- 25 -

რების საფუძველს, ეკლესია – განათლების წყაროს, მამაკაპური გადმონაცემი – წარსულთან დამაკავშირებელს ხიდს. წერა-კითხვა შეისწავლა ანჩისხატის დეკანოზთან – ალექსი-მესხიშვილთან, იქიდან გადაიყვანეს კეთილშობილთა სასწავლებელში, საიდანაც გადავიდა არტილერიის სკოლაში. სწავლა გაათავა ჯილდოთი. ჩვიდმეტის წლიდან ითვლებოდა იუნკრად. 22 წლი-

სა რომ გახდა, ოფიცრობაც იშოვნა და ჭარის ლეკებთან შეტაკებაში მონაწილეობაც მიიღო. შემდეგ იგი განაგრძობს სამხედრო სამსახორს, – დაესწრობა სპარსეთის ომში (1826 – 1828 წ.) და ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1832 წლის შეთქმულებაში გამოძიებამ გრ. ორბელიანიც სცნო მონაწილედ. 1833 წ. ჩამოიყვანეს ნოვგოროდიდან, სადაც იმ დროს ემსახურებოდა, და დაატუსაღეს. სამისთვის ტუსალობის შემდეგ გაგზავნეს კავკასიის ლინიაზე, რადგან სასამართლომ მეშვიდე ხარისხის დამნაშავედ სცნო, როგორც მხოლოდ თანამგრძობელი შეთქმულთა აზრებისა. აქედან გადაყვანილ იქმნა ვილნოში, შემდეგ რიგაში. 1837 წ. რიგიდან იგი გადმოიყვანეს კავკასიაში „გრუზინსკი პოლკში“ და აქედან იწყება ახალი ხანა მის ცხოვრებაში. იგი იღებს მონაწილეობას შამილთან ომში, დაინიშნება დაღესტნის უფროსად, შემდეგ ბრიგადის კომანდირად და კასპიის ზღვის პირად დაყენებულის ჯარების უფროსად. როცა შამილი წინანდალს დაეცა და დავით ჭავჭავაძის სახლობა ტყვედ წაიყვანა, გრიგოლ ორბელიანი თემირხანშურის მმართველად იყო. მან გამართა შამილთან მიწერ-მოწერა და 40,000 მანეთად დაიხსნა თავისი ნათესავობა ტყვეობიდან. 1857 წ. გენერალადიუტანტობა მიიღო. ერთი წლის შემდეგ დაინიშნა მეფის ნაცვლის საბჭოს თავმჯდომარედ. ბარიათინსკის შემდეგ იგი 1861 და 1862 წწ. მთავარმართველის თანამდებობას ასრულებდა. გარდაიცვალა 21 მარტს 1883 წ.

გრ. ორბელიანის ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანი არის „სადღეგრძელო“, რომელიც დასწერა 1827 წ. ამ თხზულებ-

– 26 –

ბაში პოეტმა დაგვისურათა სევდიანის აღტაცებით სამშობლოს ისტორიულნი გმირნი და ბრწყინვალე სევდით შემოსა ძმობის და სიყვარულის ამამაღლებელი სპეტაკი გრძნობა. იგი სამგლოვიარო კილოს აყურებს, როცა თავის ქნარის სიმებს სამშობლოსთვის აჟღერებს.

ჰე, მამულო სასურველთ, ვინ გახსენოს, რომ მის გული არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი?

მისი გული სძგერს უფრო წარსულის მოგონებით და ბუნების სიდიადით, ვიდრე მომავალის სვე-ბედის წარმოდგენით. საცა უნდა იყოს და რა გაჭირებაც უნდა დაატყდეს, იგი არ ივიწყებს წინაპართა ღვაწლს, სამშობლოს სიყვარულს, ბუნების მშვენიერებას.

ოცდაათს წელიწადს გადაცილებული იყო, როცა მან დასწერა „გამოსალმება“, სადაც ჭმუნვით აღსავსე პოეტი დაუპირდაპირებს ბუნების სურათს კაცის გულისცემას, ჰპოვებს

მათ შორის თანაგრძნობას და მსგავსებას. იგი იწყებს საუცხოვო შედარებით:

ვითა ცის ნამი დილითა ჰბრწყინვალეებს ახლად შლილს ვარდზე,
მარგალიტ-ცრემლი ცრემლსა ჰსდევს ნიშნად ჭმუნვისა შენთ ღაწვთზე...
სატრფოვ! გშორდები და სიტყვა ვერ მიპოვია სათქმელად,
ანუ შენთ ცრემლთა საშრობლად, ანუ ჩემ სანუგეშებლად!
ლექსი „გამოსალმება“ ჰმოწმობს, რომ პოეტი, მიმავალი რუსეთისკენ, სადაც გაიგზავნა 1831 წ. სამსახურის გამო, რომანტიულის გრძნობით არის შეპყრობილი, დამონავებული. ამავე გულის დელვამ ორის წლით ადრე დააწერინა მუხამბაზი „ნუ მასმევ ღვინოს – უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ემხით“ და მოუსპო ის ცხოვრების უდარდო სიხარული, რომლითაც აღბეჭდილია მისი პირველი (1827 წ.) ლექსი „ანტონს“: „ჰე ჭაბუკო, სიხარულით დღენი შენნი განატარე, იმხიარულე, შეექეც, ილხინე და შეიყვარე“. ჭმუნვარების კილო მოიცვამს მთლად მის არსებას 1832 წლიდან, რომანტიული ოცნება გამეფდება მის ნაწერებში, გონება-გრძნობა მისი და-

- 27 -

სტრიალებს ძველს „ივერიას“, „ლომ-გულთა გმირთა“, „ცას მშვენიერსა, ცას მშობლიურსა“. რუსეთის მიყრუებულს ქალაქს ნოვგოროდში იგი სწერს ლექსს „იარალის“, სადაც ჯერ აღტაცებით იხსენიებს „მძველებურს, ჩვენებურს ღვინოს“ და შემდეგ დაუმატებს:

დავნატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე თვისსა მამულსა შესწირა
მსხვერპლად,
დავხატრი დროთა, როს აქვნდათ, ტრფობა მამულისადმი გულს
აღბეჭდილად...

სწორედ ამ ლექსით (1832 წ.) იწყება ჩვენში პატრიოტული ლირიკა, მამულისადმი სატრფიალო მგოსნობა. თვით პოეტის ბედის ჩარხისთვის ამ ლექსს სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. იმ დროს, როდესაც ეს ლექსი დაიწერა (1832 წ.), ტფილისში დაიჭირეს იმ საიდუმლო საზოგადოების წევრნი, რომელთაც განიძრახეს საქართველოს პოლიტიკური აღდგენა.

ამ საქმის გამოძიების დროს ეჭვი მიიტანეს გრიგოლ ორბელიანზედაც. ნოვგოროდში, სადაც ორბელიანი მსახურებდა მაშინ, გაჩხრიკეს მისი სადგური, ჩამოართვეს ჩვენება, იცნობდა თუ არა შეთქმულებს და როცა დარწმუნდნენ, რომ იგი არის დამწერი პატრიოტულის ლექსის „იარალის“ და მთარგმნელი დეკაბრისტის რუსის პოეტის რილევის „ნალივაიკოს აღსარებისა“, ჩამოიყვანეს ტფილისს და დაატუსაღეს.

„ნალივაიკოს აღსარებას“ იგივე დედა აზრი აშუქებს, რაც „იარალშია“ გატარებული – მამულისათვის თავის გან-

წირვა. ნალივაიკო იბრძვის მალოროსიელთ ყაზახთა განთავისუფლებისთვის პოლონელთა (ლიახთა) ბატონობისგან. კიევის მონასტერში იგი გაენდობა ბერს და გულახდილად განუზიარებს, რომ სისხლის ღვრა თუმცა დაამძიმებს მის სულს, მაინც ტვირთულობს ამ საქმეს, რათა სამშობლოს მოუპოვოს თავისუფლება. „ იარალმა“ და „ნალივაიკოს აღსარებამ“, პოლიტიკურის შინაარსით დაკავშირებულებმა, გადასწყვიტეს გრ. ორბელიანის სვე-ბედი. იგი იცნეს შეთქმულთა თანამგრძობე-

- 28 -

ლად და მოაქციეს დამნაშავეთა მეშვიდე ჯგუფში. მწარე „ოხვრანი“ და ჭმუნვარება, რომელთაც მოიცვეს პოეტის არსება „გულისა სიღრმით“, როცა იგი ჩაამწყვდიეს „ზღუდეთა შორის“, მოიგონა მან შორს, რიგაში, 1835 წ. და უძღვნა მათი აღწერა ლექსად თავის დას ეფემიას.

უცებ გრიგალმა უბედობის დამქროლა ესრეთ, რომ ცა მომფენი ჩემდა ნათლისა, ჰფარა ღრუბელთ ქვეშ, სიტკბოს ფიალი წარიტაცეს მის წყეულთა ფრთეთ და დამცა უფსკრულს ვაებისას, უმწედ, უნუგეშ. საპყროში – „ზღუდეთა შორის“, სადაც არ ბრწყინავდა დილის ცისკარი, დღე იყო უნათლო და ღამე უვარსკვლავო, სიცოცხლე ისე მობეზრდა პოეტს, რომ სიკვდილს ნატრობდა, „ვით ცის ნუგეშსა“. ღრმად ჩაიბეჭდა მის სახეზე უბედური კვალი: „არღა აჰყვავდეს გული ჩემი ორგზის ამ სოფლად, მახვილი გულით ვერ აღჰგლიჯონ შემდეგ სიხარულთ“. მხოლოდ მოგონება საყვარელის დის და „წარსულთა დღეთა“ ამხნევებდა, როგორც „ამვენებს სიტურფითა ვარდი სამარეს“. უიმედო, სასოება-მიხდილი იქამდის, რომ სოფლის სიმუხთლე ათქმევინებს: „ხვალე არღა მრწამს, ვით ღამეში მაცთური სხივი“, უდროოდ დაბერებული პოეტი გამოვიდა საპყრობილიდან და, თუმცა იხილა „მდინარე იგი, იგივ მთანი, ნიავ-მომფენნი, წალკოტნი, ველნი, უწინდელეზრცა ნათლოვანი“, მაინც გული მისი ცხოვრებით აღარ სტკბებდა. დარჩა ნუგეშად და სასიხრულოდ მხოლოდ საყვარელი და ეფემია, რომელსაც მიჰმართავს სიტყვებით: „დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ და განმასვენე კვეთებათგან ბოროტ ხვედრისა“.

გრიგოლ ორბელიანის ლექსებში ჩაწნულია, როგორც დამწერის კერძო ცხოვრების ჩარხის ტრიალი, აგრედვე საზოგადოებრივის ცხოვრების მიმდინარეობა. ახალგაზდობაში პოეტი დამღერის უფრო თავის გულისცემას რომანტიულის ფერადებით შეზავებულს, შემდეგს ნაწარმოებში კი სჭარბობს

საერთო პატრიოტული მიდრეკილება. წვრილი ლექსები, როგორც „საამო არს სახილველად, ოდეს ვარდი ნინას ეპყრას, მაგრამ ვინ ჰსცნას ვინა სუნავს: ნინა ვარდს თუ ვარდი ნინას“, გვაგონებენ ალექსანდრე ჭავჭავაძის და ბესიკის მანერას. ამგვარივეა მისი მუხამბაზები, უდარდელი და სააშკო ნაწერები: „დიმიტრი ონ – ის დარდები“, „სავათნავას მიზამვა“ და სხვა. პოეტი აქ დამღერის სიყვარულს, ღვინოს („სულით ერთნო, მოლხინენო, აწ შეკრბით, ყანწით, აზარფემებით“), დროს გატარებას, მხიარულებას („დიპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ“), პირველს ნაწერებში ცოტა მძიმე ენით და უკანასკნელ ხანებში – მახვილის, მოსწრებულის სიტყვით. მუხამბაზი „ნუ მასმევ ღვინოს – უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით, თვარა მიმუხთლებს და წარმოსთქვამს ენა ყოველსა...“ შორს არის იმ საუცხოვო სიმარტივისაგან, რომლითაც ალბეჰდილია მუხამბაზი „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ, თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ“. ამავე მოსწრებულის კილოთია დაწერილი მუხამბაზი „არავისთვის მე დღეს არა მცალიან, სალომესთან სადილად მეძახიან“. აქამდის ეს ლექსი სუფრულს სიმღერად არის დარჩენილი. გრ. ორბელიანის სატრფიალო ლექსები შესანიშნავია ერთის თავისებურის თვისებით, რომელიც განსაკუთრებით რომანტიულს ბეჭედს ასვამს მის ნაწერებს. როგორც მიმდევარი რომანტიულის მოძღვრებისა, პოეტი ჰქადაგებს სათნოებას, მოთმინებას და სოფლის სიმუხთლის შეწყნარებას. როგორც რუსი პოეტი ჟუკოვსკი, იგი ტან ჯვას და სიყვარულს აერთებს, აკავშირებს.

ტანჯვა არს მზრდელი ტრფობისა, დამბერველ ეშხის ცეცხლისა,
ტანჯვა არს ვალი და მსხვერპლი უზომო სიყვარულისა,
ამბობს ნ...სთვის მიძღვნილს ლექსში (1835 წ.).

მის შემოქმედებითს ნიჰს მეტადრე ის შუქი აბრწყინვებს, რომელიც ქვეყნიურს გრძნობას გარდაქმნის ზეციურს მისწრაფებად, მშვენიერების იდეალად, უზადო მსხვერპლად. სა-

უცხოვოდ აქვს ეს გამაკეთილშობილებელი გრძნობა ჩართული ლექსში „საღამო გამოსალმებისა“. თვალ-წარმტაცი სურათია ის საღამო, როდესაც პოეტი ეთხოვება თავის სატრფოს. მას გაატანს „სულს“, „გულის ოხვრას“, „მოსვენებას“.

მშვიდობით! ვინცა დამატკბე სიცოცხლის ნეტარებითა,
აწ ვისთვის გული მიკვნესის, სული სწუხს განშორებითა.
დამწვარი განშორებით პოეტი გააყოლებს „სატრფოს“ თა-

ვის ლოცვა-კურთხევას, დამშვიდებულის ცხოვრობის მოპოების სურვილს: „მშვიდობით! შენს გულს ნუ ჰშორდეს მშვიდობა“.

სიყვარულის შექებას და მის თვისების გამორკვევას პოეტი უძღვნის რამდენსამე ლექსს და ყველგან იმ აზრს ადგია, რომ სატრფო ერთსა და იმავე დროს ტანჯვის და სასოების აღმძვრელი უნდა იყოს. ეს ორი გრძნობა ანიჭებს კაცს უსაზღვრო ნეტარებას და ამალღებს მის კაცურს ბუნებას.

უფრო მეტი სამსახური გაუწია გრ. ორბელიანმა ჩვენს მწერლობას მით, რომ ბუნების მხრით აღძრული შთაბეჭდილება შემოსა სულის მოძრაობის ბეჭედით, დაახლოვა იგინი და დაამკვიდრა მხატვრობითი დასურათება ჩვენის კეკლუცის ქვეყნისა. საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე ნაწყვეტი დასამტკიცებლად იმ შეუდარებელის ტალანტისა, რომელიც გამოიჩინა გრიგოლ ორბელიანმა ბუნების აღწერაში წარმტაცის შედარებით და ეპითეტებით. აგილოთ ლექსი „სადამო გამოსალმებისა“:

„მზე ჩაესვენა: მის შუქი გამოსალმის ჟამს კავკაზსა,
თავსა ეხვევა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა!
ბუმბერაზ მთანი, მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი,
ჰსხედან ვით დევნი, სპეტაკის ყინულ-გვირგვინით შემკულნი“.

კლდოვანი გვერდები შებურულან შავის ღრუბლებით, რომელნიც ქვეყანას მრისხანებით ემუქრებიან. „წყალნი, მთით დაქანებულნი, აღმასებრ უფსკრულს ჰსცვივიან; თერგი ჰრბის, თერგი ჰღრიალიებს, კლდენი ბანს ეუბნებიან“. უფრო ძლიერის სიდიადით და მრავალ-ფეროვანის კალმით დაგვიხატა ბუ-

- 31 -

ნების სურათები თავის საუკეთესო ნაწერში „სადღუგრძელო ანუ ომის შემდგომ ღამე ლხინი, ერევნის სიახლოვეს“. პოეტი-რომანტიკოსი ჰქარგავს შემოღამების ჟამს დამყარებულს სიმშვიდეს, მიჰმართავს მთვარეს, ამ საიდუმლოებით მოცულს შუამდგომელს აქაურს და იქაურს ცხოვრებათა შორის და იტყვის: „აჰა, მთოვარეც ნელიად შუქსა, ვითა ნუგეშსა, მოგვფენს საშვებლად“. ამავე რომანტიკოსის მიდრეკილებითაა აღნიშნული ვარსკვლავთა მოწოდება და მათი ჩართვა კაცის ბედის წერის მიმოსვლაში. შევხარით „ღამით ვარსკვლოვანს ფირუზსა, მთოვარით განათებულსა, სიცოცხლის მომფენს ჰაერსა, სუნნელებრ შეზავებულსა“. დიდებულად არის აღწერილი განთიადი, როცა ილევა ბინდი ღამისა და ვარსკვლავნი ცაში ჰქრებიან.

„ცისგარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შეჰღება;
ცას სიხარული მოჰფინა და ქვეყანასა შევენება!
აენთენ ცეცხლის ალებრივ შორს განბნეულნი ღრუბელნი

ცა მშვენიერობს, ნათლდება, მასა შევნატრით მხილველნი“.

ამ საუცხოვო განთიადს, როდესაც მოჰქრის დილის ნი-
ავიც და ათასის ხმით მას მიეგებებიან ფრინველნი, პოეტი გა-
იმსჭვალება ღვთისადმი მოწიწებით და ქვეყნისადმი ძმურის სი-
ყვარულით. ძმას ვერ შეუგნია, როგორ არის შესაძლო შური და
მტრობა, უკვირს: „ამ მშვენიერსა დილასა კაცს რად ჰსურს
სისხლი კაცისა?!“ პოეტი სარგებლობს ბუნების სურათებით
თავის კაცთმოყვარეობის შეხედულების გასამტკიცებლად. მას
ასულდგმულებს და აფრთოვანებს ერთისა და იმავე აზრის კა-
ცის გულში ჩანერგვა, მის მისწრაფებას შეადგენს დამყარდეს
სოფლად ძმობა და სიყვარული, მამულის ერთგულება, ნიჭის
თავყანისცემა, დაჩაგრულთა შეწყნარება. იგი გვამცნობს, რომ
სიყვარულის „შუქი აღგვამაღლებს“, სულით გაგვანათლებს
დღა ღმერთს დაგვამსგავსებს: „უსიყვარულოდ სასუფეველი,
ვით საპყრობილე ჩემთვის შეიქმნეს“. საქართველოს ბუნება
პირველად იმის დალოცვილის კალმით ხელოვნურის ფერეადებით

- 32 -

აიწერა. იმავე „სადღეგრძელოში“, სადაც „სასურველს მა-
მულს“ აღტაცებულის სიხარულით მიეგებება და შეაქებს სა-
ქართველოს „ერს გულადს, პურადს, მებრძოლს შავის ბე-
დისა“, იგი უძღვნის რამდენსამე ტაეპს მის გარეშე ბუნებასაც:
სად მთანი ყინვის გვირგვინით არიან ცამდე ასულნი
და მდინარენი ზახილით ზვირთის ზვირთებზე მსროლელნი,
უფსკრულნი – ჩაბნელებულნი, კლდენი – თვალგადუწვდენელნი,
სად მონადირე სდევს ჯიხვსა და მის ქვეშ ჰვლენან ღრუბელნი.

ადგილ-ადგილ რიტორულად დაწერილი „სადღეგრძე-
ლო“¹⁾ საუცხოვო ნიმუშია რომანტიულის მიმართულებისა.
აქ განხილულია „ძველნი საუკუნენი“, ქველობა და მხნეობა
საქართველოს მეფეთა ერთმთავრობის დამამყარებელის ფარ-
ნაოზიდგან და ქრისტეს ნათელით განმანათლებელის მირია-
ნიდან დაწყებული ვიდრე თვით „ქალაქთა აღმომცენებელს“,
ჯვაროსანს თამარსა და ქეთევანს, სჯულმდებელს ვახტანგს და
გმირს ერეკლემდე. აქვე დასურათებულს ბუნების აღწერაში
ჩაწულია თავგანწირულებამდე აღზნებული გრძნობა მამუ-
ლისადმი და სურვილი კეთილის საქმით აღიბეჭდოს კაცის სი-
ცოცხლე. აქვე რომანტიულად შეზავებულია სატრფოსადმი
სიყვარულის შესხმა და განმტკიცებული რწმენა, რომ სი-
კვდილის შემდეგაც სულს სიყვარული თან წარჰყვება.

შემდეგ, ილ. ჭავჭავაძის სალიტერატურო მიმართულების
ზედგავლენით, გრიგოლ ორბელიანმა დასწერა პატრიოტული
ლექსი (1877 წ.) „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“
და „მუშა ბოქულაძე“ – მსგავსად ილიას „მუშისა“.

გრიგოლ ორბელიანს აქვს ნათარგმნი რუსულიდან კრილოვის რამდენიმე იგავ-არაკი და პუშკინის, ლერმონტოვის, რილეევის და ჟუკოვსკის თითო ოროლა ლექსი.

1) ამ პოემას ამჩნევია ვ. ჟუკოვსკის პატრიოტულ-რომანტიულის ლექსის გავლენა (Пѣвецъ во станѣхъ русскихъ воиновъ). თვით ჟუკოვსკი ჰზადავს ინგლისელს პოეტს გრეის, რომელმაც დასწერა ლექსი „მგოსანი“ (The Bard).

- 33 -

თავადი ალექსანდრე ორბელიანი

(1801 – 1869)

თავადი ალექსანდრე ორბელიანიც იმ წრეს ეკუთვნის, რომელმაც 1830 წლებში განიზრახა საქართველოს განთავისუფლება. იგი იყო ძე თეკლე ბატონიშვილისა, ირაკლი მეორის შვილისა, და ვახტანგ ორბელიანისა. დაამთავრა რა სწავლა ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, შევიდა სამხედრო სკოლაში (პეტერბურგში) და 1828 წ. დაბრინდა საქართველოში „სამხედრო თანამდებობით“. 1830 წ. არჩეულ იქნა აღმასრულებელის ეკსპედიციის მრჩეველად (სოვეტნიკად). შეთქმულობაში მონაწილეობისათვის გაგზავნილ იქნა ორენბურგს და ჩარიცხულ სამხედრო სამსახურში. 1841 წ. გადმოიყვანეს საქართველოში... იგი იყო ქართველთათვის გულშემატკივარი მწიგნობარი და განათლების მომხრე. როცა 1852 წ. დაარსდა ჟურნალი „ცისკარი“, გიორგი ერისთავის რედაქტორობით, ალექსანდრე ორბელიანმა იმაში მიიღო მხურვალე მონაწილეობა და ნივთიერად თუ წერილებით თანამშრომლობა არ მოაკლო. 1869 წ. ჟურნალს „მნათობშიც“ დაიბეჭდა ორი წერილი „ასპინძის ომი“ და „ჩვენი ძველი სახლელუობანი“. მისი ნაწერები ცალკე წიგნად გამოსცა ზ. ჭიჭინაძემ (ტფ. 1879). მის ნაწერთა შორის მოიპოვება სამი ლექსი: „ეპიტაფია საქართველოს მეფის ირაკლის მეორისადმი“, „საქართველოს გაზაფხული“ და „კავკაზიის მთები მაშუკის მთიდან“. პირველი ლექსი მით არის საყურადღებო, რომ ავტორი მიიწვევს ინგლისის პოეტს, „დიდს ლორდს ბაირონს“, რომ ამან ზეცის მგოსნებთან ერთად „ჩანგით დამღეროს მეფის საფლავზე“. მეფე ერეკლეს „დეკტორს“ ადარებს. მის სიტყვით, ნადირ-შაჰს „ვალი ირაკლი შვილად“ უყვარდა, ქართველნი მას „ემსხვერპლებოდნენ“, მის სახელს ყველგან „ცამდის აქებდენ“. ათავებს ლექსს ლეგენდარულის თქმულობით ქართველთა ბაგრატიდების ჩამომავლობაზე დავით წინასწარმეტყველის შტოდან: „გარნა დავითი შენ დიდ-სულობას დახმობდა ქნარსა სიხარულის ხმით“.

უფრო მარტივის ენით დაწერილია „საქართველოს გაზაფხული“, სადაც სამშობლოს ბუნება ფერადოვნად დასურათებულია:

„ნიმფნი რხევითა სეირობენ...

ყვავილს სწყვეტენ, ნაზად სტროფობენ...
კარგნი ჩიტნი ჭიკჭიკობენ...
მუზნი ეთერთ ცეცხლს ისვრიან...

- 34 -

ცა, ქვეყანა, სულიერი გაზაფხულსა შეეხარვის,
ამ დროს რომე კაციც-ბერი მოკვდეს, ვფიცავ, ცოდო არის“.
საყურადღებოა აქ ნახმარი ¹⁾ ცრუ კლასიკოსთა წაბაძვით სახელე-
ბი: ნიმფნი, მუზნი, ეფირი. სუსტად გეჩვენებათ დასურათება კავკასიის
მთებისა მესამე მის ლექსში, თუ მოიგონებთ, დიდებულს აღწერას გრი-
გოლ ორბელიანის „სადღეგრძელოში“. იგი ამბობს:

დღეს დილით, ამ გაკამკამებულს, ცის მოლაჟვარდულობაში,
დავინახავ იქით შორსა, იმ ჰაერობაში
კავკაზიის ბორცვთ მოკიდურთა, თავის ქედებით,
თავის დახავსებულის თეთრის წვერებით.

ლექსი გარეგანის ფორმითაც არ ეთანხმება ქართულს ვერსიფიკა-
ციას: აქ არეულია 9, 10, 11, 13, 14, 16 და 17 მარცვლოვანი სტრი-
ქონები. ამასთანავე მხატვრობითს ელფერს მოკლებულია, რითმა მდარეა,
თვით აზრი პროზის თხზულებას უფრო შეეფერება:

ახ! ჩემო საყვარელო კავკაზო!
არა წადილით საყვარელო,
არამედ ძლიერის ვნებით სასურველო!..

კავკაზო მშვენიერო და კავკაზო განსაცვიფრებელო!

მეტი ღვაწლი მიუძღვის ალექსანდრე ორბელიანს, როგორც დრა-
მატურგს. აღსანიშნავია ის ღირსება, რომელიც მის დრამებს აქამდისაც
არ დაჰკარგვიათ. მან პირველად დრამების სიუჟეტად აიღო საქართვე-
ლოს თავგადასავალი და ისტორიული ამბავი, თუმცა დრამატიულს ტე-
ხნიკას ვერ დასძლია და ხელოვნურად ვერ შეჰქმნა ისტორიული „ტი-
პები“. მან დასწერა „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო ანუ თავ-
დადება ქართველთა“, პირველად დაბეჭდილი ჟურნალს „ცისკარში“.
უფრო საყურადღებოა ოთხმოქმედებიანი დრამა „მეფე დავით აღმაშენებელი
ანუ საქართველოს უკანასკნელი ჟამი“. ამ დრამაში, რომლის სცენაზე და-

¹⁾ უცხო სიტყვების შემოტანა ქართულს ენაში ხელს არ უშლის
ა. ორბელიანს ამავე დროს შეეცადოს, თუმცა უნაყოფოდ, გადმოაქარ-
თულოს მიღებული და შეთვისებული ტერმინები. იგი ურჩევს „ჟურნა-
ლის“ მაგიერ შემოღებას „სიტყვების ტომარისას“. ეს ნეოლოგიზმი არ
შერჩა ჩვენს მწერლობას, როგორც ირ. ლორთქიფანიძის მიერ წამოყენე-
ბული სიტყვა „ოქმი“ ჟურნალის მაგიერ და „მეტყველება“ ლიტერა-
ტურის მაგიერ.

- 35 -

დგმის იმედიც ჰქონდა ავტორს, გადახლართულია საქართველოს არაბ-
თაგან განთავისუფლების გარემოებანი დავით აღმაშენებლის დროს და
1832 წ. „ფარული საზოგადოების“ საქმე. გამოყვანილია ბერი სერა-

ფიქრით, რომლის სურათი გადმოღებულა უკვე მოხსენებულის ფილადელფოს ბერისაგან. მესამე მის დრამატიულს ნაწერს შინაარსად გაუხდია ქართველთა ცხოვრება მე-XIX საუკუნის დროს და ეწოდება სახელად „ახალი დროის გმირები“. ეს თხზულება არ ყოფილა დაბეჭდილი.

ეთნოგრაფიული მნიშვნელობა აქვს მის დაკვირვებას ესკიზში: „ივერიანელების გალობა, სიმღერა და ლილინი“.

ალექსანდრე ორბელიანი საერთოდ ეტანებოდა საქართველოს ისტორიის შესაწავლას და მკითხველთათვის თავის გამოკვლევის გაზიარებას. უმეტესი ყურადღება მიაქცია ირაკლი მეორის მეფობას. ამ მეფის წინაშე ქედს იხრიდა თეკლე ბატონიშვილის ძე და აცისკროვნებდა პაპის დიდებულს მოღვაწეობას. ირაკლი მეფის სახელთან დაკავშირებულია შემდეგი მისი ნაწერები: „მეფის ირაკლის II-ის ისტორიაზე“, „ასპინდის ომი“, „შეთქმა მეფის ირაკლის მეორეზე“ და გარჩვა რჩეულოვის მოთხრობისა „ქვრივის ლიმონები“. ისტორიას და ისტორიულს დრამებს ალექსანდრე ორბელიანის ნაწერებში ერთი საერთო ნაკლულევანება აქვთ. იგი წარსულში ხედავს ქართველთა ცხოვრების ბრწყინვალე ხანას, იდეალიზაციით აშუქებს ყოველსავე, რასაც ძველი სუნი მოსდევს და ჭეშმარიტებას კი ღალატობს, როცა წარსულის ბნელს მხარეებს ყურადღებას არ აქცევს ანუ ხელს აფარებს. წერილში „უწინდელი დროის ბატონყმობა საქართველოში“ წარმოდგენილი აქვს ეს წესწყობილება პატრიარქალურად, მამაშვილურს განწყობილებად მზრუნველთ ბატონთ და ერთგულ ყმათა შორის. წერილში „ქართველების ძველი დრო“ აღნიშნავს ჩვენს ერში სამს ძალას: სარწმუნოებას, მამულის სიყვარულს და წარსულს დიდებას. ამან დაიცვა საქართველო მტერთა განადგურებისაგან. ავტორს ავიწყდება შუღლი და მტრობა მეფეთა და ფეოდალთა შორის, რომლის წყალობით საქართველო მრავალჯერ განადგურდა. ამგვარს წერილებში, როგორცაა სტატია „ორბელიანთა ამბავი“, სადაც მოთხრობილია ორბელიანთა მომდინარეობა ჩინეთიდან, ალექსანდრე ორბელიანი მეტს პატრიოტულს გრძნობას და პუბლიცისტურს ნიჭს იჩენს, ვიდრე სამეცნიერო მიუდგომლობას და ჭეშმარიტებისადმი მისწრაფებას.

- 36 -

ნიკოლოზ ბარათაშვილი

(1816 –1845)

ნიკოლოზ ბარათაშვილი, შინაურობაში ტატოდ წოდებული, დაიბადა 22 ნოემბერს 1816 წ. მის მამა მელიტონ ბარათაშვილი, ბუნებით მკაცრი და ფიცხი, ტფილისის თავადაზნაურთა წინამძღოლად იყო. მთელი თავისი საცხოვრებელი მან ხელგამლილობით გაფლანგა. პოეტის დედა, ეფემია, გრიგოლ ორბელიანის დაი, გულკეთილი, მშვიდი და წყნარი ადამიანი იყო. ტატომ ჯერ დედის ხელმძღვანელობით ისწავლა

ქართული წერა-კითხვა, შემდეგ მიაბარეს კალოუზნის სამრევლო სასწავლებელში, სადაც შეითვისა საღვთო წერილის ენა, შემდეგ ისე ხელოვნურად ჩაქსოვილი მის ნაწერებში. თერთმეტის წლისა მიაბარეს კეთილშობილთა სასწავლებელში (შემდეგ გიმნაზია), სადაც კურსი გაათავა 1835. წ. გიმნაზიაში სამაგალითოდ სწავლობდა ოხუნჯი და ცელქი ტატო. სიანცის გამო 1832 წ. იგი გადმოვარდა კიბიდან და ორივე ფეხი დაიშავა. სიკოჭლემ შეუკრა სამხედრო სამსახურში შესვლის გზა და ქონებითის ხელმოკლეობის გამო სწავლის გაგრძელებაც უნივერსიტეტში ვერ მოუხდა. ბარათაშვილი იძულებული შეიქნა შესულიყო სამოქალაქო სამსახურში, რომელიც მას სრულიად არ იზიდავდა, როგორც თითონ სწერს საყვარელს ძიას გრიგოლ ორბელიანს 1837 წ. ცხრა წელიწადი სინიდიისიერად იმსახურა უზენაესის საქართველოს მართველობის სამოსამართლო განყოფილებაში, მაგრამ სტოლის უფროსობას ვერ გასცილდა. გარდაცვალების წინა წელიწადს დანიშნეს მაზრის უფროსის თანაშემწედ ნახიჩევანში და აქედან გადიყვანეს განჯაში, სადაც 1845 წ. 9 ღვინობისთვის გადაიცივალა 29 წლისა. დროებით იგი დასაფლავებულ იქმნა განჯაში და მხოლოდ 1893 წ. ნაშთი მისი გადმოასვენ-

- 37 -

ნეს ტფილისს და აქ მიაბარეს დიდუბის სასაფლაოსს, საიდანაც იგი გაჰყურებს თავის საყვარელს მთაწმინდას.

ბარათაშვილის უდროოდ გარდაცვალებამ დიდი მწუხარება მიაყენა მის ნათესავ-მეგობრებს, რასაც მოწმობს მის სკოლის ამხანაგის ლევან მელიქიშვილის წერილი, მიწერილი გრ. ორბელიანთან 19 იანვარს 1846 წ.: „სამძიმოა დაკარგვა კაცისა, რომელიც თავისის გამთბარის სულით და გულით გვაზავებდა ადამიანებთან, ამ უძლურს და ბოროტს ქმნილებებთან... მარტო მე არ დამიკარგავს ეს დასაკარგი, საქართველომ დაჰკარგა იმაში კაცი, რომელსაც იგი უყვარდა მთელის პიეტურის გულით და რომელიც ამ სიყვარულს ყველა თავის მოვალეობაზე მაღლა აყენებდა... მშობლებმა დაჰკარგეს თავიანთ მოხუცებულობის და მთელის ოჯახის ბურჯი“. უფერულს და უსაგნო დროს შეხვდა ნ. ბარათაშვილს ცხოვრების და მოღვაწეობის გავლა. ნიჭით აღბეჭდილი პოეტი, ოცნებით სავსე ოცის წლის ყმაწვილი, იძულებული იყო დასჯერებოდა უბრალო მოხელეობას იმ პირთა შორის, რომელთა გავლენა საზარელად მიაჩნდა ზნეობითის განვითარებისთვის, ანუ როგორც თითონ სწერს „ძიას“: *кругъ чиновниковъ не выгоденъ для образованія нравственности*. უნებლიედ დაემორჩილა იგი თავის „მკაცრს ბედს“, მაინც სიფხიზლე წაიმ-

მღვარა წინ, „სიზარმაცე“ განდევნა და „სოფლის ბრუნვას-
თან შებმა“ არ იუკადრისა. ჯარის-კაცობის მოტრფიალე
გახდა სამოქალაქო ჩინოვნიკი; ძვირფასი დრო, რომელიც
ახალგაზდა კაცმა თავის განვითარებას უნდა მოახმაროს, მას
შეაწირვინეს კანცელარიის ქაღალდების წარმოებას. არც თა-
ნამოსამსახურენი, არც საზოგადო ცხოვრება არ აძლევდა გო-
ნებრივს საზრდოს მის სულიერს მისწრაფებას. მაშინ საქარ-
თველოში არ არსებობდა არც გაზეთი, არც თეატრი, არც
საზოგადო დაწესებულება, ან რაიმე შინაარსიანი გასართობი.
ნაცნობ-ნათესავნი იკრიბებოდნენ სადილ-ვახშმად, დროების
გასატარებლად, ჭორების და ძველის ამბების გასაზიარებლად.

- 38 -

ჩვენი მგოსანიც ჩაითრიეს ამგვარს დროს ტარებაში, მისი ინ-
ტერესები შეზღუდეს, ფართო განვითარების გზა შეუკრეს.
ბუნებითმა ნიჭმა და გულის შეუშრეტელმა ცემამ აღამაღლა
იგი თანამედროვე საზოგადოებაზე, განაშორა წვრიმალს ან-
გარიშს და ჩაუსახა „მწირს“ და „მაშვრალს“ ჭეშმარიტების
და იდეალის მოპოების მისწრაფება.

უამხანაგო და უსინათლო ცხოვრება უწამლავდა მთელს
არსებას, სიმწარემ და დაჩაგრულმა მარტოობამ დაისადგურა
მის მგრძნობიარე გულში. თავის ოცნებას და სევდას ანდობს
იგი მხოლოდ ერთს-ორს დაახლოებულს ნათესავ-მეგობარს და
აფრქვევს მარგალიტივით აწყობილს ლექსად. ლექსების წერა
დაიწყო გიმნაზიაში ყოფნის დროს. ჩვენამდის მოაღწიეს
მხოლოდ იმ ნაწერებმა, რომელნიც შექმნილნი არიან
1834 – 1845 წლების განმავლობაში. ვიცით, რომ მას
ჰქონია დაწერილი პოემა „ივერიელნი“, რომელშიაც განუ-
ხილავს საქართველოს ისტორიული ამბები X-XII საუკ.;
თვით გვაუწყებს 1841 წ. წერილში, რომ უთარგმნია ტრა-
ღედია ლეიზევიცისა „იული ტარენტელი“. პოემაც, ტრადე-
დიაც და ბევრი სხვა ლექსიც აქამდის ვერ მოგვინახავს და
დაკარგულად უნდა ჩავთვალოთ. თერთმეტის წლის მისი სა-
მწერლო მოღვაწეობა არ ჩაითვლება მრავალნაყოფიერად. ეს
გარემოება აიხსნება იმითიც, რომ იმ დროს ლიტერატურულს
შრომას არც ფასი, არც გასავალი, არც წამახალისებელი ძა-
ლა არ ჰქონდა საზოგადოებაში მოპოებული. მაგრამ ბართა-
შვილის კურთხეულს კალამს შეუქმნია 30 ლექსი, აღბეჭდილ-
ნი ღრმა გრძნობით და პოეტურის შემოქმედებით.

მის ჰარმონიულად აწყობილს ლექსებში თავდაპირველად
მოისმის კერძო უკმაყოფილების გრძნობა, შემდეგ კი მისნი
ჭირნი და მწუხარებანი საყოველთაო, საკაცობრიო ხდებიან.
თვრამეტის წლისა იყო, როცა თავისი „სულით მარტოობა“

აღნიშნა ლექსში „ბულბული ვარდზედ“ (1834 წ.). აქ ჯერ ბუნდოვანად, გარდათქმით დასურათებულია „გულით მტკი-

- 39 -

ნავის“ პოეტის სახეზე. გადის დრო და ჭმუნვარება, წყნარი და მშვიდი, გამეფდება მის არსებაში და ჰპოულობს შესაფერს გამოთქმას ლექსში „შემოღამება მთაწმიდაზედ“ (1836 წ.). განსამდგარი მგოსანი ეძიებს თანაგრძნობას ბუნებაში, მას უზიარებს თავის სევდას. აქ გაისმის ის კვნესა და ჩივილი, რომელსაც მოსთქვამს არა კერძო პირი, არამედ მთელი კაცობრიობა.

ჰი, მთაწმიდავ, მთაო წმიდავ, ადგილნი შენნი,
დამაფიქვრელნი, ვერანანი და უდაბურნი
ვითარ შევნიან, როს მონამენ ცვარნი ციურნი,
ოდეს საღამოს, დაშთენ ამოს, ციაგნი ნელნი.

„იდუმალობას“ დაუსადგურებია მთაწმიდის არემარეში, მის ძირს გაშლილია ლამაზი ყვავილოვანი ველი, რომელიც სუნ-ნელეზას აკმევს, ვითარცა „სამადლობელს გუნდრუკს“. ერთს საამი, დროს, ნაღვლიანი მგოსანი, მწუხარი და სევდიანი, ვით „წყნარი საღამო“, მიემურება ბუნდოვანის კლდის ბილიკად; ხედავს ლამაზს, მინაზებულს ბუნებას და შჰკვნესის უღონობის სიმწვავეთ.

ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული!
აწცა რა თვალნი ლაყვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფვიან!
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან.

ეს საუცხოვო ტაეპი შეიცავს საკაცობრიო მისწრაფებას იდეალისადმი და მწარე მოთქმას მისდამი მიუღწეველობის გამო. ასევე მოსთქვამდნენ ევროპელნი მგოსანნი ლამარტინი და ალფრედ დევინი, ცნობილნი რომანტიკოსნი. ნ. ბარათაშვილის „ჩონგურსაც“ რომანტიული ელფერი ამჩნევია. ბუნების წიაღში განუზიარებელის გრძნობის დაკმაყოფილება, „მთვარე-ვარსკვლავთა“ მოწოდება, ელეგიური ჭმუნვარება – ისეთი თვისებანი არიან, რომელნიც ახასიათებენ ნ. ბარათაშვილის რომანტიულს სულის ვითარებას. მგოსნის გულის-თქმანი ეძიებენ სადგურს „ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამოება“, მსგავსად რომანტიკოსთა განუსაზღვრელის და

- 40 -

ბუნდოვანის მისწრაფებისა. მთაწმიდას და პოეტს შუა მისტიური კავშირი არსებობს, იგია მისი მანუგემებელი და ყოველთვის, ამბობს იგი, „როს მჭმუნვარება შემომესევს, შენდა მოვილტვი განსაქარვებლად... ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს, რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განა-

ნათლებს“.

ეს ფანტაზიის ოცნებანი ჩქარა გაჰქრენ, „სევდამ გული-სამ“ ვერ ჰპოვა ნუგეში, – „ხმა იდუმალი“ (1036 წ.) გამეფდა მის გულში და უწამლავს წრფელს ყმაწვილობას. „იდუმალი ხმა“ თან სდევს ყოველთა „ზრახვათა და საწადელთა“ და განუწყვეტლივ ჩასძახის ერთსა და იმასვე: „ეძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი, ვინძლო იპოვნო შენი საშვენი“. მაგრამ პოეტი „მხვედრს“ ვერ პოულობს და „კაემანს“ ვერ იშორებს.

„მხვედრის“ ამო ძებნა და „კაემანი“ ნ. ბარათაშვილის კერძო მწუხარება არ არის. ამავე გრძნობამ აღაშფოთა დიდი ბაირონი და რუსეთში ლერმონტოვი, რომელთა შემოქმედებას სამართლიანად შეგვიძლიან დაეუახლოვოთ ჩვენის პოეტის სულის კვეთება. საყოველთაო კითხვა, რომელიც ჟღერის მათ ქნარზე, ხდის მათ მთელის კაცობრიობის გულის მესაიდუმლედ, მეპასუხედ. აგრეთვე საყოველთაო ბეჭედი აზის ნ. ბარათაშვილის ფილოსოფიურს ლექსს „ფიქრნი მტკვრის პირას“ (1837). სევდიანი პოეტი ფიქრთ გასართველად ახლა მიისწრაფის მთაწმიდის ნაცვლად „წყალის პირს“, ლბილს მდელიოზე, მოწყენილს არემარეზე, რომელსაც უვლის მოდუღუნე მტკვარი ანკარა, უტყვი, მრავალის დროების მოწამე. გაითვალისწინებს ჩვენს ცხოვრებას ფუჟს და ამოებით აღსავსეს და გულმტვივნიულად იტყვის:

მაინც რა არის ჩვენი ყოვა, წუთი სოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიეღოს, ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?
ცხოვრების ამოების ფიქრი – საყოველთაო გოდებაა; პო-

- 41 -

ეტმა პესნიმისტებმა ამას შეალიეს თავისი ძალა და ნიჭი. ნ. ბარათაშვილიც ამათთან ერთად გაიძახის: „ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს და რაც მიეღოს, ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს“. არც უძლეველი მეფეები, რომელნიც აღიძვრიან შესაძენად „იმავე მიწისთვის, რაც დღეს, თუ ხვალ თვითვე არიან“, არც კეთილ-მზრუნველი ხალხისთვის მეფე კმაყოფილი არ არის თავის ხვედრისა. ყოველივე ეს ამოებაა. რადგან სოფელს უნდა ბოლო მოეღოს, „მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს“. თუმცა ასე უნუგეშოდ ჰფიქრობს პოეტი, მაინც კაცთმოყვარული გრძნობა არ დაუბშია, – იგი გამსჭვალულია საქვეყნო სამსახურის შეგნებით, საზოგადოების წინ მოვალეობის აღსრულების მცნებით:

მაგრამ რადგანაც გაცნი გვექვიან – შვილნი სოფლისა,
უნდა კიდევ მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს.

ნ. ბარათაშვილი საქვეყნო საქმისთვის იწვის, კერძო ინტერესების დაკმაყოფილება სიფუქსავატედ და არარად მიაჩნია. სადაც უნდა იყოს პოეტი, რასაც უნდა აკეთებდეს, ვარდს შეჭხარის ის, ცას, სადამოს, ბუნებას, ჩონგურს უსმენს, თუ სიყვარულს ითვალისწინებს, ყოველგან ფიქრი ამაოებისა თან დასდევს მას შავი ყორანივით და მისი ვარდი გაფურჩქვნისათანავე სჭკნება, მისი მხიარულება განსახვისათანავე სევდად იცვლება, მისი ღიმილი ტუჩებზედვე ხმება. ეჭვი არ არის, საპირადო უსათუოთ ურევია პოეტის სევდაში, მაგრამ შეუძლებელია ნ. ბარათაშვილის უნივერსალურის სევდის ახსნა საპირადო მოტივებით. უიმედო სიყვარული, პატარ-პატარა უსიამოვნება ცხოვრებაში, უიღბლობა სამსახურში, – ეს ხომ წვეთია იმ ზღვაში, რომელსაც ბარათაშვილის სულიერი დრამა ეწოდება!.. რამ გააპო ბარათაშვილის პიროვნება ორს სრულებით სხვა და სხვა ადამიანად? „თუ ფიქრობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არ ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ

- 42 -

დაჰკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მადლიერი იყოს ამ წუთის სოფლისა“, – სწერს პოეტი მაიკო ორბელიანს. ამ წერილში ის აზრია გამოთქმული, რომელიც ჩაწნულია ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“; გავიხსენოთ ის ადგილი, სადაც პოეტი გაიმახის: „ვინ არის იგი ვისთვის გული ერთხელ აღევსოს და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?“

ყურს უგდებს ჩონგურს და იქაც კი ერთობ ადამიანის გულის ჩივილი ესმის და არა თავისი: „მე შენგან მესმის მოკლულის გულის ოდენ ჩივილი“. ცხოვრების ტალღების ტრიალმა და იმედ-გაცრუებულმა სვემ გააკაჟა და განამტკიცა პოეტის სულიერი არსება. „ბედის ვარსკვლავი“ მას აღარ აშინებს, რადგან მისი გული შეეჩვია „სევდით კრთოლვას“; ვეღარ გაამწარებს მას, თუნდ მოიფაროს ნისლი ბუქით. რა სახითაც უნდა ეჩვენოს იგი „მშვენიერი ცის მთენი“, პოეტს სწამს, რომ მრისხანე ვარსკვლავი შეიცვლება და ციური ცეცხლი კვლავ აღენთება:

ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა,
მაღხინებელ დაბინდულის გულისა.

ერთს დროს პოეტს ეგონა, იქნება სიყვარულმა, ტრფილობამ შეიხიზნოს და დაუწყნაროს სულის დუდილი: ვპოვე ტაძარი შესაფარი, უდაბნოდ მდგარი და მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით, მუნ ვემიებდი განსვენებასაო. გულსა მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით ლამპარი

წმიდა განმიტვობდა ციურის სხივითაო, მაგრამ განჰქრა ტა-
მარი და უდაბნო ჩემდა მდუმარებს და სიყვარულის ნეტარე-
ბის მაგიერ, სევდამ და წყვდიადმა დაისადგურა ჩემს გულშიო.

ვერლა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტამარი!
და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი.

აქაც ვერ იპოვა საგანი თავის გულისა და გულის წყურ-
ვილისა. მიჰმართა სარწმუნოებას, იქნება ამან მაინც შემიკე-
დლოს და დამინთქას სალმობანი გულის სენტაო და ევედრე-

- 43 -

ბა ღმერთს, დამიურვეო, შემიტკბე, როგორც მამამ შემცოდე
შვილიო:

ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა,
დამინთქე მათში სალმობანი გულისა სენტა,
არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა.

მაგრამ ვერც აქ იპოვა იგი სადგური მყუდროებისა, რო-
მელსაც ეძებდა. პოეტი დარჩა „ობლად სულით“, ვაებით
მოცული, რადგან „სული ობოლი“ უფრო საბრალოა, ვი-
დრე უთვისტომო:

მეგობართა, ნათესავთ მოკლებული
ისევ ჩქარად ჰპოვებს სანაცვლოდ გული;
მაგრამ ერთხელ დაობლებული სული
მარად ითმენს უნუგეშობას კრული.

იმედ-დაკარგულს მიესია შავად მღელვარე ფიქრები, არ
იცის, როგორ მოიშოროს იგინი და ეხვეწება თავის „მერანს“,
რომლის ჭენებას საზღვარი არა აქვს, როგორც ჭკუა-გონების
ქროლვას, გასწი და „ნიავეს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელ-
ვარიო“. იგი მზად არის დასთმოს მამული, სწორნი და მე-
გობარნი, მშობელნი, ტკბილად მოუბარი სატრფოც კი,
ოღონდ „ვარსკვლავთა თანამავალთა ვამცნო გულისა მე სა-
იდუმლოო“.

გასწი, მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი.

მას სწყურია ბედის საზღვარი გაარღვიოს და ნიავეს მისცეს
„შავად მღელვარი ფიქრი“. იგი თავილობს დაემორჩილოს
ბედს, რომელსაც ადამიანის გონებისთვის საზღვარი დაუდვია
და განაგრძობს: „დეე მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხე-
რი, ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერიო“. რას
გაურბოდა ან საით მიიზიდებოდა პოეტი? ლექსში „შემოლა-
მება მთაწმიდაზედ“ იგი ჰლამოდა ცას იქით მიეწვდინა თვა-
ლი და სადგური მოენახა. ცდამ ამოდ ჩაუარა. შემდეგ ეს

„სადგური“ ემია სიყვარულში და სარწმუნოებაში, ვერც აქ იპოვა ნუგეში. ამიტომ მიენდო მერანს, რომელსაც ეხვეწება გასწიოს მოურიდებლად, რადგან თუნდ ვერ იპოვოს ახლაც, რასაც ეძებს, მაინც ცუდად არ ჩაივლის განწირულის სულის კვეთება და მერანისაგან თელილი გზა დარჩებაო.

და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს.

ეს მოსვენებისთვის სადგურის ძებნა საყოველთაო წყურვილია, რომლის მოციქული ბაირონიც იყო. „მერანი“ წინასიტყვაობაა „სულო ბოროტოსი“, როგორც ამბობს ილ. ჭავჭავაძე, არა მარტო იმიტ, რომ წინ არის დაწერილი (1843 წ.), არამედ შინაარსითაც. „სულო ბოროტოში“ მხოლოდ მიზეზია ნაპოვნი იმ გონების და სიცოცხლის აღშფოთებისა, რომელიც შავად მღელვარე ფიქრად მისევეა ჩვენს პოეტს „მერანში“ და ის მიზეზი მსუსხავი და მწვავე ეჭვია, რომელმაც პოეტს მოუკლა „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“, დაუკარგა „სულის მშვიდობა“, აღუთქვა და არ მისცა კი თავისუფლება ამ წუთისოფლად.

ნ. ბარათაშვილი თვალნათლად ატრიალებს ჩვენს ცნობის წყურვილს იმ თვალგადაუწვდენელს სფეროში, საცა ზოგად კაცობრიობის დაუსრულებელი საჭირ-ბოროტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არა რწმენისა, მყოფობისა და არ მყოფობისა, საცა ღაღადებაა ყოველგვარის სულისკვეთებისა და ვნებათა ღელვისა. ნ. ბარათაშვილს ამას გარდა გულში დარდად ჰქონდა ბედი ქართლისა, თავის მამულისა, სად „სულსა სული თვისად მიაჩნის და გულსა გულის პასუხი ესმის“. საქართველოს ისტორიის შესწავლამ დააწერინა „ბედი ქართლისა“, რომელშიაც დიდის დაკვირვებით და საგნის ცოდნით არის აწონ-დაწონილი ორი დაპირისპირებული აზრი, – შეუერთდეს საქართველო რუსეთს თუ არა. დიდებულია ამ პოემაში სურათი სოლომონ მსაჯულისა. პოეტის რწმენა და სევდაა გამოსახული სოლომონის სიტყვებში, რომლითაც მიჰმართავს

იგი მეფე ირაკლის: ქართველებს „არად მიაჩნით უბედურება, თუ აქესთ თვისთ ჭერთ ქვეშ თავისუფლება“. საქართველოს პოლიტიკურად დაცემა გულს უწამლავს ბარათაშვილს. ყოველისფერი – მთვარე, მთაწმიდა, მტკვრის დუდუნი, ჩონგურის ხმა, – პოეტს თვალწინ უყენებს სამშობლოს დიდებულს წარსულს. იგი სცოცხლობს წარსულის მოგონებით, – წარსული მისი ტაძარია, წმიდა-წმიდათა: „მუნ გუნდრუკის წილ შევ-

სწირავდი წმიდას სიყვარულს, რომლის საკურთხად დავსდები-
დი მე ჩემს გულსა და სულს“. განქრა წარსული, განქრა ტა-
მარიც და ეს სამლოცველო ვედარსად ააგო, თვალ წინ დარ-
ჩა „ჩვენი ცხოვრება ფუჭი და ამაოება“. თავისუფლების და-
კარგვას მოჰყვა ზნეობრივი დაცემა, სულიერი დაქვეითება.
ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, სწერს იგი მაიკო ორ-
ბელიანს, იგი გნახე უგულო... ვისიც ცრემლნი მეჩვენებოდენ
ცრემლად სიბრალოლისა, გამომეტყველად მშვენიერის სული-
სა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის
საწამლავისა“. ამიტომაც ძველს ქართველის ღირსეულს დედებს
სოლომონ მსაჯულის მეუღლისაგან აღტაცებული უგებს სახ-
სოვარს ამ სიტყვებით:

ჰოი დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილ სახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!
ვინდა ჰყავს გულის შემატკივარი
მამულს ასული ახლა თქვენგვარი?
ქარმან ჩრდილოსმან ყველაზე პირველ
გამოუცვალა მათ გული ცხოველ.
ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარს გულს!
რის ქართველობა, რა ქართველობა!
ვითომ რას გვავენებს უცხო ტომობა.

პოეტის რომანტიზმი აქ ისხამს ფრთებს, მისი სევდა აქ
ორკეცდება. მას უნდა განშორდეს მამულს, საზოგადოებას,

- 46 -

სრულიად დაივიწყოს აწმყო, შეუერთდეს ოცნებით წარსულს,
ბუნებას, მაგრამ ამაოდ. სევდა სდევს ყოველს მის ზრახვას,
დარჩა იგი „ობლად, მწირად, მიუსაფარად“. სამშობლოს
უბედურებით გამოწვეული პოეტის უკმაყოფილება, პესსიმიზ-
მით განაყოფიერებული და იმის მგრძნობიარე გულში გაღვი-
ვებული სევდა თანდათან გადიქვა მსოფლიო მწუხარებად და
ეროვნულს ნიადაგზე აღმოცენილი მჭმუნვარება საკაცობრიო
გრძნობებით გამსჭვალულს პოეზიად გადააქცია.

ნ. ბარათაშვილი იმ პოეტთა ჯგუფს ეკუთნის, რომელ-
თაც შეუძლიანთ ცოცხლად გადმოგვცენ ის, რაც უგრძნიათ და
გამოუცდიათ. მას წილად ხვდა მხოლოდ წვა-დაგვა და მწუხა-
რება, ამიტომაც მის პოეზიას უკმაყოფილების და გოდების
ბეჭედი აზის. „სულით ობლობა“ ადრე იგრძნო პოეტმა. ასე-
თი ობლობა კი უფრო მწარეა და შვებას მოკლებული, ვიდრე
გული, ნათესავთ მოშორებული. დაობლებულს პოეტს ჰფლობს

„სული ბოროტი“, რომელმაც მოუკლა ყმაწვილობის ბრმა სარწმუნოება და მომხიბლავნი ალთქმანი მტვრად და ტანჯვად გადაუქცია. „ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი“ გაურბის „მერანით“ მეგობართ და მამულს, რომ შავი მღელვარე ფიქრი ნიავს მისცეს. სასოწარკვეთილებამ იგი არ გახადა კაცის მოძულედ. პოეტს გზას უნათებს დიადი კეთილშობილური მისწრაფება უსამართლობის დასათრგუნვად. თავგანწირულებით ებრძვის გარემო სიმუხთლეს, რომ ბილიკი გაუკვლიოს და გაუადვილოს მომავალს თაობას იდეალის განხორციელება. სასტიკმა ქარმა დაჰქროლა პოეტს, მაგრამ სიყვარული კეთილისა და სიწმინდისადმი მაინც უმწიკვლოდ შეინახა სულის სიღრმეში. მას უყვარს ლამაზი ქალი შავთვალე-ბიანი, დანატრის ჩვილის ტიკტიკს და იტკობს უცნაურის მისის ხმით სმენას; თავს იხრის ბუნების სიმშვენიერის წინაშე და სტკბება მის მზერით. დამათრობელს სიამოვნებას უღვიძებს „ჩინარი“, ალვის ხე განმარტოვებულს ფრიალს კლდეზე, არაგვის მობიბინე ნაპირნი, მტკვრის საიდუმლო დუდუნი,

- 47 -

დამწყვედელი „დიდ სახლში“ სუმბული, ამო, ლამაზი, რომელიც თავის მობაასე მწირს განუზიარებს: „ზამთრით ბუნება არა ჰკვდება, – სევდით იმოსვის, რომ თავისს სატრფოს – გაზაფხულსა განემორების“.

ნ. ბარათაშვილის სვეც ასეთი იყო. იგი გულმოკლულია თვისის კერძო ბედით და დაჩაგრული სამშობლოს ცხოვრებით; მაგრამ იმედი უკეთესის მომავლისა, როგორც ნათელი ვარსკვლავი ცაში, ღვივის უკვდავად მის გულში და ამხნეებს საბრძოლველად „ქართან და კლდესთან“, – ყოველსავე იმასთან, რაც კი ელობება იდეალის განხორციელებას.

გიორგი ერისთავი

(1811 – 1864)

გიორგი ერისთავი იმ მამულიშვილთა რიცხვში უნდა ჩაითვალოს, რომელთაც თავი იჩინეს საზოგადო ასპარეზზე „ყაზარმობის“ შემდეგ, ესე იგი 1830 – 1832 წწ. მოძრაობის შემდეგ. ჩვენში იშვიათია სხვა მეორე ადამიანი, რომლის მოღვაწეობა ყოფილიყოს ასე ნაყოფიერი, ასეთი ფართო და ღრმა თავის შედეგებით. პლატონ იოსელიანი, ცნობილი მეცნიერი, ამბობს, რომ გ. ერისთავმა „დაბადა ენა ქართული ახლისა

გვარისა მწერლობისათვის“; მან დააფუძნა პირველი ქართული თეატრი, მან დააარსა პირველი ქართული ჟურნალი. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა „წარმოადგენს ცოცხალს სურათს იმ თაობისას, რომელიც აღიზარდა ახალს, რუსებისაგან განმზადებულს, ნიადაგზე, ყოველის მისის ნაკლულევეანებით და ღირსებით“. ეს ის დრო იყო, როცა ნ. ბარათაშვილის მოწმობით, ქართველი წარჩინებული წოდება ქართულს ივიწყებდა და რუსული ენა ჯერ ვერ შეესწავლა, – ეს ის ხანაა ჩვენს ცხოვრებაში, როდესაც გრძნობა სამოქალაქო მოვალეობისა საზოგადოებისადმი მიფერფლილიყო და ამაოდ იწვევდა

- 48 -

ჩვენი სასიქადულო პოეტი ნ. ბარათაშვილი მიძინებულს ბატონებს ყმების მდგომარეობის გაუმჯობესობისთვის ეფიქრნათ და ეზრუნათ. „ყაზარმებიდან“ გამოსულმა ქართველებმა ახალი სიო დაჰბერეს შეგუბებულს საზოგადოებრივს ცხოვრებას. ამ გამორჩეულთ პირთა ჯგუფს ეკუთნის ახალგაზდა, კეთილის განზრახვით აღსავსე გიორგი ერისთავიც.

გიორგი ერისთავი დაიბადა 1811 წელს, ქსნის ერისთავის ოჯახში. მამა მისი დავით ერისთავი მეძლებული მებატონე იყო. დედა მისი მარიამ – მდივნის ივანე ქობულაშვილის ასული, იყო ღვთის მოყვარე, წყნარი და კეთილი ადამიანი. პოეტი ამათი შუათანა შვილი იყო. დედა ჰყვანდა ქართულის ენის და მწიგნობრობის ზედმიწევნით მცოდნე და გიორგი 10 წლამდის იზრდებოდა იმის ზედამხედველობის ქვეშ. ბავშობიდან მან შეითვისა სოფლის ზნე-ჩვეულებანი და სიყრმიდანვე შეიყვარა ქართული მწერლობა. 10 წლის გიორგი მამამ კეთილშობილთა სასწავლებელში მიაბარა, სადაც იგი სწავლობდა მეხუთე კლასამდის. ამ დროს ბიძამ მიტროპოლიტმა ვარლაამმა, მოსკოვში მცხოვრებმა, დაიბარა გიორგი და მისი ნათესავი ესტატე და ერთს იქაურს პანსიონში მისცა სასწავლებლად. ორის წლის შემდეგ ესტატე ავად გახდა მოსკოვში და შეშინებულმა ბიძამ ორივე სამშობლოში გამოისტუმრა. რამდენსამე ხანს იგი უსაქმოდ იყო და გულს ლექსთა წერით იჯერებდა, – პირველად კი ლექსთა მთქმელობის ნიჭი გამოიჩინა, როცა თორმეტის წლის შეიქნა და სწავლობდა კეთილშობილთა სასწავლებელში. ამ დროს ტფილისში უკვე ჩაისახა პატარა წრე ქართულის მწერლობის მოყვარულთა, რომლის წევრთ განათლება მიეღოთ რუსეთში ბატონიშვილების გავლენით და ან კეთილშობილთა სასწავლებელში. ამ წრემ შემდეგ გამოსცა პირველი ქართული ჟურნალი. ჯერ კი დრო არ მოსულიყო და გიორგი ერისთავი შევიდა ტფილისის გუბერნატორთან სამსახურში და შემდეგ გადავიდა მთავარმართე-

ბლის როზენის ამაღლაში.

- 49 -

გიორგი ერისთავი, ისე როგორც მის დროის სხვა შეგნებული ახალგაზდები, უკმაყოფილო იყო მაშინდელის მოხელეებისა, რომელნიც უბრალო წვრილმანებშიაც კი შეურაცხყოფდენ ქართველებს. ერთი ამგვარი შეურაცხყოფა გამოაცდევინეს გ. ერისთავსაც. 1828 წ. როდესაც რუსეთის გამოჩენილმა მწერალმა გრიბოედოვმა ჯვარი დაიწერა ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალზე, მეჯლისი მთავარ-მმართველმა პასკევიჩმა სასახლეში გადაუხადა. მიწვეულთ თავად-აზნაურთა შორის იყო ახალგაზდა გიორგიც, რომელიც ქართულის ტანისამოსით მორთული ეწვია „ნეფე-დედოფალს“. როცა მან სასახლის კიბეზე შესდგა ფეხი, პოლიციის მოხელემ სტაცა ხელი კალთაში და შესვლის ნება არ მისცა ქართულის ტანისამოსით. გულამღვრეული დაბრუნდა გიორგი სახლში და არ ისურვა ტანისამოსის გამოცვლა. ეს მცირემნიშვნელოვანი შემთხვევა ახასიათებს მაშინდელს მთავრობას და ქართველების დაჩაგვრას.

როგორც უკვე მოვიხსენიეთ, გიორგი ერისთავი მხურვალე მონაწილეობას იღებდა 1832 წ. შეთქმულობაში. ამის გამო ისიც დაატუსაღეს და ცამეტის თვის პატიმრობის შემდეგ 1834 წ. გაგზავნეს ჯარში ქ. ვილნოში, საიდანაც დაბრუნდა მხოლოდ 1838 წ. უცნობს ქვეყანაში, ნაცნობ-მეგობრებს მოშორებული ახალგაზდა პოლიტიკური დამნაშავე, რომელმაც გამოძიების დროს „სუყველაფერი გულწრფელად აღიარა“, ბევრს წვალებას ითმენდა, ვიდრე იქაურობას შეეჩვეოდა და პოლონურს ენას შეისწავლიდა. შემდეგ გაიცნო და შეიყვარა პოლონელის პოეტის მიცკევიჩის ლექსები, ისმენდა ლექციებს ადგილობრივს უნივერსიტეტში და ემზადებოდა სამშობლოში სამოღვაწეოდ. ღრმად ჩაებეჭდა გულში კეთილი გავლენა და სიყვარული, რომელიც ჩაუნერგეს პოლონელებმა გარდახვეწილს ქართველს,

სიღრმითა გულით გრძნობიულით ვარ მადლობელი ჩემის ესრეთის ალერსისა მიღებისათვის,

- 50 -

მარამ არ ძალმიძს დავივიწყო მხარე მშობელი და სიხარულად მიმაჩნია ვიტურო მისთვის, – სწერს პოეტი „უცხო ქვეყნის კაცს“. ოთხი წელიწადი და შვიდი თვე გიორგი „ცრემლსა მდუღარეს“ აფრქვევდა სამშობლოს მოშორებული. ბოლოს, 1838 წ., განელო მას დახშუ-

ლი კარი მამულისა და 25 აგვისტოს უკვე დაბრუნდა სოფელს არცევს. სამოღვაწეოდ მან აირჩია მწერლობის ასპარეზი. 1845 წ. საქართველოს მთავარ-მმართველად მოვიდა გრაფი ვორონცოვი, რომელმაც ხელი შეუწყო ქართველების კულტურულს განვითარებას. ვორონცოვმა ტფილისში დააარსა რუსული თეატრი და განიზრახა ქართულის თეატრის დაარსებაც. გაიგო, რომ გ. ერისთავს ხელნაწერი ქართული კომედია ჰქონდა; მაშინვე დაიბარა ახალგაზდა დრამატურგი და მიანდო მოეძებნა მოთამაშენი და გაემართნა წარმოდგენა. გ. ერისთავმა გულმხურვალედ მოჰკიდა საქმეს ხელი და 2 იანვარს 1850 წ. გამართა პირველი ქართული წარმოდგენა. დასდგეს გ. ერისთავის პიესა „გაყრა“, რომელზედაც დაესწრო მთავარ-მართველი ოჯახობით და ამალით. თვით ავტორმა ითამაშა მიკირტუმას როლი. ქართულის თეატრის დირექტორად დანიშნულ იქნა გ. ერისთავი.

თეატრის დაარსებას მოჰყვა ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემაც. ვორონცოვმა ამის ნება გამოსთხოვა ხელმწიფეს და თვით შეიტანა 100 ცალის ფასი წმ. ნინოს სასწავლებლისთვის. 1852 წ. გამოვიდა პირველი ნომერი და ორის წლის შემდეგ შესწყდა მისი გამოცემა *). 1855 წ., თავ. ვორონ-

*) „ცისკარი“ გამოდიოდა 1852 – 1853 წწ. განმავლობაში, დაიბეჭდა სულ 24 წიგნი. იგი წარმოადგენს ლექსების და მოთხრობების კრებულს ზედდართვით ისეთის წერილებისა, როგორცაა, მაგალ., „როგორ კეთდება ბატი ძმრით, მურაბა და ჟღელე“. ამ მხრით „საქართველოს გაზეთი“ და „ტფილისის უწყებანი“ დოდაშვილისა მაღლა იდგნენ „ცისკარზე“. მკითხველებიც ცოტა ჰყავდა ჟურნალს, რადგან მაშინ ქართულს ენას პატივს არ სცემდნენ, ან, როგორც მ. თუმანი-

ცოვის გადაყვანის შემდეგ, გ. ერისთავი იძულებული შეიქნა თავი მიენებებინა თეატრისთვისაც და გადასახლდა სოფ. ხიდისთავში. 9 სექტემბერს 1864 წ. იგი გარდაიცვალა ქ. გორში და დასაფლავებულ იქმნა იკორთის მონასტერში.

გიორგი ერისთავის მწერლობა გაიყოფება ორს ნაწილად: ლირიკულს პოეზიად და დრამად. საზოგადო ხასიათი გიორგი ერისთავის ლექსებისა თვით მისმა ცხოვრებამ განსაზღვრა. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ნათარგმნს ლექსებს, მისი ლექსები სამგვარის თვისებისაა: ელეგიური, რომლებშიაც ისმის ავტორის წუხილი საზოგადოებრივის ვითარების გამო, სიყვარულისაგან გამოწვეული ლექსები და იუმორისტულ-სატირული ლექსები. მის ლექსებს საერთოდ სევდის ბეჭედი აზის, სარჩულად უძვეს მწუხარება, თუმცა ის ისე ძლიერად არ არის გამო-

თქმული, როგორც ნ. ბარათაშვილის ნაწერებში. გ. ერისთავის სევდა უფრო დამშვიდებულს კილოზეა აგებული: იგი ცრემლს „აფრქვევს“ იმ მხარისათვის, „სად დაბადებულა, სად მტკვარი მიმდინარეობს“. ლექსების საგანი უფრო მამულის სიყვარულია და მისი წარსული დიდება. ადრე იგრძნო მწუხარება მამულისთვის თავგანწირულმა პოეტმა. შეთქმულობამ 1832 წ. არგუნა 13 თვით ციხეში მომწყვდევა და საქართველოდან განდევნა. ციხიდან ასეთს მწარე ლექსს სწერს თავის მეგობარს სვიმონ მაჩაბელს: „მე აწ სოფელი მოყვასთ მაშორებს, და- მიხშავს კლიტით მამულის კარებს, ვედარ ვისუნთქავ ჰაერით ტკბილით, მისთვის მიბრალე გულით ღმობილით. მივალ, გარნადა სული აქ მრჩების, მუნ სევდის ქოხი ობლად დამშთების“. პოეტს სტანჯავს იმის ფიქრი, ვაი თუ უცხო უცხოთა დამფლან მე სამარესაო. უცხოეთში გაიცნო იქაური საზოგადოე-

შვილი სწერს „ცისკარში“, (1859 წ., № 2), მისი „კაბინეტში შეტანა არ იქნებოდა“, „ბუზებს“ უტოვებდნენ წასაკითხად. 1860 წ., როცა „ცისკარი“ გამოდიოდა ივ. კერესელიძის რედაქტორობით, მას მაი-ვაგლახით 181 ხელის მომწერი ემოვნა.

- 52 -

ბა, იქ გაუჩნდნენ მას ახალი მეგობრები, მაზედ ქალნი იყვნენ „ღმობილნი“, ხოლო მას ვერ გაექარვებია ის ჭმუნვარება, რომელიც მის გულში ღრმად იყო დამარხული. მადლობელი იყო თანაგრძნობისთვის, „მაგრამ, – ამბობდა ის, – არ ძალმიძს დავივიწყო მხარე მშობელი და სიხარულად მიმაჩნია ვიტირო მისთვის“ (ლექსი „უცხო ქვეყნის კაცს“). შორიდან იგი დასტრიალებს სამშობლოს, ეალერსება მტკვარს, სალამს უძღვნის „ყაბახს“, რომლის პირზედა კითხულობს „დროთა ძველთ წარსულთ“. დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ ჭმუნვარება მაინც არ მოსცილდა. სამის წლის წინ გარდაცვალებამდე გ. ერისთავი იმეორებს ლერმონტოვის სიტყვებს: „სევდამ მომიცვა, სული ჭმუნვარებს, ვის მივცე ხელი, რომ მცეს ნუგეში?“ ლექსში „ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების გამო“ იგი მიმართავს პოეტს სიტყვებით: „ვგონებ, ჭმუნვითა ქვე დამზერი ჩვენსა ცხოვრებას, ხედავ რა შენ ძმათ და მათ შორის შურსა და მტრობას“. ასეთის ჭმუნვით შესცქეროდა თვითონ გ. ერისთავიც თანამედროვე საზოგადოებას და ცხოვრებას. მას მცირე ჰქონდა ბედნიერი დრო, „როს ბედი იყო მისად მდიმარი, როს გული მისი არ სცნობდა ჭმუნვათ, არცა ვნებათა და არცა ზრუნვათ“ (ლექსი „როზალია ბიშპინგის ქალს“).

ამგვარად ლექსების საგანი მამულის სიყვარულით გამოწვეული სევდაა. უმეტესი ნაწილი ამ ლექსებისა დაწერილია შორეულს პოლონეთში. სხვა ლექსებში გვიხატავს „უპასუხო

სიყვარულს, ქალის უგულობას, მეგობრის სიკვდილს, დაკარგულს ბედნიერებას, საზოგადო უკმაყოფილებას“. სულ ორმოცდარვა მის ლექსში 34 ლექსი ამ შინაარსისაა და 14 ნათარგმნი უცხოელის პოეტებიდან, რომელთა შორის მისი ყურადღება მიუქცევია თავდაპირველად პოლონელს მწერალს მიცკევიჩს (ამისაგან აქვს გადმოღებული: პილიგრიმი, პოტოცკის საფლაფზე, აკერმანის ტბა, არამხანის საფლავნი და სხ.). შემდეგ ვიქტორ ჰუგოს, შილლერს, პეტრარკას, ბერანჟეს, რიუკერტს, პუშკინს, ლერმონტოვს, პავლოვს. ამ პოეტების ნა-

- 53 -

წერებში გ. ერისთავმა აირჩია ისეთი ლექსები, რომელთაც მის მიერ შეთვისებული მწუხარების ბეჭედი აზის, მაგალითად ლერმონტოვის „И скучно, и грустно“, ან ვიქტორ ჰუგოს „ერთის მინუტის სიჭაბუკე“. მის ლექსებს აკლია გარეგანი შემუშავება, მძიმედ არიან აწყობილნი და სიმარტივე აკლიათ. ცოცხლად არის დაწერილი რამდენიმე ლექსი: „სოფლური სიმღერა“ (1852), „კნიაჟნა დარია ბეგთაბეგოვისას“ (ლეკურის თამაშობაზე), „ალბომში კნიაჟ. ა. ორბ.“ („უტევე ამ თეთრ ქაღალდზედ აყვავდეს ჩემი ლექსები“). სატირული ხასიათი აქვს ლექსებს: „ფიქრი ყმაწვილის ქალისა“, „რეცეპტი“ („ოდეს ჟაბუკა ქალსა გული უწუხდებოდეს... მოიყვანეთ ჭაბუკი, იყოს კარგი ტანადი“).

საუკეთესო მისი სალირიკო თხზულება არის დრამატიული პოემა „შეშლილი“. აქ გამოხატულია ნამდვილი ქართული ტიპები მკითხავებით, შელოცვით, მარხვის შენახვით, ლოტოთი. საუცხოვოა საქართველოს გაზაფხულის სურათი. გმირი ამ პოემისა, ბეგლარ, თვით მგოსანი და შეყვარებული ნიგვზის ხის ქვეშ ოცნებობს და იტყვის:

კიდევ მოხვედი, გაზაფხულო, ჩვენო სტუმარო,
ყოველთა კაცთა სიქადულო, გულთ მომღიმარო!..
აგერ მსოფლიო იმოსა მწვანით,
ტყეთ სიხარულით იმოსეს ტანით;
ფრინველთა იწყეს თვისებრი სტვენა,
ყველას უხარის, ვისაც აქვს ენა!

ამ საერთო სიწარულის დროს თვით პოეტის გულს მოეფინება ჭმუნვარება იმიტომ, რომ კაცი, „გვირგვინი ღვთისა ქმნილების“, ჰბერდება – კვდება და „განცხოველების“ უფლება არ აქვს. იგი შეხარის „კეთილსა ჰაერს“, ლაჟვარდოვანს ცას, მოკამკამე წყალს, ზურმუხტებრ ველთა; ითხოვს, მერცხალთა ფრთებს, რომ აღფრინდეს მაღლა, ნახოს მზის შარავანდედი და შეუდგეს ვარსკვლავთა კვალსა. მაგრამ აქაც მას მოიცვამს სევდა, რომ ადამიანი მიწას მიკრულია და მისი „გონება-ნება“ და-

სრულდება სიკვდილით. ნუგეშს ჰპოებს მხოლოდ იმაში, რომ ქვეყნიერი ცხოვრება „სხვა სოფლისათვის არს სამზადისი“, ასე სჯის და ჩაანელებს მწარე ფიქრებს პოეტი ბეგლარი, რომელსაც გარდა ბრძოლისა ორის მოწინააღმდეგე ფილოსოფიურის აზრის შუა მოელის პირადი უსიამოვნებაც: სიყვარულის უარყოფა დანიშნულის მშობელთაგან. ტასო, ანახანუმის ქალი, მისი სატრფო, სხვაზე უნდა გაათხოვონ; ბეგლარს იწუნებენ, რადგან ოჯახის მოვლა არ ეყურება, მამულებზედ ჯიგარი არ აქვს, „სუდში“ სასიდედროს არ გაეგზავნა და „არზის ქალაღზე ვიღასაც ქალზე ეთქვა სიმღერა“. რძლები ურჩევენ ანახანუმს გააშვებინოს ბეგლარი ტასოს და მისცეს სხვა სასიძოს. მიუგზავნიან იორამ მღვდელს მოციქულად შორეულს ნათესავს ვახტანგს, ბეგლარის მეგობარს, მაგრამ იგი გარისხებული დაითხოვს მაჰანკალსა და მწარედ იტყვის: „პოეტის ბედი, სოფელს იმედი, არ ბადებულა“. ბეგლარს გულმა წინასწარ უგრძნო უბედურება: სასიდედრომ დაუბრუნა ნივთები, რაც დანიშნულთან ჰქონდა – სულ „ოთხი წიგნი და ერთი ფარდაგი“. აღბორებულმა პოეტმა განრისხებით წარმოსთქვა შესანიშნავი მონოლოგი ქალის დაუდგრომელობაზე:

დაუდგრომელო დედაკაცო, ვით შემოდგომა,
შენ სად ისწავლე ეშმაკივით კაცთ შემოდგომა?
ვინ მოგცა სახე ანგელოზის და სული ქაჯის?
იქნებ გეგონოს ამა სოფელს არავინ დაგსჯის?

რომ შემეძლოს, სამუმს ქარს შემოგბერდი ან ლომის კბილს მიგცემდი, თვალს ამოგთხრიდი და კეთილს დღეს არ მოგცემდიო. ამ გაშმაგებულის წყევლის შემდეგ პოეტი ეტყვის თავის თავს: „რა გქონდა ერთი, ხალხთან საერთი, მიწას რად ეკარ, უმჯობეს იყავ, მზით დამწვარიყავ, ვითარცა იკარ?“. მოიგონებს რა თავის „დაკუწულს გულს“, დასძენს, რომ ასეთი ბედი სწვევია ბევრს გამოჩენილს და დიდებულს მწერალს. მოშურნენი დასცინოდნენ დიდს ბაირონს, განაშორეს მშობლის სირონსა, ტორკვატო ტასო ჰქმნეს პყრობილი, კამოენსი

მოჰკლეს მშვიერი, ოვიდია რომიდან განაძევეს. ეს ტირადა მით არის შესანიშნავი, რომ საუცხოვოდ მოწმობს თვით გ. ერისთავის სალიტერატურო განვითარებას და მსოფლიო კლასიკების მის მიერ შესწავლას.

ბეგლარს ამ მონოლოგის წარმოთქმის შემდეგ შემოეყრება გულს. დედა-მისი მაკრინე, გამღლები და ბიჭები შემოცვი-

ვიან მის ოთახში, მოაბრუნებენ, თვალებში უბერავენ და გამდელი თინათინ ამ სიტყვებით შეულოცავს: „გულო, გულის ალაგასა, ჩაჯექ ბუდის ალაგასა; შენ არ გიხდება ხტომა, გმართებს მშვიდად დადგომა...“ ტასოს ავადმყოფობის ამბავი გავრცელდება, მისი მეგობრები კი გაიძახიან; „შემლასაც მოდნად შემოიღებენო“. თვით „შემლილი“ ტასო, ბეგლარის საცოლო, რომელიც პოემის პირველს ნაწილში ბენიერებით სავსე მღერის საყვარლის ლექსებს, მეორე ნაწილში გამოდის ჭკუა-შერყეული, თმა-გაშლილი, ფერ-მიხდილი; თეთრის კაბით. დედას გაუმჟღავნებია მისთვის, რომ არა სურს ბეგლარისთანა მესტვირეს მიათხოვოს ქალი და სასიძოსთვის უკან გაუგზავნია მის ბარგი. ამ ამბავს ისეთი საშინელი შთაბეჭდილება მოუხდენია ტასოზე, რომ ის ჭკუაზე შემცდარა. გულის გაზომვამ, გამდლის შელოცვამ და ექიმის ხელობამ ვერა უშველეს რა: „მაგის წამალი სხვა არსად არი, იქნება მორჩეს, თუ შერთეთ ქმარი!“, – სთქვა ექიმმა. ავადმყოფის მოკეთებმა გადასწყვიტეს, მიათხოვონ ტასო ვიღაც კაპიტანს, ელენეს შვილს, და არა ბეგლარს. ქორწილის დღეც დანიშნეს. იმ დღეს ტასო საქორწილოდ მორთეს. ეკლესიაში წასვლის დრო რომ მოახლოვდა და ეტლი მოჰგვარეს წასასვლელად, ტასო წამოდგა ცრემლიანი, აკოცა დედას ხელზე, გამოესალმა სხვა ქალებს და კარების ნაცვლად გაეშურა ბალკონისკენ, შეხტა მოაჯირზე და მტკვარში გადავარდა.

გ. ერისთავის „შემლილი“ გვაგონებს შექსპირის ოფელიას („ჰამლეტი“) და გეტეს მარგარიტას („ფაუსტში“). ოფელიას სიტყვებს წააგავს ტასოს სიმღერა: „თვალი ავახილე

- 56 -

და რა ვიხილე? აღარ მქონდა გული, იყო მოპარული, თვისთან შეინახა, გულში დაიმარხა“. როგორც საპრობილეში დამწვედელი მარგარიტა, ისე ჩვენი ტასო გაიხსენებს თავის საყვარელს: „მახსოვს, აქ ვიჯექ, ამ ზონარს ვქსოვდი, მიშველე ბეჭვა, მე იმას ვთხოვდი; კარგი, მითხრა მან, თითო ბეჭვაში, შენ მაკოცინე მაგ ლამაზ თვალში“. პოემას საერთოდ აზის ფსიხოლოგიის ცოდნის ბეჭედი, მკაფიოდ არის დასურათებული შემლილის სულიერი მდგომარეობა და განმარტებულია იგი ნაციონალურს ნიადაგზე.

დრამატული ნიჭი გ. ერისთავმა გამოიჩინა კომედიების აგებაში. ამ დარგში მას თითქმის წინაპრები არ ჰყავდა ქართულს მწერლობაში. თვით გაიკვლია გზა, წაუბამველად და შეჰქმნა იმ ტიპის კომედიები, რომლის მსგავსით დიდხანს ასაზრდოებდნენ ჩვენი მწერლები ქართულს სცენას. დიდხანს დარჩა კომედიის აუცილებელს კუთნილებად გ. ერისთავის მიერ პირველად ჩა-

მოსხმული სახე ცბიერის იმერლისა და მყვლეფავის სომხისა. გ. ერისთავის კომედიის შინაარსი ჩვენის ერის ნაკლულეფანებაა. მისი ცხოვრების ფუქსავატობა და დაუდევენელობა ავტორისთვის ცხადია. იგი ფოტოგრაფიულად ჰხატავს ყოფა-ცხოვრების სურათებსა და სცენებს, ჰქმნის ტიპებს და ხასიათებს. თანამედროვე საზოგადოების ყოველმა წრემ იპოვა იგი თავის გამოხატველად. მის ნაწერებით ვეცნობით ქართველთა გონებრივს მდგომარეობას, მის ამაო მორწმუნებას, უქმად დროს გატარებას, შეძლებაზე გარდამეტებულს ხარჯვას, ბაქიაობას და სიზარმაცეს. მხატვრის კალამით დაგვიხატა გლეხობის წარმომადგენელი, ქალაქელი ვაჭარი და განსაკუთრებით მოქიშპე და დავალიანებული თავად-აზნაურობა, დავაში და ნადირობაში გართული. პოეტმა იტვირთა ამ ნაკლულეფანებათა საქვეყნოდ მხილება და გაკიცხვა.

პირველი მისი პიესა არის „გაყრა“, რომელშიაც გამოყვანილია ოთხი ტიპი თავად-აზნაურთა წრიდან: ანდუყაფარ, პავლე, ივანე და ბარძიმ. ბირველნი სამნი ღვიძლნი ძმანი

– 57 –

არიან, უკანასკნელი მათი ნათესავია. ივანე ახლად ჩამოსულია რუსეთიდან, ცოტაოდნად ნასწავლი და ვარშავში გაწვრთნილი. თუმცა მათი გაყრა თვითეულის მათგანის ინტერესს ეხება, მაინც ვერ მორიგებულან ერთმანერთში, საქმე მშვიდობიანად გაათავონ, და ერთმანერთის ზურგს უკან ლანძღვაში არიან. ანდუყაფარ, ძველი ბატონის ტიპი, თავის ძმა ივანეზედ გულნაკლულად არის, რადგან მას გაყრა მოუსურვებია და ოჯახს დაქცევა მოეღოს; ეს ხომ ნათესავობის და ძმურის სიყვარულისა დამღუპველი საქციელია. „გაზარდეთ ყმაწვილები რუსეთში, კარგს რასმე სწავლობენ... აღარც ძმის სიყვარული, აღარც ნათესავისა“, ამბობს სასოწარკვეთილი ანდუყაფარ და მიმართავს რჩევით თავის მყვლეფავს მოურავს ბარძიმს. ივანე დასცინის თავის ძმას, სახელს უმახინჯებს, – ხან ყაფარს, ხან კაზარს უწოდებს და თან დასძენს: „კაკ იმია, ტაკ ი ონ დიკარ“. თვით ივანე, ქართულ-რუსულ-ფრანგულის არეულის ენით მოლაპარაკე, გატაცებულია მეურნეობის გაუმჯობესობის აზრით, პირზე აკერია აგრონომია და ირიგაცია, მაგრამ საპრაქტიკო ცხოვრებისთვის მოუმზადებელი გამოდგა. ივანეს უნდა ბანკიდან ფული აიღოს და ზვარი ახალის სისტემით გააშენოს. ქართული ღვინო არ მოსწონს. „ეტო გლუპოსტ“, ამბობს ქართულს ღვინოზე. სამსახურის თავი არ აქვს: „ნეტ, ბრატ, მე მინდა ვიხაზეინო“. იგი ზნეობით მაღლა სდგა თავის ძმებზე – ანდუყაფარს და პავლეზე. გაბრაზდება, როდესაც ძმები წაიკიდებიან ერთის უბრალო მუთაქისათვის, სცხარობს,

როცა ძმები ერთმანერთს და მასაც ატყუებენ. ივანე მაინც თანამედროვე ცხოვრების შვილია, ბატონ-ყმობა მას მშვიდად შეუწყნარებია, ყმების ადამიანურად ცხოვრების მოწყობა ფიქრად არ მოსდის. მისი იდეალი არის კეთილი მემამულე იყოს. მისი სიტყვებია: „სასიამოვნოა ჰყავდეს მებატონეს ერთგული მსახური და ყმები. გოსპოდი! მომეც შეძლება, რომ ჩემმა ყმებმა ისევე შემეყვარონ, როგორც გაბრიელმა. კაკაია პოიზია ბიტ ლობრიმ, ხოტ ი ბედნიმ პომეშჩიკომ! დაგლოცავენ შენი ყმანი!“

- 58 -

ივანე დასცინის ქართველებს: „ჯერ საქართველოში სიყვარულის მაგალითი არ ყოფილა, რომანიც არ დაიწერება! „რომან ბეზ ლიუბვი – ეტო უჟასნო!“ დასცინის ქართველ ქალებს: „ჩვენთა ქალთა უგრძნობართა, სიყვარულის უმეცართა, ტრფობისათვის არ აქვსთ სული, სხვა რისთვისმე უცემსთ გული“. მაგრამ არ გავა დიდი ხანი და ეს სიყვარულის მოტრფიალე ინტელიგენტი თავის ვალების გასასწორებლად შეირთავს მდიდარის სომხის ვაჭრის მზითვიანს ქალს, რომელსაც არც კი იცნობს ხეირიანად. ანდუყაფარს უკვირს ივანეს რუსულის აღზრდის უცნაურობა. „არ ვიცი, რა ემართებათ ამ რუსეთში, იწამლებიან, თუ რა არის, – კითხულობს მიუხვედრელი ანდუყაფარ, – ბიჭო, საკურველია, მოზდოკს მეც ვიყავ, მაგრამ არ გავგიჟებულვარ“. ძველი თაობა უმეცრების წყვედიადით არის მოცული, მისი გონებითი განვითარება პირველს საფეხურზე სდგას.

ანდუყაფარის მესამე ძმა, პავლე, ცოცხლად ამოღებული ტიპია. პავლე მეძებარ-მწევრების, ქორ-მიმინოების გიჟია. საქმე არაფერი ემარჯვება, გონება და ფიქრი ერთს საგანს დასტრიალებს: სად იშოვოს, თუნდ მოიპაროს, ახალი ძაღლი. როცა მედიატორები ძმების გასაყრელად მოსულან და ყოველს ჭახრავს ატრიალებენ, როგორმე სანუკარი ლუკმა იგდონ, როცა ქალებიც კი გარეულან საქმეში, პავლე იმ დროსაც თავის გულის თქმას აჰყოლია. მაგრამ, როცა ჭკვიანი და მოსაქმე ცოლი შეარცხვენს და დარიგებას დაუწყებს, პავლე პატარა ხანს საქმიანს კაცად მოაჩვენებს თავს თავის ცოლს, რომელსაც მოუხერხებია მედიატორების გადმოზირება კარგის დაპირებით, მაგრამ მოულოდნელად შეიქმნება სასაცილო სცენის გამირად. სწორედ იმ დროს, როცა ერთმა მედიატორემ ხელი მიჰყო განჩინების კითხვას, ოთახში შემოიჭრა შიშისაგან გონება-დაფანტული მოსამსახურ იმერელი და მოიტანა საშინელი ამბავი, – ქორი გაფრინდაო. ამ სიტყვაზე პავლე ოთახიდან ისე სწრაფად გაიჭრება, რომ სეკრეტარი და მედიატო-

რე ორივე ერთად ვერ იმაგრებენ ადგილზე. „როგორ თუ ქორი? გიჟი ხართ, მაჭუტაძის გამოგზავნილია, რა დროს გაყრა არისო!“ პავლემაც ვერ მოისვენა, სანამ არ დაიჭირა და არ შემოიყვანა ქორი. ლანძღვისა და ჩხუბის დროს გულის ყური იმისკენ კი არა აქვს, რაც ამბავია, არამედ ერთობა ძაღლების თამაშსა და სირბილში, რასაც თვალს ადევნებს სარკმლიდან. როცა ანდლუყაფარი სთხოვს, დაანებე სისულელეს თავი და ჩამოერიე ლაპარაკშიო, მიუგებს, მოდი შენც უყურე ჯერანას ნავარდსაო. შენ ეი, ბონჟურავ უყვირის მეორე ძმას ივანეს, რომელსაც შეუთვისებია ფრანგული ბონჟურ, – თქვენი ტრუ-ტრუ მეძებარი სჯობს ჩემს ხალიასა თუ? რო დაუვლის, თითქო ცეკოს თამაშშიო. თქვენ ძაღლს ფრანგულის მეტი არა ესმის რა, ეხლა სად ვისწავლო: „ჩერჩ-ტრუ, ჩერჩ!“ პავლეს ცოლი სხვა და სხვა დაპირებით ისე ხერხიანად გააბამს მედიატორეებს, რომ ყველანი მის გულისად მოქმედობენ, მისი საყვარელი მაზლები კი მოტყუებულნი დარჩნენ. ჯავრი ამოიყარეს მით, რომ გამოლანძღეს მედიატორეები, დაამტვრიეს ავეჯი, რომელიც პავლეს უნდა რგებოდა. ძმების ქიმპობა იქამდის მიდის, რომ არც ერთს მათგანს არ უნდა დაუთმოს მეორეს მუთაქა, რომელსაც დიდის ამბით შუაზედაც კი სჭრიან. ასეთია ძველის ქართველის თავად-აზნაურობის საქმე, გართობა და ზნე-ჩვეულება. ადვილი წარმოსადგენია თუ ამ მოწინავე წოდებას, ერთმანერთში უსიამოვნო განწყობილებაში გართულს, რა დამოკიდებულება ექნებოდა გლეხებთან. ბატონების ნებაყოფლობა მეტად უმძიმდა ყმებს, რომელთა ბედი ბატონის ჟინზე ეკიდა. თვით მისი მოსამსახურეც კი, როგორც ანდლუყაფარის მოურავი ბარამი, ავად ეკიდებოდა გლეხებს. ბარამი ურჩევს ბატონს მსაჯულთა დასაქრთამად ფული გლეხებში მოკრიბოს: „მაშ იცით, შეი ჭიიმე, რა მოგახსენოთ! შევაწეროთ კაცებში ფული, ერთ ოთხასიოდ თუმანს აკვრებთ ხელათ. ოთხასის თუმნით, აბა რას ბძანებ, შეი ჭიიმე, თავი დღეში გაგვყრიანო! გაბრიელის, (ივანეს მსახუ-

რის) საყვარელი ყარდაშავერდი ურჩევს საქმროს, სთხოვოს ბატონს მოურავის ადგილი: „ქაა! რა პურს გაჭმევს! პური შენს ხელში იქნება და ღვინო, შემოსავალი. ვისაც ბატონი აიკლებს, ნახევარი იმისია, ერთის სიტყვით ბატონის მონახევრე არის“. გაბრიელი, უცხოეთში ნამყოფი, გაცდებდა, რაკი თავის ქვეყნის წესრიგი დავიწყებია. „როგორ თუ აკლება? – მიუგებს იგი, – კარგს რასმე მასწავლი; მე რომ ბატონს აკლე-

ბა გავუხსენო, დამარჩობს“. ამაზე ყარდაშავერდი გულდა-
მშვიდებით მოახსენებს: „მაშ შენცა და შენი ბატონიცა მში-
ერი დარჩებით“.

კომედია „დავას“ სახელი აქვს გამოცვლილი, თორემ სა-
ქმით იგივე „გაყრა“ არის. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ
აქ სადაო მამულია „ცილობის ვაშლად“ და იქ მამაპაპეული
ქონება. ამ კომედიის მომქმედი პირები ბეგლარ და მიხეილი
ის ყმაწვილი კაცები არიან, რომელთ დროიდანაც ქართული
ლექსიკონი გამდიდრებულია ორის ახალის სიტყვით: ახალი
თაობა და ძველი თაობა. „დავის“ ტიპებს დავიდარაბა გულით
უყვართ, მაგრამ მსხვერპლნიც არიან სასამართლოს უკან დე-
ვნისა. ყოველი ფიქრი და საზრუნავი კომედიის გმირებისა,
ამირინდოსიც, ონოფრესიც აპელაციურის საჩივრის ხრიკებს
ჩაუნთქამს, რამაც, მათ აზრით, უნდა ბოლო მოუღოს თვი-
თეულს მათგანს. ამ მიზნის მისაღწევად არაფერს ზოგავენ.
ქრთამს აძლევენ ყველგან და ყოველს, რომელსაც კი რაიმე
კავშირი აქვს სასამართლოსთან. გმირები იმდენად უვიცები
არიან, რომ არ იციან, რა არის მძიმე („ზაპეტაია“), მართლა
კანონია, თუ სხვა რაიმე. ილუპებიან ოჯახიანად იმიტომ, რომ
ამირინდო თაკილობს, ონოფრემ როგორ უნდა მაჯობოსო,
ონოფრეს კი აცახცახებს მარტო აზრი, რომ შეიძლება ამნა-
ირად იგიც დამარცხდეს. „ას თუმანსაც დავხარჯავ და მაშინ
დარჩება ისევ ცარიელი! – ეუბნება ამირინდო თავის მოურავს
სოროზანს, – მამაჩემი არ წაწყდება, მეც დავილუპები და
იმასაც დავლუპავ! ონოფრემ უნდა მაჯობოს? მაშ მე ამირინ-

– 61 –

დო არა ვყოფილვარ!“ მართლაც ორივე იქამდის მისულა,
რომ სინსილა გაუწყდათ, მაგრამ ვაჟიშვილები – ბეგლარ, ამი-
რინდოს შვილი, პოეტი, პეტერბურგში გაზდილი, და მიხეილ,
ონოფრეს შვილი, ისიც პეტერბურგიდან დაბრუნებული, ორ-
ნივე იმდენად განათლებულნი არიან, რომ მამების საქციელს
კრიტიკის თვალთ უყურებენ. რადგანაც მათ აერთებთ ბავ-
მობიდგანვე ამხანაგობა და სიყვარული ერთმანერთის დების მი-
მართ, საქმე მშვიდობით და დანათესავებით თავდება.

„დავაში“ ვხედავთ ორს კიდევ ჩინებულს წარმომადგე-
ნელს ძველის ბატონ-ყმობიანის საქართველოსას: ამირინდოს
მეგობარს იაიას და ჩამოსულს იმერელს თავადს, თუ აზნაურ-
შვილს ლომინს. ორივე მიყრუებულის კუთხის შვილები არიან
და ამიტომაც გაცეცხულან ქალაქის ცხოვრების წვრილმანისა-
გან. იაიას ოდესმე უცხოვრია ტფილისში, როცა საქართველოს
დედაქალაქი სხვა კუთხეებიდან არ ერჩეოდა. მეორედ ჩამო-
სული გაკვირვებულა და თვალს არ უჯერებს იმ ცვლილებას,

რომელიც დასტყობია ქალაქის გარეგანს სახეს, მის ცხოვრებას და ზნე-ჩვეულებას. „ეჰ, ნულარ მიბრძანებთ, სადღა არის სალაყბო, – ეტყვის იგი ამირინდოს, – გახსოვს, სალაყბოზე რომ შევიყრებოდით, ქვეყნის ამბები ვიცოდით. ვისაც ვკითხე, მასხარად ამიგდეს: სალაყბო რასა ჰქვიაანო? საბურთალოზე გამოსულა მთელი ქალაქი. სახლები სასაცილოა, ჩვენებურად ხომ აღარ არის, შუაზე ზალა და აქეთ-იქით ოთახები. რომ შეხედოთ, თითქო ყბაყურა შეჰყრიაო, გვერდზე გამობერილი აქვსთ. ახლა ფანჯრები, სწორეთ ასომთავრულს ღანსა ჰგავს“. ახალგაზდობამ სახლებზე მეტად გააოცა იაია. „ვითომ ყმაწვილი კაცები იცნო თუ? შენი თავი არ მომიკვდეს, ვინცა ვნახე, ნემცების ღვედელსა ჰგვანდნენ : ფერი ხომ აღარა აქვსთ, ღვინოს თურმე აღარა სმენ, მოდნა აღარ არისო; ისეთი ყვითლები არიან, როგორც წმინდა სამთელი“. იაიას აოცებს დაგვიანებული სადილიც, ახალმოდური ავეჯიც და საერთოდ ყოველი წვრილმანი, რითაც ბევრად ჩამოჰგავს გამოყრუებულს

- 62 -

იმერელს ლომინსა. ეს უფრო ნადირია, ვიდრე იაია. ის წინად სულ არ ყოფილა ტფილისში და მის შესახებ გაგონილი ჰქონდა მხოლოდ ცხონებულის პაპისაგან. ლომინის თვალში ტფილისი რაღაც საარაკო რადმე გადაქცეულა. მისმა სივრცესიდიდემ იმდენად შეშალა ახალ ჩამოსული იმერელი, რომ ჭეშმარიტებად ასაღებს სადღაც ყურ-მოკრულს არაკს, ვითომ ქალაქი შუადღის ყოველს ზარბაზნის გასროლაზე თანდათან იზრდებოდეს.

ახალგაზრდობას შეამჩნია ავტორმა სუსტი მხარეები დი საუცხოვოდ დაასურათა, როგორც იაია და ლომინი. ახალთაობის წარმომადგენელნი – ივანეები, ბეგლარები და მიხეილები არ არიან შეიარაღებულნი განმაახლებელის დიდის ძალით. იგინი კეთილნი და პატიოსანნი არიან, მაგრამ ამავე დროს დილეტანტები, სიტყვა-უხვნი, უღონონი ცხოვრების პრაქტიკულის მოთხოვნილების წინაშე. სამშობლოს და მის წეს-წყობილებას ნაკლებად იცნობენ; დარწმუნებულნი არიან, რომ საკმარისია კაცმა ისურვოს, ყველაფერი ისე გაკეთდეს, როგორც წაუკითხავთ და დაუწერიათ. ამიტომ ცხოვრებაში დავთარ-დაბნეულნი დადიან. განა ტუტუცი არ არის ის ივანე, რომელიც გაყრას აპირებს ძმებთან მარტო იმიტომ, რომ გაჩეხოს ზვარი და მის ადგილზე გააშენოს ინგლისური პარკი ლამახ-ხეივანი. ძმებს იმისი არა გაეგებათ რა და გადარეულს ეძახიან, საკუთარი მოსამსახურეც კი დასცინის. „ბოჟე მოი, ბედნი ბარინ მოატყუეს რაზბონიკებმა, – ამბობს გამჭრიახი მსახური გაბრიელა, – ონ ტეპერ ნიშიი, ექვსასი თუმანი ვა-

ლი არგუნეს... ის დალოცვილი დადის და ვარშავულად ჰფიქრობს გააკეთოს ბალები. მალმალ მეტყვის „პოვარშავსკელო“... აი გუშინ მომცა მაკრატელი, ამითი ხეები დაკვეცო; აბა, კაკალი როგორ დავკვეცო?“ ბეგლარ და მიხეილი („დავა“) ივანეზე მალლა სდგანან. პირველს შეუძლიან, თუმცა ხამია, ჩახედოს მიმდინარე ცხოვრების გარემოებას. მიხეილი კი საქმიანია და შეუძლია ცხოვრებას შეებრძოლოს. ამირინდოს "და

- 63 -

ონოფრეს შუა ჩხუბი მან გაანელა, თვით პოეტს, ბეგლარსაც საყვარელი მის წყალობით გაურიგდა. ხასიათის სიმტკიცე საერთოდ აკლიათ. მამების საქციელს ჰკიცხავენ, თვითონ კი არ თაკილობენ მამებისავე მოთხოვნილებით ქრთამები წაუღონ ვეჭილებს. ამგვარია ძველი და ახალი თაობა თავადაზნაურობისა.

ნათლად და დაუზოგველად გამოყვანილია ვაჭრები ანუ, უკეთ ვთქვათ, ჩარჩები და ქვეყნის-ჭამიები. ესენი ემსახურებიან ოქროს ხბოს; ობობასავით დღე და ღამე ქსელს აბამენ და ხლართავენ ყველას, ვისგანაც რისამე გამოწუწუნა შეუძლიანთ. მსხვერპლის ხელში ჩასაგდებად ისინი ცდილობენ ჯერ ნდობა და მეგობრობა მოიპოვონ. სადაც საჭიროა, როგორც მიკირტუმ გასპარიჩ („გაყრაში“), კიდევ ოხუნჯობს, ართობს თავის მსხვერპლს. საჭირო ხალხთან პურ-ღვინოს არ იშურებს, ფულსაც აძლევს. „ხაზეინ-მაზეინობა სულ ფუჭი! ეს სოფელმა სულ ფული, ფული, ფული!“ აი მისი აზრი. იმისი სარგებელი სამი შაური, თუ გაჭირდა „კუზუნ პროცენტსაც“ სჯერდება. იგინი ბანკის წინააღმდეგნი არიან. „ოჰ, კნიაზჯან, ბანკი! ჩემმა მზემ, მანამ აიღებ, ჭლექი მოგივა“, – ეუბნება მიკირტუმს თავადს ივანეს, – „ერთი წელიწადი სწერა ჩვენი იუანემ; რამდენიც ოპისი ქნა, იმდენი დაუწუნეს, მერე ბრაზი მოუვიდა, დახია. ვა, დავიდარაბას გახდიან, თუ ვინ მოგცა ყმა, რა ყმები, გვაჩვენეო. ჩვენი ფული სჯობიან, კნიაზის მზემ! ვთქვათ, რომ აიღე, ასტროჩიტ რომ იქ, ერთ ნიმუტში ტრანქ, ჩაქუჩი დაჰკრამენ, ყმა ტორგში იქმონენ. ვაა, ჩვენ უსტუპიტს ვიზამთ...“ ზოგი ამ მოვახშეთაგანი, როგორც კარაპეტ დაბალოვი (კომ. „ძუნწი“), ადამიანურის გრძნობის უქონელი და საზიზღარი გამხდარა.

გ. ერისთავის კომედიებით შეიძლება გაიცნოთ მართლმსაჯულების წარმოება ანგაარის და მიმკერძველის ძველი დროისა. როცა ვხედავთ აქ სტრიაპჩებს, სეკრეტრებს, თარჯიმნებს, სამოქალაქო და სამხედრო გენერლებს (კომ. „თევზის კანტო-

- 64 -

რა“), დააფასებთ ღირსებისამებრ ძველის მართლმსაჯულების წარმომადგენელთ. ყველა უმეცარია თავის საქმისა და გული უცემს მხოლოდ ქრთამის გამორთმევისთვის; ერთნაირად ქრთამს ართმევს მტყუანს და მართალს, ხშირად ორსავე ერთად, როგორც მოიქცევა სოვეტნიკი ფონვიზინის კომედიაში („ბრიგადიოი“). ვისაც შეუძლიან „აბრუნდის“ მოხერხება, იგი ყვლეფავს „კანონიერის საფუძვლით“, – გვარწმუნებს ხარიტონ ფილიპიჩი.

ბიუროკრატიის წარმომადგენლებს მოსდევენ მეორე ხარისხოვანი ტიპები, რომელნიც იმავე ხელოვნებით დასურათებულნი არიან. ასეთია ტიპები მსახურთა: ცბიერის და მახვილგონიერის იმერელის და გაიძვერა მოურავისა. მომქმედს ქალებში, რომელნიც ავტორს საერთოდ მეორე „პლანზე“ დაუყენებია, საუკეთესოდ დაუხატავს ძველის ქართულის ოჯახის მეგობარი – გამდელი. ქალები, თითემის სუყველანი ჯერ კიდევ ჩადრს ატარებენ და თხოვდებიან მშობლების ნებით. გამდლები, ოჯახის ერთგულნი და თავიანთებურად დამფასებელნი ზნეობის და პატიოსნებისა, ეწინააღმდეგებიან ქალების ინსტიტუტში გაზრდას. მათ აზრით, ქალების ინსტიტუტში მიბარება მავნებელია მით, რომ სწავლობენ მიჯნურობას, სააშიყოლექსების წერას და კავალრების ტრფიალებას. გამდელი („დავაში“), ისე დასტირის ნინოს, როგორც მკვდარსა, როცა შეიტყო, ნინოს საქმრო მგოსნისაგან ლექსები მოუვიდაო. ასეთის თავზე ხელაღებულის დანაშაულისთვის გრძნობიერს საპატარძლოსა, მისავე გამდლის ინიციატივით, კიდევ დაამწყვდევენ კლიტულში და მხოლოდ ძმის მეოხებით ათავისუფლებენ დამწყვდევისაგან. მეორე დამახასიათებელს გამდლების თვისებას შეადგენს ერთმანერთის სიძულილი. ბეგლარის გამდელი და მის საცოლოს გამდელი გულით და სულით გადაჰკიდებიან ერთმანერთს და ეს სიძულილი მათ მახლობელს პირებზედაც გადააქვთ. მაგალითად, ბეგლარის გამდელი არა თუ მის საცოლოს გამდელს, თვითონ საცოლოსაც კი მტრობს.

- 65 -

თუ დაუჯერეთ, ნინოს ზემო ტუჩიც მოკლე აქვს და თავის დაჭერაც არ იცის. მერმე ისეთი ურცხვია თურმე, რომ ვინც უნდა მივიდესს კაცებთანაც „ფეხზე ფეხს შემოიდებს“.

კნეინებში პოეტმა უფრო მოახერხა მაკრინეს ტიპის დახატვა. კნეინა მაკრინე წარმოადგენს განხორციელებულს ეშმაკობას და ცბიერებას, გამრჯე დედაკაცსა მაშინ როცა მისი ქმარი ხეპრეა, ძაღლების გიჟი. მის მოქმედებას თან ახლავს

ძალა და ცხოვრების სიმართლე. მისი ქმარი იმ აზრისაა, რომ იგი ევაზე უფრო ჭკვიანი არის, და დარწმუნებულია, თამარ მეფის დროს რომ ეცხოვრა, ვეზირობას მისცემდნენ. ძმებთან გაყრის საქმეში იგი ამხნეებს ქმარს, რომ მეტი მოეგდო ხელში: „არ დაანებო, თორემ ლეჩაქს დაგხურავო“. ტასო („შემოღობი“) და ნინო („დავაში“). პირველნი აცხადებენ ჩვენს საზოგადოებაში სიყვარულის თავისუფლებას, ქალის და კაცის თანასწორობას, მაგრამ იგინი ჯერ სუსტნი არიან, რომ შეებრძოლონ მოწინააღმდეგეებს.

ამგვარად დაასურათა გ. ერისთავმა თანამედროვე საზოგადოება, რომელსაც ჯერ ისევ ბატონ-ყმობა ასულდგმულებდა. ამ დროს მიღებული იყო ჩინური საღამი, გულის გაზომვა, შელოცვა, ქალების დაუკითხავად გათხოვება, მათ პატიოსნების დამფარველი ჩადრი. სომხის ვაჭრები ის-ის იყო იჩეკებოდნენ. ხასიათების და ნაკლულევანების აღწერაში გ. ერისთავმა დიდი ნიჭი გამოიჩინა, თუმცა პირველის ნაბიჯისაგან განუმორებელი მრავალ-სიტყვაობა ვერ აიციდინა. მან დაგვიტოვა ოთხი სრული კომედია: „გაყრა“, „დავა“, „ძუნწი!“ და „უჩინ-მაჩინის ქუდი“, ერთი დაუსრულებელი: „თევზის კანტორა“, ორი გადმოკეთებული პიესა: „თილისმის ხანი“ და „ყვარყვარე ათაბაგი“ და ნაწყვეტი თარგმანი გრიბოედოვის კომედიისა „უბედური ჭკუისაგან“ *).

*) გ. ერისთავს თეატრის რეპერტუარის შექმნაში მიეშველნენ: ჯაფარიძე, მეიფარიანი, დვანაძე და მეტადრე ზურაბ ანტონოვი (დაიბადა

– 66 –

დანელი ჭონქაძე

(1830—1860)

დანელი ჭონქაძე დაიბადა 1830 წ., სოფ. ყვავილში (დუშეთის მაზრა). ჩამომავლობით იგი იყო გლეხი; მის მამას გიორგის მიეღო ნათლისმცემლის მონასტერში განათლება და შემდეგ მღვდლად განწესებულიყო – მისსიონერად ოსეთის სასულიერო კომისიაში. შვიდს წლამდის დანიელი ცხოვრობდა სამშობლო სოფელს ყვავილში თავის კეთილის დედის მელანის ზედამხედველობის ქვეშ. ამ დროს გიორგი მღვდელი, დანიელის მამა, გადიყვანეს კავკავს და აქ მიაბარეს ცხრა წლის ბავშვი სასულიერო სასწავლებელში. ბუნებით ნიჭიერმა დანი-

ელმა სამაგალითოდ დაამთავრა კავკავის სასწავლებელი (1845 წ.) და ტფილისის სემინარია (1851 წ.). რადგანაც დანიელმა მშვენივრად იცოდა ოსური ენა, სემინარიის გათავებისთანავე დაინიშნა ოსურის ენის მასწავლებლად სტავროპოლის სემინარიაში, ხოლო 1855 წ. იმავე საგნის მასწავლებლად იქნა გადმოყვანილი ტფილისის სემინარიაში. აქ გადმოსვლისთანავე მას დიდი უბედურება ეწია: მოუკვდა მეუღლე, რომელიც მან სტავროპოლში შეირთო, და დარჩა ერთი ვაჟიშვილი. მისი ნივთიერი მდგომარეობა არ იყო უზრუნველყოფილი და ამიტომ იძულებული შეიქმნა ეძია სხვა სამსახურიც. ოსურის ენის ცოდნამ გაუხსნა კარები სინოდის კანტორაში და 1859 წ. დაინიშნა აქ სტოლის უფროსად. მას დაავალეს საეკლესიო წიგნების ოსურს ენაზე გადათარგმნა. შეუდგა კიდევ ამ საქმეს და კურთხევანი გადათარგმნა; დაიწყო რუსულ-ოსურის ლე-

1820 წ., მოკვდა 1854 წ.). ამის კომედიებს: „მზის დაბნელება“, „მე მინდა კნენა გავხდე“, „ქოროლი“, „ტივით მოგზაურობა“ და სხ. აქამდისაც მნიშვნელობა არ დაუკარგავთ.

- 67 -

ქსიკონის შედგენა და შეჰკრიბა ოსური ანდაზები, რომელიც წარუდგინა აკადემიკოსს შიფნერს. ამავე დროს დასწერა უკვდავი მოთხრობა „სურამის ციხე“, რომელშიაც პირველად დაგმოხილია ბატონ-ყმური წესწყობილება. მეტმა ჯაფამ გასტეხა ახალგაზდა დანიელი და 1860 წ. 16 ივნისს იგი გარდაიცვალა ჭლექისაგან. დასაფლავებულია ვერის სასაფლაოზე თავის ცოლის გვერდით.

როგორ ჩაესახა და განახორციელა დანიელ ჭონქაძემ გალაშქრება ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, აქამდის გამოურკვეველია. მაშინდელი მწერლობა (ჟურნ. „ცისკარი“) ან არ ეხებოდა ამ წესწყობილებას, ან ასურათებდნენ მას როგორც მამა შვილურს განწყობილებას (ალ. ორბელიანი). დ. ჭონქაძე, გაზრდილი ქართლში და პატარაობითვე მნახველი ხალხის აუტანელის მდგომარეობისა, ჰბედავს განმარტოებით გამოვიდეს მონობის გამკიცხველად. 1859 წ. „ცისკარში“ (უკანასკნელს წიგნში) დაიბეჭდა: „სურამის ციხის“ პირველი ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი მოაქციეს პირველს ნომერში 1860 წ. ამით იწყება ახალი ხანა ქართულის მწერლობისა საზოგადოებრივის უსწორმასწორობის წინააღმდეგ. მოთხრობამ გამოიწვია დიდი მითქმა-მოთქმა და ააღელვა ყმების ბატონები.

„სურამის ციხე“ აგებულია იმ ძველად ყველგან გავრცელებულს რწმენაზე, რომ დიდის შენობის დასამთავრებლად საჭირო იყო ცოცხალის კაცის კედელში ჩატანება. იმ ლეგენდით, რომელიც მოგვითხრობს დედის-ერთა ზურაბის სურამის

ციხეში დატანებაზე, ისარგებლა დ. ჭონქაძემ თავის მოთხოვნის ქარგის მოსაწყობლად, როგორც გარეგანის მორთულობით. შინაარსი გადაიტანა განგებ საშუალო საუკუნოების სიბნელეში, რომ თანამედროვე საზოგადოებას და ცენზურას არ დაებრკობინათ ამ ბატონ-ყმობის გამკიცხავის თხოვნების დაბეჭვდა. ძველს ლეგენდას მოახვია თავის დროის გამწვავებულის ურთიერთობის დაგმობა. რა სახით არსებობდა გადმოცემა, ჩვენ ნამდვილად არ ვიცით, ეს კია, რომ დურმიშხანის მოქმედება ნა-

- 68 -

ძალადევით გადატანილია საშუალო საუკუნეებში: მისი ცხოვრების ამბავი ეკუთნის ავტორს და სურათია თანამედროვე საზოგადოებისა.

თვით მოთხოვნის აგებულება გვაგონებს იტალიელის მწერლის ბოკაჩოს დეკამერონს იმ მხრით, რომ ახალგაზდა ქართველები იკრიბებიან რიყეზე ანჩისხატის ჩასწვრივ, დროს ატარებენ მხიარულად და მორიგობით უამბობენ ერთმანერთს რასმე საქართველოს ცხოვრებიდან. ერთს საღამოს ლაპარაკი ჩამოვარდა სურამის ციხეზე და მასთან დაკავშირებულს გადმოცემაზე.

ერთხელ საქართველოს ახდება ომი ოსმალეთთან. ქვეყნის დასაცავად მეფისაგან ნაბრძანებია სურამის ციხის აგება. შეუდგებიან კიდეც ამ საქმეს, მაგრამ ციხის კედლების ამოყვანა არ ხერხდება, რადგან აშენებისათანავე ინგრევიან. ავლაბრელს მკითხავს ვარდუას აკითხვინებენ და ის ურჩევს კედელში ჩაატანონ სურამელის სოგდაგრის დურმიშხანის დედის ერთა ვაჟი ზურაბი. მკითხავის რჩევისამებრ, ზურაბი ცოცხლად ჩაატანეს კედელს და ციხე აშენდა. მკითხავი ვარდუა ამით შურს უგებს დურმიშხანს, რომელმაც ის მოატყუა და სხვა მდიდარს საცოლეზე გასცვალა. ეს არის კვანძი მოთხოვნისა, რომელსაც დართული აქვს მეორე არაკიც – ოსმან-აღას თავგადასავალი. დურმიშხანი და ოსმან -აღა ნაყმევნი არიან და შემთხვევით დამეგობრდებიან. დურმიშხან წამალაძე იყო წერეთლიანთ გოგოს ერთად-ერთი შვილი. დედა-მისი მოეწონა თვრამეტის წლის წერეთლის ვაჟს და იმის შემდეგ გაჩნდა დურმიშხანი, რომელიც იზრდებოდა წერეთლის შინა-ყმად. ერთხელ წერეთელს ეწვია სტუმრად მუხრან-ბატონი. ამან მოიწონა დურმიშხანი. წერეთელმაც აჩუქა მას დურმიშხანი და მეორე დღეს გამოაყოლეს იგი ახალს ბატონს. დედამ ვერ გაუძლო შვილის მოშორებას და ერთის წლის შემდეგ დაღია სული. „იმერლის ბიჭმა“ ქართლში ბევრი წვალეა გამოიარა, მოითმინა ყოველგვარი დამცირება და მწუხარება. მეგობარი

და თანამგრძობი მან იპოვა ლამაზს მოსამსახურე გოგოს ვარდოში (გულის-ვარდში), რომელსაც ისე დაუახლოვდა, რომ ცოლ-ქმრობის პირობაც მისცეს ერთმანერთს. ქორწილი გადასდეს ჯერ იმიტომ, რომ თავისუფლები არ იყვნენ. შემდეგ, როცა დურმიშხანს ვარდომ მოუპოვა თავისუფლება, იგი წავიდა ფულის საშოვნელად, რადგან იმის მეტი რაც ზედ ეცვათ, არა ჰქონდათ, რა. შორიდან სამის წლის განმავლობაში დურმიშხან წერილებით არ ივიწყებს ვარდოს, რომლის გული უცვლელად სცემს გარდახვეწილის სატრფოსთვის. ბოლოს ვარდოს ქალბატონს, მოუვა წერილი, რომელშიც დურმიშხან ატყობინებს, რომ შეირთო ცოლი და თავის დანიშნულსაც უსურვებს კარგს საქმროს. ამ ცნობამ წაართვა გრძნობა ვარდოს და, როცა გონზედ მოვიდა, დაეთხოვა ქალბატონს, წამოვიდა ტფილისს და მკითხავობა შეისწავლა.

დურმიშხანი რომ მუხრან-ბატონის სახლიდან წამოვიდა, გზაში გაეცნო ოსმალურად ჩაცმულს კაცს, რომელსაც სახელად ერქვა ოსმან-აღა. ამის მამაც ქართლელის ბატონის ყმა იყო. სამნე ურემმა დაიტანა ეს სოფელში თავმომწონე და შეძლებული გლეხი და ამის სიკვდილის შემდეგ მის ოჯახიც დაიქცა. ბატონმა ჯერ ვენახი წაართვა მის ქვრივს, მერე ხარ-კამეჩი და შემდეგ გადიყვანა ქალ-ვაჟით შინა-მოსამსახურედ. მაშინ ოსმან-აღას ერქვა ნოდარ. ხუთი წელიწადი გაატარეს ასე ბატონის სახლში. ერთხელ ბატონს ეწვია კახელი მღვდელი და იმას მიჰყიდა ნოდარ თავის დით ულმოხელმა მებატონემ. დედის ცრემლმა ვერც ეხლა მოსტეხა ბატონი, როგორც წინათ მის ოჯახის აწიოკების დროს. ბატონის გადაწყვეტილება უცვლელი იყო. ამიტომ ღამით დედა თავის ქალ-ვაჟით გაიპარა ტფილისს, დაირქვა სომხობა და დაიწყო წვალეებით ცხოვრება. ქალიც სომეხს მიათხოვა. შიშით, რომ მისი ვინაობა არავის გაეგო, ვერ ჰბედავდა ქართველების ეკლესიაში ზიარებას. ბოლოს ხუთის წლის შემდეგ მარიამობის მარხვაში ქვრივი გაენდო მღვდელს და უამბო თავგადასავალი. მალე დაე-

სხნენ მას ბატონის კაცები და გაირეკეს ბატონთან. ამან საშინლად დასაჯა დედა და შვილი. დაადგეს ხარის უღელი კისერზე და შეაბეს გუთანში, მაგრამ ეს სასჯელი ბატონმა ჰპოვა სუბუქად, რადგან ხარები ნელა დადიოდნენ. ამიტომ მეორე დღეს შეაბა კევრში და თითონ გარეკა. დედამ ათჯერ შემოურბინა კალოს, მეთერთმეტე შემოვლაზე კი დაეცა და

სული განუტევა. ნოდარმა მოითმინა ეს დედის შეურაცხყოფა და ტანჯვა, სამი წელიწადი კიდეც ემსახურა ბატონს და, როცა ნამუსი ახადა მის საცოლოს ნატოს, მოჰკლა ხანჯლით ჯერ ბატონი, შემდეგ მისი ცოლი და პატარა შვილი. თითონ გაიქცა და მდევნელთავე რჩევით გადავიდა ახალციხეს, სადაც მიიღო თათრის რჯული.

შემდეგ ოსმან-აღა წავიდა სტამბოლს, შევიდა იანიჩარის ჯარში, გაითქვა მამაცობის სახელი და შეიქმნა ასისტავად. მაგრამ მობეზრდა მას ჯარში ყოფნა, რადგანაც სინიდისი აწუხებდა, რომ მოჰკლა ბატონის უდანაშაულო ბავშვი და გადუდგა ქრისტეს. ამიტომ ჯავრის გასაქარვებლად იგი ანებებს თავს ასისტავობას, შეუდგება ქრისტეს, იწყებს ვაჭრობას და იძენს დიდს შეძლებას. ამ გამდიდრებულს ოსმან-აღას ახალციხის გზაზე შეხვდება დურმიშხანი, უამბობენ ერთმანერთს თავიანთ თავგადასავალს და დამეგობრდებიან. დურმიშხანი გახდება იმის თანაშემწედ ვაჭრობის წარმოებაში და ისე შეაყვარებს თავს, რომ თავის მემკვიდრედაც მიიღებს. დურმიშხანმა ქონება შეიძინა, ბატონ-ყმური დამოკიდებულება უფრო შეიძულა, მაგრამ ანგარებას კეთილი თავის მისწრაფებანი შესწირა. დაივიწყა სატრფო ვარდუა და-ოსმან-აღას მიერ სურამში არჩეული ერთის გაკეთებულის გლეხის ქალი შეერთო. შემდეგ გაჰყვა ოსმან-აღას სტამბოლს და იქ იმის სარჩო ჩაიბარა. გააფთრებულმა ოსმალებმა რჯულის გამოცვლისათვის სიკვდილით დასაჯეს ოსმან-აღა. დურმიშხანი კი არხეინად დაბრუნდება სამშობლოში გამდიდრებული. დურმიშხანს მიეცემა შვილი ზურაბი, რომელიც ახნაურს მონათვლინა,

- 71 -

რათა დიდკაცებს დაახლოვებოდა. ამაცობს თავის ყოფა-ცხოვრებით, მაგრამ მის გულმოკლულის საცოლოს ვარდუას შურისძიებამ ძირი გამოუთხარა მის ბედნიერებას. ვარდუამ ტფილისში სახელი გაითქვა გამოჩენილის მკითხავისა, და ისიც, როცა მეფის ვეზირი ეკითხება, რა საშუალებით შეიძლება სურამის ციხის კედლების გამაგრებაო, ურჩევს დურმიშხანის შვილის ცოცხლად შენობაში ჩატანებას. დურმიშხანი სავაჭრო საქმეზე იყო წასული, როცა ზურაბი ხელ-შეკრული ციხის კედელს დაატანეს. საწყალი დედა მწუხარებისაგან ჰკუაზე შესცდა და დურმიშხანს ვედარ ჩააბარა მშვიდობით საყვარელი შვილი. დურმიშხანი გააფთრებული წამოვა ტფილისს. აქ უჩვენებენ ცნობილს მკითხავს ვარდუას. ვარდუამ არ დაუმალა, რომ მან ურჩია ზურაბის კედელში ჩატანება. დურმიშხანმა ვერ იცნო ვარდუა, ვიდრე მან არ უთხრა: „დურმიშხან, აბა შემომხედე, ვერ მიცნობ? შენ მომიკალ გული, მე

მოგიკალ შვილი. ახლა გავსწორდით“. რამდენსამე საათს უკან, აბოლოებს ავტორი, მოსამსახურეთ ეპოვნათ ისინი მკვდარნი, მიწოლილნი ტახტზე.

ამ პატარა მოთხრობაში აღძრულია ფრიად დიდი საკითხი – ბატონ-ყმობის სიმკაცრესა და უსამართლობაზე. ბატონები თავიანთ ყმას ჰყიდიან, საჩუქრად აძლევენ, მათ ქალებს ნამუსს ხდიან; მათ თვითნებობა იქამდის მიდის, რომ პირუტყვის საქმეს ატვირთებენ, გუთანში და კალოში აბამენ, სახრით და დამცირებით მათ სიყვარულის მოპოებას ქადულობენ. დ. ჭონქაძის სამსახური იმაში გამოიხატება, რომ მან პირველად აღძრა საკითხი ქართულს სიტყვაკაზმულს მწერლობაში ბატონ-ყმობის უკიდურესობაზე და საზოგადოებაში გავრცელა აზრი მის მოსპობის აუცილებლობაზე. ამგვარი საკითხი უკვე ირკვეოდა რუსულს ჟურნალ-გაზეთობაში და შესაძლოა ამის გავლენით შეითვისა ჩვენმა ბელეტრისტმა ეს დიდებული მისწრაფება. მარტივის ენით. დასწერა თავის მოთხრობა და ჩაუყარა საძირკველი იმ სტილს, რომელიც შემდეგ მკა-

- 72 -

ფიოდ გამოირკვა. თვით „სურამის ციხის“ დამწერს ვერ შეძლებია ხალხური კილო გაემეფებინა, მაგრამ დასაწყისი კი ამ კილოსი მას ეკუთნის. ცოტა არ იყოს ავნო ამ მოთხრობის ხელოვნურად შექმნას იმ გარემოებამაც, რომ ავტორმა მოინდომა ძველის და ახალის დროის შეერთება და შედუღება. მაგრამ საჭირობოროტო საგანი – ბატონ-ყმობის დაგმობა – მაინც სავსებით შეძლო და გზა გაუხსნა მესამოცე წლების მოღვაწეებს უფრო თამამათ გამოელაშქრათ დამაბუნებულის საზოგადოების წესწყობილების წინააღმდეგ.

ლავრენტი არდაზიანი

(1818—1870)

ლავრენტი არდაზიანი დაიბადა ტფილისში 1818 წ. ჩამომავლობით ეკუთნოდა სასულიერო წოდებას. განათლება მიიღო ტფილისის სასულიერო სემინარიაში და შემდეგ იმსახურა სახაზინო პალატაში. იყო ნიჭით დაჯილდოვებული და შრომის მოყვარე კაცი. თავისუფალს დროს სწირავდა მწერლობას. გადაიცვალა ანთებით 1870 წ.

ლავრენტი არდაზიანი ეკუთნის იმ პირთა წრეს, რომელთაც თავს იდევს „ცისკრის“ გამოცემა მას შემდეგ, რაც გ.

ერისთავმა მიატოვა იგი. 1857 წ. შესდგა ივანე კერესელიძის მეთაურობით ახალი რედაქცია და მის წევრებად შეიქმნენ, სხვათა შორის, ლ. არდაზიანი, გრ. რჩეულიშვილი და მიხ. თუმანიშვილი. ამ წელს არდაზიანი დაბეჭდა „ცისკარში“ თავისი თარგმანი პროზად შექსპირის ტრაგედიისა „ჰამლეტი“. ამავე ჟურნალში გასცა პასუხი ბერძენოვს, რომელმაც გაზ. „კავკაზში“ სასტიკი კრიტიკული წერილი უძღვნა „ცისკარს“ ნომრებს. არდაზიანი, სხვათა შორის, ამ საპასუხო წერილში ამბობს: „ჩვენ, ქართველებს, მამებისაგან არა გვისწავლია რა, სხვას არა უსწავლებია რა ჩვენთვის; წიგნები

- 73 -

არ დაგრჩენია, რომ გვესწავლა. სითგანდა უნდა ვიცოდეთ წიგნი, წერა!.. ხედავთ, როგორ ხალხი სასწრაფოდ გასწავლდა თავის თავად!“ ლ. არდაზიანი მართალს გვაუწყებს. „წიგნი, წერა“ მან და მისმა ამხანაგებმა ისწავლეს თავისთავად, წაუბაძველად, თავიანთ ბუნებითის ნიჭის ზემთაგონების წყალობით. მისი მოთხრობა „სოლომონ მეჯღანუაშვილი“ სწორედ ამგვარს ნაწარმოებს წარმოადგენს. იგი პირველად დაიბეჭდა „ცისკარში“ (1861. წ.) და შემდეგ ივ. კერესელიძემ გამოსცა ცალკე წიგნად. მოთხრობა შეეხება ფრიად საყურადღებო საგანს, და მეტად თვალსაჩინო ხანას. ეს ის დრო იყო, როცა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა იკიდებდა ფეხს ფეოდალიზმის და ნატურალურის წარმოების ნანგრევებზე. ამ მოთხრობაში არდაზიანი დაგვიხატა გამდიდრებულის კლასის იმ პირთაგანი, რომელთაც ცხოვრების სათავეში ერთი ხელსახოცის მეტი არა ჰქონდათ რა და ამ უკიდურესის სიღატაკიდან წვალებით და გაიძვერობით ასკუპდნენ უმაღლესს საფეხურზე. სოლომონ მეჯღანეს შვილია, დაიბადა და აღიზარდა სიღარიბეში, სძლია სიმწარეს და დამცირებას, ამოცურდა იმდენად მაღლა ფულის შემწეობით, რომ მის წინაშე ქედს იხრიან წარსულთა დროთა დიდებულნი და წარჩინებულნი. არდაზიანის მოთხრობა სავსეა ამგვარის ცოცხალის სურათებით. ამ პატარა მოთხრობაში ვხედავთ ქოსა დალაქს, „წიპლონკა დესეტნიკს“, გლეხის დამოკიდებულებას ფულიანებთან, თავადების შურისძიებას, სასამართლოების უსამართლობას, უპატრონო ახალგაზდა ქალის მდგომარეობას.

„სოლომონ მეჯღანუაშვილი“ სატირა-დაცინვაა, გულკეთილი გაკიცხვაა მაშინდელის საზოგადოებისა. ეს საზოგადოება ვორონცოვის დროისა გატაცებული იყო ახალის მოდიით, ოპერებით, გარეგანის წაბაძვით ევროპულის და რუსულის კულტურისა. ეს ის დრო იყო, როცა ქალებმა ჩადრი მოიხადეს და ქოშების მაგივრად „ბაშმაკი“ ჩაიცვეს, დაბრუნ-

დნენ რუსეთიდან უმაღლესის განათლებით ახალგაზდა კაცები

- 74 -

იმ აზრით, რომ მამულისთვის კარგად მოეწოდოთ და მათ გვერდით აზნევენ ბანკიდან აღებულს ფულებს სოფლიდან ჩამოსული მებატონეები და საცოლოებს ეძებდნენ გამდიდრებულის მევახშის ოჯახებში. ამ საზოგადოების სურათი ერთის მხრით დაგვიტოვა გ. ერისთავმა თავის კომედიებში და მეორე მხრით ლ. არდაზიანმა მოთხრობაში „სოლომონ მეჯღანუაშვილი“. ეს მოთხრობა შესანიშნავია როგორც შინაარსით, ისე გარეგანის ფორმით. ავტორი სოლომონის პირით მოგვითხრობს თავის გმირის თავგადასავალს, რომელსაც იგი უამბობს თავის მეგობარს ოპანეხას. გამომეტყველი ენა, რომელიც ცოტა რუსიციზმებით აჭრელებულია, სიმარტივე და ძალდაუტანებლობა, წინააღმდეგ თანამედროვე მაღალფრაზიანის და დამველებულის ენისა, შეადგენს მოთხრობის თვალსაჩინო ღირსებას იმდენადვე, რამდენადაც უკვე, ავნიშნეთ დ. ჭონქაძის მოღვაწეობაში.

„სახელი ჩემი სოლომონ, გვარი მეჯღანუაშვილი“, – ასე იწყებს მოთხრობის გმირი თავის ამბავს. რაც თავი ახსოვს, მას აქეთ ცდილობს ეს სათაკილო გვარი როგორმე შესცვალოს. პირველად უნდოდა რუსული დაბოლოება მიეცა: მეჯღანუევ, მეჯღანუინ, მეჯღანუენსკი, მაგრამ სიტყვა „ჯღანი“ უცვლელად რჩებოდა. ვერც გადათარგმნა მოახერხა „ჯღანი-სა“ და შერჩა გვარი მეჯღანუაშვილი. ასე იწყებს თავის ავტობიოგრაფიას სოლომონ ისაკიჩი. დაიბადა იგი ტფილისში ციხის უბანში, ღარიბს ქოხში ანუ უკეთ სოროში 1800 წ. ერთის წლისა რომ შეიქმნა, მოუკვდა მამა და დარჩა დედას თექვსმეტის წლის გაიანეს, ყოველს საშუალებას მოკლებულს. ქმარმა დაუტოვა ქვრივს მეუღლეს ზემოდ-მოხსენებული ქოხი, დამსხვრეული ტახტი, ერთი დაგლეჯილი ფარდაგი და ერთი ხალიჩა. ლამაზს ქვრივს გაიანეს გამოუჩნდნენ მოტრფიალენი: ბაყალი გეო და მეწვრიმალე გასპარ. თუმცა მაჭანკალიც ბევრს ეცადა, საჭმელი და ხილი ბევრი უგზავნეს, მაინც გაიანემ ორსავე საეჭვო საქმროს უარი უთხრა და შეაფარა თავი კნეინა

- 75 -

დარეჯან რაინდიძის სახლში. გულკეთილმა კნეინამ გაიანეს ასწავლა ხელსაქმე, ხოლო სოლომონი მიაზარა სასწავლებლად მღვდელს და თითონ წვრთნიდა ყოფაქცევაში და აკითხებდა „ვეფხის ტყაოსანს“. 1817 წ. გარდაიცვალა კნეინა, სამის დღის შემდეგ მოკვდა სოლომონის დედაც, მალე დაბრუნდა რუსეთი-

დან მაიორის ჩინით ლუარსაბი. სოლომონმა ამასთან დაჰყო ერთი წელიწადი, შემდეგ დასტოვა თავადის ოჯახი და წავიდა ტფილისის თავის მამის ქობის საძებნელად. წამოსვლისას ლუარსაბმა აჩუქა ხუთი მანეთი. ეს ხუთი მნეთი სოლომონმა საეჭვო უცხო ამხანაგებთან ღვინის სმაში გაფლანგა და ლუკმა-პურის მოსაპოებლად დაიწყო დალალობა-ჩარჩობა. დამე ეძინა მამის ნესტიან ქობში. აქ შეიტყო მეზობლებისაგან, რომ ვითომ გაიანე ვაჟით წყალში დაიხეჩო. მეორე დღეს ამ ჭორის მთქმელი მოხუცი დედაკაცი გარდაიცვალა. მისმა შვილმა სოლომონს დასდო ამაში ბრალი და პასუხის გებაში მისცა. სოლომონმა ციხეში დატყვევებისაგან თავი როგორღაც იხსნა, თუმცა „დესეტნიკების“ მომადლიერება ვერაფრით შესძლო. სულ ტამდენისავე მანეთით დაიწყო ვაჭრობა. ყიდულობდა ბატკნებს, ვარიებს, ნესვ-საზამთროს, ხილს სოფლის კაცებისაგან და მოგებით ასაღებდა ქალაქში. ზაფხულობით სცხოვრობდა თ. ლუარსაბის მამულში. კარგი საჩუქარი უბოძა სოლომონს ლუარსაბმა, როცა მას დაეზადა ვაჟი ალექსანდრე. სოლომონმა 50 მანეთის ფრინველი იყიდა და წამოვიდა ტფილისის. მოგებამ იმატა; შეძენილი ფული სარგებლიანად გაასესხა და ხელში დაიჭირა ქართლი და კახეთი. ბევრს იტანჯა ტახტის ქვეშ ორმოში ჩაფლულის ოქროების გამო. შური იძია მდიდარს გასპარაზე, რომელსაც ოდესღაც თვალი ეჭირა მის განსვენებულს დედაზე, აყიდვინა საზარალოდ აბრეშუმი და გააკოტრა. მაგრამ მისი ოჯახი შეიბრალა და ტერტერას შუამავლობით გადასცა 6000 მან. მზითვად თავის მოქიშპის ქალებს. სინიდიანიობა და სამართლიანიობა გამუდმებულს ტყუილზედ გაყიდა. ის ხელმძღვანელობს ვისღაც ნათქვამით:

– 76 –

„კტუ ნა სვეტა ჩესნი ბუდით, ბუდით ნასით ხლება გუდით“. ბოლოს შეირთო მოტყუებით გონჯი დალაქის ქალი სოფიო, რომლის მაგივრადაც უჩვენეს მეზობლის თვალწარმტაცი ქალი. გავიდა ხანი, მისი ვაჟი ისაკი გიმნაზიაში სწავლობს, გაუჩნდა ქალიც – თამარი. მთელის ქართლის სოფლები მისი მოვალენი გახდნენ. ფული ბევრი აქვს ხურჯინში, მაგრამ ჯერ ისევ ქობში სცხოვრობს, ცოლი საპონს ჰყიდის, ქალი წუმწუმას. ერთხელ, როცა ოჯახი გარედ გაიგულა, სოლომონმა დაითვალა ფულები, იანგარიშა თავის შეძლება და აღმოუჩნდა 800.000 მან. ახლა კი იყიდა სახლი, მორთო ახალმოდურად, თითონ გადიქვა ჯენტლმენად, ცოლი მისი ქალბატონად. პირველად მიეალერსება თავის თექვსმეტის წლის ქალს და უტყვეს მეუღლეს.

სოლომონი ცოლ- შვილით დაიარება თეატრში, მართავს

წვეულობებს, მაგრამ გემოვნება აკლია მის სახლების მდიდრულს მოწყობილებას, ქალის ძვირფასს ჩაცმა-დახურვას, იტალიურის მუსიკის შეგნებას. მის მეუღლეს, სოფიოს, განუზრახავს მიათხოვოს თავის ქალი განათლებულს თავადს ალექსანდრე რაინდიძეს და მოისყიდოს სასიძო კარგის მზითევით. ალექსანდრე, რომელმაც სოლომონს თავის მამის ვალი გადაუხადა (4730 მანეთი, შემდგარი როდესაც აღებული 300 მანეთიდან), უპირატესობას აძლევს კნიაჟნა არაგვლიშვილისას, გადასახლება თავის ახალგაზდა ცოლით სოფლად, რადგან სოლომონის შვილმა, ისაკმა უკვე უნივერსიტეტში კურსდამთავრებულმა, დაასწრო ბატონიშვილს ადგილის დაჭერა სამსახურში. სოლომონმა ვერ აიტანა თავის ქალის ქორწილის ჩაფუშვა და დიდის ხნის ავადმყოფობის შემდეგ სული განუტევა.

ასე დაამთავრა თავის ცხოვრება გამდიდრებულმა მეხილემ, რომელიც ოქროს აღმერთებდა და მის მოსაპოვებლად იმდენჯერ ტყუილად იფიცავდა, რამდენჯერაც ცხვირს, იხიცავდა. ხოლო რაინდიძე დასურათებული ჰყავს ავტორს, როგორც უმწიკვლო გმირი, რომელსაც ვერ ხიბლავს სოლომონის სიმ-

- 77 -

დიდრე და ვერ ახრეინებს კისერს უფროსის თვითნებობა. სოლომონის ქალიც, თამარი, ცოტა მკრთალად არის გამოსახული. იგი პირველის შეხედვით შეიყვარებს რაინდიძეს, რომლის სული მიესწრაფის ყველაფრით დაჯილდოებულს არსებასთან, თუმცა ამგვარი ნაკლულეგანებანი ვერ აიცდინა ლ. არდაზიანის მოთხოვრებამ, მაინც ეს თხოვლება შესანიშნავია როგორც პირველი რომანი გამდიდრებულის ბურჟუაზიის ცხოვრებიდან და მამამთავარი ქართულის რეალიზმისა, რომლის გაფურჩქვნის ნიშნები უფრო ცოცხლად აღმოჩნდნენ შემდეგ დრამებში და კომედიებში. ლ. არდაზიანის მოღვაწეობა იმითაც არის შესანიშნავი, რომ მან პირველად შემოიტანა ქართულს მწერლობაში ჰუმორი, ესე იგი ღიმ-მორეული ფიქრი, მოცინარე აზროვნება.

გრიგოლ რჩეულიშვილი

(1819 – 1877)

გრიგოლ რჩეულიშვილი დაიბადა 1819 წ. ტფილიში. ჩამომავლობით აზნაურშვილის გვარს ეკუთვნოდა. განათლება მიიღო გიმნაზიაში, სადაც სწავლა დაამთავრა 1838 წ. შემდეგ შევიდა სახაზინო პალატაში და აქ განვლო სამსახური. სამწროლო ასპარეზზე გამოვიდა გ. ერისთავის

დროს, როცა ამისმა ჟურნალმა „ცისკარმა“ გარს შემოიკრიბა მაშინდელი პოეტები და რომანისტები. ნათარგმნი და ორიგინალური მისი ნაწარმოებნი გვიმტკიცებენ, რომ ახალგაზრდა მწერალი იცნობდა უცხო მწერლების შემოქმედებას და მათ გავლენის ქვეშ აიღო კალამი. „ცისკარში“ დაიბეჭდა მისი ნათარგმნი მოთხრობა „შეცდომა მასკარადში“. როცა „ცისკარი“ ივ. კერესელიძის ხელში გადავიდა, მაშინ ამ ჟურნალში დაიბეჭდა მოთხრობა „ქვრივის ლიმონები“, ირაკლი II დრიოდან. მოთხრობამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და, სხვათა შორის, სასტიკი კრიტიკული წერილიც ალ. ორბელიანისა. იმავე ჟურნალში (1858 წ.) დაიბეჭდა მისი ამბავი „მოტყუებული ბრილიანტი“. 1862 წ. მკითხველის საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია აქამდის გათქმულმა ისტორიულმა რომანმა „თამარ ბატონიშვილმა“, რომელიც ორჯელ გაილექსა შემდეგში რ. ერისთავის და ს. გუგუნიას მიერ, შეიქმნა აგრეთვე სიუჟეტად კ. მესხის დრამისა „თამარ ბატონიშვილი“. მეორე

– 78 –

მოთხრობა, რომელმაც სახელი მოუხვეჭა და საინტერესო ფაბულაზეა აგებული, არის „ანუკა ბატონიშვილი“.

გრ. რჩეულიშვილის მოღვაწეობა ამ მოთხრობებით არ თავდება და არც განისაზღვრება. „ცისკარში“ მან გამოაქვეყნა რამდენიმე სხვა წერილები და ლექსები. ამ უკანასკნელთა შორის აქამდის გაისმის მისი უკვდავი რომანსი: „ახ, მთვარევ, მთვარევ, დამწვართ იმედო, მსურს ჩემი ტანჯვა შენ გაგიბედო!“ ეს ლექსი ახასიათებს მის სანტიმენტალურს მიმართულებას და უკავშირებს მას დასავლეთ-ევროპელთა მწერლებს. ამ უკანასკნელთა გავლენამ ღრმა კვალი აღნიშნა მის ნაწარმოებში. გატაცებულმა იმათ რომანებით, მან სთარგმნა 1863 წ. „ავრორა“, 1865 ტრაგედია „ნორმა“, 1866 წ. „მარიონ დე ლორმის აღსარება“. სამშობლოს და უცხო ქვეყნების ისტორიის შესწავლის მისი ინტერესი იქიდან სჩანს, რომ არ დაიშურა დრო და ჯაფა მაკედონიის ისტორიის გადმოსათარგმნელად. 1867 წლიდან გრ. რჩეულიშვილი სამწერლო მოღვაწეობას თავს ანებებს. 31 აგვისტოს 1877 წ. გამოესალმა ამ წუთისოფელსაც.

გრ. რჩეულიშვილს მოთხრობების შექმნაში დიდი სამსახური და დახმარება გაუწია უცხო მწერლების შესწავლამ. ამათ შემოქმედებითი მიმართულებით და გარეგანის ამბის აწყობით ისარგებლა ქართულის ისტორიულის რომანების დასაწერად. მოთხრობა „ანუკა ბატონიშვილი“ დაწერილია იტალიელის ორსინის „იზაბელა მედიჩის“ წაბამვით. ამ უკანასკნელის კათოლიკეთა პატრები და ფლორენციის მცხოვრებნი გადააკეთა ქართველს მღვდლებად და ქართულის ტანისამოსით გამოწყობილს მცხოვრებლებად. აგრეთვე მოთხრობა „თამარ ბატონიშვილი“ ქართულს ნიადაგზე გადმონერგილი ინგლისური რომანია. წამბამველობა სრულიადაც არ ამცირებს გრ. რჩეულიშვილის მოთხრობების ღირსებას, რომლის მნიშვნელობა თავდაპირველად იმაში მდგომარეობს, რომ წარმტაცს რომანებში დასურათებულის ტიპებით მან აღუძრა მკითხველს ინტერესი საქართველოს ისტორიულის წარსულისადმი და განუღვიძა სურვილი მის შესასწავლად.

„ანუკა ბატონიშვილი“ აგებულია ისტორიულს გადმოცემაზე, რომელიც შეზავებულია მხატვრულის ფანტაზიით. ანუკა, კახეთის მეფის

ლევანის და მის მეორე მეუღლის ქალი, შეიყვარებს თავის მოურავს, როდესაც მისი მეუღლე, ოთარ ჩოლაყაშვილი, სპარსეთშია წასული. მეფე შეიტყობს ამ გასაკიცხს ამბავს და დაიბარებს სპარსეთიდან ოთარს. თავშერცხვენილი ქმარი დარწმუნდება ცოლის ღალატში და გაანდობს მას ეკლესიაში მოხუცებულის დეკანოზის ზაქარიას, მაგივრად. ოთარი

- 79 -

აპატიებს მეუღლეს ცოლ-ქმრობის ერთგულების დარღვევას იმ პირობით, რომ ცოდვილი ქალი მოსანანიებლად მოლოზნად შედგეს. იგი მიდის შუამთის მონასტერში, რომელიც აშენებულია მეფე ლევანის პირველის ცოლის თინათინის მიერ. ამ მოთხრობას, ლამაზის ენით დაწერილს, ჩართული აქვს მრავალი ეპიზოდური სცენა, რომელნიც ასურათებენ პატიოსანს ოთარს და მის ვნებათაგან გატაცებულს მეუღლეს. ავტორმა ვერ შეძლო იტალიურის დედნის დაფარვა და შეიტანა ისეთი ხაზები თავის მოთხრობაში, რომელნიც ჩვენის ჩვეულების და ეკლესიის წინააღმდეგია; მაგალითად, ოთარი მოძღვრის სახით აღსარებას ათქმევინებს ანუკას საკურთხეველში, რაიცა შეადგენს კუთნილებას მხოლოდ კათოლიკეთა ეკლესიისას.

მეორე მოთხრობა „ქვრივის ლიმონები“ ანუ „ორი ლიმონი“ ირაკლი მეორის დროებას ეხება. ამ მოთხრობის გმირად გამოყვანილია ლამაზი 22 წლის ქვრივი კეკე, ივანე აბაშიძის ქალი. პირველ მაისს 1786 წ. მეფე ინახულებს თავის შვილობილს კეკეს და უსაყვედურებს, რომ არ დაესწრო ანჩისხატში წირვაზე. ბაასში გაბმულმა მხცოვანმა 76 წლის ქართლ-კახეთის მფლობელმა გაუზიარა თავის საყვარელს შვილობილს, ბატონის იულონის ნათლულს, რომ მან განიზრახა შეუერთოს საქართველო ერთმორწმუნე ძლიერს რუსეთს. კეკე ჩაფიქრდა ამ სიტყვებზე და თვით მეფემაც შესცვალა ლაპარაკის საგანი. შენიშნა რა ორი ლიმონი ფანჯარაზე, მეფემ მოისურვა შეეტყო მათი დანიშნულება. კეკემ მოკრძალებით მოახსენა, რომ ორი ახალგაზდა საქმრო ჰყავს და არ იცის, რომელს მისცეს უპირატესობა. დილიდან მოყოლებული ათამაშებს და იჭერს ამ ლიმონებს. ქართლელი ზაზა თარხნიშვილი და კახელი ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი ერთმანერთს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ, ორნივე სავსე იყვნენ სხვა და სხვა ღირსებით. მეფემ მოინდომა ძნელად გადასაწყვეტის საგნის გამორკვევა და თვით აისროლა ლიმონები, რომელნიც უცებ გაგორდნენ იატაკზე. საგანი დარჩა ბურუსში გახვეული. ამიტომ მეფემ ურჩია კეკეს გამოსცადოს ზაზა და ქაიხოსრო, რომელს უფრო უყვარს თავის სატრფო. მეფე გავიდა მეორე ოთახში და კეკემ დაიბარა ჯერ ზაზა, შემდეგ ქაიხოსრო. პირველს მოსთხოვა, თავი დაენებებინა მეფის კარზე სამსახურისთვის და წაეყვანა ახალგაზდა ცოლი სოფლად, ნოსტეში, მეორეს კი, წინააღმდეგ, დაავალა მოეპოვებინა სახელი და დიდება და სასახლეში დარჩენილიყო. ორნივე დასთანხმდნენ დადებულს პირობას. მაგრამ ორის საათის მოფიქრების შემდეგ ზაზამ პასუხად მოსწერა, რომ ვერ დაანებებდა თავს მეფის სამსახურს და გამარჯვებული დარჩა ქაიხოსრო, რომლისაკენ არაკლის გული უფრო ილტვოდა. საინტერესოა ამ

- 80 -

მოთხრობაში დაპირდაპირება ქართლელის და კახელის თავადიშვილისა იმ აზრით, რომ მეფისთვის ეთქმევინებინა, რომ უსამართლოდ აბრალდებენ

მას მეტს მიდრეკილებას კახელებისკენ, ვიდრე ქართლებსკენ. ირაკლი ცოცხლად არის დახასიათებული კერძო ცხოვრებაში; გულკეთილობით და მამაშვილურის სიყვარულით აღსავსე მისი არსება, გონება და გამჭრიახობა აქაც გამოსჭვივის, როგორც მის საქვეყნო მოქმედებაში. ნაკლულებანება ამ მოთხრობისა, როგორც საერთოდ ყველა გრ. რჩეული-შვილის ისტორიულის რომანებისა ის არის, რომ ავტორმა ნაკლებად იცის საქართველოს ისტორია, ამახინჯებს ფაქტებს, ჰქმნის თავისებურს გენეალოგიას. „ქვრივის ლიმონების“ გმირი კეკე ისტორიაში არ არის ცნობილი, ივანე აბაშიძეს ჰყავდა რამდენიმე ქალი, მაგრამ იმათში არც ერთს არ რქმევია სახელად კეკე. მკითხველს მაინც იტაცებს მისი ხელოვნურად გამოგონილი მოთხრობის არაკი, რომანიული ინტრიგა, და თუმცა იგი ნაკლებად გვიხატავს მაშინდელს დროს, მაინც ქართული ელფერი აძევს მის შემოქმედებითს ნიჭს და მგრძნობიარე კალამს.

მოთხრობაში „თამარ ბატონიშვილი“ ავტორმა ორი გმირი გამოიყვანა: პატიოსანი და მტკიცე პატრიოტი შალვა და უფულო, ამაყი არღლთაშვილი. შალვა აღტაცებული ჭაბუკია, რომელსაც მიზნად დაუსახავს პატიოსნების და სიმართლის დაცვა, რომლისთვისაც ნაძრახს სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი სჯობია. ავტორი გაგვაცნობს თავის გმირს იმ დროს, როცა იგი შეხვდება რამდენსამე მგზავრს, რომელთა რიცხვშიც თვალს მოჰკრავს კაცურად ჩაცმულს ქალს. იგი შეიპარება მუხათვერდის კოშკში (მცხეთის ახლო), სადაც ქალს დააბინავებენ დამის გასატარებლად. მის მხლებლებს ამ დროს ეძინათ კოშკის ძირის სართულში. შალვა მოიხიბლება ქალის სილამაზით და სთხოვს წაჰყვეს მას და ჯვარი დაიწეროს. ქალი ჯერ უარზე არის, ბოლოს ისიც იხიბლება და აღუთქვამს ცოლად გაყოლას შემდეგმი. გადის დრო. შალვა დაბრუნდება ტფილისს ომში გამარჯვებული და აქ შეიტყობს, რომ მისი დანიშნული ქალი – თამარ – გიორგი მეფის დისწულია, რუსუდანის ასული. რუსუდანს გამოუცხადებს იმ სურვილს, რომელიც მას უღვივის შეუშრეტლად დიდის ხნის განმავლობაში. რუსუდანს თავის ქალის გათხოვება საბერძნეთის (იკონიის) სულთანზე განუზრახავს იმ მოსაზრებით, რომ აიცდინოს საქართველოსთან შეტაკება. თამარიც იბრძვის ორს ცეცხლშუა: მოვალეობა მამული-სადმი და სიყვარული შალვასადმი მის გულში ეკვეთებიან ერთმანერთს. გრძნობას შესწირავს მოვალეობას და გათხოვდება სულთანზე. შალვას აღარაფერი დარჩენია, რასაც კი შეუძლიან ფასი დასდოს ცხოვრების ტვირთს. მაინც იგი სულით არ ეცემა და თავის ვაჟკაცობას მამულის

- 81 -

სამსახურს შეაღვეს. მტერთან ბრძოლაში იგი ტყვედ შეიქმნა, მაგრამ არ უმტყუნა ქრისტეს სარწმუნოებას, არ მიიღო მაჰმადის რჯული. შალვას და მის მამის ელიზბარის წინააღმდეგ მოქმედობს მათი დაუძინებელი მტერი ივანე არღლთაშვილი, ათაბეგი, რომელმაც შუღლი ჩამოაგდო გიორგი მეფეს და ელიზბარს შუა სარძლოს გამო. ელიზბარს 20 წლით საპყრობილეში ჩასვამენ, ხოლო შალვას იმით მტრობს ავკაცი ივანე, რომ ომის დროს არაფრით დაეხმარება მას და უმწიკვლო გმირი მტრებს ჩაუვარდება ხელში. ასე უბედურად ათავებს თავის სიცოცხლეს „თამარ ბატონიშვილის“ გმირი.

ეს მოთხრობა ვერ გვისურათებს ჭეშმარიტის ელფერით საქართველოს ისტორიულს ცხოვრებას მე-XIII საუკ. ავტორმა ვერ მოახერხა შე-

ეთანხმებიან ისტორიული სინამდვილე რომანის მოთხოვნილებასთან. დაცულია ადგილობრივი ფერადი (couleur locale), მაგრამ დარღვეულია ისტორიული ფერადი (couleur historique). გრ. რჩეულიშვილი რომანტიკოსია თავის მოთხრობების აგებაში. იგი ფანტაზიას უფრო ამოქმედებს, ვიდრე ჭეშმარიტს ფაქტებს. თვით გმირების დაყოფა ორს ჯგუფად: უზადო ანგელოზებრივს ჭაბუკებად და გულქვა დემონურს სულიერებად ახასიათებს გრ. რჩეულიშვილს იმგვარს რომანტიკოსად, როგორც იყვნენ რუსეთში მაგალითად, ლაჟეჩნიკოვი და ზაგოსკინი.

ილია ჭავჭავაძის ხანა

მეცხრამეტე საუკუნის მწერლობის ისტორიამ პირველი ხანა დაამთავრა მესამოცე წლების დასაწყისში. ამ დროს დასრულდა მთიელთა თავგამოდებული ომი რუსეთთან და მთავრობამ განიზრახა კავკასიაში მოქალაქობრივის წესწყობილების შეცვლა და განვითარება. რუსეთში ალექსანდრე მეორის მეფობა დაიწყო დიდის რეფორმების სამზადისით და უკვე გადაგდებულ იქმნა 1861 წ. ბატონ-ყმობის უღელი. სწორედ ამავე ილია ჭავჭავაძემ „ცისკარში“ ააფრიალა განმათავისუფლებელი დროშა და დაუდგა სათავეში იმ საუკეთესო მამულიშვილების წრეს, რომლის წევრებად იყვნენ პეტრე ნაკშიძე, გიორგი ყაზბეგი, ივანე პოლტარაცკი, მიხეილ და

- 82 -

დავით ყიფიანები, გიორგი ჩიქოვანი, ალექსანდრე სავანელი, მიხეილ ჩიკვაძე, ილია წინამძღვრიშვილი და სხვ.; შემდეგ ამათ მიემხრო ბესარიონ ღოღობერიძე, რომელმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო 1861 წ. პეტერბურგის სტუდენტობის მოძრაობაში. წრე გატაცებული იყო ახალის აზრებით და კეთილმოზილის სურვილით სამსახური გაეწია ხალხისა და სამშობლოსათვის. ამ მიზნით მის წევრნი იკრიბებოდნენ, მართავდნენ სალიტერატურო საღამოებს, კითხულობდნენ რეფერატებს და აღმგზნებელს ლექსებს. ამ წრემ ი. ჭავჭავაძის მოთავეობით 1863 წ. დააარსა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, რომლის თანამშრომლებად გახდნენ, სხვათა შორის, დიმ. ყიფიანი, გრ. ორბელიანი და დრამატურგი გიორგი ერისთავი. კორექტორად მიიწვიეს ახალგაზდა პეტრე უმიკაშვილი, რომელმაც შემდეგ დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს ისტორიის და ლიტერატურის მასალების შესწავლით. პეტერბურგში მოსწავლე ქართველი ახალგაზდობა აღტაცებით შეხვდა ი. ჭავჭავაძის ჟურნალს. კირილე ლორთქიფანიძემ, მესამე კურსის, და გიორგი წერეთელმა, პირველის კურსის სტუდენტმა

გამოუგზავნეს „საქართველოს მოამბეს“ პირველი ნიმუში თავიანთ კალმისა. „საქართველოს მოამბემ“ ლოზუნგად დაისახა ბატონ-ყმობასთან შეურიგებელი ბრძოლა და მგრძნობელობითის სიყვარულით შეხედა მამულს და მის წარსულს. ეს მოძრაობა გაგრძელდა მხოლოდ ერთი წელიწადი. ჟურნალი დაიკეტა; მისი მოთავენი სახელმწიფო სამსახურში შევიდნენ. მაგრამ ახალი იდეები, რომელთა მქადაგებლად ისინი შეიქმნენ, უნაყოფოდ არ გაჰქრნენ. განმაცხოველებელმა სიომ დაჰბერა ქართველთა ცხოვრებას. „მოამბემ“ მწერლობაში დაამყარა სანტიმენტალურ-რომანტიული მიმართულება; პოლიტიკურს ეკონომიაში იგი გახდა საფრანგეთის ბურჟუაზიულის ეკონომისტების სეს და ბასტიას მოძღვრების მიმდევარი. ამათ გავლენით ი. ჭავჭავაძემ დასწერა „ცხოვრება და კანონი“. საზოგადოებრივის დამოკიდებულების მოწყობა მოისურვეს პა-

- 83 -

ტრიოტულ-აზნაურულს პრინციპზე; საკრედიტო დაწესებულებებში უპირატესობა მისცეს სათავად-აზნაურო გრძელ-ვადიანს ბანკებს.

1866 წ. დაიბადა ახალი პროგრესიული მოძრაობა, ჩაისახა მწერლობაში მეორე დემოკრატიული დასი, რომელიც (1866 – 1877 წწ.) გაზ. „დროების“ და ჟურნ. „კრებულის“ გარს შემოიკრიბა. ამის მოთავენი იყვნენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე და განზე მდგარი მგოსანი აკაკი წერეთელი. ამ დასმა, წინააღმდეგ „საქართველოს მოამბის“ პროგრამისა, სამხატვრო ლიტერატურაში, გაამეფა ჭეშმარიტი რეალიზმი, ეკონომიურს კითხვებში მისდევდა ინგლისელს მეცნიერს მილლს, სწამდა მთავრობის ჩარევა მუშათა და მწარმოებელთა ბრძოლაში (პირველთა ინტერესის დასაცველად), წინააღმდეგი იყო თავად-აზნაურთა და გლეხთა გაცალკეებისა, მათ ადგილას დააყენა ერთი ერი – ნაია თანასწორ-უფლებიანის წოდებებით და სააზნაურო ბანკის მაგივრად წამოაყენა მოკლე-ვადიანი სამრეწველო ბანკები სოფლად და ქალაქად.

მეორე დასის მემკვიდრედ შემდეგ გამოვიდნენ, მესამე-დასელები, ეკონომიურის მატერიალიზმის მიმდევარნი. მათ ორგანოდ თავდაპირველად შეიქმნა „კვალი“ (1893 წ.), შემდეგ „მოგზაური“. მოთავედ წამოდგა გიორგი წერეთელი, მას მიჰყვა ბელეტრისტი ეგნატე ნინოშვილი; პუბლიცისტიკაში მესვეურებად შეიქმნენ ნ. ჟორდანიას და ფ. მახარაძე. „კვალის“ პროგრამას სარჩულად დაედო სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება. ამგვარად მე-XIX საუკ. მეორე ნახევარს გონებითი მოძრაობა საქართველოში ორს დიდს ხანად იყოფა. პირველი

ისამზღვრება მესამოცე წლებში საზოგადო ასპარეზზე გამოსულის მწერლების მოღვაწეობით, მეორე დაკავშირებულია სოციალ-დემოკრატიულის დასის წარმოშობასთან 1890 წლებში. „საქართველოს მოამბის“ პროგრამის განმახორციელებლად შეიქმნა 1877 წ. დაბადებული „ივერია“ ილ. ჭავჭავაძის რედაქ-

- 84 -

ტორობით, რომელთანაც შემდეგ თავი შეაფარეს ესრედ წოდებულმა ტეტიათა მოტრფიალებმა. „კვალის“ წინამორბედად კი აღიარეს „დროება-კრებული“ ს. მესხისა და გ. წერეთლისა.

ჟურნალ-გაზეთები და სამხატვრო მწერლობა მესამოცე წლებიდან დაწყებული ბევრს დროს და დიდს ყურადღებას სწირავდა სამშობლო ენის დაცვას, ეროვნობის კითხვის გამორკვევას, პატრიოტულის გრძნობის გაღვივებას. ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები იცავდნენ საქართველოს ერთიანობას მიუხედავად სხვა და სხვა სარწმუნოებისა (მართლმადიდებელი, კათოლიკე და მაჰმადიანი), აშუქებდნენ წარსულს დიდებას თანამედროვე საზოგადოების გასამხნეველად, ებრძოდნენ ეკლესიის და სკოლის გარუსებას. მეტადრე ენის სიფაქიზეს თავს ევლებოდნენ და მის სიწმინდით დაცვას მოუდრეკელს მოვალეობად სთვლიდნენ. ამავე მიზნით იწერებოდა ცხარე წერილები გ. წერეთლისა და ს. მესხისა, ეფინებოდა სასწავლებლებს იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელონი, რომელთა შორის „დედა ენამ“ და „ბუნების კარმა“ დიდი ზნეობითი სამსახური გაუწიეს ენის დაცვას და შესწავლას. „ენა“ და „ერი“ შეიქმნენ სინონიმები. გრ. ორბელიანის სიტყვებს „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“, მიეცა ზოგადი მოძღვრების ხასიათი. ენის და ერის დაცვას მოჰყვა მიწა-წყლის შერჩენის ზრუნვაც; საქართველოს ნაწილებში უცხო ხალხის დამკვიდრებამ გამოიწვია დიდი გოდება, მაგრამ პლატონიური სურვილი, რომ „მამული ქართველს ხელიდან არ წასვლოდა, ხშირად ამაო მისწრაფებად რჩებოდა.

სოციალ-დემოკრატიულის დასის გამოსვლით შეიცვალა საპუბლიცისტიკო და სალიტერატურო საგნების წამოყენება და განმარტება. ქართველი მარქსისტები თავდაპირველად შეიქმნენ მთელის ქვეყნის პროლეტარების დამცველად, მათ ინტერესების მფარველად. ამიტომაც მათ გამოუცხადეს სასტიკი

- 85 -

ომი პატრიოტულს და ნაციონალურს მიმართულებას, რომლის

მედროშედ სახავდნენ ილ. ჭავჭავაძეს. მათ დაჰგმეს მოწინავე მწერალთა მოღვაწეობა, ზიზღით მოიხსენეს საქართველოს წარსული, ჯვარს აცვეს მამულის შვილობის იდეალები. მძულვარება „მამებისადმი“ იქამდის ჩაღრმავდა, რომ სამშობლო ენაც უარყოფილ იქმნა, წინაპართაგან გადმოცემული სულიერი განძი არარაობად გამოცხადდა, მიწა-წყლის უცხოთა მფლობელობაში გადასვლა საწინააღმდეგოდ მიიჩნიეს პროლეტართა ინტერესების მიხედვით, გაღმერთდა კუჭი და მისი მოთხოვნილება. „ივერიის“ მაღალსიტყვოვანის, სამღვთო წერილის ზედმოქმედებით შექმნილის სტილის ადგილას გაამეფეს მარტივი, ხშირად დამახინჯებული რუსულის ენის გავლენით კონსტრუქცია; ენის სიწმინდის დაცვა და ფილოლოგიური მისი გამოკვლევა, რომელსაც შეაღიეს „მამებმა“ არა ერთი გაცხარებული ფელეტონი, დასელეებმა სრულიად გადევნეს თავიანთ პროგრამიდან და აღიარეს თავისუფალს ლოზუნგად: კუჭი მაძლარი მქონდეს და რა ენაზედაც გინდა მალაპარაკეო. შეტაკებამ ამ ორის მიმართულებით გაჰყო ქართული მწერლობა ორს შეურიგებელს ბანაკად: სოციალ-დემოკრატების მხარეზე იდგა ახალგაზდობა, სამზღვარგარეთ განათლება-მიღებული; პატრიოტულს ორგანიზაციაში დარჩნენ მხცოვანი მწერლები, რომელთაც გვერდით ამოუდგნენ თითო-ოროლა რუსეთში კურსდამთავრებულნი. შემდეგ შეიცვალა ორისავე ბანაკის შემადგენელთა წევრთა ელემენტები და ამ ჟამად გამწვავებამ უკვე საგრძნობლად იკლო.

ილია ჭავჭავაძე

(1837 – 1907)

ილია ჭავჭავაძე დაიბადა კახეთში, სოფ. ყვარელში, 1837 წ. 27 ოქტომბერს. მამა-მისი გრიგოლ ოხუნჯი და მკვირცხლი

- 86 -

ადამიანი იყო, დედა-მისი მაგდან იყო ტფილისელის მოქალაქის ბებურიშვილის ქალი. ილიამ ქართული წერა-კითხვა და სამღვთო ისტორია ოჯახშივე ისწავლა. შემდეგ იგი მიაბარეს ტფილისის (აწინდელს პირველს) გიმნაზიაში. დაასრულა აქ კურსი და გაემგზავრ პეტერბურგს სწავლის დასამთავრებლად იურიდიულს ფაკულტეტზე. თუმცა დიდი შეძლება არ ჰქონდა და მაშინდელი თავად-აზნაურობა უფრო სამხედრო სამსახურს ეტანებოდა, ილიამ მაინც დასძლია ბევრნაირს დაბრკოლებას და შევიდა უნივერსიტეტში. 1861 წ., როცა მეოთხე კურსზე გა-

დავიდა, „სტუდენტების ისტორიის“ გამო დაანება თავი სწავლას და დაბრუნდა სამშობლოში, სადაც იგი მიემხრო თერგდალეულებს და გახდა მათი მესვეური ყოველს საქმეში და დაწყობილებაში. დაბრუნდა თუ არა სამშობლოში, ილიამ მიანება თავი „ცისკარს“, სადაც იგი შორიდან თანამშრომლობდა და გამოსცა თავისი ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, რომელმაც მხოლოდ ერთი (1863) წელიწადი გასძლო და უსახსრობის გამო დაიკეტა. 1864 წ. საქართველოში გადაადგეს ბატონ-ყმობა და ილია დანიშნეს მომრიგებელს შუაკაცად დუშეთის მაზრაში. საგლეხო რეფორმის მოწყვე ახალის სასამართლოს შემოტანაც (1865 წ.) და ილიაც მომრიგებელს მოსამართლედ დანიშნეს. 1875 წ., როცა გაიხსნა სათავადაზნაურო ბანკი, აირჩიეს თავმჯდომარედ და ამ მძიმე ტვირთს იგი უძღვებოდა 1905 წლამდის. 1906 წ. იგი რუსეთის თავადაზნაურობამ სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩია და პეტერბურგში გადასახლება დასჭირდა. 30 აგვისტოს 1907 წ. ილია მოჰკლეს საგურამოს გზაზე და მეფურის დიდებით დასაფლავეს მთაწმინდაზედ. გარდა ბანკისა ილია სიკვდილამდე თავმჯდომარეობდა წერა-კითხვის საზოგადოებას, იღებდა მონაწილეობას სხვა და სხვა ქართულს საზოგადო დაწესებულებაში და მთავრობის სხვა და სხვა კომისიებში.

„საქართველოს მოამბის“ გაგრძელებად ილიამ გახადა (1877 წლიდან) „ივერია“, ხან კვირეული, ხან თვიური, ხან დღიური გამოცემა, რომელიც 1902 წ. ამხანაგობას დაუთმო.

- 87 -

ილია ჭავჭავაძის ჩანგის ჟღერის საგანი ორნაირია. პირველ ყოვლისა მგოსანი მღერის მისთვის რომ „წარუძღვეს წინა ერსა, რომ ერისა მოძმედ იყოს ჭმუნვასა და სიხარულში“ (ლექსი „პოეტი“), და შემდეგ იგი შეუპოვარს ომს უცხადებს კერძოდ თავის სამშობლოში გამეფებულს რეჟიმს ბატონ-ყმობისას და საზოგადოდ კი სოციალურს უთანასწორობას ყველგან. ამნაირად ილიას პოეზიის მთავარს მოტივად ხდება მოტივი ეროვნული და სოციალური. სოციალური მოტივი გატარებულია ყველა მის მოთხრობებში და ლექსების მომეტებულს ნაწილში, დაწყებული „მგზავრის წერილებიდან“ (1861 წ.) ვიდრე „უცნაურს ამბავამდე“ (1894 წ.). პირველი მისი ნაბეჭდი ლექსი „ჩიტი“ (თარგმანი) გამოვიდა ივ. კერესელიძის ჟურნალს „ცისკარში“ (1857 წ.). ამ ლექსით დაიწყო ილიას ბრძოლა ახალის სალიტერატურო ენის უფლებების დასაცველად წინააღმდეგ ძველის სტილის და მართლწერის მომხრეთა. მან განდევნა ასონი ზ, ძ, ჯ, უ, წ, რომელთა მფარველობა იტვირთა გრიგოლ ორბელიანმა. ახალს ენას მოაყო-

ლა ახალი შინაარსიც, რაიცა თვალნათლივ გამომზევდა მკითხველისთვის „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილთ ნაწარმოებთაგან. თავდაპირველად მან აღიმალა ხმა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ და გადაგვიშალა ჩვენი დაავადებული ცხოვრება სამს რეალურს, სინამდვილით აღბეჭდილს თხზულებაში: „კაცია ადამიანში“ „გლახის ნაამბობში“, და „კაკო ყაჩაღში“.

ამგვარის ხელოვნურად შექმნილის ნაწერების ავტორი უნდა ყოფილიყო სავსებით ჩახედული მაშინდელის საზოგადოებრივის ცხოვრების ვითარებაში. სოფელში (ყვარელში) აღზრდამ ამ მხრით დიდი სარგებლობა მოუტანა მგოსანს. პატარაობითვე დაუკვირდა მოწინავე წოდების და გლეხების საურთიერთო დამოკიდებულებას. შეიგნო ამ წესწყობილების უვარგისობა და უსამართლობა, ამიტომაც სალიტერატურო პროგრამის პირველს მუხლად ილიამ დაისახა გაკიცხვა და გაბათილება ბატონ-ყმურს ნიადაგზე აღმოცენებულის ცხოვრებისა. ყვარ-

- 88 -

ლის მთების კალთასთან აღზრდამ სხვა ბეჭედიც დაასვა მის შემოქმედებითს აღმაფრენას. თვალწარმტაცმა ბუნებამ შეაყვარა მამული, მისი ველი და კლდენი, წარსული და მომავალი.

სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა...
მახსოვს, ყრმა ვიყავ ძლივს მოსული გონს და ცნობასა,
როს სიდიადე თქვენი მგვრიდა კანკალს, ჟრჟოლასა...
მე თრთოლით ვსჭვრეტდი ლაუჟვარდ ცაზედ თქვენსა სიმადლეს
და შევნიტროდი ყმაწვილურად თქვენს ზემთ მხარეს...
ვნატრობდი ხოლმე, რომ ვეხვიო სუბუქსა ქარსა,
ან თავისუფალ არწივისა ძლიერსა ფრთასა,
რომ აღმოვფრინდე და შევეხო თქვენს ამაყ თავსა...

შორდება გულდაწყვეტილი „ყრმობის მეგობრებს“ – „ყვარლის მთებს“ და სასოებს, რომ უცხოეთიდანაც გაულიმებს სული და გული. მხატვრული ნიჭი 20-წლოვანის მგოსნისა უკვე ამ ლექსში გამოისახა. პოეტის ფანტაზიას იტაცებს დიდებული სურათები. ერთის კალმის მოსმით იგი აკავშირებს სულის ვითარებას ბუნების სიმშვენიერესთან. ძლიერის და შეურყეველის გრძნობით მიჯაჭვულია სამშობლოსთან, რომლის მოშორებაც მწუხარებით ავსებს მის არსებას. სამშობლოს სიყვარულმა გააფაქიზა ილიას ნაწერებში მესამე თვისება – წარსულით გატაცება, მისი განდიდება, იდეალურის შუქით გაბრწყინება. რამდენად ყრმობიდანვე მტკიცე იყო სამშობლოსადმი მიდრეკილება, ამას მოწმობს მისი ავტობიოგრაფიული მოთხრობა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“. აქ გამოყვანილია ავტორის მამა, რომელიც თავის შვილებს ზღაპრების მაგივრად უამბობს წარსულის ცხოვრებიდან ისეთს სანეტარო ამბებს,

რომელნიც სინანულს გვრიან, რომ იგინი წარვიდნენ.

პირველი ხანა თავის მხატვრულის მოღვაწეობისა რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ მოანდომა ილიამ ბატონ-ყმობის გაბათილებას. მისი მიმართულება ამ დროს ორის თვისებით განისაზღვრება: ელეგიურის და სატირულის ხასიათით. ერთის

- 89 -

მხრით ჰკიცხავს თანამედროვე საზოგადოების ჩამორჩენას, მეორე მხრით მწარე გრძნობით გვიხატავს თავის მარტოობას, საქვეყნო საქმის მოდუნებას, თანამოაზრეთა გულგრილობას. როცა განიზრახეს ბატონ-ყმობის მოსპობა, პოეტმა უძღვნა თავისი (1864 წ.) აღფრთოვანებითი ლექსი ამ სანატრელის თავისუფლების მოახლოებას:

მესმის, მესმის სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!

სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს დასათრგუნვლად მონებისა.

აღმიტაცებს ხოლმე ეს ხმა და აღმიგზნებს იმედს გულში;

ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში.

„ხმა ტკბილის“ მოსამზადებლად ილიამ დასწერა „კაცია ადამიანი“, „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“, სადაც ხან სატირულის კილოთი და ხან ელეგიურის გრძნობიერობით აღნიშნავს ბატონ-ყმობის გავლენით წარმოშობილს წოდებრივს უთანასწორობას, ადამიანის პიროვნების შელახვას, ყოველგვარის უსამართლობის განმტკიცებას. „კაცია ადამიანის“ ბეჭვდა დაიწყო „საქართველოს მოამბეში“, როცა ბატონ-ყმობა ჩვენში ჯერ კიდევ არ იყო გადავარდნილი. ლუარსაბ თათქარიძე, გმირი მოთხრობისა „კაცია ადამიანი“, ტიპია იმ ბატონებისა, რომელნიც დატაკნი იყვნენ გონებით, მოდუნებულნი უსაქმურობით, გართულნი ჭამა-სმაში და ბუზების თელაში ანუ სჯაში, რა სჯობიან, ლოქო თუ ორაგული, ბოზბაში თუ ჩიხირთმა. ამავე დროს იგინი ამყობდნენ თავიანთ კეთილშობილის ჩამომავლობით და მზად იყვნენ ადამამდის აეწიათ თავიანთი უხსოვარის დროიდან მომდინარე გვარი. გაუნათლებლობით, სიამაყით და ყველასადმი მძულვარებით ლუარსაბის მსგავსია მისი მცონარე მეუღლე დარეჯანი, რომლის მისწრაფებას, ზრუნვას და იდეალს სიზმრივ და ცხადად, როგორც ლუარსაბისთვისაც, შეადგენს შვილის შეძენა, რომ მაზლს და მაზლის ცოლს თვალი დაუყენოს. ცრუმორწმუნეობა, ჯადოქრობა, ხატობაში სიარული ამ მიზნის მისაღწევად მოუხმარებიათ, მაგრამ ამაოდ. შვილი არ ეყოლათ და უდროოდ ათამამდნენ ლუარსაბი და

- 90 -

მისი მეუღლე, უდროოდ დაიკმაცოფილეს მძულვარების ჟინი. ამ მოთხრობით, სადაც მედგრად გაკიცხულია ბატონების ცხო-

ვრება და მათი გლახებთან შეურიგებელი განწყობილება, ილიამ გამოიწვია დიდი საყვედური მაღალს წრეში. ავტორი სამშობლოს მტრად დასახეს, მიათვალეს იმ პირთ, რომელთაც აკლიათ პატრიოტიზმი და სძულთ თანამემამულენი. ავტორმა წინდაწინვე იცოდა როგორ დახვდებოდა მკითხველი მის სატირულს ნაწარმოებს. ამიტომაც დაამთავრა თავის მოთხრობა შემდეგის სიტყვებით: „მე თუ შენ მიყვარხარ, მკითხველო, იმისთვის მიყვარხარ, რომ იმედი მაქვს გასწორების განძრახვა დღეს თუ ხვალ შენში გაიღვიძებს. ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა; ამას მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს, – რამდენადაც შეძლება აქვს – შენი ცუდი, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო. მინამ სარკეში არ ჩაიხედავ, ან სხვა არ გეტყვის, ხომ ვერ გაიგებ, რომ პირზედ ურიგობა რამ გატყვია? ეს მოთხრობა სარკე იყოს და მე – თუ გინდა – მთქმელი ვიქნები. დააკვირდი, იქნებაა გენიშნოს რამე...“

ლუარსაბი და დარეჯანი პირდაპირ ცხოვრების ტალღებიდან ამოღებული ტიპები არიან. მაშინდელს საქართველოში ამგვარი საზოგადოებრივის ორგანიზმის მეტხორცნი ჩვეულებრივს მოვლენად ითვლებოდნენ. ამიტომაც მკაცრი კილო მოხვდათ თავიანთ მამულებში მიძინებულს მებატონეებს და უკმაყოფილების ხმა აღიმალღეს ავტორის წინააღმდეგ. ამგვარად ილიამ მიაღწია მიზანს, შემდგარი გუბე მოძრაობაში მოიყვანა და სარკეში ჩაახედა.

მეორე მოთხრობას, რომელიც ილიამ უძღვნა ბატონყმობის გაკიცხვას, დაარქვა: „გლახის ნაამბობი“ (1862 წ.). აქ ის აზრია გატარებული, რომ იმ წყობილებას, რომელიც გამეფებული იყო გლახების განთავისუფლებამდე, ზნეობითი გახრწნილება შეჰქონდა მებატონეების ცხოვრებაში. ბატონი დათიკო და გლახი გაბრო ორი მოწინააღმდეგე ტიპია. პირ-

ველი – ვნებათა ამყოლი, თვითნება, ძალის მიმტანი ქალების პატივის შესალახად, მეორე წყნარი, ერთგული ყმა, რომელსაც მღვდლის საუბრის წყალობით გაღვიძებია სურვილი ადამიანურის ღირსების მოპოვებისა. ვიდრე ლამაზი თამრო, საცოლო გაბროსი, არ შეაგინა დათიკომ, იგი მისთვის თავდადებული მოსამსახურეა. დათიკომ გაბროს ცილი დასწამა მოკვლის განზრახვაში და დიამბეგის დახმარებით ციმბირში გაგზავნა მისაჯვინა, შებორკილმა გაბრომ მოახერხა გზიდან სამშობლოში დაბრუნება, აიღო თამროს სისხლი მის შეურაცხყოფელისაგან და გადასახლდა საქართველოს მეორე კუთხეში, სადაც დაძინებულს ტანისამოსში შეხვდება ნადირობის დროს

ავტორი და უკვდავ ჰყოფს თავის მხატვრულის ნაწარმოებით დაგმობილს წოდებათა განწყობილებას. ეკონომიურის დამოკიდებულების შედეგად მოჰყვა ბატონების მხრით გლებთა ოჯახობრივის ცხოვრების გამგეობაც, ზნეობრივის გრძნობების დარღვევა და წმინდათა-წმინდის წაპილწვა. ბატონი გაირყვნა უსამართლოდ შეთვისებულის უფლებით, როგორც აღნიშნა რუსეთის მწერალმა ივანე ტურგენიევმა თავის „მონადირის წერილებში“. ილიაც ნადირობის დროს შეხვდება გაბროს და გაიგებს მის თავგადასავალს. მოთხრობას მიუძღვის შესავალი: „მე სწორედ ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან, ისა ვარ...“*)

გაბრო ყაჩაღად გავარდა მსგავსად ზაქროს და კაკოსი. ყაჩაღები ჩნდებოდნენ აუტანელის ბატონ-ყმობის ტვირთის წყა-

*) ეს შესავალი მშვენიერი ნიმუშია ილიას პოეტურის აღმაფრენისა პროზაიკულს ფორმაში: „საკვირველად მიყვარს დაბურულს, ხმაგაკმენდილს ტყეში ხის ძირას ჯდომა და მილეულის გულის ცემით ლოდინი ნათვალევის ნადირისა. არის რაღაცა მოუწყინარი სიამოვნება ამ ხალისიან გართვაში. თუ გნებავთ, ამასაც კი ვიტყვი, რომ ნადირობა ცოდვაა: ყოველი სულიერი ღვთის დანაზადია, ყველას აქვს თანასწორი ნება ამ თვალ-მიუწდომელ ქვეყანაში ცხოვრებისა, მაგრამ რა გაეწყობა? ტყუილად კი არ გვარწმუნებს საღმრთო წერილი, რომ პირველი სისხლი ქვეყანაზედ კაცმა კაცისა დაანთხიაო...“

- 92 -

ლობით. ყაჩაღი ბატონისთვის მავნე იყო და ხალხისთვის სათაყვანებელი იდეალი. ყაჩაღი ებრძოდა ბატონის თვითნებობას, „უსამართლობას“ და ადამიანურის პიროვნების შესარჩენად, „გლებხაცთა სიყვარულით“, მათ უღელის შესამსუბუქებლად იგი გავარდებოდა გულ-ამღვრეული ცხოვრებაზე ტყეში, სადაც იგი „მეფობდა“, სადაც „უსახლკარობა“ და „შიმშილი“ იმიტომ არ აწუხებდა, რომ იგი თავის „ბატონი“ იყო. ასე ალაპარაკებს ავტორი კაკოს 1860 წ. დაწერილ „რამდენსამე სურათში ანუ ეპიზოდში ყაჩაღის ცხოვრებიდან“. საუცხოოდ არის აქ დასურათებული ზაქროს სიყრმე, როდესაც მას, თრომეტის წლის ბავშვს, უკვე ბატონისაგან დედამისის სახლს მოშორებულს, „უკრეს ძროხაში თავი“. იგი გაიზარდა მინდვრად ტოლ-ამხანაგებში, რომლებთანაც საღამო ჟამს, დაქანცული ხარების დევნით, გულს იბრუნებდა ზღაპრებით, არსენას ლექსით. არსენას სახელი პატარაობითვე შეიყვარა და გააღმერთა. „ის იყო ჩემი ჯავრი და ლხენა, ის იყო ჩემი გული და სული“, – ამბობს ზაქრო. „არსენობა“ მისთვის სანატრელი რამ იყო. ოცის წლისა შეიქნა ზაქრო, როცა მოხუცებულმა მამამ, „ხვეწნით“ სთხოვა ბატონს დაეთმო შვილი, რადგან სახლს ვეღარ უვლიდა დაავათმყოფელები და

მარტოხელი. „გულქვა, რეგენი“ ბატონი ჯერ გაუწყრა „ქოფაკს“ მოხუცს და მართლის თქმისათვის „ჩიბუხის ტარით“ ეცა სასომიხდენილს, სიცოცხლეში არ გალახულს თავ-მომწონე გლეხს. მან ხელი შეუბრუნა. „როგორ თუ ხელი მომიბრუნეო! დაიძახა ბატონმა: ბიჭო, როზგები, ბიჭო როზგები! და მოხუცს წამოეჭიდნენ მისივ მოძმები“. ზაქრო მოწამე იყო ბებერის მამის გაუპატიურებისა. „მინამ ბატონი ხელითა სცემდა, როგორცა ძალი ხორცსა ვიგლეჯდი... „მოჰკალ“ რაღაცა ხმა მამალებდა“, უამბობს ზაქრო კაკო ყაჩაღს. ჯერ თავს იმაგრებდა, ეშინოდა, რომ მამას მოუკლავდნენ; „მაშინ კი როცა წამომიქციეს და მოხუცებულს როზგი დამიკრეს“, განაგრძობს ზაქრო,

- 93 -

თვალთ დამიბნელდა, ამენტო გული,
მივვარდი თოფსა გამწარებული,
მხრიდამ გადვიგდე მაშინვე თეჯა,
და, რო ყვიროდა: „დაჰკარ, დაჰკარი!“
მაშინ ჩემ თოფმაც გამოიჭეჯა
და შეუნგრია გულის ფიცარი –
იმ ჩემს ბატონსა, ჩემს დამღუპველსა,
თავის თავის და სხვის წამწყმენდელსა.

ბატონის მოკვლამ გულის ჭრილობა ვერ გაუმთელა. მას ველარა უშველა რა: „როზგს ქვეშ“ მას უზიარებლად სული ამოსვლოდა. ამის შემდეგ გავარდება ზაქრო ტყეში განთქმულს კაკოსთან და მასთან ჭირს და ლხინს იზიარებს. ორნივე ბატონ-ყმობის მძიმე უღლის მსხვერპლნი იყვნენ. უსამართლობამ ორნივე მოსწყვიტა საზოგადოებას და ყაჩაღებად გადააქცია.

დრამატიული პოემა „კაკო ყაჩაღი“ ღრმა იდეაზეა აშენებული; როგორც შილლერის დრამა „ავაზაკნი“. ყმები ებრძოდნენ გამეფებულს უსამართლობას და ყაჩაღებად ხდებოდნენ უმწეო მოძმის დასაცველად და თავისუფლების მოსაპოებლად. გაიდებულნი პოეტისაგან კაკო ასე აუწერს ზაქროს თავის ცხოვრებას: „მე ვარ მდიდარი. ამ ტყეში მარტო მე მაქვს მეფობა... ყოველ ხის ძირას ჩემი სახლია, სადც მიღამდება, იქ მითენდება; თუმცა ბევრი რამ მე აქ მაკლია, მაგრამ აქ ჭირიც მიადვილდება. უსახლკარობა, შიში, შიმშილი, მარტოკა გდება მხეცივით ტყეში, ყურდღელსავითა ფხიზელი ძილი და იარაღი დღე და ღამ ხელში, მართალია, ძმავ, კაცს მოსწყინდება, მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება, სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი“. პოემა იწყება საოცხოვო. ხელოვნურად დახატოულის ალაზნის ველის სურათით:

სამშობლოს ცასა ბნელად გამძლილი
მწუხრის ზეწარი გადაეფარა, –

- 94 -

და მთვარის შუქზედ მთებისა ჩრდილი
ალაზნის ველზედ წამოიხარა.
ღამის გუმაგი, მუდამ მჭმუნავი
მთვარე მეფურად მძლავრად ვიდოდა,
მთებისა ყინვით ნაკვეთი თავი
იმის სხივებთან მუსაიფობდა.
შორნი მნათობნი მოკამკამენი
იმ მწუხარს ღამეს მხიარულობდნენ,
მდუმარს ქვეყანას, ვით საყვარელნი,
სხივებს ესროდნენ, ზედ დაჰხაროდნენ.
და იმ მნათობთა სხივის ალერსით
ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა,
მხოლოდ ნიავი მთისა მოლხენით
ტყეში ფოთლებთან ლაზღანდარობდა
და ალაზანი შეუპოვარი
ჰჩიოდა, თითქო კაცს ემდუროდა.
მის ბუტბუტს მარტო მთაი მდუმარი
დაფიქრებული ყურს მიუპყრობდა.

პირველად თავის შემოქმედებითი ნიჭი ილიამ მიაქცია
ბატონ-ყმობის გაუქმების აუცილებელს საჭიროებას, იმის უსა-
მართლობის და შემლახველის გარემოების გამომწვევებას. პოე-
ტი სრულებით არ ეხება, რა ისტორიული პირობების წყალო-
ბით დაიბადა და განვითარდა ეს წესწყობილება; იგი აღშფო-
თებულის გრძნობით გადაგვიშლის გამწვავებულს და სავალა-
ლო შედეგს ისტორიულად წარმოშობილის მოვლენისას. რო-
დესაც გავრცელდა ხმა რუსეთში ბატონ-ყმობის მოსპობის შე-
სახებ, ილია აღტაცებით მიეგება ამ დიდის ხნის სურვილის გან-
ხორციელებას და უძღვნა (1860 წ.) ცნობილი ლექსი: „მეს-
მის, მესმის სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტერევისა! სი-
მართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს დასათრგუნვლად მონებისა. აღ-
მიტაცებს ხოლმე ეს ხმა და აღმიგზნებს იმედს გულში; ღმერ-
თო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში“. მგო-

- 95 -

სანს აუსრულდა ნატვრა და ოთხის წლის შემდეგ (1864 წ.)
გადავარდა საქართველოშიაც სამარცხვინო ბატონ-ყმობა.

ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ იწყება მეორე ხანა
ილიას სალიტერატურო მოღვაწეობაში. ამ დროს ილია ცდი-
ლობს წარსულიდან აღებულის დიდებულის სურათებით გა-
აღვიძოს ქართველობაში მიფერფლილი თვითცნობიერობის

გრძნობა. ჯერ ისევ 1860 წ., ე. ი. ბატონ-ყმობის გადავარ-
დნამდე, დასწერა ღრმა აზრით და მომხიბლავის მხატვრობით
აღსავსე პოემა „აჩრდილი“, წარსულთა დღეთა „დიდებულე-
ბის“ მოსაგონებლად. პოეტს მოევიწყა მყინვარზედ მოხუცე-
ბული, „მშვიდი, დაფიქრებული“. მის გარშემო შვენიოდნენ
მთანი და მათ ფეხთა ქვეშ თერგიც გაჰყვებდა... „იქით შორს
სჩანდნენ მინდორნი, ტყენი და იმათ შორის არაგვიც ჩვენი“,
„მოწამე ქართველის ცხრვრების“, რომლის კიდებზედ, ამბობს
მგოსანი, „ჩემი მამული იყო ერთ დროსა გამშვენიებული“.
მოხუცის თვალი არ მიიქცია არც ტყემ, არც მთამა, – იგი სი-
ყვარულით უმზერდა შორეულს საქართველოს. იგი აუხსნის
მგოსანს, ვინ არის და რა აწუხებს მას. მოხუცი – თვით ილიას
გულში ნადებს ტანჯვას და იმედს გამოსთქვამს.

მარად და ყველგან, საქართველოვ, შე ვარ შენთანა!..

მე ვარო შენი თანამდევნი, უკვდავი სული.

შენთა შვილით სისხლით გული სრულად გარდამებანა,

მამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული...

შენის აწმყოთი სული, გული დამწელებელია.

ვიციო, რომ ერთხელ „შენცა გფენია ქვეყნის მაღლი – თავი-
სუფლება“ და ახლა იგი აღგვიღაო და აღარც კი სწამთ მისი
აღდგენაო. აჩრდილი მოსთქვამს, რად არის დატოვებული სა-
ქართველო, როგორც „ტამარი გაუქმებული“. მისთვის – დიდ-
სა თუ პატარასა – ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული, „მა-
მულისთვის თავის დადება“ აქ დავიწყებულია. თუ გამოჩნდება
ასეთი გმირი, „ის თავის ხალხში აღარ მოკვდება“. მაგრამ ასეთი
მომავალის თაობისთვის სათაყვანებელი გმირი ბუნებით მშვე-

ნიერს საქართველოში არა სჩანს. მართალია, „ორს-სამს კაცს
რადაც უგრძნიათ, ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან“, მხო-
ლოდ მათ საერთო სენი სჭირთ – „ერთმან ერთს არ ენდობიან,
ერთმანერთისა მათ სიკეთე შურთ“. პოეტი გვიხატავს განცხრო-
მილის ბატონის და მშვიერის ყმის დამოკიდებულებას, როგორ
სარგებლობს პირველი მეორის ოფლით და იმედოვნებს, რომ
ბორკილისაგან შრომა განთავისუფლდება, თანასწორობა გა-
მეფდება და მაშინ განმტკიცდება სოფელსა შინა. კაცთმოყვა-
რების სახიერებით..., უქმ სიტყვებად არ იქნებიან ძმობა, ერ-
თობა, თავისუფლება, ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან კაცთ-
მოყვარება და სათნოება. ასეთი სამართლიანი იქნება მომავა-
ლი შედეგი თავისუფალის შრომისა. ახლა კი საიმედოს ვერა-
ფერს ხედავს მოხუცი, იგივე პოეტი. „აგერ ტფილისიც“, ამ-
ბობს იგი, როცა დახედავს მას მწვერვალიდან. არაფერი ახა-
რებს მის გულს, როცა ხედავს, რომ დიდი, პატარა, თავადი,
გლეხი ფუჭს ცხოვრებას დასდგომიან, „გრძნობას ოქროსა ფა-

სად ჰყიდიან, მთავრის ღიმილზე – პატიოსნებას და დაჟანგებულს ზორკილზე სცვლიან თავის მამულის თავისუფლებას“. სავალალო სურათს წარმოადგენს მცხეთაც „სავანე გმირთა, სად პირველ ქართველის მორჭმულთა შვილთა ღრმად ჩარგეს ძირი თავისუფლების“. ცხოველი წყარო აქ დამრეტილა „და იგი დედა-ქალაქი ვრცელი აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა“.

პოეტი მოხუცის პირით მოიგონებს წარსულს ქველობას და მამაცობას ქართველის ერისას, რომელიც „მამულისა და რჯულისათვის“ იბრძოდა ალექსანდრე მაკედონელის შემოსევიდან და შემდეგ „არ ჩაუგია ქარქაშში ხმალი“, რადგან ძველი ქვეყანა ხარბის თვალთ უყურებდა პატარა საქართველოს. ძველი ახოვანი ცხოვრება მტვრად გარდაქმნილა. საერთოდ ქართველის ბედი „ტანჯვათა შორის“ მიმდინარეობდა: „ხან დაცემულა და მიმქრალა, ხან აღდგომილა“ მოხუცი შენატრის იმ დროს, როცა ნახავს ამ მშვენიერის ქვეყნის შვილებს „ერთისა აზრით, ერთის ფიქრით“ გამსჭვალულებს, მოესწრება

- 97 -

მის აღდგენას და ქართველთა გულში ქართველობის გაღვივებას. ჭეჭა-ჭუხილმა შესწყვიტა აჩრდილის სიტყვა. როცა ცამ გადიწმინდა, მგოსანმა შენიშნა, მოხუცი ხელ-აღპყრობით ასე ლოცულობდა:

დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი მხვედრია...

შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა...

იგი ღმერთს სთხოვს, რომ ქართველთ მიეცეთ ერთმანერთის ნდობა და სიყვარული და აღუდგეთ „მშვენიერი ესე მამული“.

„აჩრდილი“ შემაერთებელი ხიდია პირველს და მეორე ხანას შუა. აქ გაკიცხულია აწმყო განწყობილება „უფალის და მონის“ შუა, მაგრამ აქვე განდიდებულია „ძლიერება“ ძველთ ქართველთა და აღფრთოვანებული ნატვრათა წარმოთქმული, რომ „კვლავცა აღმდგარიყოს მშვენიერი ჩვენი ქვეყანა“. „კაცია ადამიანი“, „გლახის ნამბობი“, „კაკო ყაჩაღი“ ეკვეთენ დაძაბუნებულს ბატონ-ყმურს ნიადაგზე აგებულს საზოგადოებას. ამ ნაწერებით ილიამ განამტკიცა აზრი, რომ წოდებათა დამოკიდებულება ნორმალურს კალაპოტში ვერ ჩამდგარა და ამის შედეგია თავად-აზნაურთა მცონარეობა, ზნეობითი გახრწნილება, გონებითი სიკოტრე და გლეხებთან განხეთქილება. როგორც სჩანს, ბატონ-ყმობასთან ბრძოლას ილიამ თავისი შემოქმედებითი ნიჭი დიდს ხანს ამსახურა, დაიპყრო მისი აზრი და კეთილშობილი განზრახვა. იმის ხელნაწერები გვარწმუნებს („ფასკუნჯი“ 1908 წ.) რომ თავდაპირველად ერთს მოთხოვრებაში, სახელად „კაკო“, მან შეაერთა დათიკოს („გლახის ნამბობის“ *) და კაკოს („კაკო ყაჩაღის“) რამდენიმე ეპიზოდი და

*) „გლახის ნაამბობში“ შემდეგ ილიამ დაგვიხატა იდეალური მოძღვარი და მისი მაღალი დანიშნულება საზოგადოების ცხოვრებაში. მისი საუბარი სწავლის საჭიროებაზე და თავის გაწირვა მტკვარში ჩავარდნილის კაცის დასახსნელად დიდი ხანია უკვე ქრისტომათიაშიაც არიან შეტანილნი („ბუნების კარი“ იაკ. გოგებაშვილისა). ნ. სკანდელის აზრით, ამ მოთხრობაზე გავლენა იქონიეს რუსის მწერლებმა: გრიგოროვიჩმა, პისემსკიმ და პოტეხინმა.

- 98 -

მხოლოდ შემდეგ გაჰყო ორს თხზულებად. უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსის მწერლებს საერთოდ გავლენა მოუხდენიათ ილიაზე. „კაცია ადამიანის“ წამკითხველი მოიგონებს გოგოლის „სტაროსვეტსკიე პომეშჩიკის“. ამავე მწერლის თხზულებათა „რევიზორის“ და „მერტვია დუმის“ ზედმოქმედება ჩანს ხელნაწერად დარჩენილს მის მოთხრობაში „კაკო“, სადაც სხვათა შორის ვკითხულობთ („ფასკ.“ 1908 წ. № 8): „ჩვენცა გვყვანან ქართველი ბობჩინსკები და დობჩინსკები, ჩიჩიკოვები, საბაკევიჩები და სხვანი, მაგრამ მათ სუყველას ქართული სუნი უდის“. აი სწორედ ამ „ქართულის სუნის“ შენიშვნა და გამომზევება დამკვირვებელის ნიჭის წყალობით შესძლო ილიამ თავის პირველს ნაწერებში, რომელთა ჩასახვა და დედა-აზრის გატარება ნაციონალურს ნიადაგზე დაებადა უცხო მწერალთა შესწავლის წყალობით.

ბატონ-ყმობის გადავარდნამ ვერ მოსპო წოდებათა განხეთქილება. ილიას არ გამოჰპარვია ეს მწვავე და მწარე უთანხმოება მაღალს და დაბალს წრეთა შორის. მათ დაახლოებას და საერთო ინტერესით დაკავშირებას იგი ცდილობს როგორც პუბლიცისტურის წერილებით („ცხოვრება, და კანონი“), აგრეთვე მხატვრულის ნაწარმოებით („ოთარაანთ ქვრივი“). იგი სასოებს იმედით, რომ შეთანხმება მათი შესაძლებელია იმგვარათვე, როგორც სწამს სამშობლოს კვლავ აყვავება. ეს „ტკბილი იმედი“ მას დაებადა 1860 წ., როდესაც დაამთავრებს სასოწარკვეთილებით დაწერილს პოემას „აჩრდილს“ და ლაჟვარდს ცაზე დაინახავს „მახარობელს“ შვიდფეროვანს ცისარტყელას.

განახლების იმედი და მწუხარება სამშობლოს არა სანუგეშო მდგომარეობის გამო ერთმანერთში არიან გადახლართულნი მის პირველს ლექსებშიაც. ამ გრძნობით გამსჭვალულია ნაზად აწონილი და ზომიერად ჩამოსხმული „ელეგია“ (1859 წ.), რომელიც იწყება მშვენიერის სურათით:

- 99 -

მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა
მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა
და თეთრი ზოლი შორის მთებისა
ლაჟვარდ სივრცეში დაინთქმებოდა.
არსაიდამ ხმა, არსით ძახილი,
მშობელი შობილს არ-რას მეტყოდა,
ზოგჯერ კი ტანჯვით გამოძახილი
ქართველის ძილშია კვნესა ისმოდა,
და ათავებს ასეთის თავის სულის მოძრაობით:
ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი.
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება.
ოხ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი,
როსდა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!

ილია ამ დროს ჭმუნვით ხედავდა გარშემო უსაქმო ლუარ-
საბებს და გახრწნილს დათიკოებს; იგი გრძნობდა თავის მარ-
ტობას და განცალკევებას. მის გულში დაისადგურა მწუხა-
რებამ უფრო იმიტომ, რომ უმეგობროდ დარჩა.

უზადო სიყვარულიც სამშობლოსადმი და სევდაც, რომ
განუზიარებელი რჩება მისი ფიქრი, ჩაწნულია მის ლექსში
(1861 წ.) „მას აქედ, რა კი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჰოი მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!“ სულ-განაბული
დღე და დამ ყურს უგდებს მის ძარღვის ცემას. გრძნობა და
ფიქრი განუწყვეტლივ მისკენ აქვს მიმართული. სწუხს მხოლოდ
იმის გამო, რომ ამ ფიქრს და გრძნობას ვერვის უზიარებს:

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო.

სევდის კილო ასდევნებია ილიას თვით პირადს სიყვარულ-
შიაც, როგორც ამას მოწმობს მის რომანსი „გახსოვს, ტურ-
ფავ, ოდეს ბაღში მე და შენ რომ ერთად ვრბოდით“... ამავე
ელეგიურის სიმწარით გამოსთქვა გულში ნადები გრძნობა ლექს-

– 100 –

ში „გაზაფხული“ (1861 წ.), სადაც დაპირდაპირებულია
აყვავებულის ბუნების სურათი და ბედ-გამოურკვეველის სამ-
შობლოს მდგომარეობა.

ტყემ მოისხა ფოთოლი, აგერ შერცხალიც ჭივიის,
ბაღში ვაზი თბოლი მეტის ლხინითა სტირის.
აყვავებულა მდელო, აყვავებულან მთები;
მამულო საყვარელო, შენ როსდა აყვავდები?

ასეთი იყო პოეტის სულის მოძრაობა ბატონ-ყმობის გა-
დავარდნამდე მოთხრობების და ლექსების მიხედვით. როცა გა-
დავარდა ბატონ-ყმობა, ილიამ მიმართა პატრიოტულს თემებს,
ქართველის მეფის, დედის, მოქალაქის თავდადების შექებას,

რათა თანამედროვე საზოგადოება გამოეწვია ნაყოფიერს ნიადაგზე საშრომლად. ისტორიულის წარსულის მხატვრულად დასურათებამ დაიჭირა მის ნაწერებში წინანდელი ბატონ-ყმურის აწმყოს გაკიცხვის ადგილი. „აჩრდილშივე“ ჩასახულია ძველის „ძლიერების“ განდიდება, არაგვისადმი სიყვარულით მიმართვა. ასეთისავე ნაზის გრძნობით მიუძღვნის ლექსს „ალაზანს“ (1859 წ.), „მშობლიურის მთის ცრემლით შემდგარს“, დასცქერის ჭმუნვით და მის „წყალში ეძებს თვისს წარსულს“. პოეტი ყველგან ძველთ ნაშთთა შორის კითხულობს მამულის თავგადასავალს, „ქართველის ქველობას“ განუწყვეტელის „კირთების ბედშავს დღეებს“. „იანიჩარის“ (1860 წ.) სიმკვირცხლე მის გულს აღონებს, რადგან იგი მოწყვეტილია სამშობლოს, ემსახურება უცხო ხალხს.

ვსთქვი, თუ ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა?

შენს სიმარდეს, სიჩაუქეს ქართლი შენი არ დაჰყურებს,

მეფე შენი თავის ქებით ჭაბუკს გულს არ გიხალისებს.

პატრიოტული ტენდენცია გამეფებულია ილიას ნაწერებში 1883 წლამდე, როცა დაიბეჭდა მისი პოემა „განდეგილი“. აქედან იწყება მესამე ხანა მის სალიტერატურო მოღვაწეობისა. პატრიოტული ელფერი აძევს მის პირველის პერიოდის თხზულებებს, რომლებშიაც იგი ჰკიცხავს აწმყოს საუკეთესო

- 101 -

მომავალის მოსამზადებლად. მტკიცე ლარის გატარება პირველს და მეორე ხანას შორის ამიტომ დიდად სამნელოა. როცა იწერება იმისი „გლახის ნამბობი“, „კაცია ადამიანი“, „კაკო ყაჩაღი“, მიმართული ბატონ-ყმობის დასანგრევად და მის გამათახსირებელის შედეგების დასათრგუნავად, ამავე დროს ეკუთვნის პატრიოტული აღმაფრენით ჩაგონებული ლექსი „ქართველის დედას“ (1859 წ.), „დედა და შვილი“. (1860 წ.)

და სხვანი. თვით მის გაკიცხვაში გამოსჭვივის წრფელი გრძნობა და გაუმჯობესობის სურვილი. სწორედ ამ აზრით არის დაწერილი ლექსი „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში“ (1861 წ.), სადაც, სხვათა შორის, გვამცნევს:

ჩემზედ ამბობენ: ის სიავეს ქართველისას ამბობს,

ჩვენს ცუდს არ ჰმაღავს, – ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!

ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს –

ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია.

სულით დაცემულის ერის გასამხნეველად პოეტმა მიმართა „ქართველის დედას“ (1859 წ.). უწინ ქართველის დედა მამულს უზრდიდა მომავალს გმირსა. აწ კი დრო შეიცვალა: მამა-პაპური მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური გაჰქრნენ. მაინც ამისთვის არ გვმართებს მწუხარება, უნდა გულში მოვიკლათ „წარსულს დროებზედ დარდი“. ახლა სხვა მიზანი უნდა გა-

ვიმძღვართ:

ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ შყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს.

დედის დანიშნულებაა – მან აღზარდოს შვილი ქრისტეს მცნებაზე, ჩააგონოს „სიყვარული, ძმობა, ერთობა, თავისუფლება“, ისე გაუწვრთნას მას სული, რომ „წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება, უკან ჰრჩეს კვალი განათლებული“.

უფრო დიდებულის შარავანდედით შემოსა „ქართველის დედა“ დრამატიულს პოემაში „დედა და შვილი“ (1860 წ.). აქ გამოკვანძულია მწელად შესარიგებელი ბრძოლა მოვალეობის

- 102 -

და სიყვარულის შუა. მამული არაბებს უჭირავთ. ერი დრტვი-ნავს მძიმე უღელს ქვეშ. მოძრაობა აღელვებად შეიცვალა, საქართველო გამოფხიზლდა, გაცოცხლდა.

ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს, ერთის ზღვიდამა მეორემდე ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, – და ეგ ფიქრია ჩვენის ქვეყნის თავისუფლება.

სწეული მოხუცებული დედა, ერთის შვილის პატრონი, სასიკვდილოდ გადადებული, აღტაცებით შეხვდება ქვეყნის გან-თავისუფლებისათვის მოქმედებას. იგი მზად არის „საყვარელი და სანატრელი შვილი, მისი ნუგეშის მცემელი და სიბერის მისაყრდომი“, მამულს უძღვნას. ეს გაწირვა მოხუცისთვის, მის „უძღურის სულისთვის“ ქართველის დედის წმინდა მოვალეობის აღსრულებაა. მწარეა დედის-ერთა შვილის დათმობა, ბრძოლის ველზე გასტუმრება, სადაც განგმირულს გულს და-მტირებელი ხელი ვერ შეეხება, მაგრამ მამულისათვის შვილის სიკვდილში იგი ხედავს თავის ვაისაც და ნეტარებასაც: „ვით დედა-შენი იმ სიკვდილით შენით ვივაებ, ვით ქართველის დედა ვინეტარებ და ვისახელებ“. შვილი მიულოცავს საქართველოს მტერზე ამხედრებას თავისუფლების მოსაპოვებლად, რომელსაც უძღური დედა „კ(ცთა ნავთსაყუდარს“ უწოდებს. მოხუცი სწუხს მხოლოდ იმიტომ, რომ მისგან შობილი მხოლოდ ერთი ძე შეაკვდება ამ ნეტარს დღეს და თვით მისი დღე მაშინ ესვენება, როცა ამოდის „ქვეყნის მზეი დიადი“. ცოდვად მიაჩნია მას შვილი დასტოვოს სახლში, როცა სხვები მამულისთვის იხოცებიან. დედა მაგრდება მამულისადმი მოვალეობის აღსრულების შეგნებით, ვიდრე არ დადგება უკანასკნელი წამი შვილთან გამოთხოვებისა. გარედან მოისმის ჯარის ორპირად მამაცური სიმღერა: „ქართველო, ხელი ხმალს იკარ, დღე გათენდა დიდებისა, თოფ-იარაღი აისხი, დრო მოდის გამარჯვებისა“. უძღურს დედას შვილი შეუჯდება მხრებში და დაანახვებს „ქვეყნის მხსნელს“ ვაჟკაცებს, რომელნიც ისე

მიდიან სასიკვდილოდ, როგორც დღეობას“. დედა ცრემ-

- 103 -

ლებს ვერ იმაგრებს, ლოცვა-კურთხევას უგზავნის ჯარს და მუხლმოკვეთილი ლოგინთანავე მიყვანას თხოულობს. შვილი ამხნეებს დედას და მიეკვრის გულზე: „მშვიდობით, დედი! შენ ჩემზედა ნუ დაღონდები, ცოცხალი მოვალ, თუ არა და ისე მოვკვდები, რომ ჩემს სიცოცხლეს ამჯობინო ჩემი სიკვდილი“. ამ განშორების წამს სასოწარკვეთილებამდის მიჰყავს „უძლური გული დედისა“ და აქამდის მამაცად შვილის გამწირავი, ახლა ზარდაცემული ტკბილად ეკითხება შვილს: „დედა არ გიყვარს, დედა შენი მოხუცებული?“ და სთხოვს მასთან დარჩენას. შვილი მოაგონებს მამულს და თითქო ახლა გაახსენდაო, იგი მიუგებს: „მართლა, მამული!.. იგი უფრო საყვარელია, მამ წადი, შვილო!.. ღმერთი იყოს შენი მხსნელი..“ შვილის მოშორებას ვერ აიტანს დასუსტებული არსება და განუტევებს სულს. ასეთის ბუნებრივის ფსიხოლოგიურის შეგნებით და ანალიზით შეკვანძა დრამატიული დიალოგი და ადამიანის სულის დიდის ცოდნით განავითარა იგი და მარტივად გახსნა.

დრამატიზმის სიძლიერით „დედა და შვილი“ მაღლა სდგას პოემაზედ „დიმიტრი თავდადებული“ (1880 წ.), რომელსაც იგივე იდეა უძევს საფუძვლად: მამულისათვის თავის გაწირვა და მსხვერპლად დადება. უქმე დღეს მოუთხოვს ბრძამეფანტურე შეყრილს ხალხს ძველს ნასმენს ამბავს, „ვინ ვიყავით, რა ვიყავით ჩვენ ქართველნი წინა დროსა“. მაშინ გლეხს და თავადს შვილის ყოლა იმიტომ უხაროდა, რომ მამულს მეომარი ემატებოდა. ძველი ქართველი ერთის გრძნობით სცხოვრობდა: ან მამულისთვის სიკვდილი და ან სახელი, მიწა-წყლის და რჯულის დაცვით მოპოებული. ახლა ჩვენი „დიდება“ დაქცეულია: „რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ“ და ამას დაუმატებს ბერიკაცი: „რაც ვართ, ის ნულარ ვიქნებით“. მაგალითად მეფანტურეს მოჰყავს დიმიტრი მეფის ამბავი. დიმიტრი იყო ტანად მშვენიერი, მტრისა მსრველი, მოწყალე და ღვთისნიერი, ქვრივის და ობლის გამ-

- 104 -

კითხავი. მეფე ყეინს მორჩილებდა, თუმცა ქვეყნის საქმეს თავის ნებაზე განაგებდა. ყეინს გადაუდგა მისი ხელქვეითი და ჩვენს მეფეს სთხოვა მიმხრობოდა. მეფე არ მიემხრო გადგომილს. გამარჯვებულმა გადგომილმა დიმიტრი მეფე დაიბარა თავისთან. მტრის შემოსევას მეფემ თავის გაწირვა არჩია და წა-

სვლა გადაწყვიტა. დიდებულებმა მეფე ვერ გაიმეტეს და მტერთან გამკლავება მოისურვეს. მეფემ უარჰყო ეს წინადადება, რადგან მტერი ბევრად მეტია და ერთს ქართველზე ასი მოვა: „სიმრავლე გვძლევს, ხალხი ურგოდ გამიწყდებაო“. მღვდელმთავარმა მხარი დაუჭირა მამაცს მეფეს: „ვსტირ და გირჩევ ღვთის სახელით, ხორცი დასთმო სულისათვის, უკვდავება არ დაჰკარგო წუთის სოფლის გულისათვის“. მოეწონა ეს სიტყვა მეფეს, ჩააბარა ქვეყანა დიდებულებს და თვით „უშიშარი“ წავიდა ურდოს ამალით. ერთან გამოთხოვების წამს ერთი უძლური მოხუცი, რომელსაც მხრებში ორი ბიჭი ამოსდგომიყო, გაჩნდა მეფის წინ და მოახსენა: უომრად ნუ დავმარცხდებით, აი ეს ორი ჩემი შვილი „მიირთვი და ინაცვალე, ჩემს ქვეყანას მტლად დაუდე! ომში, მეფევ, გაჩვენებენ, რა ლომებს ჰზრდის ქართველის ბუდე“. მეფემ მაინ არ ინდომა მტრისთვის აეკლებინა ხალხი და თავის გამეტება ამჯობინა. მეფეს გაჰყვა მღვდელმთავარიც. ამაღას ფიცი ჩამოართვა, ურდოში „თუ უკადრისი მაკადრონ, თქვენ არავინ ხმა არ გასცეთო“. როცა მიუახლოვდნენ თათრებს, მეფე მტრებმა უკადრისად „შებაწრეს ტყვესავით“ და ისე მიჰგვარეს ყეინს, განრისხებულს იმიტომ, რომ ჩვენი მეფე არ გადუდგა მის „მოსისხლეს“ და მას არ დაუჭირა მხარი. მეფეს თავის მოკვეთა გადაუწყვიტა. დასჯამდის იგი ჩაამწყვდევიანა „ბნელში“, ბევრი აცემინა და აწამებინა. მეფის ამაღამ შეისყიდა ციხის კარის მცველები, შევიდნენ და სთხოვეს დიმიტრის საპრობილიდან გაპარულიყო. მეფემ ესეც უარჰყო, რადგან მის გაქცევას მოჰყვებოდა „ხალხის სრვა და ქვეყნის რბევა“. მეორე დღეს, როცა მოედანზე გამოიყვანეს დაპატიმრებული მეფე, მოაგონდა „სახლი, კარი,

- 105 -

თვისი, ტომი“, გაუტყდა გული და ვეზირს უთხრა: – „დამიხსენი!..“ მაგრამ „თქმული თვითვე შეჰზარდა... „ჰა, ჯალათო“, დაიმახა და კისერი გაიწვდინა“.

ასე იდეალურად დაგვისახა დიმიტრი თავდადებული, მისი ერთგული ერი და თანმხლებელი ამაღა. ილია ამგვარის დიდებულის სურათის დახატვით ცდილობს ჩაუნერგოს საზოგადოებას სიყვარული მამულისადმი და სულით გამხნევება იმ დროს, როდესაც საქვეყნო საქმისთვის სამსახური ათვალწუნებული და მივიწყებული იყო. შეაქებს წარსულში ცნობილს სამშობლოს გმირებს და მათ სახელს სათაყვანებლად ხდის. ამავე წარსულს მიმართავს პოეტი, როცა მის გაკიცხვით სახავს იდეალს თანამედროვე მოღვაწეებისთვის. იმისი სატირა „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“ მწარე დაცინვაა საქართველოს მესვე-

ურთა რუსეთთან შეერთების დროს და მის ახლო ხანებში. „პაპას“ ეკითხება პოეტი, რას აკეთებდნენ ქართველები და როგორ უვლიდნენ თავიანთ ბედს ირაკლი მეფის სიკვდილის შემდეგ. მოკვდა ეს მეფე და ქართველები „პირღია“ დარჩნენ; გადიცვალა შემდეგ გიორგი XII, „ჩვენც, ერთმანერთს ვწეწ-დით და ვიწეწებოდითო“. მერე რუსეთისკენ სახვეწნელად წავიდნენ. როცა ჩვენი ბედი გახდა სათამაშოდ, „ჩვენ ყაბახზედ ვაჟკაცურად ვბურთაობდითო“. ამას მოჰყვა ერთმანერთის დაბეზღება, ბედოვლათობა, მამულების შეცილება, ტირილი ყმების განთავისუფლების გამო, „ლაზღანდარობა“, ბანკობით და „на-плечо“-ს შესწავლით გატაცება, ახლა კი „უსაქმოდ“ ხეტიალი.

გაკიცხვა და გაიდევალება წარსულისა ერთის მიზნით არის დატრიალებული ილიას ნაწერებში; მით იგი ჰბადავს წაბადვის კეთილშობილურს გრძნობას და ამაღლებას თანამედროვე უფერულის ცხოვრების პირობათა ვითარებაზე. მთელი მისი პოეტური შემოქმედება ემსახურება ამ დედა-აზრს. ამგვარი პროგრამა აღნიშნა ლექსში „პოეტი“ (1860 წ.).

- 106 -

მისთვის არ ვმდერ, რომ ვიმდერო, ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმათათვის გამომგზავნა ქვეყნად ცაშა.
მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წისა ერსა.
დიდის ღმერთის საკურთხევლის მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო ჭმუნვასა და სიხარულში;
ერის წყლული მიჩნდეს წყლულად, მეწოდეს მის ტასჯვით სული,
მის ბედით და უბედობით დამედაგოს მტკიცე გული.
მაშინ ციღამ ნაპერწკალი თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმდერ, მხოლოდ მაშინ მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა.
აქ არის გამოთქმული ილიას შეხედულება პოეტის დანიშნულებაზე. იგი წარმოგზავნილია ერის წინამძღვრად, მის მოძმედ ჭირში და ლხინში. „ციურმა ხმებმა“ ჩამოსძახეს „კაცი გიყვარდესო“. ამ იდეალურს მისწრაფებასთან იგი აკავშირებს ადამიანის ღირსების ქადაგებას *). ამ თვალსაზრით განსჭვალული, სამშობლოსაგან დაშორებული, იგი მაინც მას დასტრიალებს, მის აწმყო და მომავალი ასულდგმულებს და აფიქრებს. ლექსი „მწუხარება“ (1860 წ.) ასურათებს მის სულის მოძრაობას:

ქვეყანაზედ და ზეცაზედა იყო დუმილი,
მოლხენით იყვნენ უდარდელნი მთიები ცისა...
და მე კი მკლავდა მწუხარების წყლულთა ტკივილი,
შიგ გულში მედვა სასიკვდილო გესლი სევდისა.
ილიას სწამს, რომ აწ მოწყენილს სამშობლოს მომავალი გაუღიმებს, წამოიზრდება ახალი თაობა, რომლის ზრუნვის სა-

განი იქნება იგი და აღუდგენენ მას „დიდების“ დღეებს („ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია“ 1878 წ.). სწამს აგრეთვე კეთილი გავლენა კალმისა და მწერლობისა: „ხმალი იმოდენს ვერას იქმს მრისხახე და ძლიერიო, რასაც იქმს მშვიდობიანი კალმის პატარა წვერიო“. გამეფდება ერთსულოვ-

*) „ვით მამა ზეციერი იყავნ შენც სრული“.

- 107 -

ნობა და შური მოისპობა ქვეყნად: „წუთის სოფელი ესეა: ღამე დღეს უთენებია, რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია“ (1889 წ.).

სამშობლოსათვის ზრუნვა მის შვილთა მხრით ილიამ უფრო მკაფიოდ გამოსთქვა „სტუდენტების სიმღერაში“ (1860 წ.), რომლის დასაწყისი ანდაზად გადაიქცა: „დედამ რომ შვილი გაზარდოს, – ემაგრე ჩვენისთანაო... ძმურად გამოსადეგნი ვართ ყველგან და ყველასთანაო... ლხინში მოლხინეს მოვულხენთ, ჭირში მოჭირნეს ვუშველით; ფიქრის, საქმის, შრომის დროსა ბრძენთ არც ჩვენ დავუვარდებით... უანგაროდ მივალთ წინა, მარტო ის გვაქვს გულში ფიქრად, რომ წინანი უკანასთვის უნდა იქმნენ გზად და ხიდად“.

„ლოცვაში“ (1863 წ.) იგი ეხვეწება ზეციერს მამას, სიყვარულით აღუნთოს გული, რომ მტერთათვისაც სთხოვდეს მიტევებას. ეს გაფაქიზებული სიყვარული თავდაპირველად ილიამ მიმართა ხალხს, დაბალს წოდებას, შეიგნო მისი მწუხარება და შეეცადა მის ჭირის და ლხინის გაზიარებას. ამამდღებელს იდეას შეიცავს ლექსი „გუთნის დედა“ (1863 წ.): „ერთს ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ, წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ. ერთგულად ვჭიმოთ ჭაპანი ჩვენი, უსიხარულოდ დავლიოთ დღენი, ბელტი ბელტზედა გადმოვაწვინოთ და შრომის ოფლი მიწას ვაწვიმოთ“. გუთნის, დედა ადარებს თავის „უღელს“ ლაბას უღელს და განსხვავებას ვერ პოულობს, რადგან ორნივე მიწას დაჰყურებენ და მიწის მსხვერპლად შეიქმნებიან. „შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?! ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება... რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი, თუ სიმართლისთვის დამიჩლოუნდება? ილია მაშვრალთა მგოსანია იმ ლექსში, რომელიც „მუშის“ სახელით დაბეჭდა და მუშის სულის ვითარება და ტვირთმძიმე ცხოვრება თვალწინ გადაგვიშალა.

სიყვარულის ქვეყნად გამეფებისთვის საჭიროა უსამართლობის მოსპობა, გაუჭირვებელის ცხოვრების დამყარება. ეს

- 108 -

აზრი გარკვეული აქვს ილიას მოთხრობაში „სახრჩობელაზედ“. ორი ახალგაზდა ძმა თავადიშვილი, არსებობის წყაროს მოკლებულნი, ყაჩაღებად გადაიქცნენ. გაჭირვებამ აიძულა იგინი გაექურდნათ მეურმე პეტრე, რომელმაც შეძლებისამებრ დახმარება გაუწია ორის დღის უჭმელს თანამგზავრებს. გაუმასპინძლდა ამათ პეტრე, თავის ნაბადზე მოასვენა, „უსუსურმა“ სტუმრებმა კი ავად გადაუხადეს ეს დავალება და სამი მანეთი და ათი შაური მძინარეს მოჰპარეს და გაქრნენ. ოთხის წლის შემდეგ პეტრე სოფლიდან ქალაქში ჩამოვიდა. მოედანზე ყური მოჰკრა, რომ ზარბაზანი გავარდება თუ არა, მახათაზედ ერთს კაცს ჩამოახრჩობენო. პეტრე გაჰყვა ხალხს ამ „ვაი-ვაგლახის“ სანახავად, თუმცა ეჭვის თვალით უყურებდა ქალაქელებს ერთხელ გზაში „უსუსურის ძმებისაგან“ მოტყუებული. სალდათები, ტუსადი და თვით ჩამოხრჩობა მაცდურობად მიიჩნია, მინამ არ დარწმუნდა, რომ „ჯამბაზობა“ აქ უადგილოა. ჩამოსახრჩობი კაცი ემცნაურა პეტრეს, მაგრამ ვერ მოიგონა, სად ენახა. როცა პეტრე ბაკებისაკენ დაბრუნდა, მას აედევნა ნაბდიანი კაცი, გადასცა წერილი, რომელშიაც ფული იყო ჩადებული, და სთხოვა წაეკითხა იგი, როცა ქალაქიდან გავიდოდა. წერილი და ფული ჩამოხრჩობილის ძმისა აღმოჩნდა; ამ ფულს უბრუნებდა ოდესღაც მოპარულის 3. მ. 50 კ. მაგიერად. ეს არის ქარგა მოთხრობისა, რომელზედაც ავტორმა ამღვრეულის კაცის სულის მდგომარეობა გადაგვიშალა. ჩამოხრჩობილი ძმა ემდურის მთელს ქვეყანას, სუყველას მოსთხოვს სისხლს თავის დანაკარგის გამო. საზოგადოების და მის შუა ჩატყდა ხიდი. „ერთი პატარა მარღვი კიდეც მქონდა გულში, – სწერს იგი, – და ისიც დღეს სახრჩობელაზედ ჩამწყდა. ამით სამუდამოდ მოვწყდი ქვეყანას... თუ როდისმე ჩემი ნახვა მოგინდეს, მოდი და მეც ჩემს ძმასავით სახრჩობელაზე მნახე. ჩემი ბოლო ეგ არის“. ამ სიტყვებით იგი აღნიშნავს საზოგადოების დანაშაულს კერძო პირის წინაშე, რომელიც იძულებულია უპატრონობის გამო ბავშობიდანვე მოკლებული

ოჯახში და სკოლაში გულშემატკივრობას, გაბოროტდეს და გადაემტეროს მთელს ქვეყანას. ავაზაკობა უსამართლოდ მოწყობილის კანონმდებლობის და საზოგადოების ცხოვრების ნაყოფიაო. ასე ხსნის დანაშაულის წარმოშობას ახლანდელი სოციოლოგიური სკოლაც.

ამბავი „სახრჩობელაზედ“ ახასიათებს თვით ავტორის კაცთმოყვარეობით აღსავსე შეხედულებას, იმის განათლებულის გონების მიდრეკილებას. აქაც საუცხოვოდ ჰყავს დახატული

გულუბრყვილო, კეთილის გლეხის ტიპიმ – პეტრე. ილია და-
ბალს ხალხს ყოველთვის სიმპათიით ეპყრობა. საცა კი გლეხი
არის ჩარეული მის ნაწერებში, ყოველთვის იგი ადამიანობით
მალა სდგას დაპირისპირებულს აზნაურს ან თავადზედ. ამა-
ირადვე წარმოგვიდგინა „გლეხთა განთავისუფლების სცენებ-
ში“. აქ ორი ტიპია – ქვრივი აზნაურშვილისა, რომელიც გლე-
ხებს უდიერად ეპყრობა და შუამავალთანაც პირველობას ჩე-
მულობს, ხოლო ამის გვერდით გლახა ჭრიაშვილი, ბატონ-
ყმობის გავლენით ჩამორჩენილი კაცი, რომელიც თავის საქმის
მოხსენებას რამდენჯერმე თავიდან იწყებს იმ დროიდან, რო-
მელიც „ნუგზარ ერისთავის და სისხლის წვიმების“ დროდ
არის ცნობილი ხალხში. ეს საწყალი გლეხი, რომელიც ზნეო-
ბით და თავდაჭერით მაინც აზნაურშვილის ქვრივს სჭარბობს,
მეტის თანაგრძნობის ღირსია.

ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგაც ილია დარწმუნდა,
რომ წოდებათა უთანხმოებას არ მოელო ბოლო და ხიდი ვერ
გაიღო მათ შუა. ამ აზრს უძღვნა თავის საუკეთესო მოთხრო-
ბა „ოთარაანთ ქვრივი“ (1887 წ.). დედის-ერთა გიორგის,
ოთარაანთ ქვრივის შვილს, სახით ლამაზს და გულით პატი-
ოსანს, ჩაუვარდება სიყვარული კნიაჟნა კესოსი, რომლის ძმამ
არჩილმა განათლება მიიღო რუსეთში. სიყვარულმა სრულებით
დაიმონა 20 წლის ძალოვანი ვაჟკაცი. დედას გამოსთხოვს ნე-
ბართვას მოჯამაგირედ დაუდგეს არჩილს, რომ შორიდან მაინც
ადევნოს თვალი თავის მიუწდომელს სატრფოს, არჩილს უკვირს,

– 110 –

რომ შეძლებული გლეხი მასთან მოჯამაგირეობას ეძებს. გი-
ორგი უვლის კნიაჟნას ყვავილებს და ბატონთან გამოიჩინს
თავის გამჭრიახობას და მეურნეობის პრაქტიკულად ცოდნას,
რაიცა აკლია თეორიულად მომზადებულს არჩილს. დასრულ-
და ეს უცნაური რომანი კნიაჟნას და გლეხს შორის მით,
რომ გიორგი გადმოვარდა თივით დადებულის ურმიდან და
ურმის ჭალს ჩამოეგო ზურგით. ცოცხალ-მკვდარი სახლში აი-
ტანეს. საწყალს დედას აცნობეს. „გაკერპებულმა დედამ სახეს
არ ამოაბეჭვდინა მწვავე ტკივილი გულისა“. მომაკვდავმა კე-
სოზედ თვალ-გაჩერებულმა მიჰმართა დედას: „ჰხედავ ამ ან-
გელოზს... ეგ იყო ჩემი ბედის წერა... არ ვნანობ, არა. ნე-
ტავი შენს კალთას მამთხვევინა და ისე მომკლა!“ და-ძმა გა-
ფითრდნენ, დედას კი ეუცხოვა ეს ამბავი. „კესო ტირილით
მივარდა და თვალ-ცრემლიანმა შუბლზედ აკოცა გიორგის... თა-
ვი რომ აიღო, ცრემლი მოსწყდა და მომაკვდავს გულზედ დაეცა...
გიორგი განაგრძობს: – ჰხედავ, დედი!.. ცოცხალი მაგის ღიმს ვერ
ვეღირსე, კვდები და მაგისი ცრემლი ზედ დამდის. ესეც მეყოფა

თან წასატან ლხენად“. გიორგი გაენდობა დედას, არჩილს, კესოს. იგი ჰხედავდა, რომ კნიაჟნას და მას შუა დიდი მანძილი იყო, მიუვალი. „სად მოგწვდებოდი ცაში ვარსკვლავს, ხატსავით გლოცულობდი, მზესავით დამნათოდი... არც კი იცოდი, – ვის ათბობ, ვის ალხენ, ვის აცოცხლებ!..“ ეუბნება მომაკვდავი გიორგი კესოს. დიდის ამბით დაამარხვინა არჩილმა გიორგი. კესო მძიმე შავებში თავჩაკიდული გაჰყვა მიცვალებულს სასაფლაომდე. არჩილის ყურამდის მიაღწია ხალხის მითქმა-მოთქმამ კესოს და გიორგის სიყვარულზე. ძმა გამოელაპარაკა დას და ხალხის მხარე დაიჭირა. „ჩვენ რაც ვართ, – ამბობს იგი, – გაკეთებულნი ვართ, ისინი კი შექმნილნი... ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ დუნეები“. არჩილმა მოაგონა კესოს გრ. ორბელიანის ლექსები: „მიეცით ნიჰსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას; ნიჰს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას“. კნიაჟნამ ვერ შენიშნა და

- 111 -

ვერც შეიყვარა გიორგი იმიტომ, რომ იგი გლეხი იყო. არჩილი გაწყრომით ეკითხება თავის დას: „სად არის აქ თაყვანისცემა ღირსებისა, რომელიც ჩვენ ასე მოგვწონდა? წიგნშია და არა საქმეში... არ შეირთავდი!.. ვის? „მშვენიერს სულსა“. არ გიყვარდა ვინ? „თაყვანსაცემელი ღირსება“. დის შენიშვნაზე, რომ სიყვარული ბრძანებით არ მოდის, არჩილმა მკვახედ მიუგო: „განა მზე კი უბრძანებს ხოლმე ვარდს, გაიშალო. აქ თავის თავად უნდა მოსულიყო, რომ უკაცრაოდ ბრმა გული არ დახვედროდა, გვარიშვილობის ცხრა კლიტით დაკეტილი“. კესომ ტირილი დაიწყო. ძმამ შუბლზე აკოცა და გაამხნევა: „შენი ტირილი მიხარია... მეც ვიტყვებდი, რომ მარტო უკან-ლა ვიხედებოდე. უკან ბნელია... ღამეა...“ და-ძმამ დაასკვნეს, რომ წოდებათა შორის ხიდია ჩატეხილი და ეს შევიგნოთ სუყველამ: ამ შეგნებაშია „დასაწყისი განთიადისა“.

ეს წოდებრივი შეუთანხმებლობა ფართოვდება მოთხრობაში დედისა და შვილის გაუგებრობითაც. ოთარაანთ ქვრივი, როგორც ტიპი, მეუღარებელია ჩვენს მწერლობაში. იგი ჩამოსხმულია ქანდაკებასავით. მტკიცე ხასიათის პატრონი, მხნე, მკვახე სიტყვით სიმართლის მთქმელი, გლახის გამკითხავი, შვილის თავდაჭერით მოსიყვარულე და ქმრის ხსენების მიმდევარი, იგი წარმოადგენს საუცხოვო სურათს ქართველის ქალის დასახასიათებლად. შვილმა ამ ამაყს დედას თავი გაანება. და სხვის კარზე მოკვდა. დედა ისეა გააფთრებული, რომ სიტყვით ვერ გამოუთქვამს თავის მწუხარება და მკვახედ უარჰყოფს სხვის ნუგეშის ცემას. მწუხარებისაგან ლოგინად ჩავარდნილი, სიც-

ხეში მყოფი, იგი იპარება შვილის საფლავზე ცრემლის დასადვრელად და აქ განუტევებს სულს. ოთარაანთ ქვრივის გვერდით ამომდგარა საწყალი, ბედისაგან დაჩაგრული მეწისქვილე სოსია; იგი ეტრფის ქვრივს ყმაწვილობიდან, მაგრამ გათხოვებამდი უარი უთხრა და დაქვრივების შემდეგ ხელის თხოვნას ვეღარ უბედავს. გიორგის კუბოსთანაც კი არ ამყოფა და გა-

- 112 -

დევნა „მეტიჩარა“. თვით ოთარაანთ ქვრივის „ცხედართანაც არ დააყენეს მეცხვარეებმა და წიხლის კვრით გააგდეს. იგი მხოლოდ ეტყვის დამბრიყვებლებს „ცოდო ვარო!“ მაგრამ ამას ავტორი უმატებს საჭირბოროტო საკითხს: „სხვა ვინ არ არის ცოდო ამ უსწორ-მასწორო წუთის სოფელში?“

„ოთარაანთ ქვრივი“ ეკუთნის ილიას მოღვაწეობის მესამე ხანას, რომლის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს პოემა „განდეგილი“ (1883 წ.). აქ დასჭიდა პოეტმა ორი გრძნობა: ცხოვრების სიტკბოებისა და განყენებულის იდეისადმი სამსახურისა. მწირი ბერი მყინვარზე განმარტოებულს სენაკს შეკვედლებია, საიქიოსთვის ეს სააქაო დაუთმია. დაუტოვებია ნათესავი, „რათა წარუდგეს უფლის მსჯავრსა სულით განწმენდილ და განბანილი“. დაჰკმო მან ყოველივე მაცდურება და ხორცის თქმა, სული კი აღამალა და „ააყვავა“. მეუდაბნოეს ღვთისაგან განსაცდელი მოევლინა მწყემსი-ქალის სახით. იგი შეეხიზნა მას სავანეში ჭექა-ქუხილის დროს. ცეცხლის შუქზე თვალ-წინ წარმოუდგა მას ყმაწვილი ქალი, სავსე სიცოცხლით, სავსე შვენების ჯადოთი, გრძნობით“. ქალმა უამბო, როგორ დაელუპა ავდარში ცხვარი, „მამის სარჩო და საბადებელი“. შემდეგ სიბნელეში გზა აერია და მონასტრის ზღუდეს მოადგა, ხმა მიაწვდინა განდეგილამდის და მან გადაარჩინა დალუპვას. ქალი მადლობას უძღვნის და თავის მხრით ჰკითხავს, რად სცხოვრობს განმარტოებულად. „ეგეთი არის, სჩანს, ნება ღვთისა?“ უპასუხებს განდეგილი. – „როგორ თუ ღვთისა? ღმერთს რაში უნდა ამ ყინულში ყოფნა კაცისა“, დაეკითხება ქალი. განდეგილს დაუტოვებია „ლამაზი“ წუთის სოფელი სულის საცხონებლად და ესეთი გზა ხსნისა ერგო მას „უბედურსა“. ამ სიტყვით შეჰკადრებს იგი სამდურავს ღმერთს, რომელმაც მასზედ გულუხვი კურთხევა მოიღო. ამ დროს შენიშნა, ცეცხლა-პირას მისძინებოდა დაღალულს ქალს. მის ბაგეზე ლაღმა ღმირმა აღუძრა გულში სურვილი ქალის კონცნისა. ამ განძრახვით, განდეგილმა დახარა თავი, მაგრამ გა-

- 113 -

მაგრდა და დასძლია გრძნობას. მაგრამ ცოდვილი გაფიქრებაც საკმარისი იყო წასაწყმენდად. გაექანა ხატის წინ სალოცავად, მაგრამ ღვთის-მშობლის სახის ნაცვლად თვალწინ დაუდგა იგივე ქალი. ვედარ ახერხებს პირჯვრის წერას და ლოცვის თქმას. დილის რიჟრაჟზე გადაწყდა განდეგილის სვე: ლოცვანი მისი, სხივზედ დაყრდნობილი ჩვეულებრივ, აღარ გაჩერდა. მეუდაბნოეს ეცა ელდა, დაესხა რეტი და განუტევა სული.

სულის და ხორცის შეუთანხმებლობა – აი დედა-აზრი ამ პოემისა, რომელსაც მიუძღვის მშვენიერი მხატვრული სურათი: „სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა ორბნი, არწივნი ვერ შეჭხებიან, სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი, მზისგან აროდეს არა ჰდნებიან, სად უდაბურსა მას მყუდროებას კაცთ ჟრიაძული ვერ შესწვდენია, სად მეუფება ჭექა-ქუხილსა, ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია, – უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა გამოუქვავავთ მუნ მონასტერი და ყინულშია შეთხრილს ღვთის ტაძარს ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი“... შეუძლებელია ამოვწეროთ ყველა ის ადგილები, რომელნიც მოწმობენ ილიას მძლავრს შემოქმედებითს ნიჭს. ეს პოემა უმწიკვლო ნიმუშია უტენდენციო ხელოვნურის ქმნილებისა, რომელსაც ღრმა აზრი ძალდაუტანებლივ შიგ ჩაწნული აქვს.

ვერ მოვახერხებთ მთლად გავითვალისწინოთ მოღვაწეობა იმ კაცისა, რომელიც ნახევარ საუკუნე ედგა სათავეში პროგრესიულს მოძრაობას და ლიტერატურას, როგორც პოეტი და პუბლიცისტი. გაბედვით იცავდა საუკეთესო იდეალებს, სთესდა თესლსა სიკეთისას და კაცთმოყვარეობისას. ბევრჯელ მოუხდა ქართველთა ისტორიის, სკოლის, ეკლესიის დაცვა და გამოსარჩლება ოლქის მზრუნველის, რუსეთის ჟურნალისტის კატკოვის, ცრუ მეცნიერების წინააღმდეგ. ამ აზრით არიან დაწერილნი, სხვათა შორის, „აი ისტორია“ და :ქვათა ღაღადი“. წოდებათა უთანხმოების შესარიგებლად და სოფლის საქმეების მოსაწყობლად დრო-გამო შვებით ჰბეჭდავდა „ივერიაში“ გამოკვლევას „ცხოვრება და კანონი“. ილია პირ-

ველთაგანი იყო, რომელთაც მიაქციეს ყურადღება სახალხო ნაწარმოების შეკრებას და შესწავლას (მისი შეკრებილი „გლეხური სიმღერები“ მოქცეულია „კრებულში“ 1873 წ.). უცვლელად და თამამად ეჭირა დროშა მამულისშვილისა იმ დროიდან, როცა დაიბეჭდა მისი გულს მოსახვედრი „მგზავრის წერილები“, სადაც იგი ოთხის წლის სამშობლოს უნახავი ეკითხება თავის თავს: „რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე“, არკვევს საზოგადო მოღვაწის პროგრამას და თავის პოლიტიკურს სიმბოლოს სარწმუნოებისას. მის

მეფური დასაფლავება მოწმობს, რა დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი ჩვენს საზოგადოებაში. ილია იყო საუკეთესო შვილი თავის ქვეყნისა და ხალხისა; მან დაიტია თავის ფართო ბუნებაში ყველა საჭიროებანი ქართველის ერისა; იგი იყო სავსებით გამომხატველი ქართულის ნაციონალურის ფსიხიკისა და ქართულმა სიტყვა-კაზმულმა მწერლობამ მის ხელში მიაღწია ხელოვნურს სიმწიფემდე და გაიკაფა ეროვნულის დამოუკიდებლობის გზა და მიმართულება.

ვახტანგ ორბელიანი

(1812 – 1890)

ვახტანგ ორბელიანი დაიბადა 5 აპრილს 1812 წ. ამავე წელს გადაიცვალა მის მამა ვახტანგი და პატარა ვახტანგი დარჩა დედის მზრუნველობის ქვეშ. სახელოვანი მისი დედა, თეკლე ბატონიშვილი, მეფის ირაკლი II უმცროსი ასული იყო... ცამეტს წლამდის ვახტანგი იზრდებოდა დედის ხელმძღვანელობით. 1825 წ. კი გაისტუმრეს პეტერბურგს პაჟთა კორპუსში სასწავლებლად. ჩრდილოეთში ცივი ჰავა ვერ აიტანა და ამიტომ ხუთის წლის შემდეგ დედამ შვილი საქართველოში წამოაყვანა. თუმცა სწავლა ვერ დაამთავრა, მაინც 18 წლის ვახტანგს მისცეს პირველი სამოქალაქო ჩინი.

– 115 –

1830–1832 წწ. მან გაატარა ოჯახში, გართულმა მხიარულებაში და წიგნების კითხვაში. ლექსში „ძველს მეგობარს“ (დ. ყიფიანს) პოეტი გვაცნობს, რომ იგი ამ დროს გატაცებული იყო გეტეს, შექსპირის და შილლერის თხზულებებით. 1833 წ., როგორც შეთქმულობის წევრი, გაგზავნილ იქმნა კალუგაში. ოთხი წელიწადი დაჰყო მან სამშობლოს გარეშე და 1837 წ. დააბრუნეს უკან. საქართველოში მან დაიწყო სამხედრო სამსახური და გენერალ-ლეიტენანტის ჩინამდის მიაღწია. სხვა და სხვა დროს ასრულებდა თერგის მაზრის უფროსობას, გლეხთა საკრებულოს წევრობას და უკანასკნელად მომრიგებელის შუამავლის თანამდებობას. გადაიცვალა ტფილისში 29 სექტ. 1890 წ.

ვახტანგ ორბელიანი საუკეთესო წარმომადგენელია პატრიოტულის რომანტიზმის. ამ მიმართულების შეთვისებაში მას ხელი შეუწყო როგორც უცხო მწერალთა გავლენამ, აგრეთვე საქართველოს მდგომარეობის და თავის ჩამომავლობის

გათვალისწინებამ. პოეტის ბიოგრაფიაში უნდა ვეძიოთ მის შემოქმედებითის ნიჭის გაფურჩქვნისა და აყვავების მიზეზი. ვახტანგ ორბელიანი, – ამბობს მისი ბიოგრაფი ილია ჭავჭავაძე, – დაიბადა და გაიზარდა იმისთანა დროს, როცა ჯერ კიდევ ცხოვრებას ეჩნეოდა წყლულნი და დაკოდილებანი მეთვრამეტე საუკუნისა და მეცხრამეტე საუკუნის ქარს ვერ გაეფანტა მათ მიერ მოვლენილი ნაღველი, მწუხარება და სასოწარკვეთილება. ჯერ კიდევ თითო-ოროლა ოჯახში ცოცხალი იყო ხსოვნა მეთვრამეტე საუკუნისა, რომელმაც სული დალია 1795 წ. 11 სექტემბერს სოღანლულში, კრწანისის ბაღებთან და წამების სახელოვანი გვირგვინი დაადგა იქ ქვეყნისათვის თავგანწირულს მამულისშვილებს, ჯერ კიდევ აქა-იქა ანათებდა დიდებულის მეფის ირაკლის შუქი, რომლის... „დღენი ემსგავსნეს ჩასვენებულსა ბრწყინვით მზეს... დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს“. ამ ჩასვენებულის მზის და დიდების ჭირისუფალი, სხვათა შორის, ვახტანგ ორბელიანის ოჯახშიც

- 116 -

იყო – დედა-მისი თეკლე ბატონიშვილი, საყვარელი ასული ირაკლისა. თეკლე ბატონიშვილი ზედმიწევნით მცოდნე ყოფილა ქართულის მწერლობისა და საღვთო წერილისა. იგი იყო შესანიშნავის ჭკუის, სათნოების და გამჭრიახობის ადამიანი. ვახტანგ, დედის გავლენის ქვეშ აღზრდილი, გახდა გულწრფელი მოტრფიალე სამშობლო ქვეყნისა, გულმწუხარე მგოდებელი მის წარსულის დიდებისა და გულაყრილი აწმყოზე. დედისაგან ბევრი სანაღველი და სანატრელი მოგონება ჰქონდა ჩაგონებული, მისგან შეითვისა წარსულისადმი ღრმა სიყვარული და პატივისცემა. იგი თვით ამბობს: :

სული მიგვნესის, გული ჩემში მწარედ ღონდება,
რა მაგონდება, რასაც დედა ნორჩს მომიტხრობდა.

ივერიის ძე აღიზარდა ნანგრევთა შუა, მას უნათებდა წყვილიადს გზაში ერთი ლამპარი, რომელიც „აღაგზნო დიდმა შოთამ“ (ლექსი „ნანგრევთა შუა“), სიყვარული და ნაღველი წარსულთა დროთა მიმართ შეიქმნა დედა-მარღვად ვ. ორბელიანის პოეზიისა. მეცხრამეტე საუკუნის მეორე მეოთხედში მოძრაობამ შექმნა ბრწყინვალე წრე გონება-გახსნილის კაცებისა, საიდანაც გამოვიდნენ გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, გიორგი და ზაქ. ერისთავნი, იოს. და კონსტ. მამაცაშვილები. ამ წრეში ტრიალებდა ვახტანგ ორბელიანიც. ამ წრეში საუკეთესო დროს გასატარებლად მიაჩნდათ საუბარი წარსულის გამო, როგორც მოწმობს პოეტი:

გული საუბარს მივანდოთ და მოვიგონოთ წარსული,
სამშობლო ისტორიისა გადავხსნათ დიდი რგეული.

წარსულის დროის ამბები პატარაობიდანვე შეიყვარა იმიტომ,

რომ „იქ ბრწყინავენ დიდნი გმირნი, დიდნი მამულისშვილნი, დიდის ან დერძებით და სურვილებით გულტკივნებულნი“. იქ მარხია სახელოვანი მისი პაპა მეფე ირაკლი *) და მასთან დი-

*) ამის ხსენებას უძღვნა ლექსი „ირაკლი და კობტა ბელადი“ (ნამდვილი ისტორიული ფაქტი) და „ირაკლი და მისი დრო“. ამ უკანას-

– 117 –

დებაც. დღევანდელ ნანგრევთა შუაგ კი ანათებს ძველთა მამულის შვილთა დიდბუნებოვანობის ლამპარით:

და თუ აქამდის არ დაბნელდა ჩვენი გონება
და თუ სწავლისთვის, სამშობლოსთვის კვალადვე დგება,
და თუ იქამდის არ დავკარგეთ სითბო გულისა,
იგია მაღლი იმ ნათელის წმინდის ლამპრისა.

ვ. ორბელიანი გლოვობს „ჩასვენებულის მზისთვის“ და მისი ხსოვნაც კი ავსებს პოეტის არსებას გამოუთქმელის ტანჯვით. სდგას „ძველის დმანისის“ ნანგრევთა წინაშე თავმოხრილი, ფიქრით მოცული იგონებს წარსულს და შეწუხებული ამ მოგონებით ამბობს: „მაგრამ რისთვისა და რად მინდა მის მოგონება, რაც რომ ყოფილა, წარსულა და აღარ იქმნება, რაც ფიქრს აწუხებს, გულს აკვნესებს და სულსა სტანჯავს, რაც რომ მდიდარსა ფანტაზიას და ზღაპარსა ჰგავს. განჰქრი, დმანისო, და დაინთქე უფსკრულსა შინა, ჩემს სატანჯავად რომ არ იდგე ჩემთ თვალთა წინა!“ წარსულის დიდების სანაცვლოდ წარმომდგარა ახალი შენობა, რომლის „კირსა და ქვას, ვით სუსტს ასულსა, არცა ძალი და არც ღონე აქვს. ამიტომ გულ-ამოსკვნით ამბობს: „მაგრამ რად გვინდა ის ამბავი, რაც არს აღარა, რაც თვალთ წინა გვაქვს გულსაკლავად, ისიცა კმარა“. გრძნობიერმა სიყვარულმა ოდესღაც დიდებით აყვავებულის სამშობლოსადმი ვ. ორბელიანის პოეზიას შეუთვისა გულსაკლავი, მაგრამ წრფელი გოდება. იგი გამოწვეულია წარსულის საქართველოს დიდების მოგონებით და მის გარდავლილის ჭირის და ვაგლახის გათვალისწინებით. „ჩვენი ივერი, – ამბობს იგი „იმედში“, – მშვენიერი არს სისხლის კალო, გმირთა აკლდამი, გულთ საკლავი და სავალალო“. იმედის დაკარგვამ იგი სასოწარკვეთილებამდის მიიყვანა და სიმწარით ათქმე-

ვნელში ამბობს: „ჩვენს მიწა-მამულს მტრისგან წამებულს ცამ მოუვლი-
ნა მეფე ირაკლი! მამულისთვის ძრწის, დღე და ღამ იბრძვის, იცის, რაცა სძევს მამულის ვალი“.

– 118 –

ვინა: „გონება ხელობს, გაშმაგებულს აზრი მერევა, სარწმუ-

ნოებას გულის ჭმუნვის ძალა ერევა!“ თუ ქვეყანაზედ ღმერთიაო, „მაშ საქართველო ასე მწარედ რისთვის დაემხოო?!“ ეს ღვთის გმობა წარმოათქმევინა მამულის სიყვარულმა მორწმუნე პოეტს და სინანულით ათხოვნინებს მოტევებას:

ღმერთო, კეთილო, მომიტევე შენს დაბადებულს,
ნუ მკითხავ გმობას გაშმაგებულს, გულგადაგებულს.

გულს ცეცხლი ეკიდება, როცა ხედავს დანგრეულს საქართველოს და იტანჯება ფიქრით, რომ იქნება „თვით ნანგრევნიც განქრნენ და მათ სახელი, მათ ხსენება აღარსად დარჩნენ“. მშვიდი ასული, მოვლენილი პოეტისადმი, ამშვიდებს მის გულში შეტაკებულს მამულის სიყვარულს და სარწმუნოებას. „მაშინ მომიახლოვდაო ტურფა, მშვიდი ასული; გრძნობითა სახე უბრწყინავდა, უმგერდა გული. გწამდესო, ღვაწლნი მამა-პაპათ არ განქრებიან: მართმადიდებელთ ჭემმარიტი ღმერთი ძლიერი მოგფენსთ თვისს სხივსა, თვისს სიუხვეს და თქვენი ერი, ქრისტეს ჯვარისთვის წამებული კვლავ გამრავლდება; თქვენი სამშობლო დანგრეული კვლავ აღყვავდება“ ... ამ იმედით გადვიდა იგი საუკუნო ბინას და ჩვენ დავიტოვა მესსიანიზმის საუკეთესო ნაშთი. ვ. ორბელიანი გახდა ჩვენში წარმომადგენელი იმ მისტიკურის მოძღვრებისა, რომლის დედა-აზრი იმაში გამოიხატება, რომ განგება ქვეყნად დრო-გამოშვებით გზავნის ზემთაგონებულს მომავლადეს თავის წინაგანზრახულთა აღსასრულებლად. 1800 წ. დაახლოებით პოლონეთის მწერალმა ახალგაზდა მღვდელმა ვორონიჩმა შეჰქმნა მსგავსი მისტიკური მოძღვრება. თავის ლექსში გამოსთქვა რწმენა, რომ ღმერთი აღადგენს პოლონეთს ძველის ფერფლისაგან. ამგვარივე რწმენა, რომ უფალი მოხედაეს ქვეყანას და განაახლებს მის ნანგრევებს უღვივოდა ვახტანგ ორბელიანსაც. საინტერესოა ლიტერატურის ისტორიისთვის, რომ პოლონელი მწერალი ვორონიჩი, გულდათუთქული თავის ქვეყნის დაცემით და აღტაცებული ოცნებით მის მომავალს აყვა-

ვებაზე, იმავე ყალიბში აწარმოებს თავის აღმაფრენას, რომელიც შეადგენს ჩვეულებრივს სქემას ქართველის მხცოვანის მგოსნისას. ამისი ლექსები: „ორი შენობა“, „ჯვარი ვაზისა“, „იმედი“ გამსჭვალულნი არიან მესიანიზმით, მისტიკურის რწმენით, რომ დანგრეული სამშობლო კვლავ აყვავდება. ვ. ორბელიანის მესიანიზმი მით უფრო საყურადღებოა, რომ მან განიცადა ოცნების ამოება 1832 წ., როდესაც ქართველთა შეთქმულებამ მამულის პოლიტიკურად განთავისუფლებისათვის უნაყოფოდ ჩაიარა და თვით პოეტი საიდუმლო საზოგადოების „ჭაბუკი“ წევრი დაისაჯა და სამშობლოდან განიდევნა. ამ შე-

მთხვევამ მწარე დალი დაასვა პოეტის სულის განწყობილებაზე: სამშობლოსაგან ეტლით ვიყავ მოშორებული, ამბობს იგი „მოგონებაში“. მაინც მგოსანს რწმენა მომავალის ბრწყინვალე ვასკვლავისადმი არ გაჰქრობია და მესიანურის მოძღვრების თანხმად „ნათელი და სიცოცხლე მოკლულს გულს“ არ შეჰრყევია.

თუ შევადარებთ ვ. ორბელიანის სიმბოლიურს ქმნილებას „იმედს“ პოლონელის პოეტის ვორონიჩის ნაწერს, მსგავსება იმდენად თვალსაჩინო ხდება, რომ გვებადება აზრი მივაწეროთ ქართულის ლექსის წარმოშობა უცხოელის გავლენას. მართლაც, ყურადღების ღირსია ის სქემა, გეგმა, რომელიც შეადგენს ქართველისა და პოლონელის პოეტის დედა-მარღვს. ორნივე ჯერ აგვიწერენ დანგრეულს სამშობლოს, ორთავეს გამოეცხადება იდუმალი მშვენიერი არსება, ერთნაირად აღნიშნავენ ღვთის და კაცის შორის ახალის კავშირის დამყარებას, რომელსაც შედეგად მოჰყვება სამშობლოს აღორძინება. ვორონიჩი ეკითხება: „ვინაა ისა?“ და ამგვარადვე იწყებს „იმედის“ დამწერი: „ვინა ხარ შენა, მშვენიერო, მოხვედი სითა? ხარ ამ ქვეყნისა, თუ ციური მოფრინდი ცითა?“ ეს ჩვენება „იმედისა“ იგივეა, რაც ილ. ჭავჭავაძის აჩრდილში და მამია გურიელის „პოეტსა და ჩვენებაში“ მოგვევლინება. ვ. ორბელიანი შეაქებს ივერიის ცას, ბუნებას, ზღვას და ბარს, რუს-

- 120 -

თაველის ლექსს, მოიხსენებს თამარის და დავითის სულს და შემდეგ გულდამწვარი აღწერს „ივერიის შავს ბედს“, დაობლებულს, ძველის დიდებით განთქმულს სამშობლოს: „მაგრამ აქ ხშირად ჰპოვებ ტაძართ, შთენთ დიდებულთა, პალატთ ნანგრევთა და მონასტერთ აოხრებულთა... წმინდა საფლავნი ნანგრევთ შუა ხშირად არიან, მოუხსენებელთ უპატრონოდ ტყენი ჰბურვიან“. ერთი საუნჯე დარჩენია ამ „გმირთა აკლდამას“: ივერიას შერჩენია „ჯვარი ვაზისა“, რომელიც ხელში ეპყრა წმინდა ასულსა მირიანის დროს. „მადლი ამ ჯვარის ჩვენს სამშობლოზედ, ჩვენს ერზედ არის“. მოიგონებს იგი „გმირთა გმირს“ ირაკლის და მამულისათვის თავგაწირულს ბრძოლას, მიუთითებს არაგვის და მტკვრის კიდეებზე, რომელნიც წარსულის უტყუარნი მოწამენი არიან, ჰგმობს კიდეც უფალს, რომ თუ მან ქვეყანას მიანიჭა წესი, საქართველო ასე მწარედ რად დაემხო. ბოლოს ვორონიჩისებურად, ტურფა ასული მიუახლოვდება პოეტს, გაამხნევენს და ეტყვის: „გწამდესო, ღვაწლნი მამა-პაპათ არ განჰქრებიან, გწამდეს ეს შთენნი დიდებულად კვლავ აღსდგებიან! მართლმადიდებელთ ჭეშმარიტი ღმერთი ძლიერი მოგვენსთ თვისს სხივისა, თვისს

სიუხვეს, და თქვენი ერი ქრისტეს ჯვარისთვის წამებული, კვლავ გამრავლდება, თქვენი სამშობლო დანგრეული კვლავ აღყვავდება; ამიერ თქვენთან დავამყარე წმინდა კავშირი, ამიერ თქვენთან მე ვიქნები სტუმარი ხშირი“.

მესიანიზმი მკაფიოდ გამოთქმულია მის ლექსებში: „იმე-დი“, „ჯვარი ვაზისა“ და „ორი შენობა“. წარსული საერთოდ ვ. ორბელიანს განდიდებულს, იდეალურს სურათად აქვს წარმოდგენილი და ამ მხრით იგი ეკუთნის ქართველთა საუკეთესო პოეტთა დასს, რომელნიც აწმყოს გარდაქმნის და უკეთესის მომავალის სურვილით აფერადებდნენ და მხურვალედ აშუქებდნენ ისტორიულს მოგონებას და ნაშთებს.

ვ. ორბელიანის სალიტერატურო მოღვაწეობა იწყება 1857 წ., როცა იგი 45 წლისა შეიქმნა. ამ დროს დაუწერია

- 121 -

მას უზრუნველი ანაკრეონტული „ბულბული“ („ცისკარი“ 1857 წ. № 1). 1858 წ. დასწერა „მიმსგავსება ვ. ჰუგოსი“, 1859 წ. „იმედის“ ნაწყვეტი და ამით თავდება მის შემოქმედება 1866 წლამდე, როდესაც დაიბეჭდა მისი „ძველი დმანისი“. დანარჩენი ლექსები დასწერა 1879 – 1890 წწ., როდესაც პოეტმა მოხუცებაში გადასდგა ფეხი და 67 – 78 წლით დატვირთული იყო. ლექსში „ბაქარ ქართლელს“ ვ. ორბელიანი გვამცნევს, რომ იგი პოეტი არ არის, რადგან კაცის თვალს ცრემლს ვერ მოჰგვრის და ვერც ერს აღძრავს. მართლაც, პირველი ლექსები კერძოდ პოეტის სულის ვითარებას აგვიწერენ; შემდეგ ილიას ნაწერების გავლენით ვ. ორბელიანის პოეზიაშია სამოქალაქო ხმა გაისმა, პატრიოტულმა გრძნობამ შეიპყრო მგოსნის ოცნება, საზოგადო კვნესა-ოხვრის მქადაგებელი შეიქნა. ლექსი „ორი შენობა“ (1881 წ.) უკვე მამულის სიყვარულით არის ჩაგონებული და მაჩვენებელია მის რომანტიკული მიმართულებისა. აქ ადარებს ძველს და ახალს დროებას, ძველს კულტურას და თანამედროვე ცხოვრებას. ერთს შენობაში ხედავს სიცოცხლეს და მოძრაობას, „მეორე არის ძველთ წინაპართ სადგურის მთენი“. პირველი სუსტია, ღონე არ აქვს; მეორე სავსეა ღონით. ერთს „დაანგრევენ სამოცის წლის სეტყვა და ქარი“; მეორე – შვიდასის წლის მოხუცი დგას გმირად, ქარიშხლის არ ეშინია:

და თუ ოდესმე მის კედელნი დაინგრევიან,
შთენნი კი მისნი საუკუნოდ მთლად დარჩებიან;
დარჩება მისი საუკუნოდ ქვეყნად ხსენება.

ამ სიმბოლიურს შედარებას იგი ათავებს რწმენის გამოთქმით, რომ „დიდს წარსულს მომავალიც დიდი ექნება“.

თავის პოეტურის აღმაფრენის ძლიერება და გაღვივებული პატრიოტული გრძნობა ორს თავის საუკეთესო ნაწერში

განახორციელა: ერთია „იმედი“, რომლის შესახებ უკვე ზემოთ მოვიხსენიეთ, და მეორეა „ობოლი“, შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი. აქ აწერილია პოეტის აღზრდა ობლო-

– 122 –

ბამი, დიადის ბუნების გავლენა მის გენიოსურს ნიჭზე, საფუძვლიანი განათლება „ელინთა მამულში“, დაბრუნება საქართველოში და თამარ დედოფალთან გამოცხადება. მეთე-შვენება ზის ტახტზედ ფიქრით მოცული და ინებებს ინახულოს „ვეფხის-ტყაოსნის“ დამწერი. მოჰგვარეს ჭაბუკი მშვენიერი; თვალეზში მას უბრწყინავდა მადლი ციური. „მეფემ-მშვენებამ“ ჰკითხა მხოლოდ: „ეს ლექსნი გულს ვით ჩაგინერგდნენ, გულთა დამწველნი ვით აღმოხდნენ, ვით დაიწერნენ“. – „დიდო მეფეო! მაგ რვეულში რაც დაიწერა, შენმა ნათელმა, მშვენიერმა სახემ შთამბერა“. ნათელი მეფე მას უმზერდა ტკბილის ღიმილით, უთხრა: „ეს ლექსნი შთაბერილნი გაქვს შენ ცით მალლით: იყავ დიდებულ და დიდებულთ იყავ შვენება, ჩემის სამეფოს გვირგვინისა შენ ხარ დიდება!“ ვინ იყო იგი და რა იყო იმის სახელი? ის იყო შოთა, დიდი შოთა რუსთაველი!“

ვ. ორბელიანი სდგას რომანტიულის და რეალურის პოეზიის შუა. არც დიდაქტიური მოძღვრება უარჰყო, როგორც მოწმობენ ამას მის ლექსები: „კაცი ის არის“, „გალია“, „ქალი ის არის“. მგოსნის დანიშნულება ვ. ორბელიანმა გამოხატა ლექსში „პოეტს“. ამის მოვალეობას შეადგენს დაგვანახვოს „დიდებული ბუნება“, გამოგვიხატოს „ძველთ დროთა გმირნი“, შეგვიყვანოს გლეხკაცის სახლში, გვამხილოს რაც გვჭირს ავი. მოქალაქობრივს მიმართულებას ვ. ორბელიანის ქნარისას აცხოველებენ აგრეთვე ლექსნი „გავჩნდით რისთვის!“ და „დედოფალი“. ღვთის ქმნილი ქვეყნად იმიტომ არის მოსული, რომ განამტკიცოს ძმობა, ერთობა და სიყვარული. თვით მშვენიერი არსება, რომელსაც თვალეზში ჩამზერს ვნებით დაბნედილი ჭაბუკი მეფე, არაფრად მიიჩნევს ტახტზე ჯდომას და თანახმაა გახდეს დედოფალი ერისა, თუ მეფესთან ერთად განაგებს სამეფოს ერიც და ამას დაუთმობს მისავე შრომას, სიმდიდრეს, ქვრივ-ოხერს შეიწყნარებს, დავრდომილს უფსკრულიდან აღმოაზდენს და კეთილისთვის აღადგენს. ეს კაცთმოყვარეობით სავსე პოეტის მისწრაფებანი ჩა-

- 123 –

ენერგა მას, სხვათა შორის, შილლერის და ჰუგოს გავლენით. ზედმოქმედება იქონია ვ. ჟუკოვსკიმაც, რომლის „თითის ტოლა ბავშვი“ სთარგმნა ქართულად და რომლის წაბადებით და-

სწერა „ვიდეგ შენს წინა“, ლექსი რომანტიულის ელფერით
სავსე.

რაფიელ ერისთავი

(1824 – 1901)

რაფიელ ერისთავი დაიბადა 9 აპრილს 1824 წ. ქართლის
სოფ. ჭალაში. მისი დედა იყო თავადის ავთანდილ ამილახვრის
ასული ნინო, ხოლო მამა თელავის მაზრის სოფ. ქისტაურის
ცნობილი მეზატონე, თავადი დავით რაფიელის ძე ერისთავი.
შვიდიდან ცხრა წლამდის რაფიელი სწავლობდა შუამთის მო-
ნასტრის ცნობილს ბერს ფილადელფოს კიკნაძესთან, რომე-
ლიც ყველაფერს ზეპირად ასწავლიდა მინდორში სეირნობის
დროს. შემდეგ მიაბარეს გიმნაზიაში. გიმნაზიის დამთავრების
შემდეგ გაუჩნდა თვალების ტკივილი და ამ მიზეზის გამო უნი-
ვერსიტეტში სწავლის გაგრძელება ვერ მოახერხა. 1845 წ.
სამსახურში შევიდა თარჯიმნად თუმ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის
სამმართველოში. აქ დაჰყო წელიწად-ნახევარს. ამავე დროს დაი-
წყო ლექსების წერაც („დარიგება“, 1844 წ.). შემდეგ იმსახურა
მთავარ-მართველის კანცელარიაში სტოლის უფროსის თანა-
შემწედ. აქედან გადაიყვანეს ქუთაისის სამხედრო გუბერნატო-
რის საგანგებო მინდობილებათა მოხელედ. შემდეგ დაინიშნა
ზუგდიდის მაზრის უფროსად, მერმე სამეგრელოს მმართველო-
ბის საბჭოს წევრად და სამეგრელოს თავად-აზნაურობის უფ-
ლებათა გამსინჯველს კომისიაში მთავრობის მოხელედ, ქუთა-
ისის საგუბერნიო მმართველობის საბჭოს წევრად და სხვ.
1863 წ. პოეტმა შეირთო ცოლი. ბატონ-ყმობის გადავარდნის
შემდეგ იგი დაინიშნა მომრიგებელს მოსამართლედ. 1870 წ.

- 124 -

გადმოსახლდა ტფილისს და ვექილობდა 1881 წლამდე. 1889 –
1896 წლებში ასრულებდა ქართულის ენის ცენზორის თა-
ნამდებობას.

ამ მრავალფეროვანმა სამსახურმა საქართველოს სხვა და
სხვა კუთხეში შესძინა პოეტს დიდი ცოდნა ზნე-ჩვეულებები-
სა, ენისა, ხალხის ხასიათისა. ამით ისარგებლა თავის სამეცნიე-
რო და სიტყვა-კაზმულს ნაწერებში. მან გამოიჩინა დიდი უნა-
რი შრომისა და მოღვაწეობისა სხვა და სხვა დარგში საზოგა-
დო და სალიტერატურო ასპარეზზე. იგი სწერს პუბლიცის-
ტურს და ეთნოგრაფიულს წერილებს (წერილები იმერეთიდან,

მოგზაურობა სამეგრელოში, აღწერა სვანეთისა) რუსულად და ქართულად, სთხზავს მოთხრობებს და დრამებს (თორმეტამდის), სწერს და სთარგმნის ლექსებს და იგაგ-არაკებს, ადგენს და ხელმძღვანელობს უწევს ლექსიკონების გამოცემას (გამოსცა საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, შეადგინა ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან), იგი იყო ერთსა და იმავე დროს მეცნიერიც და პოეტიც. გარდაიცვალა თელავში 19 თებერვალს 1909) წ.

რაფ. ერისთავი ჩვენს მწერლობაში წარმომადგენელია ეროვნულის მიმართულებისა. მან შეჰქმნა განსაკუთრებული სკოლა, რომელმაც უმთავრესი ყურადღება მიაქცია ხალხის გულის შესწავლას, მის ზნე-ჩვეულებათა დასურათებას, ხალხურის კილოს შერთვას სალიტერატურო ნაწარმოებში.

პირველი მისი დიდი ლექსი „ნაამბობი მოხუცისა“ (1852 წ.) შორს არის იმ მიმართულებაზე, რომელსაც ბოლოს დროს დაადგა პოეტი. მოხუცი გვიამბობს, ქისტებზე გალაშქრების დროს როგორ დაიჭრა და კვდება ვინმე გიორგი, რომელიც სახელის მოსახვეჭად გაგზავნა მისმა სატრფიალო ცოლმა ნინომ. ლექსს აკლია მხატვრობითი სურათები და წრფელი გრძნობა; იგი წაგავს ლექსად აწყობილს პროზას. ამ ლექსს მოჰყვნენ ამგვარნივე ნაწარმოებნი, რომელნიც, ახასიათებენ პირველს ხა-

- 125 -

ნას მის მოღვაწეობისას. ამ ხანას უნდა ეწოდოს „სალხინო პოეზიის“ მიმართულება, უკვე უარყოფილი ნ. ბარათაშვილის მიერ. ამ დროს იგი უმღერის „თვალეზს“, „პეპელას“, „ყვავილს“, „ღვინოს“, „სიყვარულს“. იგი ქვეყნიურის ვნების მგალობელია, სიამოვნების მგოსანი, ნეტარების მქადაგებელი. „ვეტრფი შავსა თვალეზსა, ვეტრფი სხივებრ მალეზსა“, იმახის ერთს ლექსში; მეორეში უმატებს: „ოდეს ტურფას შეეყარო, ვისთვის გიმგერს მარად გული, თუ რომ გიყვარს ჭემმარიტად, ასე უნდა სიყვარული“. შემდეგ აღწერს, როგორ უნდა მოეხვიოს და დაეკონოს. მართალია, ამავე დროს სხვა ჰანგებიც გაისმის მის ნაწერებში, მაგალითებრ „იავ, ნანა, ვარდო, ნანა, იავ, ნანინაო“, „ფერხულის ხმაზედ“, მაგრამ მფლობელობა და ბატონობა მაინც კერძო სიყვარულის გამოხატვას რჩება როგორც ორიგინალურს, აგრეთვე ნათარგმნს და მიბადვით დაწერილს ლექსებში („ნატვრა“, „ჩვიდმეტის წლის ქალს“, „სინანული“, „ალბომში“, „იჭვიანი“, „რისთვის მიყვარხარ?“ და სხვ.). 1857 წ. ეკუთნის მისი „მოთხოვნელი მსაჯულისადმი“, რომელშიც იგი ეხება ბატონ-ყმობას და ათქმევინებს გლეხის ქალს: „გთხოვ დამიბრუნო მე ჩემი შვილი,

სხვა რად პატრონობს ჩემსა ნაშობსა“. ამ ლექსით ჩაისახა ახალი ხანა მის სალიტერატურო მოღვაწეობაში. იგი ეძიებს შინაარსს, ლექსად გამოთქმულს, რელიგიურის გრძნობის ანალიზში („ჩემი ლოცვა“), ან ბუნების სურათის შექმნაში („შავი ზღვა“). თუმცა პოეტმა კილო შესცვალა და სულის მოძრაობას ჩაუკვირდა გარეშე სიყვარულისა, მაგრამ ამ უკანასკნელს მეტს ყურადღებას აქცევს, მის ძალას დაუმონებია. ლექსი „წრეს გადასული წრეში შემოსულს“ (1862 წ.), რომელიც აქამდის სასიმღერო რომანსად არის დარჩენილი, გვარწმუნებს რაფიელის შემოქმედების ვიწრო ფარგლით შეზღუდვას. „შენ გსურს მარადის ყმაწვილი კაცი“, ეუბნება ნორჩს „წრეში შემოსულს“ ჭაღარა, ორმოცდა ათის წლით მოღუნული და ჭკუა-დამჯდარი „წრეს გადასული“ – „შენ გესიზმრება ლოყა-

- 126 -

წითელი, თმა- შავი ბიჭი, გულის შემწველი“, და დაამთავრებს:

მაგრამ, ლამაზო, გული არ ჭკნების,
წინწკალი მასში ცხოვლად იხრწნების,
თუ მოეკარე – მსწრაფლ აღენტების,
იფეთქებს, დაგწვავს, თვითც დაიწვების.

ამავე გრძნობას დასტრიალებს ნათარგმნი გრეკოვიდან („ჩივილი“), მიცვევიჩიდან („საუბარი“), ოგარიოვიდან („Она никогда его не любила“), პუშკინიდან („შემოდგომაა, ცა ავდრიანობს“), ბერანჟედან („მოხუცი მატანტალა“).

ხოლო მეორე ხანა მკაფიოდ გამოირკვა და აღინიშნა მის ნაწერებში 1881 წ.; ამ წელშია დაწერილი ერთი მისი საუკეთესო ლექსთაგანი „სამშობლო ხევსურისა“. ამ დროიდან იგი გახდა ხალხის გულის მესაიდუმლედ, მის სიხარულის და ტანჯვის მოზიარედ, ეროვნულის მიმართულების მედროშედ. რაფიელი მიემხრო ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის სკოლას და გაიკვლია გზა იმ წრის დასურათებაში, რომელშიაც მას ბადალი და მოქიშპე აქამდის არ გამოსჩენია. 57 წელს მიღწეულმა მოხუცმა, პოეტურის ნიჭით დაჯილდოებულმა, თავის ქნარის სიმები შეაწყო თანხმად დროის და მოთხოვნილებისა. ამ საოცარმა შემოქმედებითა ზრდამ რაფ. ერისთავს ააცდინა მწერლობის ისტორიაში დავიწყება, რომელიც ეწვია მასთან ერთად ლექსების მოთხოველებს „საქართველოს მოამბის“ გამოცემამდე. ამ ჟურნალმა პირველად გამოიღო. თავი ნაციონალურის თვითარსებობის დასაცველად. რაფ. ერისთავიც მით გატაცებული სწერს ლექსს „დედა ენა“, დასაცველად ჩვენის დედა ენისა, რომელიც გამოდევნილ იქმნა სკოლიდან და ეკლესიიდან. მას მოელოდა განსაცდელი და გადაგვარება.

პოეტმა ღრმა-აზროვნად დახატა დედა ენა. ღვთისგან გაჩენილს ყოველს სულიერს, – მხეცს, ფრინველს, მდილსა და მწერსა „ეზომა ღვთისგან მათ მათი ენა“. ღვთის ბრძანებას ვერვინ გადუვა, ვერც ვულაატებთ ბუნების კანონებს: „მტრედი

– 127 –

ვერ შესძლებს კატის ჩხავილსა, ბულბული – ყროყინს, თევზი – კნავილსა, გვრიტი – ჭიხვინსა, ბუზი – ზღავილსა!.. ამ წესსა ვხედავთ ღვთიურსა ჩვენა, აქ სჩანს ბუნება და დედა ენა“.

რახან ყველა სულდგმულს თავისი ენა აქვს და მას ვერ გადუვა, კაცსაც უნდა უყვარდეს დედა ენა:

მიყვარს მე ენა ჩემის მშობლისა,
რომლითაც „ნანას“ მეტყოდა ისა,
ალერსს მაგონებს დედისას ტკბილსა,
ჩემის ტოლების მდერა-ჟღივილსა!..
ნუ გრცხვენის, ძმაო, როცა გაქვს წყენა,
მშობელს ენაზედ მოთქმა, ცრემლთ დენა...
აკვანს და საფლავს ნუ ჰკარგავ შენა,
თორემ დაგწყევლის შენც დედა-ენა!..

ენის დაცვასთან რაფ. ერისთავმა, მსგავსად ილ. ჭავჭავაძისა, სათაყვანო საგნად გაიხადა სამშობლოს სიყვარულიც. „სამშობლო ხევსურისა“ მარგალიტია რაფ. ერისთავის ლექსთა კრებულში. სტიქიური, ძვალ-რბილში გამჯდარი მამული-სადმი ტრფიალი და გაკაჟებული, გარდუვალი გრძნობა აქ ნამდვილის, უძლეველის პოეტურის ბეჭედის დასმით გამოთქმული და დაკანონებულია. შემოქმედებითის ნიჭის სიღრმემ და სიმარტივემ უმაღლესს წერტილამდის აიყვანა პოეტის აღმაფრენა. აი რას ათქმევინებს პოეტი ხევსურს:

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი გულის ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, – ჩემი სამშობლო ის არი.
არ გავსცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავსცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..
მე მირჩევნია შავი კლდე, თოვლიან-ყინულიანი,
ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქარით გადმოჰქუხს ბროლი-წყლიანი,
ჯიხვი და არჩვი მეყოფა, ხორცი აქვს მარილიანი...
არ გავსცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავსცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

– 128 –

ბარად რომ ვიყო ლაღადა, სული მთისკენვე იხარის,
სალი კლდე ანდამანტივით გულს სულ იქითკენ იხარის,
იქ მიჯობს შავი სიკვდილი, ბარში სიცოცხლეც იმწარის!..
არ გავსცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,

არ გავსცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..
ბარად რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია,
სასახლე ოქროს ტასტითა, ჯარი და ზღვაზე ნავია,
არა ვინდომთ ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია...
არ გავსცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავსცვლი ჩემსა სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..
სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩვენის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა...
არ გავსცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავსცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

სამშობლოსადმი აღფრთოვანებულის სიყვარულით ეს ლექსი გვაგონებს ინგლისელის პოეტის ბორნისის ლექსს: „ჩემი გული მთიანს შოტლანდიაშია“. ამ ლექსით ჩაეყარა საფუძველი იმ საეროვნო სკოლას, რომლის წარმომადგენელი არიან ძმანი რაზიკაშვილები. ამ ლექსით უკვდავი გახდა პოეტის სახელი ქართულს მწერლობაში.

რაფ. ერისთავი სხვაფრივადაც გაიტაცა ილია ჭავჭავაძის სალიტერატურო მიმაოთულებამ. მსგავსად „დედა და შვილის“ შემქმნელისა, „ხევსურის სამშობლოს“ ავტორი მიიქცევა მოგონებით წარსულისადმი და იქ შეაჩერებს თავის ყურადღებას უშიშარის მეომარის ტიპზე, რომელსაც მიჰქონდა მსხვერპლად მამულის დასაცველად თავის გაჟკაცობაც, ბედნიერებაც და სიცოცხლაც. ამას გვამცნევს იმის ლექსები „ნეტა რას სტირი, დედილო!“ (1881 წ.) და „რაზე მიწყრები ყეენო?“ (1822 წ.). პირველი ლექსი ალა-მაჰმად-ხანის დროის განსაცდელით არის ზემთაგონებული. მწარე ხვედრი ეწვია საქართველოს და ბევრი დედა აატირა სპარსეთის შაჰის შე-

– 129 –

მოსევამ. მაინც გული არ გაიტეხა ქართველმა, მეტადრე ვერ მოინელა მისმა ქედმოუდრეკელმა სიამაყემ ქალის დაღონება და ტირილი. იგი მიმართავს მწუხარე დედას: „ნეტა რას სტირი, დედილო? რას ჩამომჯდარხარ კერასა? ასი მკრან გულში, მირჩვენის მტირალის ქალის ცქერასა! ნეტა რას სტირი, დედილო? რას სტირი, ძუძუს ჭირიმე? ჯარს იმახიან, დედილო, სად არის ჩემი ხირიმომი?“ თათარი შემოგვესია, ქვეყანას აოხრებს, რა დროს შვილის გლოვააო. სახლში ვერ დავბრუნდები, ყანა გამარგლე, ირმა ხარს მარილი ალოკე, პაწიები არ დამიმშო და რძალს ნურას ეტყვი; „ბაღლია, ამიტირდება, შობამდის დავავიწყდები, აღდგომას გამიფრინდება!“ რა უძირო გრძნობაა გამოთქმული ამ დედის მწუხარების დამშვიდებაში, რა ღრმა ცოდნაა საქართველოს წარსულის გმირულის დროებისა და თავგანწირვისა.

მამულისათვის სამსახური და რჯულისთვის სიკვდილი დროშად ჰქონდა ძველის საუკუნოების ქართველს. ამას თამამად აღიარებს განრისხებულის შაჰის წინაშე დატყვევებული, მაგრამ უცვლელად მტკიცე მხედარი.

რაზედ მიწყრები, ყეენო? – ვიბრძოდი ქართველის ჯარშია, დღეს შენი ტყვე ვარ, ხელთ დაგრჩი, რაკი დავიჭერ მხარშია... მამულისათვის ვიბრძოდი, რაში შემწამე ღალატი?... შენი რა მმართველს, ყეენო, თავს რომ მადგია ჯალათი?... მე სჯულისათვის ვიბრძოდი, სხვა რა შემწამე ავია?... სჯულს არ შევიცვლი, ყეენო, არ მოკვდეს ჩემი თავია.

ტყვე ეხვეწება ყაენს: როგორც გინდა ისე დამსაჯე, მომჭერ ფეხი და მკლავიო, მხოლოდ „დღეს მე ნუ მომჭრი ენასა, მინდა მოკითხვა შევთვალო, ვილაპარაკო ქართული, ვადიდო იესო ქრისტე, სჯული ენასთან შერთულიო“. მამულისთვის ბრძოლა და რჯულის მიუდრეკელობა, „ქრისტესთვის წამება“ ასულდგმულებს მის ლექსს „რას ერჩი მაგ ბიჭს, თათარო?“ სიქველე და სიმამაცე ქართველთა, განდიდებული და განსპეტაკებული, პოეტმა დაასურათა „ასპინძის ომში“;

- 130 -

რომლის შინაარსად გაიხადა ისტორიული ამბავი მეფე ირაკლი მეორის და ოსმალ-ლევტ შორის 1770 წელში. პოეტის თქმით, ირაკლი იყო „გულადი, შეუპოვარი, ნამდვილი მეფე ყმათათვის, მის ხელში ყველა ხარობდა: მოხუცი, ძუძუ-მწოვარი“. ამ ლექსის გეგმის შემუშავებაზე გავლენა იქონია გრ. ორბელიანის პატრიოტულმა ლექსმა „სადღეგრძელო“.

რაფ. ერისთავის პოეზიის ღირსება იქ ორკეცდება, სადაც იგი აწმყო მდგომარეობას ეხება, ხალხის ჭირს და ლხენას ასურათხატებს, მის გულიდან ამოზიდავს ნაფიქრს და ნაგრძნობს. „ბერუას ჩივილი“, „ტეტის მოთქმა“, „სესიას ფიქრები“, „თინიას მამითადი“, „თანდილას დარდი“ და სხვანი, საერო ჰანგზე აგებულნი და მარტივის ენით დაწერილნი, ხელისხელ საგოგმანები ქმნილება ქართულს სიტყვა-კაზმულს ლიტერატურაში. ასე ღრმად არავის ჩაუხედნია ერის სულში, ასეთი მარგალიტები არავის ამოუზიდნია ბეჩავის კაცის შესაგნებლად და შესაყვარებლად. განათლებული არისტოკრატი გლეხის ტყავში გაეხვია და მისი საიდუმლო ფიქრები შეიგნო და ჩვენც გაგვიზიარა.

„ყველა მე ჩამომეკიდა, – ჩივის საწყალი ბერუა, – მამასახლისი, გზირია... როგორ არა ვთქვა, ბეჩავმა, მეც ჩემი გასაჭირია?... ფული მემართა ვაჭრისა, „რიგისთვის“ აღებულია, თავნში პურ-ღვინოს დამჯერდა, ვახშში მივეცი ფულია“. გეო ვაჭარმა ვალი მეორედ მოსთხოვა, მამასახლისმაც ერთს თუნგს არაყში გასცვალა. აღარა შეარჩინეს რა: ზედაშე, გოჭი, ქა-

თამი, კვერცხები. გეო ნავარდობს მის სახლში, გზირსაც ერ-
გო არაყით გამოთრობა. ბეჩავს ბერუას ვერაფრიფ მოუშო-
რებია თავზე დატეხილი ჭირი: ყველა მას ჩამოეკიდა – „სოფ-
ლის მოხელე, გზირია“... მწარედ მოსთქვამს თავის გასაჭირზე
ტეტიაც. სეტყვამ სამის დღის ყანა გაუოხრა და კარს მიაყენა
შიმშილი; არ იცის, რით გამოჰკვებოს ცოლ-შვილი, როგორ
გასწორდეს წელშია. იგივე ბერუა გაჭირებული კითხულობს:
„ე როგორ არი, ვერ მივხვდი, როგორი განაჩენია?.. მი-

– 131 –

წა სხვისაა, ვქირაობ, შრომა კი მარტო ჩემია“... გვალვა და
ნიაღვარი ყანას უცდენს, მაგრამ ღალა კი აუცილებლად უნ-
და მისცეს. გულ-დამმარებული ჩივის: „სად რა ვიშოვო, სა-
ბრალომ, ვინ მომაქვავებს ბედშავსა?.. ე შავი მიწა მაინც რომ
სასყიდლად არა მქონოდა, შავ სამარემდინ – რა ვიცი – მე რა-
ღა დამაღონებდა. „სესიას ფიქრებშიც“ იგივე ტანჯვაა ჩაქ-
სოვილი, იგივე: დაუღალავის შრომის უნაყოფობა თვით მუ-
შაკისთვის, მისი სისაწყლე და ბეჩავობა.

ვხნავ, ვთესავ, ვებრძვი მიწასა, ე შრომა მაინც ფუჭია,
ვერ გადვირჩინე წლის სარჩო, ვერ გამოვიძლე კუჭია...
მიწის პატრონიც მე მწიწკნის, ჯინჭველაც ჩემი მტერია,
მოხელე, მღვდელი და ერი – ყველა მე შემომცქერია.

შრომას და ტანჯვას გლეხკაცი ბავშობიდანვე ეჩვევა. გა-
სახარებელი დღე იშვიათად უთენდება. პატარა ბიჭი, „ღამის
მეხრე“ დარაჯობს გუთნეულს ჭალაში, სადაც მგელი დამრწის,
გულის დამაღონებელი ჭოტის ხმა გაისმის; იმაგრებს თავს,
მაგრამ ხარ-კამბეჩის ცოხნაზედ მოეკიდება რული. ცოტას კი-
დევე გაიჭირებს და ღამე გატყდება, დილის რიჟრაჟი ცას გაუ-
ნათებს, ტოროლა შეინავარდებს, – ისიც გუთნეულს შესაბმე-
ლად უკან დაირეკს, აღფრთოვანებულის იმედით: „ორი დღის
ალო მერგება, გადამიხნავენ ხელადა“. საწყალს გლეხს გოლ-
ვის, ნიაღვრის და მოხელეთა გარდა სდევენის თვით მწარე ბე-
დიც. „თანდილას დარდი“ სწორედ ამ შავის ბედისგან ჩაგო-
ნებულია. მოუკვდა ხარი გიშერა და დარჩა ცალად-ღა ერთია.
„რიღათი მოვხნა ნაწრეტი, რით ავიცილო შიმშილი, რიღით
გავუძღვე ქვეყანას, რიღით ვარჩინო ცოლ-შვილი?“

დაჩაგრულია გლეხ-კაცი, მაგრამ გულს არ იტეხს. მას
სოფელი გაჭირვებაში ხელს გაუმართავს, მოძმე დაეხმარება,
მცირედი დაკმაყოფილებაც სიამოვნებით აღავსებს. „თინიას
მამითადი“ გვისურათებს ძველის დროიდან დარჩენილს ჩვეუ-
ლებას – როგორ ეხმარებიან სოფლელები ხელმოკლე მეზობელს
და თანამოზიარე ხდებიან მის ჭაპანწყვეტაში. თინია „ქვრივ-ოხე-

რია“, ერთი „პაწია“ შვილი ვალებით გამოზარდა, სათესლედ თინიამ ოროლი მუჭა ხორბალი ჩამოითხოვა, მოთესა და ყანაში ღვთის თვალი დატრიალდა. მომკალი სჭირია თინიას, სანახევროდ გაცემა ენანება. „ჩამოუარა სოფელსა, სთქვა: ყველას დავეღრიჯები“. რჩეულ, ბიჭები დილა-ადრიან მოადგნენ „ჰოოპუნათი“, კიჟინით ქვრივის ყანასა. ეს არის თინიას მამითადი. თინიაც მასპინძლობს გულუხვად, რცხვენთან, „ღვინო არა აქვს საწყალსა, მაგრამ ზედი-ზედ უზიდავს მამითადს წყაროს ცივს წყალსა“... „არ შევხვედრივარ, – ათავებს პოეტი ამ იდილიის აღწერას, – მამითადს მე ამისთანასა“... მედგარია გლეხი კაცი მიწის შემუშავებაში. ოფლი, დაკორძებული ხელები, დაწყლულებული ფეხები ღვთისაგან ნაბოძებად მიუჩნევია. „გლეხად დამბადა მე ღმერთმა, იმასაც ვეთაყვანები“, – ამბობს იგი გულგაუტეხელად ლექსში „რას შემომცქერი, ძმობილო?“ – ფლში გაწუწული ვარ, ხელ-ფეხი მაქვს დაკორძებული, მე მაინც „რაც ვიყავ, ისევ ისა ვარ, მიდგას მე კარგი ყანები“.

გლეხის ცხოვრებაში ისეთი წამებიც არიან, როდესაც სიამოვნებს ცოლ-შვილის ალერსით, თავის ნაჭირნახულევით, ბუნების მშვენიერებით. „სურათი სოფლის ცხოვრებიდან“ შეუდარებელი იდილია არის ნიჭიერის კალმით დახატული: სიცხეში ქობის წინ ყმაწვილს დედას ხელში უჭირავს პაწია ბიჭი, რომელიც „ხელს უცაცუნებს ძუძუებზედა... აქა, მამილო, აქა! დედა იმახის შვილის მაგივრად“. მამა სამუშაოდ არის წასული. მზემ გადიხარა, სიომ დახბერა და მაშვრალი მუშაც, გულგაღელილი, თავწაკრული ნარმის ნახევით, ბრუნდება სახლში. ცოლი მიეგება წინ და მიაწოდა გიგლა მამას. „გიგლამ უტაცა მამას ულვაში, ლოყაზედ თათი მოუცაცუნა; მამას იამა შვილის ცელქობა, ულვაშის წიწკნა არ დაუწუნა. დაჯდა მაშვრალი დერეფანშია, გვერდით მოიდო მჭრელი ნამგალი, ამაცობს ცოლით, ამაცობს შვილით, ამაცობს, რომ აქვს ბევრი ნამკალი“... „ბევრის ნამკალის“ გარდა, გლეხს ეკ-

ლიანს გზაზე ამხნევებს სარწმუნოება და სასოება ღვთისადმი. თავის ცხოვრება „ღვთის მადლად“ აქვს მიჩნეული. სარწმუნოებასთან მას შეუთვისებია შრომის მოყვარეობა, „ჯაფის“ მოურიდებლობა, („საბრუას სახლკარობა და შეძლება“). სეტყვამ გაუფუჭა თედუას ჭირნახული, მან მხოლოდ ცრემლი გადმოყარა და პირჯვარი გადიწერა: ღვთის გმობა ვერ გაბედა.

გლეხი გულკეთილი და სათნოიანი კაცია, მის გამოუცდელობით და გულუბრყვილობით სარგებლობენ სოფლის ჩარჩები, მევახშეები. ამიტომ პოეტი ურჩევს საერთოდ ქართველს, „ვალს ნუ აიღებ ვაჭრისგან, იმისი ვალი ძნელია“. შინაურის მტერის მოსაგერებლად და გლეხიკაცის ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად რ. ერისთავი ინატრის სწავლა-განათლების გავრცელებას. „ღმერთო! მიეც ქართველებს ლხენა, რომ იქმნენ სწავლით სხვის თანასწორე“ (ლექსი „ღმერთო მაშორე“). საერთოდ მის სიმპათია და თანაგრძნობა მუშა ხალხისაკენ არის: „ვაშა, ვაშა, მუშა ხალხსა, ღმერთმა იმათ გაუმარჯოს!“ ათავებს მშვენიერის სურათის აღწერას ამ სიტყვებით ლექსში „ზაფხული“. პოეტს სწამს, რომ ღმერთიც და ბუნებაც მშრომელის კაცის მწყალობელია. ის ეუბნება მას: „რამ დაგაღონა, ძმობილო, პური თუ შემოგელია, მოხან, მოთესე, მოიმკე, ბუნება მწყალობელია. ღმერთი დიდია, ღარიბო, გული ნუ შეგიშინდება“. ასე ცოცხლად გადაგვიშალა პოეტმა ხალხის ფიქრი“ და გრძნობა, ასეთი თვალის ნესტარი გაუყარა მის გულში ჩასახულ ვაება-სიხარულს; სწორედ ამით დაიმსახურა საერო პოეტის უკვდავი სახელი. ლექსში „უცნაური მეჭიანურე“ რ. ერისთავმა აღნიშნა თავის დანიშნულება და პოეზიის მიმართულება, ცხოვრებასთან დაკავშირებული: „ჭიანურს გაგვრავ ძუასა, როცა მეწვევა დარდია, ან როცა ვლხინობ მოყვრისას და გულში ჰყვავის ვარდია!“

მხატვრულს მწერლობაშიაც კვალი დასტოვა ამ მოქალაქე-პოეტმა, მისი ლექსები: „გაზაფხული“, „ზაფხული“, „ზამ-

- 134 -

თარი“, „მილოცვა ახალი წლისა“, „მაისი“, „ყვავილების სიმღერა“ სავსე არიან დიდებულის სურათების სიტურფით.

რ. ერისთავის დეაწლი დაუვიწყარია საბავშვო ლიტერატურაშიაც. მრავალს მის ლექსს იზეპირებს ქართული მოზარდი თაობა, რომლისთვისაც მან სთარგმნ რუსულით „ოქროს თევზი“ პუშკინისა, გალექსა საბა-სულხან ორბელიანის იგავარაკნი. გადმოიღო აგრეთვე პუშკინის „ძუნწი გმირი“ და რამდენიმე სხვა ლექსი რუსის და უცხოელის მწერლების თხზულებიდან. ახალთაობას პოეტი ეპყრობა ტკბილის სიყვარულით, უხარის მის წარმატება და ნიჭით აღბეჭდილის მწერლის წარმოშობა. ამგვარის გრძნობით შემოსა ლექსი, მიმართული „ბაჩანასადმი“: „შენ ყმაწვილი ხარ, მე – ბერი, ღმერთმა გიკურთხოს ჩანგია, მაწაფე, მოძმევე ახალო, ბერსა ახალი ჰანგია“. მრავალფეროვანი იყო მისი მოღვაწეობა, მაგრამ ერთი მხარე უფრო მკაფიოდ გამოირკვა მის სამშობლოსადმი სამსახურში. იგი იყო პირველი „გლეხთა მგოსანი“ და სავსებით,

თუმცა მარტივად, დაგვიხატა მათი მდგომარეობა.

აკაკი წერეთელი

აკაკი წერეთელი დაიბადა 9 ივნისს 1840 წ., საჩხერეში. მამა მისი როსტომი იყო შეძლებული თავადი, რომელსაც ოჯახი მოწყობილი ჰქონდა ძველებურს დიდკაცურს წესზე. დედამისი ეკატერინე, ივანე აბაშიძის ასული, მეფე სოლომონ მეორის შვილის-შვილი, ნასწავლი იყო კათოლიკე პატრებთან. ხუთს წლამდის კაკო, როგორც სიყმაწვილეში ეძახდნენ აკაკის, გაბარებული იყო, ძველის ჩვეულების მიხედვით, გლეხის ოჯახში. აქ ჩაებეჭდა მგრძნობიერს გულში სიყვარული დაბალის წოდებისადმი და შეითვისა ხალხური გარდმოცემანი. დედამასთან დაბრუნებული, კაკო მოექცა ფუფუნებით ბატონ-

- 135 -

ყმურს ნიადაგზე აღმოცენებულს ცხოვრებაში: 30 მოსამსახურე ფეხზე იდგა, სუფრაზე მღვდლის უკურთხებლად ლუკმის გატეხა არავის შეეძლო, სტუმრიანი სადილ-ვახშამი შეზავებული იყო მოსწრებულის სიტყვა-პასუხით, საღვთო წერილის დამოწმებით, შოთა რუსთაველის ლექსებით.

წერა-კითხვა აკაკიმ ისწავლა ბეჭზე დედის და უფროსის დის ხელმძღვანელობით. სწავლასთან აღზრდაც თავისებური მისცეს: მიაჩვიეს შიმშილს, ფეხშიშველა სირბილს, მარხვის შენახვას და ეკლესიაში ლოცვას. ქართულად უკვე საკმაოდ განსწავლილი იყო აკაკი, როდესაც შევიდა ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც მეფობდა სასტიკი სისტემა, შიშზე და ცემაზე დამყარებული. კურსის გათავებამდე თავი დაანება ქუთაისს და წავიდა პეტერბურგს სამხედრო სამსახურში შესასვლელად. მაგრამ ჩქარა შესცვალა თავის განზრახვა და შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე.

ამ დროს აკაკის უკვე ნაცადი ჰქონდა თავისი ნიჭი მწერლობაშიაც. ჯერ ბავშობაშივე დასწერა ტრაგიკული კომედია, სადაც გ. ერისთავის ზედგავლენით გამოხატა თავის მამის მოურავის ეშმაკური ხრიკები. პეტერბურგიდან როცა დაბრუნდა, პოეტმა დასწვა ეს პირველი თავის კალმის ნაყოფი. 1858 წ. დაიბეჭდა „ცისკარში“ მისი ლერმონტოვიდან ნათარგმნი „პალესტინის რტო“. აქედან იწყება ისტორია აკაკის სალიტერატურო მოღვაწეობისა.

პირველი მისი ორიგინალური და თარიღიანი ლექსი არის

„საიდუმლო ბარათი“ (1859 წ), მაჩვენებელი პოეტის ჭმუნვისა და ნუგეშის ძიებისა შორიდან მოწერილს ბარათში. „საიდუმლო ბარათო! გითხრეს: ექმენ მარადო სიხარულის მიმნიჭედ და სევდისა ფარადო“. ასოების მოხაზულობით მას სურს გაიგოს სატრფოს ამბავი, მოწყენის ან სიყვარულის ნიშნები ამოიკითხოს, გაიგოს რა გრძნობას აქსოვდა ან ვისი ხმა გაისმოდა წერის დროს: „ანგელოზი სუფევდა მის გულში თუ სატანა?“ ეს პატარა სანტიმენტალური რომანსი დაწერილი

- 136 -

ტკბილის და მსუბუქის ლექსთ-წყობით, საუცხოოდ ახასიათებს ახალგაზდა მგოსნის ვითარებას სამშობლოს გარეშე. „საიდუმლო ბარათით“/ შეარყია აკაკიმ მესამოცე წლებში გამეფებულის დაძველებულის ენით ლექსთ-წყობა.

„საიდუმლო ბარათი“ სალირიკო ლექსია. ეს ის დარგია, რომელიც ეთვისება სხვაზე მეტად პოეტის ნიჭს და მიმართულებას. აკაკი ცნობილია აგრეთვე როგორც დრამატურგი, რომანისტი და პუბლიცისტი. მაგრამ როგორც ლირიკოსი იგი შეუდარებელია. ლირიკაში მან აირჩია ელეგია და სატირა, ჭმუნვა და გაკიცხვა. მგოსნის დანიშნულება და თავისი რწმენა აკაკიმ გამოსთქვა ლექსში „პოეტი“:

ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი, ხან არც ისა ვარ, არც ისა!
გარემოების საყვირი, არც მიწისა ვარ, არც ცისა.
ნუ მკიცხავ, მნახო უგნურად, ნურც გაიკვირებ ბრძნობასა;
სულ სხვა ჰყავს ხელის უფალი ამ ჩემს გონება-გრძნობასა.
ეს გული სარკედ ქცეული ბუნების ნათავხედია.
მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ, რასაც შიგ ჩაუხედია.
ენა მას ამბობს, რაც სმენას სხვისაგან გაუგონია;
ან თვალს უნახავს და ჭკუას გაუზომ-აუწონია.
თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარ, სხვებს რომ ჰგონიათ, არც ისა!
შუა-კაცი ვარ, უბრალო, ხან შიწისა ვარ, ხან ცისა.

აქედან შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ პოეტი „გარემოების საყვირია“, ესე იგი ენა მისი იმეორებს გაგონილს, გული ბუნებაში აღძრულის გრძნობის სარკეა, თვით პოეტი შუაკაცია ცისა და მიწის შორის. ასეთი შეგნება პოეტის დანიშნულებისა სახავს აკაკის რეალისტ-მწერლად იმავე პროგრამით, რომელიც განახორციელა ილია ჭავჭავაძემ.

მეორე ლექსში უფრო უახლოვდება აკაკი ილია ჭავჭავაძის პოეტის“ დანიშნულებას. იგი ამბობს: „მისთვის მომცა ღმერთმა ენა, სიმართლისთვის გავიწირო, ჩაგრულ მოძმეს მოვეხმარო, თუნდა ქვითაც დავიკირო; მოძმის ვიყო შემწე ჭირში, ვიხარო და გავახარო; რაც კი ვნახო მასში ცუდი, გამოვსთქვა

- 137 -

და არ დაეფარო“. ამგვარად ბრძოლა ბოროტებასთან, როგორც მოქალაქე მგოსანმა, თავის დროშაზე აღნიშნა. იგივე აზრი გაატარა ლექსში „ჩონგური“, რომლის დანიშნულებად აღიარა წმიდა აზრის გამტკიცება და „სიმართლისთვის სამსახური“. მუხა ჩასძახოდა მგოსანს განუწყვეტლივ ერთს და იმავე სიტყვებს: „ხან სიტკბო აიაფე, ხან ნაღველი აქაფე, ჭემ-მარიტება აქე და ბოროტი აკაფე“. სიტკბოება და ნაღველი – ორი შეუდუღებელი თვისებაა აკაკის პოეზიისა. ცხოვრების მიმდინარეობით და სამშობლოს მდგომარეობით დასახელებულნი შტონი იცვლებოდნენ მის ნაწერებში. თუ „სიმართლეს“ ემსახურება მისი „ჩონგური“, საქართველოს დაჰკვნისის მისი „სალამური“. პოეტი მას მიჰმართავს ჩრდილოეთში გადახვეწილის გულის გასახურებლად: „ქართულად ჰკვნეს, ქართულად ჰსტკვენ, ქართველის გულს ამით ულხენ, ხასიათს და ჩვეულებას წინაპართა გვაგონებ ჩვენ“. განყენებულის სიმართლისთვის სამსახურს გვერდით ამოუყენა მეორე დანიშნულებაც: კერძოდ გამოხატვა საქართველოს თავგანწირულის ბრძოლისა წარსულში და მოსეულის განსაცდელის აშორება, გათვალისწინება და გაძლოლა აწმყოში. ასეთია აკაკის პოეზიის ფილოსოფია.

აკაკი მხურვალე მოსიყვარულეა თავის „ცა-ფირუზ“ სამშობლოსი, – მთელი საქართველო დაიტივა თავის ნიჭიერს ბუნებაში. მისთვის „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველა, სხვა და სხვა კუთხის მცხოვრებია“. მამულის სიყვარულმა აკაკის განუცხოველა სიყვარული კაცობრიობისადმი (ლექსი „მგოსანი“) მისი იდეალია საერთო ძმობა და მეგობრობა. იგი ოცნებობს ერთა დაკავშირებაზე და მათ შორის სათნოებაზე. მის ქრისტეს სარწმუნოებით განსპეტაკებულს ფანტაზიას წარმოუდგენია „უცხო მხარე“, სადაც გამეფებულია სიმართლე და თანასწორობა. „წავალ, – ამბობს აღტაცებული პოეტი, – სადა სიღარიბეს ბოროტებად არა სთვლიან, სადაც პირად ღირსებაებს ნაბომძვარში არა სცვლიან! სადაც ყვე-

- 138 -

ლა თანსწორია, ერთს მეორის არ აქვს შიში, სადაც მოსპო ქრისტეს მცნებამ ფარისევლის ანგარიში!“ პოეტისთვის ლოცვა და ლექსი ერთი და იგივე სულის მოძრაობის ნაყოფია, მის ხვედრიც ქვეყნიურს ჯილდოს არ წააგავს: „ცოცხალს ტაში, მკვდარს გვირგვინი, აი მათი საჩუქარი“ („სცენიდან ნათქვამი“). „პოეტის პროგრამა“ ფართო და შეუზღუდავია. მას შეუძლიან ბუღბულის სტვენაც და ყორნის ჩხავილიც. „ჭირში ზარს ვეტყვი საცრემლოს და ლხინში მრავალჯამიერს...

მაქებარი ვარ ერთგულის და მგომბი ქვეყნის მტერისა“, ამ-
ბობს პირუთენელი მგოსანი, მოქალაქობრივს გრძნობაში გა-
წვრთნილი და შეუპოვარი. იგი ლოცულობს სამშობლოს
„ხატის წინ“, მაგრამ „სახატე“ მისი მთელი ქვეყანაა“.
ფუტკარსავით იგი უვლის გარემოს, სადაც კი ეგულება „სა-
თაფლ-სანთლო მასალა“. პოეტიც ფუტკარია კაცთა შორის:
იგი აძლევს თაფლს და სანთელს სუყველა მსურველს და მე-
ძიებელს.

მამულის და კაცობრიობისადმი სიყვარულის გარდა პო-
ეტს სიმართლისთვის საბრძოლველად ამხნეებს თანაგრძნობა
ახალგაზდობისა, საზოგადოების მგრძნობიერის ნაწილისა. როცა
შური, მტრობა, ბოროტება სულ ერთად გულგატეხილს პოეტს
მოაწვება, ახალგაზდის ერთი ღიმილი სამსონის ღონეს აძლევს:

ის ღიმილი ნიშანია ახალგაზდა თანაგრძნობის
და მიზეზი საორკეცო ჩემის მდერის, ჩემის გზნობის..

სიმართლის და სიყვარულის მოძულეთა წინააღმდეგ გასამკ-
ლავებლად პოეტს სჭირდება ამირანის სიმტკიცე და შეუდრეკელო-
ბა. ბატონ-ყმობის გადავარდნამდე იგი თამამად ეკვეთება მემა-
მულეთა თვითნებობას. ბატონი გლესს კისერზე აზის და სჩაგრავს.
მის ჯაფით მოყვანილი პური სხვას მიაქვს და ცოლ-შვილი
შიმშილით ეხოცება. გლესის უნუგეშო მდგომარეობას ჩამოა-
ნათა თავისუფლების შუქმა და აკაკიმაც სიხარულით აღნიშნა
„ცისკრის ვარსკვლავი“ ცაზედა. შეიცვალა დრო და დედაც
შვილს აკვანში ახალს ჰანგს დაღიღინებს: „მამი+-შენის ბედის

- 139 -

არ ხარ, ბატონი არ გყავსო“. გლესის საზრდოს ვედარავინ
წაიღებს, იგი ახლა უფრო გულმოდგინედ იმუშავებს და მე-
ტის სიყვარულით ნამგალს ყანაში დაატრიალებს. ზომიერი
ცხოვრება აკაკის იდეალია:

ყველასათვის კარგი მსურს, ბოროტების მტერი ვარ,
გულში არ შეეუშვებ შურს და მით ბედნიერი ვარ:
მე ბევრს არას დავეძებ, რაც მაქვს, ცოტას ვჯეროვარ,
ქვრივ-ოხერს არას ვტაცებ, ისეც ბედნიერი ვარ.

ღირიკოსის ნიჭი აკაკიმ აღბეჭდა თავის პატარა ლექ-
სებში, რომელნიც შეიცავენ დიდმნიშვნელოვანის გრძნობის
ანალიზს. ეს გრძნობაა სიყვარული, რომელსაც არა ერთხელ
უბრუნდება პოეტი და კაცის გულის ღრმა ცოდნით გაარ-
კვევს და გაშლის. ახალგაზდობით განიცადა მგოსანმა წარმა-
ვალი აღტაცება, შემდეგ დამსხვრეულის იმედის სიმწარე იგე-
მა, სიბერეში სატრფოს საფლავის ძებნას შეუდგა და გულ-
მოკლულმა სიტკბოების და სიმწარის შეგნებით ჩამოასხა საუ-
ცხოვრო ლექსი „სიყვარული“.

სიყვარულო, ნიჭო სრულო, წამ ტკბილო, და ხანგრძლივ მწარეც,

ჯერ აკვანო ნეტარების, მერე კუბოვ და სამარევ.
დღეს ჩემი ხარ, ხვალ სხვისი ხარ, უგზო-უკვლოდ მოარული,
სად არს შენი დასაბამი? ან სადა გაქვს დასასრული.

ზოგი ჰყვედრის, ზოგი ევედრის სიყვარულს, რომელიც
დიდის ხნით არავის ახარებს და თვით წამიერს სიტკბოებას სა-
უკუნოდ წაამწარებს, მაინც ყველა ეძებს მას და მზად არის
ერთს წამში საუკუნო გასწიროს. პოეტს საკვებრად მიაჩნდა,
რომ „კლდე იყო მაგარ გულითა“, მაგრამ მოხვდა მასაც ბა-
სრი სიყვარულისა და დაარბილა სანთელივით დასაგერეხადა.
ის კი ვინც ცეცხლი გულში აუნთო, შორით ეჩვენება, „ვით
ემმაკი წამწყმედელი“. ეს ორი შედარება სიყვარულისა წამ-
წყმედელს ემმაკთან და ეულს დედოფალთან, რომელიც უგზო-
უკვლოდ ტრიალებს ნეტარების და სიმწარის დასათესად, საუ-
ცხოვო პოეტური სურათია ლექსში „გამოთხოვება“ ალგზნე-

- 140 -

ბულის ცეცხლით დამწვარი, იგი მოსთხოვს თავის მრისხანე
მფლობს და ღვთაებას მცირე ღიმილს, თუმცა იგიც მის გრძნო-
ბას ვერ ამშვიდებს და მწარედ ათქმევინებს: „მე ბედ-გამწყრა-
ლი უნუგემოდ რად დავიბადე?“ კაცის გულის მცოდნე მგო-
სანი სამართლიანად აღიარებს ლექსში „გაუბედავი სიყვარუ-
ლი“, რომ მდუმარება ნამდვილი გრძნობის ნიშანია, ცხადად
ტკბილი ღიმილი და ჩუმი ცრემლი, მდულარება. ამიტომაც
დაასკვნის იგი:

ათი წელი
მეტად მწველი
გულში გვაქვს ეს ნეტარება,
ვუგდებთ რა ყურს,
ორივეს გვსურს
და ვერ გვითქვამს აღსარება.

აკაკიმ შენიშნა ქართველთ ტომში განსხვავება სიყვარუ-
ლის გამოთქმაში და ეს აღნიშნა ლექსში „სხვა და სხვა გვა-
რი სიყვარული“. ქართლელის ქალისთვის სიყვარული ტრფია-
ლებაა, „კაცის გული რკინად სახა, თვისი მასზედ ანდამატა“. იმერელმა ამას ანგარიშიც დაუმატა; მისთვის ქალი კატაა და
კაცი თაგვი. მეგრელმა სთქვა: „სიყვარული უნდა იყოს და-
ფარული“, გურულმა კი იცის მხოლოდ გაბედული, „პირდა-
პირი ვით შურდული“. მისთვის კაცი ლომია და ქალი დედა-
ლი ვეფხვი. ორიგინალური, თავისებური შეგნება სიყვარული-
სა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში თვალსაჩინო ჰყო ფსი-
ხოლოგიურის ჭეშმარიტებით მხოლოდ აკაკის განსაკუთრებით-
მა ნიჭმა და დაკვირვებამ. რომანტიულის ელფერით შეამკო
სიყვარულის გრძნობა ტკბილს და ნაზს ლექსში „სულიკო“. სასიმღეროდ გადაქცეულს რომანსში პოეტი ეძებს საყვარლის

საფლავს და გულამოსკვნილი ეკითხება ვარდს, ბულბულს და ვარსკვლავს: „შენ ხომ არა ხარ სულიკო!“ ამთ დასტური მისცეს ცრემლების დაყრით, ჭიკჭიკით და ციმციმით. პოეტი მიხვდა მაშინ, რომ „სამად დაშლილა ის ერთი: ვარსკვლავათ,

- 141 -

ბულბულ, ვარდათო, თქვენ ერთმანეთი რადგანაც ამ ქვეყნად შეგიყვარდათო“. რომანტიულის პოეზიის თვისებანი უფრო მკაფიოდ ჩააქსოვა პოეტმა ლეგენდაში „გოგია მეჩონგურე“.

გოგია მიდის ომში სამშობლოს დასაცველად. დედა, და და ცოლი სათითაოდ აიღებენ ჩონგურს და დამღერიან მოშორებული გოგიას მოსაგონებლად. დედა, რომელსაც შვილი ცხრა თვე მუცლით უტარებია, უცვლელად მისი მოსიყვარულეა, ოცნებით წარმოიდგენს დაჭრილს შვილს და ცხარე ცრემლებს ღვრის. დას გოგია იმიტომ უყვარს, რომ იგი ძმაც არის და მეგობარიც. ცოლისთვის ქმარი ადვილად გამოსაცვლელი ქმარია, ადვილად აიტანს ქვრივობას, რადგან გულში ტკბილი იმედი უღვივის. დედა, და და ცოლი სიმღერას ათავებენ გამოთქმულის სურვილით, რომ გოგიას თუ სიკვდილი არ ასცდეს, პირველი აქციოს ჩიტად და მეორე ბულბულად. გოგიას სახლში დაბრუნება აღარ ეღირსა. მის სიკვდილის ამბავი მოუტანა მთხრობელმა. აუსრულდათ თხოვნა დედას და დას, – იქცნენ იგინი ჩიტად და ბულბულად. ვერ მოასწრო უდარდელმა ცოლმა თმის დავარცხნა და მოხდენილის კაბის ჩაცმა, რომ გაისმა წყევლის ხმა და ქვრივი აფრინდა ოფოფად; სავარცხელი დარჩა თმაში. ამ ლეგენდის შინაარსი აგებულია იმ იდეაზე, რომ ცოცხალთა და მიცვალებულთა შორის განუწყვეტელი კავშირი არსებობს. თვით ადამიანის გარდაქმნა ჩიტად (მოლაღურად), ბულბულად და ოფოფად ეკუთნის მეტამორფოზას, რომელიც შეთვისებული ჰქონდათ რომანტიკოსებს.

ერთს სატრფოს, ერთს იდეას და მისწრაფებას მტკიცედ და უცვლელად ემსახურება აკაკის პოეზია: იგია სამშობლო, მამული, საქართველო. პატრიოტულს ლირიკაში აკაკიმ, მსგავსად მესამოცე წლების მწერლებისა, აღტაცებით შეაქო ქართველთა წარსული ქველობა, თავისუფლებისადმი მიდრეკილება, ერთსულოვნობა ჭირში და ლხინში. თავდაპირველად ქართველი ქალი იყო მიზეზი პატრიოტულის გრძნობის გაცხოველებისა და აღზრდისა. იგინი უმზადებდნენ ვაჟკაცებს მამუ-

- 142 -

ლის და რჯულის დასაცველად. ლექსი „ქართველი ქალი“ შეიცავს იმავე იდეას, რომელიც გაატარა ილ. ჭავჭავაძემ დრა-

მატიულს ეტიუდში „დედა და შვილი“. სევდით სავსე ქალი დაინახავს შორიდან შიკრიკს და მას გამოჰკითხავს „ქვეყნის ბედის წერას“. საბრალო დედა შეიტყობს, რომ ბრძოლის ველზედ მას შვილები დაჰკარგვია. მაგრამ იგი ამ ამბით არ არის შეწუხებული, მას უნდა შეიტყოს მხოლოდ: „თათრებს დარჩა გამარჯვება, თუ ჩვენს ძლიერს მეფესაო“. გაიგებს რა მტრის დამარცხებას, დამშვიდებით მოისმენს უფროსის და უმცროსის შვილის გამირულად სიკვდილის ამბავს, თვალზე მომდგარი ცრემლი შეიშრო და ნაცრის ფრად სახე მოკიდებულმა ეს სთქვა: „გამიზრდია ქართველს ქალსა ქართველის შვილი! ეს ნაღველი დედისათვის მწარე არის და თან ტკბილი“. იგი გლოვობს მხოლოდ „საშუალს“ ვაჟს, ომის დროს ტყეში შეფარებულს და „ცოცხლად დარჩენილს უსახელოდ... ვირულადო“. ასეთები იყვნენ წინად ქართველი ქალები. ახლა კი, პოეტის აზრით, („სამგვარი სიყვარული“, „ტარიელ“) ისინი გადიქნენ ქარაფშუტა არსებად, როგორც ფატმანი „ვეფხის ტყაოსანში“ და მხოლოდ მომავალი აღზრდის მტკიცე ნესტან-დარეჯანებს: მათში შეერთდება თამარის და ნინოს ღირსება და ჩაირიცხებიან წმინდათა წიაღში (ლექსი „მომავალს ქართველს ქალს“). სამშობლო წარმოდგენილი აქვს სატრფოდ, რომელიც ახლა „ცხრა-კლიტულშია მჯდომარე“ და მას ცბიერებით შეთვისებას უპირებს „გაიძვერა მოყვარე“.

ტკბილს გაჰმევეს და ტკბილს გასმევეს, შეზავებულს ბანგითა;
დედის ხმაზედ გიმღერის დედინაცვლის ჩანგითა.
გაუფრთხილდი, ნუ გჯერა მაგის ტკბილი ნანინა,
შენზე წინათ სხვაც ბევრი მოხიბლა, შეაცდინა.

განსაცდელი დიდია, მაგრამ სატრფო უნდა გაუმაგრდეს
ნესტან-დარეჯანივით.

ქალის გამირული ხასიათი დასურათხატებული აქვს პოემაში „ნათელა“, რომლის შინაარსი აგებულია სახალხო ლე-

გენდაზედ. მოგოლების ბატონობის დროა. ამერი და იმერი გადაჰკიდეს მათ ერთმანერთს „სიცრუით და ორპირობით“ საქართველო განიცდიდა მატერიალურს სიღარიბეს და ზნეობითს სიდატაკეს. ამ დროს ვარსკვლავივით ბრწყინავს ნათელა, ქალი ქველი წერეთლისა, მოდინახის პატრონისა. ობლობაში გაიზარდა. ბევრს განთქმულს მეომარს უჭირავს მასზედ თვალი, მაგრამ ნათელას გული ყველასათვის გრილია. საცოლოდ ვისაც ეგულება იგი, მისი პირობა უნდა შეასრულოს: „მე ერთი ჩოხა შევკერე, თეთრი რამ... მშვენიერია! ვისაც ის ტანზე მოუვა, იმან ჩაიცვას, სხვამ არა! წავიდეს მტერში, იომოს, გვიჩვენოს ძალა მკლავისა, წითლად შეჰღებოს საპირე ამ ჩემი ნახელავისა, ასოცი თავი მომართვას ჩემი სარების სარქვე-

ლად“... გამოჩნდა ასეთი გმირიც, ადიდებულს ყვირილას ცხენით გამოვიდა, მოადგა მოდინახეს და მოართვა 120 თავი. იგი იყო ცოტნე დადიანი. ქორწილი გაჩაღდა, მაგრამ ახალგაზდა დედოფალი ნათელა გულგრილად ისმენს მრავალყამიერს, რადგან საქართველოში მტერი ბატონობს. იმის სიტყვით აღფოთოვანებულნი იმერნი გაეშურნენ ამერთა მისაშველებლად ცოტნეს მეთაურობით. მონგოლებმა ამერთა შეთქმულება შეიტყეს და მოთავენი შეიპყრეს. მოედანზედ ხელ-ფეხ-შეკრული ქართველები ჰყრიან. ცოტნე დადიანი გაჩნდა ამ მოედანზედ და ტყვეებთან დაჯდა ტიტველა. თავი გასწირა ნებითა და გააკვირვა სუყველა. მშვენიერი ნათელაც გაჩნდება ნოინთან და სილამაზით და გამბედავობით ჰხიბლავს მას. ნოინი მამაშვილურად ეპყრობა ნათელას და ათავისუფლებს ცოტნეს.

აკაკიმ წარსულის გასაბრწყინებლად ბევრჯელ ისარგებლა ისტორიულის სიუჟეტით თავის ნაწერებში. ამგვარია მისი დრამები: „პატარა კახი“, „კუდურ-ხანუმ“ და „თამარ ცბიერი“. პირველში გმირად გამოყვანილია 17 წლის ბატონიშვილი ირაკლი, რომელმაც გაიმარჯვა თათრებზე, მეორე დრამის მოქმედება სწარმოებს მე-XVI საუკ. ოსმალეთის საქართველოში. შინაგანს ბრძოლას განიცდის ელენე, კუდურ-ხანუმის დის-

- 144 -

წული. თავის ინტერესების გულისთვის იგი ჩააგონებს ელენეს მაჰმუდ ფაშის ალერსი არ უარჰყოს და ახალგაზდა მეგობარს არჩილს უმტყუნოს. სამშობლოსადმი მოვალეობა და არჩილსადმი სიყვარული შეეჭიდეებიან ელენეს მგრძნობიარე გულში. ელენე დრამატიულს კონფლიქტს გამოხატავს შემდეგის სურვილით სატრფოს შესახებ. ხოლო ეს სატრფო საქართველოა.

მინდა რომ ჩემსა სატრფოსა ვხედავდე თავისუფალსა,

რო ძალით ვერ აშინებდენ, ვერც ნებით უხვევდენ თვალსა.

მინდა, რომ მისი სახელი გაითქვას ძველებურადა

და მისიანი ყველანი ერთად სცხოვრებდენ მმურადა.

მინდა, რომ მისსა დიდებას დამღერდეს რუსთველის ქნარი,

რომ იღვიძებდეს მის ხმაზედ ტაშის გვრით ხალხი მძინარი!

მინდა რომ... მაგრამ, ეჰ კმარა! ფრთა შევაკვეცოთ სურვილსა,

თორემ რა მოჰკლავს უფსკრულსა მამულის-შვილის წურვილსა.

მესამე დრამა „თამარ ცბიერი“ შეეხება იმერეთის ცხოვრებას მე-XVII საუკ. ტახტზედ ზის მეფე გიორგი, გურიის მთავარი; მან წაიპილწა თავი უკანონო ქორწინებით: ცოლად შეირთო თავის სიდედრი. ამის ცოლს ცბიერს თამარს უყვარს მგოსანი გოჩა. ეს კი მისი მტერია: ამის ჩაგონებით მოახლე ცირა ნიკოს დახმარებით განიზრახავს დედოფლის მოკვლას, როგორც ქვეყნის მავნე პირისას. შეთქმულება გამოძღვანდება; მგოსანს და ცირას სიკვდილით დასჯა მოელით. ქუთათე-

ლი გოჩას გამოუჩნდება მფარველად. მგოსანი თამამად აღიარებს, რომ იგი იყო შეთქმულთა მოთავე და მოურიდებლად გაჰკიცხავს მეფეს, რომ მან ვერ გაამართლა იმედი მტერთა მოგერების საქმეში და შეიქმნა მონად სამეფო ტახტზედ. თამარმაც გული მოიბრუნა გოჩასკენ და აღიარა, რომ ცილისწამებით გაუტეხა მას სახელი, დედოფლის პატივის შელახვა მოახვია მას კისერზედ. იგი გრძნობს ქვეყნის წინაშე დანაშაულს და თავს იწამლავს. გოჩა ახლა კი ხედავს მასში „სათაყვანო მშვენიერებას“. მომაკვდავი დედოფალი ინანიებს და მეუღლეს ორს სურვილს გამოუცხადებს: იხსნას ქვეყანა მტარვალთაგან

- 145 -

და გოჩას ნუ მოიშორებს. გოჩა, მგალობელი დიდის თამარისა, სამშობლოს ერთობის და ბედნიერების იდეის მატარებელია. ამის პირით ღაღადებს აღფრთოვანებული პატრიოტი, რომელსაც სიცოცხლეც კი გაწირული აქვს „საამქვეყნო ძღვნად“.

აკაკიმ გამოიყენა უძველესი თქმულება, ცნობილი საბერძნეთის ისტორიაში, ხუთ-მოქმედებიანს დრამაში „მედია“. კოლხიდის მამასახლისის ასული, დახმარებას გაუწევს იაზონს ოქროს მატყლოსანის ვერძის შეპყრობაში და გაჰყვება მას საბერძნეთში. პოეტმა ისარგებლა ამირანის შესახებ დარჩენილის ლეგენდებით და მედიას განახლებული სურათი დაგვიხატა და ხელოვნურად დააფერადა მოქმედება ძველებურთ ჩვეულებათა დახმარებით.

ისტორიულის დრამების გარდა აკაკიმ დასწერა რამდენიმე პიესაც თანამედროვე ცხოვრებიდან. გადმოაკეთა მირზაფატალ-ახუნდოვის სამ-მოქმედებიანი კომედია „ხანის ვეზირი“ და მოლიერის „სკაბენის, ცულლუტობა“; დასწერა ვოდევილი „ბუტიაობა“, ოთხ-მოქმედებიანი დრამა „ახალი გმირი“, რომელშიც გამომძიებელი ხოსრო გირკანდელი მოატყუებს ღარიბს ქალს ქეთო ჩიტაძეს და, შემდეგ შეირთავს მდიდარს მარო რაზმაძეს; ხუთ-მოქმედებიანი კომედია „გაიმკერები“, სადაც გაკიცხულნი არიან გაზეთის რედაქტორი, გამომძიებელი და ბოქაული. „სცენები საპატიმროში“ ახასიათებენ ციხეში შეპყრობილის ქართლელის, ოსის, მეგრელის, გურულის, რაჭველის და სომხის თვისებას და წარმოადგენენ მდიდარს ეთნოგრაფიულს მასალას ეროვნულის ფსიხოლოგიის შესასწავლად. „ადვოკატის დილა“ შეეხება კანონის და ხალხის შეხედულების მორიგებლობას, რა არის სამართლიანი და რა უსამართლო*).

ისტორიულის სიუჟეტით აკაკიმ ბევრჯელ ისარგებლა აგ-

*) ახალის დროის მიმდინარეობა დაასურათა ოთხ-მოქმედებიანს დრა-

მაში „რეაქცია“, რომელიც დაიბეჭდა 1910 წ.

– 146 –

რეთვე პოემების, მოთხრობების და ლექსების შექმნაშიაც. ამ ნიადაგზე წარმოიშობნენ პოემა „ბაგრატ დიდი“, „სოლომონ მეფე“, „თორნიკე ერისთავი“, მოთხრობა „ბაში-აჩუკი“ და ლექსი „ვახტანგ გორგასლანი“. ეს უკანასკნელი გვამცნევს საქართველოს ეკლესიის განთავისუფლებას ბერძენთა დამოკიდებულებისაგან. „ბაგრატ დიდი“ შეეხება თემურლენგთან ქართველთა მამაცურს გამკლავებას. „ბაში-აჩუკი“ ისტორიული მოთხრობაა მეჩვიდმეტე საუკუნისა. ქართლ-კახეთი განიცდის დიდს უბედურობას. ქრისტიანობა დაეცა, ქართულს ენაზედ ლაპარაკი სამარცხვინოდ მიაჩნდათ, მეფენი მაჰმადის რჯულს მისდევდნენ და შეიქმნენ სპარსეთის ქვეშევრდომნი. ამ დროს ახმეტის ბატონი ბიძინა ჩოლოყაშვილი, რომელმაც მტკიცედ დაიცვა მამა-პაპური სარწმუნოება და ჩვეულება, ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავების დახმარებით მოლაპარაკებას გამართავს არაგვის ერისთავს ზაალთან სპარსელების საქართველოდან გასადევნელად. მასთან შიკრიკად გზავნიან ბაქრადეს, საწერეთლოდან გადმოსულს, რომლის მეტი სახელია ბაში-აჩუკ, რადგან ქუდის მაგივრად ატარებდა ფაფანაკს *). ზაალ ერისთავს, სიძეს ბიძინა ჩოლოყაშვილისას, გარდა ამ მოწვევისა ქვეყნის ამოხრებლების წინააღმდეგ, მღვდელმა კირილემაც უამბო საკვირველი სიზმარი, როგორ გაათავისუფლა სამმა მხედარმა ალავერდის ტაძარი გველაშაპისაგან. შეერთდნენ მართლაც დიდებულნი თავადნი ჩოლოყაშვილი, ქსნის და არაგვის ერისთავები და იხსნეს კახეთი მაჰმადიანებისაგან, მაგრამ თვით ამ გამარჯვების მოთავენი და გმირები დაიღუპნენ სპარსეთში. ბაში-აჩუკი, გამოჩენილი ცხენოსანი და მობურთავე, გადასახლდება იმერეთში თავის დით პირიმზისით, რომელიც იპოვა შუამთის მონასტერში. პირიმზისას მიათხოვებს აბდუშაჰილს, გამაჰმადიანებულს ქართველს, რომელიც კვლავ

*) ბ ა შ ი - ა ჩ უ კ ოსმალურად ნიშნავს თ ა ვ - შ ი შ ვ ე ლ ა ს და აგრეთვე ი მ ე რ ე ლ ს.

- 147 -

დაუბრუნდა საქართველოს ეკლესიას და შეიქნა აბდუშელიშვილების წინაპარი. მოთხრობაში ჩართულია ეპიზოდური სცენებიც. აი ერთი მათგანი. ერთხელ აბდუშაჰილი შეხვდება ტყეში ერთს თვალ-წარმტაცს ლამაზს ქალს, რომელიც შეუყვარდება. შემდეგში ის ნახავს ამ ქალს მოკლულს და დამარხავს. ბევრჯელ უტირნია მის საფლავზე აბდუშაჰილს და ოცნებას გა-

უტაცნია შორეულის მოგონების სამეფოში. ერთხელ, როცა ამ გრძნობით იყო მოცული, მას თვალ-წინ წარმოუდგა სატრფო: იგი არ იყო აჩრდილი, იმ სოფლით გამოცხადებული. აღმოჩნდა, რომ მოკლული ყოფილა არა მის სატრფო პირი-მზისა, არამედ მისი და პირ-მთვარისა, ყველაფრით მისი მსგავსი. მოთხრობა ასურათებს საქართველოს გაჭირვებულს მდგომარეობას მე-XVII საუკუნეში და ისტორიული ქარგა უნაკლულად დაცულია. მოთხრობაში ორი თვისება იქცევს მკითხველის ყურადღებას: იდეალიზაცია ქართველის გმირებისა და დიდაქტიური მიზანი, რომელიც სამხატვრო ღირსებას არაფრით ავნებს.

დამრიგებელი და მოძღვრებითი ხასიათი აქვს აგრეთვე პოემებს „თორნიკე ერისთავს“, „აღმზრდელს“, „კიკოლას ნაამბობს“, არაკებს „ალექსის“ და „კუდაბზიკეთს“.

პოემა „თორნიკე ერისთავი“ ოთხს კარად არის დაწერილი და ასურათებს მრავალ-მნიშვნელოვანს ხანას საქართველოს ისტორიაში. იგი შეეხება ათონზე ქართველთა სავანის დაარსებას დავით კუროპალატის დროს. თორნიკე ერისთავი, მეფის სპასალარი, გადასცემს თავის ხმალს ორბელიძეს და თვით ბერად წავა მთაწმინდაზე (ათონზედ), სადაც წმ. ათანასეს მონასტერში უკვე მოღვაწეობდა მისი ნათესავი იოანე ვარაზეაჩე. ამ დროს სკლიაროსი, „მთავარი ბარდაველი“, აუჯანყდა ბიზანტიის იმპერატორს ბასილს და იძულებულ ჰყო უკანასკნელი მიემართნა დავით კუროპალატისთვის დახმარების სათხოვნელად. ათონის მამების ამორჩევით იმპერატორის წერილი საქართველოს მეფესთან წამოიღო თორნიკე ერისთავმა. აქ იგი აკურთხა კა-

- 148 -

თოლიკოსმა არსენმა და მეფემ 12000 ქართველის მეომრით გამოისტუმრა აჯანყებულთა წინააღმდეგ. სკლიაროსთან ომში დაიღუპა ორბელიძე, მაგრამ გაჭირების წამს გაჩნდა თორნიკე და გამარჯვება ქართველებს დარჩათ. მთავარ-სარდალი თორნიკე ერისთავი უხვად დაჯილდოებულ იქმნა იმპერატორისაგან. ბოძებული განძი მან მოახმარა ათონზე ივერიის მონასტრის აშენებას, თანახმად რჩევისა ბერის გაბრიელისა, რომელიც ღირს იქმნა მიელო სასწაულთ-მომქმედი ღვთის-მშობლის ხატი „კარისა“. ამ სიუჟეტით ისარგებლა აკაკიმ პოემის შესაქმნელად. ბრძოლის ველი, ბუნების სურათები, სულის მოძრაობის ანალიზი შეერთდნენ ამ ნაწარმოებში შთაბეჭდილების გასაძლიერებლად. აი ერთი სამაგალითო ნაწყვეტი:

ვითა ეთერი, მზეთ-უნახავი,
საყვარლის მლოდე, თრთის და ელვარებს,
სახეს ვარდის ფრათ იღებავს გრძნობით
და იელვარებს სურვილით თვალებს,

ისე განთიადს ცისკრის ვარსკვლავი
ლაჟვარდ ცაზედა კაშკაშით თრთოდა
და ფერ-მიხდილათ ნათელ-ძლიერი
მზისა ამოსვლას ეშხით შეტრფოდა.

მეორე სურათი, მსგავსად ილ. ჭავჭავაძის „განდეგილი-
სა“, მიძღვნილია ათონის მონასტრის აგებულებისადმი.

ღრუბელზე მაღლა, ორბის საბუდარს,
არჩევბ-ჯიხვების მაღალ სამთავროს,
წმინდა მამებსა გამოუქვავავსთ
კლდეში სახლები ოდესშე, ერთს დროს.
აღარა სჩანან დღეს ის მამები,
აწ აიაზმას ვერ გვასხურებენ,
და მაღლობიდან ის სადგურებიც
ჩვენს შავ-ბედს შავათ გადმოჰყურებენ.

„კიკოლას ნაამბობი“ შეეხება ალა-მაჰმად-ხანის დროს.
იმგვარსავე მწარე დროს, როგორიც იყო ხანა, აღწერილი მო-

– 149 –

თხრობაში „ბაში-აჩუკი“. ირაკლი მეფეს ზურაბ წერეთლის წი-
ნამძღოლობით იმერეთის მეფე სოლომონ II უგზავნის 1200
კაცს სპარსელების წინააღმდეგ. ჯარი უკან დაბრუნდა გაჭი-
რების წამს და მხოლოდ ორასმა კაცმა და მათ რიცხვში კი-
კოლამ მისცა მხარი ქართლელებს. კიკოლა ომში დაიჭრა და
მხოლოდ თურმანიძის გათქმულმა ექიმობამ ფეხზე დააყენა.
თურმანიძე სამშობლოდან გამოექცა ზურაბ წერეთლის რის-
ხვას, რადგან მათ გვარში დარჩენილი საექიმო ცოდნა არ
გასცა. მორჩენილი კიკოლა დაბრუნდა იმერეთს, მაგრამ წე-
რეთლის შიშით გაიქცა ახალციხეს. ეს რომ გაიგო ზურაბ წე-
რეთელმა, სიკვდილით დასაჯა მისი მამა. ამიტომ კიკოლამ
განიზრახა წერეთლის მოკვლა, მიეპარა მის სახლს ნადიმობის
დროს, ესროლა თოფი, მაგრამ მტერს ააცდინა და მერიქიფეს
მოახვედრა. კიკოლა გათოკეს და აწამეს, მაგრამ მაინც მოა-
ხერხა გაქცევა და უსახლ-კაროდ დარჩენილი დაძრწის აქა-იქა.
თვით სოლომონ მეფესაც ეწვია შავი ბედი: იგი გაიქცა ოსმა-
ლეთში და მხოლოდ ზურაბ წერეთელი გაბედნიერდა რუსის
გენერლის ღირსებით.

„ალექსი“ არის ყმაწვილებისთვის დაწერილი ზღაპარი.
„ცხრა მთას გადაღმა იდგა პატარა, ლამაზი გორა, რომელიც
მუდამ თვის სიმაღლიდამ რაღაც მოლხენით დამზერდა ჭალას“.
აქ გაჩნდნენ ჩიტები, რომელთაც სამკვიდროდ აირჩიეს თითო
ხე და მორთეს სტვენა „მარად და მარად“. ეს ტურფა მხარე
ეკუთნოდა ერთს მშვიდობიანს ცხვარს. უზრუნველად დანავარ-
დობდა მთად და ბარად კმაყოფილი ცხვარი, ვიდრე გაიგებდა,
რომ სხვა მხეცები უპირობენ დამონებას. მაშინ ცხვარმა სამ-

ფლობელი გალავნით შეკვრა და მტერი კუდ-ამოძუებული და-
ბრუნდა უკან. ცხვარს ეყოლა ამ დროს კრავები, რომლებიც
„სილამაზითა და სინაზითა ერთმანერთს სჯობდენ“. ცხვარს
მოსწყინდა თავის არემარე და საძოვრად გავიდა გალავანს
გარედ. კრავებს დაუბარა კარი დაეკეტათ და მხოლოდ მის
სამჯერ „ბეს“ და „ბეკეკეს“ თქმაზე გაეღოთ. მოტყუებით

- 150 -

მგელმა მოინდომა შესვლა, მაგრამ კრავებმა გაუგეს ტყუილი
და გადევნეს. მხოლოდ გამოუცდელივით გააგებინეს, რა ნი-
შნით უღებდნენ დედას კარს. მგელმაც ისარგებლა ამით და
მეორედ „ბე-ბეკეკე“ სამჯერ შესძახა. კარი გაუღეს და მშიერ-
მა მხეცმა გადაყლაპა „ნიკორაები“. დაბრუნებულმა სახლში
ცხვარმა დაიწყო ბლავილი და დაედევნა მტერს. დროზე მოა-
სწრო გამაძლარს მგელს, ამოჰკრა ფაშვში რქები და გადმოა-
ყრევინა ჯერ ისევ ცოცხალი შვილები. მგელი მოიგერა, მა-
გრამ მელამ კი დაღუპა. ამან შეაპარა ცხვრის სამფლობელო-
ში მურა, ჯერ სტუმრად მოიკატუნა თავი და შემდეგ კი მუ-
რას დახმარებით გაბატონდა და ცხვარი ყმად გაიხადა.

თანამედროვე ცხოვრების ბეჭედი აზის დიდაქტიურს პო-
ემას „გამზრდელს“ (ნამდვილს ამბავს). აბხაზს ცოლად ჰყავს
მშვენიერი მეგრელის ქალი ნაზიბოლი. ყაზარდოელი საფარ
ეწვევა თავის ძმობილს ძიძის შვილს აბხაზს და სთხოვს დახმა-
რება გაუწიოს ლამაზის ზიანხანუმის შერთვაში, რისთვისაც სა-
ჭიროა ინალიფას ცხენის მოპარვა. აბხაზი თითონ წავა ცხენის
მოსაპარავად და სტუმარს სახლში დასტოვებს. მასპინძლის და-
ბრუნებამდე სტუმარი მასპინძლის ცოლის პატივს შელახავს.
დაბრუნებულმა აფხაზმა შეიტყო ძმობილის სამარცხვინო საქ-
ციელი, მაგრამ ხელი არ ახლო, დაავალა მხოლოდ ეამზნა
ყოველივე თავის აღმზრდელის ჰაჯი-უსუბისთვის. საფარმა ას-
რულა ეს დავალება და უამბო ყველაფერი თავის აღმზრდელს.
ამან შეაყენა ფეხზე დამბაჩა. საფარს ეგონა აღმზრდელს იმის-
თვის უნდოდა ესროლნა და მკერდი მორჩილებით მიუშვირა.
მაგრამ ჰაჯი-უსუბ ეუბნება: „შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცათ ვერ გამიზრდი-
ხარ!“ წარმოსთქვა ეს აღმზრდელმა და დაიცა ტყვია საფეთ-
ქელში.

მოთხრობა „პატარა ტარიელი“ ეკუთნის აგრეთვე დი-
დაქტიურთ ნაწარმოებთა რიცხვს. გმირი მოთხრობისა დიტო
ცალქალამანიძე, „ვეფხის-ტყაოსნით“ გატაცებული, ეტრფის

- 151 -

ერისთავის ქალს. ამათმა დაახლოებამ ჩქარა გამოიღო თავის ნაყოფი: ორნივე დაქვეითდნენ სწავლაში. კნიაჟნას აუკრძალეს დიტოსთან მეგობრობა, ხოლო თვით გულდამწვარი გმირი ნუგეშს ჰპოებს მასწავლებლის იმ დარიგებაში, რომ ტარიელს ადამიანი ახლა უნდა ემსგავსოს არა ფიზიკურის ღონით, არამედ ფართო განათლებით. დიტო ბეჯითად შეუდგა მეცადინეობას, ოქროს მედლით გაათავა გიმნაზია, შემდეგ უნივერსიტეტი და დაუბრუნდა თავის სიყმაწვილის დროს არჩეულს სატრფოს, რომელმაც აგრეთვე გამოჩინებით დაამთავრა სწავლა და შეიგნო ისტორიის შესწავლით მოვალეობა ქართველის ქალისა.

ქალის იდეალად პოეტმა დასახა გარდა რუსთაველის ნესტან-დარეჯანისა სამი ისტორიული პირი: ნინო, ქეთევან და თამარი, რომელთაც უძღვნა ლექსი პოემაში „თორნიკე ერისთავი“. იქ, სხვათა შორის, ამბობს: „ენახა: ქვეყნად ჩამოსულიყო ნინო, ქეთევან და თვით თამარი. თამარს თავს ედგა ძლევის გვირგვინი და ქეთევანსა – წმიდა მოწმობის. ნინოს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა – ნიშანი დიდი ქრისტიანობის“. შეერთებით, შეწყობით იგინი გალობდნენ:

მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო,
და გადმოსახე ძლიერათ ჯვარი,
რომ აღადგინო ქართველი ერი,
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!..
და შენ საქებრათ, სადიდებელათ
ნუ დააგიწყებ იმ ტკბილ ენასა,
რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა,
ქეთევან მარად შენ გადიდებდა
და ნინო ძისა შენისა მცნებას
შენგან რჩეულ ერს უქადაგებდა!

აკაკი საქართველოს არა ერთხელ წარმოგვიდგენს ქალის ხატებით და გვიმტკიცებს რწმენას, რომ სამშობლოს და დედის აწინდელი მდგომარეობა გარდამავალია. იგი „არ მომკვ-

დარა მხოლოდ სძინავს“. დედათა კითხვას უძღვნა მოთხრობა „სამგვარი სიყვარული“ და მრავალი სალირიკო ლექსი. ჭეშმარიტი სიყვარული სწამს მგოსანს მხოლოდ დავაჟკაცებულს ასაკში, რაც შეეხება ამ გრძნობას ორს მოწინავე ხანაში, იგი სიმტკიცეს მოკლებულია და მხოლოდ ვნებათა ღელვას აკმაყოფილებს.

აკაკიმ სალირიკო პოეზიას უფრო თვალსაჩინო კვალი დააჩნია. მის ელეგიებში და სატირებში გამოთქმული გრძნობა იმდენად ძლიერი და ბუნებრივია, რომ აკაკი ეროვნულს ფარგალში ვეღარ ეტევა და თამამად შეუძლიან გვერდით ამოუ-

დგეს მსოფლიო მწერლებს. მისი სატირა ქართველის ერის გულის ნადები და სულის კვეთებაა, მის ელეგია არკვევს ფსიხოლოგიურის დაკვირვებით საკაცობრიო საკითხს და მსოფლიო საგანს. ღრმა თვალსაზრისი და ნაზი გრძნობიერობა სწორ-უპოვრობით გამოითქვა ლექსებში: „ჩემო თავო, ბედი არ გიწერია“, „სანამ გიყავ ახალგაზდა“, „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა“, „ახ, მეზურნევ, დაჰკა, დაჰკა“, „რომ იცოდე ჩემი გულის დარდები“. ქართველმა მწერალმა მიაღწია ამ პატარა სალირიკო პიესებში პოეზიის მწვერვალამდე. ჰეინეს ლექსებს იგი გვაგონებს როგორც გარეგანის მუსიკალურის ჰარმონიით, აგრეთვე შინაარსით და ფსიხოლოგიურის ანალიზით. მახვილმა ენამ და ნაღვლიანმა გულმა მეორე ფორმაც შეითვისეს ფიქრის, გრძნობის და მისწრაფების გამოსახატავად. ეს ფორმა – სატირა, რომელიც იმგვარადვე განავითარა გულის ნადების გამოსათქმელად, როგორც ელეგია. „ფარისეველი“, „არაბი-ფაშა“, „ახალი სამართალი“, „პატრიოტი“, „იუდა“, „ვაჭარს“, „ბოდვა“, „ხარაბუზა და ფუტკარი“, „გამდიდრებულხარ, ბატონო“ და სხვ. აი, მაგალითად, როგორ არის გაკიცხული: „პარტიობა“ თავად-აზნაურობაში: „დამდეგ მაისს დაიწყება შინაური ომი: დას-დასებად გამოდიან მარშლობისა მდომი, ზოგს შაშხები აიძელებს, ზოგს ზუთხი და ომი“. ცრუ პატრიოტს ახადა პირბადე და

– 153 –

სამარცხვინო ბომზე მიაკრა ის, ვისაც პატრიოტობა ესმის მრავალჟამიერის სიმღერად. პოეტმა დაჰგმო დედა-ენის დავიწყება, გადაგვარება, ფუქსავატი სიამაყე, ორპირობა და გაუტანლობა. სატირულის შინაარსისაა აგრეთვე მისი „სიცოცხლე და სიკვდილი“, „მოგზაურობა კახეთში“, ორიგინალური და ნათარგმნი იგავ-არაკნი: „მამალი და ძაღლი“, „ვირი და მგელი“, „მთიული“, „კატა“, „დათვი და მელა“, „კაცი და დათვი“, საყმაწვილო არაკი „დედოფალას ღამის თევა“ და სხვ. საყმაწვილო წიგნში „გადია“ მოაქცია რამდენიმე არაკი და ამბავი: „კურდღელი“, „ნაცარქექია“, „ბრიყვი და ჭკვიანი“, „მოსწავლე და მასწავლებელი“. აკაკიმ სახალხო პოეზიას და თქმულებასაც მიაქცია ყურადღება და მხატვრულს ლექსებად გადააკეთა: „წმ. გიორგი და წმ. ილია“, „ვარდი და ეკალი“. აკაკის ეკუთნის აგრეთვე მრავალი საპუბლიცისტო წერილი, სადაც უფრო ხშირად ჰკიცხავს ბანკების წყალობით წარმოშობილს განხეთქილებას. თუ ახლა გავითვალისწინებთ მის მრავალ-მნიშვნელოვანს მოღვაწეობას, შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მის ნაწერებში პესიმისტური ელფერი სჭარბობს. „ცრემლში ნალესი ნაღველი და ნაღვლიანი მწუხარება“ უფ-

რო ხშირად გაისმის მის პოეზიაში. იგი ხშირად ემდურის თავის ხვედრს, უბედო თავს, მოსთქვამს მწარედ გულის მოდუნებას და ოცნების გაქარწყლებას. გაუქრება რა ნაზმანები, „საამური ჩვენება“, თვალწინ გადემლება „ბირშავი“ სამშობლოს სურათი. აქ, ამ სოფლად იგი შეუწყნარებელი და შეურიგებელია: დაიარება მარტოკა, „ობლად“, დევნილი ყველასაგან „საქმით და სიტყვით“. პოეტის გულში ჩასახული „იდეალური ვერსად მოინახა“. წინააღმდეგ, მისმა აეკლით ნაჩხვლეტმა არსებამ“ განიცადა ბევრი ტანჯვა, ვაება: მეგობარმა უღალატა, სატრფომ სხვაზე გასცვალა, გიჟი ოცნება გაუქრა, ცხოვრებამ ტკბილის წყაროს მაგივრად მწარე სამსალა შეასვა და სარბიელი ია-ვარდის ნაცვლად ჭინჭრით მოუფინა. მოწამებრივმა სვემ და იმედის გაქარვებამ პოეტი სასოწარკვეთი-

– 154 –

ლებამდე მიიყვანა და გულამოსკვნილს ათქმევინა, წარსული აღარ მარგებს, მომავალი მენანებაო. ქვეყნიურის ამაოების შეგნებამ გაუღვიძა სიკვდილისადმი მისწრაფება:

და ღმერთს ვვედრებ: ღმერთო, მომეცი ნება,
რომ მეღირსოს საფლავში დაძინება!

სჯობს, სელ განქრეს კაცი, რადგან მტვერია.

„ამაოებათა ამაოება“, ამბობს ებრაელთა მეფე-მწერალი ბრძენი სოლომონი; იტალიელი პესიმისტი ლეონარდი ამასვე განიხორებს და იტყვის: „მე შევნატრი მიცვალებულთ და მხოლოდ მათთან მსურს ხვედრის გაცვლაო“. ამათ ზანს აძლევს ჩვენი ღირსეული მგოსანი, რომელიც ამბობს: „სიცოცხლე არის მონება და სიკვდილი განსვენებაო“. ამგვარად, დიდებული ქართველთა პოეტი წარმომადგენელია იმ სალიტერატურო მიმართულებისა, რომელსაც ეწოდება „მსოფლიო მწუხარების“ პოეზია. აკაკი მგოსანია საქართველოსი, მაგრამ ამასთანავე საკაცობრიო და მსოფლიო მწერლობაშიაც დაიჭირა საპატიო ადგილი თავის გრძნობიერის სალირიკო ნაწარმოებით.

აკაკიმ შექმნა მთელი სკოლა ახალგაზდა პოეტთა, რომელნიც ჰბაძავენ თავის მასწავლებელს. გარეგანი ენის და ლექსის სიმშვენიერე და ნათელი, სრული სურათი გახდა მათთვის მიუღწეველს მაგალითად.

მამია გურიელი

(1836-1891)

მამია გურიელი დაიბადა 16 იანვარს 1836 წ. სოფ. ლესაში. მამიას მამა, დავით (დათა) ვახტანგის ძე, მოხვედებოდა გურიის მთავარს გიორგი V-ს შვილისშვილად და უკანასკნელს გურიის მთავარს მამია სიმონის ძეს ბიძა-შვილად. დედა პოეტისა, ეკატერინე, დადიანის ასული იყო და ტკბილის ხასიათით ჰხიზლავდა სუყველას. ამათ სახლში განუწყვეტლივ თავმოყრილი იყო გურიის თავად-აზნაურობა. ყოველდღე ორს ძროხას სჭამდნენ და ლხინობდნენ, ზმებით, შაირებით, სახარების

– 155 –

და რუსთველის ნაანდერძევის სიტყვებით დავობდნენ და ლაზღანდარობდნენ. მამია პატარაობიდანვე ისეთს პირობებში იზრდებოდა, რომ მის არსებაში უნდა განვითარებულიყო მემკვიდრეობითი ამპარტავნება და ბატონ-ყმური მიდრეკილება. მას ჰქონდა საკუთარი დარბაზი და ჰყავდა ჟინიანობის-სურვილის აღსასრულებლად თავისი ამაღლა: „ასობით ვაჟნი თავზე მდგომელნი, მზად აღჭურვილნი მლოდნი, მოსავნი მის თვალთა ქნევას“. ერთი აზნაური პირს ჰბანდა, მეორე ტანისამოსს აცმევდა, მესამე სუფრას უშლიდა, მეოთხე მერიქიფედ თავს ადგა. შემდეგ გაერეოდა დედ-მამის „დარბაზის ერში“, დაიწყებოდა ბურთაობა, ჯირითი, ან ნადირობა ქორ-მეძებრებით. მამიას გამდლად მიუჩინეს კახელი ქალი ჯანვერდი (ბების ნამზითვი), რომლის ნაამზობი ზღაპრები მოქმედებდნენ პოეტად დაბადებულს გურიელზე. როცა მამია შეიქნა 6-7 წლისა, სწავლა დააწყებინეს კარის ეკლესიის მღვდლის გიგინეიშვილის ხელმძღვანელობით. 15 წლამდის მამია სკოლაში არავინ მიაბარა, შემდეგ კი, შეისწავლა რა რუსული პოლკოვ. არსენიევთან, შევიდა ქუთაისის გიმნაზიაში და მიაღწია მხოლოდ მესამე კლასამდე. 1853 წ. მამია ჩამოვიდა ტფილისში და ჩაირიცხა სამხედრო სამსახურში, რომელმაც მთლად დაუმორჩილა პოეტი თავის გავლენას. ტფილისში დიდხანს არ დარჩენილა, რადგან სამსახურის გამო ბრძოლის ველზე გაეშურა და აქ პირველად დასწერა ლექსები „ფარვანა“, „ჯაბას“, „სატრფოსადმი“. „ფარვანა“ დაიბეჭდა „ცისკარში“ (1860 წ.) და მას შემდეგ 1889 წლამდის სალიტერატურო მოღვაწეობა არ შეუწყვეტია. სამსახურში ოხრავდა და ხშირად მიდიოდა გურიაში დროს გასატარებლად. დაიარებოდა ტფილისშიაც, სადაც თავის სილამაზის და ჩამომავლობის წყალობით შეიქმნა წევრად არისტოკრატიული სალონებისა. აქ შეირთო გათქმული სილამაზით თავადის მელიქიშვილის ქალი, მაგრამ ბედნიერება ოჯახში ვერ ჰპოვა: ორის წლის შემდეგ ცოლ-ქმარნი დაშორდნენ ერთმანეთს, საყვარელმა შვილმა, კახაბერმა, თავი მოიკლა და მამია, სამსახურიდან გამოსული, აღშფოთებულის სულის დასაყუჩებლად შეეჩვია გარდამეტებულს ღვინის სმას. სასოწარკვეთილებამ თავის დახრჩობის სურვილიც კი აღუძრა და თუმცა გადაარჩინეს ამ უბედურებას, მაინც ვერ იხსნეს სენისაგან და ღარიბ-უპატრონოდ გადაიკვალა ქუთაისში დიდის გვაროვნობის ჩამომავალი ნაყმევის დედაკაცის უიატაკო სახლში 25 მაისს 1891 წ.

მამია გურიელის პოეზია გამოთქმავს მის გრძნობების და ცხოვრების გარემოებისა, მეტადრე როცა დარჩა დაობლებული, ცოლ-შვილის მოკლებული, უსახსროდ და უმეგობროდ. მისი ლექსები, სხვათა შორის, ბაირონის და ლერმონტოვის ზედმოქმედებითაც, დრტვინვის ხასიათს იღე-

ბენ. უმეტესი ნაწილი მის ნაწერებისა მიძღვნილია ნაცნობ-ნათესავთათვის, დანარჩენი ეხებიან სხვა და სხვა საგანს. ორს თემას უფრო ხშირად იმეორებს: პატრიოტულს და რომანტიულს. საგანი მის წვრილ-წვრილის ლექსებისა არის ქალი, მოტივი – სევდა. პოეტი განარჩევს ქალში სულიერს და ფიზიკურს მხარეს. გონებრივ და ზნეობრივ ქალის არსებას იგი დაბლა აყენებს. პოეტის თქმით ქალი სარგებლობს „ღვთაებრივის ძვირფასის ნიჭით“, არხეინად დაფრინავს და სურვილების ამყოლია. თუმცა „ბაბილინა გურიელის ქალს“, „ივლიტე ნაკამიდის ქალს“ და „დესპინე გურიელის ქალს“ უძღვნა აღტაცებული ლექსები, უწოდა მათ „ხმელთა სინათლე“, „ივერიის მნათობი“ და „დილის მზე“, მაინც მას არა სწამს „კეკლუცის ქალების“ სიმტკიცე და მიაჩნია იგინი სიმდიდრის მონებად. კალამს არა ერთხელ იღებს ქალის შესაქებად, მის მშვენიერებით და გამბედაობით აღმაფრენილი (ლექსი „ს...ს“), და ათქმევინებს ლირიკულის სიმარტივით და ჭემმარტებით შემდეგს სიტყვებს:

მეფე რომ ვიყო, ვუფლობდე
სრულიად ცისა ქვეშეთსა,
უსაზღვრო ნებით ვსუფევდე,
გიბატონებდი შენ ერთსა.

ღმერთი რომ ვიყო, ერთს წამზედ
სრულ ვყოფდი ყოველს შენს ნებას,
შენ გაუფლებდი ზეცაზედ
და თვით გიწყებდი ვედრებას.

უმთავრესი კილო მამიას ლექსებისა სევდაა, რომელსაც პირადი ნიადაგი უფრო აქვს, ვიდრე საზოგადოებრივი. ჩამომავალი „გურიის, ჩაქვ-აჭარის მთავრისა“ ვერ გახდა მთავრად, ბედის ჩარხმა სიმწარე შეასვა, ამაყი გული მოუკლა. ამ გარემოებამ მამიას პოეზია აღბეჭდა ბაირონულ-რომანტიულის დალით. თუმცა იგი უკმაყოფილოა არა ბაირონის ნაწერების გავლენით, არამედ კერძოდ თავის ცხოვრების მიმდინარეობით. მისი ოცნება მიჰფრინავდა წარსულის ფეოდალურის დიდების მოსაგონებლად და საერთოდ საქართველოს უმწეო პოლიტიკურის მდგომარეობის დასახატავად, ამ ნიადაგზედ წარმოიშვა მისი პატრიოტული ლექსები: „ჩემი ალავერდი“, „ქობულეთური ყანის სიმღერა“, „კარჩხალის მთები“, „რაშიდ ვარდანოღლი“. ამათგან ერთნი გვისურათებენ მამულის ახლანდელს დაცემას, დაუძღვრებას შედარებით ძველს დროებასთან, როდესაც „უღლელი ივერთა მკლავი საბერძნეთისა ფარვიდა ტახტსა“, როცა ბრწყინავდნენ გიორგი და თამარი, სპარსეთის, ოსმალეთის და

მონგოლთა შემმუსრავნი („კარჩხალის მთები“). მამულის სიყვარულს აპყავს იგი ნამდვილს პოეტურს აღფრთოვანებამდე. „პოეტი და ჩვენება“ წრფელის გულის ამონაკვეთია. დატანჯულს და განმარტოებულს პოეტს გამოეცხადა ჩვენება, ანუგეშებს მას სამშობლოს აწინდელის დაცემის გამო და უნიშნავს მოღვაწეობის მიზანს: „შენ უნდა ხალხის ჭირი შემოი-

კრიზო, კისრადა იდო“. ამხნეებს, რომ კვლავაც შეუპოვრად ხმალი იხ-
მაროს ხალხის საკეთილდღეოდ. ჩვენება ჰპირდება, რომ გახდება მისი
ტკბილი მოყვარე, სულით გაამხნეებს და აღამაღლებს, თუ ივალეს
უგუნურებასთან ბრძოლას. პოეტი ფიცს აძლევს რიტორულის ფრაზე-
ბით, რითაც გვაგონებს ლერმონტოვის თვით მამიასაგან ნათარგმნის
„დემონის“ ფიცს:

ვფიცავ სამშობლოს ჩემსა დაცემულს,
ბედისგან დასჯილს, განაწამებსა,
ჩაბალახ-ახდილს, ჯაჭვებით შეკრულს
და წითლად ნადებს მისსა მიწებსა...
ვფიცავ მეფეთ დასს თავებ-დაკვეთილს,
დედოფლებს, ჩანგლით დაგლეჯილებსა...
ვფიცავ ქართველის სულს, ჯან-გაუწყვეტელს,
ძვირფასსა დროშას, ქრისტეს ჯვრით შემკულს...

დაბალის წოდების სიყვარულმა და მის გარემოების შეგნებამ დააწე-
რინა ლექსი „ქობულეთური ყანის სიმღერა“, რომლის შინაარსი გვაგონებს
აკაკის და რ. ერისთავის მსგავსს ლექსებს. დასაწყისი ელეგიურია: „გლებ-
სა ნადი ჰყავს ყანაში, მღერიან რაღაც ზანტათა, დარდებს, წყლულს
ტანჯვით უხვევენ, ოფლს აწვეთებენ წამლათა“. გამხმარს მიწას სცემს
ყოველ დღე თოხს, მაგრამ წაფერდებულს ქოხს ვერა უშველა რა. სი-
მინდს იძლევა მიწა, მაგრამ ვერ ასდიან „აღას, მუდირს და ვალს“, ვა-
ჭარი, ბოქაული, ბეგარაც უმწარებთ სიცოცხლეს. ჭმუნვას მაინც არ
ემონება საწყალი კაცი, – იგი ჰპოულობს დასამშვიდებელს რასმე. ქო-
ბულეთელი, ღარიბს სადილზედ ღვინოთი შეხურებული, სხვა ჰანგით მო-
სთქვამს: „ღვინოა ერთი მოყვარე გაჭირვებულის ხალხისო, გულს დარ-
დის გადამფანტველი, მომალხენელი საწყლისო“. თუმცა მაჰმადმა აკრძა-
ლა, მაინც დავლევთ ღვინოს, ლამაზს ქალს შევაქებთ და მამულს აყვა-
ვებას ვუსურვებთო: „ვინცა დაზოგოს სიცოცხლე მისის გამოხსნისთვი-
საო, დე, აქ იწოდეს სირცხვილით, იქ ცეცხლით აღმურისაო“.

თავის მოქალაქობრივი შეხედულება კაცის დანიშნულებაზედ აღნი-
შნა ლექსში „ადამიანი“, რომლის ღრმა აზრი უფრო განცხობველებუ-

– 158 –

ლი ხდებოდა, როცა მას კითხულობდა ეფექტიანის აღტაცებით თვით
ავტორი.

ვინც გინდა იყო ჩემი მკითხველი,
ქალი, კაცი, გინდ გასათხოვარი,
შენთან მაქვს ერთი შესახვეწნელი,
გთხოვ, აღმისრულო ეს სათხოვარი:
ცხოვრებაში რა შესვლასა იწყებ
და ბედიც კეთილ-გუნებიანი
თან დაგდევეს, იმ დროს ნუ დაივიწყებ,
რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი!
იყავი ტურფა, იყავ უებრო,
მდიდარი, ბრძენი, მხნე და ჭკვიანი,
მაგრამ ფიქრისგან არ განიშორო,

რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი!
 შემთხვევამ მოგცა ბევრი ქონება,
 ხელმწიფედ დაგსვა, გქმნა სრულ-სვიანი?
 მაშინაც გმართებს უფრო ხსოვნება,
 რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი!
 ეგებ, კეთილო, ბედს არ უყვარდი,
 მოგიკლა გული, გყო სევდიანი?
 ნუ დაეცემი, დასდეგ, გამაგრდი,
 გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი!
 დაე, იცვალოს გარემოება,
 თუნდ ხალხის ხმამაც მოგცეს ზიანი,
 თვით ნუ იცვლები! მოვა დროება,
 გიცნობენ, რომ ხარ ადამიანი.
 ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს
 და სიყვარული მოძმეთა ვალად,
 სამშობლო შენი მარად გახსოვდეს,
 თუ კი გსურს გახდე ადამიანად!

„რაშიდ ვარდან-ოღლი“, პოემა დასავლეთ საქართველოს მოთხრობი-
 ბიდამ, შესაძლოა, დაიწერა ილ. ჭავჭავაძის „განდეგილის“ ზედმოქმედე-

- 159 -

ბით. ამას ჰმოწმობს დასაწყისი პოემისა: „ერთს მწვერვალოზე კავკასის
 მთისა, სად გრგვინვა ისმის შავის ზღვის ხმისა, სადაც ტყე, ხევი, კლდე
 და მდინარე ერთად შეყრილან გასაშტერებლად... იქ იდგა კაცი“. თვით
 გმირის ტიპი გვაგონებს უკმაყოფილო ბაირონის ჩაილდ-ჰაროლდს, თუ-
 მცა მამიამ ვერ შესძლო დაეხატა ცოცხლად იმედ-დაკარგული და აღ-
 შფოთებული კაცი. იგი თავის „გამზადელის“ ზღვის პირას დგას დაღვრე-
 მილი და თავის ლოცვას ამბობს, როგორც პოეტმა უადგილოდ წარმო-
 სთქვა ფიცი „ჩვენებაში“ მისი ლოცვა და თხოვნა: „მაცნობე, როგორ
 არიან მცხოვრებნი ერნი ჩემი ქვეყნისა“, ან „რადასა იქმს მისი ნუგე-
 ში“ – უპასუხოდ რჩებიან. გამწარებული მოახტება ცხენს, ქუდს გატ-
 ყორცნის და ქოჩრის გლეჯით დაეშვება ძირს, შეცურდება ზღვაში და
 „სიმღერას იწყებს“. იგი გაჩნდება აფხაზეთში და ლამაზის ვისიას კომპში
 თავის აღსარებას წარმოსთქვამს. იგი თავის თავს დერვიშს უწოდებს და
 მხოლოდ ბოლოს აღიარებს, რომ რაშიდი არის. დერვიშს არ ეტყობა
 „ამ ქვეყნის მომდურავობა“ და მართლაც იგი დაწვრილებით უამბობს
 თავის თავგადასავალს მას შემდეგ, რაც იგი ოსმალეთში გადავარდა და
 შავმთიელებში „კარგა ხნობით“ დარჩა. მწუხარებით აღსავსე რაშიდი
 გრძნობს, რომ, თუმცა მამულის სიყვარულით აღზუნებული, იგი დაბ-
 რუნდა თავისიანებში, „სამშობლოს არას არგია“, რადგან მას „შარბა-
 თის ნაცვლად სისხლი სწყურია“, შემოახტება ცხენს და გაფრინდება. ეს
 გაჭიანურებული პოემა მეტად ღარიბია შინაარსით და პოეტურის სურა-
 თებით. ენაც ხშირად კოჭლობს და მუსიკალურს კეთილხმოვანებას არ-
 ღვევს ასეთი სიტყვები, როგორც: და და ლ და , ა გ რ ძ ო ბ ს , ც ხ ე ლ ი
 ნ დ ო მ ე ბ ი , ჩ ა მ ო ა ხ ე თ ქ ს და სხვ. თვით პოემის გმირები ვერ არიან

ცოცხლად დახატულნი. რაშიდი უკმაყოფილო ტიპად ვერ დაასურათა, რადგან ვერ აღნიშნა ვერც მიზეზი და ვერც საქციელი მის ქვეყანაზე გულამღვრვისა. ქალი, ვისია, უფრო მკრთალად წარმოგვიდგინა: იგი ხან ნაზად, თანაგრძნობით ჰმოქმედებს, ხან „წყეულს“ გრძნეულს არსებად ჰყავს დასახული, რაშიდის და ვისიას შორის სიყვარულის წარმოშობაც ვერ არის ფსიხოლოგიურად დასაბუთებული.

პატრიოტული ლირიკა, რომელსაც უძღვნა მომეტებული ნაწილი თავის ნაწერებისა, განმეორებაა გრ. ორბელიანის, ილ. ჭავჭავაძის და აკაკის მიერ შექმნილის მხატვრულის პოემებისა. პირადის უკმაყოფილების გამოთქმაში იგი ჰბაძავს ნ. ბარათაშვილს, ხშირად იმის სიტყვების შეცვლით: „ჰე, ცაო, ცაო“-ს მაგივრად ჩართული აქვს: „ჰე, ზღვაო, ზღვაო“. თავის ბეჭედი დაასვა აგრეთვე პუშკინის, ლერმონტოვის, ნადსონის და ბაირონის ნაწერებმაც, რომელთა ლექსებიც სთარგმნა ქართუ-

- 160 -

ლად: „კვლავ შენ წინ ვდგევარ“, „მახსოვს მე წამი გამოუთქმელი“, „ნუ მეუბნები, სიყმაწვილე მთლად დამღუპოდეს“, „ოჰ, თუმც ხანდახან სოფლის ტალღები“, „გრწამდესო, მეუბნებიან, მტანჯია იჭვნიულობა“ და სხვ.; სთარგმნა აგრეთვე ჰომეროსის „ილიადის“ ნაწყვეტი, კოლცოვის, სოლოგუბის და მურის ლექსები. საერთო მათი ნაკლულევანებაა – მძიმე ენა და რითმის ნაძალადევობა.

მ. გურიელის სახელი უკვდავი იქნება მხოლოდ ორის-სამის ლექსის წყალობით. „ადამიანი“, „ჩემი ალავერდი“, „კარჩხალის მთები“ ეკუთნიან ამ რიცხვს. „ჩემი ალავერდი“ პოეტის ნაფიქრ-ნაგრძნობის უტყუარი გამოთქმაა. აქ პატრიოტული ჰანგი მძლავრად ისმის და მხნეობით ავსებს დავარდნილს კაცს: „მეგობრებო, ჯერ ვუსურვოთ ჩვენს სამშობლოს დღეგრძელობა და თასებიც გამოვსცალოთ, ღვინოც კარგად შეგვერგება. ასე ვუთხრათ: საქართველოვ, აღსდებ, გახდი კვლავ თავხედი, არა რა არს უსაშველო, ყმაწვილებო, ალავერდი“. ფიცით შევიკვრით სამშობლოს ბრძანება ძირს არ დაუშვათ და შევასრულოთ:

კმარა, რაცა გვითმენია,
აწ კი ნულარ დავიყოვნებთ, –
სხვებისთვის თუ გვიბრძოლნია,
სამშობლოსთვის ვერ ვიომებთ?

თითონ მამია დიდის აზრისა იყო თავის ნიჭზე. ლექსში „ნაძლევი“ იგი ამბობს: „მეც ღმერთი ვარ ვიწრო წრეში – გონებისა ნათლის სვეტი“. უბედურად მოწყობილმა ცხოვრების გარემოებამ ვერ გაამართლებინა ეს მედიდური სიტყვები.

გიორგი ქოჩაკიძე

(1848--1898)

გიორგი ქოჩაკიძე უმცროსი თანამედროვეა იმ გამოჩენილთ მწე-

რალთა, რომელნიც სალიტერატურო სარბიელზე გამოვიდნენ მესამოცე წლებში. პირველი მისი ნაწერები ეკუთნიან სწორედ ამ ხანას. ქოჩაკიძე დაიბადა 28 აპრილს 1848 წ., განათლება მიიღო ქუთაისის გიმნაზიაში და პეტერბურგის საარტილერიო აკადემიაში; პოლკის უფროსობამდის მი-აღწია და გარდაიცვალა 3 აპრილს 1898 წ. მომეტებული ნაწილი თავის ცხოვრებისა სამშობლოს გარეშე გაატარა და სიყმაწვილის მოგონებით საზრდოობდა. 20 წლის ყმაწვილი იყო, როცა, პირველად დაიბეჭდა მისი ლექსები პერიოდულს გამოცემებში და მიიპყრო საერთო ყურადღე-

- 161 -

ბა. ვის არ გაუგონია იმისი გრძნობით სავსე „ფაცხა“ („მიყვარს ფაცხა მე მეგრული“), რომელიც სახალხო ლექსად გადაიქცა. სახელი მოუხვეჭა მას აგრეთვე ცნობილმა ლექსმა „მახსოვს პირველად სასწავლებელში“, სამშობლოს და სწავლის სიყვარულით ჩაგონებულმა. დრამატიულს მწერლობაშიაც სცადა თავისი კალამი („გურიის ცხოვრებიდან“) და აქაც დაკვირვების ნიჭი გამოიჩინა. იგი ცნობილი იყო ჭალადიდელის ფსევდონიმით.

იოსებ დავითაშვილი

(1850 – 1887)

მწერლობას ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ ახალი მოღვაწეები გაუჩნდნენ. აქამდის თავად-აზნაურობა, სამღვდელეობის ან მოქალაქეების ჩამომავალნი ემსახურებოდნენ სალიტერატურო და საზოგადო საქმეს. ახალმა რეფორმამ წამოაყენა მოღვაწენი დაბალის წოდებიდანაც. ერთი პირველთაგანი ამ რიცხვში იყო იოსებ დავითაშვილი, რუსიელი გლეხი. მამა-მისი სვიმონ ჯერ ფეიქარი იყო, მაგრამ გარდატენში გაქცევის შემდეგ მეწისქვილეობა დაიწყო. ამიტომ ჩვენი პოეტი ამბობს: „ერთი საწყალი გლეხი ვარ, მეწისქვილის ძეო“.

იოსები ადრე დაობლდა და უფროსს ძმას გაჰყვა ტფილისში მსახურად; იქიდან ჩქარა გამოიპარა გორში და დურგალთან დადგა. ამ ბევრნაირს წვალებას მოემატა ბატონის შევიწროებაც: თავადმა ალექსანდრე ციციშვილმა სოფ. დოესში წაიყვანა. ძმამ გამოისყიდა იოსები და მიაბარა ჩუქურთმის მჭრელს მის ხელობის შესასწავლად. 1872 წ. მეჩუქურთმის ხელობა დაამთავრა, თუმცა ატესტატი ვერ მიიღო, რადგან უსტაბაში ფულით ხელმოკლეობის გამო ვერ დააკმაყოფილა. ეს გარემოება ძალიან აბრკოლებდა სამუშაოს შოვნაში, ლუკმა პურის საშოვნელად იგი დგება გაზ. „ივერიის“ დამტარებლად, შემდეგ ქართულის სცენის მომუშავედ. მოკლე ხნით დაბინავდა გორის საზოგადო დეპოში. ბოლოს გადასახლდება თელავში, სადაც დააარსა ხელოსანთა ამხანაგობა. კახელთმი იგი მარტოდ გრძნობს თავის თავს, მეგობარი და გულ-შემატკივარი არ მოეძებნება. გაჭირებულის ცხოვრებისაგან დასუსტებულმა მისმა აგებულებამ ვერ გადაიტანა გაცივება და ხუთის დღის ავადმყოფობის შემ-

დღე ნესტიანს ოთახში გარდაიცვალა 18 მარტს 1887 წ.

წერა-კითხვა იოსებს ასწავლა „ქვაბის მურით და ხარის ბეჭზე“
დამ კეკელამ, რომელსაც ავტობიოგრაფიულს ლექსში უწოდებს მელა-

- 162 -

ნიად. მას შემდეგ იგი წიგნს არ შორდება, თ. ციციშვილის სახლშიაც. წაუკითხავი არ გადურჩა არც ერთი ქართული წიგნი. რუსული ენა თავის თავად იმდენად შეითვისა ჩუქურთმის ოსტატთან, რომ ქართულად სთარგნა კრილოვის იგავ-არაკი „მამალი და მარგალიტი“, ბორნისის „პატარა ბარტყებს“. ყმაწვილობაშივე გატაცებულია საქართველოს ისტორიით, რომლის შესწავლამ დააწერინა სახალხო კილოზედ ლექსი: „საქართველოს დედოფალი დედა ქართლისა თამარი, სიმშვენიერით მოსილი, ამომავალი მზის დარი“. ქართველის პოეტების ნაწერებით აღფრთოვანებული თითონაც იღებს (1875 წ.) კალამს და სწერს ლექსს „სიმღერა ჩუქურთმის მჭრელისა“, სადაც თავის თავზე ამბობს: „ცუდ საქმეს ვერიდები, კეთილისა მძლერი ვარ, არა მაქვს დიდი სწავლა და მცირესა ვჯერვივარ“. „ჩემი ლოცვა“ (1880 წ.) მოხდენილი წაბაძვავა დ. გურამიშვილის კილოსი და შინაარსისა. იოსებ შესთხოვს იესოს: „ერთი საწყალი გლეხი ვარ, მეწისქვილის ძეო, სისულელეს ამაშორე, სიბრძნეს შემყარეო“. რადგანაც რედაქციების კარები მისთვის დახშულნი აღმოჩნდნენ, 1880 წ. გამოსცა კრებული თავის ლექსებისა სათაურით „სტვირი“ ხალხში უფასოდ გასავრცელებლად. ამ კრებულის მეორე ნაწილის მაგივრად 1881 წ. შეუდგა ხელნაწერის გაზეთის „ყვირილა“-ს გამოცემას; მეოთხე ნომერზედ ესეც შესწევითა საზოგადოების გულგრილობის და მატერიალურის შეუძლებლობის გამო. ხანდახან მისი ლექსები იბეჭდებოდნენ „დროებაში“ („ჩილიკობა“, „გლეხის პასუხი“). თელავში გადასახლების შემდეგ უფრო მოსწყდა პერიოდულს გამოცემებს.

პოეტის გარდაცვალებამ გამოიწვია სიტყვები მისი ამხანაგის დურგლის ვარდენ გოცირიძის, ი. როსტომაშვილის, აკაკი წერეთლის, გრ. ყიფშიძის, ილ. ჭავჭავაძის. ყველანი ერთხმად აღიარებენ, რომ დავითაშვილმა სალიტერატურო ნაწარმოები ააგო სახალხო ქმნილების კილოზე, რომ „ბეჩავი“ გლეხი, ხშირად მშიერ-მწყურვალი, შეიქმნა ერის ფიქრის და საჭიროების მდადადებელი. ტყუილი თავმოწონება კი არ არის იოსების მხრით, როცა იგი ამბობს: „მუშა რომ ვარ, მისთვის ვიცი მუშის გულის პასუხები“. საწყლათ გამოზდილი მჭადით, უქუდო, ჩოხის ამარა, დავითაშვილი აღფრთოვანებულია საზოგადოებისთვის სამსახურით და, როგორც სჩანს ლექსიდან „დარიგება“, მეტადრე გლეხთა განათლების მისწრაფებით. მან არ იცის შური, მასთან შორს არის სიხარბე: „თავზედ დამეცეს ცა რისხვით, სხივი ვერ ვნახო მზისა მე, მაღალი ღმერთი გამიწყურეს, თუ რომ ვინდომო სხვისა მე“. ტანჯვამ არც გაამწარა, არც სამაგიეროს გადახდის სურვილი აღუძრა. იგი სულგრძელი და მიმტევებელია, ძმობის და ერთობის მქადაგებელი:

- 163 -

კაცი ხარ, კაცად შობილი, კაცი გიყვარდესო,
ეკლესის დახვიდოდე ყოველ უქმე დღესო,

დავითნი და სახარება ორივ იქა ძევსო.

იმათში სწერია: კაცი გიყვარდეს და კეთილისთვის ბოროტად თუ ვინმე გიხდიდეს, სამაგიეროს ნუ უზამ, დეე თვით მიხვდესო. სამშობლოს წარსულის სიყვარულით დასწერა ლექსები „არქეოლოგები“ და „სამშობლოს სიყვარულმა ამიმღელვარა გული“. გლეხის ყოველდღიური ყოფაცხოვრება აღწერა მუშის ლექსში („მუშა ვარ და კიდევ ვიცი მუშის ბედი თუ რაც არი; ის უღელში გაბმულია, ქედმოდრეკით, როგორც ხარი“) და ლექსში „წელიწადის ოთხი დრო“. ახალგაზდობას უძღვნა ლექსი „ჯეჯილი“.

იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო,
იკურთხოს მისი მარჯვენა, ვინც გთესა, მოგიყვანაო.

ანტონ ფურცელაძე

ანტონ ფურცელაძე მესამოცე წლების მოღვაწეთა რიცხვში ითვლება ქართლელი აზნაურშვილი ჩამომავლობით. იგი წაიყვანეს რუსეთში კორპუსში სასწავლებლად. აქ ფეხი იტკინა და მოსამზადებელის კლასიდან დაბრუნდა სამშობლოში (1853 წ.) თავის შრომის და ცნობის-მოყვარობის წყალობით, ფურცელაძემ შეისწავლა ქართველი და რუსის მწერლები. 16-17 წლისა იქნებოდა, რომ სოფლიდან ჩამოვიდა ტფილისს და სამსახურში შევიდა აღფრთოვანებული იმ აზრით, რომ უნივერსიტეტში შესასვლელად მოემზადებოდა. რადგან ამ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტი დაჰკეტეს, იგი დარჩა საქართველოში და მწერლობას შეუდგა. 1862 წ. დაიწყო „ცისკარში“ თანამშრომლობა „სურამის ციხის“ გარჩევით. შემდეგში მონაწილეობა მიიღო „დროებაში“, „მნათობში“, „ივერიაში“ და სხვა რუსულ-ქართულს ჟურნალ-გაზეთებში. დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე გუთნისდედის გამოცემაში. თითქმის ორმოცდაათი წელიწადია, რაც კალამი უჭირავს ხელში და ხანგრძლივის მუშაკობის ნაყოფია მრავალი მისი ლექსი, პოემა, მოთხრობა, პუბლიცისტური და კრიტიკული წერილი.

მოთხრობა „სამის თავს-გადასავალი“ დამწერის ავტობიოგრაფიულს ცნობებს უნდა შეიცავდეს. დავით დესპანიძე, სვიმონ ბაღლაძე და მამა ტარუგავსკისა – ამ მოთხრობის გმირები არიან. უმთავრესი ყურადღება

- 164 -

მიქცეულია კარგის ოჯახის შვილს სვიმონზე, რომელსაც სწავლა ვერ დაუმთავრებია ლიციეში და სოფლად დაბრუნებული გატაცებით კითხულობს წიგნებს, სწავლობს მათემატიკას და საბუნებისმეტყველო საგნებს. გამოეცა მამას ქალაქში და აქ შეიქმნა საქიფო ადგილების და ქალების ხშირი სტუმარი. ბულვარზე გაიცნობს მშიერ-მწყურვალს დავით დესპანიძეს, რომლის თანამგზავრობის დროს დაუახლოვდება ზნეობით დაცემულს მამას. უკანასკნელი უამბობს თავის მწარე თავგადასავალს და აღუძრავს მას სურვილს დაიხსნას როსკიპთა სახლიდან. სვიმონი გამოისყიდის ლამაზს მამას და მოისურვებს დაქორწინებით შეუღლებას. თავ-

მოყვარე მამა უარს ეტყვის და მოუსპობს ფულის მოწოდებას. სვიმონი და მამა ჩაცვივდებიან გასაჭირს მდგომარეობაში; თავს იხსნიან იმით, რომ მამა ხელსაქმეს იღებს და სვიმონი გაკვეთილებს აძლევს და ამით მოულობენ ლუკმა პურს. გავლენიანის პირის დახმარებით სვიმონმა სამსახურიც იშოვნა, მაგრამ ამას ჩქარა მოჰყვა განსაცდელი და უბედურება. სვიმონის სახლს ღამით დაეცნენ ავაზაკნი; შეჰკრეს იგი და მამა და სადღაც წაიყვანეს. რამდენისამე დღის შემდეგ სვიმონ მკვდარი იპოვეს წყლის პირას. მამა გადაიტანა ჭლექით ავათმყოფობამ, მათს შვილს ილიკოს პოლონელის ქალის ხელში ამოუვიდა სული. დავით დესპანიძეს სილატაკემ თავი მოაკვლევინა. ასე დასრულდა „სამის თავს-გადასავალი“, რომლის გმირები ხელსაქმის, ბუნებისმეტყველების, ახალის ენების შესწავლით და საერთოდ დახასიათებით უნდა იყვნენ შექმნილნი ჩერნიშევსის რომანის და პისარევის წერილების ზედგავლენით და ჩაგონებით.

სოციალურის შინაარსისაა აგრეთვე მოთხრობა „მართა“, იგი შეეხება ბატონ-ყმობის დროს და ასურათებს იმ თვითნებობას და ძლადატანებას, რომელიც მეფობდა გლეხების განთავისუფლებამდე. გმირი მოთხრობისა, თავადი როსტომი, შეერთავს მდიდარს სომხის ქალს შუშანას, დასახლდება სოფლად, აწუხებს მეზობელს მემამულეებს, ავიწროებს გლეხებს. რამდენადაც როსტომი ავგულს კაცად არის გამოყვანილი, იმდენად ანგელოზის სხივი აშუქებს მის ძმისწულს გიორგის, რომელიც გამოდის ყმების მფარველად. იგი ხელს უწყობს მოსამსახურე სოსეს როგორმე გამოსთხოვოს შუშანას ოსის ქალი, მართა, ოდესღაც ძაღლში გაცვლილი. სოსეს და მართას უყვართ ერთმანეთი, ბატონები კი წინააღმდეგნი არიან მათ შეუღლებისა. ვერც ფულით და ვერც ხვეწნით ვერ მოალობეს როსტომი და შუშანა. გამწარებული სოსე სხვების დახმარებით დაეცემა როსტომის სახლს, ამოხოცავს მას ოჯახობით. სოსეს დაიჭერენ, მართა წკუაზე შესცდება.

- 165 -

„ვაი მართალთა“ მოგვითხრობს „ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ წოდებათა შორის განწყობილების აღწერას. დარიბი აზნაურშვილი ზურაბ, თარზე საუცხოვო მომღერალი, მოიტაცებს თავადიშვილს ლიზას. გაჭირებული ცხოვრება მიიყვანს ლიზას იქამდის, რომ მაჭანკლის დახმარებით დაუახლოვდება მდიდარს კაცს, რომელიც აძლევს ხელსაქმეს, უზიდავს წასაკითხს წიგნებს (შატობრიანს, ჰუგოს). ლიზას იწვევს იგი სამზღვარსგარეთ წასასვლელად, მაგრამ ქალს ზურაბის სიყვარული ჯერ სრულებით ვერ ჩაუკლავს, – მას აგონებს ზურაბის შვილიც. სატრფოს ლიზა დიდის და მწარე რყევის შემდეგ უარს ეუბნება, გაცივდება და ჭლექით აზასთუმანში კვდება. მის თავყვანისმცემელი, ტურგენიევის რუდინივით, პარიჟში ბარიკადებზე იღუპება.

„მაცი ხვითა“ მეგრელების ცხოვრებიდან არის აღებული. მისი გმირი მაცი ლამაზის ეკას გულისთვის იპარავს ცხენებს, ხოცავს ხალხს, არის ხან საქართველოში და ხან ოსმალეთში, – ერთის სიტყვით საარაკო ვაჟკაცობას იჩენს, ზნე და ჩვეულებანი ცოცხლად არიან აღწერილნი, მაგრამ შესაძლებელი არ არის რომელსამე განსაზღვრულს დროს დავუკავშიროთ.

პოემები ანტონ ფურცელაძისა წარმოადგენენ ლექსთ-წყობით მოთხრობილს ისტორიულს ამბებს. მათ საერთოდ აკლიათ პოეტური აღმადგენა და ხელოვნებით შექმნილი სურათები, „ბაგრატიონთა დიდება“ სატირა და გაკიცხვაა მეფე ირაკლი II და დედოფლის დარეჯანისა. მშრალი და უსიცოცხლო ქმნილებაა მისი მოზრდილი პოემა „თამარ ღაზნელი“, რომლის შინაარსი დამყარებულია შაჰაბაზის დროის ლეგენდაზე. მეტის ყურადღებით შესწავლილი აქვს დიდ-მოურავის თავგადასავალი. მას უძღვნის ტრაგედიას, რომლის დადგმა სცენაზე დიდს გასაჭირს წარმოადგენს. იგი გამოჰყავს პოემაში „მარაბდა“ ანუ ცხრა ძმა ხერხეულიძენი. პოემა „ცისკარა“ აშენებულია „ქართლის-ცხოვრებაში“ მოყვანილს გადმოცემაზე სპარსელების დაცემის დროს. „წყალობა“ ოსმალების ფარფაშობის ხანას ეკუთვნის. ამავე ავტორს ეკუთვნის ტრაგედია „ავაზაკნი“, შილერის ნაწარმოების ზედგავლენით წარმოშობილი, რამდენიმე ლექსი და პუბლიცისტური წერილები.

ავტორის ღირსებას შეადგენს თანამედროვე ცხოვრების დაკვირვება და მის მოთხოვნილების მხატვრულს ნაწარმოებად განხორციელება. ხოლო საერთო ნაკლულევანება მის ნაწერებისა არის გარეგანის ფორმის შემუშავებლობა და შინაარსის აჩქარებული დამთავრება: ამიტომ ტიპური დასურათება ვერ შესძლო ვერც ერთის მოვლენისა და საზოგადოებრივის მიმდინარეობისა. მკითხველს ხიბლავს მისი დაჩაგრულთა თავ-

– 166 –

ნაგრძნობა, როგორც ამას გვიმტკიცებს პატარა მოთხრობა „ქიტესა“, რუსის მწერლის გრიგოროვიჩის ზედგავლენით შექმნილი. აქ ეხება ბატონის ძალმომრეობას, ქალის პატივის შეურაცხყოფას, მედუქნის გაიმძვრაობას.

რადგან ქრონოლოგიურად არ არის დაწყობილი მისი ნაწერები, ამიტომ სამწელოა ვადევნოთ თვალი ავტორის ნიჭის გაფართოვებას და ჩაღრმავებას; მით უმეტეს სამწელოა, რომ მისი მოთხრობები ერთს გეგმაზედ არიან აგებულნი. მომქმედი გმირები ორს ჯგუფად განიყოფებიან: ერთნი უმანკო ციურნი ანგელოზნი არიან, მეორენი გაიმძვრა, ავი სულელები. ასეთის შემაერთებელის ძაფით გადაბმულნი არიან მოთხრობანი: „ვაი მართალთა“, „სამის თავს-გადასავალი“, „მაცი ხვიტია“ და სხვ. ყოველს მოთხრობაში განიმეორებს შეთვისებულის სქემის აწყობილებას (მაჰანკალის შუამავლობა და ქალის ღირსების დათრგუნვა). ქალები ჭლე-ქით იხოცებიან (ლიზა „ვაი მართალთა“-ში, ტოტოდას დედა დრამაში „ავაზაკნი“), ხოლო კაცები არა-ჩვეულებრივის სიკვდილით ეთხოვებიან წუთის სოფელს. ქალს და კაცს უყვარს მთვარიანს ღამეში ოცნებობა, სიზმარში წინამგრძნობელობით იტყობენ სასიხარულო და უსიამოვნო ამბავს, ღვრიან ცხარე ცრემლებს. კეთილსინიდიისიერი ქალები ყოველთვის პოულობენ მეგობრებს, რომელნიც მათთვის თავდადებულად იღვწიან. გარდა ამ საერთო ხაზებისა ფურცელაძის მოთხრობებს ერთს დიდს ეპოპეიად აერთებს მათი მომთხრობი ბესარიონ ვარგისაშვილი, რომლის სახელი დასაწყისშიაც და დასასრულშიაც მოყვანილია. ენაც ვერ აქვს საკმარისად შემუშავებული; იგი აჭრელებულია რუსიციზმებით. მაგალ.: ჩ ა ა ხ ე დ ე ბ ს ხ ა ლ ხ ს კ ა რ გ ს მ ა გ ა ლ ი თ ე ბ შ ი , ს ა ზ ო გ ა დ ო ა ზ რ შ ი ე ს ე ნ ი ა რ ი ა ნ უ ფ რ ო დ ა მ ნ ა შ ა ვ ე ნ ი , რ უ ს უ ლ შ ი ა ც გ ა -

მოდინ კარგი წიგნები, ჩაჯდა ქალაქში. სრულიად
გადმოუთარგმნელად დატოვებული აქვს ქართულს მოთხრობებში ასეთი
სიტყვები, როგორც: უჩიტელი, სმოტრიტელი, კრავატ,
გრაჟდანსკი ბრაკ, დელოპროიზვოდიტელ, ობვინიტე-
ლნი აკტი და სხვა მრავალი.

მოთხრობები ახასიათებენ ავტორის მიდრეკალებას და მისწრაფე-
ბას. თავის გამირებს ასურათებს თავის ლტოლვილების მიხედვით. შლო-
სერის ისტორიის კითხვა, საფრანგეთის რევოლუციით გატაცება, ფრან-
გულისა და გერმანულის ენების შესწავლის სარვილი, – რითაც სულ-
დგმულობდა ავტორი, – კისერზე მოახვია თავის მომქმედს პირებს.

- 167 -

ნიკო ნიკოლაძე

ნიკოლოზ იაკობის ძე ნიკოლაძე, გამოჩენილი პუბლიცისტი და სა-
ზოგადო მოღვაწე, ეკუთნის მესამოცე წლების მწერალთა ჯგუფს. განა-
თლება მიიღო ქუთაისის გიმნაზიაში და პეტერბურგის უნივერსიტეტში,
სადაც ბელინსკის, ჩერნიშევსკის და დობროლიუბოვის გავლენით შეი-
მუშავა მსოფლიო შეხედულება. განვითარების მიზნით წავიდა შვეიცა-
რიაში, სადაც დააარსა ქართველთა საზოგადოება „უღელი“. ქენევაში
გაიცინო რუსეთის ცნობილნი მწერალნი ბაკუნინი და გერცენი, ამ უკა-
ნასკნელის ჟურნალს „კოლოკოლ“-ში დაბეჭდა წერილი საქართველოს
შესახებ. ქართულად სკანდელის ფსევდონიმით წერა დაიწყო „დროე-
ბაში“ 1868 წ., ხოლო 1871 წ. ჟურნალს „კრებულში“ მიიღო დაახლო-
ებული მონაწილეობა. კრიტიკული წერილი უძღვნა ილ, ჭავჭავაძის და
გრ. ორბელიანის ნაწერებს. შემდეგ ჟურნალს „მომბეში“ მოაქცია გი-
ორგი წერეთლის თხზულებათა გარჩევა. პოლემიკაში ნ. ნიკოლაძე შეუ-
დარებელია, მისი მახვილი კალამი ბევრს მოხვდა და, სხვათა შორის,
ანტონ ფურცელაძესაც. ქართულს პრესას ჩქარა დაანება თავი და გადა-
ვიდა რუსულის ჟურნალ-გაზეთების თანამშრომლად, დააარსა ტფილისში
გავლენიანი საპოლიტიკო გაზეთი „Обзоръ“ (1878 – 1880 წწ.) და შე-
მდეგ იყო ხელმძღვანელი „Новое Обозрѣние“-სი. პატარა კრებული
ქართულს ენაზედ მისი ნაწერების გამოცემა სათაურით „სახალწლო“
1880 წ.*). როცა დაარსდა ჟურნალი „მომბე“ იტვირთა შინაურის და
უცხოეთის მიმოხილვის გაძღოლა. ნ. ნიკოლაძემ კავკასიაში ევროპულის
ჟურნალ-გაზეთების მიმართულება განამტკიცა და საზოგადოებაზედ დიდი
გავლენა იქონია თავის ცოცხალის და ყოველთვის დასაბუთებულის წე-
რილებით, „ბოლოს დროს იგი მწერლობას ჩამოსცილდა და სამოქალაქო
ასპარეზს მოანდომა თავისი ცოდნა და გამჭრიახობა.

ეკატერინე გაბაშვილისა

ეკატერინე გაბაშვილისა დაიბადა 1851 წ. 16 ივნისს ქა-
ლაქს გორში. მამა მისი იყო დინჯი და დამჯდარი განათლე-

*) გამოცემულია აგრეთვე პაწია წიგნაკად ნ. ნიკოლაძის ნაწერი, პირველი წიგნი. ტფ. 1878. (ხელმეორედ 1890 წ.). რედ.

- 168 -

ბული თავადი რევაზ თარხნიშვილი, ხოლო დედა – სოფიო ვახტანგ ბაგრატიონ-დავითიშვილის ქალი, ცნობილი სიმკვირცხლით, სითამამით და მხნეობით. ეკატერინე ხუთის წლისა იყო რო დაჰკარგა დედა და დარჩა მამის და ბებუის ანაბარად. ბებია იყო ძლიერ ხელმომჭირნე და ამიტომ შვილიშვილსაც ავიწროებდა. რვა წლისა რომ შესრულდა კატო, ბებუის სურვილის წინააღმდეგ, მამამ ტფილისში ჩამოიყვანა და გერმანელუბის სკოლაში მიაბარა, შემდეგ კი გა გადაიყვანა ამბარდანოვის ქალების პანსიონში. 12 წლისა რომ გახდა, კატომ დააპირა ინსტიტუტში შესვლა, მაგრამ რუსულს ენაში სუსტის გამოთქმის გამო ეს არ მოხერხდა. მაშინ მამამ მიაბარა ტფილისში ცნობილს ქ-ნ ფავრის პანსიონში, სადაც დახელოვნებულს მასწავლებლებს მოეყარათ თავი. აქ ქართულს ენასაც დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული. ამ საგნის მასწავლებლებმა ჩაუნერგეს მომავალს მწერალს მშობლიურის ლიტერატურის ინტერესი და სიყვარული. სამღვთო სჯულის მასწავლებელმა უწინასწარმეტყველა, რომ კატო სხვა ქალების მსგავსად უფერულად არ გაატარებდა თავის სიცოცხლეს. ფავრის პანსიონი მან დაამთავრა 1868 წ. და გადასახლდა გორში, სადაც მიწვეულ იქმნა მასწავლებლად სომხის სამღვდელოების მიერ გახსნილს სკოლაში. 1870 წ. უკვე იბეჭდება მისი პირველი ნაწარმოები „გლებკაცების აზრი სასოფლო სკოლაზედ“. ამის შემდეგ ეკატერინე საქმით და წერით პირნათლად ემსახურება ჩვენს საზოგადოებას და ლიტერატურას. 1872 წ. ეკატერინე მისთხოვდა ალექსანდრე გაბაშვილს. პირველი მისი მოთხრობა „კონა“ დაიბეჭდა 1881 წ. „ივერიაში“. ამის შემდეგ არ ყოფილა ისეთი ქართული ჟურნალი, რომ ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობით არ დამშვენებულიყოს. მეტადრე საყმაწვილო ჟურნალები „ჯეჯილი“ და „ნაკადული“ დავალებულნი არიან მის მადლიანის კალმის ნაწარმოებით.

ეკატერინე გაბაშვილის მოღვაწეობა სამწერლო ასპარეზზე ერთის დედააზრით არის გამსჭვალული. იგი გამოვიდა სი-

- 169 -

ყვარულის მქადაგებლად, ამ გრძნობის თავისუფლად გაფურჩქვნის მომხრედ, მის შეურაცხყოფის მგმობელად. ქალი-მწერალი ყურადღებით იძიებს ამ სიცოცხლის გამაცისკროვნებე-

ლის ნეტარების წარმოშობას და განვითარებას მეტადრე ქალის გულში, რომლის მოძრაობა და ბუნება მისთვის დაუფარავად გადაშლილია. სიყვარულის განხორციელებას ადამიანთა შორის ეკატერინე გაბაშვილის დაკვირვებით ხელს უშლიან ხშირად წვრილმანი ან შემთხვევითი გარემოებანი, როგორც წოდებრივი დაბრკოლება („კონა“), სარწმუნოებრივი ცრუმორწმუნეობა („რომანი დიდხევაში“), ნათესავური მოვალეობა („გურგენაულის ბაბო“). იგი გულწრფელობით და წარმტაცის ხელოვნებით აგვიწერს სოფლის გასაჭირს და საქართველოს დიადს მშვენიერებას, თანაუგრძნობს ხალხს მის ჭირში და ლხინში. შეუსაბამოება ბუნების სიმშვენიერისა და გლეხის გამწარებულის ცხოვრების შორის ჰბადავს მწერალში უკმაყოფილების კილოს, ავსებს მის გრძნობიერს გულს სიმწარით და შეუწოდობლობით. ადამიანი სიყვარულისთვის არის გაჩენილი და საზოგადოება კი თავის ტრადიციულის შეხედულობით ულმობელად ასრესინებს ამ გრძნობას, ჰქმნის ბედმავად, უმოკლებს ისეც მოკლე სიცოცხლეს.

ამგვარს იდეაზეა აშენებული მისი „რომანი დიდხევაში“. გმირები ამ მოთხრობისა – პავლე და მარო, თვალად ლამაზნი, ახალგაზრდანი, ერთმანერთის სიყვარულით დამწვარნი, ვერ შეკავშირებულან ჯვრის წერით, რადგან მათში რაღაც მძახლობა – შორეული ნათესავობა აღმოჩნდა. მაროს უპირობენ სხვაზე გათხოვებას; გონება მიხდილი პავლე ხანჯალს ჩასცემს თავის მიუწოდმელს სატრფოს და თვით გარდაიცვლება სატუსაღოს ლაზარეთში. ასე დაასურათა პირადობის დამახინჯება და დამონავება საზოგადოების მიერ შეთვისებულის ყალბის მოთხოვნილებების ნიადაგზე. ამგვარათვე გათელილის გრძნობის მეზარედ გამოდის ავტორი მეორე მოთხრობაში („კონა“), სადაც აწერილია თავადის სპირიდონ თავბრუაძის სახლში, სოფ.

– 170 –

არაშენდაში, ბეჩავი ცხოვრება ორის ბავშვისა: მოსამსახურე კონასი და ბატონის პირველის ცოლიდან დარჩენილის და დედინაცვლისაგან მოძულეებულის ლევანისა. უსამართლო ბატონების ხელში კონას ერთად-ერთი ამხანაგი და ნუგეში იყო ობლობისაგან გულჩათხრობილი და ხშირად უმიზეზოდ დასყვდი ლევანი. საერთო უბედურებამ დააახლოვა იგინი, გახადა განუყრელს მეგობრებად. ერთმანერთის ალერსით და სიყვარულით დაკავშირებულნი, უბედური და წამებული ბავშვები განიზრახავენ შემხუთველების მოშორებას. მაგრამ გაპარვა გაუგეს, ვაგონში გზაზე ლევანის მამამ დაიჭირა იგინი. ქალბატონმა ბარბარემ წიხლ ქვეშ გათელა მუდამ დაღონებული „შავთვალა“ კონა და სიკვდილის პირზე მიაგდო. თუმცა გა-

დარჩა კონა, მაგრამ გულში დაებადა შურისძიების სურვილი თავის და ლევანის მტანჯველისადმი. ერთხელ, გულმოსული კნენას მუქარით და ცემა-ტყეპით იმიტომ, რომ ქალბატონს შალი აუტრუსა, მივარდა თავის მტანჯველს და გულში ჩასცა პატარა დანის წვერი. ამით კნენას ვერა ავნო რა, მაგრამ თითონ კონამ კი, აღელვებით, ძალა-მიხდილმა, სული განუტევა სწორედ იმ დროს, როდესაც მოვიდა საჩუქრებით ბატონებთან მის დედა მართა თავის ქალის დასახსნელად. ამ მოთხრობაში დაკვირვებით აღწერილია სულის მდგომარეობა ორის პატარა გმირისა, თუმცა რომანტიულის ელფერის შეტანამ ცოტა შეუფერებელი შუქი მიაყენა მათ აზროვნობის და გრძნობის გამოხატვას. ტიპიურად დახატულია მოხუცებული, სახით საშიში და უგულო გამზდელი ისახარ, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა კონასთვის. ცოცხლად დაგვიხატა კონას დედ-მამის გაჭირვება ქიზიყში, სადაც მოუსავლობის გამო იგინი გაღარიბდნენ და იძულებულნი შეიქმნენ დაეტოვებინათ სამშობლო, გადმოსულიყვნენ ტფილისში შვილებით, სადაც გლახაკობით შოულობდნენ ლუკმა პურს, შემდეგ სოფ. არაშენდაში შეეფარებინათ თავი ერთს გლეხთან და აქ მიეზარებინათ თავიანთი კონა კნენა ბარბარესთვის იმ პირობით, რომ ათის

– 171 –

წლის სამსახურის შემდეგ წერა-კითხვაში და ჭრა-კერვაში გაწვრთნილი გაეთხოვებინა შესაფერის მზითვის მიცემით.

იმავე 1881 წ. ევ. გაბაშვილისამ დასწერა „სხვა და სხვა გვარი ქორწილი“. ამ მოთხრობაში განხილულია შეუღლების მიზეზნი და შედეგნი, რამდენადაც იგინი თან ახლავს ანგარიშგანზრახულს ცოლის შერთვას და ქალის გათხოვებას. მაღალის საზოგადოების წევრი კნიაზი მაღალგვაროვი, პრა-პორშჩიკის ჩინით და მცირედის განათლებით, ირთავს ძალუას შუამავლობით მზითვიანს ქალს წარჩინებულის რჯახიდან, მაგრამ საერთო მათ შორის არა აღმოჩნდება რა და სამის თვის სამზღვარგარეთ ხეტიალის შემდეგ სულიერად ერთმანერთს დაშორდებიან და ფუქსავატს ცხოვრებას განაგრძობენ. ასეთივე უნაყოფო გამოდგება პოლკოვნიკის ყოჩაღაშვილის შეუღლება მდიდარს კარაპეტოვის ქალთან. იძენენ სიმდიდრეს, ცხოვრობენ ზომიერად, მაგრამ სწუხან, რომ „ნასლედნიკი“ არ ჰყავთ. ცხოვრების ნამდვილს სურათს შეადგენს მოქიეფე კნიაზ მხედრიშვილის და გაუნათლებელის ანეტა ბორგვამის ქალის ქორწილი, სირაჯის მეღვინოვის ქალის და მოხელის კოტეს დარიბულად ცხოვრება და დაწვრილშვილიანება; მეტადრე საუცხოვოდ არის შეგნებული გლეხკაცის სულის ვითარება საქორწილოდ მზადების დროს და იმის წრეში დროს გატარება

ამ შესანიშნავს დღეს. მწერალი თითქოს მხოლოდ ამ უკანასკნელს შემთხვევაში ხედავს შეუღლების მოთხოვნილებას და დაკმაყოფილებას.

გაკიცხვის კილო, რომელიც ემჩნევა ამ მოთხოვნილებას, არა ნაკლებ დაეტყო შემდეგს მოთხოვნილებას „ზაფხულის სურათები“ (1881 წ.), სადაც იგივე დაუდევრობა ეტყობა თავადის ოჯახობას, რომლის წარმომადგენელი ან სამზღვარგარეთ, ან ქალაქში საცხოვრებლად იღებენ ვალებს და თავიანთ მამულს უპატრონოდ და ბედის ანაზარად სტოვებენ. „მეურმის ფიქრები“ (1882 წ.) სრულიად სხვა აზრით არის გამსჭვალული. აქაც თანაგრძნობა დაბალის წოდებისკენ არის გადახრილი.

- 172 -

საწყალი თედო მარტოხელაა დარიბს ოჯახში. დედა ბრმა ჰყავს, საქონელს ჭირი გაუჩნდა, მამის სულის მოსახსენებლად წლის წირვა კისერზე აწევს, სახლი-ბოსელი, სადაც თითონ და უღელი ხარი შეტენილები ერთად არიან, უდედაკაცოა. თედო 28 წლისაა, თვალი უჭირავს კურდღელაანთ პელოზე, მაგრამ ბედმავე როგორ მოახერხებს დაქორწილებას!..

გლებს მცირედი სიკეთეც ბედნიერად ჰქმნის, მისი მოთხოვნილება შეზღუდულია, ყველაფერში დაჩაგრულია. ამ სახით არის დახატული მეურმე მოთხოვნილებაში ამავე სათაურით. ქარბუქში 16 წლის სოსო მიდის ტფილისში, რომ გაჰყიდოს საშობაოდ ურემზე აკრეფილი ჩინჩხვრები. დიდხანს წვალობს ქალაქელების გულქვაობით და წუნიაობით; შემდეგ ერთის საწყალისავე მხერხავის დახმარებით არამც თუ ჰყიდეს ჩამოტანილს „შემას“, საჩუქრად მიიღებს კიდევ ძველ-ძვეულს ტანისამოსს. სოსო გახარებული შეახტა ურემს და სიმღერით გარეკა თავის ხარები.

დაუბრუნდება რა ისევ ჩვეულებრივს თემას – კაცის ბედნიერების დარღვევის მიზეზებს, – ეკ. გაბაშვილისა მოთხოვნილებაში „ორენა და ქუჩე“ ასახელებს ბედნიერების დამაბრკოლებელს გარემოებად ქონებათა განსხვავებას. ვარდისუბანში სწორ-ამხანაგებში ერჩეოდნენ თედო, ორ-ენად წოდებული, და ქუჩე. ეს ორი ახალგაზდა და ლამაზი არსება ბუნებას ერთმანერთისათვის შეექმნა. „ქალი – მაღალი, კოპწია, მაისის ვარდივით გადაშლილის ლოყა-ტურებით... ბიჭი – ლომი, მხარ-ბეჭ-გადაჭიმული, ახლად უღვაშ-აყვავებული. ესენი ეშხით დასტრიალებდნენ ერთმანერთს, როცა საღამოობით გაჩაღდებოდა ხოლმე ლეკური და ლხინი“. ავტორი ამათაც აყენებს დრამატიულს გარემოებაში. თუმცა იგინი სიყვარულის ცეცხლით ანთებულნი არიან, მაინც მათი შეუღლება მოუხერხებელია იმიტომ მხოლოდ, რომ ქუჩე იყო დედის ერთა, მზითვიანა ქალი და იმისი

მამა – გოგია აზნაურებს აღირებდა თავის გოგოს. თედო კი ერთი სხვა მხრიდან გადმოვარდნილი ბიჭი იყო და ლუკმა

– 173 –

პურს მოჯამაგირობით შოულობდა". ამ ქონებითმა გან სხვა-ვებამ წარმოშობა საზოგადოების წესების და პირადობის მისწრაფების შეტაკება. მოტრფიალეთა ლტოლვამ და მოხერხებამ დროებით დასძლია დაბრკოლება და სიტკბოების ნექტარი ასვა ბუნების მფარველობის ქვეშ. მაგრამ სოფელი აყაყანდა, ქუჩეს ორ-ენას სიყვარულის ნაყოფი აღმოაჩნდა. დედ-მამამ ჯავრი იყარა ქუჩეზე და შეუბრალებლად გატყვიპეს. სოფლისგან ამოთვალწუნებულს ქალს მოსარჩლე არავინ გამოუჩნდა. როცა დაებადა ბავშვი, მან ალერსით მიიკრა გულზე და ისევ საჩქაროდ დაახეთქა ზღვევებზე. შვილის მკვლელი დედა სამართალში მისცეს და ციმბირში ამოაყოფინეს თავი ამ შეუნდობელის დანაშაულისთვის. ორ-ენა კი უმწეოა დაეხმაროს მას და იხსნას უბედურობისაგან. როდესაც ქუზე „ორს შტიკიანს სალდათს ჩამოჰყავდათ სასამართლოს კიბეზე, იქ კუნჭულში იდგა გაყვითლებული, დაგლეჯილის ტანისამოსით, ცალ-ხელა ბიჭი და ხელ-გაშვერილი მოწყალებას თხოულობდა. ქუჩე გააჟრჟოლა... და ეხლა კი ცრემლები ვეღარ შეიმაგრა. იქნება წარმოიდგინა ის წამები, როდესაც ესენი ზეცამდის ბედნიერი იყვნენ სიყვარულით და ეხლა კი იმავე სიყვარულის და ადამიანის სიბრძნის წყალობით უფსკრულამდის უბედურნი, ერთის წლის წინად სავსენი სიცოცხლით და სილამაზით ერთმანერთს შესტრფიალებდნენ და კაცის თვალს ატკბობდნენ, ეხლა კი დამახინჯებულნი იმავე ხალხის მოწყალებით განიწირებოდნენ საზოგადოებისგან“. როცა „ქუჩე წაიყვანეს, თედომ სწრაფად გაიწია იმის შესაყენებლად, მაგრამ ხელზედ დაიხედა, მწარედ გაიღიმა და უნუგემოდ, თითქოს საყვედურით, ზეცას შეხედა“. ასე დაილუპა უგუნურობით მათი ცხოვრება.

ეკ. გაბაშვილისა ქალ-ვაჟთა თავისუფალის სიყვარულის მომხრეა: სიყვარული მისთვის ბედნიერების მიმნიჭებელი ძალა და წყაროა. „სიმინდის რჩევაზე“ სწორედ ის მოთხრობაა, რომელიც ამ აზრის დამასურათებელია. ახალგაზდა ლექსო და

- 174 -

მათა მთვარიანს ღამეს ერთმანერთის გვერდით სხედან სიმინდის გასარჩევად და როდესაც მათი ხელები შემთხვევით მიეკარებიან ერთმანერთს, უნებლიედ იგრძნობენ გამოუთქმელს ნექტარებას. იგინი აღთქმას დასდებენ ცოლ-ქმრობის კავშირით

განამტკიცონ მეგობრობა და როცა მათას მამა ქალის სურ-
ვილის წინააღმდეგ მოინდომებს მის გათხოვებას, ლექსო ლა-
მის წყვილიადმი მოიტაცებს თავის სატრფოს და გაიპარებიან
სოფლიდან. მათას საქმრო კი შეირთავს მის უმცროსს დას.
იშვიათად ხდება რომანტიულად მთვარის შუქზე ჩასახულის
სიყვარულის ბედნიერად დაგვირგვინება. უფრო ხშირად ტრა-
დიციონალური ცრუმორწმუნეობა აღუდგება მოტრფიალეთ
გადუვალს უფსკრულად. „ბეჩავის სიყვარული“ (1894 წ.) ამას
ხმამაღლივ მოწმობს. თექვსმეტის წლის მარო და მის მშობელ-
თა შვილობილი გაბრო, მაშასადამე ქალის ძმობილი, მთვარი-
ანს ღამეებში სიმინდის რჩევაზე აპრიალდნენ გრძნობის ალით.
მაგრამ მათ უანგარო და წრფელი სიყვარული ეწინააღმდეგება
ღობილ-ძმობილობას და დაკავშირება მათი უარყოფილია. ამ-
გვარადვე იღუპებიან ადელი და შაქრო („ნათლისღება ღამეს“),
ბაბო და ჯიბო („გურგენაულის ბაბო“). ჯიბო უმცროსი ძმა
იყო და მაქსიმეზე ადრე ცოლს ვერ შეირთავდა. უნებურად
ჯვარ-დაწერილი ბაბო, როცა ქმარს მაქსიმეს მოუკლავს უც-
ვლელად საყვარელი ჯიბო, წავიდა მონასტერში სულის და-
სამშვიდებლად.

ჟურნალს „მოამბეში“ ეკ. გაბაშვილისამ დაბეჭდა რამდენიმე
მოთხრობა და თავის მიმართულებას ახალი ბეჭედი დაასვა.
„თამარის ნუგეში“ (1894 წ.), „გამარჯვებული ნიკო“ (1895 წ.),
„ჩიტუნია“ (1896 წ.), „ლუარსაბს პატრონი გაუჩნდა“*)
(1901 წ.) აღნიშნოლნი არიან ამ ცვლილების ელფერით. ავ-
ტორი უარყოფითის ტიპების მაგივრად ასურათებს დადებითს

*) თხზულებათა კრებულში დაბეჭდილია სხვა სათაურით: „ლუარ-
საბმა ცოლი შეირთო“.

პერსონაჟებს, გაკიცხვის კილოს ადგილს იჭერს კეთილშობი-
ლურთ მისწრაფებათა აღტაცება.

კნიაჟნა თამარა შალვაშვილი, ენერგიით სავსე გმირი მო-
თხრობისა „თამარის ნუგეში“, გამოდის ხალხის მოქომაგედ და
მოსამსახურედ; იგი აფუძნებს სასოფლო სკოლას და თავის
მოტრფიალეს, ოფიცერს ედიშერაშვილსაც დაატოვებინებს სა-
მხედრო სამსახურს, რომ მეურნეობას შეუდგეს სოფლის სა-
კეთილდღეოდ. მოთხრობაში „გამარჯვებული ნიკო“ გამოჰყავს
აგრეთვე ხალხის განათლების მომხრედ ნიკო ბერიშვილი,
რომელიც მიიმხრობს სიამოვნებით და დროს გატარებით გა-
ტაცებულს ლიზა კოშკაძეს, თვით ეკურთხება მღვდლად და
მეუღლის (ლიზას) დახმარებით ემსახურება სოფლის ინტე-
რესებს: გახსნიან საზოგადო მაღაზიას, დააარსებენ სკოლას,

გააშენებენ საზოგადო ვენახს და აბრეშუმის ჭიის საქმეს ფეხზე წამოაყენებენ. იდეალიზაციის შუქით განათებულნი გმირნი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენენ და წაბადვის სურვილს უღვიძებენ. გლეხკაცის გაჭირვებამ და სპეტაკმა გრძნობამ დააწერინა „თინას ლეკური“ (1898 წ.), სადაც ლუკმა პურის საშოვნელად მოხუცი და ავათმყოფი დიდი-დედა თინა მშიერის შვილიშვილების გამოსაკვებად მიდის დუდუკის ხმაზე ბატონის სახლში და ბრწყინვალე საზოგადოების გასამხიარულებლად უვლის ლეკურს უკანასკნელს ღონემდე, ვიდრე სულს არ განუტევენ და გაღებულის ს „შაბაშით“ ობლებს სახსარს არ გაუჩენს. მოთხრობა „ლუარსაბმა ცოლი შეერთო“ უბრუნდება სქესთა სიყვარულის ანალიზს. ავტორის აზრით ცოლ-ქმრობის ხვედრი უკუღმა ტრიალებს, როცა იგი აშენებულია მომხიბლავის გრძნობის გარეშე. ამ მოთხრობაში ჩასახულია ქალთა ემანსიპაციის, მათ კაცებთან გათანასწოების ლტოლვა, რომელიც თავდაპირველად უზნეო საქციელისკენ უფროა გადახრილი. ლუარსაბი, ჩინებული ყმაწვილი კაცი, უმაღესს სასწავლებელში კურს-დასრულებული, მჭევრმეტყველი და სინიდისიერი ვეჭილია. ამავე დროს, ეს „მღვდლის შვილი“ იყო

– 176 –

მეტად ტლანქი, დარგვალეებული ბურთივით, კისერ-მოკლე, პაჭუა, წვერ-ულვაშ-რიჟა... თმა სანთლითაც არ მოეპოვებოდა. მაგრამ ამ უშნო შეხედულებასთან, რომელიც ავტორისთვის აუტანელია, დამავგირგვინებელი მიზეზთა მიზეზი, თურად ეზიზღებოდათ ლამაზს ქალებს ლუარსაბი, იყო მისი ხელები: რბილი, მსუქანი და ცივი, მუდამ ნესტიანი. ამ „ჯენტლემენს“, როგორც დაცინვით ეძახის ავტორი, აქვს კარგი შეძლება: მოწყობილი სადგური, და ბანკში კაპიტალი. მაინც ვერ ეღირსა ლუარსაბს ლამაზი და განათლებულის ქალის თანაგრძნობა. მას სურს ოჯახი მოაწყოს, რადგან იგი მიაჩნია ერთ-ერთს იარაღად მეტოქეობაში გასამარჯვებლად და თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამიტომაც დაემებს საცოლოს და ბოლოს მიაღწია სურვილს, – „ლუარსაბს პატრონი გაუჩნდა“. ეს „პატრონი“ ვერა მაცდურიშვილის ის ქალი იყო, რომელიც, ლუარსაბის მსგავსად, საქმროს დაემებდა და ურცხვად ისარგებლა მის სუსტის მიდრეკილებით და შემდეგ ჯიბით. ეს „არტისტი“ მალე გადუდგა ქმარს, გაჰყვა იტალიელს მომღერალს უცხოეთში. მან ვერ მოინელა ქმრის ჩამომავლობა და მისი „кое-что поповское“ გახდა მიზეზად, რომ გაექცა „ჰიმენეს კავშირს“. ლუარსაბი დაემორჩილება თავის მწარე ბედს და გახდება საუკუნოდ გაქცეულის ცოლის ხარკის მძლეველს მონად.

ამ მოთხრობაში მოსჩანს მძულვარება უმსგავსოდ მრწყობილის ცოლ-ქმრობისადმი. მეტადრე ულმობელი შოლტები მოხვდა ლუარსაბს და დაუმსახურებლად შენდობა მიეცა ვერაგს დედაკაცს, „გაბოროტებულს და გავერანებულს ქმნილებას“, კრიტიკოსის სიტყვით. აქ სიყვარულს საგალობელის მაგივრად ანდერძი აუგო ეკ. გაბაშვილისამ. ამავე გრძნობის გამორკვევას უძღვნა ეტიუდი „მაისი“, „ოცნება“ და სხვ. პირველი ეტიუდი წარმოადგენს საუცხოვო ჰარმონიას ბუნების გაღვიძების და თექვსმეტის წლის ქალის გულში გრძნობის გაფურჩქვნის შორის. „მაისის ბრწყინვალე მზემ, მისმა ძალო-

- 177 -

ვანმა თბილმა სხივმა განოს გულის სიღრმემდისაც მიაღწია, ჩაანათა, გაათბო და იქ ააღორძინა, დააკოკრა და ააყვავა ის ტკბილი, უკვდავის სამოთხის ვარდი, რომელსაც სიყვარულის ნეტარებას ეძახიან“. მეორე ეტიუდში – ზაფხულის მშვენიერს დილას დამტკბარი ციოთა და ქვეყნით გული კიდევ რასღაც ელის, რას? „შენ, სატრფოვ გულისავ, შენ, გვირგვინო ყოველის ნეტარებისავ, დიდების, სიმდიდრის, სიმშვენიერის, შენ, სიყვარულო, ტკბილო, უებროვ კაცთ სურვილებთა შორის“. ეკ. გაბაშვილისა, როგორც იდეალისტი-რომანტიკოსი, იმ აზრისაა, რომ ადამიანი ბედნიერებისათვის არის დაბადებული, თვით გარეშე მშვენიერი ბუნება ხელს უწყობს ამ მიზნის მისაღწევად. სიყვარულის ძლევა-მოსილების დასურათებამ („ეფროს დღიურიდან“ 1897 წ.) საპოლემიკოდ გამოიყვანა მწერალი ქალი შ. არაგვისპირელის წინააღმდეგ, რომელმაც სინამდვილესთან უფრო დაახლოებით წამოაყენა ადამიანთა გახრწნილების და გავერანების სურათები.

ალექსანდრე ყაზბეგი

(1848 – 1893)

ალექსანდრე ყაზბეგი დაიბადა სოფ. სტეფან-წმინდაში მეტრიკის წიგნის ცნობით 8 იანვარს 1848 წ., ხოლო თუ მის დედის ჩვენებას დავემყარებით, 14 ნოემბერს 1847 წელს. ალექსანდრეს მამა მიხეილ დიდხანს მთის ოლქის გამგედ იყო, სამსახურში დაწინაურდა და გენერლის ჩინამდის მიაღწია. დედა ალექსანდრესი, ელისაბედ, თავადის ესტატე თარხნიშვილის ასული, აღზრდილი იყო ქართულს მწერლობაზე. მიხეილს და ელისაბედს უყვარდათ დიდკაცურად ცხოვრება და შვილიც

განსაკუთრებულის ფუფუნებით აღზარდეს. ახლად დაბადებულს ალექსანდრეს მოსავლელად მიუჩინეს ორი ძიძა და რამდენიმე

- 178 -

გამზდელი. დიდი და პატარა თვალ-წარბში შეჰყურებდნენ და ცდილობდნენ მის სურვილის დაკმაყოფილებას. ამიტომაც ალექსანდრემ თავისი თავი წარმოიდგინა განსაკუთრებულს პირად და შეითვისა ნებივრობა და ფუფუნება. სასიამოვნო მოგონება ჩარჩა გულში გამხრდელს ნინოზე, რომელმაც ბატონყმობის ამბების და ზღაპრების მოთხრობით იქონია გავლენა მის განვითარებაზე. ბევრჯელ უღვრია ცრემლები ხალხისადმი უსამართლობის ჩადენის გამო, ჩაუფიქრებია არაკებს „თათრის ყვავილი“, „ხალხის ნუგეში“, „მეკობრები“ და სხვ.

ალექსანდრეს უყვარდა სოფლის ბავშვებთან დროს გატარება და ცხვარში მწყემსებთან ყოფნა. ცელქი და მოუსვენარი იყო, ხშირად ეჩხუბებოდა მოსამსახურეებს და ჭირვეულობდა. ამიტომაც დედამ მეტი სახელი დაარქვა მოჩხუბარიძე. ამ დარქმეულის გვარით იგი შემდეგ გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე.

სწავლა დაიწყო სახლში გუვერნორების და გუვერნანტების ხელმძღვანელობით. მეთორმეტე წელში რომ გადადგა, მისცეს ტფილისში გაკეს პანსიონში და შემდეგ გადიყვანეს კანონიჩის პანსიონში (1862 – 1863 წწ.), სადაც სწავლობდა სხვათა შორის მუსიკას და ფრანგულს ენას. დედ-მამას განზრახვა ჰქონდათ შვილი პაჟების კორპუსში მიეცათ, მაგრამ რაკი დაშორება ვერ გაიმეტეს, შეიყვანეს ტფილისის გიმნაზიაში. როგორც კი მეოთხე კლასამდის მიაღწია, ალექსანდრე მშობლებმა წაიყვანეს სტეფან-წმინდაში და შეუკრეს გზა განათლებისადმი. ალექსანდრე მაინც ოცნებობდა დასწაფებოდა სწავლას და ამიტომ, როცა მამა მოუკვდა (1866 წ.), მან უარჰყო დედის განზრახვა ცოლის შერთვისა და მოინდომა ლექციების მოსმენა უმაღლესს სასწავლებელში. მართლაც, 1867 წ. იგი შევიდა მოსკოვის სამეურნეო აკადემიაში. პირველად სწავლამ გაიტაცა, დაიწყო ენერგიულად მუშაობა, მაგრამ ჩქარა მიატოვა მეცადინეობა „განათლებულის კაცის“ სახელის მოსახვეჭად და გაჰყვა სიამოვნებას და ფულის ფლანგვას: თექვსმეტის თვის განმავლობაში დახარჯა 3320 მან. და

- 179 -

როცა საშუალება მოესპო გადარიბებულის დედისაგან, განიზრახა მდიდარის საცოლოს მოძებნა. ვერც ეს სურვილი განახორციელა და ცალიერის ჯიბით და დასუსტებულის ჯანით დაბრუნდა სამშობლო სოფულში (1870 წ.). აქ ჯერ მწყემ-

სობამ გაიტაცა, შემდეგ გახსნა სასმლის დუქანი, მერე აიღო პოდრიადები და რაკი ვერსად გამოიჩინა პრაქტიკული შნო, მიყიდ-მოყიდა მამული, დაანება თავი ხევს და 1879 წ. გად-მოსახლდა ტფილისში. აქ შევიდა ქართულს სათეატრო დასში მოხევეს სახელით და ამავე დროს დაიწყო წერა იმ მოთხრობებისა, რომელთაც უკვდავი სახელი მოუპოვეს ისტორიაში.

ა. ყაზბეგმა წერა დაიწყო 14-15 წლისამ. ამავე დროს ეკუთნის სცენები კომედიიდან „აღმზრდელები“, რომელშიაც გაკიცხულნი არიან მისივე მშობლები. სალიტერატურო ვარჯიშობა განაგრძო მოსკოვში, სადაც სთარგმნა ნაწყვეტები „რომეო და ჯულიეტიდან“ შექსპირისა და „ვაი ჭკუისაგან“ გრიბოედოვისა. 1874 წ. ტფილისში ყოფნის, დროს, შეესმა რა ქართულის რეპერტუარის სიღარიბე, შეუდგა პიესების წერას და მალე დაამზადა 21 პიესა, მაგრამ არც ერთი მოწონებული არ იქმნა. პირველი მისი ნაწერი, რომელიც დაიბეჭდა („დროებაში“ 1880 წ.), იყო ეთნოგრაფიულის შინაარსისა სათაურით „მოხევეები და მათი ცხოვრება“*). გაზეთის „დროების“ რედაქტორმა ს. მესხმა ამის შემდეგ მიიწვია თანამშრომლად და მოკლე ხანში დაიბეჭდა ამ გამოცემაში პატარა მისი მოთხრობა „ციცკა“. ავტორის ნაცნობებმა ექვის თვალთ შეხედეს ფუქსავატის ცხოვრებით სახელგატეხილს ალექსანდრე ყაზბეგს და ყურადღება არ მიაქციეს. სახელი მოიხვეჭა მას შემდეგ, რაც „დროების“ ფელეტონებად დაიბეჭდა მისი გულის წარმტაცი მოთხრობა „ელგუჯა“. ამის შემდეგ, ექვის

*) ეთნოგრაფია და საერო პოეზია იქცევდა ა. ყაზბეგის ყურადღებას. მისი „სახალხო ლექსები მოხვეთა და მოხევის სიმღერები“ (ტფ. 1886 წ.) საუკეთესო ნიმუშია ქართულის საზეპირო შემოქმედებისა.

წლის განმავლობაში (1880 – 1885) ყაზბეგმა მეჭქმნა რაც კი შესამჩნევია მის ნაწერებში. 1885 წლიდან იწყება მისი დაუწყნარებელი ცხოვრება ბათუმს, ქუთაისს, თელავს. მის კალამი ველარაფერს ჰქმნის, სამაგიეროდ იგი განაგრძობს თეატრში მოღვაწეობას: თამაშობს, კითხულობს კუპლეტებს, ცეკვავს ლეკურს. ეს დრო არის მისი გონებითის და ზნეობითის დაცემის ხანა, რომელსაც თან მოჰყვა ჭკუაზე შერყევა და საგიჟეთში გარდაცვლა 10 დეკემბერს 1893 წ., სწორედ მაშინ, როდესაც საქართველოს ეფინებოდა მის ნაწერების ოთხ-ტომიანი გამოცემა. დასაფლავეს სამშობლო სოფელს სტეფანწმინდაში დიდის ამბით და გულწრფელის მწუხარებით. მის საფლავზე კ. ი. მუხრან-ბატონის ხარჯით ძეგლი დაუდგეს.

ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრება და მოღვაწეობა შეიძლება ორს ხანად გავყოთ. პირველს ხანაში იგი წარმოგვიდ-

გება არისტოკრატულის ოჯახის ბრწყინვალე წევრის სახით, ქონების მხრით უზრუნველ-ყოფილი, მდიდარის სოცოლოს მაძიებელი. იგი მიატანს მოსკოვს სწავლის წყურვილით გამხნე-ვებული, მაგრამ ჩქარა ამ მიზანს მიივიწყებს და გაებმის მაღალის წრეების ფუქსავატს ცხოვრებაში. მას შემდეგ, რაც მდიდარის ქალის შერთვის იმედი გაუცრუვდა, იგი ავანტიურა და სასომიხდილი დაბრუნდება სამობლოში. სახლში ხელს მოკიდებს სხვა და სხვა კომერციულს საქმეს, მაგრამ ვერც ერთში უნარს ვერ გამოიჩენს. ამ დროს ხან ტრიალებს დიდებულს საზოგადოებაში, ხან უბრალო მწყემსობას შეუდგება და ცხვრის ფარას მთა-მთა დასდევს. მეორე ხანა იწყება 1879 წი, როცა შესრულდა 32 წლისა. იგი სერიოზად იღებს ხელში კალამს. სთარგმნის პიესებს, სწერს ლექსებს და სთხზავს მოთხრობებს. მხოლოდ მოთხრობების და ამბების წერით მიიპყრობს საზოგადოების ყურადღებას. მისმა „მამის მკვლელის“ წაკითხვამ აღტაცებაში მოიყვანა გრ. ორბელიანი და ათქმევინა ღირს-სახსოვარი სიტყვები: „ქართველების ომიროს არის. შაბამ!“ ყაზბეგი ამგვარად გადიქვა მწერლად, რომელსაც თან

– 181 –

სდევს მატერიალური გაჭირვება და საშინელი სენი, – მიზეზი მის სულით დაავანტიურებისა. ლამაზი ვაჟკაცი, ქალების სათაყვანებელი, გახდა და მიმზიდველობა დაჰკარგა. პირადად უცნობი მკითხველი დარჩა მის ნიჭის თავყვანისმცემელი და ერთგული მკითხველი.

ა. ყაზბეგი ცნობილია ჩვენს მწერლობაში, როგორც რომანისტი, დრამატურგი და სალირიკო ლექსების პოეტი. როგორც რომანისტს ბადალი არ ჰყავს, მეტადრე მთიელი ხალხთა ყოფა-ცხოვრების აღწერაში. იგი დაჯილდოებული იყო შემოქმედებითის ნიჭით და მდიდარის ფანტაზიით: ბუნების სურათების დახატვა მისი შეუცილებელი სამფლობელო იყო, მოხვევთა შესწავლამ და პირადმა გამოცდილებამ აუარებელი მასალა მისცა სამხატვრო მოთხრობათა შესაქმნელად. თავის ხვედრის მიმოსვლას გაგვაცნობს იგი ავტობიოგრაფიაში (დაუბეჭდავია) და „ნამწყემსარის მოგონებაში“. ამ უკანასკნელს მოთხრობაში იგი გვიამბობს რამდენსამე ეპიზოდს თავის მეცხვარეობიდან. დიდი და პატარა გაკვირვებულნი იყვნენ, რომ გამოჩენილის კაცის შვილი უბრალო მწყემსად გადიქვა და ცხვარს სამოვრად დასდევდა. უცნობმა მეცხვარეებმა გული მოუკლეს, როცა პირდაპირ უთხრეს, რომ ყაზბეგის შვილი, სჩანს, „უხეირო ყოფილა, თორემ ქვეშეს პრისტავად იქნებოდაო“. მეორე შეხვედრა მისი ევროპელებთან მეტად საინტერესოა. ორი კაცი, წვერიანები და ევროპულად ჩაცმულები,

წამოადგა თავს. რუსულს მხოლოდ ამტვრევდნენ და სიტყვა შემოელიათ ლაპარაკში. იმათ უნდოდათ გაეგოთ, როგორ ათავსებდნენ მწყემსები იმოდენა ფარას მთაში, სად ჰყიდდნენ მატყლს და რამდენის ფუთის მოგროვება შეიძლებოდა. ა. ყაზბეგმა ვერ მოითმინა და ფრანგულად გასცა პასუხი. წარმოიდგინეთ იმათი გაშტერება, როდესაც უცნაურს და ველურს მთიელებს შორის, სადაც იმათ შეხედულობით სცხოვრობდნენ ბარბაროსები, რომელთაც ათზე მეტი თვლაც კი არ იცოდნენ, ერთბაშად უბრალო მეცხვარე, უბრალო მთის კაცი ფრანგულად

– 182 –

დაელაპარაკა! მათ გაკვირვება გაორკვცდა, როდესაც მეცხვარედ ჩაცმულმა ავტორმა ხუმრობით დაარწმუნა, რომ ჩვენში მწყემსები თითქმის ყველანი ლაპარაკობენ ფრანგულად. ეს ორი უცხოელი პირი იყვნენ – ინგლისელი და ფრანგი. შემდეგი თავგადასავალი ეხება იმ უსამართლობის აღწერას, რომელიც მწყემსებს ელის ყაზახების წყალობით ცხვრის გადარეკის დროს. ავტორს ამოირჩევენ სახელგანთქმული მწყემსები „ნამგალად“ (ამხანაგად), რადგან რუსული ენა იცოდა და მთავრობასთან მცველობას გაუწევდა. ბევრჯელ მოუხდა ა. ყაზბეგს შეტაკება ყაზახებთან, რამდენიმე შემთხვევა გაგვაცნო „ნამწყესარის მოგონებაში“.

პირველი ორი მოთხრობა „ელგუჯა“ და „მამის მკვლელი“ შინაარსის მხრით ეკუთნიან იმ დროს, როდესაც საქართველოში შემოვიდა პირველად რუსის ჯარი. მთის ხალხმა ვერ შეიწყნარა ახალი წესწყობილება, მამულის და თავისუფლების სიყვარულმა აამხედრა რუსეთის მთავრობასთან საბრძოლველად. მთიელები გამოვიდნენ მამა-პაპეულთ ზნე-ჩვეულებათა მცველად. მათ განიზრახეს ქონების, ცოლ-შვილის, სიცოცხლის განწირვა სამშობლოს გულისთვის. ამგვარს აზრს წარმოათქმევინებს ავტორი სვიმონას, უმწიკვლო გმირს იმ მოთხრობისას, რომელსაც „ელგუჯა“ უწოდა. მთიელები მიემხრნენ ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელიც არ შეურიგდა რუსების საქართველოში დამყარებას, გაიქცა სპარსეთს და იქიდან აქეზებდა თანამემამულეებს თავისუფლების მოსაპოვებლად. ამ დროს შესდგნენ ძმად გაფიცულთა წრენი, რომელნიც დეკანოზების თანადასწრებით დროშების წინაშე აღთქმას სდებდნენ უკანასკნელს სისხლის წვეთამდე გმირულად ებრძოლათ მტერთან და მოწინააღმდეგესთან. ელგუჯა და მათია ამგვარი გაფიცულები იყვნენ. ფიცს ძალა აქვს იმ შემთხვევაშიც, როცა ქალის მოტაცება აქვთ განზრახული, ან მისი პატივის დაცვაა საჭირო. თვით ქალიც შეუდრეკელი გმირია პატიოსნებისთვის ბრძოლაში. იგი გამოდის შეიარაღებუ-

ლი როგორც პირადის ინტერესის, აგრეთვე სათემო საქმის გასაძღვლად. მას ეკუთნის შუამავლობა გასწიოს ორის გააფთრებულის გვარის შეტაკებაში სისხლის ასაღებად. ასეთია, მაგალითად, ციცია ამავე სახელის მოთხრობაში. ქალის სილამაზე და სიფაქიზე საერთოდ შეადგენს მოხვევთა ლექსების შინაარსს. სატრფოს გაცვლა და ღალატი შეუწყნარებელს გაკიცხვას იწვევს იმავე ლექსებში.

მოქიშპე გვართა შერიგებას მოჰყვება ხოლმე შეურყეველი და მტკიცე მეგობრობა, როგორც ძმად გაფიცვას ეკუთნის (მაგალ. რომანში „მოძღვარი“). რა უმწიკვლო გმირია, სანდო და უშიშარი მთის ვაჟკაცი, პოეტურის გრძნობით დაჯილდოებული, ამას მოწმობს „ელგუჯა“. მათია ძმად გაიფიცა ელგუჯასთან, ამიტომ პირველის გულში გაღვიძებული გრძნობა მეორის სატრფოს მზალოსადმი უნდა ჩაიფერფლოს და ჩაკვდეს. სანთელივით დნება სიყვარულისაგან მათია, მაგრამ დამძობილების მოვალეობა ამ გრძნობას ფრთებს აკვეცავს გასახორციელებლად, ენას უბამს და მზალოსთან გამომჟღავნებას სასტიკად უკრძალავს. სიყვარულის მონად ხდება შეუდრეკელი ვაჟკაცი და ამ გრძნობას ველარც ბუნების სიდიადე და სიმშვენიერე აყუჩებს.

„ცხვარი ძოვნიტ მიდიოდა წინ და ჰშორდებოდა მწყემსს (მათიას), რომელიც ისევ იმ ადგილს გაუნძრევლად იდგა და ერთის ალაგისთვის მიექცია თვალები, საკვირველი იყო, რომ, ყოველთვის მუყაითი მათია, განთქმული მწყემსი, რომელიც ერთს ბიჯსაც არ მოჰშორდებოდა თავის საქონელს, დღეს ასე ჩაფიქრებულიყო და მისციებოდა ერთს ალაგს. იქმნება ის გაიტაცა ბუნების მშვენიერმა სურათმა, რომელიც იმის თვალწინ იხატებოდა? არა, ის იმ დროს არც იმ ამაყად აყუდებულს მთებსა ჰხედავდა, არც მშვენივრად გადაფენილს ტყეებსა, არც ნაჩხატებს, რომელიც ჩხრიალით თეთრ რძესავით ქაფდებოდა, გადმოდიოდა კლდეებიდან და ათას წინწკლებად იფანტებოდა, არც მწვანედ მოდებულს ველებს, რომელიც ათას ფერის სურნელოვან ყვავილებით შეემკო ბუნებას. მაშ რა უნდა ყოფილიყო იმ

ჟამად ისე მიმზიდველი და გამტაცებელი იმის გონებისა? – ეს რამდენიმე დღეა, რაც იმას ეს ჩვეულება დასჩემდა და ჯერ თითონაც კარგად ვერ გამოერკვია, რა მიზეზი იყო ამისა, თუმცა ყოველ ამ დაფიქრებასთან ერთად თვალწინ წარმოუდგებოდა ხოლმე მდიმარე სახე მშვენიერის ქალისა, რომელიც თავის ჟუჟუნა თვალებით, მათიასავე უნებურად, იზიდავდა იმის გონებას, სანამ თავ-დავიწყებამდის არ მიიყვანდა... ვისი იყო ის სურათი, რომელმაც ისე მაგრად შებოჭა მათიას ქვის გული? ის გახლდათ ლამაზი ჩერქეზის ქალი, ელგუჯას

სატრფო, რომელიც მათიას უნებურად სოლსავით ჩაჰსჯდომოდა გულში“.

მოთხრობა „ელგუჯა“ წარმოადგენს იმ დროის აღწერას, როდესაც რუსების ადმინისტრაციის ძალდატანებით თემს ეკარგება თავის გავლენა და მნიშვნელობა. რამდენიმე სცენა ამ რომანიდან ჯერ კიდევ გვიხატავს თემის ავტორიტეტს. ელგუჯას ბრალი ედება, რომ მან მოჰკლა გაგი. მის სისხლი უნდა აიღოს სვიმონ ჩოფიკაშვილმა და ჩივის თემის წინაშე. თემის უფროსი კაცები შეიკრიბნენ, რომ სისხლის სამართალი გადაეწყვიტათ ელგუჯასა და სიმონისთვის. კრების მოლაპარაკება და სჯა გაგვაცნობს თვით რომანის შინაარსს. ყველანი ჯოხებით, – ამბობს ავტორი, – თმა-წვერ გათეთრებულები, ისხდნენ სკამებზე და დამშვიდებულ-დარბაისლურად სჯიდნენ ამ სამწუხარო შემთხვევას. ერთი, ყველაზე უფროსი, ასრულებდა თავმჯდომარის მოვალეობას და დანარჩენები ისეთის კრძალვით და პატივისცემით ეპყრობოდნენ იმას, რომ კაცი გამტერებული დარჩებოდა. იქ იყვნენ მოწმეები, მოჩივარი სვიმონ ჩოფიკაშვილი და ელგუჯას შორეული მოკეთეები, იმის მხრით მოლაპარაკენი. სამ-სამი, ოთხ-ოთხი კაცი, თითქოს ცალ-ცალკე კრებას შეადგენდა და ჩუმად სჯიდნენ, ლაპარაკობდნენ გასარჩევ საქმეზე; მოხუცი თავმჯდომარე წამოდგა, მოიხადა ქული, წყნარი პირჯვარი გადაიწერა და სთქვა: სმენა იყოს და გაგონება!

ერთბაშად ყველანი წამოდგნენ და ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ კაცი ბუხის გაფრენასაც კი გაიგონებდა. – ხალხნო და ჯამაათნო!

- 185 -

თქვენ ყველამ იცით, რაისთვისაც ხართ აქ შეყრილი. ორი მოსისხლე გვარი უნდა გაასამართლოთ... თუ ერთ-ერთი მხრის ან მოწინააღმდეგე ხართ, ან მოკეთე, მოშორდით თემის ყრილობას. კაცის გული რბილია! მიდგომ-მოდგომით არ წარმოსთქვათ... თორემ ცოდოა... ხალხის წინაშე სირცხვილი... საიქიოს ჯოჯოხეთი ერგების იმას. ვინაა ეგეთი, – გაგვშორდით! ვინაა ეგეთი, – გაგვშორდით! ვინაა ეგეთი, – გაგვშორდით!..

ამ სიტყვების შემდეგ რამდენმამე კაცმა დაიხურა ქული და ვიდნენ საბჭოდგან. ამას შემდეგ მოხუცმა ისევ დაიწყო: ღმერთო დიდებულო, ღმერთო! ხევ-მთიულეთის ჯვარ-ანგელოზნო! თქვენ წინაშე აქა ვართ შეყრილი თემის ხალხი... თქვენ მოგვეცით ძალა და ჩაგვაგონეთ, რომ უგუნურობით უსამართლობა რაიმე არ მოვახდინოთ!

– ამინ, შენს მადლსა! – დაიმახეს დანარჩენებმა.

– და თუ ჩვენში გამოვიდა ვინმე ისეთი, რომ მიდგომით სიტყვა დახარჯა, სწორე ჩვენება არ მოგვცა, რაიმე დამალა, – თქვენი რისხვა გააყოლეთ შვილის შვილამდე.

– ამინ, შენს მადლსა! – კიდევ იყო ხალხის პასუხი.

– ისეთი კაცი გამოაკლე ტოლ-სწორებს, აცოცხლე დიდხანს, მაგრამ სამასხაროდ გაჰხადე, მოსვენებას ნუ მისცემ!

– ამინ, შენს მადლსა! – აბა ახლა კი დასხედით, თქვენს ღმერთს შეჰხედეთ, თქვენს სულს გაუბრთხილდით, დაფიქრდით და ისე თქვით!

ხალხმა დაიხურა ქულები და მშვიდად დალაგდა.. ყველას პირის სახეზედ ეტყობოდა განსაკუთრებით დაკვირვება თავიანთ მოვალეობაზედ და ესმოდა კარგად, რა მნიშვნელობაც ჰქონდა იმათ სიტყვებს მთელის ორი საგვარეულოსთვის.

პირველად გამოიწვია თავმჯდომარემ სვიმონ ჩოფიკაშვილი, როგორც მოჩივარი. სვიმონ გავიდა შუა ადგილს, მოიხადა ქუდი, დაიჩოქა ცალ მუხლზედ და დაიწყო თავისი საჩივარი, რომელშიაც გამოიხატა გაგის სიკვდილის მიზეზი, ამტყუნებდა ელგუჯას და ითხოვდა გასამართლებას. იმის შემდეგ გამოიწვიეს ელგუჯას შორეული

– 186 –

ნათესავები, როგორც დამცველები იმის გვარეულობის ინტერესისა. ისინიც, როგორც სვიმონ, ისე გავიდნენ შუა ადგილას, დაიჩოქეს და ამტკიცებდნენ, რომ ელგუჯას ხელით არ იყო მოკლული გაგი და სისხლის ძიება ამ შემთხვევაში არ ეკუთნოდა ჩოფიკაშვილებს.

როდესაც ორისაც მხრისაგან მოისმინეს ჩვენება, თავმჯდომარე ისევ წამოდგა და საჭიროდ დაინახა რამდენისამე სიტყვის წარმოთქმა. – ხალხნო, სმენა იყოს და გაგონება! დღეს ჩვენ ისეთი დღე მოგვადგა, რომ ჩვენ თითონაც ვეღარ გაგვიგია, რაი ჭირი დატრიალდა?! ალა მაჰმადის დროსაც არ გვექონია ეს გაჭირვება... გეხვეწებით ამ მოხუცის თავით, უბრთხილდით ერთმანერთს, უბრალოდ მტრობას უბრთხილდით! იქნება ხვალ და ზეგ ეგეთი დღე დაგვადგეს, რომ თითოს თავი ათასად დაგვიფასდეს... მშვიდობიანობას ეცადეთ, თქვენი ჭირიმეთ, მშვიდობიანობას!

ამ სიტყვების შემდეგ გამოიწვიეს მოწმეები, რომელთაც ჩამოართვეს ჩვენება. მერმე დაიბარეს მზალო, როგორც ერთი უმთავრესი მოწამე, რომლისაგანაც გაგება უნდოდათ – ძალით იყო გატაცებული, თუ ნებით გაჰყვა თავის საქმროს. მაგრამ ქალი ვერ დააჯერეს და იმის საკითხავად ორი კაცი გაგზავნეს, რომელთაც მოიტანეს შემდეგი პასუხი: ის ქალი ამბობს, რომ თავის ნებით გაჰყვა, უყვარდა და იმისთვის; ღვთისგან იმედი რომ არა ჰქონდეს ელგუჯას გადარჩენისა, მაშინ ის თავს მოიკლავდა, რათა საიქიოსაც კი იმას არ მოჰშორებოდა.

ამ პასუხი შემდეგ ბჭეების მეტი ყველანი დაითხოვეს და დაიწყეს განსჯა და აწონა ყველა ჩვენებისა და გაგონილისა. რაკი მოსამართლენი მარტოკა დარჩნენ, ისევ დაიყვნენ ჯგუფებად და იწყეს ერთმანერთში მოლაპარაკება. მერმე შეგროვდნენ ისევ, უხუცესმა დაიჭირა თავისი ადგილი, სხვები უფროსობით ჩამოწკრივდნენ გვერდით და უფროსობითვე დაიწყეს თავიანთის აზრის წარმოთქმა. ასე რიგად გასტანა რამდენიმე საათმა, რომლის შემდეგაც დაიბარეს მოჩივარ-მოპასუხის მხარე თემის ყრილობის გარდაწვევტილების გამო-საცხადებლად, როდესაც ისინი შემოვიდნენ და ადგილი დაიჭირეს, უხუცესი წამოდგა და უთხრა მოჩივრებს შემდეგი:

თქვენის თხოვნით და სურვილით ჩვენ შევიყარენით აქ თემის

კაცი და რაიცა უფალმა გვაგონა, ისე გავასამართლეთ. ჩვენი გარდაწყვეტილება უნდა მტკიცედ ასრულდეს თქვენგან და, თუ ვინმე მოინდომოს თემის გაუგონრობა, ის გაგდებულ იქმნების თემისაგან, აღარ ჩაითვლების ჩვენ სისხლად და ხორცად; აღარც ექმნების ადგილი ჩვენ კერასთან. უნდა დაიფიცოთ ამაზდ!

– რაისთვის არა დავიფიცავთ!.. თემის სიტყვა საით გატყდების! – უპასუხეს მოჩივრებმა.

– შემოიყვანეთ დეკანოზები, – ბრძანა თავმჯდომარემ. ამ სიტყვებზედ შემოვიდა ორი დეკანოზი, რომელთაგანაც ერთს ეჭირა ხელში მერდინის დროშა, რომელზედაც ასხმული იყო სხვადასხვა სიდიდის ხატები, ჯვრები, ზარები და სხვადასხვა შეწირული ნივთები, მეორესაც – ვერცხლის ჯვარი მერდინშივე შეხვეული. იმათ შემოსვლაზედ ყველანი ფეხზედ წამოდგნენ და ქუდები მოიხადეს. დეკანოზები მივიდნენ და დადგნენ უხუცესის აქეთ-იქით. ყველანი რომ დამშვიდდნენ, ისევ უხუცესმა დაიწყო პირველი სიტყვა:

– მოდით, დაიფიცეთ. მოჩივრები მივიდნენ, პირჯვარი დაიწერეს, მუხლი მოიყარეს და ხელი მოჰკიდეს დროშას.

– ღმერთო დიდებულო! – დაიწყო ერთმა დეკანოზმა, – ღმერთო, ივანე ნათლის-მცემელო, წვერისა სპარსთა-ანგელოზო, ხევის სამებაო, ღუდის ყოვლად-წმიდაო, ლომისის მთავარ-მოწამეო, შენი მადლი შეაწიე ამ ხალხსა!

– ამინ, შენს მადლსა! – იყო პასუხი.

– შენ არიდე შფოთი და მწუხარება, შენ ჩამოაგდე ამის შემდეგ მშვიდობიანობა ჩვენს თემობაში!

– ამინ, შენს მადლსა!

– საშვილიშვილოდ გააყოლე შენი წყალობა საქართველთს ერთგულსა, თემის პირის შემნახსა, ძმა-ნათესავის გამტანსა, საწყალის შემბრალელებელსა, მშვიდობიანობის დამთესსა!

– ამინ, შენს მადლსა!

– თემის პირის გამტეხს კი, ნათესავის დაუნდობელს, მამულის და მეფის მოღალატეს ნუ მისცემ ნურსად მოსვენებას!

– ამინ, შენს მადლსა!

– ნუ მისცემ ამისთანა კაცს ნურც სახლს, ნურც თავშესაფარს, ნურც კერას, ნუ მოაკვლევინებ ნადირს, ნუ გაამარჯვებინებ მტერზედ!

– ამინ, შენს მადლსა!

– აბა ემთხვეით ხატებს! – გაათავეს დეკანოზებმა და დააჟღერიალეს ზარები. ხალხი, რომელიც აქამდის დაჩოქილი იდგა, ეხლა წამოიშალა, მოჩივრები კრძალვით და მოწიწებით ემთხვივნენ დროშას, ჯვარს და დაიჭირეს ისევ თავიანთი ადგილი.

უხუცესი (თავმჯდომარე) წამოდგა და კრების შემდეგი გარდაწვევითილება გამთაცხადა: ელგუჯამ მართალია ქალი გაიტაცა და ამითი სირცხვილი მიაყენა ჩოფიკაშვილის სახლს, მაგრამ ძალადობა არ

უხმარია, და ქალი თავისის ნებით წაჰყოლია. გაგი შეჰხვედრი წინ და თავისის სახლის პატავის დაცვისთვის შეჰბმია ელგუჯას, და იმასაც თავის ამხანაგებით თავიანთ თავის დასაცველად იარაღი უხმარია, რომლის შედეგიც რამდენისამე კაცის სიკვდილი ყოფილა. ელგუჯას გაგის ცხენი დაუჭრია და ამ მიზეზით გაგი გადავარდნილა კლდეზედ და დამსხვრეულა. მერე რუსის ჯარებს დაუხოცნიათ ელგუჯას ამხანაგები, თითონ ელგუჯა მძიმედ დაუჩეხიათ და ქალი წაურთმევიათ. ჩვენ ჩვენის გონებით, ჩვენის ჭკუით გავასამართლეთ ეს ხალხი და გადავწყვიტეთ: რადგანაც გაგის ამაღლაში დახოცილები ორი ყოფილა ჩვენებური, ელგუჯას ამხანაგების სიკვდილი იმათ სისხლშია. გაგის კლდეზედ გადავარდნა არ არის პირდაპირ ელგუჯას ხელით სიკვდილი, და სისხლი არ ეძიება ამისთვის. ამის სამაგიეროდ ელგუჯას ჩამოერთოს მამული და მიეცეს სვიმონ ჩოფიკაშვილს... სვიმონმა თავის მხრით გაიღოს ელგუჯას სააქიმო. ელგუჯას ნათესაობა, თემის კაცების დასწრებით, მოვიდეს ხართა და ლუდით გაგის საფლავზედ შესახვეწად. ქალი დარჩეს სვიმონს, როგორც ნასყიდი, და, თუ ელგუჯამ წაყვანა მოინდომა, ურვადად გადაგვიწყვეტია ორმოცი ძროხა. ამის შემდეგ ელგუჯას და სვიმონის გვარეულობაში ჩამოვარდეს ძმობა, მეზობლობა და სიყვარული. ეს სიტყვები ყველასაგან მიღებული იყო წესიერის მორჩილებით და მასუკან გაიშალა „სიფრო“.

ეს ძველი წეს-წყობილება, სამართალი და ხალხის ზნე-ჩვეულება რყევაში მოდიოდა, როცა რუსის ჯარი გადმოდგა

– 189 –

საქართველოს საზღვრებში და მთიელნი გაიფიცნენ თავისუფლების დაცვისათვის. მშვენივრად არის დასურათებული ის შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა მოულოდნელად საქართველოში მეფობის მოსპობამ, როდესაც რუსეთის ხელმწიფეს სთხოვდნენ მხოლოდ მფარველობას და არა ქვეყნის დაჭერას. ელგუჯა იმ გაფიცულთა გუნდშია, რომელმაც გზა უნდა შეუკრას რუსის ჯარს. იგი უკვე შეურიგდა მომაკვდავს სვიმონ ჩოფიკაშვილს, რომლის ცოლის წინაშე მუხლს მოიდრეკს და შვილობილად შეწყნარებას მოითხოვს. იგი სამჯერ დაადგამს ქალს ძუძუზე კბილს, წარმოსთქვამს ლოცვას და აღსარებულ იქნება ერთ-სულად და ერთ-ხორცად. სვიმონი ახალის ძმად მიღებულის ელგუჯას სასარგებლოდ უარს იტყვის იმ მამულზე, რომელიც თემმა მიუსაჯა გაგის სისხლის ფასში. გუშინდელი მოსისხლე მტრები გადიქცნენ დღეს ერთგულს და ერთსულს ძმებად.

ამ მოთხრობაში იმდენი ძვირფასი სურათია საქართველოს ბუნების დასახატად, იმდენი საუცხოვო სტრიქონებია ზნე-ჩვეულების და მეტადრე სულის მოძრაობის გასათვალისწინებლად, რომ შეუძლებელია მათი ამოწერა. მხოლოდ ერთს ადგილს მოვიყვან, რომელიც მოწმობს ავტორის ფსიხოლოგიურის დაკვირვების ნიჯს და უნარს.

მშვენიერი საღამო, ნათელი მთვარე, მშვენიერი ბუნება იზი-
დავდა კაცს განმარტოებულის ოცნებისთვის. მათია გამოვიდა საიასა-
ულოდგან, წყნარად გაიარა მინდორი და მივიდა არაგვის პირს, რომე-
ლიც თავის ჩხრიალით თითქოს უალერსებს დაძინებულს ბუნებას. ეს
ხმა ამ მყუდროებაში ისე უალერსებდა, ისე უყვავებდა მათიას, რომ
იმის რკინის გული მოაღბო და აღუძრა ათასგვარი ფიქრი, ერთ-
ერთმანეთზედ სასიამოვნო, ერთი-მეორეზედ სანატრელი, შეუძლე-
ბელი. ის შევიდა ოცნებაში და წარმოიდგინა თავისი თავი ბედნიე-
რად, რომელსაც ალერსით ახარებდა მზალო იმ წუთებში. ის დარ-
წმუნებული იყო, რომ ამ ქალს მარტო ის უყვარდა, მარტო იმაზედ
ჰფიქრობდა და ქვეყანაზედ არაგვისზედ გასცვლიდა იმას!.. ის თავის

- 190 -

ოცნებამ იქამდინაც კი გაიტაცა, რომ საყვარელი ქალი მთელის თა-
ვის მშვენიერებით თვალწინ წარმოუდგა. ის ხელსა ჰკიდებდა ნახ
ტანს, შეჰყურებდა მშვენიერს ჟუჟუნა თვალეზში და პირი ისე ახლოს
მოეტანა, რომ თითქმის სუნთქვასაც ჰგრძნობდა. მათიას თვალწინ
ეხატებოდა გიშრის ფერი თმები, რომელიც ქარს გაეწეწა, წყნარად
არხევდა, ჰხვდებოდა იმის პირი-სახეს და სასიამოვნო ღუტუნით ნე-
ტარების მღელვარებას აღუძრავდა... ის ნიავის მსგავსის ჩურჩულით,
სავსე კრძალვით და უმანკოებით წარმოსთქვამდა ფიცს სამუდამო სი-
ყვარულზედ და ერთგულობაზედ...

მთიელი სიყვარულის მოტროფიალეა. ერთხელ გულში ჩა-
წვეთილი გრძნობა ზვავდებდა შეუდრეკელის ძალით. სატრფოს
გაცვლა და დავიწყება მისთვის შეუძლებელია. მთაში ამ გრძნო-
ბას გაუთანასწორებია მდიდარი და ღარიბი.

ციციამ *) შეიყვარა თავის მამის მწყემსი ბეჟია. მდიდარია
ციციას მამა და ქალს არ მისცემს საწყალს მწყემსს. მაგრამ
ციცია იმის მეტს არავის გაჰყვება და ჩააგონებს ბეჟიას მოტა-
ცებით შეირთოს იგი და ამრიგად ბედნიერებას ერთად დაე-
წაფნენ. ბედმა უმტყუნა ციციას და ბეჟიას. ქალი გაიტაცა
ჩაჩანმა, რომელმაც სატირალზე ნახა იგი და გაიმსჭვალა ტრფი-
ალებით. ის ეუბნება ციციას: „ხელებით რომ შემოიკარ ემ
ლოყებზედ, მაშინ დავიფიცე შენი თავი, რომ სწორედ მაგ
ადგილს მე უნდა გაკოცო“. მაღალი ზნეობითი ღირსება მთი-
ელთა სწორედ ის არის, რომ ქალის პატივისცემა იციან და ძალ-
დატანება ანუ შეურაცხყოფა მათში მოუხერხებელია. ამიტო-
მაც გაიგებს რა ციციას მომტაცებელი, რომ მას სხვა უყვარს
და სხვისთვის უცემს გული, რჩება მის ძმობილად და განუ-
ყრელს მეგობრად. ჩაჩანი მოსძებნის ბეჟიას, რომ ამ უკა-
ნასკნელს ჩააბაროს ციცია უვნებელი და უცოდველი. მაგრამ
ბეჟიას მათ დანახვაზედ თვალეზი აენტება და იარაღს იძრობს
ქალის შეურაცხმყოფელის გასათავებლად. სისხლის ღვრა აუ-

*) მოთხრობა „ციცია“.

ცილებელი იყო, რომ ამ შეტაკებაში არ ჩარევოდა ციცია და თავის მანდილი არ გაეშალა მოქიშპეთა შორის. მანდილს კი მთიელი ვერ გადააბიჯებს და ამოდებული იარაღი ისევ ქარქაშში უნდა ჩააგოს. მანდილის პატივისცემა და მნიშვნელობა მოსისხლე მტერთა შეკავებაში ბევრჯელ აქვს ავტორს აღნიშნული.

ერთი გულთან მისაწდომი ნაწერთაგანი არის მისი „მოდვარი“, რომლის შინაარსი შორეულად წააგავს საფრანგეთის რომანისტის ვ. ჰუგოს თხზულებას (*Misérables*). მსგავსება გამოიხატება სულიერის მამის კაცთმოყვარე სურათის გამოხატვაში. გმირებიც უბედურნი არიან, როგორც ჰუგოს *Misérables*. მშვენიერს მაყვალას ათხოვებენ გელა გოდერძაშვილზე, ფასანაურის დიამბეგთან იასაულად მყოფზე. მაყვალას სძულს თავისი ქმარი, თუმცა მას სოფელში უჭირავს თვალსაჩინო ადგილი, როგორც მდიდარს და რუსულის ენის ცოდნით გავლენიანს ადამიანს. ცოლ-ქმრის შეუთანხმებელის ცხოვრების გამორკვევა ითავა თვით სოფლის ყრილობამ. აქ აღმოჩნდა, რომ მაყვალა ძალით იყო გათხოვილი გელაზე. თემის გადაწყვეტილებას რუსების დროს მნიშვნელობა ეკარგება და გელა „კანონის“ ძალით ცოლს უკან იბრუნებს. მაყვალა უნებურად დარჩა ქმართან, მაგრამ გული ისევ მწყემსის ონისეთვის უცემს. დიდი ხანი გავიდა, რაც ერთმანერთი არ ენახათ მათ, და ერთს საღამოს ონისემ გაბედა დაუვიწყებელის სატრფოს სახლში მისვლა. გელა გაუმასპინძლდა, ლექსების სიმღერით და ფანდურის დაკვრით შეაქცია. ონისემ მოასწრო მაყვალასთან ორიოდ სიტყვის საიდულოდ თქმა და დარწმუნდა, რომ ქალს ისევ უყვარს იგი უცვლელად. მაგრამ ზნეობის დაცვის მოვალეობა ნებას არ აძლევს მაყვალას უღალატოს ქმარს. ონისემ გადასწყვიტა გაეყიდნა ცხვარი და გადახვეწილიყო სხვა ადგილას. უფროსები აგონებენ, სთხოვენ არ დასტოვოს სამშობლო, მამა-პაპათა ძვლები, მაგრამ ონისემ გადასწყვიტა მოიტაცოს მაყვალა და მოშორდეს გელასთან შე-

ყრას. ამ განზრახვის აღსრულებამ გამოიწვია შეტაკება გელას და ონისეს შორის. უკანასკნელი დაიჭრა, ხოლო მაყვალა იმავე ღამეს სახლიდან სადღაც გაიპარა. დროებითი ბინა ქალმა იპოვა მამა ონოფრესთან, რომელიც ცხოვრობდა გამოქვაბულში განდეგილად. მისი კეთილი გული და ხალხისთვის თავდადებული მოღვაწეობა გათქმული იყო მთაში. თოვლში ჩაფლული მაყვალა, რომელსაც სოფელმა „სამანი“ დაუსვა, ესე იგი

დასწყევლა ის, ვინც მას დახმარებას აღმოუჩენდა, მამა ონოფრემ გამოაცოცხლა და ექიმობის ცოდნით მოუარა საწყალს ქალს. ამან უამბო თავისი გარემოება და ითხოვა წმიდა კაცისაგან შენდობა. მაყვალა გახდა მისი თანაშემწე წამლების მომზადებაში და ხალხისთვის სამსახურში. ერთხელ, როცა წმ. მამა სახლში არ იყო, ვიღაც მიუახლოვდა მის სადგომს და უცებ განშორდა მას; მოისმა მხოლოდ ქარის სტვენა და ქალის წივილი. დაბრუნებულმა ონოფრემ მაყვალა ნახა მოკლული. ვინ მოჰკლა იგი, გელამ თუ ონისემ, დარჩა გამოურკვეველი. გავიდა დრო და ამ წმ. მამას გაენდო ჭკუაზე შერყეული ონისე და განუწყვეტლივ იმეორებდა მაყვალას სახელს. ონისე მას უკან მოძღვარს აღარ უნახავს, მაგრამ თვით კი გაება უსიამოვნო ამბავში: გელამ მას დააბრალა მაყვალას მოკვლა მთავრობის წინაშე. ონოფრე სასამართლომ იცნა მაყვალას მკვლელად: ონისე მას ვერ მოჰკლავდა, რადგან ქალაქიდან აღმოჩნდა, რომ იგი გარდაიცვალა ამ მკვლელობაზე ადრე, ვერც გელას დააბრალებდნენ, რადგან ამ დროს იგი ყოფილა წასული ტფილისში ჯილდოს მისაღებად. ონოფრეს მეტი მაყვალასთან არავინ ყოფილა დაახლოებული და ამიტომაც იგი გამტყუნებულ იქმნა და გაგზავნილ ციმბირში. ამ საშინელმა გადაწყვეტილებამ ხალხი ააღელვა. შეიკრიბა იგი დეკანოზის მეთაურობით. დროშები შეანძრიეს და ზეცის წყევლა-კრულვა მოუწოდეს იმის თავზედ, ვინც მოჰკლა მაყვალა. მკვლელებს დაესწრო ამ კრებას, ვერ აიტანა წყევლა და გამოცხადდა: იგი იყო ონისე. გელამ ვერ მოითმინა და გაცე-

- 193 -

ცხლებულმა ხანჯალი ჩასცა გულში უიარაღო ონისეს. ამ საქციელისთვის ხალხმა გელას ჩაქვავება გადაუწყვიტა. მაყვალას საქმე გაირჩა მეორედ და მამა ონოფრე გაამართლეს. მაგრამ ამ ამბავმა ველარ მიუსწრო მოხუცს, – მან უკვე განუტევა სული.

ხევის ბერი გოჩა, მოთხრობაში ამავე სახელით, დასურათებულია ხალხის მეთაურად, რომელიც ნუგზარ ერისთავის დროს ჰკრებს საზოგადოებას გამოსარკვევად, რა წინააღმდეგობა გაუწიონ ნუგზარს, მოხევეთა მტერს. გოჩა ურჩევს შეუერთდნენ საქართველოს მეფეს, რომ განმტკიცებულის ძალით გაუმკლავდნენ ნუგზარ ერისთავს.

რომანი „ელისო“ შეეხება ჩაჩანთა ცხოვრებას. როდესაც მათ ძალდატანებით ასახლებდნენ კავკასიიდან ოსმალეთში. შამილის ნაიბი, განთქმული ანზორა, რომელმაც შესწირა თავისუფლების დაცვას სამი ვაჟიშვილი, მოხუცებული და ძვრდომილი, ერთის ქალითდა, ელისოთი, ეთხოვება ძვირფასს

სამშობლოს. შესავალი ამ მოთხრობისა საუცხოვო სურათია:

მშვენიერს დაცემულს მინდორზედ, ვლადიკავკაზის მახლობლად, მოჩანდა ალყად შემორტყმული ურმები, გაჭედილი სახლის ავეჯეულობით. ამ ალყის შუა აქ-იქ გაჩაღებულს ცეცხლებზედ ჩუხჩუხებდა ქვაბები, რომლებსაც მიჰსხდომოდნენ მოხუცებული დედაკაცები და საჭმელს ამზადებდნენ. იქვე მიმსხდარიყვნენ დანარჩენი მოხუცი ხალხი და გაჩუმებულნი ყალიონს სწევდნენ. იმათი მხნე და გმირული, თუმცა დაღონებული, სახე ცეცხლის შუქზედ რაღაცა საოცნებო სურათს წარმოადგენდა. ყმაწყილი ხალხიც, ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი, თუმცა სცდილობდა ერთმანერთის გამხნევებას, გამხიარულებას, მაგრამ იმათი დაფიქრებული სახე ისევ ისე გაუღიმებლად რჩებოდა. აქ იყო რაღაცა იდუმალი სიჩუმე, რაღაც იდუმალი სევდა; რომელიც ნება-უნებლივ სიტყვას აწყვეტინებს და ხმას აკმენდინებს კაცს. ხანდისხან ისეთი წუთებიც შეჰხვდებოდათ, რომ თვით სუნთქვაც შეუწყდებოდათ და ასე, სამარის მსგავს სიჩუმეში რჩებოდნენ რამოდენიმე ხანს. საღამო იყო ჩინებული, თბილი, ერთი იმისთანა

– 194 –

საღამოთაგანი, რომელსაც კაცი ნეტარებაში შეჰყავს და სიამოვნების ნექტარს აღუძრავს ყოველის ძარღვის ხვეულში. როგორც ბუნებით მხნე, ისე მხიარული ჩეჩნები, დღეს გაჩუმებულიყვნენ ისე, როგორც ქარიშხლის წინაჲ ჰაერი, რომელიც ემზადება ამ სიმშვიდიდგან ერთ-ბაშად გრგვინვად გარდაქცევას... აქამდის კიდევ აქა-იქ მოისმოდა თითო-ოროლა სიტყვა, ეხლა ისიც შესწყდა და ჩამოვარდა სრული სიჩუმე. ამ საიდუმლოებით სავსე სიჩუმეში, რომელიც მკვდართ სამფლობელოს მოგაგონებდათ, ერთბაშად გამოისმა ჭიანურის წყნარი ხმა და მას მოჰყვა წყნარივე ზუზუნი. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა ხმა იყო ის! აშკარადა სჩანდა, რომ ეს ხმა სწვდებოდა გულის საძირკველიდგან, რომელიც ენთებოდა, სდუღდა, სწვავდა მთქმელს და გამგონს!... იფანტებოდა შორს, შორს მინდორზედ, სადაც მსუბუქს ნიავს მიჰქონდა ყოველ ხესთან, ყოველ ბუჩქთან, ყოველ ბალახთან და, რა მიეკარებოდა, თითქოს იქამდის ძლიერად აგრძნობინებდა თავის ძალას, რომ მთლად აათრთოლებდა. ჩქარა ზუზუნი ერთის კაცისა გადაიქცა საერთო ზუზუნად, რადგანაც იმას ხმა მოსცეს სხვებმა და მთელი ეს ადგილი მოიფინა მტანჯველ სევდიან გოდებით და გმინვით. ეს ხმა, უსიტყვოდ აღმომხდარი იმათ პირიდგან, ისეთ წარმოუთქმელ სატანჯველს გამოსთქვამდა, რომ სიტყვებზედ ერთი-ათად მეტს გაგრძნობინებდათ, მეტად გივსებდათ სევდით და ნაღველით გულს, ნება-უნებლივ თანაგაგრძნობინებდათ იმათ უბედურებისათვის. თქვენა გტანჯავდათ, გაწუხებდათ ეს ხმა, მაგრამ ყური ვერ მოგეშორებინათ. ეს იყო უკანასკნელი გამოსალმება სულთ-მოზრძავის შვილისა, რომელიც სამუდამოდ ეთხოვებოდა თავის საყვარელს მშობელს, რომელთან ალერსს უსპობს შეუბრალებელი და შეუწყალბელი უსამართლო ძალა! ეს იყო გოდება სანატრელთან დაშორებულისა, რომელიცა ჰგრძნობდა, რომ უიმისოდ ვეღარ იხარებს, ვეღარ იცოცხლებს!.. ეს გმინვა, ეს ოხვრა, ეს გოდება მით უფრო მწარედ გეჩვენებოდათ, რომ ეს არ იყო მარტო ერთი კაცის წუხილი თავის უბე-

დურებაზედ, ეს არ იყო ტირილი მარტო ერთის პირისა თავის დაკ-
ლებულზედ, – აქ გამოითქმოდა საერთო ვაება, საერთო წუხილი, სა-
ერთო ტანჯვა; აქა სცემდა საერთო ძარღვი და ერთის გმინვაში გა-

– 195 –

მოითქმოდა გრძნობა და მდგომარეობა მთელის ხალხისა. ეს მამულის
მოსიყვარულე, იმისთვის თავ-განწირული ჩეჩნები, ესალმებოდნენ თავის
სამშობლოს, რომლის შესარჩენად და ასაღორძინებლად მამას
შვილი არ შეუწყალებია, ცოლს – ქმარი და იმდენის ბრძოლის და
მსხვერპლის შემდეგ ისინი უნდა მოშორებულიყვნენ იმას! „ღმერთო!
სადა ხარ?“ იმახდა იმათი ცისკენ მიპყრობილი თვალები, მაგრამ მა-
შინვე დედამიწას დაეშვებოდა პასუხ-მიუღებელი. ყოველი ბუჩქი, ყო-
ველი ადგილი, ყოველი კუნჭული ამ ადგილებისა იმათ მოაგონებდა
თავიანთ მამაცურს სივაჟაკეს, რომელზედაც სისხლი დაენტხია რო-
მელსამე ულის გამგელეს მახლობელს. ყბელა ადგილებთან მიკარე-
ბა, ყოველი ნაბიჯის გადადგმა იმათ აგონებდა მწუხარე სურათებს;
ეს უვლიდა გულში გახურებულს შანთებად და უსიტყვოდ მარტო
გმინვას წარმოათქმევინებდა. არის ხოლმე ისეთი წამი, როდესაც სი-
ტყვას ადგილი აღარა აქვს კაცის მწუხარებაში.

ელისოს მამა, ანზორა ჩერბიე, ხანჯალზედ ხელ-გავლებუ-
ლი ყურს უგდებდა მკვენსარს სიმღერას, რამდენჯერმე მოი-
წმინდა შუბლზე ცივი ოფლი, მაგრამ ჭმუნვა მაინც ვერ მოი-
შორა და აღძრული მოგონებანი მწარედ უდაღავდა გულს.
იმას თვალწინ ეხატებოდა წარსული ყმაწვილკაცობა, მკვირ-
ცხლად დაცემა აქა-იქ რუსის ჯარზედ. მოაგონდა იმათი ჯო-
გების გამორეკა, მოაგონდა რუსის ქალებისაგან წამოღებული
ნადავლი და ჩაჩნის ქალების გახარება ამ შემთხვევით; მოა-
გონდა ის დღეები, როდესაც ქარივით ხან აქ გაჩნდებოდა,
ხან იქ, როდესაც მთელს ჩაჩანში ლექსს ლექსზედ გამოსთქვამ-
დნენ, ქებას ქებაზედ შეასხამდნენ იმას. ბოლოს წარმოუდგა
თვალწინ თავისი ცოლი მშვენიერს ყმაწვილ-ქალად, რომელიც
თვალსა და წარბში შესცქეროდა, რომ იმის სურვილისამებრ
მოქცეულიყო; წარმოუდგა თავის შვილები, რომელთაგანაც
შენახვას და დამარხვას მოელოდა, მაგრამ რომელნიც მა-
მულის დაცვის დროს იმის თვალწინ იქმნენ განგმირულნი
მტრის შეუბრალებელის ხელით, და მოხუცმა კიდევ ძალზედ
გადაისვა ხელი შუბლზედ და მწარის ამოოხვრით შესძახა:

– 196 –

ლაი ლაჰა, ილ ალაჰ! ამ მტერთან ბრძოლაში შეუდრეკელს
და გაუტეხავს მეომარს დარჩენია მწედ და ნუგეშად ერთად-
ერთი ქალიმვილი, ელისო. ელისოც მწუხარებით ეთხო-
ვება სამშობლო ქვეყანას. მის ტანჯვა გაორკეცებულია: სამ-
შობლოსთან მან უნდა დასტოვოს თავისი მეგობარი, ქართვე-

ლი და ქრისტიანე ვაჟია. ანზორა ნებას არ მისცემს ელისოს შეუღლდეს იგი გაერთიანდეს, თუმცა კარგად იცის, რომ ქალის გული ადვილად არ დაემორჩილება გარეშე სურვილს და ერთხელ ანთებულს გრძნობას არ ჩააქრობს. ელისო მართლაც განიცდის საშინელს სულის ბრძოლას გრძნობის და მოვალეობის შუა: მას უყვარს მოხუცი მამაც და სიტყვას აძლევს, რომ დაივიწყებს ვაჟიას... რათა განამტკიცოს ელისოს გულში მტრობა ვაჟიასადმი, იგი მოაგონებს, რომ ჩაჩანს, მაჰმადის მორწმუნეს, ანდა სძულდეს ქართველი, ქრისტეს მიმდევარი, რადგან ქართველები გახდნენ მიზეზი მთიელთა დამხობისა; იგინი გაუძღვნენ რუსებს თავისუფალის ხალხის შესაბოჭად.

მამის და ქალის ბაასის დროს გაჩნდება ვაჟია და დაუფარვად აღიარებს, რომ მას უყვარს ელისო, როგორც თევზს წყალი, ფრინველს – ჰაერი. ელისოს დაუწყო გულმა ცემა და პასუხი არ გასცა ვაჟიას. ანზორა გრძნობს, რომ ეკარგება უკანასკნელი ნუგეში და ევედრება ვაჟიას დაუთმოს ელისო მას, მოხუცს და დავრდომილს. ვაჟია უღმობელი და გულქვაა: საყვარელის დათმობა მას არ შეუძლიან. ანზორა იძულებულია თავი მოიხაროს მოტრფიალეთა წინაშე. მაგრამ ბედმა მათ არ არგუნა სიტკბობა: ვაჟია და ანზორა განიგმირნენ მთავრობის ჯარისაგან.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ა. ყაზბეგის მოთხრობები ყოველთვის უბედურებით თავდება. ავტორი პესიმისტი; მისი შეხედულებით სიბნელე და უსამართლობა სწავრავს ყოველს კეთილს და სამართლიანს. ხალხი უმწიკვლო და უზადო არის; მხოლოდ მოსული მტერი ანუ გარეშე ძალა უთხრის საფუძველს მათ ზნეობით შემკულს და კეთილშობილურ-

- 197 -

რის მისწრაფებით აღსავსე ცხოვრებას. დიდი სამსახური მიუძღვის ა. ყაზბეგს მთიელთა ზნე-ჩვეულებათა გამოკვლევაში და ხელოვნურად დასურათებაში. თუნდ რომ კიდეც მათი იდეალიზაცია, გარდამეტებული გაფაქიზება, უეჭვოდ ვირწმუნოთ, მაინც ფას-დაუდებელი ღვაწლია ის შესწორება და ხშირად გაუქმებაც, რომელიც მან შეიტანა მთიელთა შესახებ უცხოელთა წარმოდგენაში პუშკინის და საერთოდ რუსის მწერლების გავლენით. ა. ყაზბეგმა საუცხოვოდ გაგვაცნო მთიელთა ფსიხოლოგია, ჩაგვახედა მათ გულში, დაგვარწმუნა, რომ იგინი სიმამაცის გარდა სრულნი არიან პოეტურის ნიჭით, მეგობრულის სიმტკიცით, ზნეობითის სიწმიდით და სამშობლოს სიყვარულით. ამგვარს ნიადაგზედ არიან აგებულნი კიდეც მისი მოთხრობანი: „ელეონორა“, „ნინო“, „ციკო“ და სხვანი.

ფსიხოლოგიურს ინტერესს აღვიძრავს მისი რომანი „გან-

კიცხული“. გმირი ამ ნაწარმოებისა მარი, ხანში შესული პორფირეს ცოლი, მასხარად აგდებული მულისაგან და გულგრილად მიტოვებული ქმრისაგან, დაუმეგობრდება პორფირეს ნათესავს – ლევანს. იგინი ნათესავები არიან და მათი „სიყვარული არ შეიძლება“. ტანჯვა და მწუხარება ამ ორის შეყვარებულის პირისა სულის ცოდნით არის გამორკვეული და დახატული. ამგვარივე საზოგადო მნიშვნელობის ნაწერია „ცხოვრების ჩარხი“, რომლის პირველი და მეორე თავი დაკარგული აღმოჩნდა. ამ რომანში ცოცხლად ჩამოასხა ტიპი იმ ქართველის ფუქსავატის კაცისა, რომელიც მდიდარს საცოლოს ეძიებს მოსკოვში, რუსის ქალების შორის.

ა. ყაზბეგს აქვს რამდენიმე დრამატიული პიესა. ისტორიული დრამა „კოსტანტინე ბატონიშვილი“, თავდაპირველად დაბეჭდილი სათაურით „ქეთევან დედოფალი“, აგებულია სპარტაგან წამებულის დედოფლის ცხოვრების სიუჟეტზე. მტკიცე ხასიათით, ქრისტეს სარწმუნოების ერთგულებით და პატიოსნებით აღსავსე დედოფალი იპყრობს საერთო ყურადღებას და წმინდა შარავანდედით იმოსება მის სახელი. მეორე დრამა „არ-

- 198 -

სენა“ სახალხო თქმულების გმირს გვიხატავს და მთელი თანაგრძნობა მიქცეულია ამ საწყალთა მცველის პიროვნებაზე. „დილა ქორწილის შემდეგ“ ვოდევია, რომელსაც საოხუნჯო ელემენტი აკლია. საერთოდ ა. ყაზბეგს ეხერხებოდა უფრო „დრამატიულის შინაარსის შემოქმედება. მოთხრობებშიც იგი იძიებს დრამატიზმს, ინტერესების შეურიგებელს ჭიდილს, ცხოვრების მწარე მხარეების დასურათებას. ამიტომ კომიზმი მას სრულიად არ შვენის, ან ნაძალადევობა ეტყობა. მის მოღვაწეობას აცისკროვნებს მოთხრობები მთიელთა ცხოვრებიდან და მის დიდებას ვერას შემატებს რამდენიმე დრამატიული ნაწერი. სახალხო მიმართულება, ერის ცხოვრების გაიდვალზე ბური დასურათება შეჰქმნა ა. ყაზბეგმა და მის კვალს გაჰყვა მრავალი ახალგაზდა მწერალი.

ნიკოლოზ ლომაური

ნიკოლოზ ლომაური დაიბადა 1852 წ. სწავლა-განათლება მიიღო ტფილისის სემინარიაში და კიევის აკადემიაში. პირველი მისი ნაწერი დაიბეჭდა 1868 წ. „დროებაში“: ჯერ ლექსი „სიონის ტამარს“ და შემდეგ ორი წერილი: „ხმა პროვინციიდან“ სემინარიელის ფსევდონიმით.

ნიკოლოზ ლომაური ეკუთნის ილია ჭავჭავაძის სკოლას. გარდა ილია ჭავჭავაძისა მაზედ იქონიეს გავლენა რუსის მწერლებმა ჩერნიშევ-

სკიმ, დობროლიუბოვმა, რეშეტნიკოვმა, გლებ უსპენსკიმ. ამათ ზედმოქმედებას უნდა მივაწეროთ მისი ხალხოსნურის მიმართულებით გატაცება. ნ. ლომაურის სალიტერატურო მოღვაწეობა დაიწყო სწორედ იმ დროს, როდესაც ჩვენს საზოგადოებაში გაიღვიძა ხალხის შესწავლის და დახმარების ინტერესმა. ახალგაზდობამ დაიწყო ხალხთან დაახლოვება და მის მოთხოვნების დაკმაყოფილება: სკოლების გახსნა, შემნახველ-გამსესხებელის კასების, დეპოების და ბანკების დაარსება. ხალხთან დაახლოვებამ გამოიწვია მის ხასიათის და თავისებურობის შესწავლა, რაც საფუძვლად დაედო გლეხობის გაიდეალიზებას, სოფლურის ცხოვრების განდიდებას და ქალაქის მასზე მავნე გავლენის აღნიშვნას. ნ. ლომაური საუცხოოდ იცნობს ქართლის სოფელს, შესწავლილი აქვს გლეხის ყოფა-

– 199 –

ცხოვრება. თავის მოთხრობები უძღვნა ხალხის ზნე-ჩვეულებების დასურათებას, მის გონებითის განვითარების დაქვეითების და ეკონომიურად ჩამორჩომის მიზეზთა გამორკვევას. ქართულის ენის საუცხოვო მცოდნემ და დაჯილდოებულმა შემოქმედებითის ნიჭით, მან შეიტანა ჩვენს მწერლობაში ახალი სიო ცრუმორწმუნეობათა გათვალისწინებით და მათის ზედმოქმედების მხატვრულად აღწერით. ამ შინაარსისაა მოთხრობა „ალი“, სადაც დასურათებულია შემღებულის გლეხის ოჯახის დარღვევა ცრუმორწმუნეობის, მევახშმის და დიაკვნის წყალობით. მოთხრობა „ქაჯანა“ აშენებულია იმ დედაზრზედ, რომ გაუნათლებლობას დიდი ვნება შეუძლიან მოუტანოს ხალხს. აქ აწერილია ჭიაკოკონობა დიდს ოთხშაბათს, მკითხავის გაიძვერობა, სალოცავად წასვლა და სხვ. ქაჯანა მეტი სახელია სოფელის ბიჭის სიმონისა. ქაჯანა დაერქვა მას იმიტომ, რომ ლაპარაკში ხშირად ხმარობდა ამ სიტყვას. იგი იყო ბევრგან ნამყოფის და გამოცდილის კიკოლას შვილი. გარდა სიმონისა კიკოლას შერჩა კიდევ ერთი ქალი კატო, ეშმაკი და კუდიანი გოგონა. ჭიაკოკონობა ღამეს კატომ შეაშინა თავისი ძმა ქაჯანა, ბავშვს შიშისაგან ენა ჩაუვარდა და დამუნჯდა, ვიდრე სალოცავად არ წაიყვანეს და ამავე კატომ ეშმაკობით ენა არ ამოადგმევინა.

ეკონომიური უწესრიგობა და სოფლის გაჭირვება წყლის ნაკლებლოვანობის გამო ნ. ლომაურმა აღწერა მოთხრობაში „ბედი უბედურთა“, რომელშიც აგრეთვე ცოცხლად დაგვიხატა აზნაურშვილის ვანოს გაბრწყინებული სურათი და მის თავდადება სოფლის საკეთილდღეოდ. სოფლის ცხოვრებას შეეხება აგრეთვე მოთხრობები „ქრისტინი ლეკები“, „გიგო ღრუბელაშვილი“ და „სამფეხა ამირანი“. „ბერუა ქრისტესიაშვილში“ აგვიწერა ძველი, პატრიარქალური ოჯახი. ბერუას ოჯახში 22 სულია, იგი თვითმპყრობელი ბატონია ამ სახლისა, სადაც გამეფებულია თანხმობა და ამის წყალობით ყველაფრის სიუხვე და ბედნიერება. მამა-პაპეულს საფუძველზე აშენებულს ოჯახში უთანხმოებას და ბოლოს დამარღვეველს შეხედულებას მოიტანს ქალაქში კინტოდ ნამყოფი ერთი წევრი ამ ოჯახისა. ავტორის თანაგრძნობა მთლად ბერუას მხარეზეა და თვალსაჩინოდ აღნიშნავს ძველის წესის უპირატესობას ახლის წინაშე. როცა განაწილდა ოჯახი, გაიყო და დაქუცმაცდა მის ძალაც და ქონებითი შეძლებაც. მოთხრობაში „ყოვლის მხრიდან“ აღწერილია ოჯახის დაღუპვა მის წევრთა გამოყოფის გამო კი არა, არამედ ბუნების

შეუბრალებლობის წყალობით. სეტყვამ ამოაგდო და გაანადგურა გულ-
კეთილის ანდრეას ყანაც და ვენახიც. გლეხი მწარე ფიქრებით მოცუ-
ლია, როგორ გადიხადოს სახელმწიფო და, სასოფლო ხარჯი და აუშფო-

- 200 -

თებლივ, როგორც „თედუა“ რაფ. ერისთავის ლექსში, განგების და ღვთის
წინაშე იხრის ქედს და ემორჩილება აუცილებელს ბედისწერას.

სოფრონ მგალობლიშვილი

იმავე ხალხოსნურს მიმართულებას ეკუთნის სოფრონ მგალობლი-
შვილი. იგი საუცხოვო მცოდნეა სემინარიის ბურსისა, საერთოდ სასუ-
ლიერო სასწავლებლების სასტიკის და უღმობელის წესწყობილებისა.
რუსის მწერალმა პომიალოვსკიმ თავის თხზულებით იქონია დიდი გავ-
ლენა ს. მგალობლიშვილზე და დააწერინა რამდენიმე ცოცხალი მოგონე-
ბა სემინარიის მასწავლებლების და მოსწავლეების შესახებ, რომელთა
ზედმოქმედება თვით გამოსცადა, როგორც გორის სასწავლებლის და
ტფილისის სემინარიის მოწაფემ. გარდა ამ „მოგონებათა“, რომელთაც
გადაგვიშალეს ჩვენის სწავლა-აღზრდის ისტორიის ფურცლები, ს. მგალო-
ბლიშვილი ცნობილია, როგორც მწერალი ქართლის სოფლების გლეხთა
მდგომარეობისა, მათ ჩვეულების და რწმენისა. წმინდა შუქით აბრწყინ-
ვებს იგი მდაბიო ხალხს და მებატონეთა შეუწყნარებელს საქციელს ჰკი-
ცხავს სამართლიანის წყრომით. ამ ორის კლასის დაპირდაპირებაზე აგე-
ბულია მისი მოთხრობა „ცეცო“. ცეცო ღამის მეხრეა, დაუღალავი და
ერთგული მუშაკი. იგი ობოლია, საწყალის ქვრივის ნენეს შვილი. ცე-
ცოს უყვარს თექვსმეტის წლის ლამაზი თამრო, მაგრამ ქალის დედა
მდიდარს სასიძოზე ჰფიქრობს. ცეცოს შეუღლებას ხელი შეუშალა იმ
გარემოებამაც, რომ იგი აზნაურშვილს მიხასთან ერთად მოწინააღმდეგეა
სოფლის მყვლეფავებისა. ცეცოს ციხეშიაც ამოაყოფინეს თავი, მაგრამ
იქიდან გამოვიდა ისეთივე გულწმიდა, როგორც იყო და შეუუღლდა
თავის სატრფოს.

მოთხრობა „ცვრევაზე“ აგვიწერს შემოდგომით რთვლის ამბავს და
დროს გატარებას. აქ გამოყვანილია ხარებაშვილის ძველი ოჯახი, რო-
მელთა წევრების რიცხვი სამოცდაათამდეა. ს. მგალობლიშვილი, რო-
გორც ნ. ლომაური, დიდის ოჯახის მომხრეა. მოთხრობა „დემეტრეს სა-
ხლობა“ საინტერესოა იმით, რომ აქ გამოყვანილი მდიდარი ყაზარა, სო-
ლომონ მეჯღანუაშვილივით, მდიდრდება გაიმძვრაობით და ეშმაკობით.
დემეტრე ამის მოვალეა. ვეღარ მესძლო სარგებლის გადახდა და „პრის-
ტავმა“ სახლი აუწერა. დემეტრე გაცეცხლდა და ყაზარას უთაქა. ამის
გამო პასუხის გებაში მისცეს. სასამართლოს უწყებას დემეტრე ცოცხალი
ვეღარ დახვდა. გასაწყლებული კაცი ხალხში მოგროვილის ფულით და-

- 201 -

მარხეს. ამას ჰქვია „გულზედ თეფში“. ნენე ორის ობლით დარჩა დიდს

გაჭირვებაში: შვილებმა გლახაკობა დაიწყეს. ნენე მოსამსახურედ დაუდგა თვით ყაზარას, რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა უპატრონო ქვრივს და განიზრახა მის ქალის გაუპატიურებაც. მოთმინებიდან გამოსულმა ნენემ თავი მოსჭრა ყაზარას და გულწრფელად უამბო ყოველისფერი გამომძიებელს. გარდა ამ მოთხრობისა ს. მაგალობლიშვილს დაწერილი აქვს: „დედა მათა“, „მეველე“, „ყაყიტას ქურდი“, „დიდს ზალაში“ და სხვ.

ლუკა რაზიკაშვილი

(ვაჟა-ფშაველა)

ლუკა რაზიკაშვილი, ცნობილი მწერლობაში ვაჟა-ფშაველას ფსევდონიმით, დაიბადა 1861 წ. სოფ. ჩარგალში. მამა მისი პავლე იყო მღვდელი. ლუკამ სწავლა მიიღო ჯერ სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ გორის სამოსწავლო სემინარიაში. ცოტა ხანს პეტერბურგის უნივერსიტეტშიაც ისმენდა ლექციებს როგორც თავისუფალი მსმენელი. პეტერბურგიდგან დაბრუნებული ცოტა ხნით იყო სოფლის მასწავლებლად. შემდეგ დაბრუნდა თავის სოფელში და იწყო სოფლური მეურნეობა. პირველის ხანის მის ნაწერებს და ნათარგმნებს რუსულით (1880 – 1884 წწ.) ეტყობა უცხო მწერლების გავლენა. მხოლოდ 1884 წ. ჟურ. „ნობათში“ დაიბეჭდა მისი თავისებურის ნიჭით აღბეჭდილი „მვლის ნუკრის ნაამბობი“, რომელსაც მოჰყვა პირუტყვთა და მცენარეთა სამეფოდან ამოზიდული საუცხოვო მოთხრობები. 1886 – 1887 წ. დაიბეჭდა მისი პოემები: „მოხუცის ნათქვამი“, „გოგოთურ და აფშინა“, „ალუდა ქეთელაური“ და სხვ., რომელთაც გააცნეს მკითხველს საზოგადოებას ფშავ-ხევსურთა სპეტაკი მისწრაფებანი, იდეალები, შეურყეველი ზნე-ჩვეულება და მამაცური ცხოვრება. ამ ნაწარმოებებით ლ. რაზიკაშვილი სწრაფად ჩადგა პირველ-ხარისხოვანთ მწერალთა გუნდში.

– 202 –

ლ. რაზიკაშვილმა ლექსებით და მოთხრობებით გაგვაცნო ფშავ-ხევსურეთი იმავე პოეტურის შემოქმედებით, როგორც ა. ყაზბეგმა მოხევენი და მთიულეები. თვით მწყემსმა და მხვანელმთესველმა, ხალხის რწმენისა და მსოფლიო შეხედულების მცოდნემ, მკითხველიც ჩაახედა ფშავ-ხევსურის გულში და გადუშალა თვალწინ საინტერესო და თავისებური ქვეყანა, რომელიც აქამდის მისთვის უცნობი და უტყვი იყო. ორი უმთავრესი კილო ისმის იმის ნაწერებში. პირველში გამოთქმულია ხმლით მამულის დაცვის საჭიროება, მეორეში სიყვარუ-

ლის დამყარების აუცილებლობა კაცთა და ბუნების ბედნიერებისთვის. რაც შეეხება მის მოღვაწეობის დარგებად დაყოფას, შეიძლება სამი უმთავრესი დარგი აღინიშნოს: პირველია ეთნოგრაფიული წერილები, ანუ ზნე-ჩვეულებათა აღწერა, და საბელეტრისტო ნაწერები, მეორეა ლექსები და დიდი პოემები, მესამეა პოეტური პროზა. მეორე დარგში ლირიზმით და საეპიკო გულდამშვიდებით დასურათებულია ხალხი, მისი დარდი და ნაღველი, სული და გული. იმ დარგში, რომელსაც ეკუთნის პოეტური პროზა, იგი ასურათებს ცხოველებს და მცენარეებს. ყოველი მისი ნაწერი გამთბარია სიცოცხლით და ბუნების სიყვარულით.

პოემა „ბახტრიონში“ მოთხრობილია ამბავი თუმ-ფშავ-ხევსურთა გამარჯვებისა თათრებზე და ბახტრიონის ციხის აღებისა მათ მიერ. ამ ამბავს საფუძვლად უდევს ისტორიული მოგონებაც. ერთს შავსა და ბნელს დროს, როცა ჩვენი ქვეყანა მისუსტებული იყო მტერთაგან, შემოესევინ თათრები (სპარსელები) კახეთს და იკლებენ იქაურობას. თუშნი ჰგზავნიან კვირიას ფშავ-ხევსურთა ქვეყანაში, – წადი, შეატყობინე ჩვენი და კახეთის გაჭირვება და უთხარი, რომ ბარი თუ წახდა, მთაც ვერ ივარგებს და ამიტომ გელით საშველადა-თქო. კვირია მიდის და გზა-გზა ბევრს სურათსა ხედავს აოხრებისასა. ფშავეთის სამხლვარზე შეხვდება წმ. გიორგის სალოცავთან ერთს ფშაველს დედაკაცს, რომელსაც ქმარი და რვა შვილი

– 203 –

გასწყვეტია თათრებთან ომის დროს. დედაკაცის ტირილი და მწარე ლაპარაკი უფრო ცეცხლს უკიდებს კვირიას. ამის ჩაგონებით შეიკრიბება დიდი ლაშქარი ფშავ-ხევსურთა მოხუცებულის დეკანოზის ლუხუმის წინამძღვრობით და მიდის ბახტრიონისკენ. ლუხუმი შეეკითხება წმ. გიორგის ხატს. წმ. გიორგი მოუწონებს ამ საქმეს და ჰპირდება უჩინარად წინამძღვრობას. ეს ამბავი აღაფრთოვანებს ლაშქარს, რომელიც დაიმედებული აპირობს მტერთან შებმას. გამოჩნდება ქალი ლელაცა, რომლის დედა ტყვედა ჰყავთ თათრებს ბახტრიონის ციხეში და რომლის ძმებიც იმავე მტრებს მოუკლავთ. კვირია და ლელა გადასწყვეტენ, ჩუმად შევიდნენ როგორმე ციხეში და იქიდან გაუღონ კარი თავიანთ ლაშქარს. ბახტრიონის ახლოს ფშავ-ხევსურთ ელის თუშების ლაშქარი, რომელსაც წინამძღვრად ჰყავს გამოჩენილი ზეზვა. ციხის კარი გაიღება, თუმ-ფშავ-ხევსურნი თათრებს ამოსწყვეტენ. ლელა და კვირია, დალატისთვის ციხის კარში დაკლულნი თათრების მიერ, გამარჯვებულს ლაშქარს თან მოაქვს, რომ სამშობლო მიწას მიაბაროს. ბევრი დაიჭრა, სხვათა შორის, ლუხუმიც, რომელსაც

ერთს გამოქვაბულს კლდეში მოარჩენს დიდი ჯიგრიანი გველი. ბერი ლუხუმი ისეთი მაღლიანია, რომ გველმაც კი დაუტევა თვისი გველური ბუნება და თავი გადასდო ლუხუმის მოსარჩენად. ეს არის პოემის შინაარსი, რომელიც გამოთქმულია ღრმა გრძნობით და მდიდარის აღფრთოვანებით. მოსახიბლავია აქ თვით პოეტური ენა, სავსე მოსწრებილის შედარებებით და საუცხოვო მეტაფორებით. საკმარისია ამის დასამტკიცებლად მოვიყვანოთ პოემის დასაწყისი:

დღემ დაიხურა პირბადე, მთებმა დახუჭეს თვალები,
აღარ შფოთავენ საფლავში გმირთ ოფლის მღვრელი ძვალები.
ქარი ქვითინებს... ღრუბელთა ზარი თქვეს შესაზარები,
გული ვერ მოუფხანიათ, ცრემლი სდით ალაზნიანი;
ჩარეცხეს, ჩაალამაზეს მთების გულ-მკერდი კლდიანი.

– 204 –

გაცოცხლდა, ცას ემუქრება ღრმა ღელე, წყარო-ფშიანი.
გადაიკრიფნენ ღრუბელნი, ქუჩი გასწირეს ცვრიანი.
გაივსო რძითა მთათ ძუძუ, დაუშრომელად რძიანი.
მოგესალმებით, ქედებო, მომაქვს სალამი გვიანი.

პოემა „მოხუცის ნათქვამი“ აგვიწერს იმ დროს, როცა აღა-მაჰმად-ხანი დაეცა საქართველოს და განსაცდელში ჩავარდნილი ირაკლი მეფე იწვევს ფშავებს მისაშველებლად. აისხეს იარაღი ფშავებმა და საყვარელს მეფესთან გაემუხრნენ. შეებნენ ქართველები სპარსელებს კრწანისის ველზე და მამაცურად იბრძოლეს მტერთან. ომის შემდეგ ველზე დაჭრილთი შორის იპოვეს ახალგაზდა მწყემსი, რომელიც მოხუცებაში უამბობს წარსულს შემთხვევას თავის მსმენელებს. ფშავის იდეალი საქართველოს თავისუფალის ცხოვრებისაკენ არის მიქცეული; იმისი მოგონება და ლექსები მიმართულია ამ სანატრელის დროისკენ.

რკინის გულიანი ფშავი გოგოთურ პოემაში „გოგოთურ და აფშინა“ უშიშრად და სიმართლის დასაცველად მოქმედობს იმავე ირაკლი მეფის დროს. იგი ესწრაფის მეფის სასახლიდან მთად, იქაურის ადგილის ანგელოზებთან, ბუნების წიაღში. აფშინა, ამავე პოემაში მომქმედი პირი, ხევსური ჩამომავლობით, სულ სხვა ხასიათის კაცია. იგი მტაცებლობის გზას ადგია და არც ჰგრძნობს თავის საქციელის ურცხვობას. მათი შეტაკება, ორის გმირის ჭიდილი, გამარჯვება გოგოთურისა და მათი ძმად გაფიცვა შეადგენს ამ პოემის შინაარსს. დალიეს რა შერიგების ჟამს ყანწით, ასე დალოცა აფშინამ გოგოთური: „სანამ იცოცხლე, გოგოთურ, სანამ ცასა სდის ნამია, სანამ მზე ათბობს ქვეყანას, დილა-საღამოს ჟამია; სანამ ტყეს ესხმის ფოთოლი, მიწა ამცენებს მწვანილსა, სანამ ჭინჭველა ქალაქით ზურგით მოიტანს მარილსა; მოგწიოს ლაშარის ჯვარ-

მა მუდამაც გულის წადილსა“. ახლა გოგოთურმა დალოცა:
„გწყალობდის, ძმისავ, ხატია, შენც ჯანიანი ყოფილხარ, რო-
გორც წელანა გცადია. ღმერთმა გაშოროს ბოროტი, ავ-საქ-

- 205 -

მე, ავი წადილი. ნუ მოგვიშალოს უფალმა ძმობა და ერთად
ხადილი!“

აფშინამ ხანჯრის ბუნისა ვერცხლი არაყში ჩათალა,
ორთავ დალიეს ერთადა, ორივემ ყანწი დაცალა.
იფიცეს. ეხლა ძმანია, ვით ერთი დედის შვილები...
ახლა უმღერეს ზედაცა ურთ-ერთს სამღერი, ტკბილები,
მემრე წავიდნენ ცალკ-ცალკე თავ-თავის გზაზე გმირები.

ამის შემდეგ დამარცხებულმა აფშინამ ცხენი და იარაღი
გასცა სხვებზე და თვით ხახმატის ჯვარის ხევის-ბერად შედგა.

პოემა „ალუდა ქეთელაური“ თვალწინ გვიშლის ხევსუ-
რების ბრძოლას ქისტებთან. ამათ გმირს მუცალას დასძლევს
ალუდა, მაგრამ მარჯვენა ხელს მაინ არ მოსჭრის, როგორც
მიღებული იყო გამარჯვებულის სასახელოდ. ამისთვის ალუ-
დას გაჰკიცხავენ სამშობლოში და მისი მეგობარი მინდია წავა
ნამდვილის გარემოების შესატყობად. დაბრუნდა მინდია და
ალუდას გასამართლებლად თან მოიტანა ქისტის მარჯვენა ხე-
ლი. შეწუხდა ალუდა, – მას არ სურს მტრის დასახიჩრება,
თუმცა ეს შეადგენს ხევსურთა წმინდა და მამა-პაპეულს ჩვე-
ულებას. იგი იმდენად გულჩვილი და ნაზი კაცი გამოდგება,
რომ თავის მოქიშპეს მოსახსენებლად ცხვარსაც კი მიუყვანს
გუდანის ჯვარს. ხევის-ბერი ბერდია ურჯულოს სულისთვის
„სამხვეწროს“ მიყვანას სარწმუნოების გაწვილებად ჩასთვლის.
მაშინ ალუდა თვით იძრობს ხანჯალს და დაჰკლავს ცხვარს.
ამ საქციელისთვის ალუდა დასწყევლა წმ. გიორგის მსახურმა
და განდევნა თემიდან. მინდიამ ველარა უშველა რა თავის მე-
გობარს. ალუდამ უკანასკნელად ილოცა გუდანის ჯვართან
და განშორდა სამშობლოს, ცოლ-შვილს, მამა-პაპათა საფლავს.
ასე ისჯება ის, ვინც გამოიჩენს თვითნებობას და დაარღვევს
ძველს ჩვეულებას და ტრადიციულს შეხედულებას. აი რა რი-
სხვით ამევეს ალუდას წმ. გიორგის მსახური:

მოკვეთილ იყოს სხვა ქვეყნის ცა-ღრუბლის შანამზირები.
წადით, უმტვრიეთ შავ-ბნელსა სახლისა, ციხის კარები.

- 206 -

ცეცხლი მიეცით სამნოვარს, – ცასა წვდებოდეს ალები,
სათემოდ გამოირეკეთ: ცხვარი, ძროხა და ხარები.
შატილს ცოლ-შვილი უტირეთ, გუდანს – შინშნი და ქალები;
ჰრისხამდეს ჩვენი ბატონი, არ არის შესაბრალები.

ლ. რაზიკაშვილმა რამდენისამე თავის ნაწარმოების წყაროდ გაიხადა ხალხის თქმულება და გარდაქმნა იგი სამხატვრო ქმნილებად. ამგვარია, მაგალითად, პოემა „კოპალა“ და „ეთერი“. შინაარსი პოემა „კოპალასი“ იმაში მდგომარეობს, რომ ერთ-ხელ მთა და ბარი დაიჭირეს დევებმა, „ქვეყანა გახდა დევთა საჭმელად“, ადამიანი შეწუხდა და შევიწროვდა, ბულბულნი აღარ ჭიკჭიკებდნენ, ყვავილები მინდორში გახმენ. ამ დროს „მეშველედ“ უფალმა ხალხს მოუვლინა მოხუცი კოპალა „ხელში ხმლით, ალვის ტანითა; განათდა მთელი ქვეყანა ცხრის მზითა, ოცის მთვართა“. კოპალამ გასწყვიტა დევები და თვით მათი წინამძღვარი ბელელა, ასჯერ კოპალაზედ დიდი და ასჯერ მეტის სხეულით, წმინდა ბერმა აქცია ფერფლად ჯვარის გამოსახვით. განახლდა ისევ ბუნება, გაისმა ქუხილის ხმა, წამოვიდა ჟუჟუნა წვიმა, დღემ გაიხარა ღამეზედ, ნისლი მიადგა კვლავ მთას. „დილა საღამოს ნიშნს უგებს, დღე ღამეს ებრძვის ძალზედა, ნისლნი ათას მხრით მომდგარნი დაისვენებენ მთაზედა“.

ამგვარის პოეტურის შემოქმედებით აღბეჭდილია პოემა „ეთერი“, აშენებული ძველს თქმულებაზე. ეთერს, როგორც ხალხიც გადმოგვცემს ზეპირსიტყვაობაში, სდევნის ავი დედინაცვალი. ბედმა კი მოულოდნელად მოუვლინა ბედნიერება. მეფის შვილი გოდერძი ნადირობის დროს შეხვდება ეთერს, რომელიც საქონელს აძოვებს მთის ფერდოზე, მოიხიბლება მის თვალწარმტაცის სილამაზით და განიზრახავს მის ცოლად წაყვანას. დედ-მამა არ მოუწონებს ამ საქციელს და ცალკე ბინას („კოშკს“) მიუჩენენ. დედოფალი ვერ იმეტებს შვილს დასაწყევლად და მხოლოდ დარიგებას აძლევს თავის სიტყვას არ უღალატოს. ხოლო მეფის ვეზირი შერე გახდება ახალგაზდა

- 207 -

ცოლ-ქმრის დაუძინებელს მტრად. ის მიმართავს ერთს კუდიანს ბებერს, მიჰყიდის მას თავის სულს და მისი რჩევით შეაყრის ეთერს ერთს მუჭა ფეტვს, რომელიც გადაიქცევა ურიცხვს ტილებად და ჭიებად. დადნა ტანჯვისაგან ღამაში ეთერი. გოდერძი მაინც თავს არ ანებებს, თითონაც ჩამოხმა და სიკვდილის პირზე მივარდა. ეთერს და გოდერძს, სიყვარულით გამსჭვალულთ, ტანჯვაში ამოუვათ სული. შერემ, რომელსაც ბებერმა მისცა ეთერის მოსარჩენი წამალიც, მაინც თავის მიზანს ვერ მიაღწია და ეთერის გული ვერაფრით ვერ მოიგო. ბედკრულმა შერემ თვით დაითხარა დანით თვალები, „მოსმაგდა სინათლის სინჯვა, მოსმაგდა ყველაფერია, დღეს მხოლოდ სიბნელე უყვარს, ვერ ნახოს ვერაფერია“. უდროოდ დაღუპულის ცოლ-ქმრის საფლავზე ამოვიდა ია და ვარდი.

და ამ საფლავთა ფეხთითა, ცოლ-ქმრის სამარის ძირითა უკვდავებისა წყარო დის ძვირფასის ოქროს მილითა, ამ ადგილს ბულბული უმღერს საღამოთი და დილითა; ვისაც კი ის წყალი უსვამს, ურჯულოს რჯულიანითა, იმას არ უვლავ ქვეენადა გულითა წყლულიანითა, იმან არ იცის სიბერე, არც მომაკვდავად სწერია, ვინც უნდა იყოს, ვინც უნდა, თუნდ სულ უბრალო, მწირია.

პოეტი შეუდარებელის ნიჭით იკვლევს ფსიხოლოგიურს ნიადაგს ზნე-ჩვეულებათა აღმოცენისას. „სტუმარ-მასპინძელი“ ერთი იმ ნაწარმოებთაგანია, საცა რაზიკაშვილი გადაგვიშლის სტუმართმოყვარეობის საფუძველს, აღნიშნავს მის მნიშვნელობას და სამღვთო მოვალეობას. ხევსური ზვიადაური ღამის წყვილიაღში შეხვდება ქისტს, რომელიც ვერ იცნობს მას და მიიწვევს თავის სახლში. ზვიადაურს ბევრჯელ აუკლია და დაუხოცია ქისტები. ჯოყოლას მეზობლები შეიტყობენ მის სტუმრის ვინაობას და მიუხტებიან ღამით მის შესაპრობად, მაგრამ ჯოყოლა სტუმარ-მასპინძლობის სიწმინდის დამცველად გამოვა, „თავზე ლაფს არ დაისხამს, საუფლო წესს არ გასტეხს“ და ეწინააღმდეგება მეზობლებს. აღელვებულს

– 208 –

სოფელთან ვერა გააწყო რა ჯოყოლამ, მისი სტუმარი გაიტაცეს მისგან მოკლულის ქისტების საფლავზე და აქ მათ სულის საოხად დაჰკლეს საწყალი ხევსური. ჯოყოლას ცოლმა აღაზამ ჩუმად დაიტირა ზვიადაური, დანით ააჭრა პირზე სამი ბალანი და ჩიქილაში გამოიხვია. ამ საქციელისთვის მთელი ბუნება წინააღმდეგა ღვთისნიერს ქალს და იგი გონება-მიხდილი მიირბენს სახლში და გამოუტყდება ქმარს. ხევსურებმა გადუხადეს ქისტებს ზვიადაურის მოკვლისათვის; მოკლეს თვით ჯოყოლაც, რომელსაც, როგორც მოლალატეს, თანამემამულეებმა აუკვეთეს სამშობლო სასაფლავოზედ დამარხვა. აღაზა, დარჩენილი მარტოდ, წყალში გადავარდება. ღამით ისმის ჯოდოლას ხმა, რომელიც უმახის ძმობილს ზვიადაურს. ადგება საწყალი აღაზა და მიართმევს მათ შიშხინა წვადს. ყველანი მიაშტერებენ თვალებს იქითკენ, მაგრამ უცებ შავი ღრუბელი დაჰფარავს მათ, ისმის მხოლოდ წყალის ჩხრიალი და შორით დაჰყურებს ამომავალი მზე.

ფშავთა მორწმუნეობის გათვალისწინებას და მათ ბრძოლას ლეკებთან ლ. რაზიკაშვილმა უძღვნა პოემები „მონადირე“, „მოკვეთილი“, „გიგლია“ და სხვ. გაკიცხვის კილო და სატირული მიმართულება გამოიჩინა იმგვარს ნაწერებში, როგორც „ქებათა-ქება“ და „ერემ-სერემ სურემიანი“, სადაც ინტელიგენციის ფუქსავატი ცხოვრება დაგვიხატა.

ლ. რაზიკაშვილის ნიჭი თავისებურად გაიფურჩქნა, რო-

დესაც იგი დაადგა სიმბოლურის შემოქმედების გზას. „გველის მჭამელი“ (1901 წ.) გაითქვა მან სახელი და მიიპყრო საერთო ყურადღება. ამ პოემის გმირი, ხევსური მინდია, თორმეტი წელი ტყვედ ჰყავდათ ქაჯებს. სასომიხდილმა მინდიამ მონდომა თავის მოკვლა და ამ მიზნით შეჭამა მოხარშული გველი, ქაჯების ჩვეულებრივი საჭმელი. ამ საქციელმა სრულებით გარდაქმნა მინდია. მან შეიგნო ქაჯების სიბრძნე; მას მუსაიფი დაუწყო ცამ, დედამიწამ და ტყემ. მხოლოდ ბოროტმა ვერ მოიკიდა ფეხი მის გულში. ისწავლა მკურნალობა ბალა-

- 209 -

ხებით ყველა ჭრილობისა და სენისა. ხევსურები მას აღმერთებენ, მის სახელს ლოცულობენ მას შემდეგ, რაც მინდია დაუბრუნდათ. ბუნებაც მას შეჰხარის და „ვაშას“ ძახილით ეგებება „მდიდრად მორთული ალმითა“. ყვავილები თვით ეუბნებიან: „მე ვარო ამის წამალი“; მინდიაც მოსწყვეტს და თან მიაქვს. მას ესმის ბალახის, ფრინელის და პირუტყვის ენა, მათი კვნესა და ჩივილი. გავიდა დრო. მინდიამ შეირთო ცოლი. ახალმა მოვალეობამ გასაჭირში ჩააგდო; სახლს გათბობა უნდა, შვილებს სცივათ, საჭმელის შოვნა გაჭირდა. ცოლის ძალდატანებით მინდიაც მიდის ხის მოსაჭრელად, ცხოველის მოსაკლავად, ბალახების გასაქელავად. ამ ბუნების შელახვა და განადგურებამ წაართვა მას ცოდნა ყვავილთა და ფრინველთა ენისა, ცა დამუხჯდა, ხმას აღარავინ სცემს. მინდია სტირის და ინანიებს თავის შეცოდებას. გული მწუხარებით აევსო და დამაბუნდა ცრემლით და ლოცვით. დაეკარგა მას გამბედაობა და სიმამაცე; მოსვენებას ვედარასფერში პოულობს. სიკვდილს ნატრობს და ჩქარაც მოესწრობა იგი: დამარცხებული მტერთან ბრძოლაში, იგი თვით განიგმირება ხანჯლით. ასე წახდა კაცი ბრძენი და მკურნალი, როცა მან ჩაიკლა გულში ბუნების სიყვარული და შელახა მისი სიფაქიზე და სილამაზე. ამგვარის შინაარსის ლეგენდა (ცნობილია ალექსანდრე მაკედონელის ექიმზე (ლახმანი), რომელიც გველის შეჭმით გაბრძენდა და ბუნების საიდუმლოება გამოიცნო.

სიმბოლიზმით აღბეჭდილია აგრეთვე მისი „ხის ბეჭი“ და „ნახევარი წიწილა“. უკანასკნელს პოემას სარჩულად უძევს სახალხო ზეპირგადმოცემა: მეფე, რომელმაც ნახევარ წიწილას საკენკი არ მისცა, სრულიად დაეცა და გაუბედურდა მხეცთა შემოსევით. ამგვარად მათ დაიცვეს შეურაცხყოფილი წიწილა და გაამეფეს იგი მხეცთა და ფრინველთა ზედა. პოემა „ხის ბეჭიც“ მხატვრულად გარდაქმნილი ხალხში დარჩენილი ამბავია. მონადირე ბალია ტყუილად გაისარჯა: ნადირი ვერსად მოჰკვლა მთელის დღის განმავლობაში და მჭმუნვარე ფი-

ქრებს მიეცა ხის ძირას საშინელის ელვის და ქუხილის ჟამს. ამ დროს მოესმა გაღმიდან კაცის ხმა. გადიგდო თოფი მხარზე და უცნობის ძახილზე გადვიდა ჭალაში. იქ მიიწვიეს ავმა სულელებმა დიდს კრებაზე, რომლის თავში „გოგოც ვინმე ზის, ტურფა, ლამაზი“. მიიწვიეს სუფრაზე და სთხოვეს ძვლები არ დაეკარგა იმისი, რაც წილად მიერთმევეოდა. მონადირეს შეხვდა ირმის ბეჭი, რომელიც „ხელ-უკულმ“ წყალში გადააგდო. სხვებმა „ძვალეები გოგოს დაუწყვეს იმ ცისკარივით მნათობსა“. როცა ამ ქალთან სუყველანი მოქუჩდნენ და ძვლებს თვლა დაუწყეს ხარ-ირმის ბეჭი არ აღმოჩნდა. ამაოდ ეძიეს აქეთ-იქით, მონადირეს კი შიშით აჟრჟოლებს, ვაი თუ გამიგონ და შემრისხონო. ესღა მოახერხა, – გათალა ხის ბეჭი, მიუგდო „და სხვა ძვალეების ბეჭებში ძველად ჩაათვალეს“ ბალიას მოტყუებით. „ქალმა დაწერა ძვალეები, რაც ერგებოდა ვისაო: ამას მოჰკლავსო ჭოლოკი გაზაფხულს ჭალის პირადა... ეს თიბათვეში მოკვდება ბერის ბერიკის ხელითა... აიღეს ბოლოს ხის ბეჭი... ეს ყვირილობას მოკვდება, ჰნახეთ პარასკევ დილასა“. დაღალულს მონადირეს ამის შემდეგ ტკბილად ჩაეძინა და როცა გამოეღვიძა „ველარსად ჯამაათს ჰხედავს, ველარც იმ ტურფა ქალსაო“. ბალია ყალივნის წევით გასწევს შინისკენ და „ფიქრობს არავის უამბოს, რაც ნახა, რაცა სმენია“. მას თან გამოჰყვავა უბედობა: თოფს ველარა მოაკვლევინა რა, „წითელი ვერ დაადინა ერთსაცა“. სანთელიც ბევრი დაუნთო ხატს, მაგრამ საშველი მაინც არ მიეცა. მეზობლები ურჩევენ თოფი შეალოცვინოს, რადგან იგი „შეკრული“ ექნება უწმინდურის რისამე მოკვლით. შეალოცვინა და გასწია სანადიროდ. შემოესმა რა მეორე მხრიდან თოფის გრიალი, მივიდა ნელ-ნელა მონადირესთან და მუდამ გამარჯვება უსურვა. ამათ ერთად დაუწყეს ნადირს ტყავება, რომ შემდეგ ძმურად გაენაწილებინათ, როგორც ეს მთაში მიღებულია. ამ დროს გადმოურბინა ირემმა, ბალიამ ესროლა, მაგრამ თოფი მაინც კიდევ დაუცდა. მონადირეც, რომელიც „ბოდბის ხეველის წიწილის“ სა-

ხელით გაეცნა, გაჰქრა და გატყავებული ირემი იქვე ძევს სრულად, მთლიანად. ჩაფიქრდა ბალია და გულში გადასწყვიტა, არც ეს ამბავი ეთქვა ვისთვისმე. მიათრია ირემი სოფელში და ყველასაგან ქება-დიდება ესმის გამარჯვებისთვის. „სწორედ ამ დიდების დროსა საქმე რამ მოხდა ნავსია: ლეშს ედვა ზევით თავთანა მხარი, – ეს ყველამ იხილა, ამ მხრიდან ბეჭი

გადმოხტა თხილივით გამოიჟილა“. ხის ბეჭის დანახვაზე ხალხი გაკვირდა, „ბალიაც გაშრა, გაფითრდა, მკვდარს დაემსგავსა თავადა“. ხალხი თხოულობს, აუხსნას ღვთის გულისთვის, „რად მოხდა საქმე ასეთი“. ბალია გაიძახის: „არ ვიცი, ჭკვა აღარა მაქვს დონესა“. გასინჯავენ ბეჭს გულმოდგინედ და წაიკითხავენ, რაც ზედა სწერია, და გადაწყვეტენ, რომ ირემი ბალიას მოკლული არ არის, სადღაც უპოვნია და ტყუილად დაიჩემა. ბალია გაჩუმდა, თოფი გაყიდა, ტყეში აღარ დადის, „ამბობს, რომ აღარ მეჭმევა, ძმებო, ნადირის ლემია“.

ამ პოემაში ის იდეა არის გატარებული, რომ სულიერი და უსულო არსება ერთნაირად თხოულობს შებრალებას და შეწყალებას. მეტის სიძლიერით იგივე აზრი გატარებული აქვს ავტორს პოეტურს პროზაში, – ცხოველთა და მცენარეთა ცხოვრების აღწერაში. „ია“, „მთის წყარო“, „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „მთანი მაღალნი“, „ფესვები“, „მგელი“, „ვირი“ და სხვანი ხელისხელ საგოგმანებელი ნაწერებია, აღბეჭდილნი მაღალის ნიჭით, გამთბარის გრძნობით და სინაზით. მკითხველის გული აღივსება თანაგრძნობით ბუნებისადმი და იხლართება მასთან განუწყვეტელის სიყვარულის სიმებით. პოეტი ამ პროზად დაწერილს პოემებში ნამდვილს პანტეისტად გამოდის და ეძიებს მსოფლიოს სულს თვითოეულს უსულო ქმნილებაშიაც. მოვიყვანთ რამდენსამე ნაწყვეტს ამ მაღალსულოვანის იდეით გამსჭვალულის ნაწარმოებიდან, ავიღოთ ჯერ „მთანი მაღალნი“.

იდგნენ და ელოდნენ. უსაზღვროა მთების მოლოდინი, უსაზღვრო

- 212 -

ზღვადადგას იმათ გულში. წითლად, სისხლისფრად შედედებული უთიმთიმებთ გულ-მკერდში. გარეთ, სახეზე კი არაფერი ეტყობათ, გარდა მტერობისა. ეს არის კიდეც ნიშანი მოლოდინისა. ვინ რა იცის, რა ამბავია მთების გულში, რა ცეცხლი სდულს და გადმოდის. მთებო, მთებო! რას ელით, ვის ელით! ნუთუ გყავთ სატრფო დიდი ხნის უნახავი? იქნებ შვილი დაჰკარგეთ? იქნება ძმა ან დედა გყავთ შორს წასული და არაფერი ამბავი მოგსვლიათ? პასუხი არ ისმის. სდგანან წარბ-შეუხრელად. ელოდენ, ელიან და კვლავ ექნებათ მოლოდინი. რა დააშრობს იმათ გულში იმ მოლოდინის ზღვას? არა აქვს იმას ბოლო, არც დასასრული, როგორც ღვთაებას...

როცა ყველა სულდგმულს, მწერს, ბალახს, ყვავილებს, მდინარეს და მოუსვენარს, დაულალავს ნიავს დაეძინებათ, მაშინ, მხოლოდ მაშინ ამოიხრებენ და ცრემლსა ღვრიან. ჩვენ, კაცნი მაშინ ვამბობთ: ახ, რა მძიმე ლოდივით ნაღველი მაწევს გულზეო. რატომ არ მღერით, მთებო?! განა ისე უნდა მოვკვდე, რომ თქვენი ხმა, თქვენი სიმღერა ვერ გავიგონო? რატომ არ იცინით? ღიმილი მაინც მაჩვენეთ თქვენი, კარგებო! მაგრე როგორ დაგიმონათ, შეგიპყრათ, და-

გიმორჩილათ ერთმა ფიქრმა, რომ სხვა ყოველივე ძალა და ნიშანი სიცოცხლისა დათრგუნვილა თქვენს გულ-გონებაში?! არა, არა. ხან-დახან თქვენც გიხარიათ, და ქვეყანას კი ჰგონია, ვითომ თქვენ არაფერს ჰგრძნობთ. ხომ ვიცი, თქვენს გულში სანთლები დაენთება, როცა ლალი არწივი დაგთამაშებთ თავზე და დასასვენებლად თქვენს კალთაზედ ჩამოემეება. რა ლამაზები ხართ მაშინ! როგორ გიხდებათ, რომ ის თქვენი აღზრდილი შვილი ისე მამაცი, შეუპოვარი და ლამაზია. ის ხომ შიკრიკიცაა თქვენი. ღმერთს უამბობს, ატყობინებს თქვენს ამბავს...

არა გაქვთ აზრი? იდეა? გრძნობა? არ ოცნებობთ? როგორ არა! მაშ რაა ის მშვენიერი ყვაილები, თქვენ რომ გულ-მკერდს გიმშვენებთ? ეგაა თქვენი ოცნება, იმედი, ნუგეში. რად იბურავთ თავს ხშირის ნისლებით, თუ ჩუმ-ჩუმად რასმე არა ჰფიქრობთ და მაგ ფიქრს არ გვიძალავთ ადამიანის შვილებს?! რად მოგყავთ ბალახი? რად ადენთ ცივთა წყაროთა? რად აქანებთ ზევეებს? რადა ზრდით ლაღთა ხარ-

- 213 -

ჯიხვთა! ვის ატყუებთ, თქვე კარგებო! სდგანან და ელიან. წვიმა წვიმს იმათ თავზედ, ელვა უტუსავს ოქროს ქოჩორს, მეხი ეთამაშება იმათ თვალებს და ხშირადაც ერჭობა ისარივით გულ-მკერდში. არაფერია. ინგრევა ხშირად ნახევარი შთა და ზევად მიდის ხევში. არაფერი ეგრევე, თუ კლდე და ლოდები მაინც ელიან. წადით, ვისაც არ გინდათ ჩვენთან მაღლა, ცის ახლოს ყოფნა, დაბლა განისვენეთ.

სდებს თოვლს. ჰყინავს. ცივა. ქვა ტყვრება. მთებს სუდარი ჩაუტვამთ ტანზე, თითქოს მკვდრები იყვნენ. დაგვმარხეთ, დაგვიტორეთო, – გვეძახიან. ჩვენ კი იმათგან მოველით დამარხვას... სდგანან და ელიან. გული სტკივათ, ძალიან სტკივათ. მაგრამ არ იხოცებიან, არც ჭლექდებიან. ელიან, ვის? ან რას? რაღაცას. დიად, რაღაცას. ეს რაღაცაა უნახავის დანახვა. ჰნახეს და გაათავეს, რასაც იმათი თვალი და გული მისწვდებოდა. სხვა ახალი მოსწყურებია იმათ თვალსა და გულსა. ეს ხომ თვალ-გულის გაუმადლობაა. სწორედ რომ ისაა.

ბუნების აღწერაში ლ. რაზიკაშვილი იჩენს გასაკვირველს თავისებურობას: მის ორიგინალურის კალმით დახატული სურათები მარტივნი და ამასთანავე გულის-წარმტაცნი არიან. თვით პოეტი თუმცა გარეშე მაყურებელივით გამოდის, მაინც მის სულის ვითარების ბეჭედი და კაცთმოყვარეობის გრძნობა თვალსაჩინოდ გამოსჭვივის ყოველის მის ნათქვამიდან. ასეთის ღირსებით არის შემკული, სხვათა შორის, მისი პოემა პროზად „ფესვები“; ამ უსულო საგნის აღწერაში იგი შემოქმედების უმაღლესს წერტილამდის აღწევს.

ნუ გეშინიან, არა ვართ გველები. ამ მაღალ მთაზე გველს რა უნდა? ტუილიად შეკრთი, ჩვენ კაცს არაფერს ვავენებთ, არ მოვსწამლავთ. გარედან რომ დაჭმუჭნილი, ხშელი ტყავი გვაკრავს, იმან შეგაშინა? ერთს დროს ჩვენ სხვა ფერი და იერი გვედო. დრომ, ჟამთა-ვითარებამ შეგვიცვალა სახე და ახლა მწყემსი წამოგვგაწყდებდა ზედ თუ მონადირე, უნდა შეკრთეს, მანამ ახლოს გვნახავს, სანამ

შეიგნებს, რომ ჩვენ ერთის მუხის ხმელი ფესვები ვართ და სხვა არა-რა. ერთს დროს ჩვენ უზარმაზარ მუხას ვკვებდით, საზრდოს

- 214 -

ვაწვდიდით, ძუძუს ვაწვებდით. ჩვენის ოფლით, ჩვენის ღვაწლით მუხა თავმომწონედ ყელ-ყელობდა. ჩვენც ამითი მოგვწონდა თავი, რომ ლამაზი, გულშეუდრეკელი, ამაყი შვილი გავზარდეთ.

– თქვენ და თქვენს მუხას მოგინდათ ჩემი ძალ-ღონე, ჩემი ამაგიო, – ბევრჯელ უთქვამს ჩვენთვის დედამიწას; მაგრამ ჩვენ მაინც ყელის წევით მუხლმოდრეკილნი გამოვსთხოვდით ხოლმე საზრდოს ჩვენის საყვარელის შვილისათვის. მის გულისთვის დღე და ღამე გასწორებული გვკონდა. საზრდო არ დავაკლოთ, ვეცადოთო, – ერთმანერთს ამ სიტყვებით ვამხნეებდით, დაისვენე, დედამიწავ, დაისვენე, ჩვენ ახლა შენ აღარ შეგაწუხებთ. ვისთვისაც გეფერებოდით და გეხვეწებოდით, ის აღარა გვყავს, ჩვენცა ვხმებით, ხმელსა და მკვდარს საზრდო რაღად უნდა? კაცმა, შეუბრალებელმა ადამიანმა, მოგვიკლა გული, მოგვიკლა შვილი და დაგვტოვა თვალცრემლიანი. ადგა, ცულით დაუწყო ჭრა; იმას არ ესმოდა ჩვენი და ჩვენის შვილის კვნესა. ცულს რომ გვცემენ, ჩვენ ვკვნესით და თქვენ-კი, კაცნი, ამას „რაკუნს“ ეძახით. გადმოგვდის სისხლი და თქვენ ჩვენს სისხლს „ხის წვენს“ უწოდებთ... განა რომ ხელს არ გამოვიღებთ, თავპირს არავის ვაკაწრით, არა ვლანძღავთ, წასულს არ მივსდევთ და მოსულს მრისხანე სახით არ ვუხვდებით, იმიტომ არაფერსა ვგრძნობთ?! „მუხას ვჭრიო“, – კაცი თავის ამხანაგს ეძახდა, ვითომდა არაფერიო. იგი ვერა ჰხედავდა, რომ ჩვენ მაშინ ჩუმად მიწაში ცრემლსა ვღვრიდით, რომ ჩვენმა ცოდვა-ბრალმა დედამიწაც აატირა „საწყლებოვო, – ბუზღუნებდა ისიც, – რისთვის, ვისთვის იწვალეთ. ან მე ვისთვის ვწვალობ, ვინ არის მადლობის მთქმელიო!..“

თუმცა დედამიწა ამას ამბობდა, მაგრამ იმავე დროს წინ წამოწვდილს, შორიდან წამოზრდილს წიფლის, არყის და ვერხვის ფესვებს უდებდა საგზალს... უარს ვერავის ეტყვის ეს ღვთისაგან კურთხეული. ყველას დედაა, ყველასთვის ის ზრუნავს, ყველა იმის ზურგსა ჰკიდია. იკურთხოს შენი ძუძუ, ჩვენო დედავ, ჩვენო გამზრდელო, ჩვენო ძუძუს მაწოვებელო!

მაგრამ რა ჰქნას საბრალომ? ამასაც ბედმა უმტყუნა. გუშინ და დღეს ჩვენ ბევრი ვიტირეთ, გვენანება იმ ადგილის განშორება, სა-

- 215 -

ცა დავიბადენით, ავიზარდენით, სადაც სიცოცხლე ვიგრძნეთ. ვინ იცის, რა მოგველის?! დღითი-დღე ჩვენი ბინა ინგრევა, იშლება, ფლატე კეთდება და ჩვენ უსახურავონი ვრჩებით, ტიტველნი და მშიერნი. ბოლოს მოვწყდებით და წავალთ თავქვე, ჩავეშვებით უღრანს ხევში. ვინ იცის, იქ რა მოგველის? ვიხ იცის, იქ რა ნიადაგი დაგვიხვდება? დავიხოცებით სრულიად, თუ კიდევ მიწა დაგვფარავს და გაგვიჩენს საზრდოს?! ვინ იცის, იქნება გიჟმაჟმა მდინარემ გაგვრიყოს სადმე უდაბურს ადგილას და მწვავე მუხის სხივებმა დაგვაჭკნოს,

გაგვახმოს, გააქროს ჩვენი ხსენება! ღმერთო, ნუ დაგვკარგავ! ბედო, ნუ გვიმტყუნებ! დედამიწავ, კიდევ გაგვიჩინე ბინა! სიცოცხლე და შრომა გვწყურიან, გვინდა კიდევ ვიშრომოთ, ეგები კიდევ გავზარდოთ ჩვენს ფესვებზე შვილი, ეგება კიდევ ვიგრძნოთ სიხარული. ბუნების ძალნო, შეიწყნარეთ საბრალო ფესვების მუდარა!“

ლ. რაზიკაშვილის პატარა მოთხრობები მცენარეთა და პირუტყვთა ცხოვრებიდან ორს ნაწილად იყოფა: ერთი შეიცავს უდარდელს და ბედნიერს ცხოვრებას, მეორე ამ ბედნიერების და სიმშვენიერის დარღვევას, მწარე განსაცდელს იმედით კვლავ აღდგენისა. ბუნებაში იგი ხედავს განუწყვეტელს ბრძოლას სუსტთა და ძლიერთა, სულიერთ და უსულოთა შორის; ამასთანავე იგი აღნიშნავს პირველთა აუცილებელს დამარცხებას და განადგურებას. ასეთი იდეა არის გატარებული იმის პოემებში; „ია“, „მთის წყარო“, „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „მგელი“ და სხვ. მოვიყვანოთ „მთის წყარო“ მთლად, რადგან მისი გაწყვეტა შეუძლებელია.

არაფერი ცოდვა არ მიქნია ჩემს სიცოცხლეში. ვერც ერთი სულიერი, თუნდ უსულო, ჩემს ცოდვას, ჩემს სიავეს ვერ იტყვის. ღმერთს ესე დაუწესებია: უნდა ვიდინო, ვიდინო; ყველამ ჩემით უნდა მოიკლას წეურვილი. გახურებულს ზაფხულის დღეში რამდენი ნადირი მოდის, სვამს ჩემს წყალსა, რამდენი დაღალულ-დაქანცული მუშა მოვა, მოიტანს ცელს, ნამგალს გასალესად. კაცნი მსმენ და ათასში ერთი თუ იტყვის: „დაილოცე, ცივო მთის წყაროვ, რომელი ღვინო შეგედრებათო?!“ უმრავლესობა ზედ მაფურთხებს. რა ვქნა,

- 216 -

მე ვერავის მივაფურთხებ. დეე, ისევ მე მაფურთხონ! რა ბედნიერადა ვგრძნობ ჩემს თავსა, ღმერთო! რა კარგი მეგობრები მყვანან გვერდსა! აი, ჯერ ეს ლოდები, სქლად მწვანე ხავსი რომ გადაჰკვრია; აი კიდევ ჩემს თავზედ პირყვითელი კლდე რომ დაყუდებულა და დამცქერის, მეხურება თავზედ მუზარადივით. ეს დევებივით ქორაფები როგორ აწვდილან ზეცად და მზის სხივსაც არ უშვებენ ჩემამდის! სქელი, გველებივით დაკლაკნილი ფესვები ჩემს უბე-კალთაში ჩაუწყვიათ. ორისა თუ სამის ვერსის სიგრძეზე ვარ მხოლოდ ბედნიერი და უცოდველი, მერე დამლევს, ჩამნთქავს უზარმაზარი მდინარე, დაიკარგება ჩემი სახელი, ჩემი ვინაობა. როგორც უნდა, ისე მათამაშებს. თითონ ხომ ღრიალებს, ბორგავს, აწყდება აქეთ-იქით, ანგრევს დედამიწას, გლეჯავს ხეებსა და მიათრევს, მეც იმასვე ჩამადენინებს. მაგრამ მაშინ მე ის აღარა ვარ, რაც ეხლა, ამ წამში, როდესაც პირველად კლდიდამ ვიბადები. ოჰ, ამ მდინარისაგან გული მაქვს გახეთქილი! რამდენჯერ აქ მესმის ხოლმე ხალხის ჟივილ-ხივილი: „დაახრჩო წყალმა კაცი, უშველეთ, ღმერთი არავისა გწამთო!“ ცოტა არ არის, მეც ბრალი მედება. ვაჰ, ჩემო თავო! ნეტავი დამბადებელს ესე არ დავეწესებინე და სულ დაუსრულებლად მედინა, მერწყო მცენარენი, დედამიწის ლამაზი გული, მომეკლა კაცთა და ცხოველთათვის წყურვილი! რა ბედნიერად ვგრძნობ ხოლმე ჩემს

თავს, როცა მე ჩავუვლი გასახმობად დამზადებს ბუერასა და იგი თავს დამიკრავს, სალამს მამლევს, თან თავისის ფოთლებისას კაბას მიკვრავს. მერე რომ ჩადუნიაში ჩავრაკრავდები და ისინიც გარს შემომერტყმიან და ტრფილით მომძახიან: „გაუმარჯოს მთის წყაროს, გაუმარჯოსო!“ ახლა ზვავისაგან წამოთელილს თხილებსა და ყურძნებს დავულობობ დამჭკნარს ფესვებსა და მაღლა ავახედინებ... ოჰ, ღმერთო ჩემს ამაგს რად აფუჭებინებ იმ ტიალს, აბეზარს, დაუდეგარს, მოუსვენარს მდინარეს! წუხელის რა ცუდი სიზმარი ვნახე!.. ღმერთო დამზადებელო, ჩვენო პატრონო, ჩვენო შემნახველო, კარგად ამიხდინე!.. ვნახე, ვითომ ვილუპებოდი. გვალვა, დიდი გვალვა დამდგარიყო; ბალახნი, ხენი, ჩემნი მშობელნი, დამჭკნარიყვნენ, მეც დავმშრალიყავი თითქმის. ღაბუა, ღამაზი „წიფლისჩიტა“ ჩა-

- 217 -

მოფრინდა ვერხვის ტოტიდამ და უნდოდა ჩემს გუბეში ბანაობა, მაგრამ ვედარ დაისველა მხრები და დაიწყო ტირილი. ვხედავდი ამას და გული მიკვდებოდა: „სდ წახველ, ჩემო მაღლო-მეთქი“, – ვდუღუნებდი. დამჭკნარნი დიცი, შუპყა, შამბი, არყი, ცაცხვი და ურძავნი, – ყველანი ერთად შფოთავდნენ: „მივაშველოთ წყაროს წყალი, არ დაგვიშრესო!“ მაწვდიდნენ ფოთლებიდამ, ტოტებიდამ, ფესვებიდამ თითო-ოროლა ნამობით, მაგრამ ვედარასა მშველოდნენ.

თქმა არ უნდა, რომ ამგვარი ნაწარმოები პოეტისთვის უკარნახებია მის ტკბილს სიყვარულს ბუნებისადმი, მის ღრმა დაკვირვებას და გამოცდილებას მთაში ცხოვრების დროს. გამუდმებულმა ტრიალმა ბუნების წიაღში აიძულა თითქოს იგი იდეალურის ბეჭედით შეემკო ცხოველთა და ყვავილთა თვისებანი. მაგრამ იდეალიზაცია მისი იმდენად სამართლიანია, რომ მკითხველი ამას ვერ ჰგრძნობს და იმსჭვალეა ავტორის სათანადო შეხედულებით. ამას კარგად ამოწმებს მისი ნაზი მოთხრობა „ია“. უღრანს ტყეში ამოსული ია ატკბობს არემარეს სუნელებით და სილამაზით. მას დაჰხარის წვერ-ხმელი ხე და ტოტებს აფარებს, რომ არამ აწყინოს რა. მის წინ დაგოგავენ ღაბუა ჩიტები და შეჰჭიკჭიკებენ პირში. ეს არის მისი უბედურება მხოლოდ, რომ დიდხანს სიცოცხლეს დანატრულებულია. ჭექა-ქუხილი მას არ აშინებს: ქუხილი წვიმის მომასწავებელია და წვიმა კი ძუძუს აწოვებს დედამიწის გულზე. მისი მტერი შეუბრალებელი კაცია. იგი ცუდით სჭრის მშვენიერს წიფელას. ამის ტოტზე შემჯდარს ქედანს თოფით ჰკლავს და სისხლით მორწყო ფოთლები. ოჰ, კაცი ცდილობს სუყველა თავის სასარგებლოდ მოიხმაროს. არ აფასებს ბუნების სილამაზეს, თავის საქციელით არღვევს მის სიმფონიას. იას კანკალი მოსდის ქედანის სისხლის დანახვაზე და წარმოდგენილი აქვს ჩქარა წარმავალი თვისი სიცოცხლე. „ვაჰმე რა საბრალო არი ია, მოსული მთაზედა! ბეჩავს დააზრობს სიცივე, ან ელვას დაჰკრავს თავზედა; ღმერთს მოუცია საწყლისად მოკლე სი-

ცოცხლის ჟამია, ქვეყნისა მისგან შვენება ერთი ბეჩავი წამია. ია დაი-

- 218 -

წყებს კდომასა, დაიქვითინებს ვაჰმეო! თუ გამაჩინე, უფალო, დიდი დღე რად არ მამეო?!

ვისაც უნახავს ნაზი ია, ის დაეთანხმება პოეტს, რომ ეს კეკლუცი ყვავილი მართლაც თითქოს შეჰხარის თავის სილამაზეს. ვინც ყოფილა მთაში, მისთვის ეჭვს გარეშეა, რომ აყუდებულნი დევივით კლდენი რაღაც მოლოდინში არიან ჩაფიქრებულნი, მთის წყაროს მდინარეში შერთვა მაყურებელს საფლავთან სამგლოვიარო ხმას აგონებს და სევდით გულს უვსებს. პოეტმა ისე ცოცხლად დაგვიხატა ბუნება და მისი მოვლენანი, რომ შეგვაყვარა მცენარე, ფრინველი და ცხოველი, გაგვიღვიძა მათდამი თანაგრძნობა, მათ სიხარულით და მწუხარებით აგვიტოკა სულის გრძნობიერი სიმები. წაიკითხეთ „შვლის ნუკრის ნაამბობი“ და სავსებით იგრძნობთ მის სვებედის სიმწარეს, კაცის სიაკვაცეს, ობლობის ტვირთმძიმობას. პაწაწა ნუკრი, მოწინწკლულის თხელის ქათიბით, ობლად, გზადაკარგული დადის. ჯერ რქები და კბილებიც არ ამოსვლია, ჩლიქები არ გამაგრებია და დედა კი დაჰკარგა, ძუძუ მოაკლდა, დამრიგებელი და მოალერსე აღარავინა ჰყავს. უპატრონოდ დარჩენილი მუდამ ჰკანკალებს, სიკვდილს ელის უღმობელის კაცისაგან. დედასთან დაბურულს ტყეში სცხოვრობდა, სამისვე მხრიდან ხეები ეფარათ და მეოთხეს თითონ გაიყურებოდნენ. რამდენჯერ ყურებ-აცქვეტილნი გაქცეულან აქედან, როცა ხმა შემოესმოდათ. პატარაა, მაგრამ თვალ-დასისხლიანებულს ადამიანს მაინც არ ებრალება, ვერ წარმოუდგენია, რომ პირუტყვსაც უყვარს თავისუფლება, სიცოცხლე, ბუნება. ნუკრი გვიამბობს, როგორ მიეპარა კაცი მის დედას, ესროლა თოფი და გამოასალმა წუთის სოფელს: დედაჩემმა ერთი კი ამოიკვნესა და წაიქცა. მე იქვე გავისხიპე. დედა-ჩემი მიგორავდა, ვხედავდი, თავქვე და სისხლიანს კვალს სტოვებდა ბალახზე. არყების უკანიდამ გამოხტა ახალგაზდა ბიჭი, ლეგა ჩოხის კალთები აეკვალთა „გაუმარჯოსო!“ დაიძახა და სასწრაფოს წკრიალით გამოეკიდა დედა-ჩემს უკან... საწყალი დედა-ჩემი ცდილობდა ადგომას, წამოიწევ-

- 219 -

და ხოლმე, მაგრამ ისევ ჩაიხვეოდა მუხლებში, დაეცემოდა და გაგორდებოდა. მე მოვკვდი, ტანში დავიშალე, როდესაც შეჩვენებულმა მონადირემ ამოიძრო პრიალა ხანჯალი და გამოუსო დედას ყელში. სისხლმა იფეთქა და გადაერწყია ხეებზე. ვაჰმე! სულ ცხადად ვხედავდი, მაგრამ რითი ვუშველიდი მე, საცოდავი?! აგერ ძუძუებზე, იმ ძუძუებზე, რომლებსაც მე ვწოვდი, დაუსო ხანჯალი და გამოშეშა. შეიდო კისერზე და გასწია. მე დავიწყე ტირილი. გული

შემიწუხდა. მას აქეთ ცოცხალ-მკვდარი ვარ; ვტირი და ეს არის ჩემი ნუგეში; დავდივარ და შევსტირი ხეებს, მთასა, კლდეებს, დავსტირი წყალსა და ბალახს, მაგრამ ჩემთვის დედა არა ჩნდება, დედა-ჩემს ველარა ვხედავ. ვარ ობოლი და, ვინ იცის, ვინ დამეპატრონება, ვინ შეიღებავს ჩემის სისხლით ხელებს.

ბუნება ხან მფარველობს კაცს, ხან ბოროტებას აყენებს. პოეტი მშვენიერების მოტრფიალეთა და იხიბლება ბუნების სიტურფით. ბუნება არ არის შექმნილი ადამიანის გასაბედნიერებლად, მაგრამ არც მისი გაუბედურება სურს. იმის პატარა მოთხრობებს ერთი საერთო თვისება აქვთ. პოეტი, სიყვარულით აღფრთოვანებული, აღსარებას ათქმევინებს მცენარეს და ცხოველს კაცის ენით და ამასთანავე იცავს მათ ბუნებრივს ხასიათს და ჭეშმარიტებას. ამიტომაც მის კალმით დახატულნი ყვავილნი და პირუტყვნი ისე ცოცხლად და მკაფიოდ წარმოგვიდგებიან და მდაბიო, მარტივის მოხაზულობით თანაგრძნობას გვიღვიძებენ, თავიანთ სვე-ბედის თანამოაზრედ გქმნიან. ამასთანავე ლ. რაზიკაშვილის ყველა ნაწარმოებს აზის ხალხოსნური ბეჭედი, მისი თავისებურობით შექმნილი და გაბრწყინებული. ამ პოეტზე გავლენა თითქმის არ მოუხდენია ჩვენს ისტორიულს სალიტერატურო ტრადიციას, თუმცა მიმართულებით ნათესაობა აქვს რაფ. ერისთავის პოეზიასთან და საკუთართ ძმათა (ნიკოლოზის და თედოს) შემოქმედების ხასიათთან.

ლექსებში ლ. რაზიკაშვილი იმავე მაღალის გრძნობით და პოეტურის აღმაფრენით აგვიწერს ბუნების მოვლენას, მასთან

– 220 –

კაცის შეუპოვარს ბრძოლას და ხშირად გულდაწყეტილი უიმედობით მწუხარების კილოთი დამღერის საგანს. პატარა ლექსი „არწივი“ მისი მანერის მაჩვენებელია.

არწივი ვნახე დაჭრილი, – ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
ეწადა ბეჩავს ადგომა, მაგრამ ველარა დგებოდა,
ცალს მხარს მიწაზე მიითრევს, გულის პირს სისხლი სცხებოდა.
ვაჰ დედას თქვენსა, ყოვებო, ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,
თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს გაშლილს, გაფანტულს ველადა!

ლექსი „მესტვირის ჩივილი“ გაგვაცნობს მის შეხედულებას პოეზიის დანიშნულებაზე. პოეტის „სტვირის“ დანიშნულება არის ათქმევინოს მას „სოფლის წყლული და ჭირიო“. იგი აჟღერებს „ქამანჩას“ უსასყიდლოდ და იმდენი ძალაა მასში ჩაქსოვილი, რომ აკვნესებს მთას და ბარს, ცრემლს აღვრევინებს ქალსა და კაცს. უკმაყოფილება ისმის პოეტის წვრილს ლექსებში, შეწუხებულია იგი „გარს შემორტყმული სიბნელით“ („სიმღერა“, კრებულში „ცრემლები“, გვ. 161). გავლილი გზა უხატავს მას „შავს სურათს“, თვალთაგან არ შორ-

დება „სატრფო საფლაგში მდებარე“ („ცრემლები“, გვ. 14).
თუმცა ცხოვრებამ იგი არ შეიზარალა და „დავსებას“ ემუქ-
რებოდა, მაგრამ პოეტი მედგრად დაუდგა ბოროტს ძალას:
„რამდენიც დამკრა, იმდენი მე ავიწიე ზეცადო“ (იქვე, გვ. 69).
დაუსრულებელს მწუხარებას იგი არ ემონება, – დასთრგუნავს
მას და აღარ ემდურის თავის თავს:

მხრები მესხმება, ვიზრდები, ცად ვიწევ ასაფრენადა.

გაჩნდება სითლაც ნათელი, გულს ჩამიდგება სვეტადა.

ეს გამამხნეველი სიმი ცხოვრებასთან საბრძოლველად
გაისმის ერთად სილაჩრის გაკიცხვასთან, რომელიც გაისმის,
სხვათა შორის, ლექსში: „ილია ჭავჭავაძის სახსოვრად“. იგი
დიდებულს პოეტს, უგუნურთაგან მოკლულს, დასტირის და
ეტყვის:

სამირკვლად აზრი ჩააგდე, ზედ დასდგი გრძნობის ტაძარი,

მან გააბრწყინა სხივებით ჩვენი სამშობლოს მთა-ბარი.

– 221 –

ლ. რაზიკაშვილმა სალირიკო პოეზიაში აღნიშნა სული-
ერი ვითარება ჩვენის საზოგადოებისა, მაჯის მოდუნება თანა-
მედროვე თაობისა, გაგვითვალისწინა ჩვენის მდგომარეობის
წყლული და ვაება.

ნიკოლოზ რაზიკაშვილი (ბაჩანა)

ლუკა რაზიკაშვილის ძმა ნიკოლოზი, ბაჩანას ფსევდონიმით ცნო-
ბილი, გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე 1885 წ. და მაშინვე მიიპყრო
მკითხველთა ყურადღება. სოფლის მასწავლებელი და მუდამ მთაში მცხო-
ვრები ნიკოლოზ რაზიკაშვილი აღბეჭდილია მაღალის პოეტურის ნიჭით
და შემოქმედებითის ფანტაზიით. პირველს ხანად დაიბეჭდნენ მისი „ფშა-
ური ქალის ტირილი“, „ტყვის სიმღერა“, „მუხა“, „შემოღამება მგზავ-
რისა“ (დაბეჭდილნი „დროებაში“), „ვინა სთქვა საქართველოზედ“, „რა-
ფიელ ერისთავს“, „სიმღერა“ („ივერიაში“). ამ ლექსებს აზის აღფრთო-
ვანების დალი, შემკულნი არიან მდიდარის ფერადებით, ცეცხლებრივ
მგზნებარე ტემპერამენტის ნიშანი შიგ გაფურჩქნილია. იმის შემოქმე-
დების ტალანტს ახასიათებს ლექსი სათაურით „გზა ბნელი“, სავსე ლი-
რიზმით და მამულისშვილობის იმედებით.

აწმყოზედ დაფიქრებული ავყვები გულის ძგერასა;

ხანა ვსასოებ, ხან ვსტირი ჩვენი სამშობლოს წერასა, –

მინდა განვსჭვრიტო მყობადი, – თვალი მაწყდება ცქერასა.

მაგრამ რა ვნახო, რა მოსჩანს? ბედია გაუგებარი;

ბრუნავს და ბრუნავს იმისა ბორბალი დაუდეგარი.

წინ გადამშლია სამშობლოს ნამყო, ფას-დაუდეგარი.

როცა ბნელს ცაზე დაესხმიან ვარსკვლავები, სასიქადულო და სა-

ტრფო ახალგაზდობას ხედავს. იმედი ელვიძება, ცის კარი იღება, ხმა ტკბილი მოესმის და ფრთა-შესხმული შესცქერის ჩვენის მყობადის ვარსკვლავსა. მაგრამ ტკბილს სიმწარედ სცვლის ჟამის ცვალებადობა; ძვირფასი ჩრდილები გაჰქრნენ და მით გაჩნდნენ ჭია და მატლი, – მამულის მოღალატენი. გარშემო ცეცხლია, მხეცნი ემზადებიან ჩვენ შესაჭმელად, გასავლელი გზა აღარ მოსჩანს. მაშინ პოეტი აღელდება და ამბობს:

ძმებო, გავინძრეთ, ნუ მივვარდნილვართ ძილადა,
სწავლა და ცოდნა, რაც სხვასა, ჩვენც გვინდა თავის წილადა.

– 222 –

სასაპარეზო დიდი გვაქვს, წადით, გაიწით წინაო;
ყოვლის შემძლებმა ნდომამა გალენოს ქვა და რკინაო!
ეგები დღეის აღაპმა ხვალა სთქვას: „ჯვარი წინაო!“

ქვეყნის სიყვარულის გასათვალისწინებლად, ამ გრძნობის შესაგნებლად პოეტი მიჰმართავს „ტყვის სიმღერას“. ტყვე შესცქერის ფრინველთ და ნაღველ-სავსე ეკითხება მათ, მიაშბეთ ჩემს ქვეყანაში: „წყარონი კიდევ დიანო? მზე, მთვარე და ვარსკვლავნი ცაზედ კიდევა ჰკრთიანო? თავზედამც შემოგვევლები, ჩემო ქვეყანავ მთიანო!“ მტკიცე ხასიათის კაცის დასასურათებლად პოეტი მდაბიო ადამიანს ათქმევინებს ლექსში „მუხას“ შემდეგს სიტყვებს:

მუხალ, მიყვარხარ, ტიალო, განმარტოებით მდგომარე!
ერთი შენ გპოვე გულისა, ქვეყანა შემოვიარე!
დაღონებული, მტირალი, მიწყვი შენკენ ვარ მოარე.
მე მიყვარს შენი სიბერე, მუდმივი დაღრეჯილობა,
დახავსებული ტოტები, სიმტკიცე, ფოთოლ-შლილობა...
შენ არ გაშინებს, ვაჟკაცო, ბუნების ფერის-ცვლილობა!

რაც უნდა ქარი ჰქმუოდეს, ელვა იკლაკნებოდეს, მთა-ბარი ირეგვებოდეს, ლერწამი მიწას ეკვროდეს, შველი ტყეს ინაბებოდეს, ზარდაცემული მხეცი ღმუოდეს – ამაყად ელი ავდარსა, ქარს არ უყადრებ თავსაო, ელვა და ქუხილი წარბს ვერ შეგიხრიან, საფლავიმც აუყვავდება, ვინაც გვაუწყა მცნებაო:

„კაცი იშობვის ერთს დღესა და ისევ ერთსა კვდებაო. –
კარგი ჭაბუკი სიკვდილსა არროს არ შეუდრკებაო.

პატრიოტულის გრძნობით გაკაჟებულია მშვენიერი ლექსი „მშვიდობით, წადი, გუგულო“. პოეტი გზას ულოცავს გუგულს და აბარებს იერუსალიმზე გავლის დროს ჩასძახოს მას „ჩვენი წახდომის“ ამბავი. ნაღველით ევსება ნიკოლოზ რაზიკაშვილს გული, როცა ხედავს დუხჭირს ცხოვრებას და მუდმივ ჩვენს შეცდომას.

ზღვა- ზღვა მივცურავთ უაზროდ, ნიჩბების მოუსმელადა,

არც რასა ვდარდობთ, უშტარი ბედი გვყავს წინამძღოლადა;
გავალთ, თუ დავიღუპებით, არა ვიცით რა სწორადა.
აღარც გილი გვაქვს, აღარც ჭკვა, აღარც თაკილი სადმეა;
არა გვეონია სმა-ჭამას გარდა სხვა კიდევ რამეა.

– 223 –

თუ გუგულმა იერუსალიმიდან წამალი ვერა მოიტანა რა, მაშინ სასოწარკვეთილი პოეტი საფლავს-და ინატრებს. შოთაც, სამშობლოს დავიწყებული, იქა მარხია და ცოცხალი იქნება, ვიდრე ცაზე მთვარე და მზე ტრიალებს. ვინ იცის, მასაც ენატრებოდეს „წოლა ქართლისა მხარეში“. საინტერესოა ეთნოგრაფიულის მხრით მისი ლექსი „ნადირთ პატრონის ტბა“. ლექსი გამომეტყველის ენით არის დაწერილი და საუცხოვო პოეტურის სურათებით შემკული. „უდაბურს ადგილს, ორის მთის შუა, ერთი პატარა ტბა რამ ლიპლიპებს, ზედ დასეირნობს ფერ-თოვლი გედი, ტალღას აგორებს და ალიკლიკებს. შუა ტბიდანა შუადღისასა ამოდის ერთი ლამაზი ქალი; ოქროს სისხონი კოჭებზედ ჰცემენ ფეხებს უკოცნის ანკარა წყალი. ერთს დაიძახებს შაშვენებული მალლის მთითგანა, მთა და ტყე ხმას მოსცემს და ნადირი მოჰხეთქს ყოვლის მხრიდანა. მოფრინავს ფსიტი, მოხტის ჯერანი, შველი, ირემი, ჯიხვი და ხარი. გამოდის ქალი, ჯერ მოიკითხავს მათ და მერე გაუშლის, მარილს ალოკებს, თვალებს უკოცნის, ამბავს ჰკითხავს. მარილ-ნაჭამნი, მოწყურებულნი ქვეით წყალზედ ჩადიან და ამ დროს ტბის პირს თევზები შაიყრებიან, რომელნიც წყლის მოტანილს ჭია-ღუასა ჩასანადირად ეტანებიან. ნადირის კვალზედ მოშიებული ტყის გულში ვეფხვი მოაჩაკუნებს... მაღლა დაბრუნვით ყორანი დაჰყეფს, – ზეხმლებს კოდალა გაუკაკუნებს“. ლეგენდალური ტბა ასწერა პოეტმა ისე ცოცხლად და მკაფიოდ, რომ ჩვენი ფანტაზია ადვილად წარმოიდგენს მის ნაპირებს, სავსეებს ფრინველთ, მხეცთა და თევზთაგან მშვენიერის ბუნების წიაღში.

ერთი მისი პოემა „ნანას სიმღერა“ აგებულია ძველს თქმულებაზე. ლეკებმა მოიტაცეს თუშის თორღვაის ქალი ნანაი, როდესაც იგი პატარა ძმითურთ წისქვილში ღამეს ატარებდა. ძმას ხელები დასჭრეს და ჩაუწყვეს დას უბეში, თვით ქალი კი გაიტაცეს. სწუხს ქალი ტყვეობაში და ელის გამომხსნელებს. დადგა ზამთარი და თორღვაის მომხრენიც გაემურნენ ნანას საძებნელად. თუშები მიადგნენ ლეკების სახლს, როდესაც ნანა ფანდურზე თავის თავგადასავალს მწარედ დამღეროდა: „ძმაი მამიკლეს ლეკებმა, მიბრუნვეს სისხლის ღვარიო, ხელნ დაჭრეს, უბეს ჩამისხნეს, იმით დავიჭრენ თმანიო. სალეკოდ წამომიყვანეს, უთმო, უმმოი ქალიო, ქავთრისა მთასა გადაველ, უკან მამბრუნებდ ქარიო. ქარი კი არა! ვინა ჰთქვა? ჩემია ცოდო-ბრალიო. უთხარით ჩილოელებსა ხახონს *) უჭირონ მხარიო. ჩემმა საქმრომა ხიწვამაც მაღლა შეირტყას ხმალიო. სახსარს ნუ დაღონდებიან, სათუშო აღარ ვარიო, თუშების ხელ-უკადრები

*) ჩილო – სოფელია თუშეთში; ხახონა – ნანას ძმა.

- 224 -

უსჯულოთ ნებას ვარიო. მარტოკა ნუ გეგონებთ: ხუთნი მტანიან სხვა-

ნიო“. თუშებს გაუწყდათ მოთმენა, ნანას არ გაეთავებინა სიმღერა, რომ მოისმა კარის ბრახუნი, ხახონი და ხიწვა გამოჩნდნენ, იშიშვლეს ხან-ჯლები და დაიწყეს ლეკების „ჟეჟვა“. დახოცეს ლეკები და მოუყვანეს თორღვას მისი ქალი ნანაი.

ნ. რაზიკაშვილი ისე წაყოფიერი არ არის, როგორც მისი ძმა ლუკა. იგი იშვიათად ჩნდება ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. უკვე რაფ. ერისთავმა მიუძღვნა მას საპასუხო ლექსი და აღნიშნა, რა გრძნობიერის ძალით მოქმედობს იგი მკითხველის აზრზე და ოცნებაზე. ხშირი სტუმარი არ არის იგი ჩვენს მწერლობაში, მაგრამ რაც დაუწერია, ყველა ხელისხელ საგოგმანებელი ნაწარმოებია.

ნ. რაზიკაშვილიც ხალხოსნურს მიმართულებას ადგია, ხალხის ზნე-ჩვეულების, სიმწარე-სიტკბოების, ფიქრის და სასოების მგალობელია. ზეპირთქმულებით იგი სარგებლობს მხატვრულის შემოქმედებისთვის, როგორც ლექსში „გასამართლებული მყინვარი“, ან პირდაპირ იძიებს და ჩაწერით დავიწყებას აცილებს სახალხო პოეზიის ნაშთებს, როგორც არის მისგან გამოქვეყნებული ზღაპარი „მკურნალი და მთავარ-პნგელოზი“.

თედო რაზიკაშვილი

თედო რაზიკაშვილიც ძმა არის ლუკა რაზიკაშვილისა. სამასწავლებლო სემინარიაში სწავლის გათავების შემდეგ ერთხანად მასწავლებლობდა სოფ. ხელთუბანში, სადაც ახლა იგი მეურეობას ადგია. იგი ცნობილია საბავშვო მოთხრობებით, ლექსებით და ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულის არაკებით, რომელნიც მას ჩაუწერია ფშავში, კახეთში და ქართლში. მდაბიო ხალხის ცხოვრების საფუძვლიანმა მცოდნემ, დაკვირვების ნიჭით ცხოველთა და ფრინველთა მხატვრულად აღწერაში, თედო რაზიკაშვილიმა შესძინა ქართულს მწერლობას არა ერთი ნაწარმოები, აგებული როგორც ზეპირს გადმოცემაზე, აგრეთვე საკუთარს შექმნილს სიუჟეტზე. ამგვარს ნაწერებს ეკუთნიან: „თამაზ-ხანი“, „აზატ-ხანი“, და სხვა. ბიბლიურს გადმოცემაზე აშენებულია მისი „მოსეს სიკვდილი“. ქართულს ისტორიას შეეხება თქმულება თამარ დედოფალზედ „გარიელა“, „მცხეთის ნანგრევებზედ“, არაკი „ცისკარა“ და რამდენიმე კიდევ ზღაპარი, რომელიც ცალკე იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში და შემდეგ მოაქცია ზემოხსენებულს ზღაპართა კრებულში. თედო რაზიკაშვილი ეკუთნის ხალხოსნურის მიმართულების ჯგუფის მწერლებს, უმთავრესი სამსახური,

რომელიც მან: გაუწია ჩვენს ლიტერატურას, არის ხალხურის ნაწარმოების შეკრება და გამოქვეყნება.

იაკობ გოგებაშვილი

(1840 – 1912)

იაკობ გოგებაშვილი დაიბადა 1840 წ. 15 ოქტომ. მამა-მისი სვიმონ იყო გორის მაზრის სოფ. ვარიანის მოძღვარი, დედა – მაგდანა, გლეხის ქალი. პირველ-დაწყებითი სწავლა მიიღო ტფილისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ სემინარიაში დაამთავრა კურსი 1861 წელს. აქედან მთავრობამ კიევის აკადემიაში გაგზავნა. უმაღლესის სწავლის გათავება ავადმყოფობის გამო ვერ მოუხდა, დაბრუნდა საქართველოში და გამწესებულ იქმნა ჯერ მასწავლებლად და შემდეგ ზედამხედველად ტფილისის სასულიერო სასწავლებლისა. 1872 წ. სინოდიდან გამოგზავნილმა რევიზორმა ქებით მოიხსენა ჩვენი პედაგოგი, როგორც საუკეთესო მასწავლებელი და გამოცდილი ადმინისტრატორი. ერთის წლის შემდეგ კი იგი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან, რადგან მოსწავლეთა შორის ლიბერალიზმის გავრცელება შესწამეს. ერის სიყვარულით აღჭურვილმა იაკობმა სასწავლებლის გარედ ძალღონე გაიორკეცა, დაბრკოლება დასთრგუნა და სააღმზადებლო შრომა სასწავლო წიგნთა გამოცემით განაგრძო. ამ დროს ქართველებს რიგიანი ანბანიც კი არ მოეპოვებოდათ, არამც თუ წესიერი სახელმძღვანელო. ამ ნაკლს მიაქცია მან ყურადღება და. 1865 წ. გამოსცა ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, ხოლო შემდეგ „ბუნების კარი“ (1869 წ.) და „დედა-ენა“ (1878 წ.). ამათ მოჰყვა სახელმძღვანელოები: „კოკორი“, „კონა“, „კუნწულა“, „ხომლი“, „Русское Слово“ (ორს ნაწილად), მეთოდის სახელმძღვანელო, „დედანი“ და სხვა. ჟურნალ-გაზეთებში გაფანტულს ვრცელს წერილებს სხვადასხვა საგნებზე ანგარიში არა აქვს. ერთი დიდი ტომი მის „რჩეულის პედაგოგიურის და პუბლიცისტურის ნაწერებისა“ (1910 წ.) უკვე გამოვიდა და ცოცხლად მოწმობს, რა ღრმად და ფართოდ ესმოდა ავტორს საზოგადო მოღვაწეობა, რა უნარით და ნიჭით იკვლევდა სამეცნიერო და საპოლიტიკო საგანს. პირველი მისი წერილი დაბეჭდილია „დროებაში“ (1866 წ. № 9) სათაურით „ბრძოლა ამერიკის შეერთებულს შტატებში პრეზიდენტის ლინკოლნის მოკვლის შემდეგ კონგრესსა და ახალს პრეზიდენტს შორის“. იაკობ გოგებაშვილი იღებდა მხურვალ

– 226 –

მონაწილეობას რუსულს პრესაშიაც („Тифл. Вѣстн.“, „Нов. Обзор.“, „Совр. Изв.“, „Сиб. Вѣд.“ და სხვ.), სადაც იცავდა ქართულს სკოლას, ენას, ჩვენის ხალხის ინტერესებს და თამამად ებრძოდა მოწინააღმდეგე მხარეს. გარდა ამისა, იაკობი ცნობილია როგორც ავტორი საისტორიო და საბელეტრისტო ნაწერებისა: იმის დალოცვილმა კალამმა “მეჰქმნა „რანი ვიყავით გუშინ“, „ასპინძის ომი“, „Правдв о Тифли-цѣ“, „იავენანამ რა ჰქმნა“, „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა“, „ხატის მიზეზი“, «თავდადებულნი ქართველნი». ამ მხატვრულის ენით დაწერილს მოთხრობებში ავტორი უღვიძებს მკითხველს მამულისშვილობის გრძნობას და აშუქებს მის სულს მაღალის ზნეობითის მოვალეობის შეგნებით. ი. გოგებაშვილი არის ერთი იმ პირთაგანი, რომელთაც ითავეს და დააფუძნეს ქ. შ. წე-

რა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ამ საზოგადოების გამგეობის წევრად იყო ოცი წელიწადი. აგრეთვე მონაწილეობა მიიღო სათავადაზნაურო სკოლის დაარსებაში. გადაიცვალა 1912 წ.

გიორგი წერეთელი

(1842 – 1900)

გიორგი წერეთელი დაიბადა 1842 წ. სოფ. გორისაში, ზემო იმერეთში; მამა-მისი ექვთიმე გონება-გახსნილი და ღვთის მოყვარე კაცი იყო; დედა ადრე გარდაიცვალა და სწავლა მამამ დააწყებინა. შემდეგ განათლება მიიღო ქუთაისის გიმნაზიაში და პეტერბურგის უნივერსიტეტში. სწავლის შესავსებლად ისმენდა შვეიცარიაში და გერმანიაში საბუნებისმეტყველო და სოციოლოგიურის საგნების ლექციებს. მესამოცე წლების მოძრაობის დროს იგი მოწინავე დასთან ერთად გახდა ჰუმანურის და განმანათლებელის მოძღვრების მქადაგებლად ჯერ „ცისკარში“ (1862 წ.) და შემდეგ „საქართველოს მოამბეში“. 1866 წ. იკისრა გაზეთის „დროების“ რედაქტორობა, რომელიც შემდეგ გადასცა ს. მესხს და თვით ჟურნალ „კრებულის“ რედაქციას ჩაუდგა სათავეში; ჟურნალთან გამო-

– 227 –

დიოდა აგრეთვე „სასოფლო გაზეთი“. მონაწილეობას იღებდა რუსულს გაზეთებშიც. 1891 წ. თავის მეუღლესთან ერთად დააარსა საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ და 1893 წ. კვირეული ჟურნალი „კვალი“, სადაც ჰბეჭდავდა საპოლიტიკო, საარქეოლოგიო და საისტორიო წერილებს. გიორგი წერეთელი ცნობილია როგორც ბელეტრისტი რეალურის მიმართულებისა. პირველი მისი წერილი დაიბეჭდა 1862 წ. „ცისკარში“ (თერგდალეულის*) ფსევდონიმით. გადაიცვალა 1900 წ.

აღჭურვილმა ფართო განათლებით და ბუნებრივის ნიჭით, გიორგი წერეთელმა უკვე 1866 წ. „დროებაში“ იჩინა თავი როგორც თავისებურის მიმართულების მწერალმა. სატირული მათრახი, რომელიც მან მოიღო ქართველის საზოგადოების ნაკლულევაანებათა გასაკიცხად, ჩვეულებრივი საშუალება არ იყო ჩვენს მწერლობაში. პირველს ტომში მოქცეულია მისი ცოცხალის ენით დაწერილი „მგზავრის წერილები“ ანუ „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“, გესლიანი სატირა თანამედროვე უწესობაზე. ავტორმა მაშინვე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება ცხოველის სურათებით, იუმორით, ტიპებით. ამ

თხზულების საგანი მარტივია. ავტორი ორს თანამდებობის პირს მიჰყვება ქუთაისიდან სვანეთს. მგზავრები ცხენებით მიდიან; იმათ მოსამსახურეები ახლავთ. გზა-და-გზა სხვადასხვანაირი ხალხი ხვდებათ. ამ გზის, ხალხის და მგზავრების დახატვა შეადგენს საგანს გიორგი წერეთლის ნაწარმოებისას. აი როგორ აგვიწერს იმ მინდორს, რომელიც ცხენის-წყალს აკრავს: „გზა მიგვიძლოდა ფართო ჭალებზედ. მდინარის შხუილი ხანდახან ბუნდად მოგვესმოდა. მინდორს უწვიმობით მოყვითალო ფერი დასცემდა; ეკლით გაბანდული მწვანე ბუჩქნარი ზოლ-ზოლებად გადაუყვებოდა. ერთი საათი მეტი ვიარეთ ამ მინდორზედ და შემდეგ შევედით სქელს დობილოში: ლოტნარს თხმელის ხეებს ქოჩორა წვერები ვაზის ფო-

*) ამ სახელით იწოდებოდნენ რუსეთში სწავლა-მიღებული ახალგაზდები.

- 228 -

თლებთ ჰქონდათ შეხვეული. მაჯის შავი ვაზები ხეებსა და ხეებს შუა ბაწრებად გაბმულიყვნენ და თვითონ იმათაც გველსავით შემოხვეოდნენ. ამ დროს მხემაც პირი გვიჩვენა, მაგრამ იმისი ცხელი შუქი ჩვენთვის უვნებელია დარჩა: ხშირად გაბნეული თხმელა, ხურმა და კაკლის ხეები სქლად გვირდილებდნენ. თვითონ მინდორმაც ამ დობილოში ფერი მწვანედ იცვალა. როგორც ეტყობოდა, მზის შუქს ამ ჩრდილში ბალახისთვის სისველე ვერ წაერთმია. დობილოს ტყეში სუნთქვა ძლიერ გაგვიტკბა; გონებაში გავივლე, ამისთანა მწვანილოვანს ბაღში კაცი არ უნდა დაბერდეს მეთქი“.

ავტორს ეხერხება ბუნების სურათების ხატვა. ლეჩხუმი და სვანეთი თავის განვითარებულის და განსაკუთრებულის თვისებებით მკაფიოდ წარმოგვიდგინა. ერთს პეიზაჟს კიდევ მოვიყვანთ ნათქვამის გასაბრწყინებლად. „სოფელი წითური ორ-კაპალა ქედზე იყო წამოყუდებული. ჩვენ დავეშვით იმ ფერდზე, რომელიც სამხრეთისაკენ იყო მიქცეული. პაწაწინა მთის კალთებზე ამწვანებული სიმიანდის ყანები ყურთმაჯების ფრიალით თავს იქცევდნენ; ზოგან ვაზის ფოთლებით მორთულს მტევნებს უმანკოებით თავი ჩაეკიდათ და თრთოლვით ელოდნენ კაცის ხელს. ზოან აყვითლებული პურის ყანები სიამოვნებით ღელავდნენ. მაგრამ ეს ყანები სიდიდით უფრო ბაღებს ჰგავდნენ, ვინამც მამულებსა; იმათ პატრონებს ძალაუნებურად მუცლები უნდა აეკრათ მაგრად, რომ მომეტებული სარჩოს თხოვნით არ შეწუებულიყვნენ. მე რომ ჩვენის ლეჩხუმელის ცოცხალ თვალებს ვუყურებდი და იმის მარდად სიარულს მუხლებამდის გათქვეფილს ტალახში, ვიფიქრე, თუ კი სარჩოს დაძვირებით მუცლის აკვრა აცქვიტებს კაცს, ნეტა ჩვენ ღიპიან ახალგაზდობასაც მოუჭერდნენ მუცელზე მუხრუჭსა, ეგების ზანტობას და ტახტზე გორვას თავი დაანებონ-მეთქი“.

აღწერილი მოგზაურობა ბატონ-ყმობის ხანას შეეხება. იმიტომ საინტერესოა, იმ დროის როგორი პორტრეტები დახატა გ. წერეთელმა თავის სატირულს ნაწარმოებში, აი ბატონ-

ნის სურათი: „მთიდან გზა-წვრილზე ჩამოთხარიკდა ერთი თავის ოდნა შავი ჯორი, რომელზედაც დიდი ძარის სისხო კაცი შედებუ-

- 229 -

ლიყო; საწყალს ჯორს გძელი ყურებისა და თავის მეტი არა მოუ- ჩნდა რა. ეს მსხვილი არსება თუმცა ჯორზედ იჯდა, მაგრამ ფეხებს თითქმის მიწაზედ მისთრევდა. ამ საკვირველს ცხენოსანს უკან ორი ფეხშიშველა და დაკონკილი მსახური მოსდევდა. ეს მსხვილი ცხენო- სანი ჩიგუნისა დუქანს როგორც გაუსწორდა, ის ორი მსახური ჯორს მივარდა. ერთმა სადავე დაუჭირა და შეორემ უზანგი, რომ ძირს უვ- ნებლად ჩამოესვათ მსხვილი არსება, რომელიც ხვნეშით შემოსვენდა ჩიგუნისა დუქანში... ბრწყინვალე დაზგას (ასე ეწოდებოდა იმ მსხვილ არსებას) თავზე ორილა ბუსუსი თმა შერჩენოდა, მეტი არა; ამასთან წვერ-ულვაშიც გათეთრებოდა და სისუქნის გამო წამოზდილი ღაბაბი გულზედ ეკიდა. ჩიკოლიკმა და გიკოლიკმა ბევრჯელ სცადეს გამოლაპარაკება, მაგრამ ის ხან „კის“ იმახოდა, ხან „არას“; უფ- რო ხშირად ქშინავდა. ამ დროს იმის მეძაღლეც მთოიდა. ჩვენ დავ- რწმუნდით, რომ ბრწყინვალე დაზგა საკურდლოდ ყოფილა. მეძაღ- ლეს ზურგზედ ეკიდა გიდელი და ორმოცამდე მწევარ-მეძებარს, ერთ- მანერთზედ გადაბმულს, წინ მიუძლოდა. როგორც კი მეძაღლე მოუვი- და, ბრწყინვალე დაზგამ მოითხოვა თავისი ჯორი და ისევ ზედ შე- ედო. საწყალი ჯორი კუდს ცხარედ აცმაცუნებდა, ეტყობოდა, რომ მძიმე ტვირთით საქმე ჰქონდა გაჭირვებული; გაჭირვების დასამტკი- ცებლად კუდის ძირში მუხიკა დაუკრა და წათოხარიკდა. ორი ფეხ- ტიტველა მსახური ისევ უკან აედევნენ და მეძაღლეს თან გაჰყვა“.

აი სურათი გლახათუბნელის იმერელისა: „გლახათუბნელს ეცვა ნარინჯის ფერი დაკონკილი შალის ჩოხა. ჩოხის ნაფლეთები ერთი-ერთმანერთზე თეთრი სელის ძაფით ჰქონდა აკინძული; პირ- ველ შეხედვაზე იტყოდი, ალბად ჩვენს წინაპრებს, ადამს და ევას, ამ გლახათუბნელსავით ფოთლებ აკონკილი სამოსელი უნდა ცმოდა- თო. შორიდან გლახათუბნელის ჩოხა მართლაც გამხმარი ფოთლებისა გეგონებოდა. ტიტველა წვივები ამას მუხლამდის ჰქონდა აკაპიწებული და კანჭები სქელი ტალახის ქერქით შეემოსა, თავზედ ჩალის შლაპა ეხურა და შლაპის ქვემოდან ცეცხლივით თვალებს აბრიალებდა. მა- შინვე იტყოდი, ეს გაიძვერა ვინმე უნდა იყოსო. იმის გარუჯულს სახეზე შავად წამოზრდილს წვერ-ულვაშს მგლოვიარების ბეჭედი დაე-

- 230 -

სვა. ის მართლაც მძიმედ გლოვდა რაღასაც და რაღაცა იყო მთელი მისი მოუსვენარი ცხოვრება“.

ამგვარადვე სწორედ და ხელოვნურად ჰხატავს ავტორი დათუნას, გიორგი სვანს, ხელოსანს და სხვ. მეტადრე საუც- ხოვოდ და ცოცხლად დაგვიხატა კუდაბზიკა, რომელიც ჩაი- თვლება უნაკლულო ტიპად ჩვენს მწერლობაში. მისი სურათ: თვალწინ წარმოგვიდგება, როცა აქა-იქა გაფანტულს მის შე-

სახებ სიტყვას, შენიშვნას და ხაზს შემოვკრებთ და ერთად თავს მოვუყრით. იგია თავის ლაპარაკით და საქციელით იმ დროინდელი წვრილფეხა აზნაურის ტიპი. აი რა შტრიხებს ხმარობს ავტორი ამ ტიპის დასახატავად: „ჩიკოლიკი და კიკოლიკი დაწინაურდნენ, კუდაბზიკა კი ჩემ გვერდით მოდიოდა. იმის ბიჯის გადადგმასაც კი არ აპირებდა. კუდაბზიკა ჩემთან ძალიან ამაყოფობდა და ცდილობდა უკან ჩამოვერჩინე; ამის გამო ის ხშირად ასაჩუქრებდა დეზებით და მათრახით თავის ბედაურს, მაგრამ საწყალი ცხენი ხვნეშით თითქო ამას ეუბნებოდა: „ტყავიც რომ გამამრო, ჩემ ძმობილს ვერ დავცილდები“; პატრონის თვალის მოსატეუებლად ცოტაზედ გაჩანჩალდებოდა და ისევ გვერდით ამოუდგებოდა ჩემ ჯორსა. კუდაბზიკას მეტის-მეტი სიკაპასით ცხვირი უწითლდებოდა. ის ჯავრობდა ჩემ გვერდით სიარულს. ჩვენში გაუკრეჭელ ჯორზე შეჯდომა ძლიერ ეთაკილებათ; თუ მოახერხა, ჩვენებური ცხენს უკან ხურჯინს არ შემოიკრავს. არც თავადიშვილი და არც აზნაურშვილი გვერდით არ ამოუდგება იმ კაცსა, რომელსაც გლეხურად აცვია, თუნდ კეთილშობილიც იყოს: „იმე, იმ კაცს გვერდში რავა ამოგუდგები, ვისაც ყამახურად აცვია: რომ ვინმე შეგვეყაროს, მეც ყამახს არ დამიძახებს?..“ კუდაბზიკაც, რასაკვირველია, ასე ფიქრობდა ჩემზე, ის გაჯავრებული სწევეტდა და სწევეტდა მათრახს თავის გვირთაგვა ცხენს, მაგრამ ცხენი ყურსაც არ აპანტურებდა“. ამ დახასიათების გამოსარკვევად უნდა გვახსოვდეს, რომ კიკოლიკი და ჩიკოლიკი მიდიან ქუთაისიდან სვანეთს სამსახურის საქმეების გამო. და „მგზავრის წერილების“ ავტორი გაიწვიეს და ამანაც წინადა-

- 231 -

დება სიამოვნებით მიიღო და გლეხურად გადაცმული გაჰყვა მათ. გზა-გზა ესენი ბაასობენ ერთმანერთთან და შეხვედრილ პირებთან. ამ შემთხვევებით სარგებლობს ავტორი, რომ თავის იუმორისტული ნიჭი გამოიჩინოს. კუდაბზიკა-აზნაური „ნაჩალიკის“ მხლებელია და სამსახურის კაცად ითვლება. ამის გამო იმას ენაც უჭრის და მათრახიც. გასაჭირში აი როგორ აგვიწერს მას ავტორი: „იმისთანა თქვენს მტერს, კუდაბზიკას გირთაგვა ცხენს ამ გზაზე საქმე მოუვიდა. იმან უეცრად პირზე ქაფი მოიგდო და თავის მხედრიანათ მიწაზედ ტყეპა გაადინა. ამ მოულოდნელის შემთხვევის გამო კუდაბზიკას თავისი ამაყოფობა სულ გაეპარა. ის შიშით, ცხენი არ მომიკვდესო, ისეთნაირად გაწვრილდა, რომ საცერე რგოლში გამვრებოდა. სიმწუხარით ქვედა ლაფშიც ჩამოაგდო; თვალეზი უწინდულად ველარ გამიმართა; გონებაში ვამბობდი, სადღაა შენი ქედ-უხრელი ამაყოფობა და თავმოწონება მაგისთანა ცოტა საქმემ ეგრე როგორ დაგვა, ჩემო კუდაბზიკა?“ ცოტა ენა კოჭლობს ამ აღწერილობაში. მაგალითად: „სწევეტდა მათრახს“, ან „უწინდულად თვალეზი ველარ გამიმართა“. ამის მიუხედავად, თვით სურათი საუცხოვო და ცხოველია. რაც შეეხება ჩიკოლიკის და კიკოლიკის სურათს, იგინი მკრთალად არიან

დახატულნი. ავტორი თითონ გამოდის მათ კომენტატორად, მოდავედ და მქადაგებლად. მათ ხასიათს და ცხოვრებას აღარ გვიფენს თვალწინ და თვითონ ბაასობს ხმა-მაღლა მათ ბუნებაზე. ეს, რასაკვირველია, არღვევს ბელეტრისტის შემოქმედების თვისებას: პოეტი მხოლოდ სურათებით უნდა მოქმედობდეს მკითხველზე. რეზონანსი უფრო თვალნათლივ მოსჩანს „მგზავრის წერილების“ მეორე ნაწილში, რომელსაც სათაურად „კიკოლიკის ცხოვრება“ აქვს. აქ დავაა ავტორისა და კიკოლიკის მიმართულების შუა. აზრების უთანხმოებას ავტორი ხელოვნურად ვერ სახავს, რაკი ვერ აყენებს მათ სხვადასხვა მდგომარეობაში და არ ამოქმედებს მიმართულების დასახასიათებლად. მოდავეთაგანი ერთი დამწერის აზრის მომხრეა, მეორე – მოწინააღმდეგე. ეს უკანასკნელი ჩერჩეტია, უფხოა,

- 232 -

უმეცარი; ავტორის მომხრე კი ყოველნაირის ღირსებით და სიბრძნით სავსეა. ამ ნაწილს პამფლეტის და ბიოგრაფიის ბეჭედი აზის, ამიტომაც მიუდგომელად ვერ გამოიხატა ორის თაობის ბრძოლა. ავტორს თავის თავი საღათის სახელით გამოჰყავს: ბიოგრაფიული ცნობანი ამას მოწმობენ, მეტადრე იმ ადგილას, სადაც მოთხრობილია გაზეთის დაარსების გარემოება. ეს ამბავი გვაგონებს 1866 წ. „დროების“ გამოცემას ნ. ლოლობერიძის, ვახტ. თულაშვილის და სტ. მელიქიშვილის თაოსნობით. გ. წერეთლის თვისებას შეადგენს ბელეტრისტულ ნაწარმოებში ცოცხალის სურათების ჩაქსოვა. ეს მისი თვისება აღინიშნა როგორც „მგზავრის წერილებში“, ილ. ჭავჭავაძის წერილების სქემაზე დაწერილში, აგრეთვე მეორე მის ნაწარმოებში „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“, რომელსაც დაეტყო შელლერ-მიხაილოვის თხზულებათა გავლენა.

„ჩვენი ცხოვრების ყვავილის“ გმირი არის განებივრებული დიტო, გავლენიანის დიამბეგის შვილი. საინტერესოა დიტოს აღზრდა სახლში და სკოლაში იმ შეუსაბამო მეთოდით, რომელიც ახლა ყველასაგან უკუგდებულა. დიტო გალადებულია ცხოვრებამ სწორს გზას ააცდინა და უკუღმართს მიმართულებას მიაქცია. მოთხრობა იმით იწყება, რომ თვითნება ცხრა წლის ბატონიშვილი მარჯვენა ულვაშს უწიწკნის თანმხლებელს 40 წლის გლეხს თონიკეს და გაათავისუფლებს წვალებიდან მხოლოდ მაშინ, როცა დაჰპირდება ხის დამზადებას ჩიტების დასახოცად. დიტო ბატონ-ყმობის ნაშობია: მას უყვარს თონიკე, მისი ლაპარაკი და ცოცხალი სახე; ამავე დროს თავის სასიამოვნოდ და ჟინის დასაკმაყოფილებლად უდანაშაულო თონიკეს იფნის ჯოხით „გაროზგავს“. თვითნებობაში აღზრდილი დიტო ვერ გამოდგა სკოლაში, ქუთაისში აგონ-

დება სოფლად ნავარდობა. ამხანაგებთან ერთად არამც თუ ცელქობს, ქათმების და ხილის მოპარვასაც არ ერიდება. მასწავლებლის როზგმა მოტეხა დიტო და სწავლას შეაჩვია, თუმცა რუსულის ენის შეთვისებამ ბევრი ოფლი აღვრევინა. სა-

- 233 -

შობარდ დაბრუნდა დედ-მამასთან და თავისუფლად, ჩვეულებრივ გაინავარდა. დიტოს ნაამბობმა რუს-ოსმალის ომის ეპიზოდებმა ცნობის-მოყვარეობა გაუღვიძა და საქართველოს ისტორიის სიყვარულიც ჩაუნერგა. ავტობიოგრაფიული ხასიათი ეძლევა ამ მოთხრობას იმ ადგილას, სადაც აწერილია მაშინდელი სწავლა-განათლების გარემოება ქუთაისის გიმნაზიაში, ჩამომავლობით რუსთ მასწავლებელთა ქართველის ბავშვების ათვალწუნება და სიამაყით მათი „გაწვრთნა“. ქართველები მოკლე-თავებიანი არიან და ამიტომ ვერ შესძლებენ კარგად სწავლასაო, ამტკიცებდა გიმნაზიის დირექტორი. „ქართულს ენას ტყის ანუ ქაჯურს ენას“ ეძახდა; ამტკიცებდა, რომ ქართულის ენის სწავლება სკოლებში და საშუალო სასწავლებელში ყოვლად გამოუსადეგარიაო; სწამდა, რომ ქართველებს არც ისტორია და არც ლიტერატურა არა აქვთ. მასწავლებლებიც ამავე შემცდარის თვალსაზრისით უყურებდნენ ბავშვებს და, რა თქმა უნდა, ვერც სიყვარულს და ვერც ინტერესს ვერ უნერგავდნენ ნორჩს გულში. რუსულის ენის მასწავლებელს მოხვდა კიდეც ერთის დაჩაგრულის მოწაფისაგან. მხოლოდ ბუნებისმეტყველების მასწავლებელი, პოლონელი ჩამომავლობით, დარჩა დიტოს ბოწყინვალე მოსაგონებლად; იგი იყო მოსწავლეების ნამდვილი აღმზრდელი და დამრიგებელი. დიტოს მან აუხსნა სამშობლოსადმი მოვალეობა და დაუახლოვა ხალხს. ამ დაახლოებამ გააცნო მას საერო პოეზია, ქართველთ წმიდათა ცხოვრება, ძველის გმირების მოღვაწეობა. ბიძიამ გაუბრწყინა ოდნავ აღჩენილი ნაპერწკალი მამულის სიყვარულისა და ქვეყნად „სახელის მოხვეჭისა“. თავდება ეს მოთხრობა „პირველის გამიჯნურების“ ამბით და 15 წლის მარინესთან დაახლოვებით.

გიმნაზიის გათავების შემდეგ. რომლის შესახებ გ. წერეთელმა თავის მოგონებანი გაგვაცნო „ჩვენი ცხოვრების ყვავილში“, დიტო (რომელიც უდრის თვით ავტორს) გაემგზავრა მესამოცე წლების დამდეგს პეტერბურგის უნივერსიტეტში,

- 234 -

სადაც იგი ისმენს ლექციებს იმ დროს, როცა რუსეთის საზოგადოება გამოფხიზლების გზას დაადგა. ამ მოძრაობამ დიდი

გავლენა იქონია გ. წერეთელზე და გამოზარდა მასში ენერგიული მოღვაწე ჯერ საპუბლიცისტო ასპარეზზე და შემდეგ საბელეტრისტო მწერლობის მოამაგედ. 1872 წ. სამზღვარგართ ცხოვრებამ განამტკიცა იგი სამოღვაწეო ტვირთის გასამლოლად. „დროება“, „სასოფლო გაზეთი“, „კრებული“, „ჯეჯილი“, „ივერია“ და „კვალი“ იყვნენ ის ორგანოები, სადაც გიორგი წერეთელი ხმა-მაღლივ იცავდა თავის განმანათლებელს აზრებს, ხალხის ინტერესებს, ისტორიულს წარსულს, ეკონომიურს წარმატებას. „ჩვენი გმირები“, „ედიშერ ქველბაქიანი“, „მამიდა ასმათი“ დაიბადნენ სწორედ ამ ნიადაგზე.

„მამიდა ასმათი“ მის საუკეთესო მოთხრობაა. აქ დახატული მამიდა იმდენად ცოცხალი და ჩვენის ცხოვრებიდან აღებული ჭეშმარიტი სურათია, რამდენადაც ეს ითქმის ილია ჭავჭავაძის „ოთარანთ ქვრივზე“. ასმათი ერთსა და იმავე დროს ავიც არის და კეთილიც, ამაყიც და ფლიდიც, მიუკარებელი, როცა მასთან სათხოვარი აქვთ, და პირმოთნე, როცა იგი რასმე ელტვის და სხვისაგან გამოელის სარგებლობას. იმერეთის ყოფა-ცხოვრება ჩვენ თვალწინ გადიშლება. სამთვალისანი ოდა, ხის ბოძებზე, ყავრით დახურული, პატარა ეზოთი, ის სადგურია, სადაც სწარმოებს ამ ნაწარმოების მოქმედება. ორმოცის წლის ასმათი, შავებით შემოსილი, თითის ტარით ხელში, და ათის წლის გრუზა-თმიანი პირ-რგვალი გოგონა – აი მომქმედი პირები. მამიდას გვერდით უზის ობოლი ძმისწული – ნათელა და კითხვას ასწავლის. ბავშვს მუხლზე ჰქონდა გადაფენილი ბარათი და წკრიალა ხმით გასძახოდა: „ჩ...ე...მ...ო სა...ყ...ვ...ა...რ...ე...ლ...ო!..“ ნათელას გული ვერ დაუდვია სწავლისათვის და თვალი უჭირავს მინდორში გასაფრენად. არც მამიდის დარიგება ესმის ამ ლამაზს გოგონას და ვერ შეუთვისებია, რომ გათხოვება მოელის. ასმათმა

უკვე აუჩინა მას საქმრო – ქართლელი იოთამ თანდილაძე, რომელიც დაჰპირდა კარგს საჩუქარს, მაგრამ ასმათის ძმა როსაფი წინააღმდეგობას უწევს და სახელს უტეხავს, რომ უკანონოდ ჰყავს ნათელა ჩაბარებული. ასმათი ისეთი ადამიანი იყო, რომ მეგობარიც და მტერიც ბევრი ჰყავდა. ქომავად გამოუჩნდა ერთი ღარიბი აზნაური ოთარ, რომლის ცოლ-შვილი ღვთის ანაბარად არის მიგდებული და თითონ სტუმრად დაიარება გორს და ფოთს შუა. ოთარი გამოესარჩლა ასმათს და დაეცა როსაფის გლეხებს, რომ საწყალის ქვრივისთვის წართმეული მამული დაებრუნებინა. ქუთაისის ადმინისტრაციამ გაიგო ამ შეტაკების ამბავი, რომელმაც იმსხვერპლა რამდენიმე

კაცი. ოთარი ასმათის თავდებობით გაათავისუფლეს, ხოლო როსაფს, რომელსაც ასმათი ედავება მამულთან ერთად დედასაგან დანარჩენს გულის ქინძისთავს და ბეჭედს, ციხეში ჩასვამენ, რადგან მას მეზობლის ცხენების მოპარვაც დაბრალდება. ასმათმა ერთი კიდევე სხვა ავი საქმე ჩააგონა ოთარს. როსაფის სახლიდან მამის ახდერძის მოსატაცებლად ცეცხლი მიაცემინა თავის მოძულეებულის ძმის ოდისათვის. ყუთში, საცა ანდერძი ეგულებოდა, აღმოჩნდა მხოლოდ ვექსილების ნაფლეთები. როსაფის ცოლი, მზეხათუნი, ფლიდის სიყვარულით თავმოკატუნებული, ასმათის გულს მოინადირებს და იმდენს გაძვრებ-გამოდვრება, რომ ნათელას თავის ძმისწულს ილიკ გოგორიშვილზე გაათხოვებინებს. მამიდა იძულეებულა ამაზე დასთანხმდეს და უარპყოს სიძედ არჩეული იოთამ თანდილაძე მით უმეტესად, რომ გოგორიშვილი თანხმობას აცხადებს ასმათს გადუხადოს იოთამისგან დაპირებული საჩუქარი. ნათელა დააქორწილეს. შვილიც მიეცა და ასმათი არწევს მის პატარა ვაჟს. ოთარი ციმბირში გაგზავნეს, როსაფი კი ხშირად ათვარიელებს ნათელას, რომელიც ბიძიას შესაფერად უმასპინძლდება. აი შინაარსი ამ რეალურის მოთხრობისა, რომელიც სავსებით გვიხატავს იმერეთის ყოფა-ცხოვრებას.

ამ ნაწარმოებში გ. წერეთელმა დაგვისურათა გაღარიბე-

- 236 -

ბულთ აზნაურშივითა მდგომარეობა იმ მხატვრულის ფერადებით, რომელნიც ცოცხლად გვისურათებენ აქ გამოყვანილს ტიბებს. დავის და სამართლის ძიების გაჭიანურება მამულის თაობაზე, მოპირდაპირის სახლზე დაცემა და გადაწვა, ქრთამის მიცემა და ნათესავურის გრძნობის შეზოჭვა მიზნის მისაღწევად, – აი ის საზოგადოებრივი ქარგა, რომელზედაც ამოჰკერა ავტორმა ცხოვრებიდან ამოღებული სურათები. მხოლოდ შავთვალა ნათელა წრფელის გრძნობით და უზადო ზნეობით იტაცებს ჩვენს ყურადღებას და გვესმის ამ დამშვენებულის ქალის რაღაც გამოუცნობელი უკმაყოფილება, დარჩენილი იმის გულში მას შემდეგ, რაც ბავშვობაში შეთვისებული თანდილა წაართვეს და გოგორიშვილზე გაათხოვეს. აი როგორ ათავებს ავტორი თავის მოთხრობას: „ნათელამ ამ სამს წელიწადს შოლტივით ააგდო ტანი, მაღალი, გადაშლილი გულმკერდით და შავი თვალ-წარბით; სქელი შავი თმა წელზე სცემს; მისი წითური ლოყები ორი თურაშაული ვაშლია; როცა ვაჟი ჰყავს აყვანილი ხელში, მისი მოხარული და მცინარა სახე ვარსკვლავებით მოკრიალებულს ცასა ჰგავს. აი, ის ხშირად შეჰყურებს უმთვარო მოწმენდილს ღამეში ამ მოჭედილს ცას, იმიტომ რომ მას იქ ეგულება თავისი ბედის ვარსკვლავი, „კუროს თვა-

ლი“. აქამდის ელის მას და ჯერ კიდევ ვერ შეხვედრია. თავის პირველი ვაჟი იმ კუროს თვალისთვის დაუმსგავსებია. ნეტა როდის იქნება, რომ ამ ვარსკვლავის „საეტლო, ის პირტიტველა, მის ვაჟსავით თმა-ხუჭუჭი ბიჭი“, ნათელას ბედის წერა, ძირს, ამ ქვეყანაში მას შეხვდება სადმე და მხოლოდ მას დაარქვას ნამდვილი თავისი ქმარი?..“

გ. წერეთელი რეალისტი იყო მიმართულებით, თუმცა ამავე დროს იდეალიზმს, ოცნების სამეფოს არ სტოვებდა. ამას მოწმობს „მამიდა ასმათის“ ზემო მოყვანილი დამთავრება და უფრო მკაფიოდ ფანტასტიური „მეცხვარის ნაამბობი“. ავტორი სარგებლობს ხალხის ცრუმორწმუნეობით ალქაჯებზე და ამ სიუჟეტზე აშენებს თავის მოთხრობას. ერთს მწყემსს აუჩნ-

– 237 –

დებიან ავი სულები და, როცა დაბრუნდება საღამოს თავის ქონში, ნახავს, რომ ცხვრის ბარკალი ვიდასაც უკვე დაუდვია ცეცხლზე და სწავს. მიიხედ-მოიხედავს და შენიშნავს კუთხეში ლამაზს არსებას, რომელიც თავის ქალით მიუჯდება მწყემსის სუფრას და მასთან ერთად ივახშმებენ. უყურებს ამათ მწყემსი, კანკალობს და მთელი ღამე უძილოდ გაათენებს. მეორე დღეს გარეკავს ცხვარს მთაზე და იქიდან დაინახავს, რომ ლამაზი არსება და მის ქალიშვილი გამოიტანენ ქოხიდან დიდს ქვაბს წყალზე გასარეცხად. ამ დროს დაეცემიან მგლები და დედა-შვილს მოიტაცებენ. მწყემსი უსევს ყურშას, მაგრამ ის ყურსაც არ იბერტყავს. შიშმა მოსწყვიტა ძალა და გონება დაუკარგა. როცა გონზე მოვიდა, შემოესმა ძაღლების ყეფა, რომელთაც შემოსეული მგლები მოეგერებინათ. საღამოს მწყემსს იმავე ქოხში დახვდნენ ურიცხვი თმა-გაშლილი ცრემლიანი ქალები და გულდასაწყვეტის ხმით თხოულობდნენ, რომ მგლებისაგან მოტაცებული დედა-შვილი მათთვის დაებრუნებინა და ემუქრებოდნენ, წინააღმდეგს შემთხვევაში ცეცხლით დაწვას. მწყემსს თავს-ზარი დაეცა, ძლივსლა სუნთქავდა შიშისაგან. ამ დროს გამოჩნდა თეთრი ცხენოსანი, რომელმაც გადასცა მათრახი და უბრძანა ქოხში დაეკიდნა იმის მობრუნებამდე. მათრახის დანახვაზე ქალები დაწყნარდნენ და მოწიწებით ეხვეწებოდნენ ჩამოეხსნა იგი. მწყემსი გამაგრდა იმ დრომდე, ვიდრე თეთრი ცხენოსანი მეორედ არ მოევიდნა: მომეცი მათრახი, ახლა ნუღარ გეშინიან, შენი ამხანაგები მოდიანო. ამხანაგებმა ჯერ დატუქსეს შეშინებისთვის და შემდეგ წაიყვანეს სახლში. ორი თვე ლოგინად იწვა და ბურანში ლომისის წმიდა გიორგის მიმართავდა. წლის გასულს დედამ წაიყვანა ლომისის კარზე და რქებ-დაგრეხილი ცხვარი შესაწირავად მიართვა.

ეს პოეტურის შემოქმედებით აღსავსე ესკიზი დაიბეგდა იმავე 1898 წ. „კვალში“, სადაც მოაქცია ამბავი „თოფის სროლა“ და „განწირულნი“ (სამოზაო მოთხრობა). ამ ნაწარმოებებ-

- 238 -

შიაც გ. წერეთელი იძლევა ცოცხალს სურათებს, რომელნიც მკაფიოდ ხატავენ ჩვენის ხალხის ზნე-ჩვეულებას და ცხოვრებას. „თოფის სროლა“ დაწერილია შურის ძიების გასაკიცხად. გლეხი კიკოლა უჩივის აზნაურს ნამძახიშვილს ბურვაკი მომიკლაო. საქმის მოსაგებად კიკოლა განიზრახავს კალმახით მოსამართლის მოსყიდვას. ღამე ვიღაც მიეპარა კიკოლას სახლს და ცდილობს კალათით კალმახის გატაცებას. კიკოლას შემოესმის ფეხის ფაჩუნი, გაისვრის თოფს, დასჭრის ქურდს და სისხლის წვეთების კვალი ნამძახიშვილის სახლამდე დაარწმუნებს, რომ მის მოპირდაპირესაც დამზადებულის კალმახით უნდოდა მოსამართლის მოსყიდვა. ხალხის ცხოვრების დასურათებას უძღვნა ავტორმა აგრეთვე მოთხრობები „ოდიშერ ქველბაქიანი“ და „რუხი მგელი“, რომელშიაც განაგრძობს „მეჯღანუაშვილის“ დამწერის რეალურს მიმართულებას. ჯიბიაშვილი მფარველობას უწევს მემამულეს ავთანდილ კვიციანიძეს, რომელიც ავიწროებს გლეხებს და დაქვეითებულს აზნაურებს. ბედმა არც ეს გაახარა. აზნაურს ბაანას დაბრალდა ჯიბიაშვილის მოკვლის განზრახვა, ამიტომ იგი დაატუსაღეს და საპრობილეში სიცოცხლე მოუსპეს. სამაგიერო ჩქარა გადახდა ამ ქვეყნის შემავიწროებელს: ღამით, როცა ჯიბიაშვილი კალმახის დასაჭერად იყო წასული, დაეცემა მას ბაანას შვილი და კეტებით იმდენს სცემს, რომ ლოგინად ჩავარდება. ბაანას შვილს ციმბირში გაგზავნიან და იმის დაობლებულს პატარა და-მმას სოფელი გაუწევს დახმარებას და თავს იდებს მათ შენახვას.

მოთხრობებში გ. წერეთელი მიუდგომელი მხატვარია ჩვენის ავ-კარგანის ცხოვრებისა. თავის მიდრეკილებით იგი გადახრილია პუბლიცისტურის დახასიათებისკენ. ახალი მიმდინარეობა ყველაზე წინად მისთვის ხდებოდა თვალსაჩინო და ახალს ტალღებს ადვილად შეითვისებდა ხოლმე. მესამოცე წლების მწერლებს გვერდს უქცევს და სათავეში უდგება იმ მოძრაობას, რომელიც გამოიხატა მესამე დასის ანუ მარქსისტების პროგრამაში. ეკონომიურმა მატერიალიზმმა, რომლის მქა-

- 239 -

დაგებლებად გამოვიდნენ ნ. ჟორდანიას, ს. ჯიბლაძე და ფ. მახარაძე, გაიტაცა მხცოვანი მწერალი და ჟურნალი „კვალი“ დაუთმო ამ მიმართულების წერილებს. სოციალ-დემოკრატი-

ლის სწავლით შეავსო ცალმხრივი პატრიოტული აღტაცება წარსულით და პირველს წყობაში დააყენებინა ხალხის ინტერესების დაცვა. ამ ახალმა მოძღვრებამ შეათანხმა იგი სომხებთან და გახადა ერთა შორის თანხმობის დამყარების მქადაგებლად. სამრეწველო იდეებით გატაცება და სამშობლო საჩხერეში შავის ქვის და ნავთის წყაროების დამუშავების ზრუნვა დაებადა მარქსისტულის თეორიით გატაცების დროს. პუბლიცისტურმა მოძრაობამ თავის ბეჭედი დაასვა მის მხატვრულ მოღვაწეობას და ნაყოფად დაიბადა „პირველი ნაბიჯი“, რომანი, სადაც გამოიყვანა ჯერ ფეხ-აუდგმელი ქართველი ბურჟუაზია.

„პირველი ნაბიჯი“ შესანიშნო თხზულებაა ჩვენს მწერლობაში, ამ მოთხრობის ქარგაზე გამოყვანილნი არიან ნახევარ საქართველოს წარმომადგენელნი: მეგრელი, იმერელი, ქართლელი თავიანთ განსაკუთრებით ხასიათის თვისებებით. მკითხველის ყურადღება მიქცეულია საქართველოს ყველა გამოჩენილს ადგილებზე. ფოთი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, ტფილისი ერთმანერთსა სცვლიან. მოქმედება გადადის სამეგრელოდან იმერეთს, აქედან ქართლს და სხვა და სხვა საყოფადობრივი კლასები ხდებიან გამოსახატავს მასალად. თხზულის მწყემსი, ერთის-ორის დღიურის პატრონი, ნახევარ ქვევის ვენახის მესაკუთრე, ქარხნის მუშები, მკერვალი ქალები, გამდიდრებული კომისიონერი, მატყუარა ვეჭილი, ციმბირიდან გამოპარული კაცი, გამზადებული ყველა საქციელისთვის ოქროს მოსაზოვებლად, ახალგაზდა პატიოსანი გამომძიებელი და ახის გვერდით დამცველი უსამართლო საქმისა ადვოკატი, დაქვეითებული შორაპნელი აზნაური, კაცის მკვლელი თავადიშვილი, მოხუცებული გენერალი, მალაღობის წრის კნიაჟნა რუსის პოლიკონიკის გულის დამატყვევებელი; სასამართლოს პალატის

თავმჯდომარე, ქალების მორაშიყე, კავკასიის ნამესტნიკის სასახლე და მდიდარის სომხის სახლი – ხელოვნურის კალმით არიან დახატულნი და ჰქმნიან ამ მრავალფეროვანის წამლებით შემკულს რომანს საყურადღებო მოვლენად. ზოგ-ზოგი ნაწილი ანუ თავები ამ თხზულებისა გამოტოვებულნი არიან ცენზურის ბძანებით.

რომანი იწყება იმ დროს, „როცა, ქალაქ ფოთის ნავთსადგურში პირველად იწვილა ცეცხლის გემმა. მისმა წივილმა პირველად განუფრთხო ძილი მტრისგან მოუძღვრებულ საქართველოს ერს“. უმთავრესი გმირი ამ რთულის რომანისა არის ბახვა ფულავა, რომელიც ინჟინერთან ისწავლის წერაკითხვას და ფოთში ქვრივს ქალს სალომეს დაუახლოვდება. ამ

ქვრივს ჰყავს ქალი, მკერვალი ახალ-მოდაზე, ესმა, რომლის შერთვაც გულში აქვს სიმინდის და ტყის მასალის ოპერაციებით გამდიდრებულს ბახვას. ხოლო მოქიშპედ აღმოუჩნდება „ვსადნიკი“ იერემია წარბა. რადგან ქალს წარბას დანახვაც კი ეზიზღება, ამიტომ დაწუნებული გმირი გაიტაცებს ახლად ბახვაზე ჯვარდაწერილს ესმას და როცა დაინახავს, რომ ბახვა მოეწია, სასიკვდილოდ დასჭრის ესმას, რომელიც მოასწრობს თქმას, რომ „მოჰკლა იერემიამ“. ავტორი დიდის დაკვირვებით და გამოცდილებით ატრიალებს რომანის სიუჟეტს, რომ გაპარული მკვლელი გამომძიებელს აპოვნინოს და გაათქმევინოს წარბა იმის ამხანაგს გივს, რომელიც ბახვამ დასჭრა იმ ღამეს, როცა ესმა გაიტაცეს. იერემია ჯერ დიდხანს ნავარდობს თავისუფლად. ტფილისში თავის ნათესავის ქალის ვალიდას დახმარებით სამსახურსაც იშოვნის და მდიდარს სომხის ქალსაც საცოლოდ. სწორედ ქორწილის წამს იერემიას დაატუსაღებენ, რადგან მისი დანაშაული დამტკიცდება. შემდეგ საქმე გადტრიალდება. თუმცა სასამართლო გადაუწყვეტს მას 12 წლის კატორგას, მაინც ნათესავის ვალიდის დახმარებით იმის თავყვანისმცემელის პალატის წევრის წინაე იერემიას განთავისუფლება მოეწიეს. მაშინ თვით ბახვა ტვირთულობს დაი-

– 241 –

ცვას თავისი უფლება და სამაგიერო მიაგოს შეურაცხმყოფელს. ღამე შეიპარება იგი იერემიას ოთახში და სასიკვდილოდ დასჭრის. ბახვას დაიჭერენ.

რა მანერას ხმარობს ავტორი გმირის დასახატად, მოწმობს შემდეგი ნაწყვეტი: „ბახვა ფულავას მრავალი კუთხის კაცები ყავდა გაცნობილი პორტში მუშაობის წყალობით. გინდ სიმინდის ვაჭრობა დაეწყო, გინდ კუნძებისა, სულ ერთი იყო, ყველა ხელს შეუწყობდა; ვისაც კი მიანდობდა საქმეს, ყველა დიდი სიამთვნებით იკისრებდა მასთან საქმის დაჭერას, რადგან ბახვა ნაღდი კაცი იყო. ბახვამ პირველ ხანებში გამართა ფოთში რკინეულობის მაღაზია. დუქანში დააყენა თავის ბიძაშვილი, ნესტორა, სავაჭროთ, თვითონ კი ხან სამეგრელოს წავიდოდა, ხან გურიას, ხან ქვემო იმერეთს თავის გაგზავნილ კაცების ყურის საგდებათ... მას აქეთ, რაც სალომესა და მის ქალს ესმას გაეცნო, ბახვა, როგორც კი ფოთს მობრუნდებოდა ხოლმე, უსათუოდ მათ ნახავდა, გამოკითხავდა სალომეს მის ავან-ჩავანს, მერე მოუყვებოდა თავის თავგადასავალს და სხვა და სხვა ვაჭრულ ანგარიშებს... სალომეს ავლა-დიდება და ცხოვრების ნუგეში იყო ღამაში ესმა, რომელიც მუდამ ერთ ფრანგის მკერვალ-ქალთან იდგა და მასთან მუშაობდა. სალომე ყოველ შაბათ-კვირას სწორედ დღესასწაულსავით მოელოდა, რადგან ამ ორ დღეს ესმასთან იყო ხოლმე. თვითონ ბახვამაც ისე მორთო საქმე, რომ ორშაბათიდან შაბათამდის თავის დუქანში ვაჭრობდა, ან თუ სხვაგან იყო, შაბათ-კვირას შინ რომ არ დაბრუნებულყო, არ მოხერხდებოდა. სალომეს ბახულია მიაჩნდა თავის ქვეყნის შვილათ

და თითქმის თავის გაზდილათაც. ერთს მის შეხედვაზე მთელი თავისი უმანკო წარსული დრო: სამშობლო მხარე, დედ-მამა, თავის ქვეყნის ქალი და კაცი, ხატობაზე სათემოთ შეკრებილნი... თვალწის გაუცოცხლდე-ბოდა“... ჩვეულებრივი მშრალი აღწერა ამ თხზულებაში ხან-დახან იცვლება მხატვრულს სურათებად. ამგვარია, მაგალითად, დღესასწაულის აღწერა ფოთში.

ამ რომანით დაამთავრა გ. წერეთელმა სამხატვრო მოღვაწეობა. მის კალამს ეკუთნის აგრეთვე საბავშვო მოთხრობა „ლომ-კაცი“, სამეცნიერო წიგნაკი „საუკეთესო ცოდნა“,

– 242 –

კომედია „ჯიბრი“, გეტეს თხზულების „ეგმონტ“-ის გადმოქართულება, მოთხრობა „გულქანი“, მრავალი ისტორიული და ფილოლოგიური წერილი, რომელთა შორის საყურადღებოა რუსულს ენაზე: „გელათის მონასტრის ზედწარწერანი“, „არქეოლოგიური მოგზაურობა ყვირილის ხეობაში“, „კაკასიური მითები ქართულს ნიადაგზე“ და სხვ. სალიტერატურო და საპუბლიცისტო მოღვაწეობას დაუკავშირა სამოქალაქო სამსახურიც: ტფილისის ქალაქის თვითმართველობაში მიიღო მონაწილეობა და შეეცადა დემოკრატიულის იდეალების განხორციელებას. თუმცა იგი მიემხრო სოციალ-დემოკრატიულს მოძრაობას, მაინც ძველის მიმართულების უარყოფა ვერ მოახერხა და თავისებურის ნიჭით შესძლო შეთანხმება ძველის და ახალის მისწრაფებისა*). ყველა მის ნაწერს აზის ერთი შესამჩნევი დალი: იგი ეტრფის ნამდვილის ცხოვრების მოთხოვნის შეგნებას და მის საქვეყნოდ გამოტანას ჟურნალ-გაზეთის ფურცლებზე. გლეხი და აზნაური, ერი და მღვდელი, წარსული და აწმყო, მდიდარი და ღარიბი, დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო ერთნაირად დაახლოებული ჰყავს თავის გულის მისწრაფებასთან და თანასწორის მიუდგომლობით აღწერილი და დახატული. თვით მიმდევარი ლ. არდაზიანის, რეალურის სკოლისა შეიქმნა მამამთავრად იმ მიმართულებისა, რომელსაც დაადგინენ ნიჭიერი მწერლები: ე. ინგოროყვა, დავით კლდიაშვილი, ნ. ნათიძე, დიმ. ხოშტარია. ჯერ ისევ პირველს მის ნაწარმოებს „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“ დაეტყო რეალიზმის გადაჭარბება და ნატურალისტურის იერის შეტანა. ავტორი პირდაპირ ფოტოგრაფიულად ჰხა-

*) ახალის მოძრაობის მამამთავრად ანუ სოციალ-დემოკრატების მოთავედ უნდა ჩაითვალოს ნოე ჟორდანია, რომელმაც ჯერ სამზღვარ-გარეთიდან და შემდეგ „კვალის“ წინამძღოლობით მარქსისტული მოძღვრება გააცნო ჩვენს საზოგადოებას. ხალხმა დააფასა მისი მოღვაწეობა და პირველს სათათბიროში გაგზავნა ტფილისის წარმომადგენლად. მისი თხზულებანი გამოვიდა ორს წიგნად, გარდა ცნობილის წიგნისა „ჩვენი პრესა“.

ტავს ცხოვრებას და ისეთს მანერას ითვისებს, რომელიც ნატურალისტურის სკოლის დამახასიათებელია. „ჩვენი ცხოვრების ყვაველშია“ აღწერილია გიმნაზიაში მოსწავლე ახალგაზდობის ცხოვრება სრულის სინამდვილის დაცვით. ამგვარადვე ცხოვრების დაკვირვების ნიშანწყალი სდულს იმის „პირველ ნაბიჯში“, სადაც ბუნდად ჩასახულის ახალის” მიმდინარეობის სურათები გადიტანა ქალაღდზე და შეჰქმნა ნიმუში სოციალ-დემოკრატულის თვალსაზრისით ბელეტრისტულის ნაწარმოებისა, ცხოვრების ყოველის წვრიღმანის აღწერით და ზედაპირულის მოვლენის აღნუსხვით.

ეგნატე ინგოროყვა

(ე. ნინოშვილი)

(1861 – 1894)

ეგნატე ინგოროყვა, ცნობილი ლიტერატურაში ნინოშვილის ფსევდონიმით, დაიბადა 1861 წელს. სიღარიბეში აღზრდიღმა, ამ ნიჭიერმა კაცმა ბევრი ტანჯვა გამოიარა და ტანჯვითვე დაღია სულიც. ობღად დარჩენილი ღარიბის გლეხის შვილი ეგნატე მიეყრდნო თავის მადღიანს მამიღას. რვა წლისა იგი უჰვე მოჯამაგირეობს ერთის მღვღლის ოჯახში, ნახევარის წლის შემდეგ მოჯამაგირედ დგება იმავე მღვღლის ძმისწულთან, ხე-ტყის ვაჭართან ქ. ფოთში, სადაც ჰატარა ეგნატეს შრომისაგან სწყვეტენ წელს. 1871 – 1875 წწ. განმავღობაში ცაღს ხელში უჭირავს წიგნი და მეორე ხელში კომბალი ძროხების მოსავღელად. ეგნატე მაინც ასწრობს იმღენად მომზადებას, რომ 1876 წ. შეღის ოზურგეთის სასულიერო სასწავღებელში, საიღგანაც, თუმცა კარგად სწავღობდა, ორის წლის შემდეგ მეოთხე კლასიღან დაითხოვეს, რადგან მონაწიღეობა მიიღო სასწავღებელში მომხღარს უწესოებაში.

ეგნატემ იშოვა „კეთიღ-საიმედო კაცის“ მოწმობა მამასახლისისაგან და 1879 წ. ქუთაისში დაიჭირა ეგზამენი სახაღხო მასწავღებღის უფღებაზე. 1880 წ. სოფ. ჩოჩხათში მასწავღებღობს, მაგრამ ცოღნის გასაფართოვეღლად შეღის ამხანაგად

„პოდრიადჩიკებთან“ და 1884 წ. მუშაობს ტელეგრაფისტად და კალანდაძის სტამბაში დღეში შვიდ კაპეიკად. ერთის წლის გასულს ბრუნდება თავის სოფელში (ჩოჩხატოს) და ექვსს თვეს რჩება სოფლის მწერლად. მეგობრების დახმარებით მიდის საფრანგეთს 1885 წ. და ორს წელიწადს გაატარებს იქ მშვიდ-მწყურვალ სწავლის ძიებაში. დაბრუნდება ისევ საქართველოში 1887 წ. და დგება მწერლად გრ. გურიელთან და შემდეგ მიდის ბათუმს როტმილდის ქარხანაში სამუშაოდ.

„ათი დღე, – სწერს ეგნატე თავის ავტობიოგრაფიაში, – ვიმუშავე პრისტანზე ვიღაც სატუროვთან. ჟესტებს ვზიდავდი, ვაწყობდი ყუთებში, ვბეჭდავდი და ვაწყობდი დანიშნულ ადგილს. მეტათ მძიმე სამუშაო იყო ჩემთვის. დღეში მამლევენ ათ შაურს. ორი დღე ვიმუშავე ბურგარტის ზავოდში, 1889 - 1890 წწ. ვმუშაობდი როტმილდის ზავოდში დღეში მანეთათ. 1889 წ. ბათუმში ზამთარი მეტად ცუდი, ქარიან-წვიმიანი იყო; მე გაცვეთილი საზაფხულო ტანთსაცმელი მქონდა. უნდა ავმდგარიყავ დილის ოთხ საათზე, გამეველო კარგადიდი მანძილი ამ საშინელ დარში და მივსულიყავ ზავოდში. ხან ზავოდის კარი დაკეტილი დამხვდებოდა და უნდა მეცადნა გარეთ. 1890 წ. დავდექ ნ. ლოლობერიძის კანტორაში დ. ზესტაფონს. მეტათ ბევრი საქმე იყო. მე მგონია, ჩემი ჯანი და სიმთელე დავლუპე ბათომი და ამ კანტორაში მუშაობით. ამ დროიდან შემეჩვია ავანტიურა და მას შემდეგ იშვიათათ ვყოფილვარ კარგათ“.

ბათომში იგი სცხოვრობდა მუშების ვიწრო სადგომში, სადაც ეძინა 7 – 8 კაცს. ოთახი ძველი და ნესტიანი იყო და აყროლებულის ჰაერის გამო სარკმელი მუდამ ღია უნდა ყოფილიყო. ასეთის ტანჯვით სცხოვრობდა ეგნატე, მაგრამ მისი

- 245 -

პატიოსანი გრძნობა ვერაფერმა დასთრგუნა. მისთვის სულიერი საზრდო ხორციელს კეთილდღეობაზე მალლა დგას. მწერლობაში ჰპოულობს თავის ნამდვილს მოწოდებას და მოკლე ხნის (სამის წლის) განმავლობაში ამდიდრებს ჩვენს ლიტერატურას შესანიშნავის მოთხრობებით. ჯერ „ივერიამ“ და შემდეგ „მოამბემ“ და „კვალმა“ დაუთმეს მის ნაწარმოებს თავისი ფურცლები. კალმით ხელში ესალმება იგი წუთის სოფელს 1894 წ. 29 აპრ.

ე. ინგოროყვამ ცოტა ხნით იმუშავა სამწერლო ასპარეზზე და ახალგაზდობაშივე (33 წლისა) მოშორდა წუთის სოფელს. მაგრამ მაინც მოასწრო საბელეტრისტო და საპუბლიცისტო წერილებში ბევრნაირის საკითხის და საგნის შეგნება და გამოცნობა. იგი შეიქმნა იმ ახალის მიმდინარეობის მხატვარი, რო-

მელმაც, ს. ჯიბლაძის სიტყვით, აუგო წესი ძველს ბატონ-ყმობას და მის ნაცვლად ამოაცურა ბატონად ნივთიერება, რომელსაც ფულს ეძახიან. ამ ახალმა კერპმა გაასწორა უფსკრული გლეხთა და აზნაურთა შორის და შეჰქმნა ერთი-მეორის მოწინააღმდეგე კლასები: ერთის მხრით ფიზიკურის და გონებრივის შრომის წარმომადგენელი, მეორე მხრით – ბურჟუა-კაპიტალისტები. ამ ახალის ბრძოლის ნიშნებმა იჩინა თავი ჩვენს საზოგადოებაშიაც და მის გამათვალისწინებლად შეიქმნა ე. ინგოროყვა მოთხრობაში „სიმონა“. იმის მიზანს შეადგენს დასურათება ჩვენის გლეხის მდგომარეობისა, მის კეთილდღეობის დაქვეითებისა და ოჯახის დაღუპვისა. ზოგს თავის მოთხრობებში, – ამბობს ივ. გომართელი, – იგი აღნიშნავს იმ მიზეზებს, რომლებიც გარედან ამხოვენ გლეხის ოჯახს, ზოგში კი იმ მიზეზებს, რომლებიც გლეხის ოჯახს შიგნიდან ურყევენ საძირკველს. პირველის რიგის მოთხრობებს ეკუთნის: „გოგია უიშვილი“, „პალიასტომის ტბა“, „სიმონა“, „განკარგულება“, „მონადირე“, „მოსე მწერალი“; მეორეს: „უცნაური სენი“, „პარტახი“, „არშიყნი“ და „ჩვენი ქვეყნის რაინდი“.

– 246 –

პირველი მისი ნაწარმოები იყო „გოგია უიშვილი“, დაბეჭდილი 1890 წ. გაზ. „თეატრში“. შინაარსი აღებულია გურულის გლეხ-კაცის ცხოვრებიდან. გოგიას მამამ სიყმაწვილე და ვაჟკაცობა ბატონის სამსახურში გაატარა. მამის სიკვდილის შემდეგ სამს მმას დარჩათ ძველი ფიცრული სახლი, ფაცხა და შვიდი დღიური. გაიყვეს ეს სარჩო და გოგიას დარჩა ძველი სახლი. მაგრამ იგი ფულს არ იტეხს და თავის ცოლის მარინეს მხნეობით გამტკიცებული ებრძვის სიღარიბეს ბრწყინვალე მომავლის იმედით. მაგრამ იმედი ამაოდ ამხნეებს მათ: მიწა იმდენს არ იძლევა, რომ კუჭი გაიძღონ; ოფლს ბევრს ღვრის, მაგრამ სახელმწიფო, საეკლესიო და სასოფლო ხარჯს ვერ ასდის. გული გაუტყდა, ჭადარაც გამოერია, ცოლის მზითევიც შემოეხარჯა. და ყველა ამას ზედ დაერთო „ზეკუცია“, სოფელში ჩაყენებული იმ აზრით, რომ მცხოვრებლები იძულებულ ყოფილიყვნენ გაეცათ ფირალები. ახალწლის ღამეს ეგზეკუციის ყაზახებმა წაართვეს გოგიას ოჯახს, რაც კი წვალებით დაემზადებინათ ამ ბედნიერის დღისთვის და თვით გოგია მათრახით გაასივეს ურჩობის გულისთვის. ვერ აიტანა სულიერი და ფიზიკური ტანჯვა გოგიამ და თავი მოიკლა სასო-მიხდილმა.

სამართლის დათრგუნვა შეადგენს დედა-აზრს კიდევ ერთის მის მოთხრობისა სათაურით „მონადირე“, რომლის გმირი

ბეჟან ღორის მოკვლისთვის დაჯარიმებულ იქმნა 109 მან. და ციხეში დამწყვდევეთ წელიწადნახევრის ვადით. 1891 წ. „ივერიაში“ დაიბეჭდა სამი მისი პატარა მოთხრობა: „უცნაური სენი“, „არმიყნი“ და „პალიასტომის ტბა“. პირველს მოთხრობაში ავტორი გვიხატავს სინამდვილით იმერეთის სოფლის სურათს, წვა-დაგვით ცხოვრებას გლახკაცთა, რომელთა შორის დაიბადა ახალი ტიპი, მანამდის ქართულს მწერლობაში გამოურკვეველი. ეს გახლავთ კოტე მამალაძე, ახალგაზდა კაცი, რომელმაც ერთ-კლასიანის სკოლის გათავების შემდეგ თავისი ნორჩი სიცოცხლე გაატარა ტფილისში „პრიკაზჩიკად“ და და-

- 247 -

ბრუნდა სოფლად საშინელის და ცუდის ავადმყოფობით. ამის სოფლად დაბინავებამ შეიტანა პატრიარქალურს და მამა-პაპეულს ოჯახში გამანადგურებელი სენი და ზნეობით გახრწნა. ამან იმსხვერპლა ახალგაზდა ტასო, ცოლი თავის მეზობლისა, რომელიც 13 წლისა გათხოვდა 36 წლის კაცზე. „უცნაური სენი“ გადაედო მათ შვილებსაც და თვით ოდესღაც ლამაზი ტასო ახლა უცხვირო და უსინათლო მოწყალეებს თხოულობს. მეორე მოთხრობაში „არმიყნი“ განხილულია უთანასწორო შეუღლების შედეგი და გატარებულია აზრი ახლანდელის ოჯახის საფუძვლის უსამართლობაზე. ორმოცის წლის ელიზბარ თავლაძე შეირთავს 17 წლის ვარდიკოს. ამგვარი ქორწინება არ იყო ბედნიერების მომასწავებელი. ვარდიკომ გასცვალა ქმარი 21 წლის ყმაწვილს სიკოზე და მასთან ატარებს ნეტარებით საფსვ საღამოებს. ვარდიკოს გამოუჩნდება ერთი სხვა კიდევ თავყვანისმცემელი, სახელად გულია, რომელიც სამის წლის განმავლობაში ამაოდ ცდილობს სიკოს დაძლევას. ბოლოს მოჰკლავს მას ღამით ვარდიკოს გვერდით. ქმარი ახლა კი გაიგებს თავის შეურაცხყოფას და ცოლს გამოასალმებს წუთისოფელს. ხალხში კი ხმა გავრცელდა, რომ ვარდიკოს მოტრფიალენი წაიჩხუბნენ და ამ შეტაკების მსხვერპლი გახდა ვარდიკოო. ავტორი თავის გმირის პირით ჰკიცხავს თანამედროვე ზნეობითს შეხედულებას და ქალ-კაცთა დამოკიდებულების არა-ნორმალურს პირობებს. იგი გვიხატავს იმ სულიერს დრამას, რომელსაც განიცდიან მისი გმირები ძველთ შეხედულებათა გადაბრუნების და შეცვლის დროს.

„პალიასტომის ტბა“ აგვიწერს კაპიტალისტურის წარმოების სოფელზე თავდაცემას. სავალალოა ბედი გლეხის ივანესი, რომელიც, იღუპება პალიასტომის აღელვებულს ზვირთებში თავის ერთად-ერთის შვილით ნიკოთი. ისეთი პირობები შეიქმნა, რომ ქალის გათხოვება უმზითვოდ აღარ შეიძლება, ამიტომ გლეხი ივანე იძულებულია სოფელს თავი დაანებოს

და გრომების მოსახვეჭად შეუდგეს ფოთში ხე-ტყის ვაჭრობას

– 248 –

და თავი შესწიროს აქაფებულს პალიასტომს, რომელსაც ფოთს მმსვლელი გურული ვერ ასცდებდა.

„პალიასტომის შესახებ გურიაში არსებობს ერთი ლეგენდა: ეხლა რომ ტბაა, იმ ადგილას უწინ თურმე ხმელეთი იყო, ზედ ხალხი იდგა და ამ ხალხს „პალიას ტომს“ ეძახდნენ. ერთს დღეს ხმელეთმა ძირს დაიწია, ერთს ადგილას მიწა გაირღვა, უცბად წყალი ამოვარდა დედამიწიდან და მთელი სოფელი დაჰფარა. აქაური ხალხიც და ყოველივე სულდგმული დაირჩო, მხოლოდ ერთმა დიაკვანმა მოასწრო, გაიტაცა მთავარანგელოზის ხატი, აიტანა ჯუმათის მთაზე და იქ შემდეგ ამ ხატს ეკლესია აუშენეს. ეს დიაკვანიც, გვარად დარჩია, დევანოზად დააყენესო. ჯუმათის მთაზე ეკლესია დღესაც არსებობს. ხალხი, გვარად დარჩია, დღესაც სცხოვრობს სფფ. ჯუმათში და ბევრი მათგანი სასულიერო წოდებისა, მაგრამ ლეგენდაში მოყვანილი ამბავი რამდენათ მართალია, ამისი კი რა მოგახსენოთ“.

ფოთს წასაღებად დამზადებულის ხეების ბედ-იღბალი ტაროსზედაა დამოკიდებული. ივანემ შეკრა უზარმაზარი ტივი, დაითხოვა ნაქირავები მუშები, დაისო თავისი ნიკო ტივზე, გადაიწერა პირჯვარი და გაუდგა ფოთისკენ. როცა ივანემ პალიასტომს მიაწია, დაღამდა კიდეც. თან ცოტა ქარმაც მოუბერა, რის გამო ივანე იძულებული იყო ტივი დაეხა და ღამე გაეთენებინა იქვე. ცეცხლი დიდი დაანთო, მაგრამ ცივის ქარის ქროლამ არ მოასვენა მგზავრები, მეტადრე საწყალი ნიკო სულ გაყინა. მის კბილების რაკა-რუკი გულს უკლავდა ივანეს, რომელიც ახვევდა შვილს ნაბადს, მაგრამ ნაბადი ტივზე დასველებულიყო და სითბო სრულიადაც აღარ ჰქონდა. პატარა წაიძინეს. და ალიონზე ადგნენ და ცდილობდნენ ქარის გაძლიერებამდის წასულიყვნენ. ტივი აუშვეს. „როცა ბოღაზს მოშორდენ, ტივმა მსუბუქათ გაიცურა იმდამინდელ ქარისაგან ათამაშებულს პალიასტომის წყალზე, საიდანაც გარკვევით გამოჩნდა ჯუმათის მთა და მის წვერზე – არწივის ბუდის ოდნად – მთავარ-ანგელოზის მონასტერი... ივანემ გაიხედა მონასტრისკენ და „მთავარანგელოზო, შენ გვიპატიეო“, ღრმა

– 249 –

გრძნობის გამომეტყველის სახით დაიწერა პირჯვარი სამჯერ. ნიკოც მიყვა მამის მაგალითს, მაგრამ პალიასტომი ისეთი საიდუმლო მწვანე-ბნელი თვალით გამოიყურებოდა, რომ ნიკოს შიშით ადამიანის ფერი აღარ ედო სახეზედ... ამოყო მზემ თავი და ერთს ადგილას პალიასტომის წყალში სვეტივით ჩაუშო თავისი სხივი, ასე რომ ადამიანს თვალებს გაუფუჭებდა იმ

ადგილას შეხედვა... თითქო მზის შუქს ამოყვავო, ქარმა რამ-
დენჯერმე გაიგრიალა პალიასტომზე და გააღვიძა ეს ვეშაპი...
ივანეს ბრძოლა უძლური იყო განძვინებულ სტიქიონის ძა-
ლასთან, – ტივს თანდათან აშორებდა ტალღები ნაპირებიდან
და გაჰქონდა შუაგულისკენ... ივანემ მოინდომა – ტივს რაც
მოუვა, ჯანი გავარდეს, ნიკოს ჩავისვამ ნავში და ნაპირზე გა-
ვალო. ნავი ტივზე ჰქონდა მიბმული, მაგრამ წყალი ისე იყო
აზვირთებული, რომ ესეც შეუძლებელი გახდა. როცა აქაფე-
ბულმა ტალღებმა ტივს ყირამალა დაუწყო ყუდება და ღონი-
საგან დაცლილმა ივანემ დაინახა, ჩემის ბრძოლისაგან არაფერი
არ გამოდისო, გააგდო „ჭოლოკი“ ხელიდან, დაეცა ტივზე
და ჩაკიდა ტივზე დაკრულს ხეს ხელი. „ნუ გეშინიან, ხელი
მაგრათ, აგრე მეორე ნაპირზე გავციტანს და გადავრჩებით“,
ამხნევებდა ნიკოს. ერთად-ერთი იმედი ივანესთვის ის-ღა იყო,
რომ ტივი მაგრა ჰქონდა შეკრული, არ დაიშლებოდა, ტალ-
ღები სადმე ნაპირზე გააგდებდა და გადარჩებოდენ დარჩობას...
ამიტომ „ხელი მაგრათო“ წამდაუწუმ უყვიროდა ივანე ნიკოს,
რომელიც მართლა და ისე იყო კეტს ჩაფრენილი, რომ თუ
დააჭრიდი მკლავებს, თორემ სხვაფრივ ვერ მოაშორებინებდი.
მაგრამ აი აგრე ერთმა ტალღამ ჰკრა, აიყვანა ტივი მაღლა,
წამზე უცბათ გამოეშალა და ისე დააჯახა წყალს, რომ ვენახი,
რომლითაც ტივი იყო შეკრული ორ-სამს ადგილს გაწყდა; ეს
განმეორდა რამდენჯერმე და ტივმა იწყო რღვევა. ეხლა კი
დაინახა ივანემ, რომ იღუპებოდა თავიან-შვილიანათ. ნიკო კი
არც რამეს ხედავდა და არც რამესა ფიქრობდა, შიშისაგან
გაბრუებულიყო და უაზროდ ჩასციებოდა ტივს. ივანემ გაუ-

– 250 –

შვა ტივს ხელი, წამოვარდა ფეხზე და ისეთ-ისეთი დაჰკვივლა,
რომ ცა გასკდებო, გეგონებოდათ. არსად ადამიანის ბაიბური
არ ისმოდა... ივანემ დაჰკრა ფეხი, გადავარდა ნიკოსთან, მო-
ჰკიდა ცალი ხელი ნიკოს მკლავში და ცალი იმ ხეს, რომელ-
ზედაც ნიკო იყო ჩაფრენილი... ივანემ სწრაფად წარმოიდგი-
ნა, თუ რა ჯოჯოხეთი მოელოდა მის ოჯახს დაობლების შემ-
დეგ... ქარიშხალივით გაურბინა ივანეს ამ ფიქრმა, მაგრამ
მეტი ფიქრი კი აღარ დასცალდა: ისე მძლავრად დაეჯახა
წყალს უიმისოდაც დარღვეული ტივი, რომ ხეები თითო ღე-
როვებით გაიფანტა; ივანე და ნიკო, რომელსაც უცბათ გამო-
ეშალათ ხეები ფეხებიდან, მოეწვიდენ წყალში. თუმცაღა მა-
მამაც და შვილმაც ცურვა იცოდენ, მაგრამ ღონე გამოლე-
ულს, ტანთ გაუხდელს საშინლად აზვირთებულს ცივს წყალში
აბა რა შორს შეუძლია წავიდეს! ივანემ დაინახა, როგორ
ჩასძირა და ჩაყლაპა შეუბრალებელმა წყალმა მისი საყვარელი

ნიკო. ერთი უკანასკნელათ კიდევ დაიდრიალა საწყალობელმა ივანემ... და უნდოდა მიშველებოდა შვილს, მაგრამ აღარც ღონე იყო მიშველებისა და აღარც შვილი იყო მისაშველებელი; ნიკო უკვე ჩაიტანა ძირს წყალმა, ისე რომ ხელიც აღარ გაუნძრევია საცოდავს. რამდენსამე წამს შემდეგ ღონე-გამოლული ივანეც წავიდა წყლის ფსკერისკენ და ეს სიტყვები „ვაიმე, ოჯახო, ვაიმე, ცოლ-შვილო“-ო, მუცელშივე ჩაუბრუნა პირში ჩახეთქილმა წყალმა“.

მხატვრულის თავდაჭერით და ზომიერის ეფექტებით აწერილია ეს სულიერი დრამა, რომელსაც განიცდის ივანე, მსხვერპლი სტიქიონის ძალებისა. მოთხრობა შთაბეჭდილებას ახდენს იმდენად ძლიერს, რომ იგი ავტორის საუკეთესო ნაწარმოებად შეიძლება ჩაითვალოს და გვერდში ამოუდგეს დიდებულს თხზულებებს მსოფლიო ლიტერატურისას.

1891 წ. ე. ინგოროყვამ დაბეჭდა მოთხრობა „სიმონა“ და 1892 წ. მოთხრობა „ქრისტინე“. უკანასკნელს, მოთხრობაში აწერილია ჩვეულებრივი შემთხვევა, როგორ იღუპება

– 251 –

ახალგაზდა ქალი მოტრფიალე აზნაურის წყალობით. თექვსმეტის წლის ლამაზი და ოჯახის საყვარელი ქრისტინე, დარიბის გლეხის დათია ხელმოკლიძის ქალი, შეიქმნება აზნაურის უქმამის მსხვერპლად. ზნედაცემულის საქციელით ცნობილს სოფლად და ქალაქად, ბევრის ქალისათვის აუხდია ნამუსი და არა ერთი ოჯახი გაუთახსირებია. სოფ. ნიგვზიანში ეს აღვირახსნილი ყმაწვილი კაცი მოატყუებს ქრისტინეს ცოლად შეგირთავო. და როცა მიაღწევს თავის მიზანს, დასტოვებს მის შვილით გოგიათი ქვეყნის შესარცხვენად და დედ-მამის თავმოსაჭრელად. უნუგეშოდ დარჩენილი ქრისტინე გაიპარება ოჯახიდგან და გაჰყვება ტფილისში საეჭვო ყოფა-ქცევის ქალს სონას, რომელსაც თავადის სახლში ეწვია ქრისტინეს მწარე ბედი. სონამ ჩააბარა საწყალი ქრისტინე სამარცხვინო სახლის პატრონს ნატალიას. ქრისტინე დიდის ხნის ბრძოლის შემდეგ დაადგება გარყვნილების გზას ურია რაქელის სახელით. შემდეგ იგი გახდება ერთის სამხედრო კაცის სატრფოდ და ბოლოს იპოვნინან ორთაქალის ბაღში ხანჯლით სახეში დაჭრილს ორის მოქიშპე-მოქიფე პირისაგან. მას ეკარგება თაყვანისმცემლები, სცხოვრობს მოწყალებით და სულს განუტევენს საავათმყოფოში, სადაც ეხვეწება სუყველას გაგზავნონ ნიგვზიანში დედ-მამის და საყვარელის შვილის სანახავად. ავტორი დიდის თანაგრძნობით გვიხატავს ლამაზის ქრისტინეს მწარე ხვედრს და თავის გულწრფელის მოთხრობით ხმამაღლა ღაღადებს სამარცხვინო საქციელის წინააღმდეგ, რომლითაც ილახება ქალის

პატიოსნება და კაცობრიული მისი ღირსება.

მოთხრობა „სიმონა“ გვიხატავს სოფლის (წაბლისერის) ცხოვრებას, რომლის სულის ამომხდელია დავით დროიძე და მისი შვილი ტიტკო. სიმონა ვერ მოითმენს თავის ცოლის შეურაცხყოფას, მოკლავს ტიტკოს და თითონ ყაჩაღად გავარდება. დავით დროიძე ახალი ტიპია ქართველთა სოფელში. იგი მცირე-მამულიანის მებატონის ნაყმევია. ბავშვი იყო, როცა ერთს ბერძენთან, კაკლის ხეების ვაჭართან, მსახურობდა.

- 252 -

შეაქუჩა ცოტაოდენი ფული და დაიწყო საკუთარი საქმე. სიმინდს ყიდულობდა და იჯარით ბატონის მიწას ამუშავებდა. უფროსს ვაჟს გაუხსნა სოფელში დუქანი, რომელიც კარგს შემოსავალს აძლევდა. შვილმა სოფელი დაიწუნა და ქალაქში გადასახლდა. ერთი მისი ვაჟი პოლიციაში მსახურობს, მეორე იუნკრის სასწავლებელს ათავებს, თითონ, როგორც შეძლებულს კაცს, დიდი გავლენა აქვს და იშვიათი აზნაური შესძლებს მასთან ფეხის გაჭიმვას. სამწუხარო და სავალალო მისთვის მხოლოდ ის არის, რომ კეთილშობილის წრიდან არ არის; თავმოყვარეობას იმით იკმაყოფილებს, რომ სასულიერო წოდებაში ჩაეწერება. სოფლის ავან-ჩავანი მის მხარეზეა; ყველაფრის ჩადენა დაუსჯელად შეუძლია. ამ უფლებით სარგებლობს და „ნაობახში“ ჩაასმევიანებს 15 წლის სიმონას მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მკვახე პასუხს აძლევს; იმის სურვილით შენდება ეკლესია იქ, სადაც იგი დაასახელებს. ასეთი გახლავთ დავით დროიძე, სოფელთან მრავალნაირად დაკავშირებული. იმისი შვილი ტიტკო მოიტანს ქალაქიდან ქალაქურს ჩვეულებას და შეხედულებას; ძალა ახლა ფულშიაო; ქალი, იმისი აზრით, კაცის სიამოვნებისთვის არის დაბადებული. სიმონას ცოლს, დარიკოს, პატივს ახდის და ფულით უნდა მოისყიდოს მისი დამწვარი გული. ქალის უარს სასყიდელზე იგი განმარტავს მხოლოდ შიშით ქმრის და დედამთილის წინაშე. ამ მოთხრობაში წინაღებული აზრია გატარებული და ცოტაოდენს ყალბს ელფერს აძლევს დროიძის და სოფლის დამოკიდებულებას. ხალხი ყურმოჭრილს მონად ჰყავს გამდიდრებულს დავითს. ტიპები ავტორს ცოცხლად ჰყავს დასურათებული. გამდიდრებული და გაღატებული დროიძე – ღვიძლი შვილია დაბრეცვებულის სოფლისა. იგი ამოითვალწუნებს ხალხის საყვარელს, მხნეს და მუშაკს სიმონას, ერთადერთს შვილს ღარიბის ქვრივის ქეთევანისას უბრალო სიტყვის თქმისთვის და მთლად დაღუპავს მას სულით და ხორცით. მოხდება ქურდობა, დროიძე დამნაშავედ აღიარებს მართალს

სიმონას და სამ წელიწადნახევრით ციხეში ჩაასმევინებს და სიცოცხლეს გაუმწარებს. გაავებული სიმონა გადუხდის თავის მტერს იმით, რომ მოჰკლავს ტიტკო დროიძეს, რომელმაც შელახა მისი ოჯახის კერა. ასე დახატა ავტორმა ორის ახალის დასის წარმოშობა: გამდიდრებულის სოფლის წურბელასი და ბეჩავის გლეხისა.

ამგვარსავე ჩარჩოში ჩააყენა „პარტახის“ შინაარსიც, რომელიც დაიბეჭდა 1894 წ. „კვალში“ ავტორის სიკვდილის შემდეგ. „პარტახი“ სათაური მოთხრობისა ახსნილია შენიშვნით: „პარტახი – უპატრონოთ დარჩენილი სახლ-კარია და მიდამო“. მომქმედს პირად გამოჰყავს ჯერან ტევრიძე, დაულაღავი გლეხი, საწყალის ქვრივის შვილი. თავის მხნეობით დადგა იგი ფეხზე და ცოტაოდენი სარჩო შეიძინა. ღარიბის აზნაურ-შვილის ქალები უარს არ ამბობენ მის შერთვაზე, მაგრამ ჯერანმა იცის მათი ჭირვეულობა და ამიტომაც შეერთავს მამიდისაგან ამორჩეულს და დედისაგან მოწონებულ ლიზას, ხალიკა ნარიშვილის ქალს. ამას სხვა მოსწონს, მაგრამ ჩვეულებრივ დედ-მამის სურვილის მონაა. მათი ცოლ-ქმრობა შეუფერებელი გამოდგა. ჯერანს ცოლი არ მოსწონს არც შეხედულებით და არც სულის თვისებებით. დედამთილმა და მულმაც აითვალისწინეს რძალი, ყველაფერს უწუნებენ – გაჩუმებასაც, როცა ლანძღვენ, და პასუხის მიცემასაც გაკიცხვაზე. განმართობული ქალი, კუდიანად ცნობილი ავის ენისაგან, ეძიებს ნუგეშს მეზობელს თეკლესთან და შვილის ალერსში. როცა ეს ვაჟი მოუკვდა და მისი დაახლოვება მეზობელს კაცთან გამომჟღავნდა მულის წყალობით, მისი ცუდი მდგომარეობა უფრო გამწვავდა: ქმარმა მასზე ძალა იხმარა, დედამთილმა გაკიცხვას და ლანძღვას უმატა. ლიზა ვერც დედამამში პოულობს დახმარებას: იგინი შელახულნი არიან თავიანთ ქალის საქციელით – ქმრის ღალატით. ვერ მოხერხდა ბავშვობის დროის მეგობარს ნიკოსთან თავის შეფარება, და ამ მდგომარეობაში მას დარჩა ერთი გზა – თავის მოკვლა. ჯერანს

დაბრალდა ცოლის მოკვლა, რადგან ერთხელ იწია მასზე ამ მიზნით და გაიგზავნა ციმბირში. დედა-მისი ჭკუაზე შესცდა, და დაჭლექდა, დარჩენილი მისი პატარა მამული შორეულმა ნათესავებმა გაიყო. „პარტახი“ ასურათებს გლეხის უბედურებას უვიცობის და მავნე ჩვეულებათა გამო. იგივე სიუჟეტი – დაძველებულთ ჩვეულებათა გამო სახლის ამოგდება ე. ინგოროყვამ ამოქარგა მოთხრობაში „ცოლ-ქმარი“ (1893 წ.).

გლეხის კეთილდღეობის და მის ოჯახის დაქვეითებას გარდა სოციალურის პირობებისა, მავნე ჩვეულების და უსამართლობისა ხელს უწყობს მძიმე ტვირთი გადასახადისა, რომელიც მას კისერზე აწევს. ამ აზრს მხატვრულად გამოსთქვამს ავტორი პატარა მოთხრობაში „განკარგულება“. კაცია მუნჯადე ღარიბი და წვრილ-შვილი გლეხია. დილიდან საღამომდე მუშაობს, ოფლით დნება, მაგრამ კუჭი მაინც ვერ გაუძლია. როგორც თითონ, აგრეთვე ცოლ-შვილი შიშველნი არიან. ხარებიც არა ჰყავს, რომ საქირაოდ წავიდეს. როგორც იქნა, იქირავა ცალი ხარი და მოამზადა სიმინდის წასაღებად და გასაყიდად, რომ შვილებს ტანსაცმელი უყიდოს. ამ დროს დაღალულს მთელის დღის მუშაობით კაციას ნაცვალი მოადგა და შეატყობინა, დიდი კაცი მოდის და ამაღამ დარაჯად უნდა გახვიდე რკინის გზის ლიანდაგზეო. „ძალიან უბედურად არის ყაძახის ცხოვრება მოწყობილი“, – ჰფიქრობს კაცია, მიდის სადარაჯოდ; დაქანცულს წაეძინება ლიანდაგზე და მატარებელი გასრესავს.

ე. ინგოროყვა თავის მოთხრობებში განსაკუთრებით აგვიწერს გლეხის ყოფა-ცხოვრებას. იმისმა დაკვირვებითმა ნიჭმა აღნიშნა საგულისხმო მოვლენა ჩვენის საზოგადოების სხვა წრეებშიაც. „ჩვენის ქვეყნის რაინდი“ (1893 წ.) ასურათებს დღევანდელის ფეოდალურის არისტოკრატის ტიპს. ამ მოთხრობის გმირს დაარქვა სახელად ტარიელ მკლავაძე, რომელიც წააგავს რუსთაველის ტარიელს მხოლოდ იმით, რომ ძალმომრეობას ხმარობს თავის მოწინააღმდეგეთა გასათელად.

– 255 –

სულელურად აღზრდილი დედ-მამისაგან და პატარაობიდანვე ცემა-ტყეპაზე გავარჯიშებული, სასწავლებლიდან გამოგდებული ტარიელი მხოლოდ დროების გატარებას უნდებოდა. მეორე მომქმედი პირი – სპირიდონ მცირიშვილი, – წარმომადგენელია გლეხკაცობისა. ტარიელ და სპირიდონ დაპირდაპირებულნი არიან და მათი შედარება სპირიდონის სასარგებლოდ მეტყველობს. ტარიელ მკლავაძე, ლამაზი, ახოვანი, მკლავ-ღონიერი ყმაწვილია. ქალებში დიდის მოარშიყის სახელი აქვს გავარდნილი. იგი თავის ჟინს ადვილად აკმაყოფილებს მოტრფიალეთა შორის, მაგრამ ამით მისი ავხორცობა არ ყუჩდება. მან გახრწნა 12 წლის ქალი, მოსტაცა გლეხს ახალგაზდა ცოლი და შეზარხოშებულს ძალით უნდა შესვლა იმ ნომერში, სადაც სპირიდონ მცირიშვილი ღამეს ატარებს თავის ლამაზის ცოლით. სპირიდონი სოფლის მასწავლებელია, სუსტის აგებულებისა, მაგრამ მტკიცე კეთილშობილურის მიმართულებისა. იგი გატაცებულად ემსახურება ხალხის განათლების ინტერესს და

თავის იდეალიზმით დაიმონავეს მღვდლის ქალის დესპინეს გულს, რომლის მამის სახლშიაც ერთი ოთახი უჭირავს წვა-დაგვით გამოზდილს სპირიდონს. მან გაათავა სოფლის სკოლა, შემდეგ გადავიდა საქალაქო სასწავლებელში და სამასწავლებლო სემინარიაში და თუმცა ქოხში ცხოვრობს და ლობიოთი იკვებება, ამთავრებს სწავლას და შეუდგება თავის მიზნისთვის სამსახურს. მცირედის ჯამაგირიდან მოხუცებულს დედასაც შემწეობას აძლევს და უქმე დღით ნახულობს მისდა სანუგეშოდ. სწორედ ამგვარის მოგზაურობის დროს სპირიდონს და მის შრომაში თანამოზიარე მეუღლეს მოუხდებათ მატარებლის მოცდა დუქანში, რადგან რკინის გზის ლიანდაგი თოვლით იყო შეკრული. ტარიელ მკლავაძე თავის მოქეიფე მეგობრებით შენიშნავს ლამაზს დესპინეს სადგურზე და მოინდომებს მის გატაცებას. ამ აზრით დაეცემიან ცოლ-ქმრის ნომერს დუქანში და რის ვაი-ვაგლახით სპირიდონი გააგდებინებს მათ მოტაცებულს დესპინეს. სპირიდონმა მათ წინაშე შემდეგ წე-

– 256 –

რილით ზოდილობიანად ბოდშიც მოიხადა, რომ წინააღმდეგ ქართველურის ჩვეულებისა დაუპატიჟებელი სტუმრები გვერ მიიღო. ტარიელმა თავი გამოიღო, სიტყვით შეურაცხყოფა მომაცენა ვიღაც საწყალმა კაცმაო, და გალახა სპირიდონი იმის ცოლის თვალწინ. ამ სულის ამმღვრევის საქციელის გამო სპირიდონი ცხელებამ ჩააგდო ლოგინში და მის ცოლს კი დასჩემდა ტარიელის მოლანდება დათვის მზგავსად, რომელიც მას მიათრევს სოროში. ამ წვალეებით გადაიცვალა დესპინე, ხოლო მისი წყნარი და ზრდილობიანი ქმარი იძულებული არის სისხლი აიღოს და მოჰკლას ტარიელი იმავე სადგურზე, სადაც მეგობრები დაჰპირდნენ მას ლამაზის დესპინეს მიყვანას. ტარიელი მსხვერპლია ლოთობის და გარყვნილობისა, რომლის ბუდედ შეიქმნა უსაქმური არისტოკრატია. ბატონ-ყმობის დროსაც იყვნენ ამგვარი პირები, მაგრამ დღეს, როცა ცხოვრება იცვალა და ადამიანში დასაფასებელი მკლავი კი აღარ არის, არამედ ჭკუა და გამჭრიახობა, ტარიელის ზნეობითი და გონებითი სიდატაკე, სულიერი სიმახინჯე მკაფიოდ გამოჩნდა და სასტიკად გასაკიცხი გახდა.

„მოსე მწერალი“ სოფლის ყოფა-ცხოვრებას ასურათებს და ნათელს ჰვენს იმის გონებრივ და ზნეობრივ დავალალებულს მდგომარეობას. გლეხის შვილი, რომელმაც შეასრულა სწავლა სოფლის სკოლაში და პოლიციურს ხრიკებს დააკვირდა ბოქაულთან ხელზე მოსამსახურობის დროს, გახდება თავის ქვეყნის ჩარხის დამტრიალებლად. კარგმა ძღვენმა, პოლიციის პრისტავთან მოსეს მამისაგან მირთმეულმა, გზა გაუხსნა გაი-

ძვერა მოსამსახურეს კანცელარიაში ქაღალდების გადაწერისა და შემდეგ შედგენისკენაც. ბოლოს მოსე გულფუჭამე ბოქაულმა გაამწესა მწერლად იმ პირობით, რომ მეოთხედი თავის ჯამგირისა იმისთვის ეძლია, „თავდაპირველად მოსეს არა თუ რიდი და პატივისცემა ჰქონდა გლეხებისა, არამედ ეშინოდა კიდევ მათი. როცა გლეხები შევიდოდენ სოფლის სამმართველოში, მოსე ფეხზე წამოდგებოდა და მორიდებით ეკითხე-

- 257 -

ბოდა: „რა გნებავთო“. მაგრამ გავიდა ხანი. მოსე გამოიცადა, შეისწავლა, თუ როგორ ეპყრობიან უფროსები გლეხებს და თითონაც გათამამდა. ბოლოს და ბოლოს იქამდე გათამამდა, რომ ბუხეზათაც აღარ მიაჩნდა. ამასთან მოსე შეეჩვია ქრთამების აღებას და ყალბის ქაღალდების შედგენას“. გლეხები ამაოდ ცდილობენ მის გაძევებას, გუბერნატორთანაც უჩივლეს, მაგრამ არა გამოვიდა რა. შემდეგ მოსემ იცვალა სამსახურის ადგილი, გადავიდა სხვა სოფლის სამმართველოში. სიყალბე-გაიმვერაობით შეიძინა საკმაო სიმდიდრე, შეირთო აზნაურის ქალი და ცხოვრობდა ლაზათიანად. გლეხებს ტყუილად აცდევინებს მთელი დღე კანცელარიის კარ წინ და მწყრალად ეკიდება მათ გაუგებრობას. სათხოვარი თუ აქვს კაცს, იმას კი მიიღებს, რომ დასცინცლოს რამე უსამართლოდ მოწყობილის საქმისთვის. ამნაირის თხოვნით მიმართავს მოსეს ქვრივი ბაბალე, რომლის შვილს ჯარში გაყვანას აცდენს და გასამრჯელოდ 50 მან. აიღებს. ამის გამო შეადგენს იგი ყალბს დოკუმენტს, რომელსაც ბეჭედს ასვამს მცირედ განათლებული და გულკეთილი მღვდელი ათანასე და ხელს აწერს მამასახლისიც, რომ ოქრუა ბაბალეს ერთად-ერთი ვაჟია, ხოლო სოფონი უნათლოშვილი მისი გერია და არა ღვიძლი შვილი. ქრთამის მისართმევად სოფონმა ხარები და ურემი ოხრად გაჰყიდა და მოსე მოიმადლიერა. მაგრამ მეზობელმა ბაგრატ ქერაძემ გასცა. სიყალბე გამოაშკარავდა, დაისაჯა ამის გამო მრევლის საყვარელი მოძღვარი ათანასე, დაიღუპა ბაბალეს ოჯახი. მხოლოდ ქერაძეა თავის საქციელით კმაყოფილი. მოსე გადარჩა სასჯელს, მხოლოდ თითქო სვინიდისმა ცოტა ამხილა და ჩააფიქრა იმ უსამართლობის ზღვაში, რომელიც მის გარშემო ტრიალებდა.

აქაც ავტორი ხმამაღლივ თხოულობს განათლების შეტანას ხალხში და მასთან სამართლის დაახლოებას.

ასეთი ტიპები დაგვიხატა ე. ინგოროყვამ სოციალურის პირობების მიხედვით, რომელნიც ჩაიწვნენ ჩვენს საზოგადოებაში მეოთხმოცე წლების შემდეგ. იმის კალმით აღინიშნა ეკო-

- 258 -

ნომიურად გლახობის განაწილება და მათ შორის ურთიერთი დამოკიდებულება. დაჰგმო რა უმეცრება, ძველი მავნებელი ჩვეულება და უსამართლობა, ავტორმა დაგვიხატა ის ფსიქოლოგიური ცვლილებაც, რომელსაც განიცდიან ახალის და ძველის ხანის სამზღვრებზე მომქმედნი პირნი. მისი ევროპული იდეალი – თავისუფალი გონებრივი და ეკონომიური განვითარება – შეეჯახა საზოგადოების გარდამავალს პატრიარქალურს შეხედულებას და მათი ტრაგიკული ბრძოლა გახადა საბელეტრისტო მასალად. როგორც პუბლიცისტმა ამოიციო ჩვენის ცხოვრების ახალი მოვლენანი და როგორც ბელეტრისტმა ეს მოვლენანი შემოსა სამხატვრო ფორმით. ტარიელ მკლავაძე, მოსე მწერალი, დავით დროიძე უკვდავი ტიპები არიან ქართულს მწერლობაში. გურიის მდგომარეობა, იქაურის გლახის ყოფა-ცხოვრება პირველად გადაგვეშალა თვალწინ იმის ნაწერებში. „სოფლის გმირები“ (1893 წ.) და დაუმთავრებელი ისტორიული რომანი „სამწუხარო შედეგი“ ამავე საგანს ჰყენენ ნათელს.

იროდიონ ხოსიტაშვილი

(ი. ევდოშვილი)

იროდიონ ხოსიტაშვილი, ევდოშვილის ფსევდონიმით ცნობილი, დაიბადა 1873 წ. ზოდბისხევში. პირველ-დაწყებითი სწავლა მიიღო ჯერ სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებელში, შემდეგ გადავიდა თელავის სასულიერო სასწავლებელში, სადაც დაამთავრა სწავლა 1881 წ. სწავლა განაგრძო ტფილისის სასულიერო სემინარიაში და იქიდან დათხოვნილ იქმნა მესამე კლასიდან ნება-დაურთველის წიგნების კითხვისთვის. 1895 წ. შევიდა თავისუფალს ჯარის კაცად და პრაპორშჩიკის ჩინით გამოვიდა სამსახურიდან. წერა დაიწყო სემინარიაშივე

– 259 –

ჟურნალ „ნობათის“ ზედგავლენით. პირველი მისი ლექსები „გაზაფხული“ და „გუბე“ მოწმობენ თავისუფლად ლექსის შეწყობის ნიჭს და პოეტურის შემოქმედების ძალას. ერთს ხანს იმსახურა „ივერიის“ რედაქციაში, მაგრამ რაკი ვერ შეუთვისდა გაზეთის თანამშრომლებს, გადავიდა საფილოქსერო პარტიაში. შემდეგ სცადა ბედი ბაქოში ნობელის ნავთის კანტორაში და მაჩხაანის საზოგადოების დეპოში. როცა უკანასკნელი

დაიკეტა, საცხოვრებელს წყაროს აძლევდა ჟურნალს „კვალში“ თანამშრომლობა იმდენად მცირეს, რომ მის სიტყვით „ჭამას გადააჩვია“. ბოლოს დროს მიიღო დაახლოებითი მონაწილეობა „ცნობის ფურცელში“, „ივერიაში“, „შრომაში“, „სახალხო გაზეთში“ და „ნაკადულში“. ბოლოს რამდენისამე წლით მოშორებულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციულად გაგზავნილი ჩრდილო-რუსეთში.

ი. ხოსიტაშვილს ეკუთვნის განსაკუთრებითი ადგილი ქართულის მწერლობის ისტორიაში. მის პოეზიის შინაარსი ახალი და თავისებურია. იგი გახდა დემოკრატიულის მიმართულების და მოქალაქობრივის ლირიკის თვალსაჩინო წარმომადგენლად. ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა ამ მხრით გაუკაფეს გზა და გადაულოცეს პროგრამა. ასეთი მიმართულება, ივანე გომართელის*) აზრით, ახლად ჩასახულის კლასობრივის დამოკიდებულების ნაყოფია. დემოკრატიულმა პოეზიამ განდევნა რომანტიზმი, ქალის და ღვინის შექება გასცვალა მოთხოვნილებათა და ნაკლულევანებათა გამოქვეყნებაზე, განაგდო „ხელოვნება ხელოვნებისთვის“ და აღიარა „ხელოვნება ცხოვრებისთვის“.

ი. ხოსიტაშვილის ლირიკა საზოგადოებრივის ხასიათისაა. იგი აწმყო:ს დასტრიალებს და უარჰყოფს წარსულის დატირე-

*) ივანე გომართელი, ცნობილი პუბლიცისტი, დაიბადა საჩხერეში 1877 წ., გიმნაზია გაათავა ტფილისში და საექიმო ნაწილი მოსკოვის უნივერსიტეტში. გარდა კრიტიკულის წერილებისა მას ეკუთვნის პიესები „ქობში“, „წამხდარი სისხლი“, „დრამატიული გამგეობის წევრი“ და სხ.

ბას. ლექსების თემად მან გაიხადა მუშა ხალხის წვალება და ფიქრი. თავის პიროვნების ბეჭედი მაინც დაასვა ყველა ნაწარმოებს. ლექსში „მუსიკას“, ნადსონის მელოდიაზე აგებულში, პოეტი ვერ ჰპოებს დავიწყებაში სიამოვნებას; რადგან შავი ფიქრები ზღვასავით აღელვებენ მის ოცნებათა სამეფოს:

ნუ, ნუ იწვევ სელს აყვავებულ მხარეს,
სადაც ადგილი არ აქვს ურვას, არც სიმწუხარეს!
აბა რათ მინდა ოცნებითა ერთ წუთს ვსტკბებოდე
და მერე ისევ ცხარე ცრემლათ დავიღვრებოდე?
აბა რათ მინდა შენს ჰანგებში შთავინთქებოდე,
რა შესწვდე, კვალად შავ ფიქრთ ზღვაში შევცურდებოდე?

განმეორებით სთხოვს: „ნუ... ნუ იწვევ სულს მიუწვდომელ სერაბიმთ მთაზე, ჰხედავ: მე ვსტირი – შენც დაუკარ გლოვისა ხმაზე“.

კერძო ურვა და მწუხარება პოეტისთვის არა რა არს შედარებით საქვეყნო ჭირ-ვარამთან. იმის აზრით, სამარცხვი-

ნოა პირადი ბედნიერება, როცა გარშემო მოისმის კვნესა. სა-
ზოგადო გოდება უფრო მაღლა სდგას კერძო წუხილზე, საერ-
თო ბედნიერებას მეტი ფასი აქვს, ვიდრე კერძო ფუფუნებით
ცხოვრებას. იგი თხოულობს თვითოეულის ადამიანისაგან სა-
ზოგადოებისადმი სამსახურს.

ბრწყინვალე იმედებით გადასდგა მან ფეხი ცხოვრების ას-
პარეზზე, მაგრამ იმედი ჩქარა გაუცრუვა გარემოებათა ხლართ-
მა. ამ ელეგიურის სულის მოძრაობის დასახატად ი. ხოსიტა-
შვილი ჰბამავს ნ. ბარათაშვილს, რომლის ზედგავლენა ატყვია
პირველს მის ლექსებს. „ამონაკვნესში“ ახალგაზდა პოეტი,
თავის დიდებულის წინაპრის მსგავსად, კრულვით იხსენიებს
ტიალს „ბედს“, რომელმაც წილად არგუნა ცრემლი და ჭა-
ბუკი გადააქცია მწირად. ამგვარი გავლენა ნ. ბარათაშვილის
პოეზიისა მოსჩანს ლექსში „ტამარი“, სადაც „მთენილ ტრა-
პეზს ფოთოლს აყრის ქარი ღრიალით და თავს დასჩხავის ყო-
რანთ გუნდი სრიალ-ტრიალით“. მართალია, პოეტი განიცდის

- 261 -

„გულის სევდას“ და „შეუკავებელს დამწველს ცრემლს“ აფრ-
ქვევს, მაგრამ იგი არ დასტირის თავის სატრფოს, რადგან მას
„მარტოკა გდება“ ქუდ ბედად თან დაჰყოლია. ჰგოდებს იმი-
ტომ, რომ გარშემო ესმის კვნესა, „მაშვრალი ხალხი ტვირთ
ქვეშა გმინავს, მათი ვაება... უსამართლობა, ვითა ისარი გულ-
სა უგმირავს“. აი, მაშასადამე, საგანი მის პოეტურის შემო-
ქმედებისა: საქვეყნო ჭირი და ხალხის მძიმე ტვირთის უსამარ-
თლობა. მაგრამ პოეტი ვერ შემოჰფარგლავს თავის აღმაფრე-
ნას ვიწრო წრის სამზღვრებით; იგი პასუხს იძლევა ყველა სა-
ქვეყნო საგანზე და საქმეზე. ამნაირად გვიხსნის იგი თავის შე-
ხედულებას ლექსში „პოეტი“, რომელიც მაჩვენებელია მის
დანიშნულების შეგნებისა.

ხან არწივია მძლავრ-ფრთებ-გაშლილი,
გადმოფრენილი მაღლა მთიდანა,
მიაპობს ჰაერს, დასცქერის მიწას
და ცეცხლი სცვივა თვალებიდანა!

ხან მტრედი არის, ზის დაღალული,
კვნესის და სტირის მწარეთ მის გული,
ჰყვედრის თვის ბედსა, სწვევლის სოფელსა:
„რათ გამიჩინე დარდი და წყლული!“

ხან ნამი არის მაცოცხლებელი,
ყვავილს დასხმია თრთის და ციმციმებს,
ხან ვით ბულბული დაჰკრავს, დაუსტვენს,
ხან ატირდება, ხან გაიცინებს!

ხან დემონია, სძულს მაღლა ზეცა,
სწვევლის სამყაროს, სწვევლის მთა და ბარს,
ხან კი ანგელოზს დაედარება

და მუხლ-მოყრილი ჰვედრის მაცხოვარს!

ი. ხოსიტა"შვილი მაინც მეტის თანაგრძნობით და დაკვირვებით გვიხატავს თანამედროვე სოციალურს განწყობილებას, თუმცა იგი არ უარჰყოფს მამულის წარსულს დიდებას. აწმყო ჩრდილავს მის ყოველს მისწრაფებას და ათქმევინებს სამარ-

– 262 –

თლიანად შემდეგს სიტყვებს, რომელნიც ასურათებენ მის მოღვაწეობას, როგორც ახალის დროის გავლენით წარმოშობილს: „მე დროს შვილი ვარ, მან გამზარდა თვის მთრთოლვარ მკერდზე და ახლა თითებს ვათამაშებ მისსავ სიმებზე! მე დროს შვილი ვარ, მან მაწოვა შხამი-სამსალა და აღვსებული აწ ფიალა გადმოიცალა! მე დროს შვილი ვარ, მაგრამ ურჩი ჩემი მშობლისა“. ცოტა რომ რიტორიკა არ იყოს შერეული ამ ლექსში, იგი მხატვრულად დამახასიათებელი იქნებოდა სოციალისტურის ტენდენციისა. ამ ტენდენციით დაწერილია ლექსი „მუშა“, სადაც ღარიბულად აღზრდა და ცხოვრება ხელმოკლე კაცისა აწერილია ზომიერის ფერადებით: „მე დავიბადე ძველს წნულს ქოხში, ლერწამი იყო ჩემი აკვანი, ზევიდამ ჩვარი ძლივსა მფარავდა, სიცივით კრთოდა შიშველი კანი. დედის ნანასა ქარი სისინით ქოხს შემოჭრილი ბანსა აძლევდა და ჩემი გული იმა ხმაზედა გამოურკვეველ შიშითა კრთოდა... წამოვიზარდე, რკინის უღელ ქვეშ მომახრევეინა ცხოვრებამ ქედი“. შემდეგ ამ ბედით დაჩაგრულს კაცს რჩება მხოლოდ მდიდრულის ქულაჯის შურით ცქერა და თვით კონკვებით დაკმაყოფილება. პოეტს მტკიცედ სწამს, რომ შრომის ნაყოფი ეკუთნის თვით მშრომელს და არა გაურჯელს და მტაცებელს. იგი სასოებს ლექსში „იმედი“, რომ „მავრალ გულით ამოხეთქილი გმინვა განთიადს ამცნებს ქვეყანას“. სწამს, რომ სამართალი და „ძმობა-ერთობა“ აღდგენილ იქნება, მაგრამ როდის და როგორ განხორციელდება ეს იდეალი, პოეტი სდუმს ან გადაწყვეტილს პასუხს არ იძლევა.

ი. ხოსიტა"შვილის სამოქალაქო ჰანგზე გალობას ქართულს მწერლობაში ჰყვანდნენ წინამორბედნი, რომელთა ნაწარმოების შეთვისება დაეტყო ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებასაც. ლექსი „უქმე დღე იყო; ქალაქისა ფენილს ქუჩაზე ნელის ნაბიჯით ბატონები დასეირნობდნენ... იმათ მახლობლად ფეხშიშველა ათის წლის ბიჭი კალათით ხელში იდგა კრძალვით,

– 263 –

ჰყიდდა იასა“, – განმეორება „მუშა ბოქულადის“ მელოდი-

სა. ან ლექსი „მატანტალა“ („დღეს, როგორც გუშინ, ქუჩა-ქუჩა კვლავ იარები, ტანს მჩვრები გფარავს, ფეხებს წყლული და იარები“) ჩაგონებულია ილია ჭავჭავაძის „მუშის“ ზედმოქმედებით. სუბიექტურს ლექსებში ეტყობა უფრო ნ. ბარათაშვილის გავლენა. „სულო ბოროტოს“ სიუჟეტია განმეორებული ხოსიტაშვილის ლექსში „სალამი“ („სალამი თქვენდა აღმფოთებულ სულის ნამოზნო, შავო ფიქრებო, აღსავსენო გესლით და შხამით“).

მართალია, ი. ხოსიტაშვილს არ ეკუთნის სამოქალაქო პოეზიის მამათმთავრობა, მაგრამ ღირსება იმისი სწორედ ის არის, რომ ამ შინაარსის შემოქმედებას მან მიაქცია განსაკუთრებითი ყურადღება, ხშირად თვით პოეტურის მხატვრობის საზარალოთაც. სურათებს და აღმაფრენას მოკლებულია „მუშის სიმღერა“, რომელიც შეიცავს გალექსილს დედა-აზრს: „შიშველს მიწაზე, დიდის ქარხნის სარდაფში იწვა მუშაკი, ზედ ეხურა ჩოხის ნაგლეჯი“, სიზმარში ხედავს დარბს ცოლ-შვილს, გამოელვძიება და ჯოჯოხეთი ისევ თვალწინ უდგია. რაკი პოეტი გაზეთის მოწინავე წერილის სიტყვებს ლექსად აწყობს, ზეციურს სულს ვერ შთაბერავს. ამგვარისავე პროზის ფორმით არის დაწერილი „ჩუ! გლოვის ზარი მოარღვევს ჰაერს“, სადაც იგივე „ტანჯული მუშის გვამი“ თვალწინ გვიძევს, უსიცოცხლოდ და გრძნობის აუშფოთებელის სიტყვებით დატირებული. „შიმშილი და სიცივე“ საწყალის კაცისა კიდევ შეგვხვდება ლექსებში „ვუძღვნი №-ს“ („ლუკმას ვეძებდი“), („მობილო, კარი გააღე, მისტუმრე ერთი ღამითა“) და „ქუჩაში“ („სახე-ნაცემი, დაკაწრული იწვა ქუჩაზე პერანგისა მხოლოდ ამარა“). ამგვარად მუშის გაჭირვებულს ცხოვრებას განსაკუთრებით ემსახურება ი. ხოსიტაშვილის მუზა.

რაკი სამოქალაქო კილო გაამეფა თავის ნაწერებში, ამიტომაც კერძო სულის ვითარება, სიყვარულის ანალიზი, სუ-

ბიექტური გრძნობა დააყენა მეორე რიგზე, ან სრულიად განდევნა. ამით აიხსნება პოეტის ნათქვამი: „ნუ, ნუ, ტურფავ, ნუ ამაცლი ამ ჩემ მწარე ისარ-მახვილს, ისევ ცრემლი მირჩვენია უდარდელად შემოძახილს“. იგი უჩივის ბედს, რომელმაც მისი მამაცი ნავი ტალღებს შეამუსვრინა და გულს არ იტებს მხოლოდ იმიტომ, რომ აგონდება „დროშა სიმართლის და გვირგვინი სიყვარულისა“. ქალის გული იტაცებს მას იმდენად, რამდენადაც იგი ზნეობითად მაღალი არსებაა და სულიერის კავშირით მასთან დაახლოვებულია. ქალის თვალეზში გიჟმაჟი გრძნობა მას არ ჰხიბლავს. არა, მე მხიბლავსო „გუ-

ლი შავსა ტალღებში ჩაჩრდილებული, ვითა ყვავილი ქარიშხალისგან ველზე ობლათა გადაგდებული!“ ამ სულით დაჯილდოვებული ქალი ამშვიდებს და სასოებას უმატებს იმედ-მიხრწნილს პოეტს. რწმენა გზას უნათებს და ჩააგონებს: „რაც უნდ ღამე იყოს ბნელი, ცა ღრუბლებით მოიჭედოს, მაინც ველით განთიადსა, არ შედრკება ჩვენი გული, უკვე ადგა ქარიშხალი, განთიადის მოციქული?“ (ლექსი „სიმღერა“). ამავე აზრს იმეორებს „ქარიშხალში“: ქუხილი არ მაშინებს, რადგან მზე გამობრწყინდებაო.

ი. ხოსიტაშვილს ეხერხება აგრეთვე იუმორისტული ლექსებიც. მაგალითად „გვირგვინი“, მიძღვნილი ცოცხლებისადმი, „მჭედელი პეტრე“, სადაც, სხვათა შორის, ამბობს: „ვითომ რაო, პეტრე რო ვარ?! ცხვირზე ხალი, ტუჩზე ხალი, ნათლიდედაც ლამაზი მყავს, მრგვალია, ვით ფორთოხალი!“ და „ჩემს ძველს სერთუკს“ (მიზაძვა ბერანჟესი).

ი. ხოსიტაშვილს აქვს აგრეთვე რამდენიმე პოემა და პროზად დაწერილი ამბავი („ლეკი ისმაილ“, „სისხლი აილო“, „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“, „ელენე“). ეს ნაწერებიც იმავე სამოქალაქო შინაარსისანი არიან. პოემა „ელენე“ აგვიწერს ყაჩაღად გავარდნას ეგზეკუციისაგან დაჩაგრულის მოხუცისას, რომელიც ერთხელ შეხვდება სამიკიტნოში მოქეიფეთა შორის თავის ცოლს და ქალს, გაჭირებისა-

– 265 –

გან ზნეობა-ახდილებს. მოხუცი ვერ მოუთმენს, მოჰკლავს ცოლს და გაიქცევა. ქალი მათი ელენე, შეწუხებული თავის ყოფაცხოვრებით და მომხდარის მკვლელობით, ჭკუაზე შესცდება. ამბავი „შადრევანი“ აგვიწერს ღარიბის აბდულას ტრაგიკულს სიკვდილს ბაქოს ნავთის წყაროზე მანქანების მოშლის გამო. საზოგადოების გაკიცხვას შეიცავს მისი „პატარა ყარამანიანი“ („კვალი“ 1901 წ.). სცადა თავისი ნიჭი დრამატიულს თხზულებათაშიც და დასდგა სცენაზე პიესა „ჭრელი სუფრა“, სადაც დახასიათებულია ქართველი „თავ-ქარიანი“ პატრიოტები და მწერლობის საღერღელ-აშლილი თავ-ქარიანივე ყმაწვილკაცობა. სთარგმნა ლექსები ვ. ჰუგოსი, ბერანჟესი, სტოიან კარაგიოზისა, ლერმონტოვისა, პლემჩევისა („მეგობრებს“), პუმკინისა („ძველ სატრფოს“) და სხ.

არსენ მამულაიშვილი (ლალიონი)

არსენ მამულაიშვილი, რომელიც ცნობილია ლალიონის ფსევდო-

ნომით, დაიბადა 1866 წ. ს. დეგაზუში. სწავლა დაამთავრა ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში და ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში. მასწავლებლობდა შემახაში, ნახჩევანში და ტფილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. სამის წლის განმავლობაში ტფილისში კერძო სასწავლებელიც აწარმოვა. მოთხრობამ „ფირალი დავლაძე“, რომელიც დაიბეჭდა „მომბეში“, სახელი მოუპოვა ავტორს და მკითხველის ყურადღება მიიპყრო. მოთხრობის გმირი აღსარებულ იქმნა კაპიტალისტურის წესწყობილების წინამორბედად („კვალი“ 1898 წ.). მეორე მოთხრობა, რომლის მომქმედს პირად გამოჰყავს ეფემია, საინტერესოა ფსიხოლოგიურის გარკვევით და ცხოვრების მიმდინარეობის დაკვირვებით. ეფემია ღარიბის ქვრივის ქალია. იგი შეხვდება სოფელში ტფილისიდან ჩამოსულს გამდიდრებულს ვაჭარს – გიორგი პინტილიანს. ახალგაზდა ქალის გულს ადვილად დაიპყრობს ქალაქელი ვაჭარი, დაინიშნება მასზე და საქმეების გამო დაბრუნდება ტფილისში. ეფემია ოცნებობს თავის მომავალს მდიდრულს და ბედნიერს ცხოვრებაზე. ამოდ ელის ქალი დანიშნულის მოსვლას საქორწინოდ ან რაიმე ცნობას. გიორგიმ დაივიწყა ლამაზი ეფემია, ირთავს მდიდარს მახინჯს ქალს თავის აწეწილის საქმე-

– 266 –

ების გამოსაბრუნებლად. დატოვებული სადედოფლო შეურაცხყოფილია და ვერ შერიგებია თავის სამწუხარო ბედს. დაჩაგრულნი დედა და ქალი მიდიან ტფილისში და შემთხვევით იპოვიან გიორგის, რომელიც ალერსიანად მიიღებს მათ, ასიამოვნებს, თეატრშიაც წაიყვანს, მაგრამ ქორწილის დაშურება კი არ სურს. ეფემია მაინც რწმუნდება, რომ მისი ბედნიერება შეურყეველია. მაგრამ ჩქარა გამოქვეყნდება სასიძოს ფლიდობა: გიორგის ცოლი მოვა და თვალებს აუხელს ეფემიას. გაცრუებული ქალი თავის სიყვარულს გაუზიარებს ნავთის წყაროების პატრონს, რომ ამან სამაგიერო გადუხადოს გიორგის და შეავიწროვოს საქმროს მდგომარეობა. თვით კი მოიწამლავს თავს და გამოეთხოვება წუთის სოფელს.

გიორგი, ა. მამულაიშვილის წარმოდგენით, ის კაცია, რომელმაც მოიძულა სოფელი და მისი ტრადიციული ზნეობა; იგი გადასახლდა ქალაქად იმ აზრით, რომ გამდიდრდეს და სწირავს ამ სურვილს თავის სვინიდის და საეთიკო რწმენას. მოთხრობაში დაპირდაპირებულია სოფლის და ქალაქის მსოფლიო შეხედულება. ქალაქის წარმოშობილია გიორგი პინტილიანი, რომელსაც სიმდიდრე უყვარს იმიტომ, რომ იგი ფართო გზას უხსნის სიამოვნებით ცხოვრებისაკენ. დაბეჩავებული ეფემია სოფლის შვილია, ჯერ გაურყვნიელი და შეურყვევლის ზნე-ჩვეულებით.

არსენ მამულაიშვილს ეკუთნის აგრეთვე მოთხრობა „რაქვიანა“. ეს სახელი დარქმევია ჯინჭრიანში გლახუნი უნდილაშვილს, რადგან იგი ამ სიტყვას ლაპარაკში ხშირად ჩააკერებდა ხოლმე. ბევრი სიმწარე და წყენა განუცდია საწყალს გლახუნის, როცა დაცინვით მისთვის „რაქვიანა“ დაუძახნიათ. ერთად-ერთი იმედი გლახუნისთვის იყო იმის ძმა ვასო, რომელმაც სწავლა დაასრულა, ევროპაშიაც იყო გაგზავნილი ხაზინის ხარჯით სწავლულთა კრებაზე რაღაც საგნის გამოსაკვლევად. ძმა დაბრუნდა, ადგილი კარგი მიიღო და სოფლის ნახვა მოინდომა თავის მეუღლე ზენას თანხლებით. აქაც მოტყუვდა გლახუნი. განათლებულმა ძმამ სალამი

არც კი მისცა. ბრძანების კილოთი უთხრა ბარგისთვის ეგდო ყური. მკვახე სიტყვა-პასუხი და „დაიკარგე აქედან“ ბევრი გააგონა ხალხში დაჩაგრულს ძმას „მეცნიერმა“ ვასომ. ცოლსაც არ მოსწონს ეს „странный“ კაცი, მის თავაზიანობას და ალერსს არად აგდებენ და ქვეყანაში თავსა სჭრიან. ბოლოს კიდევ გაუწყრნენ, რომ „საჭირო სანოვაგე“ ვერ იშოვეს და თბილი ოდა ვერ დაახვედრა გლახუნიმ განებივრებულს ძმას და რძალს. დაბრუნდნენ ცოლ-ქმარი და გლახუნიც ბევრის ყოყმანის შემდეგ დაედევნა უკან, მიაგნო მათ სახლს, ძალად, მოსამსახურის ნება-დაურთველად წაადგა ძმას თავზე, როცა იგი მოწყობილს სასტუმრო ოთახში

- 267 -

ეზაასებოდა უცხო პირებს. მეორე დღეს ძმებმა გამოლანძღეს ერთმანერთი. გლახუნი დაბრუნდა სოფელში მთლად გულდაწყვეტილი და მოკლე ხნის განმავლობაში სადღაც გაჰქრა, ზოგის ფიქრით, „უთუოთ სადმე სამუშაოზე წავიდა“.

არსენ მამულაიშვილის გმირები ცოცხალი სურათები არიან, პირდაპირ ცხოვრებიდან ამოღებული. იუმორი, რომლითაც აზავებს თავის უკანასკნელს მოთხრობებს, მოწმობს, რომ გარდა დრამატიულის სიუჟეტისა, ავტორს ძალა შესწევს კომიკურის შინაარსის შემუშავებისაც.

დავით კლდიაშვილი

დავით კლდიაშვილი დაიბადა ს. სვიმონეთში 1862 წ. მოამზადეს პირველ-დაწყებითს კერძო სასწავლებელში და გაგზავნეს კიევის სამხედრო გიმნაზიაში. აქ ქართული ენა დაავიწყდა და მესამე წელიწადს სახლში საზაფხულოდ მოსულმა მოიგონა დედა-ენა იმდენად, რომ ლაპარაკს ახერხებდა. როგორც შემდეგს წლებში ზაფხულობით სამშობლოში ცხოვრებამ, აგრეთვე კიევში ნ. ლომაურთან დაახლოვებამ ხელი შეუწყვეს დათიკოს შეესწავლა ქართული ისტორია და ლიტერატურა. სწავლა დაამთავრა მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში 1882 წ. და აფიცრის ჩინით გამწესდა ბათუმში. დიდი შრომა და მეცადინეობა გამოიჩინა იმერეთის ცხოვრების შესასწავლად. ამ შესწავლის ნაყოფია მისი საუცხოვო მოთხრობანი, რომელნიც ორიგინალურის შემოქმედების ძალით ერთად-ერთნი არიან ჩვენს მწერლობაში. ამ ჟამად მან სამხედრო სამსახურს თავი დაანება პოლკოვნიკის ჩინით და მსახურებს ქუთაისის ქალაქის თვითმართველობაში.

ეთნოგრაფიისთვის ძვირფასია მისი პირველი მოთხრობა „შერისხვა“. აქ ძველი ჩვეულება და რწმენაა სიუჟეტად აღებული. კაცია საგუნაშვილმა წმ. გიორგის ხატს გადასცა ანდრია ჭურაშვილი სიმართლის აღსადგენად. საქმე იმაში იყო,

რომ კაცია საგუნაშვილმა ერთი თავისი საყანე ადგილი შესა-

- 268 -

სვენებლად გაუშვა და ღობეც აღარ გაუყოლებია. სოფლელებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით და ამ შესვენებულ ადგილზედ სიარული დაიწყეს. ძველი გზა, რომელიც სრულიად წამხდარი იყო, მიივიწყეს და მის შეკეთებას აღარავინ დაეძებდა... როცა კაცია, ერთ დღეს, მოინდომა გაშვებული ყანის შემოღობვა, მეზობლებმა მოსთხოვეს ერთი ნაწილი გზად დაეტოვებინა. კაცია ავარდა დავარდა ამაზედ, ღობვა დაიწყო, მაგრამ ღობე ისევ მოურღვიეს... საქმე სოფლის სასამართლომდინ მივიდა... დაათვარიელეს ის ადგილიც, სადაც ძველი გზა მიდიოდა, ახალი სადავო გზაც და გადასწყვიტეს: რადგანაც ძველი გზა მეტის-მეტად გაფუჭებულია და მისი შეკეთება ყოვლად შეუძლებელია, ამის გამო კაციას ადგილს უნდა გამოსჭროდა ერთი ნაწილი ახალის გზისთვის. კაციას ეწყინა ეს გარდაწყვეტილება და ვერაფრით ვერ უშველა საქმეს. განსაკუთრებით ჯავრის ამოყრა უნდოდა მოტიკტიკე ანდრიაზედ, რომელიც თავი იყო სოფლის მოსამართლეებში. ერთი გზა-ლა დარჩა მის დასასჯელად და კიდევაც გადასწყვიტა მიემართნა ხატისათვის. ანდრია გადასცა წმ. გიორგის ხატს და ელოდა მის საჯაროდ დასჯას. დრო გადიოდა, მაგრამ რისხვის ნიშნები კი არსად სჩანდა. კაციას მოუთმენლობა ეტყობოდა, მეტადრე იმიტომ, რომ ანდრია უდარდელად ცხოვრობდა და არაფრად აგდებდა კაციასაგან ხატზედ გადაცემას. კაცია ემდუროდა წმ. გიორგის შეგვიანებისთვის, თუმცა ცოლი უწყურებოდა, რომ უგუნურად წმინდანს სამართალს უსწორებდა“. კაცია საქმეს ხელს ვეღარ ჰკიდებდა, მარხვაში ზიარება აღარ მოინდომა; ახსოვდა მხოლოდ წმ. გიორგის შემწეობით ჯავრის ამოყრა. გათენდა აღდგომაც, მაგრამ იმისმა გულმა ვერ გაიხარა. აღდგომის მეორე დღეს მღვდელი ხატებით და ხალხის მონაწილეობით უვლიდა ეკლესიას. მღვდელმა ხატების წინ ლოცვა წაიკითხა და როცა მოისმა კირიელისონ და ამინ, კაცია საგუნაშვილი წამოიჭრა წინ, წმ. გიორგის ხატის წინ გაჩნდა და შესძახა: „ესმის ახლა ვითომ მა-

- 269 -

გას რამე? ძალი ვიყავი, ჩემი რომ არაფერი შეისმინა?“ ხალხი აღელდა და გაცეცხული უყურებდა, „გაგიჟებულს“ კაციას. ცოლმა რა შეიტყო ეს ხატის გაწბილება, შავი დღე დააყენა კაციას, მაგრამ იმას აღარა ესმოდა რა. მოტყდა და მოიკუმშა ამის შემდეგ კაცია და სიკვდილის ჟამს ზიარება მაინც მიიღო.

სოფლებმა უარი სთქვეს მის დატირებაზე: ღმერთს ვაწყენიებთ, რომ მისი მგმობელი ვიტროთო. აი ეს თავისებური ჩვეულება – ხატზედ გადაცემა – ცოცხლად დაგვიხატა ავტორმა და ნათელი მოჰფინა კაცის სულის ვითარებას, როდესაც წმიდანის რისხვა მტერს ასცდა და სამართალი დაიჩაგრა.

დავით კლდიაშვილს შესწავლილი აქვს ყოფა-ცხოვრება წვრილის მემამულეების, სოფლის სამღვდელოების, ლატაკის გლეხებისა და ცოცხალს სურათებად გვიხატავს ამათ მდგომარეობას, ინტერესებს, მსოფლიო შეხედულებას. მისი მოთხრობა „სოლომან მორბელაძე“ მაჩვენებელია ჩვენის ხალხის ზნე-ჩვეულების და ეკონომიურად დაქუცმაცებისა.. სოლომან, ჩამომავლობით აზნაური, იმდენად „დაგლახაკებულია“, რომ დედაკაცის საქმეს შესდგომია და „მაშვლობით“ აწყობს შერთვა-გათხოვებას და ამ შრომით შოულობს ლუკმა პურს. ავტორი ნაკლებად ჩერდება თავის მხრით.= მომქმედის პირების აღწერაზე, იგი ალაპარაკებს და ამოქმედებს მათ და მკითხველს შეუძლიან გამოიყვანოს დახასიათება და დასკვნა. „მოჩაქჩაქე ჯორი“, რომელითაც დაულალავად დამრწის სოლომან, იმდენადვე იპყრობს ავტორის ყურადღებას, რამდენადც სოლომანი, მისი მეუღლე ეფროსინე, პლატონი, ბესარიონი და სხვა გმირები ამ ხან მწარე და ხან გულუბრყვილო იუმორით შეზავებული მოთხრობისა. სოლომანს მართებს პლატონის მცირედი ვალი, იგი მოსულა, თხოულობს უკან მიცემულს ფულს, რადგან ვადაც გავიდა და შვილის სასწავლებლად შესატანად სჭირდება. სოლომანი პატიოსანს სიტყვას აძლევს, რომ ერთს თვეზედ ჩააბარებს: „მაშვლობა მაქვს გამოწყობილი და იცოცხლე კაი ასაღებიც მქონდეს! ევიღებ და იმ წამსვე ჩემი ხე-

- 270 -

ლით მოგიტან“. პლატონი დამშვიდდა და წასვლა დააპირა: „აბა ისე მივდივარ ახლა, თითქო ჯიბეში მეგულებოდეს ის “ფულები... შვიდობით ბრძანდებოდეთ“. მაგრამ სოლომანი და ეფროსინე პირმოთნე, თუმცა ალერსიანი კილოთი დაუწყებენ თხოვნას, რომ პლატონი დარჩეს იმ ღამეს სტუმრად. „დაგაწვენ, დაგხურავ, დაგამინებ... დილით ადრე ადგები და წახვალ, შე კაცო!.. არ ეშვებოდა სოლომანი“. – „მადლობელი ვარ, ჩემო ბატონო, მეტად მადლობელი ვარ, მარა, ნურას უკაცრავად... სწორედ რომ არ შემიძლია... მომიტევეთ, ნუ მიძრახავთ ჩემს უზრდელობას...“ სოლომანმა ჭიშკრამდის მიაცილა პლატონი და როცა სახლს მიუახლოვდა უკან გამობრუნებული, აივნის დასტანდაზედ გადმოწოლილს ეფროსინეს შესძახა: „არ მომკლა ამ უხეირომ თავისი გაუთავებელი ხვეწნით!“ ცოლმა გაჰკიცხა რომ ეპატიუბოდა სტუმარს, როცა

სახლში არა ეგულეობდა რა. სოლომანმა სიტყვა ჩქარა მოუჭრა: „ერთ-ორ შეპატიჟებით რავა დარჩებოდა, შე ქალო! გადამთიელი ხომ არ არი, ჩვენებური ჩვეულება არ იცოდეს... შევეპატიჟე, ვალი მოვიხადე...“ სოლომან ცოლს გაუზიარებს სასიამოვნო ამბავს, რომ საქმე მოაწყოს და „ბესარიონმა უნდა მისცეს ქაიხოსროს ორმოცი თუმანი ფულად, ოცი თუმნის ვექსილი და ოცი თუმნის ბარგი“. ავტორი სოლომონს ფეხდაფეხ დასდევს და სუყველგან სუყველაზე მეტს ალაპარაკებს. იმდენად გატაცებულია მის სურათის შემოქმედობით, რომ დანარჩენნი პირნი ცოტა ჩრდილში ჰყავს დაყენებულნი. სოლომანმა უნდა იშოვოს 60 მან. პლატონის ვალის გადასახადად, ამიტომ სემინარიელს ქაიხოსრო ქათამადის შვილს, რომელიც მღვდლად ემზადება, სურს შერთოს ელპიტე, ბესარიონის ქალი. თავის მოჩაქჩაქე ჯორით მიდის და მოდის სანეფოს და სადედოფლოს შუა ამათ ბედის მოსაწყობად. როცა თითქმის მთავრდება ერთმანერთს და საქმე გაჩარხული ეგონა, ბესარიონმა მოითხოვა, რომ სასიძომ ათი თუმანი დაუკლოს. წინააღმდეგს შემთხვევაში იძულებულია სხვას მიათხოვოს თა-

- 271 -

ვის ქალი. სოლომანი საშინლად გაწბილებულია ამ წინადადებით. ვერ კისრულობს იგი ქაიხოსროსთან ამაზე სიტყვა დასძრას. „განათლებული ყმაწვილი გიშოვეო, – ამბობს გაცეცხლებული სოლომან, – მდიდარი ოჯახი... ხვალ ჩინებული მღვდელი იქნება... უზრუნველი ცხოვრება, გამოუღვეველი ლუკმა პური... ჰმ, ეს გაშოვნიე ორმოცი თუმნით! იმიტომ რომ ვექსილი რა ჩასათვალავია? ფული ხომ არ გხდება და სამ წელიწადს შიგნით რა იქნება, ვინ იცის! და ახლა კიდევ დაკლებაზედ ლაპარაკობ!.. ღმერთო, მომკალი, ეს რა ამბავი მომივიდა!“ სოლომანი გულშეწუხებულია, რადგან ხელიდან 60 მან. ეცლებოდა. ცეცხლი მოიკიდა მეტადრე, როცა შენიშნა იმავე ხელობის აზნაური, „მაშვალი“ სიკოია, რომელიც უფრო იაფად ურიგებს ბესარიონს სასიძოს. შემოახტა თავის ჯორს და გულამღვრეული დაუყოვნებლივ მოშორდა ბესარიონს. კაცმა ამდენი იწანწალა, ძაღლის ყბა გამოიბა იმდენის ლაპარაკით, ხან ერთი შეიჯერა, ხან მეორე, ათასნაირის ტყუილების თქმა დასჭირდა და როცა საქმე თითქმის მოაწყოს და სამაშვალო ექვსი თუმანი ჯიბეში ეგულეობდა საწყალ დარიბ აზნაურს, ყველა შრომამ ამოდ ჩაუარა და იმედი გაუცრუვდა. ცოლმაც გული მოუკლა მწარე სიტყვებით, რომ იგი ბესარიონთან დაჭერილის საქმიდან არას გამოელოდა. მაგრამ არც ისე წახდა ჯერ სოლომანის ამაგი. ბესარიონი ჩქარა დაედევნა უკან და სახლში ინახულა სოლომან, რომ ერთხელ

კიდევ შეხვეწნოდა და დაეკლებინებინა „სამადლოდ“ ათი თუმანი. ქაიხოსრო ქათამაძე, რომლის შვილიც უნდა გაურიგოს სოლომანმა, ეძებდა თავის ვაჟისთვის ლამაზს, მდიდარს და კარგის ოჯახის ქალს, რადგან ეპისკოპოზი დაპირებული იყო ახალგაზდა სემინარიელის მღვდლად კურთხევას. ამიტომაც სოლომანი გაზვიადებულად უქებს ქაიხოსროს ბესარიონის ქალს და მეტადრე მოქმედობს თვით სანეფოზე – ზდილობიანს ნიკოზე, – რომელიც ყველაფერს ტვირთულობს და თანახმაა. მოაწყო ეს საქმე სოლომანმა ისე, რომ ქაიხოსრო მოატყუა,

- 272 -

ათი თუმანი, რომელიც უნდა მიეცათ მისთვის ქორწილის დღეს, დააკლეს და ნიკოს სურვილისამებრ უსიამოვნება აიცილნეს. მაგრამ თვით სოლომანიც მოტყუვდა: პატიოსანი სიტყვა აზნაურისა, მიცემული ბესარიონის მიერ გაცრუვდა; მაშვალს არაფერი არ მისცა და ცარიელზედ დასვა. ეს სამწუხარო გარემოება, აწერილი ავტორისაგან იუმორით, მშვენივრად ახასიათებს იმერეთის დაწვრიმალეებულს აზნაურობას. არც არაფერი ქაიხოსრომ გაიღო სოლომანის გასამრჯელოდ და მიუთითა ბესარიონზე, რომელსაც ავალებდა მასზედ დარჩენილის მზითვის ფულიდან 70 მან. მაშვალისთვის გადაეცა. ეს მისვლა-მოსვლა ქალ-ვაჟის მამებთან იმით დაგვირგვინდა, რომ ბესარიონის ბძანებით სოლომანს მიეცა ხარის ტყავზედ მარილწაყრილი ბეჭი და გულკეთილის ნეფისაგან მიიღო ჯიბეში ჩარჩენილი ექვსი მანეთი და ორი აბაზი. ეს „გამოვიდა ორი თვის მის წანწალიდან“, ასე მოტყუვდა სოლომანი და ხვალ კარზედ მიადგება მისგან ამგვარივე მოტყუებული.

ეს მოთხრობა სავსეა საინტერესო წვრიმალეებით ჩვენის ხალხის დასასურათებლად. აქ გამოყვანილი ტიპები ისეთის ძლიერის ნიჭით არიან ხორცშესხმულნი, რომ თითქოს მათ თვალთ ხედავ და მოწამე ხარ ურთიერთის დამოკიდებულებისა და კამათისა. საუცხოვოა სცენა, როცა მოსული ნეფე მაყრებით უკან აპირებს დაბრუნებას, რადგან სასიამაორო ათს თუმანს აკლებს და შუაკაცების ჩარევის წყალობით გაწბილება ასცდება ბესარიონის ოჯახს, მაგრამ იმ პირობით კი, რომ იგი მაინც საქორწინო ხარჯისთვის სამს თუმანს კიდევ გამოაჩენს და ამით მოუღობოს გულს მოუხეშავს ქათამაძეს. თანამედროვე ეკონომიურმა პირობებმა შექქმნეს გაჭირებული ცხოვრება და წარმოშობეს ისეთი პირები, როგორც მაშვალი სოლომანი და გამდიდრებული ქაიხოსრო თავისებურის შეხედულებით პატიოსნებაზე და მიცემულის სიტყვის აღსრულების მოვალეობაზე.

მესამე მოთხრობა დ. კლდიაშვილისა „სამანიშვილის დე-

დინაცვალი“ (1897 წ.) გვიხატავს აგრეთვე ტრაგიკომიკურს მდგომარეობას უმთავრესის გმირისას. შინაარსი აღებულია იმავე დაწვრიმალეზულის იმერელის აზნაურის ცხოვრებიდან. ქვრივმა ბეკინა სამანიშვილმა, ღარიბმა სოფლის აზნაურმა, განიზრახა მეორე ცოლის შერთვა. იმის ვაჟკაცს შვილს პლატონს ამის გაგონებაზედ გული გადაუბრუნდება: მოხუცს მამას შეიძლება ეყოლოს შვილი და მას უნდა გაუყოს თავის ისედაც მცირე მამული. რაკი ბეკინა თავისას არ იშლის, მისი შვილი პლატონი თვით იტვირთებს ისეთის დედინაცვლის მოძებნას, რომელიც უნაყოფო გამოდგება. მართლაც მონახა ნაქვრივალი ხანში შესული დედაკაცი, რომელსაც ორი ქმარი დაუსაფლავებია და არც ერთთან შვილი არ ჰყოლია. მაგრამ უბედურს კაცს ქვა აღმართზედაც მოეწევა: არ გავიდა ერთი წელიწადი და სამანიშვილის ცოლს ორსულობა დაეტყო.

აი მოკლე შინაარსი ამ მალხაზის ენით დაწერილის მოთხრობისა, რომელიც უებრო სურათია აწინდელის ჩვენის ცხოვრებისა. გარდა პლატონისა და ბეკინასი მოთხრობაში ნამდვილის მხატვრულის კალმით დასურათებულია მოქეიფე და მასხარა აზნაური კირილე, რომელმაც არ იცის, სად დაუღამდება და სად გაუთენდება. იგიც ღვიძლი შვილია ჩვენის ეკონომიურად და გონებრივად დაცემულის მდგომარეობისა.

მოთხრობანი „მსხვერპლი“ და „წრფელი გული“ ცოტად ცრუ ყალიბში არიან ჩამოსხმულნი. მეტადრე უკანასკნელი მოთხრობა, სადაც ქალის სიყვარულის ანალიზია, მკრთალს და ნაძალადევს ნაწარმოებს წააგავს. „მსხვერპლშიც“ გამოსჭვივის ავტორის ტენდენცია დაგვიხატოს ქალი, მსხვერპლად შეწირული ავის დედინაცვლისაგან. ამ ტენდენციამ შებოჭა ძლიერი და მტკიცე მისი ნიჭი.

„ირინეს ბედნიერებაში“ (1897 წ.) იგი უბრუნდება თავის ჟანრს. „ირინეს ბედნიერება“ (სურათი სოფლის ცხოვრებიდან, ორს მოქმედებად) ავტორის ჩვეულებრივის ფსიხოლოგიურის დაკვირვებით გაგვითვალისწინებს სვეს მშვიდის და

წყნარის ქალისას, რომელიც თვითნება მამის წყალობით ჩაუვარდება ხელში მოქეიფე შემძლებელს აბესალო სალამთაძეს, მოკლებულს ყოველს ზნეობრივს პრინციპს და ჭკუის ვარჯიშობას. საწყალს ქალს სიტყვა აქვს მიცემოლი როდამაშვილისთვის, მაგრამ პატრიარქალურის შეხედულების მიხედვით და ღარიბის მამის წვრიმალის ანგარიშით იძულებულია მოძულე-

ბულს აბესალოს გაჰყვეს. როცა ირინეს (მეორე მოქმედებაში) მოელის დედად გახდომა, აბესალო ამოითვალწუნებს მას და მხეცურის გრძნობით დაკმაყოფილებული მიაგდებს ცოლს, როგორც ფას-დაკარგულს საქონელს. ამასთანავე ხმებმაც მიაღწიეს მის ყურამდის, რომ ირინე ჩუმად ინახულებს როდამაშვილს. მაშინ აბესალო ვერ დაიჭერს თავს და ხანჯლით სასიკვდილოდ დასჭრის დაჩაგრულს ქალს მამის და სატრფოს თვალწინ. ასე ტრაგიკულად თავდება ეს პატარა პიესა, რომელშიაც პატიოსანი და ტანჯული ირინე მეტად მკრთალად არის დახატული, თუმცა უკანასკნელს სცენაში მისი პროტესტი მტანჯველის ქმრის წინააღმდეგ სინამდვილით დაშემოქმედებითის ძალით სავსე არის.

სურათივე დაარქვა ავტორმა მოთხრობას „მრევლში“ (1898 წ.). მოქმედს პირად გამოყვანილი ჰყავს ახალგაზდა მღვდელი ზოსიმე, სემინარიაში კურს-დამთავრებული. გლეხები, რომელთაც ბევრი სიაკვაცე მოაგონდებოდათ იმის წინამოადგილისაგან, არ დახვდებიან მას კეთილგანწყობით მეტადრე იმიტომ, რომ დასჭირდათ ახალის მღვდლისთვის სახლის შეკეთება. მღვდელი გულწრფელად უხსნის სოფელს, რომ მისი შეწუხება არც მას ესიაშოვნება, მაგრამ მწყემსის მოვალეობა აიძულებს უფრო ახლო იცხოვროს მრევლთან მის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. გლეხებს შორის უთანხმოებაა: ერთნი წინააღმდეგნი არიან აუშენონ ახალი სახლი, რადგან თავიანთთვისაც ვერ აუშენებიათ, მეორენი ამტკიცებენ, რომ განათლებულს და სხვა კუთხიდან მოსულს მღვდელს ეკუთნის სახლი. მამა ზოსიმე ყურს უგდებს ამათ კამათს და გული ემღვრევა,

– 275 –

როცა მას სთვლიან ქვეყნის მეტს ბარგად და ხალხის შემაწუხებლად. ამ დროს მღვდელს მიუახლოვდება ბავშვი და იწვევს მომაკვდავის ძმის საზიარებლად. გზად ზოსიმე კიდევ მოიგონებს მრევლის ნალაპარაკებს და იწვის ტანჯვისაგან, რომ ტვირთად არის იგი მიჩნეული და იმედი უცრუვდება. განზრახვა ჰქონდა მას პატივისცემა მოეპოვებინა, შეეტანა სიყვარული სამწყსოში და განედევნა ბოროტება. ახლა კი აღმოჩნდა, რომ გამოსაკვებად დააწვა კისერზედ გალატაკებულს ხალხს. ახალგაზდა მღვდლის უფრო მკაფიოდ დასახასიათებლად ავტორმა გვერდში ამოუყენა მოხუცი მღვდელი მიხეილი, გაუნათლებელი, მხიარული, ჭამა-სმაზედ გახელებული. მწუხარებით წარმოიდგინა ზოსიმემ მ. მიხეილის საქციელი და შენატრა უფალს, რომ ააცდინოს მსგავსს გზაზედ გადახრა. მისი გული მოწყალებით, შებრალებით და თანაგრძნობითაა სავსე. როცა ხედავს ღარიბულს არე-მარეში ავადმყოფს ალექსის,

ცრემლი მოსდის, და ხელი, მისი თრთის, რაკი ნუგემის და დარიგების გარეშე ვერაფრით ახერხებს საწყალთა დახმარებას. როცა ამ მოკრძალებით აღსავსე მღვდელს ადარებს ავტორი მისავე მედავითნეს პეტრეს, ხარბს და გაუმადლარს, დაბეჩავებულს ოჯახშიაც, მაშინ ცოცხლად იხატება ახალგაზდა მოძღვრის სურათი. მ. ზოსიმეს ვერ შეუთვისებია პეტრეს ჩვეულება – არ იკმაროს მრევლთან დანაყრება და სახლშიც წამოიღოს ხურჯინით სანოვავე, რომელიც გლეხისთვის შეადგენს უკანასკნელს ლუკმას. სიღარიბეს და შიმშილს იტანს იმისი ცოლშვილი, ტიტველა დაუდიან ბავშვები, პურიც კი ენატრებათ, მაგრამ მ. ზოსიმე მაინც ცდილობს განდევნოს ფიქრიდან სურვილი სხვის უბედურებით ისარგებლოს ოჯახის გასაუმჯობესებლად. ცრემლი დააფრქვია უდროოდ გადაცვლილთ ალექსის და მის დას ელიოზიას, განიზიარა მწუხარება ბედისაგან დაჩაგრულის მათ მოხუცის დედისა და შეარიგა იგი თავის მწარე ხვედრთან. ამ დღეს მრევლმა შეიგნო სპეტაკი სული თავის მწყემსისა, იცნო იგი თავის მამად და ჭირში მოზიარეთ. იდეა-

– 276 –

ლური შუქი, ზოსიმეზე მიყენებული, საუცხოვოდ ეთანხმება კეთილშობილს ავტორის აზრს.

უკანასკნელის დროის მოთხრობათა რიცხვს ეკუთნის „ქამუშადის გაჭირვება“ (1900 წ.). თემა ამ მოთხრობისა შეეხება ქალაქის ცხოვრების და პატრიარქალურის წეს-წყობილების დაპირდაპირებას და შეხლას. ოტია ქამუშადე, გაღარიბებული აზნაურშვილი, შეიქმნა მიწის მუშად და იმდენად მცირედი მოსავალი აქვს, რომ სახელმწიფო ხარჯს ვერ ასდის. სესხულობს ერთ-ორს ბათმანს სიმინდს მეზობლებისგან და ასე ნახევარ-მშიერი მიაჩანჩალებს წუთის სოფელს. ამ ქონების კაცმა, დედის ჩაგონებით, შეირთო ქალაქელი ქალი სონია, რომელსაც ქორწინების პირველის დღიდანვე ღარიბმა ოჯახმა სული შეუხუთა. ცოლის სურვილით ოტია თავს ანებებს სოფელს და მიდის ქალაქად სამუშაოდ, შრომის შესაფერის ჯილდოს მისაღებად. გაუნათლებელს ოტიას თავდაპირველად უძნელდება ქალაქში გადასახლება და ერთი წარმოდგენაც, რომ სოფლის ტყე-მინდორს უნდა მოშორდეს ჰბადავს მის არსებაში შეუთანხმებელს ბრძოლას მტკიცე კონსერვატულის შეხედულების და ახალის საქმის ძიების შორის. ეს სულიერი ბრძოლა თავდება კონსერვატულის მსოფლიო შეხედულების დამარცხებით: უნდა წავიდეს ქალაქში, რადგან სოფელში ტანჯვამ სასოება მოუკლა, დილიდან საღამომდის მუშაობა საკმარისს ლუკმა პურსაც არ ამღვეს მის ოჯახს, გული სწყდება მამა-პაპათა საფლავის მოშორებით, მაგრამ უნდა ეძიოს ხსნა იქ, სადაც სხვები პოუ-

ლობენ, – ქალაქში გადასახლება აუცილებელია.

ეკონომიური პირობები სცვლიან კაცის შეხედულებასაც; იგი უფრო ძლიერი ფაქტორია ვიდრე პატრიარქალური ზნე-ჩვეულება და შეთვისებული შეხედულება. ლუკმა პურის ძებნა არღვევს ძველს საფუძველს და აშენებს ახალს კედლებს. აი დედა-აზრი დ. კლდიაშვილის მოთხოვნებისა: „ქამუშაძის გაჭირვება“; „სოლომან მორბელაძე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“. ახალმა მოთხოვნილებამ წამოაყენა ახალი საშუალე-

- 277 -

ბაც მის დასაკმაყოფილებლად. საჭირო შეიქნა ცოდნით შეიარაღება, რადგან მამა-პაპეული გზა ვეღარ ჰკვებავს მოღალულის და დაქუცმაცებულის მიწის ნაყოფით. ასე დაწნული ეკონომიურის გარემოებით შექმნილმა ცხოვრებამ შეჰქმნა ე. ინგოროყვას ტარიელ მკლავაძე, ა. მამულაიშვილის დავლაძე და კლდიაშვილის ქამუშაძე. პირველი ძველის მეომარის ქართველის ჩამომავალია, – იგი თავის ძალღონეს ღვინოს და ჩხუბს სწირავს, ბრძოლისთვის მას ხანჯალი და ძლიერი მუშტი აქვს; იგი სჩაგრავს სუყველას თავის სასიამოვნოდ და ამ სიამოვნების მსხვერპლად გახდება თითონ, როცა ჯანით სუსტი მასწავლებელი სპირიდონ რეგოლვერით სულს გააყრევინებს. მეორე – დავლაძე – მისი მსგავსია იმ განსხვავებით, რომ ბრძოლისთვის ხმარობს ფულს, რომელსაც იძენს ჯაფით კი არა, – ეს მას არ მეჭვერის, – იგი ფირალად გავარდება და ცარცვა-გლეჯას შესწირავს თავს. ციმბირი არ ასცდება მას. მესამემ – ოტია ქამუშაძემ – უარჰყო თავის ჩამომავლობითი პრივილეგია, აზნაურშვილობას არ უყურებს, მუშაობს, რომ ბუნებას საზრდო წაგლიჯოს, მაგრამ ნახევარ-შიმშილობა სდევნის მას ქალაქშიც და აქ იფურჩქნება ახალი ტიპი, რომელიც იპყრობს გამომკვლეველის ყორადღებას.

დ. კლდიაშვილის პიესა „დარისპანის გასაჭირი“ წააგავს ფარსს. დარისპანს გასათხოვარი ქალი ჰყავს. ლხინის დროს, როცა ქალები მუზიკას უკრავენ და საცოლეებს ეშინჯებიან, აღმოჩნდება, რომ ვისზედაც თვალი ეჭირათ, ის ყმაწვილი ცოლიანი ყოფილა. მოთხოვა „მიქელა“ აშენებულია ცრუმორწმუნეობაზე, რომლის ძალით სახლი, სადაც გადამდების სენით იყო ავადმყოფი, უნდა დაირღვეს და თვითეული ფიცარი გაიწმინდოს და მერე ისევ თავის ადგილას დაიდგას. ამ გადაკეთების დროს ავადმყოფს დროებით ბინას გაუჩენენ. ამგვარს დაწნულს ქოხში იღუპება 20 წლის სპირიდონი, მიქელა გიორგაძის შვილისშვილი დიდის ნიაღვარის მივარდნაზე. სიუჟეტმა ვერ გააშლევინა ავტორს ჩვეულებრივ ფრთები და დრამატიული ინ-

ტრიგა ვერ გამოანასკვინა მკაფიოდ და ცოცხლად. დ. კლდი-
აშვილი ძლიერია წვრილის მემამულეების ცხოვრების დასურა-
თებაში და თვით პროცესი, როგორ ირღვევა პატრიარქალუ-
რი და ფეოდალური წესწყობილება ხდება ავტორისთვის წყა-
როდ მხატვრულის მოთხრობების "შესაქმნელად".

შოი დედაბრიშვილი

(არაგვისპირელი)

შოი დედაბრიშვილი, მწერლობაში ცნობილი არაგვისპი-
რელის ფსევდონიმით, დაიბადა 4 დეკემბერს 1867 წ. ს. კა-
რის-ხევში (დუშეთის მაზრაში) ანანურის ახლოს. ექვსის თუ
შვიდის წლისა იყო, როდესაც ქართული წერა-კითხვა ასწავლა
დის გერმა იაკობ კაიშაურმა. 1877 წ. მოუკვდა მამა და ამა-
ვე წელს ტფილისის სასულიერო სასწავლებელში მიიღეს, მე-
ორე მოსამზადებელს განყოფილებაში. ითვლებოდა საუკეთე-
სო მოწაფედ. დაამთავრა ჯერ ეს სასწავლებელი და შე-
მდეგ სასულიერო სემინარია (1889 წელს). 1890 წ. ვარშა-
ვის საბეითალო ინსტიტუტში შევიდა და 1895 წ. გაათავა
კურსი. პირველი მისი ნაწარმოები დაიბეჭდა ჟურნალს „ჯე-
ჯილში“ (1890 წ.), ხოლო სემინარიაში დაწერილი სოფ-
ლის ცხოვრებიდან „ახალ-წლის ღამეს“ გამოქვეყნდა „ივე-
რიაში“ 1891 წ.

პირველი მისი ესკიზები: „ესაა ჩვენი ცხოვრება“, „ახალ-
წლის ღამეს“, „მოგონება“ (ყმაწვილის (ცხოვრებიდან – სამწყე-
რაოდ წასვლა), „ჩემო შვინდავ“ ცოცხლად და მხატვრულის
წამლებით აგვიწერს ხალხის ზნე-ჩვეულებას, მის ჭირს და ლხე-
ნას ისეთის მონაწილეობით და თანაგრძნობით, რომ მკითხვე-
ლის გულს ავსებს წრფელის სიყვარულით და აღტაცებით.

მკითხველის თანაგრძნობის გასაღვიძებლად იგი ხმარობდა ცო-
ტა გადაჭარბებულს ეფექტებს. ეტიუდში „ახალ-წლის ღამეს“
გლეხი გიგოლა სულს განუტყვევებს სწორედ ამ სასიხარულო
ღამეს გაჭვარტლულს ქოხში პატარა შაქროს გვერდით, რო-
მელიც ელოდა გოზინაყს და შაქრის პურებს. გიგოლას აწუ-
ხებს ჯავრი, რომ ახალგაზდა მისი ცოლი, მაგდანა, სხვაზე
გასცვლის და სურს ჩამოართვას საუკუნო ერთგულობის სი-

ტყვა, ქალი კი ამ დროს ცრემლიანი თვალით იხატავს თავის გასაჭირს მდგომარეობას ობლად დარჩენილის ვაჟით. როცა გიგოლამ ცოლს შესძახა; „მშვიდობით, ჩემო მაგდან!“ „ამ სიტყვებმა მაგდანას თავზარი დასცა და შმაგივით დაეცა გიგოლას გულზედ. გიგოლამ მოხვია ორივე ხელი; რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიიკრა გულზე და მაგდანას ტუჩებს ჩაეკონა. მაგდანამ იგრძნო ქმრის ალერსი, მოვიდა გონს, იმანაც მოჰხვია ხელები... დიდხანს იყვნენ ესე. ამათი სურვილი ის-და იყო, რომ საუკუნოდ ესე ყოფილიყვნენ. მაგრამ გიგოლას ბედმა უმტყუნა... ავთმყოფის მიმქრალმა სხეულმა ვერ აიტანა ასეთი ძლიერი მღელვარება სულისა... გრძნობა დაჰკარგა და, პირველად რომ მამალმა შეჰყვილა, სული განუტევა“.

საუცხოვო სურათი ჩვენის სოფლისა დახატულია ეტიუდში „ჩემო შვინდავ!“; სადაც ნამდვილის პოეტურის აღმაფრენით ჩაწულია პატარა სოსოს სიყვარული შვინდა-ხარისადმი. ახალ-წლის ჩვეულების აღწერა, მეკვლის შესვლა, მილოცვა და „დაკვებება“ უფრო დაწვრილებით მოთხრობილი აქვს ეს-კიზში „სოფლად“, რომელიც აგრეთვე თავდება შაქრიკას მამის გიგოლას სიკვდილით. ავტორი სუყველგან ხედავს დისონანსს, ბრძოლას სიხარულის და მწუხარებისას, სიცოცხლის და სიკვდილისას, ბუნების სიდიადის და კაცის არარაობისას.

პირველს პერიოდს შ. დედაბრიშვილის მოღვაწეობისას აქა-იქა ეტყობა ზედგავლენა ა. ყაზბეგისა და ლ. რაზიკაშვილისა, მეტადრე იმ ნაწილში, სადაც მთის ბუნების აღწერა და ფრინველ-პირუტყვთა შესახებ თანაგრძნობის გამოსახვაა (მაგ.,

– 280 –

„ყველაი დაკვარგე“ -ში). ვრცელის ფსიხოლოგიურის ეტიუდით „და-მმა“ (1894 წ.) თავდება ეს პირველი ხანა მის მწერლობისა. იგი ჯერ ორს სკოლას შუა დგას – რომანტიკოსებისა და რეალისტებისა. რომანტიკოსის ელფერი აძევს „აბრაშუმის ცხვირსახოცს“ და ფსიხოლოგიურს ეტიუდს „მომილოცნია ახალი წელი!“ პირველს ეტიუდში ზნეობით დაცემული ქალი თამრო, რომელიც ვისღაც ნაბუშარი იყო და „ტარტაროზმა“ დედაკაცმა აღზარდა იმ მიზნით, რომ 16 წლის მისი უმანკოება თუმნიანებზედ გაეყიდა, თავს იწამლავს, როცა გაენდობა თედოს, ბავშვობისას გაცნობილს და სატრფოდ დასახულს მეგობარს. თითქმის იმავე წრიდან არის აღებული სიუჟეტი ეტიუდის „მომილოცნია ახალი წელი“, რომლის გმირი, ჩამომხმარი და ორად მოხრილი დედაბერი, სარდაფში მიგდებული, ცეცხლს წაუკიდებს თავის სადგურის ზემო სართულს, საიდანაც მოისმის მხიარულის მუსიკის ხმა, და ამით სამაგიეროს უხდის იმათ, ვინც ჰყიდულობდნენ მის ხორცს. აქ ავტორი ანალიზის ნესტარს გაუტარებს იმ ბრძოლას, რომელიც

სწარმოებს პიროვნების და საზოგადოების შორის. ბედნიერება და უბედურება იწვნება სრულიად უმნიშვნელო შემთხვევათაგან, ხოლო ბუნება გულცივი მაცურებელია კაცის ჭირისა და ლხინისა.

„ჰარამხანის სურათში“ მ. დედაბრიშვილი უბრუნდება კაცის არსების განმარტებას და გაკიცხვის კილოთი გვიხატავს სოლომონ ბერიკაშვილის სახით იმ ადამიანს, რომელიც ახალგაზდობაში ფიქრობს საქვეყნო საქმეების გაძლოლას, „უსამართლობის“ დათრგუნვას და ათავებენ იმით, რომ ელანდებათ სიზმრივ და ცხადად ლამაზი ქალები და ნატრობენ კერძო სიტკბოებას. ახალგაზდობის იდეალები რჩებიან განუხორციელებელი ხშირად იმიტომ, რომ სიცოცხლე ესპობა „ადამიანს“ უდროოდ. ეტიუდი „ადამიანი“ სწორედ ამ თემას დასტრიალებს და სასოწარკვეთილებით თვალწინ გადგვიშლის პატიოსნებით და ზემთაგონებით აღსავსე სტუდენტს თედოს, რო-

- 281 -

მელსაც უღმობელი ჭლექი იმსხვერპლებს სამშობლოს გარეშე. საშინელი საკითხი ებადება მომაკვდავს თედოს: „თუ კი მაგრე უმნიშვნელოდ გავივლიდი ცხოვრების გზას, რისთვისღა გავჩნდი, რა ჰქონდა აზრად ჩემს გაჩენაში ბუნებას?.. ადამიანი რისთვის უნდა ვიყო. ადამიანი, როდესაც მე ჯერ არა გამიკეთებია რა. რა გავაკეთე? არაფერი! და მაინც ადამიანი ვარ?!.“ |

შ. დედაბრიშვილის მოღვაწეობა მაშინვე იქმნა დაფასებული ქართულს მწერლობაში. აკაკი წერეთელმა იგი აღიარა ლიტერატურის ახალის ხანის წინამძღვრად. მართლაც, სხვა მიდრეკილება დაეტყო მის ნაწერებს, როცა გამოქვეყნდა მისი პატარ-პატარა ეტიუდები: „ქარი კი ამ დროს ზუოდა, კვნესოდა და გმინავდა“, „ღმერთო რა დაგიშავე“?! და „ეჰ, ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი!..“ ამავე მხატვრულის მანერის ქმნილებანი არიან: „ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი!“ „მელოს დღიურიდან“, რომელთაც ახალი ლარი გააბეს მის ნაწერებში.

„ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი“ ჯერ კიდევ წააგავს პირველის პერიოდის ეტიუდებს. აქ გლეხი მალხაზა უდარაჯებს თავის ვენახს და ოცნებობს რთველზე. მაგრამ ბაღო, რომლის ვალი კისერზე აძევს მალხაზას, ვენახიდან გამოაგდებს მას ცოლ-შვილით და საბრალო კაცს მხოლოდ რჩება ზეცას მიაქციოს თვალეხი და გულდაწყვეტილმა წარმოსთქვას: „ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი!“ ავტორი იწვევს ჩვენს თანაგრძნობას მალხაზისადმი და ბრახსა ჰგვრის უსამართლობის წინააღმდეგ. ეტიუდი „მელოს დღიურიდან“

გამოყვანილია 23 წლის ქალი მელო, რომელიც ვერ გათხოვილა და იტანჯება იმიტომ, რომ სახე უჭკნება და ყურადღებას ვეღარ იპყრობს.

ეტიუდი „ქარი კი ამ დროს ზუოდა, კვნესოდა და გმინავდა“, თუმცა არ არის პირდაპირ აღებული მოპასანის ნაწერებიდან, მაინც ცოტა შეუფერებელია ჩვენის ცხოვრების

– 282 –

მდგომარეობისთვის. კანცელარიის მოსამსახურემ ტიტულომ დაჰკარგა ცოლი ბატო, რომელსაც მწარედ დასტირის და იგონებს, როგორ გადაარჩინა მან თავის მოკვლას. ამ დროს, როცა „ქარი ზუოდა, კვნესოდა და გმინავდა“ მოაწოდებენ წერილს ვახტანგის გამოტანებულს, რომლის სტუმარი ყოფილა ბატო კვირაში ორჯელ. თემა ეხება ცოლის დაღატს და ქმრის თვალების ახვევას, – თემას, რომელიც გარკვეული აქვს საფრანგეთის მწერალს მოპასანსაც. ხოლო ეტიუდში: „ღმერთო, რა დაგიშავე!“ სიუჟეტი წააგავს ლერმონტოვის „მწირს“. შვიდის წლის ყმაწვილი სერაპიონი დედ-მამამ მიიყვანა შიომღვიმელის მონასტერში და აქ სერაპიონი 11 წლის განმავლობაში განდეგილივით იზრდება. მეოცე წელში რომ გადადგა, გაიღვიძა მის გულში ბავშვობის მოგონებამ და დედ-მამის შეხვედრის სურათმა. აღშფოთებულის სულით მიჰმართავს უფალს და განუწყვეტლივ განიმეორებს: „ღმერთო, რა დაგიშავე!“ სვინიდისის ქენჯნა დაუდო სარჩულად ესკიზს: „ეჰ, ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი!“ ყასაბი ნანობს, რომ დახოცა აუარებელი პირუტყვი და, ლოცვა რაკი არ ამშვიდებს მის შეწუხებულს სულს, სმით აყურებს ტანჯვის გრძნობას. სინანული იპყრობს შ. დედაბრიშვილის ყურადღებას კიდევ ორს ეტიუდში, რომელნიც სამღვთო წერილზედ არიან დამყარებულნი. პირველს ეწოდება „ჭემმარიტად...“ (სააღდგომო ეტიუდი), სადაც იწვის ქრისტეს მოწაფე პეტრე, რომ მან სამჯერ უარჰყო თავისი მოძღვარი. მეორეში უფრო მწარე სულის ვითარებაა განხილული, რომელსაც განიცდის იუდა (სააღდგომო ეტიუდში „იუდა“), გამცემი და მოღალატე თავის მასწავლებლისა. მოსვენებას ვერ პოულობს ოცდაათს ვერცხლად ქრისტეს გამყიდავი, დაძრწის უგზო-უკვლოდ და ბოლოს: „სისწრაფით მოიხსნა სარტყელი, ხის ტოტს მოაბა, გამოამარყუშა და...“ სახარებაზეა თითქმის მთელი ეტიუდი დამყარებული მხოლოდ იმ გაჩსხვავებით, რომ ქრისტესადმი მძულვარება იუდას გაეღვიძა მარიამისადმი სიყვარულის გამო. რუსის მწერალი

– 283 –

ანდრეევი ამავე სიუჟეტს ეხება და იუდას გამცემლობას აგვიხსნის მის ქრისტესადმი სიყვარულის შურით.

შ. დედაბრიშვილი ხელოვნურად სარგებლობს სამღვთო წერილის თემებით ეტიუდებში „მესია“, „შემმუსვრელი სამი მცნება“ და „ლეგენდა“. პირველის შინაარსი აგებულია ეგრედ წოდებულს მოსიარულე სიუჟეტზედ, იაფეტი, აღდგომილი მკვდრეთით იმ წამს, როცა მაცხოვარი ჯვარს აცვეს, ეძიებს მესიას, რათა თაყვანისცეს მას. რო გაიგებს მისგან მომავალში იერუსალიმის დარღვევის ამბავს და ებრაელთა გაფანტვას, არ იჯერებს ამ წინასწარმეტყველებას და ამიტომაც ღვთის სიტყვისაებრ დარჩება იმ დრომდე ცოცხლად, რომ თვალთ ნახა იერუსალიმის დარღვევა და ებრაელთა გაფანტვა, ხოლო თვით კიდევ ელის კაცთა შორის მშვიდობას და სათნოებას. „ლეგენდაში“ მოქმედებს ლევიტელთა ჩამომავალი თამარ, რომელიც დასტოვებს მამის სახლს და უდაბნო გზით მიდის ბეთლემს უცხო ყრმის ხელმძღვანელობით და იქ თაყვანს სცემს ამ ყრმას ბაგაში.

შ. დედაბრიშვილის ღირსებას ის შეადგენს, რომ იგი სარგებლობს რა სამღვთო წერილით, ხალხის გადმონაცემით, მოსიარულე სიუჟეტით, ყოველგან შეაქვს თავისი ფსიხოლოგიური აპარატი და უკვირდება კაცის სულის ეითარებას, რომლის მოძრაობის განმარტება აინტერესებს მის შემოქმედებითს ფანტაზიას. საისტორიო და ლეგენდარული სიუჟეტი გაატარა თავის დრამაში „შიო თავადი“, რომლის დედა აზრი აღებულია ცნობილის წყაროებიდან და სხვათა შორის, პოტტოს წიგნიდან. ხალხურის გადმოცემით ისარგებლა აგრეთვე გაგონილს ამბავში „კურცხალია და ხატი“, „ღვინის ქურდი“ და სხვა. მისი ფსიხოლოგიურის ანალიზის ნიჭი უფრო ცოცხლად მოსჩანს და მკითხველს ხიბლავს იმ ეტიუდებში, რომელნიც შეეხებიან საყოველღეო მოვლენას, სადაც გაზომილი და აწონილი აქვს ის ზნეობითი პრინციპები, რომელნიც გადიქცნენ ადამიანისთვის უმნიშვნელო კერპებად.

- 284 -

ნოველა: „ბეჩა, რადა მკლავ?!“ შეიცავს ეპიზოდს რომანიულის დამოკიდებულებისას ახალგაზდა ლეოსა და თინას შორის, რომელნიც მხურვალე სიყვარულის შემდეგ ერთმანერთს დაშორდნენ. ლეომ თინა დასტოვა, როცა იგი შეიქმნა დედად და წერილით სთხოვს მის დავიწყებას. თვით აღზუნებულმა თინამ გააბედვინა ლეოს იმ ნაბიჯის გადადგმა, რომელსაც მოჰყვა ქალის მსხვერპლად შეწირვა. სიმარტივე და სიმკვირცხლე, რომელსაც ავტორი ხმარობს ამ თემის სამხატვროდ, მშვენივრად ეთანხმება პირველის სიყვარულის ჩასახვას ბუნე-

ბის მოთხოვნების თანახმად. ფსიხოლოგიური ჩაღრმავება ეტყობა ამ ნოველას და აკლია ეს თვისება ამგვარსავე სიუჟეტს: „ხითხითებს და ხითხითებს“, აგრეთვე ხელოვნურად შექმნილს მოქმედებას ეტიუდი „მხრები-ღა ავიჩეჩე“, სადაც გაცრუებულია ქართლელი გაიოზ მოხერხებულის იმერლის ქალის ფლიდობით ქუთაისში ყოფნის დროს. გულჩინას სხვა უყვარს და გაიოზზედ გათხოვება იმიტომ განიზრახა, რომ მისი სატრფო ქორწინების წინააღმდეგია და ამიტომ ქმარი სურს მოვალეობის ღალატის ფარად გაიხადოს.

ცოლ-ქმრობის სიწმინდით დაცვას შ. დედაბრიშვილმა ჩრდილი მიაყენა. აგრეთვე ეჭვი შეაქვს სიყვარულის სიმტკიცეზედ და მის სამარადისო ძალაზედ. ეს აზრი გაატარა „წერილის ნაგლეჯში“. ავტორი იწყებს წერილს იმ ადგილიდან, რომელიც შერჩენია ნაგლეჯს:

... ვუკვირდები, ჩემო კარგო, ჩემ გრძნობას და თმა ყალყზე მიდგება. ნუ თუ ყოველივე, რაც გითხარი ჩემ გრძნობაზე, ტყუილი უნდა გამოდგეს?! რა მემართება? არ ვიცი... აგერ ერთი წელიწადია, რაც სიყვარული გამოგიცხადე და ქმრობის პირობა მოგეცი... რასაც იმ წამს ვგრძნობდი, როდესაც პირველად გითხარი: „მიყვარხარ“ ახლაც იმასვე ვგრძნობ... მინდა ახლა გულში ჩავიკრა, სულში ჩავგიძვინო, რომ განუშორებულნი ვიყვნეთ და საფლავშიაც ასე, ერთ არსებად გარდაქმნილნი, ჩავიდეთ... ხომ შორსა ხარ, ხომ მართო წერილით გესაუბრები ამ წამს, მაგრამ შენ ცხადლივ თვალიწინ მიდგებარ და

- 285 -

გეამბორები, გეხვევი და უკიდურეს ნეტარებას ვგრძნობ იმაზე მეტს, როგორსაც, ხომ გახსოვს, შენი მშობლები რომ დასაძინებლად წავიდოდნენ და ჩვენ მართოებს ოთახში დაგვტოვებდნენ... შენს მეტი ამ ქვეყნად არავინ არის ჩემთვის, შენა ხარ ჩემი ყველაი; მაგრამ... წეუღლიმც იყოს ეს „მაგრამ“, რომ დაუპატიჟებელი სტუმარია!... მაგრამ მხოლოდ მაშინ ხარ ჩემი ყველაი, როდესაც გხედავ, ან მაგონდები. როდესაც კი შენს მაგივრად სხვასა ვხედავ ან მაგონდება სხვა ქალი, რომლის წინააღმდეგ არა მაქვს რა, მაშინ... მაპატივე, ჩემო კარგო, შენდამი სიყვარული აღარ არსებობს, შენ აღარ ხარ ჩემი ყველაი. ჩემს ყველაი ის... ის არის, რომელ მშვენიერსაც ვხედავ და რომელი მშვენიერიც ჩემ წინ დგას იმ ჟამად.

ავტორი ხალხურს ანდაზას, „როგორც თვალი შორსაო, ისეც გული შორსაო“ ამტკიცებს და განმარტავს მოტივებით. „ის მიყვარს იმ ჟამად, გაგიყვებით მიყვარს, და ეს გრძნობა ისეთივე გულწრფელია, როგორ შენდამი. იმაზედაც ისევ იმას ვფიქრობ იმ ჟამად, იმასვე ვნატობ და გავიძახი: „ახ ნეტარება იქნება, რომ ერთად ვიყვნეთ დღე-მუდამ, ერთ არსებად გარდავიქმნეთ, რომ სიკვდილსაც ვერ შეეძლოს ჩვენი განშორება, რომ საფლავშიაც ასე, ერთ არსებად გარდაქმნილი, ჩავესვენოთ“. იმ ჟამად „ის“ „შენ“ არის და ახლა კი, როდესაც შენ გესაუბრები, „შენ“ „ის“ ხარ... შენ იმასთან არ მახსოვხარ და მივიწყებული მყევხარ, როგორც შარ—

შანდელი თოვლი და შენთან კიდევ „ის“...

„მოგშორდებოდი თუ არა და ახლა სხვა მშვენიერს შევხვდებოდი, მაშინ ისევ იმ გულწრფელ, წმინდა გრძნობას გამოიწვევდა და გამოიწვევს ის ჩემში, რომელსაც ვერც საალერსო სიტყვა და ვერც რომელიმე მოქმედება ვერ დაახასიათებს. რად მემართება ეს?!, არ ვიცი. პირველში ვფიქრობდი, ვითომ ჯერ გამოურკვეველია ჩემი გრძნობა და ამისთვის მემართება ეს. იმის გამო გაგშორდი, რომ გამომერკვია და ჩაკვირვებოდი, მაგრამ, რაც ბევრს ვცდილობ გამორკვევას, უფრო გამოურკვეველად მრჩება და ჩემთვის გაუგებრად რჩება ის იდეალური სიყვარული, რომელსაც პოეტები გვიხატავენ. მე მგონია, იმათი ოცნების ნაყოფია ის სიყვარული და ცხოვრებას-

- 286 -

თან არავითარი კავშირი არა აქვს. ან იქნება მე ვარ ამგვარი ბუნებისა და სხვები კი არა. ნეტავ მაგრე იყვეს, მაგრამ... ყველამ რომ ასე გულწრფელად ილაპარაკოს, როგორც მე შენ გელაპარაკები, მაშინ, მგონია, ყველა ამას იტყოდა.... ახ, ნეტავი ვცდებოდე!“ ეს ნატვრა ამაოა, რადგან ავტორს არ სწამს მუდმივი და მტკიცე სიყვარული.

ეტიუდში „ღირსი ვარ ამისი, ღირსი!“ ანალიზის ნესტარი გაუტარა გმირის ცნობიერებას, რომელსაც განუზრახავს თავის მოკვლა, რაკი იგრძნო თავის უზნეო საქციელი, ამაღელვებელი მთელის საზოგადოებისა. მაგრამ თავის განზრახვას არ მოიყვანს სისრულეში, რადგან საშუალება მოესპობა თავი გაიმართლოს საზოგადოების წინაშე და დაამტკიცებს თავის სიმბდალესაც. ასე გადაწყვეტს გემზედ მშვენიერს დილას ავტორისთვის უცნობი პირი, რომელსაც შემთხვევით თავს წაადგება. დასასრული ამ ეტიუდისა აშუქებს დედა-აზრს: „მე საზოგადოებაში ვცხოვრობდი, – ამბობს თავზე ხელაღებული, – იმის აზრს ვაფასებდი, მინდოდა იმ საზოგადოებაში პატიოსანის კაცის სახელი მეტარებინა და ამავე დროს კი, გეყურებათ, უპატიოსნოდ ვმოქმედობდი. სიკეთეს სათვალსაჩინოდ ვაკეთებდი და იმას, რაც პატიოსანის კაცის სახელს შეჰბღალავს, ვმაღავდი. ეს ხომ უპატიოსნობაა, არა? | სულითა და გულით უნდა პატიოსანი ვყოფილიყავი, დაფარული არა უნდა მქონოდა რა, ჩემი ყოველივე უნდა ცხადი ყოფილიყო ყველასთვის და მაშინ ეს აღარ დამემართებოდა. ამისთვის, ღირსი ვარ სასჯელისა. დეე, მაფურთხოს საზოგადოებამ, მიყიჟინოს საზოგადოებამ!.. ღირსი ვარ!.. მე უკანვე დაგბრუნდები იმავე საზოგადოებაში, აი ნავთ-სადგურში მოვუცდი მეორე გემს და უკანვე დაგბრუნდები, რომ ყოველს ნაბიჯზედ მაფურთხოს ამ საზოგადოებამ. ღირსი ვარ ამისა, ღირსი!“

ეტიუდები: „მძულხართ“ და „სულ ერთია!“ იგივე სიუჟეტია განმარტებული. პირველში იტანჯება მამაკაცი, ქალის თანაგრძნობას მოკლებული, მეორეში იწვის დედაკაცი, რომელსაც კაცი სიყვარულს არ უზიარებს. ავტორისაგან შეთვი-

სებული იდეა, რომ სრული და გულწრფელი არ არსებობს უფრო ცხადად გატარებულია ეტიუდში: „გმადლობ, უფალო, გმადლობ!“ ბედნიერს დღეს ხალხი მიეშურება ეკლესიისკენ, მაგრამ არავინ არს ღირსი შევიდეს ტაძარში, რადგან უფლის წინაშე ყველა ცრუობს, თვალთმაქცობენ მეგობრები, ხალხის წრფელი გულშემატკივარი არა სჩანს, ორგულობა და კილვაა გამეფებული სუყველგან. ამიტომ ავტორი მწარედ იმახის: „ღმერთო, შეარყიე ტაძარი, შემუსრე მისი მკვიდრი კედლები, როგორც შიგ მყოფთ შემუსრეს ყოველი ადამიანური გრძნობა და...“ ამ პესიმისტურს ავტორის შეხედულებას ზნეობითს, ღირებულებაზედ ცოტათი ანელებს ეტიუდი „ის?!“, სადაც დახასიათებულია მტკიცე სიყვარული დაბალს წოდებაში. თიკო, მდიდარის გლეხის ალექსის ქალი, შეიყვარებს თავის მამის მოჯამაგირეს დათას, რომელიც ცეცხლივით აინთება, როდესაც დაინახავს სატრფოს თმით თრევას გაბრაზებულის მამისაგან. როცა დათა და ალექსი დაეტაკებიან ხანჯლებით ერთმანერთს, თიკო ჩავარდება მათ შუა და გონება-დაკარგული გახდება მათ საერთო საზრუნავს პირად. როცა გონზე მოვიდა, პირველი მისი წარმოთქმული სიტყვა იყო: „ის?“ რაზედაც მამა მიუგებს, რომ „ისიც“ იქ არის და მადლობას შესწირავს უფალს, რომ ქალი განსაცდელს გადაურჩა.

„ჩემი პირველი სიყვარული“ მკითხველს იპყრობს ფსიხოლოგიურის ანალიზის სიღრმით და სულის მიდრეკილების გამოცნობით. მოთხრობის გმირს, კირილეს, ბავშვობისას უყვარდა პატარა გოგონა ნუნუ, მეზობლის ქალი. გავიდა 18 წელი, შემთხვევით ნახა ქალიშვილი თავის პირველის სატრფოსი. დარწმუნებული, რომ ხედავს თავის პირველს სატრფოს, დაუწყებს ტრფობას და შეიყვარებს მის ქალს. რომანი თავდება ქორწილით: კირილე შეირთავს სატრფოს ქალს. საინტერესოა, რომ ამ სიუჟეტის შემუშავება იტვირთა სტრინდბერგმაც თავის თხზულებაში „საქორწინო ისტორიები“. მოთხრობაში „ფრინველი-ფენიქსი“ შეეხება იმ თემას, რომელ-

საც უფრო ადრე ხელი მოჰკიდეს, როდენბახმა, ბატაილმა, პ. ადანმა, ანრი დე რენიემ და სხვებმა. სიუჟეტი იმაში მდგომარეობს, რომ უმთავრესი გმირი შეიყვარებს ახალგაზდა ქალს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი პირწავარდნილი მისი განსვენებული ცოლია, როგორც იგი იყო ახალგაზდობაში, – და ჯვარს დაიწერს მასზედ.

შ. დედაბრიშვილს სულიერი ნათესაობა აქვს მოპასანის

მიმართულებასთან. მოპასანი სასომიხდელი საუკუნის შვილია. ურწმუნოდ და უნუგემოდ იყურება გარს და მის სულში ისადგურებს ჭმუნვა, მწუხარება და მელანქოლია. კაცის ცხოვრებაში და ბუნების მოვლენაში ვერ ხედავს იგი ხსნას, შველას. შ. დედაბრიშვილიც ასეთივე სკეპტიკი და უსასოო მწერალია. იგი ვერ ხედავს კაცს, როგორც მსოფლიოს გვირგვინს, ბუნებაც მისთვის სრულიად არ ზრუნავს და არც არაფრით განირჩევა ადამიანი სხვა ქმნილებათაგან. ამიტომ ავტორს ასე საწყლად და არარად გამოჰყავს ადამიანი. მას გარს არტყია ცხოვრებაში სიცრუე, პირმოთნეობა, ეგოიზმი, რომელნიც შექმნილან კაცის უბედურების წყაროდ. ამით აიხსნება, რომ ავტორი სიბრაღის გარდა განიცდის სიბრაზეს და დაცინვას საზოგადოებისადმი, რომელიც შეძლებას მოკლებულია ამაღლდეს სულიერად და მოაწყოს თავის ზრდა სამართლიანს საფუძველზედ. სკეპტიციზმს და პესიმიზმს, რომლითაც განსჭვალულია შ. დედაბრიშვილის მსოფლიო შეხედულება, ორი წყარო აქვს: ფილოსოფიური და საზოგადოებრივი, ანუ კაცის არარაობის და უმწეობის მიზეზს ხედავს თვით ადამიანის ბუნებაში და საზოგადოების ცხოვრების მოწყობილებაში. პირველის ჯგუფის ნაწარმოებთა ნიმუშად შეგვიძლიან ჩავთვალოთ სურათი “ეჰ!..“, რომლის სიუჟეტი ვნახეთ ნ. ლომაურის და რ. ერისთავის თხზულებათა შორის. ბუნება აქ ულმობელი ძალაა, კაცის კეთილდღეობის წინააღმდეგ მომქმედი.

„აღარა ახსოვს რა გეგესა. გამშაგებული გამორბის ტყიდან და პირდაპირ ვენახისაკენ. თითქოს თავის აქ ყოფნით კალთას გა-

- 289 -

დააფარებდა და თავს ააცდენდა განადგურებას... კივის მიდამო... დედამიწა შემრწუნდა. კვნესა, ტირილი, ხარხარი მიდამოსი აირია; თავზარ-დამცემი გრგვინვა-ლა მოისმის. გეგე მაინც გარბის... შეჭალარავებული თმა და წვერ-ულვაშებიდან წყვილი მისი თვალი გამოიკვესებს, და მხოლოდ ერთი სურვილის ამოკითხვა-ლა შეგიძლიანთ: დროით, დროით მივიდეს თავის ვენახთნ... უეცარი გრიგალი უცერივ მოისპო. დამშვიდდა მიდამო. ოდნავ ფოთლის შრიალი-ლა მოისმოდა და მცენარეებიდან ჩამონადენი წვეთების წკაპა-წკუპი. სწორედ ამ დროს მოიბინა თავის ვენახამდის, – მარგილის თავს ხელი წაავლო და ფეხი შეაღერა გადასახტომად, მაგრამ სხეული სულ მოუდუნდა და ქარაფაფა ძეძვის ღობეს მოწყვეტით გულით მიეყრდო...

„მის თვალწინ გადაშლილმა სურათმა შებოჭა გრძნობა და მოსაზრება მისი... მხოლოდ სარები და გაროკილი ხეები-ლა იყო ვენახში. დანარჩენი ყოველივე: ვაზი, ხის ტოტები ფოთლითურთ, სეტყვის კაკლები ერთმანერთში იყო ალუფხული და აქა-იქა მოგროვილი! ბალახიც კი განადგურებულიყო... „ვაიმე, ვაიმე!“ – ტუჩების ოდნავ ცმაცუნით მოსისინებდა მისი ხმა. მეტის თქმა აღარ შეეძლო. ყოველივე ამ უნებლიე ამოკვნესაში იხატებოდა. ვენახი იყო მისი

მასაზრდოებელი... მას უვლიდა, თავს ევლებოდა და იმისგანვე ცხოვრებას მოელოდა. მტერსაც და მოყვარესაც ვენახი უსტუმრებდა. გზირი, მამასახლისი, მეველე, მენახირე, მეჯოგე, ჩაფრები, ზოქაული, მღვდელი, რომელთაც აკმაყოფილებდა ამ ვენახის შემოსავლით, მის თვალწინ აირივნენ... ცხადად ჰხედავს იმათ მრისხანე სახეს, იმათ მოძრაობას, სახრეებს... ოხ, რამდენი ლანძღვა, გინება, დამცირება!.. ღმერთო! აგერ მისი დაწოკებული ცოლ-შვილი თავზარდაცემული მას შესცქერის და იმისგან მოელის შველას, მაგრამ... – ღმერთო! და ზეცას მიაპყრო მორღვეული თვალები. მხოლოდ ღვთისგან-ლა ელოდა შველას... სწორედ ამ დროს დაგლეჯილი ღრუბლებიდან მზემ ღრეჯით გამოუჭყვიტინა. მწუხარე გეგეს მზე მხიარულად მიეგება და ამ გარემოებამ იგი სულ დაამცირა. ზეციდან-ლა მოელოდა თანაგრძნობას და ზეცამაც იგი მასხარად აიგდო... მზის ღრეჯაზედ დედამიწამაც ღრეჯა დაიწყო. აქა-იქა გუბეები, სეტყვის,

- 290 -

გროვა თესლს უჭირდა, ნიაღვრის წყალი ტკბილად ჩამოჩხრიალებდა. – „ეჰ!“ – ამ სურათმა უნებურად ხელის ჩაქნევით გულის სიღრმიდან ამოათქმევინა. რას მოასწავებდა მისი „ეჰ!“ რომ გვეკითხნათ, ვერ აგისხნიდათ! იგი განრისხებული სწრაფ წამოდგა და საჩქაროდ თავის გარეგვილ ვენახს მოჰშორდა...“

„ბედნიერება მხოლოდ მაშინ ვიგრძენ!“ განიხილავს ხშირად გაგონილს სიტყვას: „ღმერთმა გაგაბედნიეროსო“. ავტორი ანალიზის შემდეგ, რა არის და რაში მდგომარეობს ბედნიერება, მიდის იმ დასკვნამდის, რომ ბედნიერება მაშინ იგრძნო, როცა განშორდა ცხოვრებას. პესიმისტის კილო მოისმის აქ იმ ადგილას, სადაც განმარტავს ქალის ბუნებას: „ნურას დროს ნუ გეგონება, ვითომც გასათხოვარი ქალის ხასიათი გაიგევი. ქალის ხასიათს მხოლოდ მაშინ გაიგებ, როცა ცოლად შეერთავ“. ეს ეტიუდი შემაერთებელია მის ნაწერების პირველის და მეორე ჯგუფისა. მეორე ჯგუფს ეკუთნიან ის ნაწარმოებნი, სადაც გატარებულია შეხედულება საზოგადო დამოკიდებულებაზედ და ურთერთს დამოკიდებულებაზედ. ამ ჯგუფში არიან მოქცეულნი ის ეტიუდები, სადაც ავტორი გამოსთქვამს უსიამოვნობას ქალის დაუდეგარს ხასიათზედ და მის ინსტინქტებით აღსავსე ბუნებაზედ. შ. დედაბრიშვილის ქალი მოკლებულია გულწრფელის და მაღალის სიყვარულის გრძნობას. ამ აზრს უძღვნა ეტიუდი „ბალდი ყოფილხარ!“, სადაც გმირი არჩილი ზნეობის წინააღმდეგ არაფერს ხედავს იმაში, რომ უყვარდა თავის მეგობრის ცოლი. შ. დედაბრიშვილს აინტერესებს მხოლოდ ცხოვრების ნაწყვეტები, ისეთი ფსიხოლოგიური მომენტები, რომელნიც მთლად ახასიათებენ ადამიანს და მის მიდრეკილებას. ეტიუდებში მხოლოდ ორი-სამი მომქმედი პირი ჰყავს დასახული და თვით მოქმედება მეტად მარტივი და გამორკვეული აქვს. იგი მკითხველის ყურადღებას აქცევს

ცხოვრების ბნელს და ნაკლულევანებით სავსე მხარეებს, ან გვიხსნის კაცის დანიშნულების მიზანს. მას სძაგს აწინდელი წესწყობილება, რომელიც უსამართლობაზე და ეგოიზმზეა

– 291 –

დამყარებული; ჰკიცხავს ადამიანსაც, რადგან იგი მის თვალში მხდალი და თავის მადმერთებელია. ამიტომ გულამღვრეულთ კაცთა მგოსნად გადიქა ქართველი მწერალი, როგორც რუსეთის ბელეტრისტი ანტონ ჩეხოვი.

შ. დედაბრიშებლი ზეციდგან დაჯილდოებულია ნამდვილის პოეტურის ნიჭით. სადაც კი ეხება იგი ბუნების აღწერას, ყოველთვის დიადი მხატვრული სურათები აქვს შექმნილი. ბუნება მშვენიერია, მაგრამ იგი გულგრილად უმზერს კაცის ავსა და კარგს. ეს ტენდენცია გატარებული აქვს სურათში „ჩემო შვინდავ!“, ეტიუდში „ბუნების მეფენი“, „ესაა ჩვენი ცხოვრება“ და სხვ. პლასტიკურად, ცოცხლად და ნათლად დასურათება შეიძლო მან უკვე ნაადრევს ეტიუდში „ჩემო შვინდავ!“ აქ საუცხოვოდ არის აწერილი განთიადის გამარჯვება და ა. ყაზბეგის მსგავსად სამშობლოს თვალწარმტაცის ბუნების დასურათ-ხატება.

„ღამის სიბნელეს ერთი ალიაქოთი შეუდგა და შიშისაგან ტუჩისფერი დაჰკარგა, როცა დღის ნათელს თვალი შეასწრო. სიბნელე ჰკმინავდა, ფორთხილობდა, ებრძოდა სინათლეს, მაგრამ ვერას გამხდარიყო. სასოწარკვეთილებით მიმართა თავის დარაჯ-ვარსკვლავებს და საშველად იხმობდა. მაგრამ ისინიც შიშისაგან სადღაც მიმალულიყვნენ და თავის დედის – სიბნელის მომაკვდავის ხმა არ ესმოდათ. მარტო შორს, სადღაც ცის კიდეს, გამოჩნდა ამ ხმაზედ ერთი დარაჯი, მალვით გამოაბჟუტა თვალები და თავისი დედა – სიბნელე მთლად ნაცრის ფრად მცეული რომ დაინახა, ნაღვლიანად ჩაიქნია თავი და ისევ მიმალა. დარაჯთ ამნაირის სამარცხვინო საქციელისთვის ხმელეთიდგან ფრინველთ ყიჟინა დასცეს და სინათლეს კი „ვაშა, ვაშას“ დასძახოდნენ. ტორთლა მაშინვე წამოვარდა თავის ბინიდგან და სიხარულით გაეშურა ცისკენ სინათლის მისაგებებლად... ჯერ ისევ ნორჩმა, ხავსივით მწვანე ბალახმა ღამის სიბნელისაგან მოხრილი წელი აიმართა და ღიმილით შეჰხედა სინათლეს, რომელიც ალერსით დასცქეროდა ზემოდგან. აგერ, ახლად გაფურჩქვნილმა ვარდმაც მორცხვად და კეკლუცად დაუწყო მზერა სინათლეს, ვითომდა ყურს

– 292 –

არ უგდებსო ბულბულის გულსაკლავს სტვენას, რომელიც, აგერ რამდენი ხანია, სასოწარკვეთილებით დაჰკვენესის და ეტრფიალება. საწყალი ვარდი მთლად დამთვრალია ბულბულის ალერსით. მაგრამ რა ჰქნას, როცა მეტის-მეტი მორცხვი და კრძალული არსებაა და ვერ გამოუთქვამს ბულბულისათვი ს თავისი გრძნობა!.. ძირს, ხმელეთს

ფრინველთ უკანასკნელად კიდევ დასცეს სიბნელეს ჟიჟინა. სინათლეს გამარჯვება მიულოცეს და საზრდოს სამებნელად გაემგზავრნენ სხვადასხვა მხარეს. ქათმებთან ერთად სოსოს დედაც წამოდგა...”

ეს პატარა სოსო არის გმირი ეტიუდისა. იგი დაემეხება ტყეში, საშინელის ჭექა-ქუხილის დროს, თავის საყვარელს ხარს შვინდას, სწუხს, რომ ვერ პოულობს. „შვინდავ, შვი... ე... ე... ჩემო შვინდავ! უეცრად ისეთის ხმით წამოიძახა, რომ, ხეებს რომ გული და გრძნობა ჰქონოდათ, ისინიც ტირილს დაიწყებდნენ. – მმუ... უ... მმუ... უ! – პასუხად მოესმა იქვე ახლოდან რაღაც ზმუილი და ფაჩუნი“. ეს იყო დაკარგულის ხარის ხმა. იპოვა სოსომ და კოცნა დაუწყო მას. „ხარიც ალერსით შეჰზმუოდა გახარებულს სოსოს და კოცნის მაგივრად პირს ულოკავდა“.

პოეტური სურათია დახატული აგრეთვე ეტიუდში „ყველა დაგვარგე“. მწუხარე გრძნობა, რომელსაც განიცდის მთიულის ქალი იმის გამო, რომ ჯარში წასული იმისი სატრფო დაივიწყებს მას და დაცემულთ ქალთა ალერსზე გასცვლის მის უმანკო გულს, უფრო მკაცრად უვლის მთელს მის არსებას, რადგან ბუნება ისე ცივად და ამასთანავე დიადად უშლის თვალწინ თავის სიმშვენიერეს.

„ცხვრის ბინის ახლოს ათას ფრად აყვავებულ პატარა ბექობზედ, რომელიც კობტად შეკრულს თაიგულს ემსგავსებოდა, იჯდა ყვავილთა დედოფალი, სიმშვენიერის გვირგვინი, ჯერ ახლად გადაშლილი მთიულის ქალი და აღგზნებულის თვალთ გატაცებით უმზერდა ყვავილების ჯგუფებს, რომელთაც ერთმანეთისათვის თავი თავს გადაედოთ და ასე ჩახუტულებს საღამოს ნიადაგზე ტკბილ, შეუშფოთებელ და შეუხამებელ ალერსისათვის მიეცათ თავი, ზევიდგან კი

– 293 –

წვეილი, ერთმანეთის სიყვარულით გატაცებული პეპელა დაცქრიალებდა და იმის რჩევაში იყო, თუ რომელი ჯგუფი ყვავილებისა უკეთესს მასპინძლობას გაუწევდა და სულს გადაუშლიდა. ორი მოარშიყე ხან რომელს ყვავილების ჯგუფს დააფრინდებოდა და ხან რომელს... ამ ორის წლის წინად სწორედ ამ ადგილას აიღო ყვავილებისაგან მაგალითი (ქალმა); ევაგილების სუნთან ერთად გარდასცეს ამ ბუნების შვილს სიყვარულის თესლი“...

მთიელის სიყვარული სამშობლოსადმი დაგვიხატა ეტიუდში „მიწაა!“ ავადმყოფი და ძალამიღებული ბერა იგზავნება ციმბირში. ანანურის გზაზედ ერთი მუჭა მიწა აიღო და გამოახვია ცხვირსახოცში იმ აზრით, რომ უცხო ქვეყანაში რომ მოკვდეს, გულზე სამშობლოს მიწა დაეყაროს. ტუსალების უფროსი უბძანებს ბერას გადაყაროს შეხვეული ცხვირსახოციდან. ბერა არ სთანხმდება და გაწკეპლავა ხვდა წილად. გონება-დაკარგულს გამოსტაცეს ცხვირსახოცი და თანამემამულემ გივარგიმ მოასწრო მიწის ბერას გულზედ დაყრა. როცა გონს

მოვიდა, ბერამ „ხელი გულზედ მოისო, უბეში ჩაიყო და მიწა შეაგროვა“. რამდენადაც მთიელს მტკიცედ, მთელის თავის არსებით უყვარს სამშობლო, იმდენად გულგრილია ქართველი ქალი. შ. დედაბრიშვილმა დაუპირდაპირა ეტიუდში „ჩემი სამშობლო ჩემი გულია!“ პოლონელი და ქართველი ქალი. აქ დასმულია „ეროვნული თვითშეგნების“ საგანი, აღნიშნულია, რომ „ქართველს ახალგაზდობას, რომელიც განათლებას ეწაფება, განსაცდელი მოელის, რადგან ივიწყებს დედა ენას და სამშობლო ლიტერატურას. ამ თეზისის გასაბრწყინებლად მოყვანილია დიდის დაკვირვებით განხილული რომანული ეპიზოდი ქართველის ქალის მაროს და პოლონელის ზდისის შორის. პოლონელი ვერ ჰბედავს მაროს ცოლობა სთხოვოს, რადგან, მის აზრით, ქალი სამშობლოს მოშორებას არ ინდომებს და პოლონეთში დარჩენას უარჰყოფს. მარო ამაზედ მკვახედ უპასუხებს მოკრძალებულს საკითხზედ: „ჩემი სამშობლო ჩემი გულია და სადაც მე ვიქნები, სამშობლო იქ იქნება!“ აღ-

– 294 –

გზნებით წამოიძახა და თავისი მთრთოლვარე ტუჩები შეახო მას. პოლონელმა ვერ აიტანა ასე ადვილად სამშობლოს დავიწყება და თუმცა თავდავიწყებამდე უყვარდა მარო, მაინც განშორდა მას, რადგან მისი წმიდა წმიდათა შებღალულ იქმნა. მას ქალისთვის სავალდებულოდ მიაჩნდა პოლონელის ქალების შეხედულება: „ჩემი გული ჩემის სამშობლოსია და თუ ჩემი სამშობლო არ იქნება, ნურც ჩემი გული იქნებაო“. საკმარისი იყო მაროს თვალეზში პოლონელს წაეკითხა ხორცის ინსტინქტი, რომ მომჯადოებელი გრძნობა გაქარწყლებულიყო იმგვარადვე, როგორც დაკმაყოფილებული გრძნობა. ბიბლიიდან აღებული სმონისა შეცვლილიყო სრულს დავიწყებად თამარისადმი ეტიუდში „უცნაურია, უცნაური!“ გრძნობის შეურაცხყოფის ანალიზს უბრუნდება ავტორი ეტიუდში „მძულხართ!“

შ. დედაბრიშვილის მოღვაწეობა ჯერ არ გაფურჩქვნილა და ძნელია სათქმელად, რა მიმართულებას მიიღებს. აქამდის მას ორნაირის ხასიათის სიუჟეტი აქვს მხატვრულად შემუშავებული: ერთი შეეხება ჩვენის ხალხის ზნე-ჩვეულებათა და მდგომარეობის დასურათებას, მეორე განმარტავს ფილოსოფიურს და ფსიხოლოგიურს საკითხებს. მეორე სიუჟეტს პესიმისტური ელფერი აძევს. ავტორი გულჩათხრობილი აღნიშნავს ქალ-ვაჟთა დამოკიდებულების ფუჟს და ყალბს ნიადაგზედ წარმოშობას. „გაშიშვლებულის სულის“ ანალიზი, გულახდილი აღსარება და ჩვეულებრივთ წმინდა პრინციპთა უარყოფა – აი დოქტრინა შ. დედაბრიშვილის აღმაფრენისა, რო-

გორც იგივე დოქტრინა შეადგენს დედამარღვს პოლონელის მწერლის: პშიზიშევსკისას *).

*) შ. დედაბრიშვილის მიმართულებამ წარმოშობა ორი მწერალი: ანდრია დეკანოზიშვილი და თ. ხუსკივაძე. პირველი მთლად და მეორე რამდენისამე მოთხრობით ჰზამავენ ფსიხოლოგიურს მეთოდს შ. დედაბრიშვილისას. ამავე მიმართულებამ ვ. ბარნოვის ზოგიერთა ნაწერებზედაც

- 295 -

ილია ზურაბიშვილი (ელეფთერიძე)

ილია ზურაბიშვილი, ცნობილი ელეფთერიძის ფსევდონიმით, ეკუთნის განსაკუთრებულს სკოლას. იგი წარმომადგენელია ფილოსოფიურის პრობლემების ყველასთვის გასაგების საბელეტრისტო ფორმით გამარტებელთა. თუმცა ბევრი დამაბრკოლებელი გარემოება ხვდება ამგვარს მწერალს, ზურაბიშვილი მაინც არ შეშინდა და იტვირთა ფილოსოფიურის პრობლემის მხატვრულად გატარება. მოთხრობაში „ნირვანა“ იგი განიხილავს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს. ავტორი იმ აზრისაა, რომ ყველას თავის ყოფა-ქცევისთვის მოელის ჯილდო ამავე ცხოვრებაში. მიცვალებულთა და ცოცხალთა შორის კავშირი იმაში გამოიხატება, რომ კაცის მოღვაწეობა უკვალოდ არ ჰქრება, მას გარს არტყია სხვა პირთა მოქმედება და ამგვარად იგი მხოლოდ რგოლია ადამიანთა დამოკიდებულების ჯაჭვისა. მოთხრობაში „სიცოცხლე“ სულიერს ბრძოლას განიცდის ახალგაზდა შალვა ძნელის საკითხის გადაწყვეტის გამო: კაცია თვით მომწყობი თავის

იქონია გავლენა. დეკანოზიშვილი და ხუსკივაძე თვით სათაურის აღნიშვნაშიაც კი ცდილობენ დედაბრიშვილის განმეორებას. პირველის „პეპელა“ და სხვ., მეორისა: „ვერა, ვერ მოვესწრები“, „მეც დედა ვარ“, „ეგ არის შენი სიყვარული“ და სხვ. აგებულნი არიან ზემო განხილულის ანალიზის მიხედვით. თ. ხუსკივაძე ცნობილია აგრეთვე, როგორც ისტორიულის მოთხრობების ავტორი. მას ეკუთნის მოთხრობანი: „ეკატერინე ბატონიშვილი“, „კონსტანტინე ბატონიშვილი“, „იმერეთის მეფე სოლომონ II“, „მამია გურიელი“, „ალექსანდრე ბატონიშვილი“. ისტორიული ფაქტები სწორედ არიან ამოკრეფილნი, მხოლოდ მხატვრულად შემუშავება და ეპოქის დასურათება აკლია მათ. თანამედროვე ცხოვრებიდან აღებულია სიუჟეტი მოთხრობისა „ყაჩადი“.

ვ. ბარნოვს რამდენიმე მოთხრობა აქვს დაწერილი: „სვიმონ“, „ნუშო“, „ქოჩორა ხე“, „მეჩვენა“ (შინაარსი წააგავს ევ. გაბაშვილის „ლუარსაბს ბატონი გაუჩნდა“), „დაეწაფა სურვილით“ (გლეხის ქალის ბაბუცას და უნივერსიტეტში გაზდილის ილოს დამოკიდებულება ბავშობიდან, რომელიც თავდება ბაბუცას ძალად გათხოვებით სხვაზე და მის მოძულეებულის ქმრის მოკვლით). აქვს აგრეთვე ისტორიული მოთხრობები – „იოსებ და კაიაფა“ ბიბლიის სიუჟეტზე და ერთი საქართველოს ისტორიიდან თეიმურაზ მეფის დროიდან. უწერია მას აგრეთვე საბავშვო

მოთხრობაც („ხარაზი“) და ზნე-ჩვეულებათა სურათი დღესასწაულის აღწერით („ონისიმე“).

– 296 –

ცხოვრებისა თუ გარემოებათა კვანძია გადამწყვეტი მის ბედისა. აზრი, რომელიც აქ გატარებულია, შეიძლება რამდენისამე სიტყვით გამოითქვას: თუ შესაძლოა ბრძოლა, მაშასადამე უნდა იყოს იმედიც გამარჯვებისა.

სიმბოლურს მოთხრობაში „სურათი“ ავტორი მხატვრულს შემოქმედებას რეალურს სინამდვილეზე მალა აყენებს. ნიჭიერი მხატვარი ჰხატავს თავის სატრფოს სურათს, რომლის შესრულებას თან სდევს საკვირველი მოვლენა: თვითოეული ნაწილი ლამაზის არსებისა, გადატანილი ტილოზე, საჩქაროდ ჰქრება და როდესაც გაათავა თავისი შრომა, გვამი საყვარელის ქალისა დაჰკნა და უსიცოცხლოდ გადიქცა. „კვალში“ (1894 წ.) მან დაბეჭდა მ. დედაბრიშვილის ეტიუდების მსგავსი ესკიზი, სახალხო ლეგენდით ისარგებლა მოთხრობაში „უკვდავი“, მოზდილი ნაწარმოები უძღვნა მონადირეთა ცხოვრებას და ცრუმორწმუნეობათა ანალიზს იმ სოფლიდან სულის მოსვლის შესახებ აქ დარჩენილთან გასასწორებლად. გარდა სიმბოლურის მოთხრობებისა ილია ზურაბიშვილი თავის კალამს ნამდვილის ცხოვრების დასურათებასაც ახმარებს. მოთხრობი „გაროზგილი“ აღწერილია ქართველის კაცის რუსის ჯარში სამსახურის გარემოებანი, მძულვარება რუსის ფელთფებელისა ქართულის სიმღერისა და ჩვენის ხალხისადმი და უფროსების ძალმომრეობა, უბრალო ჯარისკაცებზე მიტანილი. ილია ციციბაძე, გმირი ამ მოთხრობისა, იქმნა დასჯილი 50 წკეპლის დაკვრით. სულის კვეთება ქართველის კაცისა სამშობლოს გარეშე და უცხო ერის წრეში ცოცხლად აქვს ავტორს დასურათებული.

დიმიტრი ერისთავი

მეოთხმოცე წლებში თავი იჩინა ახალგაზდა მწერალმა დიმიტრი ერისთავმა. 1891 წ. ქუთაისში ცალკე წიგნად დაიბეჭდა ამ ექიმის და ბელეტრისტის ნაწერები. კრებული შეიცავს რამდენსამე მოთხრობას სხვადასხვა შინაარსისას. პირველი მათგანი „უბრალო შემთხვევა“ გაგვაცნობს ორს პიროვნებას – თავადის და გლეხისას. ბავშობიდან იგინი მეგობრები არიან, ერთად გაატარებენ სიყმაწვილეს ქალაქში, სადაც თავადი სწავლობს გიმნაზიაში და თავს ილაყებს ლათინურის სიტყვებით. გლეხი შეითვისებს ქართულს წერა-კითხვას თავის კეთილის მეგობრის ხელმძღვანელობით. გავიდა დრო. თავადმა გაათავა იურიდიული ფაკულტეტი და გრძნობს უკმაყოფილებას; გლეხმა შეიძინა სოფლის მასწავლებლის უფლება, სახალხო სკოლაში მოქმედობს და მთლად გატაცებულია აზრით მოძმეთა კეთილდღეობაზე. ავტორი თავადის. პესიმისტურს და

- 297 -

უკმაყოფილებით სულის ვითარებას მიაწერს კლასიკურს სისტემას და პედაგოგიურს პრინციპებს მოკლებულს გიმნაზიის მიმართულებას. მეორე მოთხრობაში ამავე თემას განიხილავს და გაგვაცნობს თავის ამხანაგს, რომელმაც ვერ აიტანა სკოლის რეჟიმი, ჯარის კაცად წავიდა და უდროოდ სოფელს გამოესალმა. დიდაქტიური ხასიათი აქვს იმ „სურათს“ სტუდენტების ცხოვრებიდან, სადაც გამოყვანილია პატივცემული ამხანაგებისაგან ახალგაზდა ნიკო. ამან ანაფორის ჩაცმა გადასწყვიტა იმ აზრით, რომ დაუახლოვდეს ხალხს და ემსახუროს მის ინტერესებს. მაგრამ ოცნება არ გაუმართლდა, რადგან შორეულს ქალაქში ჭლექმა იმსხვერპლა მისი სიცოცხლე. დანარჩენი მოთხრობები აგვიწერენ ყოველდღიურს მოვლენას კაცთა საზოგადოებაში. საწყალი ქმარი, რომელიც თავს იკლავს და სულის განტევების წამს მიუტევებს ცოლს დანაშაულს, რომლის მიზეზითაც მოისპო ცხოვრების დღენი; აგრეთვე უბედური ქალი, რომელმაც ვერ აიტანა მეგობრის ღალატი და რკინის გზის ლიანდაგზე თავი გაასრესინა მატარებელს; ახალგაზდა ინსტიტუტში კურს-დამთავრებული ქალი, იძულებული გარემოებით თავის მოსწავლეების მამის საზიზღარს წინადადებას დაეთანხმოს – აი გმირები ამ ცხოვრებიდან ამოგლეჯილის სურათებისა. რომანტიკული დრამა აწერილი აქვს „ვაგონში“, არა-ჩვეულებრივი „ქორწილი სატუსალოში“ თავადის ქალის და ტუსადის შორის, ნადირობა გაზაფხულობით სოფლად და დარღვევა ძველის ზნე-ჩვეულებისა უსაქმურის და მოქეიფე აზნაურის ნესტორის მიერ (მოთხრობა „ვისი ბრალია“), რომელიც მოკლულ იქმნა თავის ნაყმევის ხელით ცოლის შეურაცხყოფის გამო. ყველა ეს მოთხრობები, თუმცა ცოტა მკრთალად და ჩაუღრმავებლივ, გვისურათხატებენ დასავლეთ-საქართველოს ეკონომიურს და ზნეობითს მდგომარეობას.

დიმიტრი ნადირაძე (მაჩხანელი)

(1861 – 1903)

დიმიტრი ნადირაძე, ცნობილი მაჩხანელის ფსევდონიმით, მეოთხმოცე წლებიდან თანამშრომლობდა „ივერიაში“, აკაკის „კრებულში“, „ცნობის-ფურცელში“. იგი მიმართულებით ეკუთნოდა „ტეტიათა მოტრფილეთა“ რიცხვს და სახელი მოიხვეჭა დიდაქტიურის, დამრიგებელის ხასიათის წიგნით „ძმური სიტყვა“, სადაც რჩევას აძლევს ხალხს სწავლის საჭიროებაზე, სუფთად ცხოვრებაზე და განუმარტავს ცხოვრების მიზანს. მოთხრობაში „დღეობა“ იგი უხსნის ხალხს, რა დიდი ზარალი მოაქვს

– 298 –

ეკლესიის დღეობის გამართვას. გლეხი სოსია ჰყიდის თავის ერთად-ერთს ვირს ამ დღეობისთვის და შემდეგ იმის გამოსასყიდლად დაუდგება მოჯამაგირედ მსყიდველს, იქ გაცივდება და მოკვდება. იმისვე კალამს ეკუთნის „სოფლის კუნწულა“ (სურათები სოფლის ცხოვრებიდან), „საინგილოში მოგზაურობა“ (1887 წ.), რამდენიმე ლექსი და „მარო“, დრამის

ნაწყვეტი. დ. ნადირაძე ცნობილი იყო აგრეთვე როგორც საზოგადო მოღვაწე; იგი გატაცებული მომხრე იყო სინდიკატებისა. თავის სოფელს მარხაანში გახსნა დეპო, რომელმაც ბევრი უსიამოვნება აჭამა და ბოლოს სამარეშიც ჩაიყვანა. თავის სახლ-კარი განსვენებულმა სიცოცხლეშივე უანდერმა სოფლის სკოლას.

დიმიტრი ხომტარია

(დუტუ მეგრელი)

დიმიტრი ხომტარია, ცნობილი დუტუ მეგრელის ფსევდონიმით, დაიბადა 1867 წ. სწავლა დაამთავრა ქუთაისის გიმნაზიაში და ოდესის უნივერსიტეტში. მსახურობს საფინანსო უწყებაში. მისი ლექსები 1885 წლიდან და მოთხრობები 1887 წლიდან გვისურათებენ მის მისწრაფებას და მიმართულებას. ავტორი რეალისტიკა თავის რწმენით, იგი აკვირდება გარს-შემორტყმულს სინამდვილეს და მიუდგომელად გადააქვს წიგნის ფურცლებზედ. მოთხრობა „საცოდავნი“ აგვიწერს საბრალო ქალის ეკას გარემოებას, რომელიც ცეკვა-სიმღერის დროს მოეწონა ერთს დაბერებულს ბატონის მეგობარს, მონდომა მისი დასაკუთრება და ვითომ „შვილად“ გამოსთხოვა ბატონის „ნათლული“ ღარიბს დედ-მამას და ამით გული მოუკლა „მუნჯიას“, რომელსაც უყვარდა თავისი მფარველი ეკა. გაუბედურებული დაბრუნდა იგი თავის სოფელში და ეკლესიის კარზედ მოკვდა განუკითხველი გლახასავით. მოთხრობაში კარგად არის აწერილი სოფლის ქალ-ვაჟთა ლხინი და ეკას გულწრფელი დამოკიდებულება ბუნებისა და ხალხისაგან დასჯილს

- 299 -

მუნჯიასთან. თანაგრძნობა ავტორისა და მისი მონაწილეობა ეკას სვე-ბედში ავსებს მოთხრობას სალირიკო ფერადებით და ელეგიურს ბეჭედს. ასვამს. ლირიზმითვეა განსჭვალული მოთხრობა „სვიმონ მღვდელი“. ავტორის ნიჭს უკვე ამ მოთხრობაში შეეტყო ზრდა და მეტი ფსიხოლოგიურის დაკვირვების უნარი. მოქმედება სწარმოებს სოფლის ეკლესიის გალავანში, სადაც უკვე გაისმა „აღდგომასა შენსა, ქრისტე მაცხოვარ“.

ყველას აუბორძგალა გელი ამ გალობამ, ვინც კი იყო მოგროვილი ვ – ის პაწაწა ეკლესიის ეზოში. დიდი და პატარა, კაცი თუ ქალი, მოხუცი და ყმაწვილი, მდიდარი და გლახაკი – ყველა ერთის გრძნობით გაიმსჭვალა, ყველას დაავიწყდა ეხლა თავის ხარისხი, დაავიწყდა თავის ვინაობა; მოაგონდა მხოლოდ, რომ ქრისტიანია და

წმინდა სანთლით ხელში და წმინდის გრძნობით გულში, უნდა მიეგებოს ამ შესანიშნავ დღეს, როცა „აღსდგა ქრისტე მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“... სწრაფ მოედვა ტებლი გალობა აგრეთვე მთელს არე-მარეს, მოედვა გარშემო მთებს. მთებმა გადასცეს იგი ღრუბლებს, ღრუბლებმა ვარსკვლავებს და მთელი ცა და ქვეყანა სმენად გარდაიქცა. რაღაც სადღესასწაულო ფერი მიიღო მთელმა იმ სერმა, რომელზედაც აშენებულია ვ – ის ეკლესია... თვითონ ეკლესიაში არავინ არ არის ეხლა, ყველა გარეთ არის და საერთო დღესასწაულში იღებს მონაწილეობას. მხოლოდ ერთ-ერთს საკურთხეველის ბნელ კუთხეში ზის მოხუცი სვიმონ მღვდელი, რომელსაც სიარული არ შეუძლია.

უსინათლო სვიმონ მღვდელი ეკლესიაში წამოიყვანა შვილმა, იესე დიაკონმა. თავჩალუნული იგი ჰფიქრობს თავის წარსულზედ, ბედნიერს წამებზედ. ფიქრებმა თვალწინ დაუყენეს ახალგაზდობა, როდესაც იგი ცოცხალი და მარჯვე დიაკონი იყო, ეშმაკივით მიმხდომი, გამოჩალხული ყველაფერში. ხანდახან მოატყუებდა ნეოფიტე ბერს, სასტიკს თავის მასწავლებელს „ჟამნდავითნისას“, ჩუმად გადაჰკრავდა მის შენახულს ღვინო-არაყს, ჩაერევოდა კვირა საღამოს ლოცვის მაგიერ, ქა-

- 300 -

ლიშვილებში და თამაშს დაიწყებდა. ნეოფიტე ხელმოჭერილი ეკონომოსი იყო და ურთხელ სვიმონა მთელი დღე მშვიდ დასტოვა, რადგან ერთი გრძელი ლოცვა ზეპირად ვერ დაესწავლა. ნეოფიტეს ამ დროს ერთი ბრმა მათხოვარი მოუვიდა და გაუმასპინძლდა მას. სვიმონა თავს ადგა სტუმარს, ღვინოს უსხამდა. შემდეგ ნეოფიტემ გააცილა გლახა და მუსაიფი გააბაკიდევ წინკარში; შიმშილისაგან შეწუხებულმა სვიმონამ რაკი დაინახა, რომ გომიჯის ნატეხს გლახა ხურჯინში ჩაიდებდა, ისარგებლა კატის დაკნავლებით და მოჰპარა მათხოვარს ნატეხი, რომელიც ვითომ მოიტაცა ფისომ. ნეოფიტე გაუწყრა სვიმონას, რომ მან თვალი არ დაიჭირა კატაზედ და გადევნა ლოცვის დასასწავლად. სვიმონსაც სწორედ ეს უნდოდა: წავიდა და ძლივს ნაშოვნის გომიჯით შეექცა... მოაგონდა შემდეგ ლამაზი თავის ცოლი ვარდო, რომელმაც ჩქარა განუტევა ქმარი. პირველი ანაფორა მან შეუკერა და ტკბილი დღეები ჩქარა ჩაუძწარა უდროოთ სიკვდილით. ანაფორა დარჩა მოსაგონებლად და სწამს, რომ ვარდო მასთან განოყრელად დარჩა კეთილის დასათესად და ბოროტის დასათრგუნვად. წარსულზედ ოცნებიდგან გამოიყვანა დიაკონის იესეს გალობამ „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“, რომლის გაგონებაზედ მოაგონდა ვარდოს ხმა. იესე დარჩა ობლად იმ წამიდან, როდესაც დაიბადა. მისი ქვეყნად მოვლენა სვიმონისთვის იყო წამი ბედნიერებისა და უბედურობისა, რადგან შობიარობას გადა-

ჰყვა ლამაზი ვარდო. იესე გახდა მიცვალებულის მეუღლის მომგონებელი ძეგლი. შვილი გაეზარდა, ცოლ-შვილიც ჰყავს, მაგრამ მამის ადგილზედ მღვდლობა არ მისცეს და ამ მხრით იმედი და ოცნება გაუქარწყლდა მოხუცს მამას. ცრემლი არ ჰშორდება სვიმონის თვალებს, რაკი ახალგაზდა, ნასწავლი და ამასთანავე ბლალოჩინის ნათესავი მღვდელი ჩადგა იმის მრევლში. თვალწინ გაუარა ვარდომ, რომელიც ამშვიდებს მას, ეუბნება, რომ იკმაროს სოფლად ტანჯვა და მიეშუროს სამარადისო განსასვენებელს ადგილს, სადაც ვარდო მას მიეღოს.

- 301 -

„ვარდო მიეღოს სვიმონს, მისი ვარდო!“ ოჰ, რა ტკბილია ეს სიტყვები სვიმონისთვის... აი მივიდნენ სვიმონთან სხვა ანგელოზებიც და შემოეხვივნენ გარს. „ქრისტე, აღსდგას“ გალობენ და იწვევენ სვიმონს თავისკენ. საკვირველია, სვიმონს აღარც თვალს აკლია ეხლა და აღარც ყურს; სვიმონი ჰხედავს ყველაფერს, სვიმონს ესმის ყველაფერი...“ მზის ჩასვლის დროს მთელი სოფელი იმაზედღა ლაპარაკობდა, თუ როგორ სასწაულებრივად გარდაიცვალა სვიმონი. გამოეთხოვა სუყველას, მიიღო საიდუმლო, დარიგება მისცა შვილს, რომ ერთს შვილს მაინც ასწავლოს, რომ ეკურთხოს მღვდლად და მამა-პაპა მოიხსენოს ლოცვაში. „აცხოვნოს ღმერთმა! ღირსი იყო და ღირსეულად მოკვდაო“, ამბობდნენ ზოგნი. „აღდგომას ვინც მოკვდება, ყველა ცხოვნებულია, თორემ სვიმონი, რასაკვირველია, ცხონდებაო“, უმატებდნენ სხვები“...

უმწიკველო და ღრმა გრძნობა ჩახლართა ავტორმა მოთხრობაში „ქინაქინი“. სოფლის სკოლა, რომლის მასწავლებლად გულკეთილი და ბავშვების სულის მცოდნე პირია, ინახულა სტუმარმა; იგი კმაყოფილი დარჩა მოსწავლეთა ცოდნით და დაასაჩუქრა იგინი. სკოლაში არ აღმოჩნდა მხოლოდ პატარა მიხა, რადგან დედას, ციებით ღონე-მიხდილს, თავი ვერ დაანება. მიხამ დედას ქვეშაგები ტანზედ დააყარა და რაკი ვერ გათბა ავადმყოფი, თითონაც გვერდით მოუწვა და გულში ჩაეკრა. ღარიბი მამა მინდორში იყო წასული, ქინაქინის ფულიც ვერ ეშოვნა ცოლისთვის, ამიტომ მიხა თავდადებით უვლიდა დედას. ფიქრი იმისი სკოლისაკენ მიჰქროდა, და ენატრებოდა თვალი დაეკრა, რა ხდებოდა სტუმრის თანადასწრებით სასწავლებელში. დედას რომ ოფლი დაასხა, მიხამ ნებართვა აიღო დედისაგან და გაქანდა სკოლაში. მორცხვად შევიდა სკოლის კარებში დაგვიანებული მიხა. მასწავლებელი მიესალმა, წააკითხა წიგნი და სტუმრის აღტაცება გამოიწვია. შესწუხდა სტუმარი, რომ საჩუქარი აღარა დარჩენოდა რა მიხასთვის და გადასცა ფული მასწავლებელს, რომ

მიხასთვის ეყიდნა რამე იმის სურვილისამებრ. როცა მასწავ-
ლებელმა სტუმართანავე ჰკითხა: მითხარ, რა გიყიდა ამ ფუ-
ლითაო, გახარებულმა მიხამ, რომელსაც მამისაგან გაგონილი
ჰქონდა, რომ ციების წინააღმდეგ ქინაქინაა წამალი, წამოი-
ძახა: „ქინაქინი“. გაჰკვირდნენ პირველად ყველანი და გამო-
კითხეს, რად უნდა ქინაქინი. მიხამ მიოგო: „დედას აცივებს
და მამა სწუხს, უფულობას რა ვუყო, თვარა ქინაქინს ვიყიდ-
დი და მოვარჩენდიო“. საღამოზედ მასწავლებელი და ფერშა-
ლი მივიდნენ მიხას სახლში, ავადმყოფს წამლები მიუტანეს და
მიხას სურათებიანი წიგნი.

მოთხრობა „გოგია და ქანა“ იმავე ქარგაზედ არის ამო-
კერილი, რომელზედაც ცნობილი ეგნატე ინგოროყვას მოთ-
ხრობა. ხანში შესულის ქმრის ახალგაზდა ცოლთან ცხოვრება
თავდება უსიამოვნობით და ღალატით. გოგიას გააუბედურებს
ქანა, რომელიც სოფლის მწერლის ჩაგონებით 1000 მან. ვექ-
სილს გამოართმევს. ამ ვექსილს მიითვისებს მწერალი, წაარ-
თმევს მამულს გოგიას და თვით ქანასაც გააგდებს. შემდეგ
ქუთაისში ეკლუსიის კარებთან გალატაკებულნი ცოლ-ქმარნი
შეხვდებიან ერთმანერთს მოწყალებისთვის ხელ-გაწვდილნი.

„უბრალო მსხვერპლი“ დ. კლდიაშვილისებურად გვიხა-
ტავს დაქვეითებულის აზნაურშვილის ცხოვრებას. მოთხრობის
გმირია კოწია ჯავარიშვილი. იგი მთელი დღე თოხით მუშაობს
სიმინდის ყანაში და პატარა ვენახში; მიდის სამუშაოდ შავს
ქვაზედ და რკინის გზაზედაც, მოსამსახურედ კი არავისთან მი-
დის, რადგან ამ ხელობას გარყვნილს საქმედ მიიჩნევს. მას ედა-
ვება მოგვარე ზურაბი, მდიდარი მევახშე და ქრთამით ძლი-
ერი. მამულის გასაფართოებლად და საზღვრების შემოსაზღლუ-
დად მან განიზრახა კოწიას ვენახის დასაკუთრება. ზურაბმა
ისარგებლა იმ შემთხვევით, რომ კოწიამ მისი ხარი დაჰკლა და
სარდაფში ჩაათრია, წამოადგა თავს და დააჭერინა საპყრობი-
ლეში. ბევრი იტანჯა საწყალი კოწია აქ, თუმცა დამნაშავედ
არ ჰგრძნობდა თავს, რადგან ზურაბის ხარმა ვენახი წაუხდი-

ნა, გამოიცვალა სრულიად შეხედულებით, გაჰქრნენ მისი ოც-
ნებანი დაცოლშვილიანებაზედ, მხოლოდ კვირაობით, როცა
ბებერი დედა მოუვიდოდა სანახავად, ცოტახანს გამხნევდებოდა
და იმედს აძლევდა მოხუცს, რომ ჩქარა გაათავისუფლებდნენ.
თვეები გადიოდნენ, მაგრამ კოწია ისევ საპყრობილეში იყო
დამწყვდეული. გამომძიებელს მოწმებმა უჩვენეს ზურაბის სა-

სარგებლოდ, კოწიას მოხუცის დედის ჩვენებას ყურადღება არ მიაქცევს. გამოძიების შემდეგ გადაიყვანეს საპყრობილის მეორე განყოფილებაში, სადაც ტუსაღებმა ეჭვის თვალით შეხედეს და არ დაუახლოვდნენ. მათ თავიანთი საიდუმლო ჰქონდათ და იმის ჩურჩულით გაზიარებას უნდებოდნენ. ერთს დილას ამათ გამოხერხეს ფიცარი ჰერში და გაიპარნენ საპყრობილიდან. კოწია დიდხანს ვერ ჰხედავდა მათ მაგალითისთვის წაბამვას, მაგრამ როცა აცოცდა ფოფხით ჭერამდის და დაინახა ცა და მინდორი, განთავისუფლების სურვილმა აიტაცა იგი. სცადა გაქცევა, მაგრამ დარაჯის ტყვიამ მოასწრო და უსულოდ დასცა დედამიწაზე. მეორე დღეს შვილის სანახავად მისულმა საბრალო დედამ გაიგო კაკარდიანის მოხელისაგან, რომ კოწია მოკლულ იქმნა, რადგან გაპარვა განიზრახა. ეს მწუხარება ვერ აიტანა უბედურმა დედამ, ჭკუაზედ შესცდა და მოწყალეობით სცხოვრობს. ზურაბმა კი თამამად დაიჭირა კოწიას მამული. სიუჟეტი მოთხრობისა მარტივად არის გაშლილი მკითხველის თვალწინ. ნაძალადეგობა არსად ეტყობა; ჩვეულებრივი მოვლენა ავტორმა განასაზოგადოვა და ფსიხოლოგიურის ანალიზით ინტერესი შესძინა.

მოთხრობაში „დაშორებულნი“ (1995 წ.) დ. ხომტარია შეეხო ორის თაობის ბრძოლას, უფროსთ და უნცროსთა შორის შეუთანხმებლობას. პირველის თაობის წარმომადგენელია ნიკიფორე ძველშავიძე და მეორე თაობის – მისი შვილი, სტუდენტი სიმონა. ღარიბი იმერელი აზნაურშვილი ნიკიფორე დიდის წვალეობით გამოზდის შვილს გიმნაზიაში, შემდეგ გზავნის მას უნივერსიტეტში, რის გულისთვისაც იძულებულია

- 304 -

დააგირაგოს უკანასკნელი ვენახიც. სიამაყე და იმედი ნიკიფორესი სტუდენტი სიმონა დაბრუნდება სოფელში უნივერსიტეტიდან დათხოვნილი სტუდენტების მოძრაობაში მონაწილეობის მიღების გამო. ნიკიფორე სულით დაეცა ამ სავალალო ამბის გაგონებაზე. იმდენად შეწუხებულია, რომ არც კი გამოვიდა შვილის შესახვედრად. მამა და შვილი ორის მოწინააღმდეგე აზროვნობის წარმომადგენელნი არიან. მათი შეტაკება აუცილებელია. ნიკიფორესთვის მოხელე იდეალია; მოხელედ ზრდიდა თავის შვილს, რომ ბედნიერად ეცხოვრა. შვილი გატაცებულია მოწინავე მისწრაფებით. იგი მხიარული და ძალ-ღონით სავსე ბრუნდება სამშობლოში, მაგრამ მამის საყვედური ყოველს წამს უმწარებს სიცოცხლეს. მამა საიდუმლოდ მას უმზადებს პოლიციაში მწერლის ადგილს, უბძანებს სახლში იჯდეს, ვიდრე თითონ არ დაბრუნდება, გლეხებს ნუ დაუახლოვდება, ეჭვს ნურავისში ნუ დაჰზადებს. უკანასკნელი

შეტაკება მამის და შვილის შორის სინამდვილით და გულის გასაგმირალად არის ნაამბობი. ჩვენ თვალწინ ცრემლიანი მამა სდგას, რომელსაც ვერ შეუგნია შვილის საქვეყნოდ მიმართული მისწრაფება და მის მოპირდაპირად გამოსულა. შვილი გრძნობით აღსავსე, მოსიყვარულე კაცი, მაგრამ უღონო და უსაშუალო დაეხმაროს მამის ეგოისტურს მწუხარებას. ყველანი წინაღუდგებიან სტუდენტს, დანიშნულის დედ-მამა უარს ათქმევენებს ქალს გაჰყვეს სიმონას და გაათხოვებენ სხვაზე. სიმონა ვერ აიტანს ამდენს სულის კვეთებას და გაიპარება ტფილისში. დრამას, რომელიც ახალს და ძველს თაობაში სწარმოებს, გრძელი ლიტერატურა აქვს საკაცობრიო მწერლობაში. ქართველმა ავტორმა შეიტანა თავისი წვლილი ამგვარს მხატვრულს ისტორიაში, თუმცა მეტი დაკვირვება და ანალიზი ესაჭიროებოდა ამ დიადს სიუჟეტს.

დ. ხომეტარიას ზოგიერთა მოთხრობებს აკლია ტიპიური დახასიათება, იგინი უფრო წააგვანან ფოტოგრაფიულად გადმოღებულს. სურათებს. ასეთია, მაგალითად, ამბავი „დიდი

– 305 –

შეცდომა“, სადაც სემინარიიდან გიმნაზიაში გადასული ყმაწვილი გატაცებით სწავლობს კლასიკურს ენებს, თავის ძაღლონეს ალევს, რომ სხვებს გადააჭარბოს და უბრალო შემთხვევით საეგზამენო თემაზედ დასწერს თარგმანს ერთის „დიდის შეცდომით“, რომლის გამომჟღავნებამ მასწავლებლის მხრით დასუსტებულს ყმაწვილს სისხლი ანთხევინა და სამარისაკენ გაისტუმრა. ფოტოგრაფიულადვეა გადმოღებული შინაარსი მოთხრობისა „ტასო“. თექვსმეტის წლის ქალი, გიმნაზიაში მოსწავლე, შეიყვარებს 14 წლის გიმნაზიელს ნიკოს. ვაჟმა დაუთმო საშინელის წვიმის დროს თავის ქოლგა, თითონ გაცივდა, გახდა ავად და გადაიცვალა. ამ შემთხვევის გამო ტასოც ლოგინად ჩავარდა, ამიტომ დედ-მამამ სოფლად წაიყვანა. იქ გამობრუნდა, ვარდივით გაიშალა და საქმროების თვალი მიიპყრო. ტასო სუყველას უარს ეუბნება, რადგან სურს დარჩეს ერთგული იმისი, ვინც მხოლოდ ერთხელ დაელაპარაკა და თავი შესწირა მას. მაგრამ, როცა ქალი ერთმა მოტრფიალემ, კოსტამ, მოიტაცა და წაიყვანა მთაში, იგი მოღბა და ჯვრის წერის სურვილი გამოაცხადა. ბუნდად არის დასურათებული ტასო, რომლის გათხოვებაზედ აზრის შეცვლა არ არის დასაბუთებული და მკითხველისთვის გასაგები. მის სულის ვითარება ცალმხრივ არის გათვალისწინებული და ახალის დროის მოთხოვნილება მისთვის სრულიად უცნობია.

გაკიცხვის კილოთია დაწერილი ამბავი „ბალი“. თამარის მომაკვდავი ქმარი, სერგო, წინააღმდეგია ცეკვისა, „ზნეობრი-

გად გამათახსირებელისა“, მალა აყენებს ლეკურს ვალსზედ, რომელიც „ნაყოფია იმ დროისა, როცა ქალი ნახევრად შიშველი ხელში უვარდება“ კაცს. მაგრამ თამარის მამიდის დახმარებით სერგო ნებას აძლევს წაბრძანდნენ „ბალში“, რომელიც იმართებოდა ქალაქში. „იმავე დამეს ბალიდგან დაბრუნებულს თამარს ბინაზედ დეპეშა დაახვედრეს: „სერგო გარდაიცვალა“.

ამბავი „კნინა სალომე“ დამახასიათებელია ძველის ფეო-

– 306 –

დალურის ჩვეულებებისა. კნინა, მებატონის, ქვრივი ციხეშენში გაუწყრა ახალგაზდა მღვდელს, რომ მან უიმისოდ წირვა დაიწყო და ჯვარი არ მიაართვა სამთხვევად ამბიონიდან ჩამოსულმა. ამბავი „პატარა ქველ-მომქმედი“ გაგვაცნობს ღარიბის მრეცხავის მცირე-წლოვანს ბიჭს, რომელმაც სარეცხში „ჩინონიკისაგან“ წამოდებულის ფულიდან ერთი შაური გლახას აჩუქა. ბავშვები ჰყავს გამოყვანილი აგრეთვე „მხიარულს სამხარში“, „კეთილს პეტრეში“ და სხვ. სამღვთო წერილის სიუჟეტზედ აქვს დაწერილი: „დედაკაცო! აჰა ძე შენი!“

როგორც პოეტი, დ. ხომტარია ეკუთნის აკაკის სკოლას. იგი ლირიკოსია, უგალობს პატრიოტულს და ნაციონალურს იდეებს. პირველი მისი ლექსი (1885 წ.) თავდება სიტყვებით: „ხელი ჭიქას! ვადღეგრძელოთ დაცემული ჩვენი ერი, რომ კვლავ მაინც აღსდგეს იგი და შეიქნეს ბედნიერი!“ პოეტის დანიშნულება აღნიშნა მან რიტორულს დიალოგში „ყმაწვილი და მგოსანი“, სადაც უკანასკნელი ამბობს: „ხალხს უნდა ნათლად დავუხატოთ აწმყო, წარსული და გავუღვიძოთ მონობისგან დახშული სული“. თვით პოეტის სული „ზეგარდმო მადლით შთაგონებული“ ხალხისთვის გამოუცნობიაო, უმატებს იგი ლექსში „მგოსანი“. დამღერის აგრეთვე გამაცოცხლებელს „სიყვარულს“, აქებს ბუნების ძალას – „მთის წყაროს“, რომელსაც მიაქვს თან შეუდრეკელი სურვილი სიკვდილთან ბრძოლისა, დაჰკვენესის „ტანჯულს სამშობლოს“. სულისკვეთება როცა გაუძლიერდება და უამხანაგოს, დავიწყებულს შავი ფიქრები მოაწვება, მაშინ იმედ-მოკლებულს ცრემლები უღბობენ წყლულს და დასძენს: „ოჰ, რად არ ძალმიძს მთლად ცრემლად ვიქცე. გავხდე მდინარე აღქაფებული და გადავრეცხო რაც ქვეყანაზე ბოროტებაა დამყარებული“. ეს მოქალაქობრივი კილო მის მუზისა უფრო მკაფიოდ მოისმის ლექსში „პოეტი“, სადაც, სხვათა შორის, ამბობს: „პოეტია მხოლოდ იგი, ვინც ტანჯულა ერის წყლულით, წმინდა გრძნობით გამსჭვალულა და მისთვის მღერს, რომ ჩაჰქოლოს

ბოროტება, ან დაჩაგრულთ გულს მოჰფინოს სასოება!“ მის ელეგიურის მიმართულების დამახასიათებელია კრებული ლექსებისა სათაურით „მწარე ფიქრები“ და „ცრემლები“. თუ დასაწყისში მისს შემოქმედებას ეტყობა გავლენა ნ. ბარათაშვილის, აკაკის და ორბელიანებისა, შემდეგ იგი იკვლევს საკუთარს გზას. დ. ხომტარიას ნათარგმნი აქვს აგრეთვე რუსის (ლერმონტოვის, ნადსონის) და ევროპელთ მწერალთა (ვ. ჰუგოს) ლექსები.

ანასტასია ერისთავი-ხომტარიასი

დიმიტრი ხომტარიას მეუღლე ანასტასია ერისთავის ასული სამწერლო ასპარეზზე დიდი ხანია მოქმედობს. მომეტებული ნაწილი მის ნაწერებისა გაფანტულია ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. ერთი მისი რომანი „მოლიპულს გზაზე“ ბევრნაირად საყურადღებოა ჩვენს მწერლობაში. თავდაპირველად საყურადღებოა თვით სივრცით: ამაზედ ვრცელი თხზულება ჯერ არ დაწერილა ქართულს ენაზე. გარდა ამისა, არც ერთს ქართულს რომანში ამდენნაირი წოდება თავიანთ მრავალ-რიცხოვანის წარმომადგენლებით არ ყოფილა წამოყენებული. თვით სიუჟეტი ისეა აგებული, რომ შეეხეთქებიან ძველი, ფეოდალური თაობა და ახალგაზდობა, უმაღლესის სწავლით აღჭურვილი და განახლების ოცნებით გატაცებული. რომანის შინაარსი დამყარებულია ქართველის თავადის სარდიონიშვილის ოჯახის ამბავზე. ეს თავადი ძველის დროის სტუმართ-მოყვარე და პურადი ქართველია. ზაფხულს სოფელში ატარებს, ზამთარს ტფილისში. მას ჰყავს ორი ვაჟი და ორი ქალი. ვაჟები ტიტკო და ოქრო გიმნაზიაში სწავლობენ და ქალები მაკრინე და განო ინსტიტუტში. ტიტკო და განო სწავლას ასრულებენ. პირველი შეირთავს დარბაისელს აზნაურის ქალს ანიკოს, თუმცა დედ-მამა ამის წინააღმდეგნი არიან, რადგან მათი სისხლი განირჩევა როგორც აზნაურის, ისე გლეხის სისხლისაგან. ლამაზი მაკრინეც ამავე არისტოკრატიული ცრუმორწმუნეობით არის გამსჭვალული, ამიტომაც, მმის საქციელით უკმაყოფილოა და თვით გათხოვდება ხანში შესულს მოხელეზე, რომელსაც ჯამაგირი და მამულიც მომხიბლავი აქვს. მაკრინე მდიდრულად სცხოვრობს, სადილები და წვეულებანი ხშირია მის სახლში, მრავალი თავყვანისმცემელი ჰყავს, დროს სასიამოვნოდ ატარებს. მაკრინეს დას განოს ქმრად შეხვდა თავადი როსტომი, უსაქ-

მური კაცი, რომელსაც მხოლოდ ის შნო აქვს, რომ მამულს აგირავენს და ჰყიდის ნაწილ-ნაწილად. მხოლოდ ერთადერთი ოქროა, რომელიც რასღაც ახალს ეპოტინება და ეტრფის. იგი არ კმაყოფილდება რუსეთში უნივერსიტეტის კურსის დამთავრებით, გასწევს გერმანიაში სწავლის შესავსებად და დაბრუნდება ორის წლის შემდეგ. მას დედ-მამა მკვდარი

დახვდება და მამულს უვლის ტიტკო. მაკრინემ თავის ქონება მიჰვლან-
გა, ტიტკოსაგან აღებული 5000 მან. ზედ დაადო და, რაკი ვალად მის-
გან ველარა გამოიტანა რა, შემოსწყრა ძმას და ახლა ოქროს იმედი აქვს,
რომ იგი დაიხსნის გაჭირვებისაგან. იგი განიზრახავს შერთოს „კარგს
ძმას“ მდიდარი ქალი და ამით გაიჩინოს ცხოვრების წყარო. ოქროსთვის
ბევრს უცემს გული, მაგრამ იგი არ ჩქარობს ცოლის შერთვას, – გატა-
ცებულია მამულის გაუმჯობესობის აზრით. მოულოდნელად გაიცნობს
ღარიბს თავადიშვილის ქალს ქეთინოს, რომელიც ოქროსავით მოწადი-
ნებულია შეიძინოს სწავლა და საქმიანობის გზას დაადგეს. ქეთინო მოს-
წონს ახალგაზდა და მდიდარს პალიკოს, მაგრამ ქალის ოცნება დაიპყრო
ოქროს იდეალურმა მისწრაფებამ. ორნივე შეჰფიცავენ ერთმანერთს ერთ-
გულეობას და განშორდებიან იმ პირობით, რომ მიწერ-მოწერით განუზი-
არონ ერთმანერთს აზრი და ფიქრები. მაკრინეს არ მოსწონს ძმის სატრ-
ფო და ცდილობს იმათი დაქორწინება ჩაფუშოს. ქეთინო მიიღებს ვი-
თომ ოქროსაგან მიწერილს წერილს, რომლითაც იგი უარს ჰყოფს მი-
ცემულს სიტყვას. ჯავრისაგან ქეთინო ლოგინად ჩავარდება. მასთან პა-
ლიკოც განიცდის დიდს მწუხარებას. ოქროსაც მოუვა ტფილისში ყალბი
წერილი, რომლიდან შეიტყობს, რომ ქეთინო თხოვდება პალიკოზე.
ოქროს ეს ამბავი უორკეცებს მწარე ფიქრებს, რადგან მას მამული ვალ-
ში გაეყიდა და თვით ლუკმა პურისთვის სახელმწიფო სამსახურში შევი-
და. ქეთინო დნება და მოსაბრუნებლად ურჩევნ სამზღვარგარეთ წასვლას.
პალიკოს ოცნება აღსრულდება: ქეთინო მიიღებს მის წინადადებას და
ცოლ-ქმარნი გასწევენ ევროპაში დასასვენებლად. ოქრო ვერ აიტანს სა-
ტრფოს დაკარგვას და სასიკვდილოდ გახდება ავად. სიკვდილის ჟამს ქე-
თინო ინახულებს ოქროს და აქ გამოცხადდება, რომ ქეთინოს არ მოუ-
წერია ის წერილი, რომლითაც იგი სიტყვას უბრუნებდა საქმროს. მაკ-
რინე ველარ ახერხებს დაფარვას, სინიდისი ჰქეჯნის მას და სუყველაფერს
გამოსთქვამს. მომაკვდავი ოქროს გული მეტს ველარ შესძლებს და სულს
განუტევებს. ქეთინოს გულშიც გაიღვიძებს სიყვარული, დაჭლექდა და
ჩქარა გამოეთხოვება სიცოცხლეს. პალიკო თავის მოკვლას განიზრახავს,
მაგრამ შვილის დანახვაზე, რომელიც პირწავარდნილი ქეთინოა, შეჩერ-
დება და მამის მოვალეობის აღსრულებას შეუდგება.

– 309 –

ამ რომანში სიმპათიურად დასურათებულია ქეთინო, რომელიც
იპყრობს ჩვენს ყურადღებას როგორც გარეგანის სილამაზით, აგრეთვე
სულიერის მშვენიერებით, დრამატიულის თავგადასავალით და უზადო
ზნეობითის თვისებით. ოქროც კარგად ჰყავს დახასიათებული, მის კეთილ-
შობილურის მისწრაფებით, მაგრამ განზრახვანი მისნი რჩებიან განუხორ-
ციელებელნი მაკრინეს წყალობით და ცხოვრების ბრძოლასთან მოუმზა-
დებლობის გამო.

ანასტასია ერისთავი-ხოშტარიასი დაწვრილებით და დაახლოებით
იცნობს როგორც თავად-აზნაურობის ცხოვრებას, აგრეთვე დაბალის წო-
დების – გლეხკაცობის ავ-კარგიანობას. „კომისია“ სწორედ ის ნაწარმო-
ებია, სადაც ავტორი თვალწინ გვიშლის მამულის თაობაზე ატეხილს
ღელვას და ბრძოლას გაღარიბებულთ თავადთა და წვრილ-შვილიანთ

გლახთა შუა. მოთხრობა „ლაზარემ გადააჭარბა“ იძლევა ძვირფასს ეთნო-გრაფიულს მასალას გლახთა ცხოვრების გასაცნობლად. სანტიმენტალურის ელფერით შემოსა ავტორმა თავის მოთხრობა „კერა“. მართას, მდი-დარის გლახის ქალს, შეუყვარდება ობოლი და დარიბი სიმონა. მართას დედ-მამა კი თავის ქალისთვის ეძებს შესაფერს საქმროს და მაჭანკლის შუამავლობით ჰპოულობენ კიდეც: ქალაქელს ბიჭს სანდროს. ნიშნობის წინა დამეს მართა გაიპარება სიმონას თანხლებით ამ უკანასკნელის სო-ფელში, ჯვარს დაიწერენ და აქ საწყალს ქოხში დასახლდებიან. დედამ დაივიწყა თავისი უმადური ქალი და მოიგონა მხოლოდ მამინ, როცა სიმონა მთაში დაიღუპა და მართა პატარა ვაჟიშვილით დაუბრუნდება „კერას“, მამის ოჯახის დარაჯად. რა თქმა უნდა, ქართულს ლიტერა-ტურაში არა ერთხელ აღნიშნულა გლახთა შორის თავისუფალის სიყვა-რულით შეუღლება დედ-მამის დაუკითხავად და მათ სურვილის წინააღ-მდეგ, ხოლო ანასტასია ერისთავი ცოტა აჭარბებს, როცა თავის გმირებს სამწერლო ენით აღაპარაკებს და ქალთა ინსტიტუტის ფერადებით ამკობს ისეც გულწარმტაცს მართას.

გარდა ამ მოთხრობებისა მას ეკუთნის რამდენიმე პატარა ამბავი. ავტორს ეხერხება ბუნების აღწერა და პოეტურის სურათების დახატვა.

ნიკოლოზ ნათიძე (მელანია)

ნიკოლოზ ნათიძე ცნობილი მელანიას ფსევდონიმით, იმ მი-მართულებისაა, რომელიც რეალიზმის და ნატურალიზმის სამზღვარ-ზედ სდგას. საუკეთესო მისი მოთხრობა, რომელმაც მკითხველის ყურად-

- 310 -

დება მიიპყრო, არის „ბნელო“. ამ ნაწარმოებში არ არის გატარებული განსაზღვრული საზოგადოებრივი იდეა, არც დახატულია ტიპი და არც ფსიხოლოგიური ანალიზია გმირისა; ავტორი იძლევა ნამდვილს სურათს სოფლის ყოველდღიურის ცხოვრებისას. სურათი წარმოდგენილია დიდის დაკვირვების ნიჭით და მხატვრობითის უნარით. მოთხრობის ნაწილები ერთმანერთთან არც კი არიან დაკავშირებულნი. გამოყვანილნი გმირნი, თუმცა სიუჟეტთან დაშორებულნი არიან, ცოცხლად არიან ჩამოსხმულნი, მაგალითად ეკლესიის კრებულის წევრნი. შინაარსი „ბნელოსი“ იმაში მდგომარეობს, რომ ახალგაზდა გლახი ილია თვალთაშვილი, ობლად დარ-ჩენილი მამის სიკვდილის შემდეგ, დედის გავლენით დადგება საუკეთესო მუშაკად და შეირთავს მეზობელის სოფლიდან ლამაზს ქალს. მამასახლი-სი და მისი მეგობარი თავადი შაქრო განიზრახავენ ამ ქალის ყურადღე-ბა მიიქციონ; რაკი მიზანს ვერ მიაღწევენ, მამინ ქმრის მოშორებას მო-ინდომებენ და მოახერხებენ კიდეც მის საპყრობილეში დამწყვდევას. მო-ხუცი დედა ვერ გადიტანს შვილის გაუბედურებას და მიიცილება, ხოლო სახლში დარჩება ახალგაზდა ილიას ცოლი. ამის უპატრონობით ისარ-გებლებს შაქრო, შეუყვარდება ქალს სახლში და თავის პილწს სურვილს აღსრულებაში მოიყვანს. როცა ილია დასჯის ვადას შეასრულებს და დაბრუნდება სახლში, იგი უკვე სხვა ადამიანია, „ნაყოფი პატიმრობისა“,

გაცნობილი საპყრობილეში ყოველს სიაგვაცესთან. მიწის მხვნელი გარ-
დიქვა ცხენის ქურდად და ფირალად. იგი გააგდებს თავის ცოლს, დას-
ჭრის მამასახლისს, რომელსაც შეხვდება ცოლთან, შემდეგ დაიწყებს ქურ-
დობას, რომლისთვისაც, სოფლის განაჩენით, იგი გაიდევნება საზოგადო-
ებიდან. ილიას სულისკვეთება ავტორმა გაგვაცნო ცხენის მოპარვის წამს:
„ღმერთო! რა შეგცოდნე იგეთი, რთ ეგრე დამტანჯე? მე ჩემ ყმა-
წვილობაში არ მახსოვს, რომ უღვთო რამ ჩამედინოს და, თუ ჩემმა
დედ-მამამ შეგცოდნეს რამე, მე რად მახდევიებ!.. რაღა ვარ ეხლა,
ან რაღა კაცობა მეთქმის? ცოლი მე აღარ. მყავს და შვილი; გულ-
შემატკივარი და მოკეთე მე აღარ მახადია ქვეყანაზე, გარდა მტრე-
ბისა! ჩემი სახლ-კარი სახლ-კარს აღარა ჰგავს და მამული მამულს, –
სასასაფლაოც კი დაკარგულია ჩემთვის!..“ ილია ბუნებით კარგი კა-
ცია, – იგი მსხვერპლია გარემოებისა და ცხოვრების „უსამართლობისა. აი
დედა-აზრი მოთხრობისა. უსაქმური „კნიაზ“ მაქრო დიდებულიძე, შემ-
ძლებელის მემამულის შვილი, იმავე ტიპს წარმოადგენს, როგორც ტა-
რიელ მკლავაძე ეგნატე ინგოროყვასი. „მამული ქეიფში და დროს გატა-
რებაში გაეყიდა და ბანკს დარჩა, თითონ ერთი ცუდი ზნე შერჩა ბა-

- 311 -

ტონ-ყმობის დროიდან: იგი დაჩვეული იყო პატარძლებში სიარულს და
ბოლოს ძალიან ძვირად უჯდებოდა ეს ჩვეულება. ამ შემთხვევაში მო-
კავშირედ ჰყავდა მამასახლისი. უძვირფასესი ადგილი შაქროსთვის სო-
ფელში იყო არტემას დუქნის წინ. ეს მედუქნე, სოფლის წურბელა და
„ბურჟუა“ მკრთალად ჰყავს დახატული.

შაქროს მსგავსი კნიაზი გამოყვანილი ჰყავს მოთხრობაში „ლადი-
კო“. ეს გმირიც, მესამე კლასიდან დათხოვნილი და აფიცრის ეპოლეტებს
მიუღწევნელი, დედის ბაბალებს მიერ გათამამებული, შეეჩვია ღვინის სმას
და ჭირვეულობას. გარს შემოერთყა უსაქმური და მოქეიფე ახალგაზდო-
ბა, რომლის დახმარებით განიზრახა მდიდარის ასატურას ქალის მოტა-
ცება, მაგრამ გზად დასჭრა გლეხი, რომელმაც გაუბედა კნიაზს ცხენი მი-
ეყენებინა. ამის გამო პასუხის გებაში მისცეს ლადიკო და ციმბირში გა-
გზავნეს. მოთხრობაში „კრიალოსანი“ ახალის დროის მემამულეა გამოყვა-
ნილი, მას სურს მამა-პაპათა ჩვეულებას გადაუხვიოს და გააუმჯობესოს
მეურნეობა, მაგრამ მუხის ძირას იგი ეძლევა მხოლოდ ოცნებას და მა-
მულის დაგირავება და გაყიდვა ვერ აიცდინა. თუმცა ახალს დროებას
ებლაუჭება, მაინც ჯერ კიდევ ცრუმორწმუნეობას ემორჩილება: მას სწამს
კრიალოსანის ძალა, რომლის დაკარგვა მისთვის ბედნიერების გაქარ-
წყლების მაჩვენებელია. ტენდენციური იდეა არის გატარებული მოთხრო-
ბაში „ნავარდობა“: სომეხი უანდერძებს თავის შვილს ყოველრიგად
მოატყუოს ქართველი. საერთოდ ნ. ნათიძის მოთხრობები, ფოტოგრა-
ფიულად გადმოღებულნი, ჩვენის ქვეყნის ცოცხალი სურათები არიან.

იაკობ ცინცაძე (ია ეკალაძე)

იაკობ ცინცაძე, მწერლობაში ცნობილი ია ეკალაძის და თომანთ კობას ფსევდონიმით, დაიბადა 1872 წ. 26 მარტს ს. ციმისში, თერგის ოლქში, სადაც იმის მამა თომა მთავარ-დიაკვნად იყო. პირველ-დაწყებითი სწავლა მიიღო ჯავის სამრევლო სკოლაში. 1881 წ. მიაბარეს გორის სასულიერო სასწავლებელში, სადაც მას ხელმძღვანელად და მფარველად აღმოუჩნდა მასწავლებელი ს. მაგალობლიშვილი. ამის მეთაურობით დაარსდა ხელნაწერი ჟურნალი „შრომა“, სადაც ია, მეოთხე კლასის მოსწავლე, იღებდა მონაწილეობას. 1887 წ. გადავიდა სასულიერო სემინარიაში. აქ იგი ითვლებოდა კარგს მოწაფედ. 1893 წ., იმ დროს, როცა იაკობი უკანასკნელს კლასში იყო, სემინარიიდან სხვა შეგნებულს

- 312 -

მოწაფეებთან ერთად გამორიცხეს იგი და ტანჯვის ცხოვრების გზაზე დააყენეს.

პირველი მისი მოთხრობა დაიბეჭდა 1894 წ. და ამის შემდეგ „ივერიის“ რედაქციაში იქმნა მიწვეული. ეს გაზეთი 1897 წ. მთავრობამ შეაჩერა ცინცაძის მოთხრობის გამო („მოწაფეთა ცხოვრებიდან“) და ავტორი ადმინისტრაციული წესით გადასახლებულ იქმნა ლენქორანში სამის წლის ვადით. 1906 წ. შევიდა იგი ყაზანის უნივერსიტეტში და გაათავა აქ იურიდიული ფაკულტეტი 1910 წ. უმაღლესის სწავლის მიღებამდე ბევრგვარი სამსახური გამოიცვალა: იგი იყო გადამწერლად, კანტორშიკად, მსახურებდა რკინის გზაზე, დამზღვევს საზოგადოებაში, ბანკში და ასეთმა სამსახურმა ბევრი გამოცდილება და დაკვირვება შესძლვნა.

ი. ცინცაძის თხზულებათა კრებულის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, ვინ ჰყავს მას გმირად გამოყვანილი და რას აგვიწერს: „ეს არი დღევანდელი უკულმართობა და ძალმომრეობა, და მისი სიმპათია და სიყვარული იმათკენ არის, ვინც იბრძვის ასეთის უსამართლობის წინააღმდეგ“. „როდის, ნეტა როდის მოეღება ბოლო ამ უკულმართობას, როდის იქნება, ყველა მამდარი და კმაყოფილი იყოს თავის ბედისაო?!“ – ეკითხება თავის თავს ილიკო ბედენაძე, გმირი ესკიზისა ამავე სათაურით. ეს არის ცხოვრების საკითხი ი. ცინცაძის ყველა გმირებისა. ერთის მხრით დაჩაგრულები, მეორე მხრით დამჩაგვრელები, ერთის მხრით გაიძვერელები, მამდრები, მეორე მხრით პატიოსნები, მშვიდები, – მხოლოდ ამას ხედავს იგი ცხოვრებაში. მას ბუნებაც ვერ წარმოუდგენია სხვაფრივ, თუ არა ადამიანთა ცხოვრების უსამართლობის გამოძახტველად. გლახის სალამურის ხმაში მას ესმის მშვიდის სიტყვები: „ადამიანები არა ხართ, პური მაჭამეთ, შიმშილით ეკვდებით!“ ხანდახან გაექცევა კაცთა საზოგადოებას, მირბის ტყეში, ზღვისკენ, მთისკენ და მწარედ შესჩივლებს მათ: „რა არის კაცი, თუ მარად ჟამს მონა იქნება, მონა ცბიერი, მონა მხდალი და მატყუარა, მონა ფულის და ვნებათა“. იგი სუყველგან დაემებს დასცეს „მონობა“ და ლექსისებურს ესკიზში „ზღვის პირად“ გულსავსებით წამოიძახებს: „ოხ! რათ არ ძალმიძს მე ბედკრულსა სამოვლისებრ მოვნახო გმირი, გამომხსნელი ხალხთა ტანჯვისგან“. მის იდეალია „მმობა, ერთობა“ (ლექსისებური „ტყეშიც“).

ი. ცინცაძის ნაწერებს სიბიექტური ბეჭედი აზის. სვიმონ ქვარია-ნის სიტყვით, ი. ცინცაძის ღირსებას შეადგენს ის სამსახური, რომელიც მან გაუწია ჩვენს მწერლობას ინტელიგენტურის პროლეტარის დასურა-

თებით. მისი გმირები – თვით ავტორის სურათები არიან, რომელმაც სემინარიიდან გამოდევნის შემდეგ დიდის წვალებით შეივსო სწავლის ნა-

– 313 –

კლი. თავის გმირების მსგავსად (გენო, ილიკო, ტიმოთე) ვერც იგი შეუთვისდა სასწავლებლის რეჟიმს, სამსახურის ასპარეზს და ცხოვრების ტალღებს შეებრძოლა. „გლეხის სიზმარი“ (სადღესასწაულო ფანტაზია), „ადღგომა ღამეს“, „წერილები“ წამბამძველობითის ხასიათისანი არიან, ხოლო ლექსნი პროზად „ცას“, „მთაო მაღალო“, „ფანტაზია“ შესანიშნავნი არიან სტილის და სიუჟეტის მხრით. მაგრამ უფრო საყურადღებონი არიან ავტობიოგრაფიული მოთხრობები: „ილიკო ბედენამე“ და „დაუდგარი“ (წერილი მეგობართან), სადაც ჩვენ თვალწინ შევიწროებულს პირობებში გაივლის სემინარიას ბედენამე, ვიდრე არ დაითხოვენ სასწავლებლიდან და უატესტატო და უპატრონო მოურავად არ დადგება (იგივე ილიკო ტიმოთეს სახელით) დროებით თავადის მამულში. გენოც, ცოლ-შვილიანი გმირი ამბავისა „ოლონდაც“, უდიპლომო, დაკმაყოფილება მცირედის ჯამაგირით და ოცნებას მიივიწყებს. თეო, გმირი ამავე სახელის ამბავისა, და მისი საყვარელი ზურა, ხალხისადმი სამსახურის იდეით გატაცებულნი, გახსნიან სასოფლო სკოლას და განათლებისთვის იბრძვიან, მაგრამ მომეტებული ნაწილი ინტელიგენციისა ავტორს გამოყვანილი ჰყავს ფუქსავატად და მხოლოდ მაღალის ფრაზებით მოლაპარაკედ (ესკიზი „კრებაზე“). ერთს ეტიუდში გაჰკიცხა ეგოისტი, რომელმაც გული აიცრუა ქართულს ენაზედ და თეატრზედ, მეორეში ჯვარს აცვა მასწავლებელი, რომელსაც არა „აქვს შეგნებული თავის მოვალეობა.

ნინო ორბელიანისა

ნინო ორბელიანისა სამწერლო ასპარეზზედ გამოვიდა მესამოცე წლების დამდეგს. მის ლექსები მოკლებულნი არიან თავისებურს კილოს და შინაარსს; იგინი განმეორებაა ნ. ბარათაშვილის („დედავ მღვთისავ“), გრ. ორბელიანის („მუშა“), ილია ჭავჭავაძის („მტკვარს“) და აკაკის მელოდიებისა. მამულისადმი სიყვარული და პირადი უკმაყოფილება უფრო ხშირად გაისმის მის ნაწარმოებში. რამდენიმე ლექსი მიძღვნილია მწერლების, მოღვაწეების და კერძო ნაცნობებისადმი. ლექსი „ჭმუნვა“ (1859 წ.) დამახასიათებელია მგოსნის მიმართულებისა და სულის ვითარებისა. უნუგეშო და უმწეო იგი რიონის პირას მიეცემა მწარე ფიქრებს და ბოლოს იმედს მაინც ჩაისახავს გულში.

ოხვრამ და ჭმუნვამ გული ჩემი შემუსრა მწარედ,
ვიგლოვ აწ ბედსა და ვიმყოფი ესრედ მწუხარედ;

– 314 –

ვერსაით ვხედავ სანუგეშოს, ვერა რა მხარედ,

ვფიქრობ მე მრავალს უიმედოს აზრებს მდუმარედ...
ყვავილთ თოვლთ ქვეშე გამომჭვრეტელს ვუმზერ მე ჭმუნვით,
სვისგან დაჩაგრულთ, უიმედოთ, ფერ-მკრთალთ, თავდახრილთ...
მყის განვიძრახე, უიმედოთ, ფერ-მკრთალთ, თავდახრილთ...
მაგრამ ეს რა ვსთქვი, რად ავჩქარდი ყმაწვილურადა
მოწყვეტა ვკადრე, განვიზრახე მოვსპო მტრულადა?..
ვგონებ ასე სჯობს, რომ ნუგეში ჩემ თავსაც მივცე,
ზაფხულის დრომდის გავუფრთხილდე და ნუგეში ვსცე,
ოდეს მზის სხივი მას დახედავს, ააღორძინებს,
ყინვებს დაადნობს, და ყვავილებს ააბიბინებს.

ელეგიის გარდა მგოსანს სატირაც ეხერხება, სადაც ჰკიცხავს „ვე-
ჩერებში“ დროს გატარებას. ბოროტის და კეთილის განუკითხველობა
დაგმობილი აქვს ლექსში „ეგ სულ ერთია“ („კეთილი იყოს თუნდა ბო-
როტი“). ზოგი მისი ლექსები სასიმღეროდ არიან ხალხში გადაკეთებულნი,
მაგალითად: „ნეტავ ეხლა სადა ხარ და რომელსა მხარესა, ვის უზიხარ
მახლობლად, ვის უშტერებ თვალებსა“. ასეთივეა ლექსნი: „ვინც მი-
ყვარდა, იგივე მიყვარს, ის არი“, „სონაბაჯის ხმაზედ“ („ავათა ვარ, შე-
ნი ნახვა მომინდა“). პატრიოტულს ჰანგზედ ხშირად აწყობს თავის სიმებს:
„ჩემი ლოცვა“ („დღეს შეგავედრებ ჩემსა სამშობლოს“), „ფანტაზია“
 („არ მეშინიან ბედის წერისა“). მიძღვნილთ ლექსთა შორის საყურად-
ღებოა ერთი, სადაც ზოგადი აზრია გატარებული: „რასა იქმ, ჩემო
ძმობილო, ნუ შეუპყრიხარ სევდასა, წარსულში ბედით ტკბობილო,
გთხოვ გაუმაგრდე ელდასა. ჩარხია ესე სოფელი, ყოველი წარმავალია,
უნდა გაუძლო სულგრძელად, რაც ბედით მომავალია“.

იოსებ ბაქრაძე

იოსებ ბაქრაძე ცნობილია როგორც მთარგმნელი. მისი მოღვაწე-
ობა იწყება „მნათობში“ 1870 წ. პირველი ნათარგმნი და დაბეჭდილი
ნაწარმოები იოსებ ბაქრაძისა იყო „ჩაილდ-ჰაროლდი“. გარდა ამისა
ბაქრაძეს ეკუთნის ვალტერ სკოტის რომანის „აივენგოს“ და გუცკოვის
დრამის „ურიელ აკოსტას“ ქართულად გადმოღება. სომხურიდან სუნ-
დუკიანცის პიესები „პეპო“ და „ხათაბალა“ გადმოაქართულ'. გადმო-
ილო აგრეთვე რამდენიმე ლექსი ჰეინესი, ბაირონისა და სხვ.

– 315 –

პეტრე უმიკაშვილი

(1838 – 1904)

პეტრე უმიკაშვილი დაიბადა ტფილისში, სწავლა მიიღო აქაურს
გიმნაზიაში და პეტერბურგის უნივერსიტეტში (1864 – 1867). 1868 წლი-

დან ვიდრე 1893 წ. იგი ქართულის ენის მასწავლებლად იყო ტფილისის I გიმნაზიაში. პირველი მისი ნაწერი გადმოღებულია კარამზინიდან: „მწერალს რა ეჭირვება“ და დაბეჭდილია „ცისკარში“, სადაც ჰბეჭდავს აგრეთვე ნ. ბარათაშვილის ლექსებს. შემდეგ იგი იღებს მონაწილეობას „დროებაში“, „ივერიაში“, „კრებულში“, „მომბეში“ ხან საკუთარის სახელის მოწერით და ხან ფსევდონიმით „ანჩისხატელი“ და „მ. პეტრიძე“. 1873 წ. გ. წერეთელმა გადასცა მას „სასოფლო გაზეთი“, რომელიც 7 წელი მის ხელმძღვანელობით გამოდიოდა. დიდი სამსახური გაუწია საზოგადოებას ძველის მწერლების გამოცემით და მათ მოღვაწეობის განმარტებით. ამგვარს ნაშრომს ეკუთვნის გამოცემა დ. გურამიშვილის ნაწერებისა, ს.-ს. ორბელიანის არაკებისა, „ვისრამიანისა“, მეფე ვახტანგის „დასტულამასი“. ყურადღება მიაქცია სახალხო სიტყვიერებასაც და გამოსცა „ერეკლე“, „ეთერიანი“, „სოლოღას ლექსი“ და „არსენას ლექსი“; აგრეთვე ძველად ცნობილი ნაწერები: „ბეჟანიანი“, „ქალ-ვაჟიანი“. ქართულის თეატრისთვის დასწერა „სამზადისი“, „მისანი“, „მახლას“, „ჯოჯოხეთში“, „ალერსთა ბადე“, „დამარცხებულნი“, „ბენეფისის წინ“. გადმოსთარგმნა კომედია პ. ფერრარისა „გოლდონი“. ბოლოს ისპანიური მოთხრობა „ლაზარილიო ტორმასელი“.

გრიგოლ აბაშიძე

(1866 – 1903)

გრიგოლ აბაშიძე, ნიჭიერი მოწაფე აკაკი წერეთლისა, დაიბადა 1866 წ. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც მიაღწია მე-IV კლასამდის; წერა დაიწყო გიმნაზიაში შესვლამდის და მოკლე ხნის განმავლობაში შექმნა რამდენიმე საუკეთესო ლექსი და სთარგმნა რუსის და უცხოელის მწერლების ნაწარმოებნი. განსაკუთრებით იმის ყურადღება მიიქცია ლერმონტოვმა, რომლის ლექსები საუცხოვოდ გადმოაქართულა: „თერგის ძღვენი“ „წყნარი ღამე“, „ოდეს ბიბინებს ოქროს ფრად პური მღელავი“, „მკვდრის სიყვარული“, „მწირი“. სთარგმნა ვ. ჰუმბოლტის

- 316 -

გოსი: A une femme „სურათი“, სიული პრუდომისა: „გატეხილი ვაზა“, „ზეშთაგონება“, კოპკესი „ბუდდას მერცხალი“, ედვინ არნოლდისა „მნათობი აზიისა“, დევინისა „მთა ზეთის ხილისა“, არტამონისა „თერთრი ჩადრი“, შილლერისა „გამოცანა“, ჰეინესი „სამი მგზავრი“, ჰუმბოლტისა „ჯურდმულში“, ალექსი ტოლსტოისა „დაე ხალხის ხმას ის შეუშინდეს“, პლემშევევისა „აბა, ჰე, ძმებო, უშიშრად და მხნედ“. ორიგინალურს მის ლექსებს ატყვია ზედგავლენა აკაკის (მაგალ. ლექსში „მუშური სიმღერა“), ნ. ბარათაშვილისა („კმარა დამეხსენ, შეჩვენებულო!“), ილია ჭავჭავაძისა („გახსოვს, მაცდურო, შენ ის საღამო“), რაფ. ერისთავისა („ღმერთო, ბატონო!“). იმ ნაწარმოებში, რომელიც გრ. აბაშიძეს დამოუკიდებელივ აქვს დაწერილი, იგი მიმდევარია ანაკრეონტულის

მიმართულებისა. პოეტი შესტოფის მამულს, ბუნებას, სიყვარულს. მისი პოეზია არისტოკრატის შესხმა ფრინველთა ჭიკჭიკის და ყვავილთა სურნელოვანებისა. ლექსი მისი გარეგნობით ვირტუოზულია, უმწიკვლო და მელოდიური. სამშობლო, დედა ენა, მოძმე ერი – აი იდეური საგნები, რომელსაც მისი მუზა დასტრიალებს. აი როგორ გამოსთქვამს სიყვარულს მამულის და მოძმის მიმართ: „ვარდ-ყვავილად აღყვავებულს, ჩემს პატარა კობტა მამულს მტლად დავუდებ ჩემს სიცოცხლეს, სიჭაბუკეს გალომებულს. ჩემთა მოძმეთ იმედს და ზედს, იმათს ზრუნვას წინამორბედს დავანაცვლებ ჩემს ჩანგს, კალამს, გრძნობებს დავსწვავ, ვითა აბედს“.

პოეტი ერის გულის მოძრაობის და სულისკვეთების გამომთქმელი იყო: „ერის ხმას მივდეგ კვალ და კვალ, იგია ჩემი ძალ-ღონე, დეე, თუ დასაგმობი ვარ, დამგმოს თვით ერის ნება და შემიჩვენოს ხსენება საუმჯობესო მცნება!“ მის მისწრაფებას შეადგენს გახედეს „დავრდომილთა ფარად“ და „გულ-დამწვარის მოძმედ“. პოეტი აქებს შრომას, ადიდებს ცოდნას, აკურთხებს „მუშა ბესიას“, რომელსაც უყვარს ოფლით ნაშოვნი ლუკმა პური. განსაკუთრებით მის პოეზიის თვისებას შეადგენს ოპტიმიზმი, სულის ამალღება, სასოებიანი რწმენა. ცის ქუხილი და წვიმა მას არ აშინებს, ღვთის იმედს არ ჰკარგავს, „თავის სალოცს უძღვნის თავყვანს“ ყოველს მოვლენილს ჭირ-ვარამის დროსაც. პოეტს სწამდა თავის მუზის ძალა და მნიშვნელობა და ამიტომ გაბედვით ამბობდა: „მე მკვდარი არ ვარ, არც მოკვდები, ვიცხოვრებ მარად, ჩემი წარსული, მომავალი მექნება ფარად“. პოეტი უდროოდ გარდაიცვალა პეტერბურგში 13 მარტს 1903 წ. ფსიხიატრულს საავადმყოფოში. კრებული მის ნაწერებისა დაიბეჭდა ქუთაისში 1901 წ. ეპიგრაფად მის ლექსებს შეიძლება წავუმდვაროთ მისივე სიტყვები: „რას მიქვია მწუხარება, მრავალ გლოვა, კვნესა ავზე, ოდეს წინ სვლის წმინდა სხივი იმედს სახავს კამ-

- 317 -

კამ ცაზე. რა ენაწყლიანად ხმარობს ლექსთ-წყობას, ამას მოწმობს იმისი ლექსი „გაზაფხულის ამო ძალა“:

გაზაფხულის ამო ძალა სოფელს უმღერს „ქებათ-ქებას“,
სევდა იმედს ენაცვალა და სამგოსნო აღტაცებას;
ანავარდდა სული, გული, გრძნობა წმინდა, მონარნარე,
თვალსაჩინოდ მოქარგული ახავერდდა არე-მარე,
გაიფურჩქხენ ია-ვარდი, მოეკაზმა მდელოს გული,
მერცხალთ იწყეს ცად ნავარდი, ნანას უმღერს ვარდს ბულბული,
მზის ამოსვლას ელოდება სასოებით ქვეყნად ყველა
და ზეცაზედ ისახება განახლების ცისარტყელა.

გრიგოლ ვოლსკი

გრიგოლ ვოლსკი, ექიმი, საზოგადო მოღვაწე და პოეტი, ცნობილია მწერლობაში „უმწიფარიძის“ ფსევდონიმით. გარეგანის ფორმით მის ლექსები აკაკისებურნი, არიან, მინაარსით ემსახურებიან პატრიოტულს

იდეას და სატრფიალო გრძნობას. მისი „შენ გეტრფი მარად“ გადაღებულია ნოტებზე და სასიმღერო ლექსად არის გადაქცეული. ალეგორიულადაც თუ არ ავხსნით ამ ტკბილს სალირიკო ნაწარმოებს, მაშინაც იგი თავის ჰარმონიით იპყრობს ჩვენს ყურადღებას:

ოდეს მეწვევა სევდა დამწველი
და გულ-ღვიძლს მიღრღნის, ვით მგესლი გველი,
შენი სახე მყავს მაშინ მხსნელ-ფარად...
შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად.
რა წამსაც მეტევი საქმეს საგმიროს,
თუნდ მტრის ლახვარმაც მომკლას, გამგმიროს.
შენთვის სიკვდილსაც მივიჩნევ არად...
სიკვდილის ჟამსაც მექნება ნატვრად,
რომ შენი ცრემლი ციურ საჩუქრად,
ჩემს ობოლს საფლავს დაეცეს ცვარად...
ჭირსა თუ ლხინში, ყველგან ყოველთვის
გული გონება შენსკენ მომელტვის,
მარტო შენ მწამხარ ხატად და ჯვარად....

- 318 -

ელეგიური გრძნობა ჩაწულია ლექსში „როს საუკუნოდ დავდუმდე“, რომელიც თავდება მამულის აყვავების სურვილით.

როს საუკუნოდ დავდუმდე, გულმა შესწყვიტოს ძგერანი,
სიყვარულისა შესწვევითონ სიმთა მკრთოლვარე ჟღერანი,
ვეღარ ვხედავდე მშობელ ცას, მომაკლდეს სატრფოს მზერანი,
აღსრულდეს აღსასრულისა, გარდუვალ ბედის წერანი, –
ნუ დამიტირებ, ნუ მიგლოვ, ცრემლსა ნუ დაღვრი ცხარესა,
სახეს ნუ იხოვ ლამაზსა, ჩემის სიცოცხლის მთვარესა,
თმას ნუ გაიშლი, გიშრის თმას, მოთქმას ნუ მასმენ მწარესა,
რომ შენს სიკვდიდმდე ტრფიალსა გულს მიწა წამაყარესა.
გულსა, სად დუღდა სისხლ-ცრემლი, დე დაესიონ ჭიანი,
ოღონდ საფლავზე ჰყვოდნენ ვარდნი ფურჩქვნილნი, იანი, –
დაეხსენ მოვკვდე, დავმიწდე, მატლთა გულს მისცენ ზიანი,
ოღოსდ შენ, სატრფოვ, ხარობდე და ცა სხივს გფენდეს მზიანი.
გარდა ლექსებისა გრ. ვოლსკიმ დაბეჭდა რამდენიმე საპუბლიცისტო
წერილიც, სთარგმნა ჩეხოვის პიესა „დათვი“, ანდერსენის ზღაპარი ქართულად და ქართულიდან რუსულად „კაცია ადამიანის“ ნაწყვეტი, აგრეთვე რამდენიმე მოთხრობა შ. დედაბრიშვილისა და დიმ. ხოშტარიასი. ბოლოს დროს დანიშნეს ქართულის ენის მასწავლებლად ტფილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, მაგრამ დიდხანს არ მოუხდა ამ ასპარეზზედ სამსახური და უდროოდ გარდაიცვალა 1909 წ. ტფილისში და დასაფლავებულ იქმნა ბათუმში, რომელსაც დიდი სამსახური გაუწია, როგორც ქალაქის საბჭოს წევრმა.

ვარლამ რუხაძე

ვარლამ რუხაძე ცნობილია ხალხში იმის ჭირ-ვარამის მგოსნად. დაიბადა სოფ. ქვიტირში 1874 წელს. ცხრა წლამდის ცელქი ბავშვი ამ სოფელში იზრდებოდა და წერა-კითხვაც შეისწავლა. შემდეგ მამამ, მელვინემ ქუთაისში, წაიყვანა თავისთან და უნდოდა სამიკიტნოს ხელობისათვის აღეზარდა, მაგრამ საქმე ცუდად წაუვიდა და სოფელში დაბრუნდა. ვარლამმა კი დაიწყო სხვა და სხვა ალაგას – ფოთში, სოხუმში და ბათუმში – სამსახური და თავისუფალს დროს წიგნების კითხვას ანდომებდა. ლექსების წერა დაიწყო 1892 წ. პატრიოტულის მწერლო-

- 319 -

ტის ზედგავლენით („ცხვრები და დათვი“), ხოლო 1898 წ. მის პოეზიაში იწყება ახალი ხანა, რომელიც ახასიათებს მას, როგორც მუშა ხალხის მისწრაფებათა გამოძახებელი. იგი, როგორც ლირიკოსი, უკვირდება თანამედროვე წყობილებას და მასში ხედავს მხოლოდ ძალმომრეობას, მონობას და სიღატაკეს. ეს ხდება იმიტომ, რომ ერთი მუჭა ფუფუნებაშია, და მათ გარშემო კი ოხვრა-კვნესაა. პოეტი მაინც სასოწარკვეთილებას არ ეძლევა და სწამს, რომ ჭეშმარიტება საბოლოოთ გაიმარჯვებს. „მომავლის“ შესაცვლელად საჭიროა ბრძოლა თავგანწირული: „ვიდრე სრულიად არ მივალწევთ მიზანს ტანჯულნი, ძირს არ დავუშვებთ საბრძოლველად ამართულ ხელებს“ (ლექსი „პროლეტარიატის აღსარება“). მეორე ლექსში „ჩვენ წინ მივდივართ“ იგი ამბობს: „ჩამოდექით ბოროტის ძალნი! ვერ შეგვაშინებს თქვენი ტყვია და სახრჩობელა! მუდამ ვიბრძოლებთ თავგანწირვით, ვიდრე ჩვენს ცაზე არ გამოჩნდება გამარჯვების თვით ცისარტყელა“. დასტირის მშრომელთა სისხლით სოფელ-ქალაქის შეღებვას („ამონაკვნესი“) და მიულოცავს ძმობა-ერთობის გამარჯვებას „შეგნებულის გლეხის სიმღერაში“. სამოქალაქო თემაზედ დაწერილთა ლექსთა გარდა, აქვს მხატვრობით შექმნილი სურათებიც, მაგალ., „თაიგული“ (აკაკისადმი).

პარმენ თვალჭრელიძე (ცახელი)

პ. თვალჭრელიძე, ცნობილი ცახელის ფსევდონიმით, სარგებლობს ხალხურის თქმულებით მხატვრულის ნაწარმოების შესაქმნელად. ამგვარს ლექსებს ეკუთნის მისი: „მარინე“, „ზაალი“, „უკვდავის არდალი“ (ლეგენდა) და „გურგენ რაინდი“ (ლეგენდა). რამდენისამე ლექსის აზრი აღებული აქვს რუსულიდან („დაკარგული შვილი“, „მკვდრების სიცილი“). პოეტს უყვარს საოცნებო და საიდუმლო გარემოება, ფანტაზია მისი საკვირველებათა შორის დაჰფრინავს, რომანტიულს იდეალს დამღერის „სიყვარულის მსხვერპლი“ შეიცავს ასეთს სურათს:

სამარესავით ბნელ ღამეს რაღაც საშიში დიადი
ბუნებას გადაჰფენოდა ჯოჯოხეთური წყვილიადი
და ძალი ჯადოსნობისა გაშლილი იყო ყველგანა,

ღრმა ფიქრში ჩაძირულიყო დადუმებული ქვეყანა.

გარჩევა ლეგენდისა „გურგენ რაინდი“ ეკუთნის სტ. ჭრელაშვილს („ივერიაში“). შეძლებული და მკლავ-ლონიერი რაინდი გურგენი მოსარ-ჩლეა სიმართლისა და ძლევა-მოსილად ებრძვის მტარვალობას, როგორც

- 320 -

მასზედ მოსეულოს, ისე სხვაზედაც. მოაწია ხმამ, რომ სადღაც მტარვალი შესჩენია უძღურთ „და წვალობს ურჯულოთა შორის ქრისტიანი ერიო“. მაშინათვე შეჰკრებს ჯარს, გამოეთხოვება თავის მშვენიერს ახალგაზდა ცოლს მზისადარს, რომელიც ორსულად არის, ჩააბარებს თავის მოურავს ხალხსა. სახლსა და სარჩო-საბადებელს, ადგება და „თავის გმირების კრებითა“ გასწევს უძღურთა დასახსნელად. მოურავი დაეპატრონება გურგენის საცხოვრებელს, დაიმორჩილებს ხალხს და გაბატონდება. ბოლოს განიზრახავს გურგენის ცოლის გამეგობრებასაც. მზისადარი არ დაჰყვება მტარვალის ნებას. მოურავი დააპატიმრებს მზისადარს და გურგენთან გაჰგზავნის წერილს, რაშიაც ცოლ-ქმრობის დალატის ცილს დასწამებს მზისადარს. განრისხებული გურგენი შემოუთვლის მოურავს – სიკვდილით დასაჯე მოლალატეო. მოურავი შეჰკრებს ხალხს, დაიბარებს პატიმარს, გამოუცხადებს გურგენის გარდაწყვეტილებას და თავის უმანკო მსხვერპლს გაატანს ჯალათებს ტყეში მოსაკლავად. ჯალათნი ვერ გაჰბედვენ მზისადარის სისხლის დაღვრას და გაუშვებენ შორს ტყეში თავისუფლად: ნადირმა შესჭამოს და ჩვენ კი მაგის ცოდოს ნუ დავიდებთო. ნადირნი ალერსით მოეპყრობიან ქალს, რომელიც დასახლდება ტყეში და იკვებება ხილითა და ბალახეულის ძირკვებით. ეყოლება შვილი, რომელსაც დაარქმევს საბრალოს. მრავალთ ნაკლებულეზათ გამო დედას გაუშრება ძუძუ, მაგრამ ნუკრ-დაკარგული დედა-ირემი იხსნის მათ გაჭირვებისაგან. ბაღლი და ირემი შეეჩვევიან ერთმანერთს და ერთად თამაშობენ. საბრალოს მამა გურგენი დაამარცხებს ქრისტიანობის მტერს და დაბრუნდება სახლში. მაგრამ მოურავი მტრულად დახვდება და დაუკეტავს კარებს. გურგენი ხმლით აიღებს სახლს და დაიბრუნებს ბატონობას, მაგრამ არა ახარებს რა ცოლის დამკარგავს. ერთხელ სტუმრად მისულს მოკეთეებს გაჰყვება სანადიროდ და წააწყდებიან იმ ირემს, რომელიც მის ცოლ-შვილთან არის შეჩვეული. გაჰყვება ამ პირუტყვს და წააწყდება შვიდის წლის ყმაწვილს თავის დედით. იცნობენ ერთმანერთს და სიხარულით გათავდება ხანგრძლივი მწუხარება მათი. სტ. ჭრელაშვილის აზრით ავტორმა ვერ გამოიყენა ეს ტურფა ლეგენდა, რომ მკითხველისთვის დაეხატნა ხასიათი და სული მომქედის პირებისა.

სილოვან ხუნდაძე

სილოვან ხუნდაძე – პოეტი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი და ფილოლოგი, დაიბადა 3 აპრილს 1860 წ. სწავლა მიიღო მარტვილის სასუ-

- 321 -

ლიერო სასწავლებელში, ქუთაისის გიმნაზიაში და პეტერბურგის უნი-
ვერსიტეტში აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზედ. უმაღლესის განათლე-
ბის დამთავრების შემდეგ მასწავლებლობს ქუთაისის სათავად-აზნაურო
გიმნაზიაში. იმის კალამს ეკუთნის სამეცნიერო ნაწერები: „ქართული
ზმნები“, „სალიტერატურო ქართული“, „ქართული გრამატიკა“. გარდა
ამისა გამოცემულია მისი „ლექსები“ და „სიმები“ (1894 წ.), სადაც
მოთავსებულია, სხვათა შორის, მალოროსიულიდან ნათარგმნი „ქრიან
ქარნი“, პოემა „გემის დაღუპვა“ (1896 წ.), „მეზობლები“ (სურათი
ხალხის ცხოვრებიდან) და „თოთოლას სიზმარი“ (1899 წ.), „ჩემი აზ-
რი და ფიქრები“ (1901 წ.), სადაც მოქცეულია გარჩევა ილ. ჭავჭავა-
ძის ლექსებისა, „ცხოვრების სურათები“ (მეორე წიგნი „ჩემი აზრების
და ფიქრებისა“). მისი კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები გა-
ფანტული არიან სხვა და სხვა ქართულს ჟურნალ-გაზეთში. ცნობილი
არიან მის წერილები გრ. ორბელიანის მოღვაწეობის შესახებ და ძველს
ქართულს თამაშობებზედ. როგორც პოეტი და პუბლიცისტი, იგი მხურ-
ვალე მოსიყვარულეა სამშობლოსი და დედა ენისა (ლექსები „არაგვს“,
„სიყვარული“, „პოეტი“).

დომინიკა მდივნისა (განდეგილი)

ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის პოეზიამ შექმნა სკოლა მი-
მდევართა, რომელთა შორის ლექსთ-წყობის უნარით და გამომეტყველის
ენით ყურადღებას იქცევს დომინიკა მდივნისა, ცნობილი მწერლობაში
განდეგილის ფსევდონიმით. პირველი მისი ლექსი „ნიკოლოზ ბარათა-
შვილს“ დაწერილია 1893 წ. პოეტის ნეშთის განჯიდან ტფილისში გად-
მოსვენების გამო. პატრიოტული ჰანგი მოისმის საუცხოვოდ დასურათე-
ბულს ლექსში „ბუნდოვან „ცაზედ“ და უფრო მძლავრად „ვნახე სამშო-
ბლო აღყვავებული“. იმედი მამულის გამოღვიძების და აღდგენისა გა-
მოთქმულია ლექსში „დილა“, სადაც ცას და ქვეყანას საამქვეყნო გამო-
ცანას ამღერებს:

დღით მზე ჰნათობს, ღამით მთვარე,
დღე ღამეს სდევს, ღამე დღესო,
თუ წევდიადი არ გინახავს,
ფასს ვერ დასდებ სინათლესო.
ვინც წარსულს დროს სტირს და მოსთქვამს,

– 322 –

ის აწმეოსაც ინანებსო,
მკვდარს ტირილი ვერ აღადგენს,
მოვლა უნდა საღს და მრთელსო.
მშვიდობის გზა მთვარე-ვარსკვლავთ,
ქება-ქება – მნათობ მზესო,

ვაშა, ვაშა ბუნების წესს,
რომ ნათელი მოსდევს ბნელსო!

თავის დანიშნულებას ერის წინაშე განმარტავს „პოეტის ფიქრში“, სადაც შედარებულია ყოვლის შემძლებელს სვე-მორჭმულს მეფესთან მგოსანი, რომელსაც შეუძლიან აღმართოს „ხსნის ბაირადი“ იმ მიზნით, რომ „ერი უძლური, დაჩვეული კერპთა მონებას იხსნას და ამცნოს, ვით დაიცვას თვისი მამული, მას წინ წარუძღვეს, ვითა მოსე ებრაელთ ერსა და მისებრ კვერთხით მან განაპოს ზღვა მეწამული“. გულგატეხილობა და იმედის გაცრუება დაეტყო დროთა განმავლობაში ლექსში: „გაცივდა გული მგზნებარე, გარდიქვა ყინულ-სალადა“, რომელსაც მოჰყვა უფრო სასომიხდილი აღსარება ლექსში „რად ვიმღერო?“, სადაც პირდაპირ ამბობს: „რაც მიყვარდა, აღარ მიყვარს, რაც რომ მწამდა – უარყავი, კერპთა ტაძრის საკურთხეველს მოვუხარე გმირმა თავი“... ჩერქეზთ ცხოვრებიდან დასწერა პოემა „შეჩვენებული“. გადმოსთარგმნა გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან“ და ლექსები კ. რ. („მთვარე“ და სხვა), ტანისა, პოზნიაკოვისა და სხვ.

პროზაშიაც სცადა თავის კალამი და დასწერა მოთხრობები „მარინე“, „საშინელი ღიმილი“, „ურწმუნო მოშა“, „აღდგომა და შიშთვილობა“, „თვალები“, „კბილები“, „გოგია“, „განათლდი, განათლდი, ახალო იერუსალიმ“, „ვერია“ (საშობაო მოთხრობა) და სხვა. მოთხრობები დაწერილია ჩვეულებრივის ლამაზის ენით. აქ როგორც ლექსშიაც, გამოსჩანს ნაზი და გრაციოზული სურათები და სულის მოძრაობის ანალიზი, მელანქოლიურის ელფერით გამსჭვალული. საერთოდ კი რომ ვთქვათ, მოთხრობებმა მის სახელს ახალი დაფნის გვირგვინი არ დაუწნა და რამდენჯერმე მკვახე კრიტიკაც გამოიწვია. „თვალები“ და „კბილები“ გაჰკიცხა ი. ნაკაშიძემ, რომელმაც აღნიშნა ამ მოთხრობებში გაცვეთილი სიუჟეტი: სიყვარული, ღალატი და სინანული.

შოი ქუჩუკაშვილი (შოი მღვიმელი)

შოი ქუჩუკაშვილი, მწერლობაში ცნობილი შოი მღვიმელის ფსევდონიმით, დიდს სამსახურს უწევს საყმაწვილო მწერლობას, რომელიც

- 323 -

ჩვენში ჯერ კიდევ ღარიბია სამი პატარა მისი წიგნაკი, დაწერილი მხატვრულის და მარტივის ენით, გრძნობით და ბავშვის სულის მოთხოვნილების ცოდნით, ეკუთნიან საუკეთესო ნაწარმოებს პედაგოგიურის თვალსაზრისის მხრით. „სამი ცელქი“, „ძუნწი“, „ცვარი“, დასურათებულნი გრ. ტატიშვილის მიერ, სასიამოვნო მოვლენაა ჩვენს ლიტერატურაში. გარდა ამისა, შ. ქუჩუკაშვილი მონაწილეობს საბავშვო ჟურნალებშიაც *).

დრამატიული მწერლობა

დრამატიულმა მწერლობამ დიდი სამსახური გაუწია ქართველს საზოგადოებას ენის შესარჩენად და თვითცნობიერების გამოსარკვევად. იმ დროს როდესაც ეკლესიაში, სკოლაში და სახელმწიფო დაწესებულებებში ქართული ენა დევნილი იყო, მხოლოდ სცენიდან მოისმოდა სამშობლო ენაზედ ბაასი, იქიდან ითვისებდნენ ისტორიულის წარსულის ამბებს და აწინდელის მდგომარეობის გაჭირებას.

დიმიტრი ყიფიანი. დრამატიულს მწერლებში პირველი ადგილი უნდა დავუთმოთ დიმიტრი ყიფიანს, რომლის ცხოვრება თავიდან ბოლომდის იყო განუწყვეტელი დრამა. დი-

*) შიო ქუჩუკაშვილის დროსვე გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზედ სვიმონ გუგუნავა, რომელმაც გალექსა გრ. რჩეულიშვილის „თამარ ბატონიშვილი“, სვ. ქვარიანი, ავტორი მოთხრობის („ანჟელინა“), ლექსებისა, კრიტიკულის წერილებისა და სამეცნიერო გამოკვლევებისა; ნატალია გიგაური, დამწერი ლექსების, საყმაწვილო მოთხრობების („ქეთო და სონა“), დრამების და მთარგმნელი რუსულით; ახალს თაობას ეკუთნიან ტრ. რამიშვილი (მოთხრ. „მიტრო მჭედლიშვილი“), მ. ადამაშვილი („ჩანჩურა“, „ხარაზი გაბო“, „კურკას ქორწილი“), იასონ ნიკოლაიშვილი („რას მერჩით“, „მეც ადამიანი ვარ“, „ცოლ-ქმარი“, „შერიგდნენ“ „ჰაიდა აქედან“), რევ. ფავლენიშვილი („მოტყუებული“, „ევა“, „გიორგი ქილეხსაშვილი“, „ამინდმაც ჩვენზე მოიცალა“), შ. დადიანი, ს. ყიფიანი, ნ. ნაკაშიძისა, ივ. ზურაბიშვილი, კატო მიქელაძე, რომელთა მოღვაწეობა ეკუთნის უფრო XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისს.

– 324 –

მიტრი ივანეს ძე ყიფიანი დაიბადა 1814 წ. მამა (ქოჩო) და დედა (ბარბარე) ადრე დაეხოცნენ და ამიტომ გაიზარდა უფროსის ძმის ქაიხოსროს მზრუნველობით. სწავლა მიიღო ჯერ ტფილისის სემინარიაში და შემდეგ კეთილშობილთა სასწავლებელში. 1832 წ. შეთქმულობაში მონაწილეობის მიღებისათვის გაიგზავნა ქ. ვოლოგდაში, სადაც სამსახური იშმოვა გუბერნატორის სამმართველოში და შემდეგ ამავე თანამდებობაზე გამოიყვანეს ქუთაისში. საქართველოში ბევრნაირს ასპარეზზედ იმუშავა. 1859 წ. დაინიშნა მთავარმართებლის საბჭოს წევრად, 1862 წ. აირჩიეს ტფილისის თავად აზნაურობის წინამძღოლად, 1878 – 1879 წწ. იყო ტფილისის ქალაქის თავად, 1885 – 1886 წწ. წინამძღოლობდა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას. ამ წელს უსიამოვნობის გამო მამინდელს მთავარმართებელთან გაგზავნილ იქნა ადმინისტრაციულად სტავროპოლში, სადაც მოკლულ იქმნა. დიდის ამბით მოასვენეს და დაასაფლავეს მისი გვამი ტფილისში მამა დავითის ეკლესიის

გალავანში 1887 წ.

დიმიტრი ყიფიანი მონაწილეობას იღებდა ქართულს მწერლობაში თითქმის ორმოცი წელიწადი. ბაქარ ქართლელის ფსევდონიმით სწერდა ცისკარში. სთარგმნა შექსპირის ვენეციელი ვაჭარი, ორი ვერონელი და რომეო და ჯულიეტა, მოლიერის კომედია ჩინებული სასიძონი, ბომარშეს კომედია სევილიელი დალაქი, დასწერა ქართული გრამმატიკა, რამდენიმე საისტორიო წერილი (ბატონ-ყმობაზედ) და მოგონებანი ჟურნ. რუსსკაია სტარინაში.

ივანე მაჩაბელი. ტრაგიკული სვე ეწვია მეორე ქართველს მოღვაწეს დრამატიულის მწერლობის ასპარეზზედ – ივანე მაჩაბელს. იგი დაიბადა 1854 წ. წერა-კითხვა ხუთის წლიდან დააწყებინა მოხუცმა პაპიდან, რვა წლისას უკვე გადაკითხული ჰქონდა რაც სახლში ქართული წიგნები მოეპოვებოდათ: ვეფხის-ტყაოსანი, ყარამანიანი, ბარამიანი, ვისრამიანი და სხვ. ხშირად ეკლესიაშიაც ეხმარებოდა მღვდელს და სამოციქულოს კითხულობდა. უფროსის ძმის დახმარებით შეისწავლა რუსული ენაც,

– 325 –

დაიჭირა გიმნაზიაში ეგზამენი და სახელმწიფო ხარჯზედ მიიღეს პანსიონში. გიმნაზია გაათავა თექვსმეტის წლისამ, ერთი წელიწადი დაჰყო საქართველოში, შეაგროვა გზის ფული გაკვეთილების დახმარებით და წავიდა პეტერბურგის ონივერსიტეტში, სადაც სწავლა დაამთავრა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზედ. შემდეგ რამდენიმე წელიწადი გაატარა გერმანიაში და საფრანგეთში მეურნეობის და მევენახეობის შესასწავლად. პეტერბურგში ყოფნის დროს 1873 წ. ილია ქავჭავაძესთან ერთად სთარგმნა შექსპირის მეფე ლირი ინგლისურის ენიდან, რომელიც ფრანგულის და გერმანულის ენების მსგავსად საფუძვლიანად შეისწავლა. 1879 წ. ჩამოვიდა ტფილისს და შეუდგა ილია ჭავჭავაძის ჟურნალს ივერიაში თანამშრომლობას. ამავე დროს სათავად-აზნაურო ბანკშიც მსახურობდა. მისი ნიჭი და უნარი ყველასთვის თვალსაჩინო შეიქმნა და საზოგადოების ყურადღება სწრაფად მიიპყრო თავისკენ, მეტადრე როცა შეიძინა ს. მესხისაგან გაზ. დროება. გაზეთი ჩქარა დაუკეტეს, ბანკში ილია ჭავჭავაძესთან განხეთქილება მოუვიდა და მისი ნაყოფიერი მუშაობაც შეფერხდა. მწერლობას მაინც თავს არ ანებებდა და გადმოსთარგმნა შექსპირის ტრაგედიები: ჰამლეტი, ოტელო, იულიოს კეისარი, მაკბეტი, რიჩარდ მესამე, გადმოაკეთა ადვოკატი მელამე, ჟან ბოდრი ვაკერისა, ორ ცეცხლ შუა, აგრეთვე რამდენიმე პატარა პიესა იტალიურიდან და ესპანურიდან. 1898 წ. იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა და აქამდის ეს ამბავი გამოურკვეველია საზოგადოებისთვის.

დავით ერისთავი (1846 – 1890). ქართულს სცენას დიდი

სამსახური გაუწია აგრეთვე დავით ერისთავმა. დაიბადა იგი გორში, სწავლა მიიღო თავის მამის დრამატურგის გ. ერისთავის ხელმძღვანელობით. იმოგზაურა ევროპაში განათლების შესავსებლად და, დაბრუნდა რა სამშობლოში, მიიღო მონაწილეობა საზოგადო დაწესებულებებში. წერა დაიწყო სტუდენტობის დროს ლექსებით დროებაში და სასოფლო გაზეთში. რუსულს ენაზედ ტფილისის პრესაში ჰბეჭდავდა კრიტიკულს

– 326 –

წერილებს ქართულის მწერლობის შესახებ: გაარჩია ილია ჭავჭავაძის გლახის ნაამბობი და ანტ. ფურცელაძის მაცი ხვითია, გ. თუმანიშვილის აღმანახში დაბეჭდა ნათარგმნი მშვენიერი ელენე ოფენბახისა და სახელი გაითქვა დრამით სამშობლო, რომლის შინაარსი აღებულია სარდუს ფრანგულის პიესიდან. გარდა ამ დრამისა დავით ერისთავმა დასწერა კომ. საზოგადო საქმე, სთარგმნა სამაგელი კრილოვისა, მეორედ გაყმაწვილება ნევეჟინისა, პარიჟელი ბიჭი ჟოზეფისა.

ავქსენტი ცაგარელი (8557 – 1904). დაუვიწყარია ჩვენის თეატრისთვის ღვაწლი ავქსენტი ცაგარლისა, როგორც მსახიობის და დრამატურგისა. სემინარიაში ნასწავლი და პატარაობიდანვე თეატრალურს წარმოდგენებში მონაწილე, ავქსენტი ცაგარელი შეიქმნა პირველის მუდმივის დრამატიულის ამხანაგობის წევრად. 1878 წ. დასწერა პიესა რაც გინახავს, ველარ ნახავ, ამას მოჰყვა ცოცხალის იუმორით და ცხოვრების დაკვირვების უნარით დაწერილი კომედიები ხანუმა, შემდეგ ბაიყუში, მაიკო, ციმბირელი, ცისარტყელა, ისტორიულის სიუჟეტით ქართველი დედა და სხვ., რომლებშიაც გაიფურჩქნა შეუდარებელი ნიჭი ავტორისა, მსგავსი გიორგი ერისთავის შემოქმედებისა. გარდა ორიგინალურის პიესებისა, ა. ცაგარელმა სთარგმნა ნორა იბსენისა, შატრიანის მტერ-მოყვარე ძმები, ოქროს ევა, დავით რაბინი, აგრეთვე მონასტრის ზღუდეთა შორის ანუ და ტერეზია ლ. კამოლეტისა, მგლები და ცხვრები ოსტროვსკისა, გადმოაკეთა მშვენიერი ელენეს მაძიებელი, ორი თბოლი და სხვა. რადგან სცენა და მწერლობა საკმარისს საშუალებას არ აძლევდნენ საცხოვრებლად, ამიტომ იძულებული იყო სამსახურში შესულიყო რკინის გზაზედ. ორის დღის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1904 წ. და საზოგადოების ხარჯით, ნიშნად პატივისცემისა, დამარხულ იქმნა ტფილისში.

ვასილ აბაშიძე. ვასილ აბაშიძე დაიბადა 1857 წ. იგი არის ქართულის თეატრის დამამშვენიებელი მსახიობი. მან დაჰბადა სკოლა თავის მიმდევართა. ორასამდის ტიპი აქვს შექმ-

– 327 –

ნილი და ყველგან შეუდარებელს ბუნებითს ნიჰს იჩენს. იგი არ ჰკმარობს არტისტის დიდებულს სახელს და მონაწილეობას იღებს მწერლობაშიაც. 1885 – 1887 წწ. იმის ხელმძღვანელობით გამოდიოდა გაზეთი თეატრი, შეადგინა ლექსთა და დრამატიულის ნაწერების ნაწყვეტთა კრებული ჩანგი, დასწერა და სთარგმნა რამდენიმე პიესა. აღებულს აზრზედ დასწერა ვისი ბრალთა, 5 მოქმედებიანი კომედია, უნდა გავიყარნეთ, 3 მოქმ. კომ., ვოდვეილი ცოლი თუ გინდა, ეს არის, სთარგმნა დიაჩნკოს კომედია ეხლანდელი სიყვარული, სოფლის მასწავლებელი რ. კასტელევეკიოსი, 3 მოქმ. კომ. შემოილია, ისპანიელი აზნაური, კიდევ ერთი მსხვერპლი სუნდუკიანცისა, დანაშაული და სასჯელი ბელოსი, ორი ჯიბგირი პიერ დე კურსელისა, მოგზაური ფელიესი, გამარცხელი ფოსტა, სწავლული ცოლი, სცენა-მონოლოგი კუპლეტებით, უცნაური მდგმური ბაიკოვისა, მეჯლისი იტალიელებით (ოპერეტა), რაინდი უშიშარი და გულმართალი (ოპერეტა) და სხვ.

კონსტანტინე ყიფიანი. კონსტანტინე ყიფიანი, ძე ცნობილის დიმიტრი ყიფიანისა, დაიბადა 1848 წ. სწავლა მიიღო ტფილისის გიმნაზიაში და მოსკოვის სამეურნეო აკადემიაში, იმსახურა სხვა და სხვა დაწესებულებებში და შემდეგ ქართულს სცენაზედ, სადაც ასრულებს დრამატიულს როლებს. მან გადმოაკეთა კომ. ნაპერწკალი, დატრიალდა ჯარა, სთარგმნა. ტორკვემადა ვ. ჰუგოსი, მერკადე ბალზაკისა, ბოსნელები ბანასი, დასწერა ისტორიული დრამა საქართველოს ბედი, სთარგმნა ქართულად ლიპპერტის კულტურა, რუსულად გადიღო აკაკის ბაშიაჩუკ, ბეჭდავდა სამეცნიერო და საისტორიო წერილებს ქართულს და რუსულს ენაზედ *).

კონსტანტინე მესხი. კონსტანტინე მესხი დაიბადა 1858 წ. ქუთაისში. სწავლა მიიღო ტფილისის რეალურს სასწავლებელში. სცენაზედ გამოვიდა 1879 წ. და მასუკან თავდადებულად

*) კ. ყიფიანის მეუღლე, ნინო, ცნობილია მწერლობაში, როგორც მთარგმნელი რომანისა „სპარტაკი“.

ემსახურება თეატრს, როგორც არტისტი და დრამატურგი. დასწერა 30 პიესამდე და შეჰქმნა მრავალი დრამატიული როლი. მას უკუთნის აღებულს სიუჟეტზედ დაწერილი დრამები: თამარ ბატონიშვილი, ბაგრატ IV, რუსთაველი, ლანგთემური; გადმოსთარგმნა მადამ სანჟენ სარდუსი, ტრილბი დიუმორიესი, ჭირვეული ცოლის მორჯულება შექსპირისა.

ვალერიან გუნია. ვალერიან გუნია დაიბადა 9 იანვარს 1864 წ. რეალურს სასწავლებელში სწავლობდა 1877 – 1882

წწ., მაგრამ „მავნე აზრებისთვის“ დათხოვნილ იქმნა. თავისუფალს მსმენელად შევიდა მოსკოვის სამეურნეო აკადემიაში და ამავე დროს თავალს ადევნებდა მოსკოვის თეატრებს. ალექსანდრე მესამის დაგვირგვინების დროს მოსკოვიდან გაგზავნეს სამშობლოში. ბავშვობიდან უყვარდა სცენა და ახლა თავის ძალღონეს ამას სწირავს, როგორც მსახიობი, პიესების ავტორი და რეჟისორი. მოსკოვში გადმოსთარგმნა ედმონდ კინი, 18 წლისა როცა გახდა, დასწერა პიესა უკანონო შვილი, წარმოდგენილი არწრუნის თეატრში. 1883 წ. გამოვიდა პირველად სცენაზედ პიესაში მეფე და პოეტი. დაწერილი და გადმოკეთებული აქვს მრავალი პიესა: და-ძმა, ყაჩაღი კაკო ბლაჭიაშვილი, ორი გმირი, ცხოვრება (მერეჟკოვსკისა), თავის ბრალია (როზოსი), აღლუმი, აირია მონასტერი (თარგმანი გუნიასი და სახოკიასი), რაც არ მერგება, არ შემერგება, საშოვნელსა ნაშოვნი სჯობია, მონადირე, პარიზის ღატაკნი, პირველი ბუზი, ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე, მამულ-დედული (ზუდერმანისა), არც აქეთ, არც იქით, ციხის საიდუმლო (სუმბათაშვილისა), ადვოკატთან, დედის-ერთა და სხვ. ვ. გუნია 1884 წლიდან სწერდა ივერიაში თეატრის რეცენზიებს და შემდეგ დააარსა თავისი გაზეთი ცნობის ფურცელი.

ნატალია დონდაროვი (აზიანი). ნატალია დონდაროვის ქალი ცნობილია აზიანის ფსევდონიმით. ორი მისი პიესა ფული და ხარისხი, ინჯილური ან დოხტური ენა-მახვილი სატირაა ჩვენის დროის საზოგადოებაზედ, რომელიც ეტანება კნეინობის

- 329 -

ტიტულს, ან ინჟინერის და დოკტორის დასიძეობას. გაცრუებული იმედები ჰკიცხავს ვიწრო ნაციონალიზმს და დამახინჯებულის ქართულ-რუსულის ენით ლაპარაკს. ნაკლებ შემუშავებულია მისი სცენები ცოდვა. აქვს აგრეთვე განმათავისუფლებელის დროიდან დამახასიათებელი სცენები ორს სურათად ხან ასე და ხან ისე. აქვს მოთხრობები თანამედროვე ცხოვრებიდან.

ტრიფონ რამიშვილი. ტრიფონ რამიშვილმა შესძინა რამდენიმე პიესა ჩვენს სცენას. მას ეკუთნის ყოფა-ცხოვრების დამასურათებელი დრამა მეზობლები, გარდა ამისა დასწერა საბედისწერო დამბაჩა, სადაც აღნიშნა გადაგვარება, დამკვლელი წოდებათა შეხედულებანი, ექიმი ამირბაჯიანი ანუ ბრძოლა ძველს და ახალს იდეალთა შორის, დღესასწაული (დრამატ. სურათი), სადაც მომქმედს პირებად გამოყვანილი ჰყავს ხუროთ-მოდღვრების, ქანდაკების, მხატვრობის, მგოსნობის, მუსიკის, ცეკვის და სცენის მუშები.

სხვა მოხვედრები და მთარგმნელები. ქართულს სცენას ემსახურნენ აგრეთვე **ნ. ავალიშვილი**, რომელმაც თარგმნა

ოსტროვსკის ღარიბი სასძლო, შილლერის ყაჩაღები და სერვანტესის დონკიხოტი; **ა. ახნაზაროვი** – პატიოსნება, ნატურის თვალი, ბორკილი; **გრ. ყიფშიძე** – ღალატი; **ივ. მაჭავარიანი** – ივდითი, გამოურკვეველი ოცნება, ტარტიუფი; **სტ. ჭრელაშვილი** – დონჟუან მოლიერისა; **დ. ნახუცრიშვილი**, ავტორი ისტორიულის დრამისა იანიჩარი და მთარგმნელი ფაუსტისა, რომელიც შემდეგ გადმოაქართულა **პეტრე მირიანაშვილმა**. ამასვე ეკუთნის გადმოთარგმნა სოფოკლის ტრაგედიებისა ანტიგონა და ედიპი; **გ. ჟურულმა** დასწერა ერთი შემთხვევა; **ივ. აბაზმა** ისტორიული პიესა განთიადი საქართველოს მე-XVII საუკუნის ცხოვრებიდან; **იერ. გულისაშვილმა** ორი პიესა: ცხოვრება ბრძოლა და დრონი მეფობენ; **ს. გლახაშვილმა** 3 მოქმ. დრამა წყურვალი; **ივ. პოლუმორდვინოვმა** სთარგმნა ექიმი შტოკმანი იბსენისა; **ინ-ანმა** მსხვერპლი დოდესი და ჩაძირული ზარი ჰაოპტმა-

– 330 –

ნისა; **ივ. ზურაბიშვილმა** მარიამ შოტლანდიელი ბიორსონ-ბიორნსტენისა. დასწერა რამდენიმე პიესა **აღალო თუთაევმა**, სთარგმნეს **დ. მესხმა**, **დ. კეზელმა**, **გ. ჟურულმა** (სიხარულმა ელდა იცის ჟირარდენისა), **ა. მირიანაშვილმა**, **მ. ნასიძემ** (ივანოვი, კლავიგო), **გ. თუმანიშვილმა** (ჟორჟ დანდენ), **ანასტასია თუმანიშვილმა-წერეთლისამ** ჯერ თავო და თავოო და სხვანი.

დასკვნა

თუ გადავავლებთ თვალს ქართულის მწერლობის განვითარებას მე-XIX საუკუნის განმავლობაში, ადვილად შევნიშნავთ, რომ ევროპული და რუსული სალიტერატურო მიმართულებანი აწარმოებდნენ ჩვენის პოეზიის მიმდინარეობას. ალექსანდრე ჭავჭავაძე ჯერ კიდევ ვერ ამორებია სპარსეთის ლირიკის გავლენას, მაგრამ უკვე იგრძნო ევროპელთ მწერალთა ზედგავლენა. მას შემდეგ უფრო ნათლად დაეტყო ქართულს მწერლობას დასავლეთის ზედმოქმედება. ცრუ კლასიციზმი აგვცდა ანუ უკეთ ვთქვათ მხოლოდ ნათარგმნს ლექსებში უნაყოფოდ დარჩა (დმერთი დერჟავინისა), ხოლო ამ მიმართულების გამდევნელმა რომანტიზმმა წარმოშობა გრ. და ვ. ორბელიანები, შემდეგ ბაირონიზმს მიემხრო ნ. ბარათაშვილი, რეალიზმი დაამყარეს გ. ერისთავმა, ილია ჭავჭავაძემ, ლ. არდაზიანმა, დ. ჭონქაძემ, აკაკი წერეთელმა, რაფ. ერისთავმა, შესცვალეს იგი ნატურალიზმად გ. წერეთელმა, ე. ინგოროყვამ, ნ. ნათიძემ, გარდაჰქმნეს ტეტიათა მოტრფიალე მიმდინარეო-

ბად ა. ყაზბეგმა, ნ. ლომაურმა, ს. მაგლობლიშვილმა, სიმბო-
ლური ელფერი მისცეს ლ. რაზიკაშვილმა, ნ. რაზიკაშვილმა,
შ. დადიანმა. ქართულს მწერლობაში ვერ მოიკიდა ფეხი მე-XIX
საუკუნის დასაწყისს სენტიმენტალიზმმა და ვერ შეეთვისა მას
ვერც მაქსიმ გორკის ფეხშიშველა გმირი და ვერც ნიცშეს ზე-

– 331 –

კაცი, თუმცა ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ გაიცნო
მათი თხზულებანი ან პირდაპირ ნათარგმნის ნაწარმოებით, ან
კრიტიკულის შენიშვნების დახმარებით.

ქართველის მწერლების სამსახური იმაში გამოიხატება,
რომ უცხოეთის ნაწარმოებიდან აღებული აზრიც ნაციონა-
ლურის ელფერით შემოსეს და დაუახლოვეს სალიტერატუ-
რო ენა ხალხურს კილოს. მეცხრამეტე საუკუნის მწერლობამ
შეჰქმნა ახალი სტილიც ჯერ გიორგი ერისთავის ღვაწლით,
რომელმაც გაამეფა ქართლის ენა, შემდეგ იგი გარდაქმნა
ილია ჭავჭავაძის სკოლამ კახურის მიმოხვრის ზედგავლენით,
ხოლო დროება-კრებულის დაარსებამ შესძღვნა სტილს იმერული
პროვინციალიზმებიც. ილია ჭავჭავაძემ შეადულა ძველის და
ახალის სტილის ელემენტები და სალიტერატურო ენად გამო-
აცხადა ივერიის ენა, რომელსაც კვალის დაარსებამდის მეტოქე
მართლაც არავინ ჰყავდა. შეიქმნა ბრძოლა ივერიელთა და კვა-
ლელთა შორის. პირველნი მისდევდნენ იმ სტილს, რომელიც
ჩამოყალიბდა ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ილია ჭავ-
ჭავაძის და აკაკის ნაწერებში, მეორენი მომხრენი არიან იმ
სტილისა, რომელიც ე. ინგოროყვას, ნ. ჟორდანიას და მათ
თანამოაზრეთა თხზულებებში აღმოჩნდა. პირველს საფუძვლად
უძევს ქართლ-კახეთის ენა, მეორეს იმერულ-გურული კილო.
ამ განხეთქილებამ ორის სტილის მიმდევართა შორის გამოი-
წვია საგრამატიკო ბრძოლაც, რომელიც დაიწყო კვალის და
ივერიის ფურცლებზედ და გაგრძელდა აქამდის კოლხიდის და
განათლების თანამშრომელთა შორის. უკიდურესს ორს შეხედუ-
ლებას სტილზედ ცხოვრება შეათანხმებს და გზას გაუკვლევს
იქით, საითაც თვით ენას დაემჩნევა მიდრეკილება.

როგორც სამწერლო ენა, აგრეთვე თვით მწერლობის
შინაარსიც თეორიულის და მხატვრულის აზროვნობის მხრით
წარმოადგენს განვითარებას, რომელიც შედუღდა ორის ნასა-
ხისაგან: ერთი იყო ნაანდერძევი ძველის დროებისა, ხოლო
მეორე წარმოშობა ახალმა საზოგადოების მოძრაობამ ეკონო-

– 332 –

მიურის და გონებითის ევოლიუციის გავლენით. ქართული

ლიტერატურა შეჰქმნა სხვა და სხვა სოციალურმა კლასებმა, რომელნიც ერთი მეორის გამოსაცვლელად იბადებოდნენ სამოქალაქო ასპარეზზედ. მეცხრამეტე საუკუნის სამ-ნახევარი იკვებებოდა ღვაწლით იმ მწერლებისა, რომელნიც ეკუთნოდნენ თავად-აზნაურობას. მეოთხმოცე წლებში შეემჩნია განსხვავება ქართულს აზროვნობას: მწერლობაში მონაწილეობა მიიღეს აზნაურთა გარეშე მდგომმა ელემენტებმაც; ამ ცვლილებამ თანდათან იმატა და მტკიცედ დაამყარა დემოკრატიული მიმართულება.

შინაარსის სარჩევი

წინასიტყვაობა	გვ. 3	გიორგი ქოჩაკიძე	გვ. 160
რედაქტორის შენიშვნა	3	იოსებ დავითაშვილი	161
შესავალი	5	ანტონ ფურცელაძე	163
ორი ხანა მე-XIX საუკ ქართულის მწერლობის ისტორიაში	8	ნიკოლოზ ნიკოლაძე	167
ცვლილებანი ზნე-ჩვეულებათა და საზოგადო ცხოვრებისა	10	ეკატერინე გაბაშვილისა	167
მოდრობა ახალის მთავრობის წინააღმდეგ მე-XIX საუკუნის დასაწყისს	12	ალექსანდრე ყაზბეგი	177
ბერი ფილადელფოს კიკნაძე და სოლომონ დოდაშვილი	14	ნიკოლოზ ლომაური	198
ალექსანდრე ჭავჭავაძე	16	სოფრონ მაგლობლიშვილი	200
გრიგოლ ორბელიანი	24	ლუკა რაზიკაშვილი (ვაჟა-ფშაველა)	201
ალექსანდრე ორბელიანი	33	ნიკოლოზ რაზიკაშვილი (ბაჩანა)	221
ნიკოლოზ ბარათაშვილი	36	თედო რაზიკაშვილი	224
გიორგი ერისთავი	47	იაკობ გოგებაშვილი	225
დანიელ ჭონქაძე	66	გიორგი წერეთელი	226
		ევნატე ინგოროყვა (ნინოშვილი)	243
		იროდიონ ხოსიტაშვილი (ევდოშვილი)	258
		არსენ მამულაიშვილი (ლალი-	

ლავრენტი არდაზიანი	72	ონი)	265
გრიგოლ რჩეული ვილი	77		
ილია ჭავჭავაძის ხანა	81	დავით კლდიაშვილი	267
ილია ჭავჭავაძე	85	შიო დედაბრიშვილი (არაგვის-	
ვახტანგ ორბელიანი	114	პირელი)	278
რაფიელ ერისთავი	123	ილია ზურაბიშვილი (ელეფთე-	
აკაკი წერეთელი	134	რიძე)	295
მამია გურიელი	154	დიმიტრი ერისთავი	296
დიმიტრი ხომტარია (დუტუ მე-		გრიგოლ ვოლსკი	317
გრელი)	298	ვარლამ რუხაძე	318
ანასტასია ერისთავი-ხომტა-		პარმენ თვალჭრელიძე (ცახელი)	319
რიასი	307	სილოვან ხუნდაძე	320
ნიკოლოზ ნათიძე (მელანია)	309	დომინიკა მდივნისა (განდეგილი)	321
იაკობ ცინცაძე (ია ეკალაძე)	311		
ნინო ორბელიანისა	313	შიო ქუჩუკაშვილი (შიო მღვი-	
იოსებ ბაქრაძე	314	მელი)	322
პეტრე უმიკაშვილი	315	დრამატიული მწერლობა	323
გრიგოლ აბაშიძე	315	დასკვნა	330

გვარების და ფსევდონიმების სარჩევი

	გვერდები		გვერდები
აბაშიძე გრიგოლ	315–317	გომართელი ივანე	259
აბაშიძე ვასილ	326–327	გუგუნავა ს.	323
აბხაზი ივ.	329	გულისაშვილი იერ.	329
ადამაშვილი მ.	323	გუნია ვალერიან	328
ავალიშვილი ნ.	329	გურიელი მამია	154–160
აზიანი (დონდაროვი ნა-		დადიანი შ.	323
ტალია)	328–329	დავითაშვილი იოსებ	161–163
არაგვისპირელი შიო (დე-		დაბრიშვილი შიო	
დაბრიშვილი)	278–294	(არაგვისპირელი)	278–294
არდაზიანი ლავრენტი	72–77	დეკანოზიშვილი ანდრია	294–295
ახნაზაროვი ა.	329	დოდაშვილი სოლომონ	15–16
ბარათაშვილი ნიკოლოზ	36–47	დონდაროვი ნატალია	
ბარნოვი ვასილ	294–295	(აზიანი)	328–329
ბაქრაძე იოსებ	314	ევლოშვილი იროდიონ	
ბაჩანა (ნ. რაზიკაშვილი)	221–224	(ხოსიტაშვილი)	258–265
გაბაშვილისა ეკატერინე	167–177	ეკალაძე ია (ცინცაძე ი.)	311–313
განდეგილი (მდივნისა		ელეფთერიძე ილია (ზუ-	
დომინიკა)	321–322	რაბიშვილი)	295–296

გიგაური ნატალია	323	ერისთავი-ხოშტარია ანა-	
გლახაშვილი ს.	329	სტასია	307–309
გოგებაშვილი იაკობ	225–226	ერისთავი გიორგი	47–66
ერისთავი დავით	325–326	მეგრელი დუტუ (ხოშ-	
ერისთავი დიმიტრი	296–297	ტარია დიმიტრი)	298–307
ერისთავი რაფიელ	123–134	მელანია (ნათიძე ნიკ.)	309–311
ვაჟა-ფშაველა (ლ. რაზი-		მესხი კონსტანტინე	327–328
კაშვილი)	201–221	მესხი დ.	330
ვოლსკი გრიგოლ	317–318	მირიანაშვილი პ.	329
ზურაბიშვილი ივანე	323, 330	მირიანაშვილი ა.	330
ზურაბიშვილი ილია		მიქელაძე კატო	323
(ელეფთერიძე)	295–296	მღვიმელი შიო (ქუჩუ-	
თვალჭრელიძე პარმენ		კაშვილი)	322–323
(ცახელი)	319–320	ნადირაძე დიმიტრი (მა-	
თომაანთ კობა (ციცაძე ი.)	311–313	ჩხანელი)	297–298
თუთაევი ალალო	330	ნათიძე ნიკ. (მელანია)	309–311
თუმანიშვილი გ.	330	ნაკაშიძისა ნინო	323
თუმანიშვილი-წერეთ-		ნასიძე მ.	330
ლისა ან	330	ნახუცრიშვილი დ.	329
ინ-ანი	329	ნიკოლაიშვილი იასონ	323
ინგოროყვა ეგნატე (ნი-		ნიკოლაძე ნიკო	167
ნოშვილი)	243–258	ნინოშვილი ეგნატე (ინ-	
კეზელი დ.	330	გოროყვა)	243–258
კიკნაძე, ფილადელფოს		ორბელიანი ალექსანდრე	33–35
(ფილადელფოს ბერი)	14–15	ორბელიანი გრიგოლ	24–32
კლდიაშვილი დავით	267–278	ორბელიანი ვახტანგ	114–123
ლალიონი (მამულაიშვი-		ორბელიანისა ნინო	313–314
ლი არსენ)	265–267	პოლუმორდვინოვი ივ.	329
ლომაური ნიკოლოზ	198–200	ჟორდანია ნოე	242
მამულაიშვილი არსენ		ჟურული გ.	329, 330
(ლალიონი)	265–267	რაზიკაშვილი ლუკა (ვა-	
მაჩაბელი ივანე	324–325	ჟა-ფშაველა)	201–221
მაჩხანელი (დიმიტრი ნა-		რაზიკაშვილი ნიკოლოზ	
დირაძე)	297–298	(ბაჩანა)	221–224
მაჭავარიანი ივ.	329	რაზიკაშვილი თედო	224–225
მგალობლიშვილი სოფ-		რამიშვილი ტრიფონ	323, 329
რონ	200–201	რუხაძე ვარლამ	318–931
მდივნისა დომინიკა (გან-		რჩეულიშვილი გრიგოლ	77–81
დეგილი)	321–322	უმიკაშვილი პეტრე	315
ფავლენიშვილი რევაზ	323	ცინცაძე იაკობ (ეკალა-	
ფილადელფოს ბერი (კი-		ძე ია)	311–313
კნაძე)	14–15	წერეთელი აკაკი	134–154
ფურცელაძე ანტონ	163–166	წერეთელი გიორგი	226–243
ქვარიანი ს.	323	ჭავჭავაძე ალექსანდრე	16–24

ქოჩაკიძე გიორგი	160–161	ჭავჭავაძე ილია	85–114
ქუჩუ უკამვილი შიო (მღვი- მელი)	322–323	ჭონქაძე დანიელ	66–72
ყაზბეგი ალექსანდრე	177–198	ჭრელაშვილი სტ.	329
ყიფიანი დიმიტრი	323–324	ხოსიტაშვილი იროდიონ	
ყიფიანი კონსტანტინე	327	(ევდოშვილი)	258–265
ყიფიანისა ნინო	327	ხომტარია დიმიტრი	
ყიფიანი ს.	323	(დუტუ მეგრელი)	298–307
ყიფშიძე გრ.	329	ხომტარიასი ანასტასია	
ცაგარელი ავქსენტი	326	(ერისთავი-ხომტარია)	307–309
ცახელი (თვალჭრელიძე პარმენ)	319–320	ხუნდაძე სილოვან	320–321
		ხუსკივაძე თეოფილე	294–295
